



თამაზ
ფიფიფიფაძე

ლოჟუნბების

ქვეყანა

ფიგნი I

გამოჩენილი ქართული კრიტიკოსის თამაზ წიფწიეაძის სხვადას-
ხვა დროს გამოქვეყნებული მწვავე პოლემიკური და ლიტერატუ-
რული წერილები, რომელთა უმრავლესობას მკითხველი კარგად
იცნობს, იბეჭდება ორ წიგნად. რაც საშუალებას მოგვცემს შედა-
რებით სრულად გავეცნოთ მწერლის შემოქმედებას.

არედაქტორი პრიბინა ჯულუხიძე

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

შენსავლის მაგიერ

ანუ

პასუხი ტელემასურებაელთა შეკითხვებზე*

1. ზოგჯერ ძალზე აღელვებული და გაცეცხლებული ჩანხართ წერილებში. რა არის ამის მიზეზი? მხოლოდ ნაწარმოების ავ-კარგი?

— მართალი გითხრათ, არ მეგონა, ჩემს წერილებს აღელვებული და გაცეცხლებული კაცის ხელი თუ ეტყობოდა. ისე კი მიინდა, მცირე ექვი გაგიზიაროთ: დღეს, როცა ქართველ მწერლებზე, უმეტეს წილად, სადღეგრძელოების მსგავსი დიტირამებო იწერება, იქნებ ამ ფონზე ჩანს ჩემი წერილების ტონი ანაქრონიზმად?

ადრე, მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ისეთი მძაფრი კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა, იმათთან ჩემი წერილების ტონი ნ ა ნ ი ნ ა დ მოგეჩვენებათ!

თქვენ გაინტერესებთ, გაიგოთ — ძალზე აღელვებული და გაცეცხლებული რომ ვჩანვარ წერილებში, რა არის ამის მიზეზი, მხოლოდ ნაწარმოების ავ-კარგი? — რასაკვირველია, მხოლოდ ნაწარმოების ავ-კარგი! თორემ ლუღზე მისაყოლებელი ქერჩის ტარანა არ იშოვება, ამას, ჩემი წერილების პათოსზე, ჭერჯერობით, გავლენა არ მოუხდენია!..

2. თქვენ თუ გიცდიათ მწერლის კალამი? ან კრიტიკის დროს თუ დაგიყენებიათ მის ადგილას თავი?

— ის რამდენიმე წერილი, დღემდე რომ გამოვაქვეყნე თუ მწერლის კალმით არაა დაწერილი, იმათ გარდა მე არაფერი გამაჩნია!

* ეს ინტერვიუ საქართველოს ტელევიზიით ეთერში 1979 წელს გადაიცა.

თუ დაგიყენებიათ იმ მწერლის ადგილას თავი, რომელსაც აკრიტიკებდითო, ამაზეც გიპასუხებთ:

— კი, ხშირად მიფიქრია, ჩემი გაკრიტიკებული ზოგი მწერლის ადგილას რომ ვიყო, წერას თავს დავანებებდი და სხვა საქმეს ვეწეოდი-მეთქი.

3. რატომ წერთ ასე ცოტას? კრიტიკოსმა (თქვენისთანამ!) მიგვაჩინია, რომ ბევრი უნდა წეროს!

— ეს ისეთი საყვედურია, ჩემს სასარგებლოდ რომ ლაპარაკობს და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

გაცილებით უხერხულ დღეში აღმოჩნდებოდი: ვინმეს რომ ეთქვა — ამდენ სისულელეებს რა გაწერინებთო!

თქვენისთანა კრიტიკოსმა, მიგვაჩინია, ბევრი უნდა წეროსო, ამ შეფასებისთვისაც მადლობელი ვარ, თუმცა არ გეთანხმებით — ჩემისთანა კრიტიკოსმა კი არა, ღმერთისტოლაც რომ იყო, ბევრი უნდა იკითხოოს და ცოტა წეროს!

4. ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით, კრიტიკოსი მასწავლებლები თუ გყოლიათ? თუ გვეტყვით ორიოდ სიტყვას, როგორ უნდა წეროს კრიტიკოსმა?

— კონკრეტული კრიტიკოსი მასწავლებელი არა მყოლია, ზოგადად ყველა კრიტიკოსი მიყვარს! ალბათ, მათგან რაღაც მისწავლია! სხვათა შორის, მე უფრო დიდ მწერლებს ვცემ პატივს — მათგან ყოველთვის მეტს ვიგებ და ვსწავლობ.

— როგორ უნდა წეროს კრიტიკოსმა? ამის თქმა ძნელია. მაგრამ ექვს არ იწვევს ის ამბავი, რომ მე ჩემსავით უნდა ვწერო, გ უ რ ა მ გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ მ ა — თავისავით!

არსებობს უნიკალური რეცეპტი, რომელიც ყველაზე ვრცელდება და ძნელად მისაღწევია — უნდა ვწეროთ უკეთესად, ვიდრე ვწერთ!

5. რას ებრძვით და რის დამკვიდრებას ცდილობთ თქვენი კრიტიკით ლიტერატურაში?

— „პროგრამა მიინიშუმს“ მოგახსენებთ: ვცდილობ. ვებრძოლო პრეტენზიულ უნიჭობას, აღზევებულ ფსევდო-მწერლებს და მათი ხელიდან გამოსულ ლიტერატურულ ბლეფს!

დ. არსებობს ეჭვი, რომ თქვენ მწერლის მიერ დაშვებული შეცდომები გულს არ გტკენთ. ეს სიმართლეა?

— რა ვქნა, ვერაფერს დავაჭერე. ავტორის შეცდომებს გულში ჩუმად რომ განვიცდი!

აბა, ზოგი მწერლის რომანის კითხვისას ყოველი შეცდომის აღმოჩენაზე ხმამაღლა რომ მეტირა, ჩემი გაბმული ზღუქუნი მაღლა ღმერთს შეაწუხებდა!..

ჟ. როგორი ურთიერთობა გაქვთ გაკრიტიკებულ ავტორებთან?

— დაახლოებით ისეთი, როგორც რაჭველ კაცს დათვთან! — დათვი დახლში არ მიდის, რაჭველი კიდეც — ტყეში...

გამარჯობათ, ბატონო შალვა!

გულწრფელად ვწუხვარ: შარშანდლიდან მოყოლებული შეშთხვევა არ მომეცა, თქვენს სალამზე მეპასუხა!

არადა, გასული წლის დეკემბრიდან „ახალგაზრდა კომუნისტის“ მკითხველები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას თქვენი მისალმებით („გამარჯობათ, ბავშვებო!“.) ვიწყებდით!

რაღა დროს ჩემი ბავშვობაა, მაგრამ მაინც მგონია, თქვენი „გამარჯობა“, როგორც გაზეთის ერთ მკითხველს, პირდაპირ თუ: ილინცურად, მეც მესებოდა!

ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მოგესალმებით:

გამარჯობათ, ბატონო შალვა!

თუ თქვენს ამბავს აღარ ვკითხულობ, უყურადღებობაში ნუ ჩამომართმევთ: ისედაც ყველაფერი დაწვრთლებით ვიცი—პრესა და ტელევიზია თქვენს საქმიანობაზე ყოველდღიურად მოგვითხრობენ!

ამჟამად სხვა რამის გამო გაწუხებთ, ბატონო შალვა, მაგრამ, როგორც შეატყობდით, საქმეზე პირდაპირ ლაპარაკი გამიჭირდა და შორიდან დავიწყე...

* * *

მკითხველს ჩემი წერილის ერთგვარად ლალი ტონი არ გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ მე ბატონ შალვა ამონაშვილს ველაპარაკები!

მით უფრო არ გაუკვირდება ეს ბატონ შალვას, რომელმაც თავისი ახალი მეთოდის დანერგვით სილაღე და სიხალისე შეიტანა თვით ისეთ კონსერვატორულ სისტემაშიც კი, როგორიც სასკოლო სწავლებაა!

როგორც გვეუბნებიან, ბატონ შალვას სწავლების ახალი სის-

ტემა ახლა დიდ მოღაშთა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ (რამდენადაც ამის ცნობები გვაქვს) უცხოეთშიც კი!

უსაზღვროა ჩემი სიხარული, ეს რომ მესმის!

მიხარია ის, რომ განათლების სისტემაში სწავლება უკეთესობისკენ შეიცვლება!

არ დავმალავ და უფრო ის მიხარია, ამას ჩემი თანამემამულე რომ აკეთებს!

სწორედ მიხარია და არ კი მიკვირს!

არ მიკვირს იმიტომ, რომ საქართველოში დაწყებითი სწავლება დიდი იაკობ გოგებაშვილის სწავლის ძირზეა დამყნობილი და, საცა სამართალია, მის ყლორტებს აჭამდეც უნდა ეხარა!

მე სხვა რამემ გამაკვირვა, ბატონო შალვა. გამაკვირვა კი არა, ნეტავ არ მენახა — კონდამ კეჟიდან შემშალა!

არ გეწყინოთ და თქვენს კრებულს ვგულისხმობ — „საექსპერიმენტო I კლასებისათვის“ რომ გამოგიციათ.

სად თქვენი სწავლების ახალი მეთოდი, ბატონო შალვა, და სად ეს კრებული!...

მართალი გითხრათ, ეს ორი საქმე თუ ერთი კაცის ხელიდანაა გამოსული, მე ამას ვერაფერს დამაჯერებს!

ალბათ, ასევე ვერაფერს დაგაჯერებთ თქვენც, თუ ეს კრებული მართლა ასე სუსტია!

ამიტომ, ბატონო შალვა, თუ უხერხული არ იქნება, თქვენს კრებულთან ცოტა ხნით მარტო უნდა დამტოვოთ...

* * *

როცა მარტო დავრჩი, მერე მივხვდი, რა ძნელ საქმეს მოვეკიდე! — ამ წერილით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის ეგიდით გამოცემულ კრებულს ვუპირისპირდები!

სულელი რომ იქნები კაცი! — ვითომ განათლების სამინისტროს გადაკრება არ მეყოფოდა, ზედ რომ პედაგოგიკის სამეცნიერო ინსტიტუტიც არ დამემატებინა?!

მაგრამ ახლა წუწუნის დრო აღარაა, როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ — წილი ნაყარია!

ნათქვამია, მართალ კაცს ღმერთი შეეწევავო, მაგრამ მთლად ამის იმედად რომ არ დავრჩე, და საქმე წინ წავწიო, ცოტა მეც უნდა გავინძრე.

ყოველ შემთხვევაში, მე ცდას არ დავაკლებ, დანარჩენი კი ღმერთმა იცის, რა როგორ გამოვა!..

* * *

ცნობისათვის: ვანათლების სამინისტროსთან კარგა ხანია აღარაფერი მაკავშირებს, ისე კი, როგორც ამ სისტემაში სწავლა-განათლება მიღებული, სკოლასაც დიდი სიყვარულით ვიგონებ და მაშინდელ ჩემს მასწავლებლებსაც, რომელთაც მაშინ, სამწუხაროდ, ამ ახალი მეთოდისა ბევრი არაფერი გაეგებოდათ.

აქედან გამომდინარე, მეც ძველ ყაიდაზე ვარ აღზრდილი და, კიდევ რომ არ გითხრათ, ისედაც ყველაფრიდან მეტყობა, ამ ახალ სისტემას რომ არა ვარ ნაზიარები!

ამიტომ, თუ უხერხული არ იქნება, მე ამ ახალი მეთოდით შედგენილ კრებულს ძველებურად, ე. ი. ადრე რომ ვიცოდით, ისე გავაქრიტიკებ და ჩამორჩენილ კაცად ნუ ჩამთვლით!

მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდე, მინდა, გულწრფელად გჯეროდეთ, რომ ეს არამც და არამც არ იქნება ახალი პედაგოგიური მეთოდის კრიტიკა! — თუ ასე იფიქრეთ და პროგრესის მოწინააღმდეგედ ჩამთვალეთ, ცოდვა ვიქნები!

ამიტომ დასაწყისშივე შევთანხმდეთ:

მე ვაქრიტიკებ არა ახალ მეთოდს, არამედ კონკრეტულ კრებულს — „საექსპერიმენტო I კლასებისათვის“ — რომლისთვისაც „ჩირადლანი“ უწოდებიათ და აგერ ხუთი წელიწადია თავის საქმეს აკეთებს.

უფრო სწორად, თავის საქმეს რომ ვერ აკეთებს, მეც ამან ამაღლებინა ხელში კალამი.

* * *

ჩემს თავს ერთი წუთითაც ვერ მივცემ უფლებას, დავივიწყო, კრებული საექსპერიმენტო რომაა! ეგ კი არა, პირიქითაც ვიქცევი — ვამეცადინებული ვარ, სხაბლის კვალი არსად გამომრჩეს!

იმასაც კი მივაქციე ყურადღება, რომ ახალი ექსპერიმენტის-

ვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია წიგნის მაღალ პოლიგრაფულ დონეზე გამოცემას — იგი გარეგნულად ისე გამოიყურება, კაცი ვერ იფიქრებს, მის შემდგენელს კარგად გამოცემული კრებულა საერთოდ თუ უნახავს!

ეს, ალბათ, ასეც უნდა! ახალი მეთოდით სწავლებისათვის მთავარი წიგნის შინაარსი იქნება და არა ის, თუ როგორ გამოიყურება იგი გარეგნულად!

ზოგი იმასაც კი იტყვის, წიგნის შინაარსი და მისი გამოცემის მაღალი დონე ერთმანეთს ხელს მაინცდამაინც არ უშლიანო!

მაგრამ ეს ასე მიგვაჩნდა ადრე, როცა ახალ ექსპერიმენტზე წარმოდგენაც არ გვქონდა! — ვიღებდით ხელში კარგი შინაარსის კარგად გაფორმებულ წიგნს და ვერც ვატყობდით, რამხელა ნაკლი ჰქონდა: რაკი შინაარსი და ფორმა ერთნაირად მაღალ დონეზე იდგა, ერთ ფეროვნების საშიშროება ხომ იქმნებოდა?!

კრებულის შედგენისას ეს მოსალოდნელი ნაკლი თავიდან აუცილებიათ და ამ კუთხით წიგნი, შეიძლება კმაყოფილებითაც აღინერშნოს, პირდაპირ ცუდად არის გამოცემული!..

* * *

რაკი კრებული საექსპერიმენტოა, მისი „სარჩევიც“ გულდასმით დავათვალიერე! — ვიფიქრე, ახალი საქმისთვის იქნებ არც ეს არის საჭირო-მეთქი.

თქვენ წარმოიდგინეთ, „სარჩევი“ თავის კუთვნილ ადგილზე დამხვდა, მაგრამ არა კუთვნილი ფუნქციით!

როგორც გვახსოვს, ადრე „სარჩევის“ დანიშნულება შედარებით მარტოვი იყო: იგი უბრალოდ უთითებდა, ამა თუ იმ ავტორის ესა თუ ის ნაწარმოები რომელ გვერდზე იყო დაბეჭდილი!

ახალ კრებულში „სარჩევის“ ფუნქცია რამდენადმე გართულებულადაც კი მომეჩვენა. ეტყობა, კომპიუტერების საუკუნემ სახე მასაც უცვალა!

საექსპერიმენტო კრებულში „სარჩევი“ მარტო იმას კი არ მიუთითებს, ნაწარმოები რომელ გვერდზეა დაბეჭდილი, (ამას ადრეც აკეთებდა!). არამედ იგი გამოყენებულია, არც მეტი, არც ნაკლები, დაშვებული შეცდომების გასასწორებლად!

მაგალითად, კრებულის 91-ე გვერდზე დაბეჭდილია რაფიელ ერისთავის ლექსი „ოქტომბრის მონაპოვარი“.

მე ჯერ ამისთანა უცნაურ ამბავს ისე არ მოვსწრებოვარ, როგორც რაფიელ ერისთავი ოქტომბრის რევოლუციას!

მართალია, ილია ჭავჭავაძის თქმით, რაფიელ ერისთავმა პირველად დასძრა ენა ბატონყმობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს კადეც არ ნიშნავს იმას, რომ ამ დამსახურებისთვის 1901 წელს გარდაცვლილ კაცს ოქტომბრის რევოლუციამდე, ე. ი. 1917 წლამდე ცოცხლად რომ მოელწია!

სავარაუდებელია, პოეტი, რომელიც „გლენკაცობის დაბეჩავებულსა და უნუგეშო ყოფას ააშკარავებდა“, მხარს, ალბათ, ოქტომბრის რევოლუციასაც დაუჭერდა, მაგრამ ამისთვის ერთი პირობა მაინც იქნებოდა აუცილებელი — იქამდე უნდა ეცოცხლა!

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი უფრო აღრე აღესრულა!

ოქტომბრის რევოლუციის პირმშოა ევგენი ბართაია, რომლის ვალია, ისე, როგორც ყველა საბჭოთა პოეტის, უმღეროს ამ რევოლუციას და უმღერის კიდევც.

„ოქტომბრის მონაპოვარი“, ანუ ის ლექსი, რომლის ავტორადაც რაფიელ ერისთავია გამოცხადებული, ეკუთვნის ევგენი ბართაიას — ქართველ საბჭოთა პოეტს — ამას გვაუწყებს კრებულის „სარჩევი“.

ასე რომ „სარჩევს“, ახალ, ექსპერიმენტულ დროში თავს უღვია მისთვის მანამდე უცხო ფუნქცია — შეეცდომების გასწორება!

და იგი ამ საქმეს შეძლებისდაგვარად ემსახურება!

ჩოლო რაც მის ღონეს აღემატება, ამას აკეთებს გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“!

თუ გახსოვთ, ამ გაზეთში კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა დაიწუნა საექსპერიმენტო კრებულში გამოქვეყნებული გიორგი პაპუაშვილის მოთხრობა „ჯარისკაცის ანდერძი“.

თუ შთლად ასე არ იყო, ყოველ შემთხვევაში, მწერლის სახელი და გვარი არასასიამოვნო კონტექსტში მოიხსენია!

გიორგი პაპუაშვილმა რედაქციას დაუყოვნებლივ აცნობა, რომ იგი არ არის ამ მოთხრობის ავტორი!

მართალია, ამ კრებულში დაბეჭდილია მისი მოთხრობა, მაგრამ არა ის, რომელსაც მისი სახელია და გვარი აწერია! — ჩემი მოთხ-

რობა გახლავთ „პეპერა“, მაგრამ მისთვის, არ ვიცი, რატომ, გიორგი ნატროშვილის გვარი მიუწერიათ!

მამასადამე, ასე: გიორგი პაპუაშვილის არ არის ის მოთხრობა, რომელსაც მისი სახელი აწერია!

არც გიორგი ნატროშვილის არის ის მოთხრობა, რომელსაც მისი სახელი და გვარი აწერია!

პაპუაშვილის მოთხრობა ყოფილა „პეპერა“! გიორგი ნატროშვილის გვარი რომ აწერია, მერე რა! ასე არ იყო? ლექსს რაფიელ ერისთავის გვარი ეწერა, ევგენი ბართაიასი კი აღმოჩნდა!

თავისთავად საინტერესოა, ამ კრებულში გიორგი ნატროშვილის მოთხრობა რომელია?

მე პირადად ეჭვი ერთ უპატრონო, უფრო სწორად, ერთ უავტორო მოთხრობაზე გამიჩნდა, რომელიც ამ კრებულშია დაბეჭდილი, მაგრამ „შეცდომების გასწორებაში, ე. ი. „სარჩევში“ რომ ჩაეფხედე, იგი ჭაბუა ამირეჯიბის აღმოჩნდა!

არ დავმალავ, ბატონ ჭაბუასთან ჩემი ამკამინდელი ურთიერთობა კი მაძლევდა იმის საშუალებას, მისთვის დამერეკა და მეკითხა — ეს მოთხრობა მართლა მისი დაწერილია თუ არა, მაგრამ აღარ ვკადრე — თქვე კაი ხალხო, ამაზეც ეჭვი გეპარებათო? — ასე რომ ეპასუხა, ამის მომერიდა...

ამიტომ სხვა გზა არაა, გიორგი ნატროშვილის საგაზეთო გაცხადებას უნდა დაველოდოთ, სადაც გაირკვევა, ის მოთხრობა, რომელსაც მისი სახელი და გვარი აწერია, მართლა მისია თუ გიორგი პაპუაშვილის, როგორც ამას „ლიტერატურული საქართველო“ იუწყება!

თუ მოთხრობა გიორგი პაპუაშვილისაა, მაშინ მისი რომელია, ისიც უნდა თქვას! თორემ ჩვენს იმედად თუ იქნა, ამის ვარკვევამდე ბარე ორი ტურა კიდევ იკივლებს!..

სხვათა შორის, ადრე, არც თუ შორეულ წარსულში, ე. ი. ახალ ექსპერიმენტამდე, ამ საქმეში ვარკვევა უფრო ადვილი გახლდათ: ახლა არ დაიჯერებთ, მაგრამ მაშინ მოთხრობა იმას ეკუთვნოდა, ვისი გვარიც ზედ ეწერა!

მე „პედაგოგ-ნოვატორის“ (როგორც მალე შეიტყობთ, ეს ტერმინი კობა იმედაშვილს ეკუთვნის, ჩემთან მხოლოდ დროებით სარგებლობაშია!) მიერ ახლად ფუნქციამინიჭებულ „სარჩევს“ უნდობლად მაინც ვერ მოვეკიდები. ვინ იცის, ახალი მეთო-

დით იქნებ ისიც პატარების ჰკუა-გონების სავარჯიშოდ არის მო-
გონილი და ჩემი შეუგნებლობით ჩრდილი რატომ უნდა მივაყენო?!
ამასთან, რაკი ავტორებისთვის ამის გარკვევას პრინციპული
მნიშვნელობა არ ჰქონია (ეს რომ ასეა, იქიდანაც დასტურდება,
რომ ხუთი წელია გასული, და აქამდე ხმა არ ამოუღიათ!), მეც ისე
წავიკითხავ მათ მოთხრობებს,— თითქოს ვისი სახელიც აწერია,
მართლა მისი იყოს!..

* * *

კრებულში, გარდა საექვო ავტორებიან ნაწარმოებებისა, ერ-
თი-ორი მაინც, მგონი, მართლა იმისია, ვისი გვარიც ზედ აწერია!

მე, მაგალითად, ასეთად მიმაჩნია ვანო მეხაშიშვილის ლექსი „კოს-
მოსის შევარდნები“. ამის დამამტკიცებელი ბევრი არაფერი მაქვს,
მაგრამ, ასე რომ არ იყოს, აქამდე „გაუხსნელი“ არ დარჩებოდა!—
ერთ ამბავს დააწევდა ის, ვისაც ამ ლექსის ავტორობას დასწამებ-
დნენ!

ვნახოთ ეს ლექსიც:

„ნეტავ ვინ შექმნა რაკეტა
გოლ.ათური ძალისა...“

ერთი შეხედვით, ხომ მარტივი კითხვაა, მაგრამ იმდენად გულ-
წრფელია ავტორის სურვილი, მართლა იცოდეს ეს, სიბრაღულითა
და საცოდაობით გული გიკვდება კაცს!

„ეს რას მოვესწარ, გავკვირდი,
ვის ახსოვს მსგავსი ამისა?!“

მართლაც რას მოვესწარით ამას! ასეთ ლექსებს ადრე სკოლაში
არ ასწავლიდნენ!

თუ ჩემს მახსოვრობას არ ენდობით, სხვამ მაინც თქვას — „ვის
ახსოვს მსგავსი ამისა?“

თუმცა, აჯობებს, ამ საექვო შინაარსის შეკითხვების დასმას
თავი დავანებოთ, ლექსის მთლიან და სრულყოფილ აღქმაში ხელი
რომ არ შეგვიშალოს:

„კაცმა დაიპყრო სამყარო,
გახდა სტუმარი მთვარისა,
ვინ იფიქრებდა, რომ ხალხში
ასეთი ძალა არის!“

არავინ, ბატონო, ადრე ამას არავინ იფიქრებდა! ისევე, როგორც არავინ იფიქრებდა, თითქოს ეს ლექსი „ისეთი ძალის არის“, პირველკლასელთათვის განკუთვნილ კრებულში მისი შეუტანლობა არ ივარგებსო!

„ჩვენი საბჭოთა ქვეყანა
გახდა მედროშე ამისა“.

პოეტ ვანო მებახიშვილს ისე მიჰყავს ლექსში საქმე, ლამის ჩვენი ქვეყნის საყოველთაო მიღწევებზე საყვედური მე მათქმევეინო! არადა, ჩვენი ქვეყანა მართლაც ბევრი კარგი საქმის მედროშე გახდა, მაგრამ, როგორც ყველამ ვიცით, საბჭოთა ადამიანს ჯერ მთვარეზე ფეხი არ დაუდგამს!

საბედნიეროდ, მთვარეზე ნამყოფი კაცი, ამერიკელი მიტჩელი ამ დღეებში საქართველოს სტუმარი იყო, ჩემი ნათქვამის საიმედოობის შემოწმება მასთანაც შეიძლებოდა!

პოეტმა რომ ეს არ იცის, უბრალოდ, დასანანია! ხოლო უფრო სამწუხარო ის არის, სკოლაში ბავშვებს ტყუილს რომ ვასწავლით!

მე უძლური ვარ, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ჩემი გაცემა გამოეხატო, ნება მომეცით, იგი ვანო მებახიშვილის სიტყვებით გამოვთქვა: „ეს რას მოვესწარ, გავკვირდი, ვის ახსოვს მსგავსი ამისა?!“

• • •

ასევე, მიმაჩნია, ლექსი „მძლავრია ჩვენი არმია“, მართლაც პეტრე ლეთოდინისა!

„მძლავრია ჩვენი არმია,
ჩვენი საბჭოთა არმია;
რამდენი მტერი, მტარვალი,
დაფშენა და მიმოარბია!“

მასზე დაკისრებული მოვალეობა საბჭოთა არმიას მთლად აკუ-
რატულად არა, მაგრამ დადებითად კი აღუსრულებია! — „რამ-
დენი მტერი, მტარვალი, დაფშენა და მიმოარბია!“

მერე პოეტს უფიქრია, ჩვენს არმიას ნამეტანი არ მოუვიდესო
და იგი სამშვიდობო მიზნებითაც აღუჭურვავს:

„ქვეყნად მშვიდობას დარაჯობს.
მსხვერპლსა და რბევას კი არა“.

კი მაგრამ, წუთის წინ არ ვწერდით, ჩვენმა არმიამ მტარვალი
რომ „დაფშენა და მიმოარბია“?!

ასე რატომ უნდა „დაფშენას და მიმოარბიოს“ პოეტმა საკუ-
თარი ხელით დაწერილი სტრიქონები?

ამ ლექსის დამანგრეველ ძალას ახლოს ვერც მე დავეუდგები!
ამიტომ შორიდან ვიკითხავ, უფრო სწორად, საექსპერიმენტო
კრებულის შემდგენელს ვიკითხავ: ეს ლექსი მართლა ისეთი კარგია,
პირველკლასელ ბავშვებს პოეზიის სიყვარულს რომ აღუძრავს?!

თუ ეს ლექსი მართლა ასე კარგია, და მე ვერ ვხვდები, დასაფ-
შენელი და დასარბევი მე თვითონ ვყოფილვარ და ნულარ შემო-
ცოდებთ...

* * *

ოღონდ ჩემს მაგივრად ბავშვები შეიცოდეთ, ასეთ სატანჯველს
პირველ კლასშივე ნულარ მიაწვდით:

„ბუნებრიულო მზევ, წვიმავ,
ავადყოფთ გამკურნელო,
ედემის ბალო, მცინარევ,
პირველო სამრეწველო...
ყველა მოგიძღვის საღამსა,
პატარა საქართველო!“

მშობლიურ საქართველოს კი არა, საღამს გარეშე კაცსაც რომ
არ ვუკარგავ, ეს ამ წერილშიც ბევრჯერ დავამტკიცე! ხომ განსოვთ,
სათაურიდან მოყოლებული რა გულმოდგინედ ვესალმებოდი კრე-
ბულის შემდგენელს! — მგონი, საქმეც კი გაუჭირვე!

ამიტომ მეც იმ „ყველაში“ მიგულვეთ, ვინც პატარა საქართვე-
ლოს საღამს უძღვნის!

თუმცა ეს საქმე შორს რომ არ გადავდო, ამ საპატრო მოვალეობას აქვე, თქვენს თვალწინ აღვასრულებ:

— გამარჯობა საქართველო! შე პირველო სამრეწველო!

მე მეორე ინდუსტრიული ქალაქის, ქუთაისის სახელით მოგესალმები!.. აგრალურმა თერჯოლამაც მოგიკითხა!

მე. ცხადია. ახლა ვხუმრობ, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმემ სერიოზულად იკითხოს: ქართულ ხალხურ პოეზიას, რომელიც ერთ-ერთი უმშვენიერესია დედამიწის ზურგზე, რა უფლებით ვექცევით ასე?

რა პასუხი უნდა გავცეთ ამ კითხვას?!

ანდა ჩვენი პატარა გოგო-ბიჭები, დაწყებითი კლასებიდანვე რომ ჩავძახით ყურში „პირველო სამრეწველო“, ნუთუ, გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არაფის ჩვენგანს არ ენანება?“

* * *

სხვა დროს მე შემთხვევა არ მქონია. მკითხველთან ქართულ საბავშვო მწერლობაზე მესაუბრა. ეს ურთულესი საქმეა. მეტადრე მისთვის, ვისაც ამ სფეროში ჯერ არაფერი გაუკეთებია.

მათ რიცხვში ვარ მეც. ამიტომ ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოვიბა, რომ არაფერი წამცდეს და მოზრდილმა კაცმა ბავშვებთან სიჩაცხვილი არ ვჭამო!

კრებულში „საექსპერიმენტო I კლასებისათვის“ აქაკი ართილაყვა წარმოდგენილია მოთხრობით „ესეც მეგობრობაა?!“

რაკი ამ ნაწარმოების დაწუნებას ვაპირებ, ალბათ, ჩემი მხრიდანაც არ გამოდის კარგი მეგობრობა, მაგრამ, თუ სიმართლეს ეიტყვი და არაფერს არ შევცოდავ, ღმერთი შემინდობს!

მოთხრობის შინაარსი კი დაახლოებით ასეთია:

დათვი და მგელი დამეგობრდნენ. ერთ დღეს რომ ვერაფერი მოინადირეს, სხვადასხვა გზით წასვლა გადაწყვიტეს, იმ პირობით, მერე ერთმანეთს დათქმულ ადგილზე შეხვედროდნენ და ნადავლი გაენაწილებინათ.

დათვმა პირობა შეასრულა — გზაში ნაპოვნი მკვდარი კურდღლის ნახევარი შეჭამა, მონარჩენი მგელს წამოუღო.

მგელი ბატჯანს გადააწყდა და (როგორც უკვე მიხვდებოდით!) მთლიანად შეჭამა!

ეს ამბავი დათვს ყვავმა შეატყობინა.

გაბრაზებულმა დათვმა დარჩენილი კურდღელიც შექაშა.

მოთხრობის ფინალურ ნაწილს აქვე გთავაზობთ:

„— ვერაფერი ინადირე? — ჰკითხა განგებ დათვმა მეგელს.

— ვერაფერი, შიმშილით დაოსებულმა აქამდე ძლივს მოვალ-
წიე. — უპასუხა მეგელმა.

— მე მკადარა კურდღელი ვიპოვე, ნახევარი შევექამე, ნახევარი
კი შენთვის შემოვინახე.

— მერე სად არის? — ისე იკითხა მეგელმა, თითქოს მთელი
კვირა არაფერი უქამიაო.

— კარგა ხანს ვინახე, მაგრამ ბოლოს გავიგე, ბატენის ხორცი
გამომძლარხარ და ისევ მე შევექამე, — უთხრა დათვმა.

— ესაა მეგობრობა? — წყენით ჩაილაპარაკა მეგელმა“.

კრებულის შემდგენლებს აინტერესებთ — „წაიკითხეთ, როგორ
მთავრდება მოთხრობა. როგორ ფიქრობთ, რას უპასუხებდა დათ-
ვი?“

გულწრფელად გითხრათ. დათვთან ჯერ არც დაწყნარებულად
და არც ჩემ გემოზე არ მილაპარაკია! გამოცდილება რომ არ მქონ-
და. რაც შეეძელი, ის გავაკეთე. — მოთხრობის ფინალი გადმოვ-
წერე!

ახლა იმაზე. რას უპასუხებდა დათვი, თქვენ იფიქრეთ!

ნაწარმოების სათაურის გავლენით, ვიცი, მეტყვიით, — ესეც
მეგობრობაა?! — თავად იოლი საქმე აირჩია და ჩვენ დათვის და
ბედის ანაბარა მიგვატოვაო!

რასაკვირველია, მესმის, ძნელ საქმეს შეგატოვეთ, მაგრამ მაინც
იმედიანად ვარ: მართალია, დათვი ჰკვიანია, მაგრამ ჯერ არც ისეა
ადამიანის საქმე წასული, ჰკუთნობს დათვმა აჯობოს!

ჩემზე კი გული ნუ დაგწყდებათ: პირველ კლასში ერთი-ორ-
ჯერ კიდევ რომ დამტოვონ. მგლის „აფიორაზე“ დათვი რას უპა-
სუხებდა. ამას ჩემს დღეში ვერ მოვიფიქრებ!

რა თქმა უნდა, დათვის ენაზე ვერ მოვიფიქრებ, თორემ ადამი-
ანის პირობაზე რაღაც იქნებ მოვასწავლორთო...

* * *

ზემოთ მოგახსენეთ, დათვთან დაწყნარებულად და ჩემ გემოზე
ლაპარაკის გამოცდილება არა მაქვს-მეთქი. სამაგიეროდ, მე მაქვს
გამოცდილება, რა მტკივნეულად განაცდის მცირეოდენ კრიტიკა-
საც კი მწერალი ვლადიმერ თორდუა!

ალარ მეგონა, მასზე საუბარს თუ ოდესმე კიდევ გავბედავდი! მაგრამ ნათქვამი რომ არის — „კაცი ვერსაით წაუვა თავის ბედსა და წერასა!“, ეტყობა, ჩემზედაც ვრცელდება. რაკი იღბალმა არ გაჭრა, სხვა გზა არაა, ბედს უნდა შევუბრუნო და ჩემი გაჩენის დღე დავწყევლო — ბატონ ვლადიმერ თორდუს ხელახლა რომ შემახვედრა!..

კრებულში პატივცემული მწერლის ოთხი მოთხრობაა შეტანილი. ჩემი ფაქრით, ქართულ მწერლობას ასლა იმის გაკვირება არა აქვს, ერთ მომცრო წიგნში ერთი მწერლის ამდენი ნაწარმოები რომ შეიტანოს და ეს რაიმე აუცილებლობით იყოს გამოწვეული!

მაგრამ, ეტყობა, მოთხრობები განსაკუთრებით ფასეულია I კლასელთათვის და ამ რაოდენობაზეც უარის თქმა ამიტომ არ ეგებოდა!

ყოველ შემთხვევაში, ერთი მათგანი ამ კუთხითაც ვნახოთ.

ომი ახალი დამთავრებულთა, ჯარისკაცი შტაბში სამორივეოდ გამოიძახეს.

გვარდიის კაპიტანი ეკითხება მეომარს — დიდი ხანია ომში ხართ?

ჯარისკაცი პასუხობს — სამი წელი!

„— ო. რ-ეგგენო, — ჯადოილაა მან და წამოდგა, თითქოს ყელში უნდა მწვდომოდა.

მე რევოლვერისკენ წავიღე ხელი.“

მინდა, პატარა მკითხველები გავაფრთხილო: არ შეშინდეთ, აქ დაკადაკა არ ატყდება! უბრალოდ, მწერალს სჭირდება ექსტრემალური სიტუაცია შექმნას, მკითხველი დაძაბული რომ ჰყავდეს.

მალე ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

„კაპიტანმა ნაგლეჯ ქაღალდს დაავლო ხელი, ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და რაღაც ციფრების წერა და გამრავლება დაიწყო.

მე გაოცებული ვუყურებდი.

კაპიტანმა დაამთავრა წერა და დიდი წვალეებით მოახერხა ეთქვა: — არა სამი წელი, მეგობარო, არამედ მილიონ ხუთას სამოცდა-თექვსმეტი ათას რვაასი წუთი!..

მერე ხმას აუწია და დამარცვლითა თქვა:

— წუთები და არა წელიწადები“.

აი, რაში ყოფილა საქმე! — კაპიტანს სამს წელიწადში რამდენა წუთია, ის უანგარიშია!

მართალია, ამისთვის არც ის დრო იკმარებდა, კაპიტანმა ამ საქმეზე რომ დახარჯა და არც ის „ნაგლეჯი ქაღალდი“ დაიტევდა საამისოდ საჭირო მათემატიკურ ოპერაციებს, მაგრამ ეს არაა ახლა მთავარი!

პირველკლასელებს კი არა, მათ მშობლებსა და ახლობლებს მიემართავ: რა დრო დაგვირდებათ თქვენ თვითონ ამ-ს გამოსათვლელად?

მე პირადად რამდენი წუთია დღე-ღამეში, მარტო ეს რომ ვაჩვენო, ამისთვის ოჯახის ყველა წევრის ერთობლივი შრომა დამჭირდებოდა!

ხოლო იმის გასაგებად, რამდენი წუთია ერთ წელიწადში, მარტო ჩემი ოჯახის კი არა, ახლო ნათესავების ხელშეწყობაც არ მეყოფოდა!

რაც შეეხება იმას, რამდენი წუთია სამ წელიწადში, მარტო ნათესავები კი არა, სამცოლგანაშეებიც რომ ვიყო და ძველი და ახალი მოყვრებიც დამესიონ, ამის გამოანგარიშებას ნამდვილად ვერ შევძლებდი, მით უფრო, რაკი წინასწარ არ მეცოდინებოდა, ამ სამ წელიწადში რომელიმე ნაკიანი იყო თუ არა!

მიაქციეთ ყურადღება, რამხელა ციფრი ყოფილა! — მილიონ ხუთას სამოცდათექვსმეტი ათას რვაასი წუთი!

მე რომ ვერ გამოვიანგარიშებდი, ამის შურიტ არ ვამბობ, მაგრამ ეს ამხელა რიცხვი რაში სჭირდებათ პირველკლასელებს?!

რა უნდა გაუგონ მას?

ახლა არ ვიცი, ჩემს დროს კი ამ ასაკში ათის ფარგლებში ჩხირების დახმარებითაც ძლივს ვანგარიშობდეთ!

ამ ახალმა მეთოდმა რა ბავშვები გაზარდა ამისთანა, ერთბაშად მილიონის ფარგლებში რომ გადასულან?!

* * *

არ ვიცი, თქვენ თუ ატყობთ, მე კი, ჩემი ჭკუით, საექსპერიმენტო კრებულს ნელ-ნელა ვაკრიტიკებ!

მართალია, ძველი მეთოდით ვაკრიტიკებ, მაგრამ იმას კი ვცდილობ: ჩემ-დამოკიდებულება ამ კრებულის მიმართ (თვალში რომ არ მომდის!) მკითხველისთვისაც გასაგები გახვადო.

ახალი მეთოდის საფუძველზე შედგენილ კრებულს, მე რომ ტრადიციული ფორმით ვიწუწუნებ, ეს ჩემი კრიტიკული მეთოდის

ერთგვარი ნაკლიც კია, მაგრამ, როგორც შეატყობდით, მთლად უხარვეზო არც ეს კრებული ჩანს!

ამიტომ ჩავთვალთ, საექსპერიმენტო წიგნ-ს შემდგენლებთან ბარიბარში ვართ და ჩვენი საქმე განვაგრძოთ.

თავიდანვე აღებული კრიტიკის დაბალი ტემპის მიუხედავად, მე მა-ნც მოვასწარი, მკითხველისთვის მეთქვა, რომ ახალ კრებულში უგულვებელყოფილია პოლიგრაფიული და მხატვრული გაფორმების დონე, აგრეთვე, „სარჩევის“ ადრინდელი ფუნქციაც.

როგორც ვნახეთ, ვერც პეტრე ლეთოდიასისა და ვანო მესაშიშვილის პოეზია ბრწყინავს მაინც და მაინც! პირველკლასელთა შესაფერად არც ბატონ ვლადიმერ თორდუას მოთხრობაა შერჩეული!

რასაკვირველია, ამ კრებულ-ს ნაკლი ამით არ ამოიწურება, მასში სხვაც ბევრი რამ არის უგულვებელყოფილი, მაგრამ მართო მე ნუ მენდობით და, მეტი სიმართლისთვის, სხვების აზრიც მოვისმინოთ.

მაგალითად, ცნობილ კრიტიკის კობა იმედაშვილს, რომელ-ც ამ წერილში აქამდეც დავიპოწმეთ, მიაჩნია:

„საოცარია, რომ პედაგოგი-ნოვატორას მიერ შედგენილ ამ კრებულში მხატვრული გემოვნების განვითარების ამოცანა უგულვებელყოფილია“.

ბატონ კობა იმედაშვილის ყოველ გამონათქვამს მე ანგარიშს ვუწევ. მეტადრე მაშინ, თუ თანმხვედრი აზრებიც გავაჩნია!

ამ კრებულთან დაკავშირებით კი ჩვენი ფიქრები ჰარმონიულადაა გაწონასწორებული!

„არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ სიტყვას, როგორც განუმეორებელი ენის საიდუმლოების გამომხატველს, ლექსისა თუ მოთხრობის მშვენიერების მიზეზთა-მიზეზის ძიებას... თუმცა რა მშვენიერება უნდა მონახო ასეთ ლექსებში, რომლებითაც დასაწყის კლასებშივე ვუფუჭებთ ყმაწვილებს გემოვნებას...“

ეს ბატონ კობა იმედაშვილის აზრია და გულისხმობს, როგორც თვითონ ბრძანებს, „პედაგოგი-ნოვატორის მიერ შედგენილ ამ კრებულს“, რომელზედაც ახლა მე გესაუბრებით.

წინასწარ პატიებას ვთხოვ ბატონ კრიტიკოსს, ერთ მეტად საჩოთირო თემაზე ჩემი აზრის გამოთქმისგან თავი უნდა შევიკავო და მისი კრიტიკით ვისარგებლო.

„რა გემოვნება შეიძლება ჩამოუყალიბდეთ ყმაწვილებს ამ ლექსებით. თავად განსაჯეთ. ან იქვე დასტამბულ გიო კანანელის, ვანო მეხაშიშვილის და ოთარ კუპრაავას ლექსებით, გიორგი პაპუაშვილის, ვლადიმერ თორდუასა და ა. ართილაყვას მოთხრობებით...“

მე აქ ჩამოთვლილ მწერლებს ძვირის თქმას როგორ ვაკადრებ, მაგრამ გული კი მწყდება, პირველკლასელთათვის შედგენილ კრებულში ქართული საბავშვო მწერლობა მეტი სიფაქიზით რომ არაა შერჩეული!

იქნებ ბატონ შალვა ამონაშვილის სწავლების ახალ მეთოდს ზემოთ დასახელებული მწერლები უფრო შეეფერებოდნენ და ამისთვის მადლობა მათ! მაგრამ ჩვენმა პატარებმა ხანდახან კარგი ლექსი და მოთხრობა რომ წაიკითხონ, იქნებ ამოათაც არაფერი დაშავდეს!

ამაზედაც ხომ უნდა ვიფიქროთ?

ჩვენ, მაგალითად, აღრე დაბადებულ გოგო-ბიჭებს. კარგი საბავშვო ნაწარმოებები მაინც და მაინც არ გვწყენდა! — ყოველ შემთხვევაში, ახლა არ მახსენდება, კარგ ლექსს ან ტანზე დაეყაროს ან რქები ამოეყვანოს!

ახალი მეთოდის ავტორებს ახლა რომ ვუთხრა. ალბათ, არ დამიჯერებენ: დიდი იაკობ გოგებაშვილი კარგ საბავშვო ნაწარმოებს, თურმე, საგანგებოდაც კი ეძებდა!

აი, მოვუსმინოთ:

„ეს ლექსები და მოთხრობები თითქმის ყველანი ეკუთვნიან სახელოვან ქართველ მწერლებსა, დაწერილნი არიან ნამდვილი და წმინდა ქართული ენით, სავსენი არიან მაღალი მისწრაფებით, მხატვრული სურათებით და მოზარდს თაობაში უნდა აღიზარდონ, ენის ცოდნის გარდა, ღირსეულის ადამიანის და მსურვალე მამულიშვილის თვისებანი...“

თუ კარგ ნაწარმოებს მართლა შეუძლია ადამიანში ამ თვისების აღზრდა, მაშინ ნუ დავამადლით პატარებს და მათთვის განკუთვნილ კრებულში კარგი ლექსი და კარგი მოთხრობა აქა-იქ მაინც ჩავუერთოთ!

* * *

ცხადია, წიგნის შემდგენლები მარტო ლექსით და მოთხრობით ვერ შემოიფარგლებოდნენ, პირველკლასელთათვის განკუთვნილ კრებულში ესთეტიკურთან ერთად შემეცნებითი ღირებულების მასალებიც უნდა დაეხებჯდათ.

მით უფრო; როცა ამ-ს გამოცდილება დაწყებით ქართულ სკო-
ლას ნამდვილად აქვს.

თავის დროზე იაკობ გოკებაშვილი წერდა:

„საბუნებისმეტყველო წერილები შედგენილია ჩვენს მიერ საუ-
კეთესო წყაროების მიხედვით...“

საექსპერიმენტო კრებულშიც გვხვდება შემეცნებითი ხასიათის
მასალა, მაგრამ არა მგონია, იგი „საუკეთესო წყაროების მიხედ-
ვით“ იყოს შედგენილი.

რაკი ყურით გავიხილს თვალთ ნანახი სჯობია, ჩვენც ასე მო-
ვიქცეთ და მაგალითი აქვე ვნახოთ.

ს. რემონიძის შემეცნებითი ხასიათის მასალა, რომლის სათა-
ურია „ფრინველების სახელები“, მცირე მოცულობისაა. მომცრო
ზომის მიუხედავად, მასში, სამწუხაროდ, ბევრი უზუსტობა თუ აშ-
კარა შეცდომა გაპარულა!

მივუთითოთ რამდენიმე.

ავტორი აღწერს თავის სოფელს და სიამაყით აღნიშნავს: „მარ-
ჯნივ მაღალი, მუდამ თოვლით დაფარული და ნაძვ-ფიჭვნარით შე-
მოსილი მთება“.

უზუსტობა აქედან იწყება — მუდამ თოვლით დაფარულ მთებ-
ზე, რასაკვირველია. ნაძვ-ფიჭვნარით შემოსილი ტყე ვერ ისარებს იმ
უბრალო მიზეზის გამო, რომ ღედამიწის ამ სარტყელზე მცენარე-
ები არ გვხვდებიან!

უზუსტობის მიუხედავად, ეს ლამაზი სოფელი, აშკარაა, შედა-
რებით მაღალმთიან რაიონში მდებარეობს.

ყოველ შემთხვევაში, „მუდამ თოვლით დაფარული“ მთები სა-
ქართველოს დაბლობში არ მგულებს!

ამ მთებზე „ნაძვ-ფიჭვნარით შემოსილი ტყეც“ გვაწონებს
თავს.

„— ყმაწვილებო, სულ რომ ტყეში ხართ, ვერ მეტყვით, რა და
რა ფრინველია ჩვენს ტყეში?.. აიღეთ ქაღალდი, ჩამოწერეთ და
ისე მიპასუხეთ. — გვითხრა მამამ, — რასაც თქვენ ვერ მოიგონებთ,
მე გაგახსენებთ“.

საუბრის კილოზე და წინადადებათა ლექსიკურ ერთეულზე
დაკვირვება გვიჩვენებს, ოჯახის მამა მშვენიერი ინტელიგენტი კა-
ცი ბრძანებულა!

ბავშვებმა დედაც დაიხმარეს და ასეთი სია ჩამოწერეს:

„შაშვი, სკენინა, თავშავა, ბელურა, ჰინკრაქა, ღაყო, ჩხიკვი, ბულ-ბული, შოშია, მიმინო, მაქცერა, ბუ, ტოროლბ, ნიბლია, ოფოფი, გერი-ტი, მწყერჩიტა, გუგული, მოლადური, ბოლოქანქარა, შევარდენი, დალლა, ტყის ქათამი. ყორანი, ყვავი, ორბი, არწივი, ქორი, მწყერი, იხვი, ძერა, ყანჩა, კაქკაქი, ღამურა, კოდალა, ჰილყავი, მტრელი“.

ეს სია მთლად ბავშვის ჰყუთ ჩამოწერილს არ გავს. ღედის ხე-ლიც ურევია! მაგრამ ეგ არაფერი! სასიამოვნოც კია იმის შეტყობა, ინტელიგენტ კაცს მეუღლეს შესაფერისი რომ ჰყოლია!

მართალია, ამ სიაში მოხვედრილი ზოგი ფრინველი საეჭვოა. იმ „მუღმივ თოვლით დაფარულ მთების“ ახლოს რომ ბინადრობდეს, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ ფრინველთა უმრავლესობა უფრო ნოტიო წყლისპირა ჰალეებსა და გაშლილ ველებზე ცხოვრებას ამ-ჯობინებს, მაგრამ რაკი „სია“ სანდომიანი ჰალბატონის შედგენი-ლია, მაინც ნუ დავიწუნებთ, მით უფრო, როცა ამ სიის შევსებას და ჩასწორებას ოჯახის მამაც დაგვპირდა.

„—სულ ეს არის? — იკითხა ღიმილით მამაჩემმა.

—მეტის სახელი ვერ მოვიგონეთ.

—კარგი, ზოგ სახელს მე გავიხსენებ...“

შვილებთან საუბრის ტაქტი ერთობ მომნიბლავია, სწორედ ისეთი, ოჯახის ინტელიგენტურ თავკაცს რომ შეჰფერის!

ახლა საშუალება გვაქვს, თვით მამის მოწოდებულ სიასაც გა-დავხედოთ.

„თეთრგულა, კიკვია, სეავი, გნოლი, ყარყატი, თუთიყუში, ღუ-რაჯი, გედი, შროშანი, ფარშავანგი, ჰოტი, ხოხოზი, ზარანაშო, ბო-ლოწითელა, ყურცქეიტა, იადონი, მხარწითელა, კაკაბი, სირაქ-ლემა“.

ეტყობა, ოჯახის უფროსის საუბრის კილომ და ტაქტმა აშკარა შეცდომაში შეგვიყვანა და მის პიროვნებაზე მცდარი წარმოდგენა შეგვიქმნა! — არც მთლად ისეთი ინტელექტუალური პიროვნება აღმოჩნდა, როგორაც თავს გვაჩვენებდა!..

საწყალი თ უ თ ი ყ უ შ ი, თუ ღროზე არ მივუსწართ, იმ „მუ-ღამ თოვლით დაფარულ“ მთების სიახლოვეს გაიყინება!.. ამ ჯიშის ფრინველები ხომ მეტწილად ტროპიკულ სარტყელში ცხოვრობენ!

შესაძლოა, იმ სოფლის ტყეში ერთი თუთიყუში მართლაც ნა-ხა ვინმემ, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გალიიდან იქნე-ბოდა გაქცეული!

სხვათა შორის, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც წერია: „ხმის მიბადვის უნარის გამო თუთიყუშები ხშირად ჰყავთ გალიებში“.

კაკაბიცი ვერ შეეწყობოდა საცხოვრებლად ს. რემონიძის მიერ აღწერილ სოფელს, რადგან „ნაძვ-ფიქვენარით შემოსილ“ ტყეს იგი დიდად ამჯობინებს „ქვა-ლორლიან, მეჩხერი ბუჩქებით დაფარულ“ ადგილებს!

შეიძლება ეს უკუყობით მოსდეს, მაგრამ, ხომ გაგვიგონიათ. კაცია და გუნება! თორემ ნაძვ-ფიქვენარი ტყე საცხოვრებლად როგორ არ ჯობია ქვა-ლორლიან და მეჩხერბუჩქნარიან ადგილებს! — კაკაბს კი, ეტყობა, მაინც ეს უკანასკნელი ურჩევნია!

ბოლოქანქარაც ძალადაა აყვანალი ს. რემონიძის სოფლის ტყეში! ამ ჩიტსაც ერთი აჩემებული თვისება აქვს — წყლის ახლოს ამჯობინებს ბინადრობას!

წიწვოვან ტყეში (ე. ი. ს. რემონიძის ტყეში!) რომ უყვარს ცხოვრება. ის ბოლოქანქარა კი არა, ბოლოშავაა!

რაც შეეწება საქართველოს მთიანეთში სირაქლემას და ბინადრების საკითხს, ეს ასე იოლად გადასაწყვეტია არაა!

მაგალითად. იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა:

„სირაქლემა არა სცხოვრობს იმისთანა ქვეყანაში, სადაც ისეთი ცივი ზამთარი იცის. როგორც ჩვენს საქართველოში. ეს ფრინველი ცხელ ქვეყნების მცხოვრებია“.

მართალია, იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია ასე. მაგრამ იქნებ სირაქლემამ შეიცვალა ამ ბოლო დროს ცხოვრების ნირი და საზაფხულო საცხოვრებლად საქართველო აირჩია?

რატომ მინცდამაინც იაკობ გოგებაშვილს უნდა ვენდოთ? — იგი არ იყო, რომ ამტკიცებდა, დაწყებით კლასებში ბავშვებს, ჯობია. კარგი ლექსი ვასწავლოთ? — აგერ ახლა კი ახალი, საექსპერიმენტო კრებულის შემდგენლები ხომ აშკარა საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგანან?

ამიტომ აღარავის ვენდობი და მე თვითონ ჩავიხედავ ენციკლოპედიაში!

რაც ენციკლოპედიაში ამასთან დაკავშირებით წავიკითხე, მე რომ ის ამოვწერო, უხერხულ დღეში ჩავგადებ არა მარტო ს. რემონიძეს, არამედ ამ კრებულის შემდგენლებსაც, ამიტომ, მადლი ჰქენთ და, ამას ნულარ გამაკეთებინებთ! — ისედაც ყველაფრიდან

ჩანს, რომ საექსპერიმენტო კრებულში შემეცნებითი ჩასწავლის მასალები „საუცეთესო წყაროების მიხედვით“ არ შეუღვენიათ.

მე ახლაც ყურში მესმის იაკობ გოგებაშვილის გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები:

„საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანია, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა. მაგრამ ჩვენ ამ მდიდარის ბუნებისა არაფერი გავგეგება, უკულმართი აღზრდის წყალობით“.

ეტყობა, ჩვენში ამ საქმის გამოსწორებას მაინცდამაინც არ ჩქარობენ!

* * *

„პედაგოგიკის მეცნიერებამ, რომელიც ადამიანის კულტურის უმდაბლეს საფეხურზე აღმოჩნდა. არა მხოლოდ არივდარია მიზნები აღზრდისა, არამედ ყოველნაირად ელობება წინ მათ, ვინც შეეცადა პედაგოგიკის ტაძარში შესულიყო და აღზრდის საქმე წარმართა ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელი ამოცანებისა და სამომავლო პერსპექტივების პოზიციებიდან“.

ეს იურა აზიროვის აზრი გასლავთ, ყურწალ „ნოვი მირ“-იდან ჩვენს „ლიტერატურულ საქართველოში“ საგანგებოდ გადმობეჭდილი.

მე. გულწრფელად ვამბობ. შალვა ამონაშვილიც იმათ რიცხვში მგეგულება, „ვინც შეეცადა პედაგოგიკის ტაძარში შესულიყო“ და სწავლების საქმე სასიკეთოდ შემოეტრიალებინა!

ამ საქმისთვის იქნებ მისი მეთოდი მართლაც ბრწყინვალეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე ვერ ვიტყვით მის მიერ შედგენილ საექსპერიმენტო კრებულზე.

ეტყობა, სწავლების მეთოდი სხვაა, ლიტერატურული გემოვნება კიდევ — სხვა!

ამიტომ უფრო სწორი იქნება:

კრებული იმან უნდა შეადგინოს, ვისაც ეს საქმე ხელეწიფება!

კრებულში შეტანილი მასალა იმან უნდა ასწავლოს, ვისაც კიდევ ეს საქმე ხელეწიფება!

რაც შეეხება კრებულს „საექსპერიმენტო I კლასებისათვის“, რამდენადაც ადრე ვიტყვით მასზე უარს, იმდენად აჯობებს! —

რადგან, რაც უფრო ნაკლებად აითვისებს ბავშვი ამ მეტრსმეტად მოარე ლიტერატურას, მით უკეთესი იქნება მისთვის!

მე მესწის, ძნელია, ერწმუნო ჩემნაირ კაცს, ვისაც არც სამეცნიერო ტატული და არც არავითარი პედაგოგიური გამოცდილება ზურგს არ უმაგრებს, მაგრამ ხომ არიან ისეთებიც, ვინც ამ საქმეს ცხოვრება შეაღია!

ახლა მათი აზრიც ვნახოთ:

„დამეთანხმებით, შეუძლებელია შემოქმედებითად შეასწავლო ბავშვს უგუნურება და უაზრობა. უფრო მეტი უბედურება სწორედ ის იქნება, თუკი შეეძლებთ „შემოქმედებითად“ გამოვუტენიოთ ბავშვებს გონება სისულელეებით“ (ი. აზიროვი).

* * *

გამთავრებ ჩემს საუბარს და არ მინდა, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს მე ახალ და ძველ მეთოდებს ერთმანეთთან ვაჯობებდე! — ეს, კაცმა რომ თქვას, ან რა ჩემი ჭკუის საქმეა, ან რომელი მაკარეცო მე ვარ!

მე გარკვეული ამოცანა მქონდა და იგი დასაწყისშივე მოგახსენეთ — ვაკრიტიკებ-მეთქი არა ახალ მეთოდს, არამედ კონკრეტულ კრებულს!

და თუ ამ გზაზე უნებლიეთ ვერ მოვზომე და ვინმეს დაუმსახურებლად გული ვატკანე, პატიებას ვთხოვ! — მინდა, გჯეროდეთ, ამ წერილს ერთადერთი მიზანი აქვს — ყოვლად უფარგობი საეესპერიმენტო კრებული ბავშვებს აარიდოს...

საექსპერიმენტო კრებულში ჩემი ყურადღება ბავშვებს სადმი დასმულმა შეკითხვებმაც მიიპყრო.

სიახლის კვალი აქაც შეიმჩნევა.

თუნდაც ასეთნაირად დასმული შეკითხვა ვნახოთ:

„რა უფრო უყვარდა შიო მღვიმელს? როგორი ადამიანი ყოფილა იგი?“

როგორც მე ვხვდები, ეს შეკითხვა იმაზეა გათვალისწინებული, რომ პატარა ცუგრუმელები მხოლოდ დადებითად უპასუხებენ!

ჩვენ ისეთი ჭკვიანი ვოგო-ბიჭები გვეზრდებიან. დარწმუნებული ვარ, ძირითადად ეს ასედაც იქნება, მაგრამ რაკი ყველა ბავშვი, დიდების არ იყოს, ერთნაირად ვერ აზროვნებს, რატომ უნდა ჩავაყენოთ ჩვენი საყვარელი მწერალი უხერხულ დღეში და პატარა,

გულუბრყვილო ბავშვებს რატომ უნდა ვაძახებინოთ, შიო მღვიმელი ცუდი კაცია?

არადა, ასეთი შემთხვევაც ხომ არაა გამოორცხული? — ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ პირველკლასელი ბავშვი კითხვას მუდამ უშეცდომოდ უპასუხებს?

ამიტომ, რატომ უნდა გავწიოთ რისკი და საყვარელი მწერალი, რომელმაც მთელი ცხოვრება ბავშვების სიყვარულს შეაღია. პატარების პირიდან აუგად რისთვის უნდა იყოს მოჩვენებული?!

როგორც ვთქვით. კრებულში უმეტესად სუსტი ნაწარმოებებია დაბეჭდილი, მსოლოდ აქა-იქ გვხვდება ჩვენი კლასიკოსები და რატომ მაინცდამაინც მათა ნაწარმოებების მიმართ ისმება ასეთი კითხვა — „რომელი ადგილი მოგწონთ ყველაზე მეტად? რატომ?“

რაღა მაინცდამაინც ილია ჭავჭავაძის მოთხრობასთან დაკავშირებით უნდა წამოიჭრას ასეთი კითხვა, ხოლო ართილაყვას იგავ-არაკვი ვითომ ყველაფერი რიგზეა და მარტო ესაა გასარკვევი — „რატომ აქვს სათაურს ბოლოში კითხვისა და ძახილის ნიშნები? რა აზრია გამოსატული სათაურში?“

ანდა ვანო მებაშიშვილის ლექსის წაკითხვის შემდეგ ბავშვებს მართლა ისე ამაღლებული განწყობილება ეუფლებათ, „კოსმოსზე“ იმსჯელონ, ხოლო აკაკი წერეთლის ლექსის წაკითხვის შემდეგ თავი იმტვრიონ ამაზე: „რომელი ადგილი მოსწონთ ლექსში ყველაზე მეტად?“

ნუთუ აკაკი წერეთელი სამსტროფიან ლექსს ვანო მებაშიშვილივით ან პეტრე ლეთოდანივით მაინც ვერ გამართავდა, რომ იქ კარგი ადგილები ბავშვებისთვის სანთლოთ საძებარი იყოს?!

თუ გ. შეთეკაურის ლექსას წაკითხვის შემდეგ წამოიჭრება კითხვები: „როგორ ახასიათებს პოეტი მდინარეს? სიოს? მთას?“, რატომ რაფიელ ერისთავის ორსტროფიანი ლექსის კითხვისას უნდა გაჩნდეს იმის ეჭვი, რომ ბავშვებს ვკითხოთ — „სად უფრო მოსწონთ ყვავილის დახასიათება — პირველ სტროფში თუ მეორეში?“

ნუთუ ქართულ პოეზიაში „სიოს“ თემა უფროა დამუშავებული, ვიდრე „ყვავილის?“

პოდა, გ. შეთეკაურმა ნაკლებად დამუშავებულ თემას გაართვა თავი, რაფიელ ერისთავი ტრადიციული თემის დაწერისას რატომ შეირცხვენდა თავს?! ნუთუ „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი

ორსტროფიან ლექსში ცალკეულ სტროფს ერთნაირი ძალით
ვერ გამოართავდა?!



ახალი მეთოდით სწავლებისას ისიც ყურადღებამისაქცევია, თუ
რა უსასწაოდოდ ენდობიან კრებულის შემდგენლები პატარების
გონებრივ შესაძლებლობებს!

აქ, ამ კრებულში, ისე უბრალოდ თსოვენ ბავშვებს წაკითხული
უსათაურო ნაწარმოები „დასასათაურეთო“, თოქოს მის დამწერ
მწერალს ამაზე, ზოგჯერ მაინც, თეობით არ ეფიქროს!

ან: მეტი ნდობა რა გინდა, ბავშვს რომ ამას ეტყვი: „დაასრულე
იგავი გამვლელის პასუხით“.

მოგესხენებათ, იგავი ლიტერატურის ურთულესი ყანრია და
მთელი ეს სიმძიმეც მისი ფინალური ნაწილის დაწერაზე მოდის.

თუმცა ეს სერიოზული მწერლებისათვისაა ძნელი, თორემ პირ-
ველკლასელი ბავშვი ამას ადვილად გაართმევს თავს, თუნდაც
იმიტომ, რომ ამ საქმეს, როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ნაკლები
პასუხისმგებლობით მოეკიდება! არადა, იმსთერსაც ვერ დასჯი,
იგავ-არაკი რატომ კარგად არ დაასრულო!

და მაინც, ესენი: ნაწარმოების დასასათაურება და
იგავის ფინალის დაწერა --- არაფერია იმასთან შედარე-
ბით, რასაც პედაგოგი-ნოვატორი მერე მოათხოვს ბავშვებისაგან!
დააკვირდით დავალებას!

„ანდაზების სკივრში“ მოძებნეთ ისეთი ანდაზა, რომლის მიხედ-
ვითაც მოთხრობას შეადგენთ“.

თუ საექსპერიმენტო კრებულში შესული სუსტი ნაწარმოებ-
ბით ვიმსჯელებთ, მოთხრობის დაწერა ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ
არა მგონია, პირველკლასელებმა, ჯერჯერობით მაინც, თუნდაც ამ
დონის ნაწარმოებების დაწერა შეძლონ!

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ რომ პირველ კლასში ვიყავით, მეტი
სირცხვილი რა გინდა, ანნაირ მოთხრობებსაც ვერ ვწერდით!..



მკითხველთან ჩემი საუბარი დასასრულს უახლოვდება და არ
მინდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს მე ძველ და ახალ
მეთოდებს ერთმანეთთან ვაჯობებდე! --- ეს, კაცმა რომ თქვას, ან
რა ჩემი ჭკურს საქმეა, ან რომელი მაკარნეო მე ვარ!..

ჩემს წერილს გარკვეული ამოცანა ჰქონდა და იგი დასაწყისში-

ვე ვთქვი: მე ვაკრიტიკებ არა ახალ მეთოდს, არამედ კონკრეტულ კრებულს!

თორემ, მეც კარგად ვიცი, რა დღეშია დღეს სწავლების საქმე!

თუმცა ეს მართო ჩვენი რესპუბლიკის უბედურება არ არის, დაახლოებით ასევე ყოფილა კავშირის მასშტაბითაც:

„პედაგოგიკის მეცნიერებამ, რომელიც ადამიანის კულტურის უმჯობეს საფესურზე აღმოჩნდა, არა მხოლოდ არივ-დარია მიზნები აღზრდისა, არამედ ყოველნაირად ელობება წინ მათ, ვინც შეეცადა პედაგოგიკის ტაძარში შესულიყო და აღზრდის საქმე წარემართა ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელი ამოცანებისა და სამომავლო პერსპექტივების პოზიციებიდან“ (იური აზიროვი, „ლიტერატურული საქართველო“, 18.9.87 წ.).

მე ბატონი შალვა ამონაშვილიც იმათ რიცხვში მგებულება, „ვინც შეეცადა პედაგოგიკის ტაძარში შესულიყო“ და სწავლების საქმე სასიკეთოდ შემოეტრიალებინა.

ამ საქმისთვის იქნებ მისი მეთოდიც ბრწყინვალეა, მაგრამ ასევე ვერ ვიტყვით მის მიერ შედგენილ საენსპერიმენტო კრებულზე. ეტყობა, სწავლების მეთოდი სხვაა, ლიტერატურული გემოვნება კიდევ — სხვა!

აქედან ირკვევა:

კრებული იმან უნდა შეადგინოს, ვისაც ეს საქმე ხელეწიფება!

კრებულში შეტანილი მასალები იმან უნდა ააწავლოს, ვისაც ეს საქმე ხელეწიფება!

რაც შეეხება კრებულს „სენსპერიმენტო I კლასებისათვის“, რამდენადაც ადრე ვიტყვით მასზე უარს, მით უფრო აჯობებს! — რაღვან, რაც უფრო ნაკლებად აითვისებს ბავშვი ამ მეტისმეტად მდარე ლიტერატურას, მით უკეთესი იქნება მისთვის!

„დამეთანხმებით, შეუძლებელია შემოქმედებითად შეასწავლო ბავშვს უგუნურება და უაზრობა. უფრო მეტი უბედურება სწორედ ის იქნება, თუკი შევძლებთ „შემოქმედებითად“ გამოავუტენოთ ბავშვებს გონება სისულელეებით“ (ი. აზიროვი).

დასასრულ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მე კონკრეტული კრებული გავაკრიტიკე და არა ახალი მეთოდი! და თუ ამ გზაზე უნებლიეთ ვერ მოვზომე და ვინმეს დაუმსახურებლად გული ვატყინე, პატიებას ვთხოვ, მინდა ყველას სჯეროდეს: ამ წერილს ერთადერთი მიზანი აქვს — ეს ყოვლად უვარგისი კრებული როგორაქ ბავშვებს აარიდოს...

პატივით, ზურაბ ლეონტის ძემ, აპიტატომ

ბატონ შალვა ამონაშვილის ახალი მეთოდით, თუ ბავშვი დასმულ შეკითხვას სწორად უპასუხებს, მასწავლებელი ყურში ჩურჩულით ეუბნება:

„— სწორია... გმადლობ... მართალა... ყოჩაღ!“

მეც გაცილებით მერჩია, ამ სიტყვებით მიმემართა ჩემი ოპონენტისთვის, მაგრამ მან, სამწუხაროდ, საკუთარ რეპლიკაში დასახულ ამოცანას თავი ვერ გაართვა!

ასეთი შემთხვევისათვის ნოვატორულ პედაგოგულ კალკე „პუნქტია“ შეტანილი:

„— შევეშალა!.. კიდევ დაფიქრდი!.. ასლავე დავბრუნდები შენთან!“

და სანამ მასწავლებელი მისთვის ხელმეორედ მოიცილიდეს, ბავშვი „ისევ ისე ზის თავდახრილი და თვალდახუჭული“.

მე ამ წერილში ხშირად მომიწევს ზურაბ ლეონტის ძე ცუცქირიძესთან დაბრუნება, მანამდე კი, რაკი ახალი მეთოდი მოსწონს, იჯდეს ცოტა ხნით თავდახრილი და თვალდახუჭული!

ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც ვიღრე მკითხველს გავარკვევდე, რატომ ავირჩიე მიმართვის ფორმად ქართველი კაცის ყურისთვის ერთობ საჩოთირო „ზურაბ ლეონტის ძე!“

ჯერ ერთი, რეპლიკის ავტორი ამხანაგი კაცია და მსთვის „ბატონობით“ რომ მიემართა, იფიქრებდა. ალბათ, დამცინისო!

მეორეც: რედაქციაში რეპლიკა რომ გადმომცეს გასაცნობად, ჭეშმით ავტორის ხელთ ეწერა: ზურაბ ლეონტის ძე ცუცქირიძე! ვიფიქრე, რაკი ასე ურჩევნია, გული რატომ უნდა დაწყვიტო, ასევე მივმართავ-მეთქი.

მერე ეს აზრი კვლავში დამიჯდა და, აი, რატომ: ზურაბ ლეონტის ძის მასწავლებელი, ბატონი შალვა ამონაშვილი ძირითადად რუს ნოვატორ პედაგოგებში ტრიალებს, შემდგომში, რთცა თავის

მიწაფრსაც ამ ხალხში გარეეს, ამ წრისთვის დამახასიათებელ მიმართვის ფორმას იგი წინასწარ მეუოლება შეჩვეული...

ახლა ასწიოს თავი ზურაბ ლეონტის ძემ და ყურადღებით მომისმინოს!

* * *

ჩემს წინა წერილში — „გამარჯობათ, ბატონო შალვა!“ (ლიტერატურული საქართველო“, 2.10.87 წ.) — გულწრფელად ვწერდი:

„თუ უხეზხული არ იქნება, მე ამ ახალი მეთოდით შედგენილ კრებულს ძველებურად, ე. ი. ადრე რომ ვიცოდით, ისე გავაკრიტიკებ და ჩამორჩენილ კაცად ნუ ჩამთვლით!“

არა ისმინეს!..

ამიტომ იძულებული ვარ, იგივე კრებული „უკვე თანამედროვე შესრულებით“ (შალვა ამონაშვილის სიტყვებია!), ანუ ახალი „პედაგოგიკის შუქზე“ გავაკრიტიკო.

მანამდე კი:

1. ჯერ ჩემს ოპონენტზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას;

2. მერე იმას ავხსნი, რატომ მეკამათება;

3. და ბოლოს, რა საბუთებით მეკამათება!

როგორც ხედავთ, სამუშაო ბევრია. ამიტომ, რაც მალე დავიწყებთ, მათ უფრო ადრე მოვრჩებთ...
-

* * *

ჩემი ოპონენტი, ზურაბ ლეონტის ძე ცუცკირიძე აქამდე ამხანაგად მერგებოდა.

ასევე დარჩება იგი ჩემთვის დღეის შემდეგაც, თუ, რა თქმა უნდა, საკუთარი რეპლიკით მოტანილმა სახელმა არ გააყოფოს და უარი არ ათქმევინა ამ მშვენიერ ადამიანურ გრძნობაზე!

კაცი რომ გავაკრიტიკებს, სადაური ამხანაგობააო, ნიშნის მოგებით მეტყვის ზოგი, მაგრამ მართალი არ იქნება! პლატონისა და არისტოტელეს მეგობრობას ამბავი მთელმა ქვეყანამ იცოდა, მაგრამ აღგა ერთ დღეს არისტოტელე და თქვა:

პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ქვეშარიტება უფრო ძვირფასიაო!

აღბნთ, დიდ პიროვნებებს ასეთი საჭციელი არ გაემტყუნებათ!

ჩვენი ხაშურელი არისტოტელე (ზურაბ ლეონტის ძე წარმოშობით ხაშურიდან გახლავთ!) გერჯერობით საქართველოში არც ისე დიდ პიროვნებად მიაჩნიათ, მაგრამ დიდი ადამიანისთვის დამახასიათებელი ერთი თვისება რომ აღმოაჩინდა, ცუდი არ არის. ხომ ნახეთ, ჩემთან ამხანაგობას მიუსხედავად, სიმართლის მხარეს დადგა!

შართალია, ვის მხარეზეც დადგა, არც ის კაცია მისთვის შორეული — როგორც გადმოვცემენ, ისიც თურმე მამად და მასწავლებლად ერგება, — მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ასე ჩაძიებაც არ ვარგა!

ამხანაგობაში უარესიც მომხდარა და მე ლეონტის ძის საქციელი არც გამკვირვებია. სხვათა შორის, არც ვამტყუნებ — იგი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატია და, ერთი საფეხურით მაღლა რომ აიწიოს, ჩემზე მეტად, საწყენი რაა, პროფესორი კაცი უფრო გამოადგება!

მერე, თავის საქმეს რომ მოილევს, დარწმუნებული ვარ, არც ჩემთან მეგობრობაზე იტყვის უარს!

მანამდე კი მეც მარჯვედ უნდა ვიყო: ამხანაგის შემდგომ წარმატებებს ხელი რომ შევეწყო და სხვის თვალში მისი ავტორიტეტი ავამაღლო, მე ვაღებ, ერთგვარი კმაყოფილებითაც მოვიხსენიო ეს წერილი, რომელშიც, ცოტა არ იყოს, სულელადაც გამოვიყურები!

ვასრულებ ამხანაგურ მოვალეობას და მაღლობას ვუხდი ზურაბ ლეონტის ძეს... ჩემი გაბითურებისთვის!

* * *

თუ თქვენც მიგაჩნიათ, რომ ოპონენტის წინაშე ჩემი ამხანაგური მოვალეობა უკვე მოვიხადე, მაშინ ნება მომეცით, ქვემოთ პროფილით ვიმუშაო.

* * *

ზურაბ ლეონტის ძის რეპლიკა „ცოტა მეტად უნდა გაინძრე“, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ ამავე ნომერში იბეჭდება, ჩემი წერილის „გამარჯობათ, ბატონო შალვა!“ გამოპასუხებაა.

რეპლიკის შესავალ ნაწილს. უფრო სწორად, სალანძღავ ნაწილს თუ არ მივღებთ მხედველობაში, იგი დიდი მოცულობისა არ არის, მაგრამ, ეტყობა, ამას ხელი არ შეუშლია ავტორისთვის, ჩემთვის ხუთპუნქტიანი საბრალდებო დასკვნა წამოეყენებინა!

ამ ბრალდებების მე არ მეშინია — რაკი ქვეყანა ჩალოთ არ არის დახურული, ყველაფერი გაირკვევა! მაგრამ აი, იმ სალანძღავმა ნაწილმა კი ძალიან მატკინა გული! თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ძნელი გასარკვევი შეიქნა — ვისთან იამხანაგოს კაცმა და ვისთან არა!

„...თამაზ წივწივადის ქილიკი, პირდაპირ თუ არა, ილინცურად მაინც, მიმართულია ნოვატორული მეთოდის წინააღმდეგ“.

მეტი რატუნდა გატკინოს გული კაცმა — თამაზ წივწივადის ქილიკიო...

არც ამაზე ამოვიღებდი ხმას! ამხანაგი კაცია და კი აქვს იმის უფლება, საყვედური პირში მიიხრას! მაგრამ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ რომელი მაგის ამხანაგია, იმასაც რომ ლანძღავს?!

დააკვირდით:

„გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ და მისი ავტორის თამაზ წივწივადის დამოკიდებულება მართლაც ორიგინალურია. მათ საქილიკოდ გაუხდიათ ის საქმე, რასაც ათეული წლების შრომა შეაღიეს ჩვენმა შესანიშნავმა პედაგოგებმა“.

„მათ!“ — ე. ი. მე და „ლიტერატურულ საქართველოს“ ის საქმე გაუხდია საქილიკოდ, რომელსაც თავად ლეონტის ძე დიდად აფასებს: ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მე და „ლიტერატურულ საქართველოს“ ერთნაირად გვისულიგნია!

ამას რომ შემთხვევითი კაცი ამბობდეს, რა მიჭირს! — რედაქციას ბოდიშს მოვუხდელი და თავსაც ვიმართლებდი: მართალია, ჩემი ამხანაგია, მაგრამ ერთი ჩემნაირი უწიგნური კაცია და გაზეთი არ უყვარს-მეთქი.

მაგრამ იმ ცნობას რა ვუყო, რეპლიკის დასასრულს ავტორის ხელით რომ არის მიწერილი:

„სურავ ლეონტის ძე ცუცქირიძე, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორის შოადგილე, პედ. მეცნ. კანდიდატი...“

თუმცა რედაქტორის მოადგილე კი არა, ზოგი ისეთი რედაქცია
ვიცო, სადაც ამ მხრივ რედაქტორებსაც უჭირთ!

სხვა გზა არ არის: უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩემი ოპონენტი
საყვარელ მასწავლებელთან დაკავშირებულ ყოველ უმნიშვნელო
შენიშვნასაც კი წონასწორობიდან გამოჰყავს!

ასე რომ არ იყოს, მე ხომ გამლანძღა და გამლანძღა, ჩემი ოჯა-
ხის წევრებს რაღას ერჩოდა?!

„მე ვერაფრით დავაჭერებ, რომ ამდენ ხალხში (ყველა ჩემი
ანს ერთად გულისხმობს! — თ. წ.) ერთიც ვერ მოაქერსებლა
სამი მარტივი არითმეტიკული მოქმედების შესრულებას“.

წონასწორობიდან რომ არ იყოს გამოსული, ქართულმა საბავ-
შვო მწერლობამ რაღა დაუშავა?!

„ქართული საბავშვო ლიტერატურის თემატიკური სიღა-
რიბის გამო ნოვატორ პედაგოგებს რომ ეუსაყვედუროთ, ალბათ
უსამართლობა იქნება“.

რატომ ქვეყანა არ დაიქცევა, ეს რომ მესმის!..

ნუთუ ის არ არის უსამართლობა, ზურაბ ლეონტის ძემ ამდენი
ხალხი ტყუილუბრალოდ რომ დაგვლანძღა?!

„ეს რას მოვესწარ, გაკვირდი,
ვის ასოვს მსგავსი ამისა?!“

არავის, ჩემო უსამართლოდ გაკრიტიკებულ ვანო მეხაშიშ-
ვილო, არავის!..

ჩემით ვფიქრობ, ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ახალი „პე-
დაგოგიკაც“ იძულებულია, მიუთითოს ზურაბ ლეონტის ძეს:

„— შეგეშალა!.. კიდევ დაფიქრდი! ახლავე დაგბრუნდები შენ-
თან!“

* * *

თუმცა ჭერ ბატონ შალვასთან უნდა დავბრუნდე, უფრო
ზუსტად — მის მეთოდთან!

რაკი ჩემი კრიტიკული წერილი „ახალი პედაგოგიკის“ შექმნე
იწერება, ამ მოძღვრების შემქმნელის ზოგ სურვილსაც ხომ უნდა
გავუწიო ანგარიში.

„რა კარგი იქნებოდა, რომ სწავლების თეორია და პრაქტიკა

ისევე მდიდარი იყოს პედაგოგიური მელოდიის შესრულების თავისებურებათა აღწერის საშუალებებით, როგორც მდიდარია ამ მხრივ მუსიკა“.

ეს ბატონ შალვას სურვილია და, სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლო!

მუსიკალურ ნაწარმოებთა ბარტ-ტურებში მე ვხვდები შესაბამისად ბევრ ტერმინს, რომლებიც მელოდიის ტემპისა და ექსპრესიის დასახასიათებლად გამოყენებულია.

„აი, ერთი ჭკუფი ტერმინებია, რომლებიც ტემპის ნაირგვარობას ასახავს: ადაჯიო (წყნარად, ნელა), ანდატე (ზომიერად, აუჩქარებლად), ალეგრო (სწრაფად, ცოცხლად), პრესტო (სწრაფად), ვივაჩისიმო (ძალიან სწრაფად)...“

როგორც ახლა ვატყობ, ჩემს ოპონენტს ტემპის შერჩევას ანდატე (ზომიერად, აუჩქარებლად) კუთაში არ დაჯდომია და რებლუკის წერისას პირდაპირ ვივაჩისიმო (ძალიან სწრაფად) გამოუყენებია!

ჩემთვის რომ ეკათა, ვუჩქველი -- ადაჯიო, ზურაბ, ადაჯიო! -- ე. ი. წყნარად-მეტე!

ამით თვითონაც მოიგებდა და აღარც მე ჩამაყენებდა უხერხულ დღეში! ჩემი მდგომარეობაც სომ წარმოვიდგენიათ, — ამხანაგ კაცს რომ ვაქრიტუკებ, თავი სად უნდა გამოვეყო?!

* * *

არადა, მართლა უხერხულ დღეში აღმოვჩნდები, თუ ახლაც არ დავარწმუნე მკითხველი, რომ არც ისეთი სულელი ვარ, როგორც ჩემს ოპონენტს ვგონივარ!

და ამას იმიტომ კი არ გავაკეთებ, თავი რომ გამოვიჩინო, უბრალოდ მინდა, მოპაექრე ვაძულო, მეტი პატივით მომეპყრას!

თორემ, თუ მას დავუჭერებთ, მე იმის უფლებაც არ მქონია, ერთი მოძცხო კრებული რომ შევადგასო!

„სახელმძღვანელო, განსაკუთრებით კი დაწყებით სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი სასწავლო წიგნი რომ შეადგასო, საამისოდ მართლ ლიტერატურული გემოვნება არ იკმარებს“.

მოსწონთ თუ არა ჩემი ლიტერატურული გემოვნება, ამასე აქ არაფერია ნათქვამი, მაგარამ სულელი უნდა იყო კაც, რომ ვერ

მიხვდეს: რაც კრებულში მე დავიწუნე, ყველაფერი, მათი ჰკუთნა, დადებითი ყოფილა!

მაგრამ, გარდა ლიტერატურული გემოვნებისა, კიდევ რა არის საჭირო პირველკლასელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო რომ შეაფასო?

„პირველ ყოვლისა, აუცილებელია სწავლებისა და აღზრდის მეთოდის, ამ ასაკის ბავშვის გონებრივი მოქმედებიაზობის კანონსომიერების. ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებების, სახელმძღვანელოს აგების მეთოდოლოგიის ცოდნა. აღაზრდის ვამბობ დაწყებითა განათლების სოციალურ დანიშნულებასა და შინაარსზე.“

აქვს თუ არა საამისო მომზადება თამაზ წივწივადეს?“

როგორი შეკითხვაა, არ მოგწონთ? ასე ხომ სკოლის მოწაფეზე ამბობენ, საამისო მომზადება თუ აქვსო!

მაგრამ ეგ არაფერი -- ამსანაგისგან შეურაცხყოფა უნდა აიტანო! მე მხოლოდ იმაზე მწყდება გული, როცა ჩემი რიგი იყო. ასეთი შეკითხვით რომ მივმართე კრებულის შემდგენლებს: საქართველოში სირაქლემა თუ ცხოვრობს?

სამაგიეროდ. მათი რიგი რომ დადგა, ურთულესი შეკითხვების ჭერი დამაყარეს!..

არადა. კაცმა ის რომ არ იცის, საქართველოში სირაქლემა ცხოვრობს თუ არა. იმის შეკითხვებს მანცდამაინც დიდი ყურადღებით კი არ უნდა მოუსმინო!

მაგრამ მე ვინ რას მეკითხება! ეგ კი არა, მოსაფიქრებელი დროც არ მომცეს, ერთი იკითხეს, აქვს თუ არა საამისო მომზადება თამაზ წივწივადესო და იქვე მოაყოლეს ჩემი „ავტოდახსიათება“, როგორც უვიცობის დოკუმენტი!

„მე პირადად რამდენი წუთია ერთ თვეში, მარტო ეს რომ გამეგო, ამისთვის ოჯახის ყველა წევრის ერთობლივი შრომა დამჭირდებოდა...“

რაც შეეხება იმას, რამდენი წუთია სამ წელიწადში, მარტო ნათესავების კი არა, სამცოლგანაშეებიც რომ ვიყო და ქველი და ახალი მოყვრებიც დამესიონ, ამის გამოანგარაშებას ნამდვილად ვერ შევძლებდი“.

კი, ბატონო, ნამდვილად ასე ვთქვი, მაგრამ ეს რომ ხუმრობა

იყო, იქვე მივანიშნე: „მით უფრო, რაკი წინასწარ არ მეცოდინებოდა, ამ სამ წელიწადში რომელიმე ნაკიანი იყო თუ არა!“

შეიძლება კარგად ვერ ვიხუმრე, მაგრამ ხუმრობას რომ ვაპირებდი, ამას მტერი ვერ მიხვდა!..

თუმცა ყველაფერს სხვებს ვერ დავაბრალებ, ცოტა ჩემი ბრალიც კაა: სულ რომ ვიცინი, ეტყობა, სულელის შთაბეჭდილებას ვტოვებ!

არადა, თუ ჭკუით ვიქენი და საქმეს სერიოზულად მოვკიდებ ხელი, მე ხომ ვატი, ბარე ორი კაცი ვერ დამიდგება წინ!

მაგრამ ახლა რა გამოვიდა — ხუმრობას დავანებე თავი და ტრაბახი დავაწყე!

თუმცა რომ არ ვტრაბახობ, ზურაბ ლეონტის ძე ამას მაშინ მიხედება, როცა თავის თავზე გამოცდის.

მანამდე კი, ნება მომეცით, თავი კიდევ უფრო გავიღიზიანო.

თუმცა მეტი რაღა გაღიზიანება მინდა, მე ხომ არა და არ დამზოგეს, ოჯახიც გვარიანად გამილანძღეს.

აბა, ლეონტის ძეს მოვუსმინოთ:

„მე ვერაფრით დავიჯერებ, რომ ამდენ ხალხში (ყველა ჩემიანს გულისხმობენ, — თ. წ.) ერთიც ვერ მოახერხებდა სამი მარტივი არითმეტიკული მოქმედების შესრულებას.“

კი მაგრამ, რასაც ერთი ცუცქირიბე გაართმევს თავს, იმ საქმეს მთელი წიგწივაძეები რომ დავესიოთ, მაინც ვერ მოვერევით?!

რატომ აქვს ამ კაცს ასეთი წარმოდგენა ჩემზე და ჩემიანებზე?!

დავუშვათ, ასეც არის და ამ „მარტოვ არითმეტიკულ მოქმედებას“ ხელით ვერ მოვერეოდი, განა სხვა საშუალება არ არის? მე, მაგალითად, იმისთანა გამომთვლელი მანქანა მაქვს სახლში, სამ წელიწადში რამდენი წუთია, იმას კი არა, მათემატიკა საერთოდ რომ არ იყო გამოგონებული, იქიდან მოყოლებული დღემდე რამდენი წუთია გასული, იმასაც უშეცდომოდ ანგარიშობს!

* * *

მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე, მარტო სკოლის მათემატიკის იმედზედ არა ვარ! თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, გეტყვით: უმაღლესი მათემატიკის სრული კურსი მაქვს თავის დროზე მოსმენილი და ჩაბარებული!

სხვათა შორის, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ადრე ჩემს მიერ გაკრიტიკებულ მწერლებს! დიდხანს ეგონათ, რომ მე ცალმხრივად, ე. ი. მარტო მათემატიკის „განხრით“ ვიყავი განვითარებული!

ამიტომ, ნება მიმეცით, ამ კუთხით ზურაბ ლეონტის ძის ცოდნაც შევამოწმო.

მანამდე კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ, რას მსაყვედურობს:

„მე ვერაფრით დავიჯერებ, რომ ამდენ ხალხში (ბოდიშს ვიხდი მკითხველს დაყოვნებისთვის, მაგრამ ამ ადგილს რომ მივუახლოვდები. სადაც ჩემი შინაურები არიან გალანძღულნი. თუ ერთი წუთით მაინც არ დავხარე თავი, ცუდად ვხვდები! — თ. წ.) ერთაც ვერ მოახერხებდა სამი მარტივი არითმეტიკული მოკმედების შესრულებას. მხოლოდ ოთხი რიცხვი უნდა გაამრავლო ერთმანეთზე: $24 \times 60 \times 366 \times 3$. ეს არის და ეს!“

აბა, ბიჭო! როგორც ცუცქირიძე იტყვის, ისეა, კი!

ზურაბ ლეონტის ძე, ერთი წუთით, ტრადიციულ „მეთოდოქას“ რომ შეშვენის, ისე მოიქცეით: დადექით ფეხზე, ჩამოუშვით ხელები და გადექით განზე!

მე კი ამასობაში ცხვირს ჩამოუშვებ, — რაღაცით ხომ უნდა გაგრძნობინო. გულმოსული რომ ვარ! — და იქამდე ვიქნები ასე. ვიღრე ჩემი ნათესაეები თქვენს დავალებას არ შეასრულებენ!..

ახლა თქვენ მოგმართაეთ. ჩემო ძვირფასო და შერცხვენილო ნათესაეებო! თქვენს გამო მკითხველისთვის თვალი ვერ გამისწორებია, მართლა რა მოხდა, იწამეთ ღმერთი და ეს ოთხი რიცხვი ($24 \times 60 \times 366 \times 3$) ერთმანეთზე ხელახლა გადაამრავლეთ!

დაიწყეთ და პასუხი, ახალ „მეთოდოქით“, ყურში მიჩურჩულეთ!

— სწორია, გმადლობ, ბიძაჩემო!..

— სწორია, გმადლობ, მამიდა!..

— შენც ასე შემარცხვინე, ჩემო ძვირფასო დაიკო? — გმადლობ!..

— არა, ჩემო ექვსი წლის ღმიშვილო, შეგეშალა!.. არ იტირო!.. ახლავე დავბრუნდები შენთან!..

• მაგრამ ჯერ ზურაბ ლეონტის ძესთან უნდა დავბრუნდე — დავალების შესრულება რომ ვუპატაკო!

ზურაბ ლეონტის ძევ, თქვენი მოცემული რიცხვები ერთმანეთზე გავაპრავლეთ და ჩვენი პასუხი ასეთია — 1581120!

თქვენი ანგარიშით კი — 1576800 მიგველო!

ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ვთხოვთ, პირველკლასელი ბავშვები ცოტა უკან დაწიეთ — დიდი რიცხვებია და არ შეეშინდეთ!..

თქვენ კი, ძვირფასო მშობლებო და მკითხველებო!

ვისაც მათემატიკა გემარჯვებათ და ჩემლაში ადამიანური გრძნობა კიდევ შეგრჩათ, ღვთის გულისათვის, ახლობლების ცოდვაში ნუ გამხვევთ! — უთხარით ზურაბ ლეონტის ძეს, რომ ჩვენ ყველაფერი სწორად ვიანგარაშეთ; რომ ტყუის ის და არა მე — ჩემი ნათესაებებიანად!

ამ გარჯისთვის, მე თქვენს თავს ღმერთს. შევავედრებ და თითოეული მათგანსთვის იმდენი წლის სიცოცხლეს გამოვითხოვ, რამდენი წუთიც ჩემსა და ჩემი ოპონენტის ნამრავლში მიღებული სხვაობაა!

არ შეკრთეთ, „ბევრი“ არაა, თითოეულს კიდევ 4320 წელიწადს მოგიწევთ ამ ქვეყანაზე ყოფნა!

მე სასიცოცხლო არა ვარ, მაგრამ თუ თქვენთან ერთად მეც ვიქნე, სიტყვას გაძლევთ, ზურაბ ლეონტის ძეს მათემატიკაში რაღაცას მაინც ვასწავლი!

ახლა თუ დახრის თავს და დახუქავს თვალს, ყველაფერს ავუხსნი!

მე არ ვაძალებ, თუ ურჩევნია, თავაწეულიც იყოს, მაგრამ, როგორც ნოვატორული პედაგოგია გვირჩევს, თავდახრილი და თვალდახუქული ბავშვი უფრო ადვილად ითვისებს ახალ მასალას.

ასეც რომ არ იყოს, ახლა არც ისე აქვს აწყობილი საქმე ზურაბ ლეონტის ძეს, თავადერილმა იაროს!

თუ „ახალი სწავლების“ შესაფერი პოზა უკვე მიღებული აქვს, მე ჩუბჩულით დავიწყებ, დაახლოებით ისე, ანდატეს (აუჩქარებლად!) და ადაჯიოს (წყნარად!) რომ შეპფერის!

უთხარით, არ გაინძრეს, ვიწყებ!

სხვა დროსაც რომ იცოდეს: არც 366 დღეა წელიწადში!

თუ „ახალი პედაგოგიკაც“ დროის იმ მონაკვეთს უწოდებს წელიწადს, რომლის განმავლობაშიც დედამიწა ერთ სრულ შემოვ-

ლას აკეთებს მზის ირგვლივ; მაშინ ყველა ენციკლოპედიის ცნობარსა და ასტრონომიულ ატლასში ასეთ რიცხვად 365-ია მიჩნეული! უფრო ზუსტად: 365, 25...

* * *

ზემოთ შემთხვევით არ მიკითხავს: თავდახრილ და თავდახუჭულ ჩემს ოპონენტს ხომ არ ჩაეძინა-მეთქი! ასეც რომ იყოს, არაფერი დაშავდება — ახალი პედაგოგიკით გაკვეთილზე ბავშვს ჩაძინებაც შეუძლია!

მოვუსმინოთ ბატონ შალვას:

„— ამ ზიგმა დაიძინა! — მითხრა თამრიკომ და საჩვენებელი თითი ვოვასკენ გაიშვირა... რა უნდა მექნა? გავალციო ბიჭი? ავუხსნა, რომ გაკვეთილზე ძილი არ შეიძლება?“

— ბავშვებო, — ვუთხარი მათ ჩურჩულით, — უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანს ძილს, რადგან ამ დროს იგი ძალას იკრებს! მოდი, წყნარად ვიმეცადინოთ, რომ არ გავალციოთ ვოვა!..

ისინი უცბად ისეთი მზრუნველნი და ნახები გახდნენ! ყოველ პასუხის შემდეგ ვოვას გადახელავდნენ ხოლმე: ხომ არ გავალციეთო“.

ამხელა კაცს ექვსი წლის დღაპებმა როგორ უნდა მაჯობონ — რამდენიც უნდა. იმდენი იქნას ზურაბ ლეონტის ძემ! მაგრამ მეც რომ თავი შევიქციო, შალვა მასწავლებლის კიდევ ერთ გაკვეთილს დავესწრები. მით უფრო, რომ ვიცი, მისი გაკვეთილის კარი ყველასთვის ღიაა!

თანაც გაგვიმართლა! ძველი მეთოდით ჩატარებულ გაკვეთილს კი არ ვესწრებოთ, — ბატონ შალვას ახლა მათი გახსენებაც აღარ უნდა!

ამასთან დაკავშირებით, ნახეთ, რას წერს:

„კარგად ვხვდები, რატომ უძნელდებოდათ მათ მართივ ამოცანათა გადაწყვეტაც კი, რატომ ისხდნენ ასე უხალისოდ გაკვეთილებზე“.

სულ სხვაა, როგორც თვითონ ბრძანებს, დღევანდელი მისი გაკვეთილი!

არ გაინტერესებთ? ყურადღებით მოვისმინოთ!

„ახლა შემოგთავაზებთ პედაგოგიური პროცესის აღწერას უკვე თანამედროვე „შესაულებით“.

გაბედულად და სწრაფად, ისე, რომ ინტერესი გამოვიწვიო:
— დახარეთ თავი! (მცირე პაუზა). დახუკეთ თვალები!

ხმადაბლა, გამაფრთხილებელი ტონით:

— იცოდეთ, ამოცანას არ გავამეორებ!

ჩურჩულით, მშვიდად, მცირე პაუზებით:

— ჩაიფიქრეთ რიცხვი... თუ მას მივუმატებთ ექვსს, მივიღებთ
ასს!

გამომწვევად:

— რა რიცხვი ჩამიფიქრებია!...

მიჩვენეთ თითები!..“

* * *

თუ ჩემს თავდახრილ და თვალდასუქულ ოპონენტს კიდევ სძინავს, გააღვიძეთ — ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად უკეთეს დროს ველარ ვნახავ!

თუმცა ვიჩქარე!.. ახალა პედაგოგიკისთვის თავაწეული და თვალახელილი კაცი სრულიად ზედმეტია. ამიტომ გააღვიძეთ და მერე, თუ უნდა, ისევ დასუქოს თვალები!..

ოლონდ ახლა მისმინოს!

თუ ასეოვს, მე ვლადიმერ თორდუას მოთხრობა, რომელშიც გამოთვლილია სამ წელიწადში რამდენი წუთია, პირველკლასელთა ცოდნის შესაფერისად არ მივიჩნევ და ჩემი ექვიციკვე გამოვთქვი:

„მიაქციეთ ყურადღება, რამხელა რიცხვი ყოფილა! — მილიონ ხუთას სამოცდაათექვსმეტი ათას რვაასი წუთი!

ეს ამხელა რიცხვი რაში სჭირდებათ პირველკლასელებს?!

რა უნდა გაუგონ მას?“

ამის გამო ზურაბ ლეონტის ძემ თავის რეპლიკაში სასაცილოდ ამიგდო — სამ წელიწადში რამდენი წუთია, ამის გამოანგარიშებას რა უნდაო!

ისე მოაჩვენა მკითხველს, თითქოს მე ანგარიში მეშლებოდა!

არა, ბატონებო! თუ სიმართლე გინდათ, მე შალვა მასწავლებლის ნოვატორულ პედაგოგიკას ადრე ვიყავი ნაზიარები (ოლონდ... არ გამიმხელია!) და ვიცოდი, ამხელა რიცხვი პირველკლასელებს არაფერში გამოადგებოდათ!

ახლა, როცა შალვა მასწავლებელი „ჩუჩულაო, მშვიდად. მცირე პაუზებით“ იკითხავს, ამოცანის პასუხი თითებით მიჩვენებო, მე ხელს არ აწვევ! და ზურაბ ლეონტის ძე როგორ მოახერხებს. უჩვენოს თითებით თავს საყვარელ მასწავლებელს ეს ამხელა რიცხვი — მილიონ ხუთას სამოცდათექვსმეტიათას ოცდაათი, — იმასაც ვნახავ!

არა მგონია, ამ საქმისათვის პატარა ცუგრუმელას თითებმაც იკმაროს! გამორიცხული არ არის, ჩემს ოპონენტს „მარაკანას“ სტადიონსე მისული ხალხის (მგონი 200 000 კაცი ეტევა!) თითებიც არ ეყოს!

ღმერთი აღარ არის! — ეს კაცი იყო, მე რომ მსაყვედურობდა: აუცილებელია ამ ასაკს ბავშვის გონებრივი მოქმედო-ანობის კანონზომიერების ცოდნაო!

ეტყობა, ჩემი საშველი არ იქნება — ყველას ჭკუის სასწავლებელი მე შევიქენი...

* * *

ყალბი მოკრძალების გარეშე ვამბობ: ზოგი მათემატიკური საკითხი ჩემი ოპონენტისთვის ზემოთ ცუდად არ ამიხსნია. მართალია, მათემატიკა მემარჯვება, მაგრამ მთლად ისე არა, როგორც ჩემი სპეციალობა!

ახლა ნება მომეცოთ, ამ კუთხითაც გამოვიჩინო თავი, ჩემი ოპონენტის თვალში შერყეული ავტორიტეტი რომ აღვიღგინო.

შემჩნეული მაქვს ზურაბ ლეონტის ძე მუდამ იმის ცდაშია, პედაგოგიურ თემაზე დაწერილი შრომები როგორმე ჟურნალისტურ „სამოსელში“ გახვიოს. როცა განათლების სისტემის სპეციალისტი ჟურნალისტის ნიჭითაც არის დაჯილდოებული, მაშინ ეს ხერხი გამართლებულიც კია, მაგრამ ვისაც საამისო უნარი არ გააჩნია, ეს კეთილი მცდელობა თვალშისაცემ სიყალბედ აღიქმება!

„ჩვენი არ ეშინია და მოდი, ეგებ შენ შეაშინო როგორმეო, — გამომძახა აგარაკზე მეზობელი ოთახიდან ჩემმა მეგობარმა“.

ეს ფრაზა ჩემი ოპონენტის იმ საგაზეთო წერილიდან არის, რომლის სახელდახელო განხილვასაც ახლა ეპაირებ.

„ნეტა ენ დაესხა თავს ამ ტარიელივით ვაჟაკს, ჩემი დახმარება რომ დასჭირდა-მეთქი, — გავიფიქრე, გაზეთი გვერდზე გადავიკეცი. ყოველი შემთხვევისთვის პუბლიკის სახელოები დავიკაპი-

წე და გამეხებული მის ოთახში შევედი. სწრაფად მ-ვიხედ-მოვიხედე, ოთახში უცხო არავინ ჩანდა“.

მალე ირკვევა: ბავშვმა წვნიანი არ ჰკამა და ჩემს ოპონენტსაც თურმე გაჭიუტებული ბავშვის დასაშინებლად მოუხმეს!

შეიძლება. ამ საქმისთვის ზურაბ ლეონტი-ს ძე მართლაც ვარგოდეს, მაგრამ, ჩემი თვალის ასახვევად, დარწმუნებული ვარ, ეშმაკობა არ ეყოფა!

ფრაზაში სიყალბის სივსალი პირველად მაშინ შევნიშნე, როცა წავიკითხე: ყოველი შემთხვევისათვის პერანგის სახელოები დავიკაპიწო. უეცრად თავსდატეხილი ფათერაკის დროს პერანგის სახელოების დასაკაპიწებლად არავის სცალია! ასე მშვიდად და წყნარად აბაზანაში შედიან ხელ-პირის დასაბანად!

ან ქართულა სიტყვის როგორი გრძნობაა: „გამეხებული ოთახში შევედი“. ასეთ სიტუაციაში „შევედის“ მაგიერ „შევევარდი“ თუ არ ვთქვით, მაშინ ეს სიტყვა უფრო შესაფერის ადგილას სადღა უნდა გამოვიყენოთ?

ამის გარდა, მეზობელ ოთახში საფათერაკო სიტუაცია ცეცხლივით ერთბაშად ხომ არ იფეთქებდა, საშიშროების ნიშნები ცოტა აღრეც ღომ იჩენდა თავს?!

მით უფრო, როცა იქვე წერს:

„გვეცოდინებთ, აგარაკზე დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში ოთახიდან ოთახებში ხმა ისე გადის, სხვისი საუბრის მიყურადებას მიჩვეული რომ არ იყო, მეზობლის ერთი სიტყვაც არ გამოგრჩება“.

ახლა ყველას გვეკითხებით: თუ კედელი ისე ატარებს ხმას, რომ მეზობლის ნათქვამი ერთი სიტყვაც არ გამოგვრჩება, მაშინ ხომ წინასწარ გვეცოდინებოდა, რომ ოთახში გაჭიუტებული ბავშვის დასაშინებლად გვეძახდნენ?

აბა, რალა საჭირო იქნებოდა პერანგის სახელოების დაკაპიწება და ოთახში გამეხებული შევევარდნა, პატარა ბავშვს ისე ვერ მოვერეოდით?

ანდა: დასასვენებელ სახლში მყოფი ცოლ-ქმარი ბავშვისთვის წვნიანს ოთახში რატომ მოამზადებდა?!

არც ამზადებდნენ! ზურაბ ლეონტის ძეს დაავიწყდა, თორემ იქვე უწერია, მეგობრის ოჯახთან ერთად სადილს ყოველდღიურად პანსიონატის სასადილოში მივირთმევდიო!

თვითონ რაც უნდათ, ის მიირთვან, მაგრამ მე რატომ მატყუებენ?

ჩემი ხელობის კაცმა ამის მეტი რა ვიცი! ავტორის სიუჟეტისთვის სკირდებოდა, ბავშვს წვნიანი სახლში „მიერთმია“, უფრო ხუსტად, გაჭირვებულბულიყო და არ მიერთმია!

ამასობაში თვითონ სახელოებს დაიკაპიწებდა და გამეხებულნი სახით მეგობრის ოთახში ჰიქურ შეიჭრებოდა!..

ეს ყველაფერი წერის დაწყებამდე ექნებოდა ზოფ-ჭრებული, მაგრამ, ეტყობა, როგორც კი კლამს მოვიდებხს ზელს, იბნევა...

მეორე დღეს კი დაბნეული კაცის სტრიქონები ვაზეთის ფურცლებიდან ქვეყანას ეფინება!

მე შენ გეტყვი და ვინმეა გამკითხველი!..

* * *

ნელ-ნელა უკვე გავარკვით, რომ არც მათემატიკაში და არც ზოგად ფილოლოგიაში ჩემი ოპონენტის დასაცინი მაინცდამაინც არაფერი მკირს!

ერთადერთი საკითხი, რომელშიც ზურაბ ლეონტის ძე ჩემზე მეტ დაკვირვებას ამჟღავნებს, ბავშვთა სქესობრივი აღზრდაა.

შეიძლება ამ სფეროში ჩემი უცოდანრობის გამოც მოხდა, პირველ ხანებში ჩემი ოპონენტი ჩამოყალიბებული სექსოლოგიც კი მეგონა!

მაგრამ, როგორც თვითონ ბრძანებს, „პირველი შთაბეჭდილება, სამწუხაროდ, ყოველთვის უტყუარი როდია“. მეც გვიან გავიგე, რომ იგი პედაგოგიკის სპეციალისტი ბრძანებულა. რატომღაც მაინც ვიფიქრე, ალბათ, სექსოლოგიის განხრით მუშაობს-მეთქი.

ჩემს აჩემებას გარკვეული საფუძველი ჰქონდა: ამ სფეროში ჩემი ოპონენტის მომზადების დონე მაიძულებდა, ასე შეფიქრა.

ალბათ, ბავშვის ფსიქიკის ამ ასპექტით შესწავლამ მიიყვანა ზურაბ ლეონტის ძე ერთ მეტად საინტერესო დასკვნამდე:

„ბავშვები... მათი ასაკისა და პიროვნული განვითარების შესაბამისად პატივს უნდა სცემდნენ თავიანთი თანატოლების სპეციფიკურ სქესობრივ თავისებურებებს...“

როცა ამაში საფუძვლიანად გავერკვევით, მაშინ გვეცოდანება, ქალმა რა უნდა აკეთოს და კაცმა რა, თორემო, „ვანა ცოტა გუნა-

ხაგს ისეთი ოჯახი, სადაც ქალი უფრო მძიმე შრომას ეწევა, კაცნი კი ამას აინუნშიც არ აგდებს“.

არადა, მართლა გულდასაწყვეტია, ჩვენ რომ თავიდანვე ყურადღება მიგვექცია ერთმანეთის სპეციფიკური სქესობრივი თავისებურებებისათვის და ეს ჩვენი ცხოვრების მთავარ საქმედ გვექცია, ახლა გაცილებით მეტი გვეცოდინებოდა თითოეული ჩვენგანს სქესობრივ შესაძლებლობებზე და, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთის გასაჭირსაც გაგებით მოვეყიდებოდით!

რაკი ადრე ეს შანსი ხელიდან გავუშვით, ახლა ამ ფრონტზე გარკვეული წარუმატებლობა იგრძნობა:

„ზოგჯერ საზოგადოების ესა თუ ის წევრი წარმატებით შრომობს მისთვის მიჩნეულ უბანზე, თითქოს მაღალ დონეზე ასრულებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, მაგრამ მეორე სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში ისეთ კონფლიქტურ სიტუაციებში ვარდება, რომ ექვექვეშ დგება მისი პიროვნების საზოგადოებრივი ღირებულება“.

მეტიც მოგვისდება! — დადგება დრო, მეორე სქესის წარმომადგენლები ზედაც არ შეგვხედავენ! მერე ვისხედეთ სუფრებთან და ვარკვიოთ — დედამამიშვილების სადღეგრძელო უნდა დაილიოს ზირველად თუ მშობლებს!

მაგრამ ჩვენ რაც დაგვეჩაჩათა, დაგვემართა! ახლა ბავშვებს მანაც მივხედოთ!

„4-7 წლის ბავშვები სწორად იტოვენ მშობლებს ამა თუ იმ, მათთვის უცნობი სიტუაციის განმარტებას... აი, თუნდაც კითხვა — „საიდან გავჩნდი?“ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს. ამ კითხვაში ბავშვი მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიურ შინაარსს გულისხმობს...“

ცოტა კიდევ უნდა გავუძლოთ, თურმე ისე მიღეს ჩვენი საქმე, მალე საქართველოს ათასობით კანტი და ჰეგელი შეემატება!..

აბა, რა იქნება, ოთსი-შვიდი წლის ბავშვები ფილოსოფიით რომ დაინტერესდებიან!

სხვათა შორის, ფილოსოფიური საკითხებით გატაცება არც ზურაბ ლეონტის ძისთვის არის უცხო. მანაც ბევრი უტრიალა ერთ ვაგლახად გასარკვევ საკითხს და ბოლოს, მე თუ არ ვცდები, ჰემარიტ დასკვნამდე მივიდა:

„სკამი ვერასოდეს დადგება მასზე მჯდომზე მაღლა“.

აღბათ, არ დამიჯერებთ, ამ საკითხს შეეცაზევი ვუტრიალე თავის დროზე, მაგრამ ჩემი ინიციატივით ბრძნულ დასვენამდე რომ მივსულიყავი, მუდამ ორი რამ მიშლიდა ხელს: კვლევის მეთოდის ნაკლები ცოდნა და ხალხის გამონათქვამების ზედმეტად ანგარიშის გაწევა!

ხშირად გამიგონია, ისეთი მუტრუკი იყო, თავის უფროსს სკამი დაამხო თავზე!

თუ ასეთი შემთხვევა მართლა მოხდა, გამოდის, რომ სკამი ხანდახან მასზე მჯდომზე მაღლაც ექცევა!

ხალხში ასეთი თქმაცაა: ისეთი საქმე დამართა, სკამის ქვეშ შეაძვრინაო!

ასეთ შემთხვევაში სკამი ისევ პაღლა მოქცეულა!

სხვებს რას ვუყურებ, მგონი ისე მიდის ჩემი საქმე, მეც უნდა დავირტყა სკამი თავზე!

საერთოდ კი, ზურაბ ლეონტის ძის დაკვირვება ძირითადად სწორია — აღამიანმა იმისთვის მოიგონა სკამი, ზედ რომ დაჯდეს! ცუდი არც მისი შემდეგი დაკვირვებაა:

„პედაგოგს უფიცობა არ ეპატიება, უზნეობა კი მისთვის ათასგზის მიუტევებელია“.

რა იოლად ვთქვი, არა? — ცუდი არც ეს დაკვირვებაა-მეთქი. ჩვენ ის არის რომ არის, ისე არ ვაფასებთ, როგორც უნდა, თორემ ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს ეს დაკვირვება აღმოჩენადაც კი ჩაეთვლებოდათ!

ეს მაინც უნდა შევნიშნო ჩემს ფილოსოფოს ოპონენტს: ხანდახან ზგონი მეტისმეტი მოსდის!

„რა უნდა იფიქრონ ბავშვებმა, როცა დადი 'ხარზეიმით გახსნილ სკოლის შენობაში ორიოდ თვის შემდეგ საკლასო ოთახის კედელი მთვრალი კაცივით მოადენს ზღართანს იატაკზე და ქარიან ამინდში ფანჯრის ჩარჩო თავზე დაემსობათ პატარებს?“

პირველი, რაც ასეთ დროს უნდა იფიქრონ ბავშვებმა, ის არის, როგორმე ცოცხალი გაასწრონ! მერე, ვინც გაასწრებს, იმან იფიქროს და იტიროს მამების სამსახურებრივ დაუდევრობაზე!

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქარიან ამინდში ფანჯრის ჩარჩო

თავზე დაემხობათ პატარებს, ბავშვებს ს ა ფ ი ქ რ ა ლ ი აღარაფერი ექნებათ, უბედურ დღეზე გაჩეხილან და ეს არის...

ამ საყოველთაო მწუხარების უამს ყურში მინდა ვუჩურო ჩემს ოპონენტს: ჯერჯერობით კიდეც მეტი უნდა იფიქროთ იმაზე, რაზედაც წერთ!

მართალია, ბევრი წვალბნთ, მაგრამ ბოლოს იმდენი მაინც მოგასერსე, მკითხველისთვის ცოტაოდენი წარმოდგენა შეემქმნა იმაზე, ვისაც ვეკამათებ!

რა თქმა უნდა, ჩემი ოპონენტის პორტრეტი, ჯერჯერობით, მთლად დასრულებული არ არის, მაგრამ ამ კუთხით მუშაობას, პარალელურად, კვლავაც განვაგრძობ.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ მეკამათება ზურაბ ლეონტის ძე.

მე არ ვიცოდნი, თორემ ისიც ნოვატორი პედაგოგების მიმდევარი ყოფილა!

აი, როგორ გვაცნობს იგი თავს:

„ნოვატორი პედაგოგებისადმი ჩემი ღრმა რწმენისა და ერთგულების მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ახალ პედაგოგიურ კონცეფციებს, სწავლებისა და აღზრდის მეთოდოლოგიებსა და მოდერნისტულ სასკოლო პრაქტიკას აუცილებლად ექნება ნაკლი, რომელსაც ჩვენ, — მოსი მიმდევრები ვერ ვამჩნევთ“.

ეს წინადადება არც სტილისტურად და არც პუნქტუალურად რომ არ ვარგა, ეს ე ნ ი: ეტყობა, ვერ ამჩნევენ!

ასე შეყვარებულებს ემართებათ — სატარფოს ვერავითარ ნაკლს ვერ ამჩნევენ!

და თუ ასეთ შემთხვევაში „ბრმა სიყვარული“ გამართლებულია, ასევე ვერ ვიტყვით ისეთ სერიოზულ მეცნიერებაზე, როგორც პედაგოგიკა!

ამიტომ, ალბათ, აჯობებდა, ვიდრე ჩვენს მიერ შექმნილ ნოვატორულ პედაგოგიკას ასე თავდავიწყებით შევიყვარებდით, ვინმესთვის გვეკითხა: მართლა ასე სრულყოფილია იგი თუ არა!

ეტყობა, ამაზე ახალი პედაგოგიკის მიმდევრებსაც უფიქრიათ. ჩემი ოპონენტი გულისტყვივლით წერს: „სერიოზული ოპონენტების გამოჩენა, მათთან დავა-კამათი ისეა, როგორც სარგებლობას მოიტანს“.

მე, ჩემი ჰკუთ, კი გავაკრიტიკე ამ მეთოდით შედგენილა სა-

წელმძღვანელო, მაგრამ, ეტყობა, ისინი „სერიოზულ ოპონენტად“ არ მთვლიან. არც დაუმალავთ, პირდაპირ მითხრეს: აქვს თუ არა საამისო მომზადება თამაზ წიფწივაძესო.

მე თუ არა მაქვს, ეს ჩემთვის იქნება საწყენი, თორემ იმდენი კი ვიცი — ქვეყანა არც ჩემით იწყება და არც ჩემით მთავრდება! შე არა მაქვს, სხვას ექნება!

„სამწუხაროდ, ამგვარი ოპონენტები ჩვენს პედაგოგიურ სფეროში არ ჩანან“, — წერს ზურაბ ლეონტის ძე და ეს კი მართლაც სამწუხაროა!

მაგრამ საქართველოში „პედაგოგიური სფეროს“ გარდა სხვა სფეროებიც ხომ არის და, ღმერთმა ნუ ქნას, თითო-ოროლა ჭკვიანი კაცი რომელიმე დარგში მაინც არ გვეყავდეს!

„როგორც ჩანს, ისინი ჯერჯერობით არც პედაგოგიური სფეროს გარეთ მოიძებნებიან“, — გადაწურა წყალი ჩემმა ოპონენტმა.

ვაი, შე საბრალო საქართველო, ამასაც მოესწარი!..

მაგრამ უფრო ცუდი დღეებიც ხომ გახსოვს, „მამულო საყვარელო“ არ წახდებ და არ შეშინდებ — ასწიე თავი მაღლა!..

შენ კი, ლეონტიჩ, ახალი პედაგოგიკის შესაფერად მოეწყე: დახარე თავი!.. დახუჭე თვალი!

თუ მზად ხარ, რაღაც უნდა გიჩუროხლო ყურში:

— კი, მაგრამ რად გინდოდათ იმნაირი მეთოდი, თუ თქვენს ჯარდა საქართველოში სხვა ვერაფერს გაიგებდა?!

ეს კითხვა ახალი „მეთოდიკის“ გათვალისწინებით დაგისვით!

ნება მომეცით, ძველი პედაგოგიკის საფუძველზე მოგმართოთ:

— იყავით ახლა მარტო და ეპუტუნეთ ერთმანეთს გინდა ყურში, გინდა...

ერთი სიტყვით, სადაც გინდათ!..



რაკი ჩემი ოპონენტი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატია, ალბათ, რომელიმე პედაგოგიური ინსტიტუტი ექნება დამთავრებული, თუმცა არა მგონია, განათლება ლოგიკის განხრით ჰქონდეს მიღებული, მაგრამ, როგორც ზრდასრულ კაცს შეჰფერის, რაღაც დონეზე ეს საგანიც ხომ უნდა იცოდეს?!

როგორ შეიძლება მთელ საქართველოში არ იყოს ერთი კაცუ მაინც, ვინც ამ „ნოვატორულ პედაგოგიკას“ ალღოს აუღებდა?!

მართლა რა შეიქენით ამისთანა?!

ჩემზე არ ვამბობ, მაგრამ ქართველი კაცი რომ ბუნებით ნიჭი- ვრია, ეს ახლა არავისთან შესათანხმებელი არ არის!

ყოფილა შემთხვევა, ამ ბუნებით ნიჭიერ ხალხს, როცა ღმერ- თიც შესწევია, ნებისმიერ დარგში მოუხდენია სასწაულები!

და რაღა მაინცდამაინც ამ ახალი „პედაგოგიკის“ შესწავლის დროს გამოვლენილთ?!

ანდა მართლა რა ისე ძნელი შესასრულებელია ბატონ ამონაშ- ვილის ეს მოკლე-მოკლე განკარგულებანი:

„დანარეთ თავები და დახუჭეთ თვალები!...“

„ასწიეთ თავები და მიპასუხეთ“.

„პასუხი ყურში მიჩურჩულეთ“.

„ასწიეთ თავები და შეხედეთ!“

„მარიკა, ჩამოხტი, თუ შეიძლება, მუხლებიდან!“

აი, ნანეთ? ჩვენ რომ თავები გვქონდა დახრილი და თვალეზო დახუჭული, პატარა მარაკას დრო უშოვია და შალვა მასწავლე- ბელს კალთაში ჩაჯდომია!

როცა ეს შალვა მასწავლებელმა შეამჩნია, უკვე გვიან იყო: ბავშვს საგანგებო თხოვნა დასჭირდა — „მარიკა, ჩამოხტი, თუ შე- იძლება, მუხლებიდან!“

მარიკა ჭკვიანი გოგოა და კა ჩამოხტება მასწავლებლის მუხლე- ბიდან, მაგრამ მერე თინიკო ახტება, ზურიკო ახტება, ზაზა ახ- ტება... იმიტომ, რომ ახალი „პედაგოგიკა“ ასე ზრდის მათ!

შალვა მასწავლებლის არითმეტიკის გაკვეთილი ხომ გახსოვთ, ახლა ერთი-ორი გაკვეთილის დეტალი კიდევ ენახოთ ამ ახალი- „პედაგოგიკიდან“.

„ილიკომ და გოჩამ იქვე გაუცვალეს ერთმანეთს საღეჭი რეზინა და კანფეტი. ილიკომ მონჰანსიე მაშინვე პირისკენ გააქანა, გო- ჩამ კი საღეჭი რეზინა გოგონებსაც გაუწილადა, ერთი ციციქნა კი მეთ შემომთავაზა.

— გმადლობ! — და რეზინის ლექვას შევუღდექი, — ძალიან გემრიელია!“

ვიღრე ბატონი შალვა საღეჭი რეზინით თავს შეიქცევდეს —

კარგია, რომ იგი გემრიელი გაჰოდგა! — მანამდე ამის მსგავსი სხვა შემთხვევაც გავისწავლოთ.

„მოსწავლე კამფეტს წუწნიდა. მასთან ახლოს მივედი. მან პირიდან გამოიღო ნაწუწნი კამფეტი, გატეხა ორად, ნახევარი მე ჩამიდო პირში, ნახევარი კი თვითონ ჩაიღო. მე დავიწყე კამფეტის წუწნა. შეიძლება თქვან: ეს ანტიჰიგიენურიაო — ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სამაგიეროდ უაღრესად პედაგოგიურია“.

სწორედ რომ პირიქით — არაპედაგოგიურია!

რომელი ჟან-ჟაკ რუსოს პედაგოგიურ იდეებზე აღზრდილი მე ვარ, მაგრამ, ჩემი კვებით, მაინც მგონია, მასწავლებლას ეს საქციელი სწორედ... არაპედაგოგიურია!

და აი, რატომ!

ერთ ბავშვს რომ კამფეტი გამოართვა, პირში ჩაიღო და ამით „მეგობრული“ ურთიერთობა დაამყარა მასთან, ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ვის-ვის და, ბატონ შალვას ხომ მაინც მოეხსენება, რომ ბავშვის უპირველესი თვისება მიბაძვაა!

ჰოდა, მეორე დღეს რომ ოცდაჩვიდმეტივე მოსწავლის მირთმეული კამფეტების წუწნა მოუწევს, ჯერ როდის დაღეჭავს და მერე — მოერევა კი?

მერე თუ რომელიმე ბავშვი მაინც ხელნაკლე ოჯახიდან არის იმან თბილისის „ნუგა“ მიაწოდა, მეყოლე კარგად! უფრო სწორად, ბატონი შალვა მასწავლებელი მეყოლოს კარგად! — საბუნებისმეტყველო, ზუსტად მაქვს გამოთვლილი, იმის დაღეჭვას მოუნდება!..

ჩემი ოპონენტი სხარტი გონებით მაინცდამაინც არ გაპირობნევა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ამ კუთხით თავი არ ვამოუჩენია, მაგრამ ხომ შეიძლება აქ, ამ მომენტში, დრო იზოვოს და შიშხარას — სულაც არ არის აუცილებელი მასწავლებელმა „ნუგა“ ბოლომდე გაღეჭოსო!

ნურას უკაცრავად! ძალიანაც რომ უნდოდეს, ბოლომდე მაინც ვერ გაღეჭავს! მაგრამ ეს რა შეღავათია! რომ მოხერხდებოდეს, ბოლომდე გაღეჭვა ურჩევნია! უფრო ნაკლებ დროს დახარჯავს. დაასლოებით ორჯერ მეტ დროს მოანდომებს ღეჭვადანწყებული „ნუგის“ კბილებიდან ამოგლეჯას! რასაკვირველია, თუ ასეთი რამ საერთოდ მოახერხა!..

უნც ვერ მოასწრო და „ნოვატორულ პედაგოგიკას“ აქამდე არ გაცნობია, შეიძლება გადაჭარბებულადაც კი მოეჩვენოს ბატონ შალვა ამონაშვილთან ჩემი ასეთი შეხუმრება.

არადა, ყოველი სერიოზული ამბის სასაცილოდ და სახუმაროდ გადმოცემა ამ ახალი მეთოდიკის საფუძველთა საფუძველია!

ამ დასკვნამდე ბატონი შალვა ბავშვებთან წლობით მუშაობამ მიიყვანა.

„გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სიცილი არა მარტო სტიმულს აძლევს შემეცნებით პროცესს, არამედ თვითონვეა შემეცნების ერთ-ერთი საშუალება და შედეგი... ბავშვების ხალისიანი სიცილი ჩემთვის მნიშვნელოვანი პედაგოგიური პრობლემაა. ისინი ჩემს გაკვეთილზე „სერიოზულად“ იცინიან...“

ასე არ იყო აგერ ახლა, ბატონ შალვას ჩატარებული გაკვეთილი რომ მოვისმინეთ, ჩვენც ხომ ბევრი ვიცინეთ! აბა, სხვა რა დავაშავეთ...

„მე მათ ვაჯალებ მოიფიქრონ მოთხრობები „სასაცილო“ შინაარსის სურათების მიხედვით და კლასში სიცილი იფეთქებს... ისინი იცინიან მაშინაც, როდესაც ვთხოვ თვითონ მიკანრაახონ მაგალითები, რომლებსაც საგანგებოდ შეცდომით ამოვხსნი. ჩემს „შეცდომებს“ რომ იპოვნიან, სიცილით დამიწყებენ მტკიცებას, რომ არა ვარ მართალი. ჩემი აზრით, სიცილი პოზიციის დამკვიდრებისა და რწმენისგამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა“.

გამჩენმა გიშველოთ, ბატონო შალვა!

თუ ღმერთმა მეც მისმინა და ჩემი კრიტიკული წერილები ახალ პედაგოგიურ მეთოდიკას მოვარგე და სერიოზული ამბების სახუმაროდ გადმოცემის თქვენეულ მულამს მეც ვეზიარე, მერე ნახეთ ჩემი მკითხველების სიცილი!..

მაგრამ, ეტყობა, ეს ძნელი საქმეა, რადგან ამას ყოველთვის თქვენი მიმდევრებიც ვერ ახერხებენ!

თქვენი მიმდევარი და ჩემი გამომდევარი ზურაბ ლეონტის ძე მყავს მხედველობაში!

აი, როგორ ხუმრობს იგი:

„ნიჭიერი კაცი მეტწილად ჩუმად აკეთებს საქმეს, არ ხმაურობს, და, სამწუხაროდ, ჩუმი კაცის დამფასებელი ხშირად როდი ჩნდება“

ბა. ამიტომ აზრს მოკლებული არა მგონია ერთი შეგონება: და-
ეხმარე ნიჭიერს, უნიჭობა გზას თვითონ გაიკვლევს.

ხ უ მ რ ო ბ ა ი ქ ი თ ი ყ ო ს და...“

ღმერთო მომკალი! ამ კაცს თურმე უხუმრია და ჩვენ კი არა-
ფერი გავვიგია! შეიძლება კაცმა ცოტა ზემოთ იხუმრა-მეთქი და
მეც ზ ე მ ო-ზ ე მ ო ა ვ ყ ე ვ ი ნაწერს. ერთი გვერდი ვნახე —
არაფერი. მეორე გვერდს შუამდე ჩაყევი... უკაცრავად, ა ვ ყ ე-
ნ ი. კიდეც არაფერი! გავედი ბოლოში, პირიქით, ავედი თ ა ვ შ ი
და ამიტყდა სიცილი! უცნაური რამ აღმოვაჩინე: თუ გინდა, რომ
იციხო, ზოგის ნაწერს თურმე უკნიდან უნდა კითხულობდე, ე. ი.
ბოლოდან უნდა მოყვებოდე... სათაურისკენ!

როგორ ხუმრობს ჩემი ოპონენტი, ახლახან ვნახეთ.

ახლა ვნახეთ, როცა სერიოზულად წერს;

იგი ერთგან იმოწმებს დიდი ბელადის სიტყვებს და მერე ასეთ
კომენტარს უკეთებს:

„ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები დღეს უფრო აქტუალურად ჟღერს,
ვიდრე მაშინ, როცა დაიწერა“.

მე მევალება, ჩემი ოპონენტის ყოველ აზრს ყურადღებით მო-
ვეკიდო, მაგრამ მაინც მგონია, ვ. ი. ლენინის ნაშრომში დასმული
საკითხი მაშინაც აქტუალური იქნებოდა, თორემ იმ პერიოდში,
როცა ამხელა ქვეყნის ყოფნა-არყოფნა წყდებოდა, დედამიწის
ზურგზე ყველაზე მოუცლელი კაცი ამაზე დროს რატომ დაკარ-
გავდა?!.

ზურაბ ლეონტის ძევ, ახლა დახუკეთ თვალი, დახარეთ თავი!
არა, ძმაო, ცუდი არაფერი იფიქროთ! თქვენ თქვენი „მეთოდო-
კის“ შესაფერისად მოეწყვეთ, მე კი ყურში გიჩურჩულებთ:

შე კაი კაცო, რა შენი ჭკუის საქმეა ან რა შენი განსასჯელია —
ვ. ი. ლენინის სიტყვები დღეს უფრო აქტუალურად ჟღერს თუ მა-
შინ, როცა დაიწერა!..

ესეც, რა თქმა უნდა, ახალი „პედაგოგიკით“.

„ტრადიციული“ მეთოდოკით კი ასე გეტყობდი — სხვა საქმე
არა გაქვს ამას რომ არ დაუწყო კირკიტი?!

* * *

ეს კაცო, რომელიც, როგორც ვნახეთ, მარქსიზმის კლასიკოსთა
შრომებსაც არ ღებულობს უშენიშვნოდ, პირდაპირ შეყვარებულია

თავის დიდ მასწავლებელზე — ბატონ შალვა ამონაშვილზე! არის თუ არა საჭირო, არის თუ არა საამისო დრო, ერთთავად იმის ცდა-შია, როგორმე შეაქოს იგი!

მე არ ვიცი, შეიძლება გულწრფელად უყვარს, შეიძლება ასეა საჭირო!

ამიტომ მე, რაც ვიცი, იმას მოგახსენებთ — ზურაბ ლეონტის ძეს ჯერ შემთხვევა არ გაუშვია ხელიდან, პროპაგანდა არ გაეწია „ახალი მეთოდის“ სასარგებლოდ!

„ამჟერად ჩვენი გულისყური კვლავ რეფორმის კარდინალურ ამოცანათა გადაწყვეტიცენ არის მიპყრობილი. ამიტომ ასეთ მასშტაბურ კითხვას დავსვამ: რა გააკეთა პედაგოგიკის მეცნიერებამ (კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში) სასკოლო რეფორმის განხორციელების ნეცნიერული უზრუნველყოფისათვის?“

ასეთი მასშტაბური კითხვა დასვა ჩემმა ოპონენტმა და იქვე უპასუხა:

„თუ დაწყებით კლასებში სწავლების ინტენსიური მეთოდების დამუშავებას არ მივიღებთ მხედველობაში... სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით“.

ხედავთ, როგორ ყოფილა საქმე დაქცეული! მაგრამ ნუ შეგვეშინდება, ზურაბ ლეონტის ძეს „გამყოლი გული“ ნამდვილად არა აქვს — დღეს გააკრიტიკებს, ხვალ შეაქებს...

აი, რას წერს იგი სხვა სტატიაში:

„განათლების სისტემის ხელმძღვანელი ორგანოების მთელი საქმიანობა ახლა უმთავრესი სტრატეგიული მიზნის — სასკოლო რეფორმის განხორციელებისაკენ არის მიმართული. განგებ თუ არ დახუჭავ თვალს, არ შეიძლება ვერ დაინახო ამ მუშაობის მასშტაბი. ჩვენა რესპუბლიკაში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება“.

როგორ მოგწონთ, ზემოთ წერდა: სანუგეშოს ვერაფერს გეტყვითო.

როგორ მოგწონთ, ქვემოთ წერს: თუ განგებ არ დახუჭავ თვალს, არ შეიძლება ვერ დაინახო ამ მუშაობის მასშტაბიო.

ამიტომ გეუბნებოდით, რაკი ჩემი ოპონენტი პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია, რომელიმე უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი კი ექნება დამთავრებული, მაგრამ არა მგონია, ლოგიკის განხრით ესწავლოს-მეთქი!

თუმცა ორსავე შემთხვევაში, თუ განათლების სისტემა ჯერჯერობით თავზე არ დაგვეზოვია, ერთადერთ კაცს — შალვა ამონაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ!

„საბედნიეროდ, ქართულ პედაგოგიკის მეცნიერებასაც ჰყავს ისეთი წარმომადგენლები, რომელთა კვლევა-ძიების მასშტაბი უშუალოდ მეცნიერულია. აი, განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიაში დამუშავდა დაწყებითს კლასებში სწავლების ინტენსიური მეთოდები, რომლებიც თავმოყრილი და შესანიშნავად განზოგადებულია... წიგნში „გამარჯობათ, ბავშვებო!“

ზურაბ ლეონტის ძე შესაშურ გულმოდგინებას იჩენს, ეს წიგნი როგორმე ქართულ ენაზეც რომ გამოვიდეს!

არა ერთხელ უთქვამს და დაუწერია — „კარგი იქნება, თუ დაჩქარდება ქართულ ენაზე მისი დასტამბვა“.

ინტერვიუში, რომელიც შალვა ამონაშვილს ჩამოართვა, გულსტიკივით მიმართავს ავტორს: „ქართულ ენაზე თქვენი წიგნი არ გამოვიციათ... ისე კი ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენი პედაგოგიური გამოცემლობები მაღალმეცნიერული პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემით იყვნენ გადატვირთულნი“.

აი, ასე სისხლზორცეულად არის დაინტერესებული ჩვენი ოპონენტი, რომ ბავშვებს ხელთ ჰქონდეთ კარგი წიგნი!

ახლა მკითხველს ისე ვერ გავუთამამდები, რომ ვთხოვო — დახუჭოს თვალი, დახაროს თავი, თორემ... ერთ საიდუმლოს გავანდობდი:

წიგნი, რომლის ქართული ვარიანტის გამოცემაზეც თავს იკლავს ზურაბ ლეონტის ძე, მისი თარგმნილია!

უკვე ძნელი მისაწვდერი აღარაა, რატომ შეკამათება ჩემი ოპონენტი!

ახლა ისლა დამრჩა გასარკვევი, რა საბუთებით შეკამათება!

* * *

ვინც ადამიანის ფსიქოლოგიაში ოდნავ მაინც ერკვევა, ის მიხვდება, ამ წერილის დაწერი კაცი (ჩემი რომ არის, იმიტომ არ ვამბობ!), არ შეიძლება ვინმესთან მტყუანი იყოს!

სად ვაგიგიათ, კაცი დამნაშავე იყოს და ისე ლაღად იქცეოდეს, როგორც მე ამ წერილში! — ნებისყოფის დაძაბვით, შეიძლება, თავსაც მოერიო და არაფერი შეიმჩნიო, მაგრამ სილაღე მაინც მართალი კაცის თვისებაა!

არავინ მაძალებდა, მაგრამ მე აქამდე მკითხველთან საუბარში ნებაყოფლობით საფუძველზე ვიცინოდი — აღარც მახსოვდა, დამნაშავეის სკამი რომ მელოდა! არც ამის შემდეგ მინდა, გუნება გაგიფუჭოთ, მე მალე ვიმართლებ თავს და, თუ „სამართალში“ ნამყოფ კაცს იკადრებთ, თქვენს მხიარულ კამპანიას ისევ შემოგუეროდები.

თუ გახსოვთ, პირველი კლასებისთვის განკუთვნილი საექსპერიმენტო კრებულის „ჩირალდანის“ გაკრიტიკებისთვის მე ჩემმა ოპონენტმა, ზურაბ ლეონტის ძემ ხუთი პუნქტისგან შემდგარო ბრალდება წამომიყენა!

არც მეტი, არც ნაკლები!

მე თუ მოვახერხებ და ხუთივე ამ ბრალდებას გავაბათილებ, რებლიკის ავტორს ჩემს მიმართ სხვა პრეტენზია არ გააჩნია.

და ჩემი კრიტიკული წერილიც „გამარჯობათ, ბატონო შალვა“² ისევე უტყუარ დოკუმენტად დარჩება, როგორც დაიწერა.

ახლა ზურაბ ლეონტის ძეს ვთხოვ, დაიწყოს და საკუთარი პრეტენზიები თანმიმდევრულად წამომიყენოს!

პირველი ბრალდება:

„თამაზ წიგწივაძე თავის ვრცელი სტატიის დასასრულს წერს: „ამ წერილს ერთადერთი მიზანი აქვს, — ეს ყოვლად უვარგისი კრებული როგორმე ბავშვებს აარიდოს“.

კრიტიკოსი ცოტა მეტად რომ განძრეულიყო, ადვილად დაადგენდა, რომ მის მიერ გაკრიტიკებული კრებული გამოსულია ხმაურებიდან“.

ჩემს ოპონენტს, მათი მეთოდის გათვალისწინებით, „ჩუჩულით, მშვიდად, მცირე პაუზებით“ მინდა, ვუთხრა: განათლების სისტემაში ათობით სუსტი სახელმძღვანელოა, წლოზით რომ ასწავლიან სკოლებში. თქვენ რა კრებული შეადგინეთ ისეთი, ერთ წელიწადს რომ ვერ გასძლო?!“

ანდა რა გიხარიათ, სიამაყით რომ აღნიშნავთ: „გაკრიტიკებული წიგნი გამოსულია ხმარებიდან!“

აბა ერთი, ზურაბ ლეონტის ძე, იმ ჩვენს აღრინდელ ამხანა-

გობას გაფიცებ, ყურში მითხარი: როდის გამოვიდა ხმარებიდან? მე რომ გავაკრიტიკე, მერე?

მერედა, თქვე კაი ხალხო, ამისთვის ჩემი მადლიერი არ უნდა იყოთ?

ახლა, მკითხველმა რომ არ გაიგოს, ძლივს გასაგონი ჩურჩულთ გეტყვი:

კი, მაგრამ ხმარებიდან გამოსული კრებული განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სახელმძღვანელოთა კონკურსზე როგორ წარადგინეთ?!

პირველ პუნქტში შემავალ მთავარ ბრალდებას „ქვებრალდება“ ახლავს:

„ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ამ „ყოველად სუსტ კრებულში“ ასამდე საკითხავი და განმავითარებელი შინაარსის მასალა — მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის, შიო მღვიმელის, ლევ ტოლსტოის, ნინო ნაკაშიძის, იროდიონ ევლოშვილის, როდიონ ქორჭიას, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მირცხულაეას, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, გიორგი წერეთლისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს უმთავრესი ადგილი უკავია“.

ჩემმა ოპონენტმა კრებულში დაბეჭდილი „სხვა გამოჩენილ ქართველი მწერლები“ აღარ ჩამოთვალა!

და თუ იცით, რატომ?

თვითონვე მიხვდებით, როცა აქვე, „ჩირაღღანში“ დაბეჭდილ „სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა სიას“ მოვაწვდით! ვლ. ასლამაზიშვილი, ა. ართილაყვა, ს. რემონიძე, თ. კანდელაკი, ი. სიხარულიძე, თ. კუპრავეა, ნ. ბეზარიშვილი, ქ. ჭილაშვილი, დ. თურდოსპირელი, გ. შეთეკაური, ნ. ნარსია, თ. ჩხაიძე, ე. ბართაია, გ. ტოგონიძე, ალ. მირიანაშვილი, გ. კანანელი, ვ. თორღუა, შ. გიგაშვილი, გ. პაპიაშვილი, პ. ლეთოდიანი, ვ. მეხაშიშვილი...

მე არ ვამტკიცებ, აქ ჩამოთვლილი ავტორები გამოჩენილი ქართველი მწერლები არ არიან-მეთქი, მაგრამ ჩემთვის ვინმეს რომ ეთხოვა, „უცნობი მწერლების ენციკლოპედია“ შევადგინოთ, ძირითადად ამ სიით ვისარგებლებდი!..

ნ ე ო რ ე ბ რ ა ლ დ ე ბ ა :

„კრებულის სარჩევში მართლაც არის დასანანი შეცდომები, მაგრამ სწავლების შინაარსისა და დონის შეფასებისას პირველკლასელთათვის განკუთვნილი წიგნის სარჩევს განა შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ამის გამო ზარები დავარისხოთ?“

ამ ბრალდებას „მცირე“ რედაქცია ჭირდება: კრებულის „სარჩევში“ კი არ არის დაშვებული დასანანი შეცდომები, როგორც ამას ოპონენტი წერს, არამედ საკუთრივ კრებულში! როგორც ამას მე ვწერდი!

ბედი არ გინდა კაცს? ამ წიგნში რაც მომწონდა, ეს „სარჩევი“ იყო!

აი, ნახეთ, რა სისარულით აღენიშნავდი ამას:

„საექსპერიმენტო კრებულში „სარჩევი“ მარტო იმას კი არ ნიუთითებს ნაწარმოები რომელ გვერდზეა დაბეჭდილი (ამას ადრეც აკეთებდა!), არამედ იგი გამოყენებულა, არც მეტი, არც ნაკლები, დაშვებული შეცდომების გასასწორებლად“.

რაკი ამ საკითხზე ჩემი აზრი იცით, ზურაბ ლეონტის ძის მეორე ბრალდება: „წიგნის სარჩევს განა შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ამის გამო ზარები დავარისხოთ?“ — ცოტა სასაცილოდაც ხომ არ გამოიყურება?

მ ე ს ა მ ე ბ რ ა ლ დ ე ბ ა :

„მეც ვეთანხმები კრიტიკოსს, რომ ვ. მეხაშიშვილის ლექსი „კოსმოსის შევარდნები“ მხატვრულად ერთობ სუსტია, მაგრამ მისი შინაარსის შეფასებაზე სხვა შეხედულება მაქვს“.

ჩემო ძვირფასო ზურაბ, შეიძლება, გენიალურ ლექსს შინაარსი საერთოდ არ ჰქონდეს, ოღონდ პირიქით ნამდვილად არ შეიძლება: მხატვრულად სუსტ ლექსს „გენიალური შინაარსიც“ რომ ჰქონდეს, ის ლექსი აღარაა!

ამიტომ ჩვენი დავა, წესით, აქ უნდა დამთავრდეს, მაგრამ ძველი ამხანაგობის ხატობით, ბოლომდე მოვისმენთ, ბრძანეთ!

„თამაზ წივწივაძე სწორედ ამ ლექსის შინაარსის კრიტიკას უთმობს კარგა ვვარიან ადგილს თავის წერილში და დაასკვნის: „სამწუხარო ის არის, სკოლაში ბავშვებს ტყუილს რომ ვასწავლით!“

ეს საყვედური პირველად რომ მოვისმინე, ვიფიქრე, რაკი ჩემი ნათქვამი არ მოსწონს, იქნება ახალი პედაგოგიკით სკოლებში ტყუილის თქმაც დააკანონეს-მეთქი! მაგრამ მართალი არ აღმოვჩნდი — „ბავშვებს თუ ტყუილს ვასწავლით, ნამდვილად დასანანია“, მხარზე ხელი მომითათუნა ჩემმა ოპონენტმა!

მერე კი ჩვეული პირდაპირობით გამომკითხა:

„მაგრამ რას ეუბნება „კოსმოსის შევარდნების“ ავტორი ბავშვებს? კოსმოსის ათვისების მედროშე გახდა საბჭოთა ქვეყანაო... განა პირველი კოსმოსური რაკეტა საბჭოთა კავშირში არ შეიქმნა, რომელმაც პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაიყვანა ორბიტაზე? განა პირველი კოსმონავტი საბჭოთა მოქალაქე არ იყო? მთვარეზეც პირველად საბჭოთა მართული აპარატი დაეშვა“.

ეტყობა, ჩემს ოპონენტს მე თავის აღსაზრდელებში აცერიე! თორემ მოზრდილ კაცს ამას არ შემეკითხებოდა — ჩვენი ქვეყნის ეს მიღწევები მეც ხომ ვიცი! ამიტომ ვანო მეხაშიშვილის ლექსში მართო ამაზე რომ ყოფილიყო საუბარი, მე სულელი ხომ არ ვგონივარ, მეთქვა: „სამწუხარო ის არის, სკოლაში რომ ტყუილს ვასწავლით!“

ბა, გაეიხსენოთ ის ლექსი და ვნახოთ, რა წერია იქ:

„კაცმა დაიპყრო სამყარო,
გახდა სტუმარი მთვარისა...

.....

ჩვენი საბჭოთა ქვეყანა
გახდა მედროშე ამისა“.

ამ ლექსის შინაარსი რომ კაცს მოეწონება და გაზეთში საჯაროდ იტყვის: „მისი შინაარსის შეფასებაზე სხვა შეხედულება მაქვს“, — ამ გემოვნების მქონე ადამიანს რომ ამდენ ხანს ეკამათები, კიდევ ჭკუაზე რომ ვარ, არ გიკვირთ?!

მე ეს კაცი ვერაფერში დავაჭერე! იწამეთ ღმერთი და ვილაცამ მაინც უთხარით, „მთვარეზე პირველად საბჭოთა მართული აპარატი რომ დაეშვა“, მე ეს კი არ გამიხდია საეჭვოდ, არამედ აღაშინა რომ მთვარეზე დაჯდა, ანუ როგორც ამას მეხაშიშვილი იტყოდა — გახდა სტუმარი მთვარისა, — ეს არ არის მართალი! „ჩვენი საბჭოთა ქვეყანა“ ამის „მედროშე“ არ ყოფილა!..

უფრო მეტიც, საბჭოთა ადამიანს ჯერაც არ დაუდგამს მთვარეზე ფეხი!

მეოთხე ბრალდება:

„როდესაც დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის საკითხავი წიგნი იქმნება, ბევრი რამეა გასათვალისწინებელი... დღევანდელი ქართული საბავშვო მწერლობა დიდი არჩევანის შესაძლებლობას ვერ აძლევს პედაგოგს“.

უფრო ზუსტად, დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის კარგი საკითხავი წიგნი ვერ შეიქმნება „ქართული საბავშვო ლიტერატურის თემატიკური სიღარიბის გამო“-ო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ქართული საბავშვო მწერლობის თემატურ სიღარიბეს ჩემი ოპონენტი მარტო მე არ დამაბრალებს!

მე ვინ რას მეკითხება, თორემ ქართული საბავშვო მწერლობის ბაზაზე ისეთი საკითხავი სახელმძღვანელოს შედგენა შეუძლებელია, მოსწავლე კი არა, მასწავლებელიც ვერ გაძლება მისი კითხვით!

* * *

მეხუთე ბრალდება:

„თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ნოვატორული საქმიანობის გასაცნობად ნოდინ ამერიკიდან, ავსტრალიიდან, აზიიდან, აფრიკიდან, აღარაფერს ვამბო? საბჭოთა კავშირის შორეულ თუ ახლო კუთხეებზე. თბილისელ კაცს რა გაუჭირდა საიმისო, რომ აგერ ორიოდ ნაბიჯზე, საირმის ქუჩაზე ვერ მისულა?“

ჩემო ძვირფასო ზურაბ ლეონტის ძე, თუ გინდა, გეწყინოს, მე ამერიკელებს ვერ ავყვები. მაგათ დედამიწის ზურგზე უნახავი არაფერი დარჩენიათ, მე კი წინა შაბათ-კვირას ელისეს მინდვრებზე მინდოდა გასეირნება და მოუცლევლობის გამო იქაც ვერ წაველი!

ასევე დამემართა ამ ოთხშაბათსაც! ჩემი მეგობარი (იცნობ შენ იმას!) სათევზაოდ მიდიოდა ბერმუდის სამკუთხედში და მე ვერ წავყევი. ახლა ვჯავრობ, არ იფიქროს, შემეშინდა!

ასე შორს ვერ მივდივარ, თორემ...

საირმის ქუჩაზე, როცა გინდა, მაშინ ამოვალ, მაგრამ ბატონ შალვას გაკვეთილებს ტელევიზიით რომ ვისმენ? საღეჭი რეზინისა და მონპანსიეს საწუწნად კი მაგ. სიმაღლეზე ნუ ამომიყვან!



აი, მეგობრებო, ის ხუთი ბრალდება, რომელთა გამოც ხელათმანი მესროლეს!

ახლა, რაკი ყველაფერი გაირკვა, თქვენ გეკითხებით, ყურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ზურაბ ლეონტის ძე ცუცქირიძეს ამის მეტი საქმე არაფერი ჰქონდა?!

მარტო იმის სათქმელად, ჩემს საყვარელ მასწავლებელს ხომ გამოვესარჩლეო, ამდენი დროის დაკარგვა ღირდა?!

კი გამოვესარჩლა, მაგრამ რა... ხელგვეყო?



თითქოს არაფერი, მაგრამ შენს ოპონენტთან ძირისძირამდე მართალი რომ აღმოჩნდები, მაინც გიხარია კაცს!

თანაც, ამასობაში, ისე შევეჩვიე ნოვატორულ „პედაგოგიკას“, რომ მისი ზოგი „ტექნიკური ილეთის“ გამოყენება დამოუქიდებლადაც შემიძლია!

— ასწიე თავი მაღლა! — ეს ახალი „მეთოდის“ საფუძველზე გაცემული ავტოგანკარგულებაა, რომლითაც საკუთარ თავს ვუბრძანე, ახლანდელი ჩემი მდგომარეობის შესაფერი პოზა მიმელო!

და ასე თავაწიულმა უნდა „ვუპატაკო“ მკითხველს, ამ წერილით ნაკისრი ყველა ვალდებულება შესრულებულია! მე ვაჩვენე, ვინ მეკამათებოდა, რატომ მეკამათებოდა, რასა საბუთებით მეკამათებოდა!

და მაინც, თავს უფლებას ვერ მივცემ, მკითხველს მცირეოდენი ინფორმაცია მაინც არ მივაწოდო ახალ ექსპერიმენტულ კრებულზე, რომელსაც ჩემი ოპონენტი მეტისმეტად მიქებს.

„ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია ახლა სრულიად სხვაგვარად, სხვა მეთოდურ პრინციპებზე აგებულ მასალებს იყენებს ექსპერიმენტულ პირველ კლასებში“.

კეთილი და პატიოსანი — ასე არ ჯობს! მეც ხომ ამაზე ვიკლავდი თავს!

„აკრატელი-მაკრატელი,
მე ვარ კოკროქინატელი“

წავიკითხე ეს და... ისევ გული მეტყინა! რაც უნდა „სრული-
ად სხვაგვარად“ ან თუნდაც „სხვა მეთოდოლოგიური პრინციპზე“ ააგო
სწავლება — აკრატელი-მაკრატელი, მე ვარ კოკ-
როჭინატელი — მაინც არ გამოადგება თანამედროვე ბავშვს
გემოვნების გასავითარებლად!

„ტყე-ველს თითქოს გადღეწა ოქრო,
მინდვრებს, კალებს ეუუუნ-ეუუუნ აწვიმს“.

და ასე, ეუუუნ-ეუუუნ მიჰყვება ძველი და ახალი შეც-
დომები ჩემი ოპონენტისგან მოწონებულ ახალ საექსპერიმენტო
კრებულს...

„გოქს შეეშინდა მანქანის,
დაუსუქუქდა ჭაგარი!“

გოქს ჭაგარი დაუსუქუქდა, მე კიდევ, ამის წამკითხველს, თმა
ყალყზე დამიდგა!

„გვაკეთე თანამგზავრი,
გავაფრინე ალაზანი!“

— მეც რომ არ გავაფრინო (არადა, ბევრიც აღარ მიკლია!), —
მინდა, ვკითხო ჩემს ოპონენტს. თუმცა ასე უბრალოდაც ვერ ვკი-
თხავ, რაკი პოეზიაზე ვსაუბრობთ და ამადლებული განწყობი-
ლება გვაქვს, ახალ „ჩირაღდანში“ დაბეჭდილი ლექსის
სტრიქონით მივმართავ:

„ვაეკაცო, ტურფად გაზრდილო...“, მართლა მოგწონს ეს ყვე-
ლაფერი?

თუმცა ვკითხავ და, მე შენ გეტყვი, ახალ ექსპერიმენტულ კრე-
ბულში საამისოდ საჭირო პასუხს ვერ იშოვის!

„— თუ ჰქვიანად იქნები,
მაგს გეტყვი შეიდშაბათს“.

ეტყობა, ჩემს ოპონენტს იოლად მოსაშორებელი კაცი ვგინი-
ვარ, ის კი არ იცის, კულის რიკამდე რომ ჩავსდევ!

უკვე ახალი შეკითხვაც გავამზადე:

კო, მაგრამ, ვაჟკაცო, ტურფად გაზრდილო, ვერ გვეტყვიით როდის იქნება შვიდშაბათი?

„აილა არა მცალია, —
მაგას გეტყვი არასდროს“

არ მეუბნება! მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი პოეზია ჩემს ოპონენტს მოსწონს!

ხოლო კრებულის შემდგენლებს რომ მოსწონთ და მოსწონთ, ამიტომაც შეიტანეს ასე უყოყმანოდ „დედაენის“ შემცველ სახელმძღვანელოში!..

* * *

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმასთან, რაც იქ, ახალ ექსპერიმენტულ სახელმძღვანელოში წერია!

რა თქმა უნდა, მე მესმის, რომ ჩემს ამ სახელდახელო განცხადებას კრებულის შემდგენლები არ დაეთანხმებიან, ამიტომ ამ თემაზე საუბარს უახლოესი მომავლისთვის გადავდებ. მანამდე კი ბატონ შალვა ამონაშვილის ერთ აზრს ვაგაცნობთ:

„მოსამზადებელი კლასი ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ბავშვების ნაყოფიერი სწავლებისა და აღზრდისათვის...“

ეს მშვენიერი აზრია! მით უფრო, როცა კონკრეტულ საკითხს აყენებენ: „რა ჭირდება ბავშვს, რომ წარმატებით ისწავლოს?“

კითხვა მოსამზადებელი კლასის ბავშვებს ეხებათ და, მართლაც, საინტერესოა, რა უნდა იცოდეს ექვსი წლის ბავშვმა, რომ წარმატებით ისწავლოს პირველ კლასში!

მოვუსმინოთ ბატონ შალვას

„მან (ექვსი წლის ბავშვმა, — თ. წ.) აუცილებლად უნდა იცოდეს... საკუთარი შთაბეჭდილებებისა და აზრების წერილობით გადმოცემა; მას შემუშავებული უნდა ჰქონდეს გარკვეული თვალსაზრისები შესასწავლი საგნებისა და მოვლენების გაგებისა და ათვისებისათვის; უნდა შეეძლოს გამოყოს ეს მოვლენები თუ საგნები მიმდინარე პროცესებიდან და მრავალრიცხოვანი საგნებიდან; შეძლოს სიტყვიერად გადმოსცეს თავისი დაკვირვების შედეგები. ამ უნარების განვითარებულობის და მათთან დაკავშირებული ცოდ-

“ნის დაუფლების ხარისხი და დონე განსაზღვრავს სწავლისათვის ბავშვის მზადების არსს“.

მე ახლა საიმისო პირობას შეგიქმნით, კიდევ ერთხელ რომ წაიკითხოთ, რა ევალება ექვსი წლის ბავშვს! მერე, რასაც მე ვიტყვი, თუ გულწრფელი არ ვიყო, როცა ამქვეყნიდან სამუდამოდ წამასვენებენ, მკითხველის ცრემლი ნუ მელირსოს...

რასაც ბატონი შალვა ექვსწლიანებთან დაკავშირებით ბრძანებს, მე რომ ამდენი ცოდნა ჩემი ოპონენტისთვის შემემჩნია, როგორ ატყობთ, ხმის ამომღები ვიყავი?!

მე ახლა, რასაკვირველია, ვხუმრობ, მაგრამ სერიოზულადაც შინდა ვურჩიო, როცა ჩემს წინააღმდეგ სამომავლოდ ხმას აღიმალლებს, უფრო შეფოთიანად და ამალელვებლად გაიწეოს!

ახლა კი, ნება მომეცით, მოწაფესა და მასწავლებელს ერთნაირი პატივისცემით დავემშვიდობო:

— ნახვამდის, ბატონო შალვა!

— აჯიტატო, ზურაბ ლეონტის ძევ, აჯიტატო!..

„მძიმე ჯვარი“ და ჯვარცმული მკითხველი

მეტი გულახდილობისათვის თავიდანვე ვიტყვი:

რევაზ ჯაფარიძე ჩემი საყვარელი მწერალი არასდროს ყოფილა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია, მისი პიროვნული ღირსებების პატივისმცემელი რომ ვყოფილიყავი.

და მაინც, ამის გაგება მწერლისათვის სასიამოვნო არ იქნება. ნაგრამ არც ქვეყნის დაქცევად მიიჩნევს, რადგან შემოქმედი კაცისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება იმას — ერთი მკითხველით მეტი ეყოლება თუ ნაკლები.

სამწუხაროდ, მეტის თქმას ვაპირებ.

რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარმა“ იმაზე უფრო მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე მოველოდი.

მე მესმის, რომ ამისა მთქმელმა კრიტიკოსმა პასუხი უნდა აგოს.

პასუხი უნდა აგოს მწერლისა და მკითხველის წინაშე.

მორჩილად ვიღებ ამ პასუხისმგებლობას.

ზემოთ ნათქვამის გამო, ცხადია, მწერლისათვის სასიამოვნო ოპონენტი ვერ ვიქნები.

ამავე მიზეზით, ალარც მე მექნება შესაძლებლობა, გულნატკენი მწერლის ობიექტურობით რომ ვისარგებლო.

ამიტომ, კარგი იქნება, ჩვენს შუა მკითხველი ჩადგეს.

ეს საშუალებას მომცემდა, ყოველ სადაო საკითხზე მისთვის მიმემართა.

პატივცემულმა მწერალმა და, სხვათა შორის, მეც კარგად ვიცით — რა არის რომანი და როგორ უნდა იწერებოდეს იგი.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე მწერალთან თეორიულ დავას აზრი არ ექნება.

მე რომ ზოგადად ვამტყიცო „მძიმე ჯვრის“ ნაკლოვანებახი, ასევე ზოგადად ავტორსაც შეუძლია მისი დაცვა.

უსაფუძვლო დავის თავიდან ასაცილებლად სხვა გზას უნდა

დავადგე. იქნებ აჯობოს, კონკრეტული შავალითების მოხმობით ვაჩვენო სარეცენზიო რომანის სისუსტე. აქ მკითხველის შეწუხება იმისათვის დამჭირდება, რომ გავიგო — იზიარებს თუ არა მწერლის მისამართით გამოთქმულ ჩემს შენიშვნას.

ერთი სათხოვარიც მექნება.

თუ მოახერხებს, მწერლის მხარეს დადგეს — მე კი ჩემი სინდისისა და რომანის ანაბარა დამტოვოს.

* * *

რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარის“ გამოქვეყნებამდე, ჩვენში ამ სათაურის ნაწარმოები არსებობდა. ამიტომ თითქოს არაეითარ სპირობებს აღარ წარმოადგენდა წიგნის სახელწოდების გამეორება.

პატივცემულ მწერალს ამ ხერხით ადრეც უსარგებლია (გაგინსენოთ ლეონჰარდ ფრანკის „ჯარისკაცის ქვრივი“ და რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“) და აქ, ალბათ უკვე, ჩვეულების გამოვლენა უფროა, თორემ იმ ძალის მწერლისთვის, როგორც რევაზ ჯაფარიძეა, სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს (ამაში სხვა დროს არერთხელ დავრწმუნებულვართ) თავის ნაწარმოებს სხვებისგან განსხვავებული სათაური რომ დაარქვას.

მაგრამ ჩვენი საუბრისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ქართველი მკითხველი ამ სათაურის ნაწარმოებს აღარ მოელოდა, თორემ კარგი წიგნები სოლომონ მეფეზე მისი დიდი ხნის ოცნება იყო.

პატივცემულ მწერალსა და კრიტიკოსს, გიორგი ნატროშვილს, მიაჩნია:

„სოლომონ პირველის ცხოვრება და ბრძოლა თავის აღმწერელსა და მემკვიდრეს ელოდა“.

გაუმართლდა კიდევცო.

„მძიმე ჯვარი“ სწორედ ის წიგნია, სადაც მთელი სიმაღლით გამოჩნდა ეს ადამიანი და გამოჩნდა უმამაცესი ვაჟკაცი, რომელსაც — დადლილსა და ნაწამებს — ტანჯვით მიაქვს მძიმე ჯვარი ქართულ გოლგოთაზე“.

მწერლისა და მისი რომანის უფრო მაღალი შეფასება შეუძლებელიც კი ჩანს.

ამას რომ ვამბობ, იმავე წერილში გამოთქმული კრიტიკოსის სხვა აზრიც მაქვს მხედველობაში:

„რ. ჯაფარიძის რომანის პირველ და მეორე წიგნებში უკვე ჩანს ძირითადი კონფლიქტები ამ მართლაც შექსპირული მასშტაბის ტრაგედიისა“.

კრიტიკოსის ამ აზრს წიგნის ანოტაციაში შესული ერთი ფრაზა თუ გადააქარბებს, რომელიც, ეტყობა, პატივცემულ ავტორს ეკუთვნის, რადგან ყოველ გამოცემაში უცვლელად მეორდება:

„ამ წიგნში ცოცხლდება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო“.

მე ხმა არ ამომიღია, კრიტიკოსმა „მძიმე ჯვარი“ შექსპირული მასშტაბის ტრაგედიას რომ გაუტოლა.

ახლა უნდა ვთქვა, რომ ეს მეტისმეტია.

ამის მოქმედი მწერლის ღვაწლი არაფრად ნაკლები არაა იმ ადამიანის ტვირთზე, ვისაც ეს რომანი ეძღვნება!

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს გაცოცხლება, მას აქვთ, საუკუნეების მანძილზე, ვერ შეძლო მთლიანად აღებულმა ქართულმა მწერლობამ და ამას, მით უფრო მარტო, ვერ მოახერხებდა რევაზ ჯაფარიძე.

ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი ეჭვია.

სხვათა შორის, რომანის წაკითხვის შემდეგ, მე განსხვავებული აზრი გამიჩნდა.

ქვემოთ შევეცდები, ჩემი ეს აზრი მკითხველისთვისაც სარწმუნო გაეხადო.

* * *

რომანის ბოლოთქმაში კეთილსინდისიერად არის დასახელებული ის წიგნები და მეცნიერული ნაშრომები, ავტორს „მძიმე ჯვარზე“ მუშაობისას რომ გამოუყენებია.

ცოტა არ იყოს, ვრცელი სიაა და, ამ ლიტერატურის გაცნობა და შესწავლა დიდ დროსაც წაიღებდა.

„მძიმე ჯვარსაც“ ეტყობა, ავტორი ზღვა მასალას ნაჩქარევად რომ გასცნობია.

ერთი მაგალითი ვნახოთ, ამასთან დაკავშირებით.

„თეიმურაზმა ვახტანგის სიძობით ისარგებლა: რაკი კახელ ბატონიშვილს ნადირმა სპარსეთის ლაშქრობებში გაწეული ღვაწლი დაუფასა და ნიშნად წყალობისა ქართლი უბოძა, ისიც დაუყოვნებლივ გამოემგზავრა სამშობლოში და სვეტიცხოვლის დიდ ტა-

ძარში მეფედ ეკურთხა. ქართლის მეფე ვახტანგი, მტრისგან შორეული და დამხობილი. ამ დროს გადახვეწილი იყო სამშობლოდან და თავისი მრავალრიცხოვანი ამალითურთ, რუსეთის ძველ სატახტო ქალაქ მოსკოვში ცხოვრობდა“.

ეს ციტატა მხოლოდ ორი წინადადებისგან შედგება და, როგორ გგონიათ, რამდენი შეცდომა შეიძლება დაუშვა ორ წინადადებაში?

წინასწარ ამის ზუსტი განსაზღვრა გაჭირდება, ისე, თვალდათვალ ეტყობა, ცოტა არ უნდა იყოს.

1. „რაკი კახელ ბატონიშვილს ნადირმა სპარსეთის ლაშქრობებში გაწეული ღვაწლი დაუფასა და ნიშნად წყალობისა ქართლი უბოძა...“

აქ რამდენიმე შეცდომა შეერთებულია, ცალ-ცალკე დავალაგოთ.

ა). კახელი ბატონიშვილი ნადირს „სპარსეთის ლაშქრობებში“ არ ხლებია, რადგან ნადირი თავად იყო სპარსეთის შაჰი და ამიტომ ის, საკუთარის ნაცვლად, ბუნებრივია, სხვის ქვეყნებს დალაშქრავდა, ასეც იქცეოდა — კახელი ბატონიშვილი სალაშქროდ ინდოეთში ახლდა!

ბ). როცა თეიმურაზზე და მის შვილზეა საუბარი, მაშინ, კახელ ბატონიშვილში, მუდამ პატარა კახს გულისხმობენ.

ნადირმა კი ქართლის ტახტი ერეკლეს მამას — თეიმურაზ II უბოძა.

წინადადების მიხედვით, კი ისე გამოდის, თითქოს ნადირს ქართლის ტახტი ერეკლესთვის მიეცეს.

გ). „ისიც დაუყოვნებლივ გამოემგზავრა სამშობლოში...“
რომელი? თეიმურაზი თუ პატარა კახი?

მიუხედავად ამ გაურკვეველობისა, ვერც ერთი მათგანი „დაუყოვნებლივ სამშობლოში ვერ გამოემგზავრებოდა“, რადგან ისინი, მამაც და შვილიც, ორთავენი, კარგა ხანია, სამშობლოში იყვნენ.

2. „ქართლის მეფე ვახტანგი... ამ დროს გადახვეწილი იყო სამშობლოდან და... რუსეთის ძველ სატახტო ქალაქ მოსკოვში ცხოვრობდა“.

არც ეს ცნობა გახლავთ სწორი.

იმ დროს, როცა თეიმურაზი ქართლის ტახტზე (1744 წ.) დაჯ-

და, ვახტანგ VI მოსკოვში აღარ ცხოვრობდა, სამწუხაროდ, იმ ქვეყნად იყო წასული.

ესე იგი: მარტო სამშობლოდან კი არა, ამ ქვეყნიდანაც საერთოდ წასულა — შვიდი წელი იყო გასული, რაც ასტრახანის მიწაში იწვა...

ალბათ დამეთანხმებით, ორი წინადადების პირობაზე ამდენი შეცდომა ბევრია.

სხვათა შორის, ამ ციტატას ჰაიპარად დაწერილად ნუ მიიჩნევთ. ავტორი ამ სტრიქონებზე, სიზუსტის თვალსაზრისით, დიდ იმედს ამყარებდა.

ციტატას თავში საკმაოდ ხმამაღალი შეძახილი უძღვის, —

„და განა ეს მართლა ასე არ იყო?“

მე ზემოთ ვაჩვენე, რომ ასე ნამდვილად არ იყო.

* * *

აჰა ახგაფი სოლომონის ცოლუბისა, დედამიწვილიაზისა და
სამართოდ კოვიზროლას შვილიშვილიაზისა

„ვრცელი ეპიკური ტილოს შესაქმნელად, მკითხველიც უეჭველად დამემოწმება, მარტო სურვილი და მოწადინება არ კმაროდა. რომანის აღმართზე შედგომას წინ უძღოდა დიდი და აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ერის მიერ „სოლომონ დიდად“ შერაცხული მეფე სოლომონის გარშემო არსებული ლიტერატურის ძირფესვიან გაცნობაში გამოიხატა“ (რევაზ ჯაფარიძე).

ცხადია, სოლომონის გარშემო არსებული ლიტერატურის ძირფესვიან გაცნობას მწერალი ოჯახური გარემოთი დაიწყო.

„მძიმე ჯვარს“ ამ კუთხით სახელდახელოდ გადავხედოთ.

სოლომონი ტახტზე ჩვიდმეტი წლის ასაკში ავიდა და ამის შემდეგ დაქორწინდა. რომანში პირიქითაა: ჯერ დაქორწინდა და ტახტზე მერე ავიდა!

აქვე მეუღლის ვინაობაც უნდა გაიჩვენეს.

სწორი არ არის, თითქოს სოლომონის პირველი ცოლი, თინათი, ინალიშვილის ქალი იყო.

ეტყობა, ავტორს ეს ცნობა გადმოუღია ნიკო დადიანის წიგნიდან „ქართველთ ცხოვრება“. მაგრამ ამავე კრებულის უკან და-

თულ შენიშვნებში ამის ამოკითხვაც შეეძლო (შოთა ბურჯანაძის გვემიუტანელი მტკიცებით!), რომ თინათი შერვაშიძის ქალი იყო — აფხაზეთის მთავრის ასული!

(სხვათა შორის, ინალიშვილის ქალი ცოლად ჰყავდა კაცია და-ღიანს, თუმცა მალე გაეყარა და მეორედ იქორწინა ერეკლე მეორის დაზე — ელისაბედზე).

სამწუხაროდ, ეს „მცირე უზუსტობა“ შემდეგში დიდ შეცდომად გადაიქცევა.

საქმე ისაა, რომ თინათის გათხოვებამდე, და მერეც, უფრო ახლო ნათესავი არავინ ჰყოლია, ვიდრე მისთვის საკუთარი ქმარი, სოლომონ მეფე ყოფილა!

ცოტა უცნაურად კი გამოდის, მაგრამ რომანის მიხედვით რომ ასეა, აქვე შევამოწმოთ.

გურიიდან მობრუნებული არჩილ ბატონიშვილი სოლომონ მეფეს ატყობინებს: დედაჩვენის მოახლე, ხვაშაქი, გარდაცვლილა, სიკვდილის წინ „ლაპარაკში ცოტას ურევდა, სულ ცხონებულ ბეზიაჩვენს, კოჭიბროლას, და თინათის ახსენებდაო“.

ჰქუაზე აჭრილი ქალი ლაპარაკში ცოტას თუ ურევდა, დიდი ცოდვა არ არის, მაგრამ არ ურევს არჩილ ბატონიშვილი, იგი ძმას, სოლომონს, გარკვევით ეუბნება — ხვაშაქი ცხონებულ ბეზიაჩვენს, კოჭიბროლას ახსენებდაო.

აქ ბევრი არაფერია დასაზუსტებელი: კოჭიბროლა სოლომონის ბებია ყოფილა!

ახლა მწერლის მიერ მოწოდებული სხვა ცნობაც ვნახოთ.

„იგი (თინათი! თ. წ.) სულ პატარა იყო, ვარციხის სასახლეში რომ მოიყვანეს გურიიდან და სანამ თავის კანონიერ მეუღლესთან, გულის რჩეულ ბატონიშვილ სოლომონთან, სარეცელს გაიყოფდა, ღამ-ღამობით ბებია, ოდესღაც საარაკო სილამაზით განთქმული კოჭიბროლა, იწვენდა ლოგინში“.

ამ ინფორმაციიდან მე რაც მაინტერესებდა, ის გავარკვიე — კოჭიბროლა თინათის ბებია ყოფილა!

ახლა, რაც ზემოთ და ქვემოთ ფავარკვიეთ, ერთად გადმოვწეროთ.

1. კოჭიბროლა სოლომონის ბებია ყოფილა.

2. კოჭიბროლა თინათის ბებია ყოფილა.

როცა აღამიანებს საერთო ბებია ჰყავთ, ისინი ერთმანეთის ან:

დედამამიშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ან კიდევ: ბიძა-შვილ-მამიდაშვილები არიან...

საქართველოში კი ზემოთ ჩამოთვლილი ქრისტიანი. სისხლის-მიერი ნათესავები ერთმანეთში არ ქორწინდებოდნენ!

სამწუხაროდ, „მეფე სოლომონის გარშემო არსებული ლიტერატურის ძირფესვიანი გაცნობის“ მიუხედავად, მეფის მეუღლის ვინაობა გარკვეული არაა!

ოჯახური გარემო რადგან დედამამიშვილებსაც მოიცავს, სინათლის შეტანა აქაც საჭიროა.

რომანის მიხედვით, სოლომონი ალექსანდრე მეფის უფროსი შვილია. მომდევნო იესეა, უმცროსი — არჩილი.

ზოგი ისტორიული წყაროს მიხედვით ბატონიშვილებს ერთი ძმა კიდევ ჰყოლიათ, სახელად ბაგრატი, რომელიც სოლომონისა და არჩილის შუათანაა. მართალია, იგი, ჰამერის ცნობით, ძმის (სოლომონ მეფის) მოღალატე ყოფილა, მაგრამ ამისთვის ღმერთი დასჯის, ჩვენ კი დედამამიშვილებიდან არ უნდა გამოვწყვიტოთ!

ცხადია, ნაწარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, იესე უფროსი იქნება სოლომონზე თუ უმცროსი. მაგრამ როცა დაეწერთ, რომ იგი სოლომონზე უმცროსია, მაშინ სხვა გარემოებას მაინც უნდა გავუწიოთ ანგარიში.

კერძოდ იმას, რომ სოლომონის ტახტზე ასეღის მომენტში იესე ბატონიშვილი უკვე გელათის მიტროპოლიტია!

ეს კი, თითქმის შეუძლებელია... ასაკის გამო!

სოლომონი ჩვიდმეტი წლის გამეფდა. აქედან გამომდინარე, მისი უმცროსი ძმა, უკეთეს შემთხვევაში, თხუთმეტი წელს ცოტათი თუ იქნებოდა გადაცილებული!

ამ ასაკის სამეფო გვარის კაცი. შეიძლება ჯარის სარდალიც იყოს და დიდი სახელმწიფო მოხელეც, მაგრამ გელათის მიტროპოლიტი ვერ იქნება!

ტალანტის გარდა მიტროპოლიტობას, დროც ჰქირდება.

თუ მწერალი მაინც დაიყინებს — იყო, მაშინ ისიც უნდა თქვას, რანაირად იქნებოდა თხუთმეტი წლის „ბოვში“, როგორც თეოდორ წერს — გრძელი თმებით და წვერულვაშით დამშვენებული?

„გვანათელი მიტროპოლიტი იოსები, ერისკაცობაში იესე, თავ-შიშველი იყო, გრძელი შავი თმა მხრებზე დაჰფენოდა და მოკლედ

დაყენებული ბერული წვერითა და სახის ნაკვთების სინატიფით საკვირველად ჰგავდა სიკვდილის სარეცელზე მწოლარე მამას“.

იოსების მამასთან მსგავსება საეკვოდ არც მე გამიხდია: უფრო იმან დამაფიქრა რომანში, სხვა ადგილას, ამხნის ბიჭები ჯერ კიდევ პირტიტველები არიან: „თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილი იყო. ნიკაპსა და საულვაშეზე ძლივს ემჩნეოდა აჩხაბაჩსა ამოყრილი ქერა ბუსუსები“; თხუთმეტი წლის იოსები კი „ბერული წვერითაა“ შემოსილი!

წვერის ამოსვლასაც აღზეთ თავის დრო ექნება და რაღა მის ამოწვერას დიდი საეკლესიო თანამდებობაც ვერ დააჩქარებს, ხომ არ აჯობებდა, მწერალს ძმების ასაკობრივი თანმშინდევრობა მეტი სიზუსტით გაერკვია?

მეფე სოლომონმა სამჯერ იქორწინა:

პირველად — აფხაზეთის მთავრის, შერვაშიძის ასულ თინათი-ზე.

მეორედ — სამეგრელოს მთავრის, დადიანის ასულ მარიამზე.

მესამედ — ქაჯაიას ნაქვრივალზე (ბერი წულუკიძის და იყო, ქალიშვილობის სახელით გულქანი — მაკრინე დედოფლად წოდებული).

რომანში მეფის ყველა ქორწინება რატომღაც მცდარად არის გაგებული. პირველი ცოლი, შერვაშიძის ასული თინათი, იწალიშვილის ქალი გონებიათ.

სამეგრელოს მთავართან დამოყვრება სოლომონს თითქოს იმისათვის დასჭირდა, რომ წართმეული ტახტი დაებრუნებინა. რაკი სოლომონი საღსალამათ ცოლს გაეყარა და დადიანის ასული შეირთო, გამორიცხული არაა, რომ ეს ქორწინება პოლიტიკური გარიგებითაც მოხდა, მაგრამ არა ისე, როგორც რომანშია:

ნაწარმოების მიხედვით, ტახტდაკარგულ სოლომონს სიმამრი — სამეგრელოს მთავარი ოტია დადიანი ეხმარება მეფის გვირგვინის დაბრუნებაში.

სინამდვილეში სულ პირიქით მოხდა: ამ დროისათვის სოლომონი მკვიდრად იჯდა იმერეთის ტახტზე. აფხაზებისაგან შევიწროებული სიმამრმა თავად თხოვა დახმარება გვირგვინისაჲ სიძეს.

დადიანის ასულის სიკვდილმა სოლომონი აღრიანად დააქვრივა. ერთი წლის მერე მეფემ ქაჯაიას ნაქვრივალ შეირთო. ამ ქორწინებაზე რომანში არაფერია ნათქვამი.

შეიძლება მწერალს ეს შეუღლება არ მოწონდეს და მხარს არ უჭერდეს, მაგრამ სოლომონის სიკვდილამდე ქაჯაიას ნაქვრივალი, დედოფლობაში მაკრინედ წოდებული, იმერეთის დედოფალი და, როგორც გადმოგვცემენ, მეფე სოლომონის ღირსეული თანამეცხედრე ყოფილა.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, აღარ დაგვჭირდება იმის გამეორება. რომ „მეფე სოლომონის გარშემო არსებული ლიტერატურის ძირფესვიანი გაცნობის“ მიუხედავად, მეფის ოჯახური გარემო, რომანის ავტორისთვის, ჭერჭერობით, კვლავ შეუსწავლელი დარჩენილა.



ახლა მოკლედ კომიზროლას შვილთაშვილავჯაც

„ქისტეშობისთვის ოცდაექვსს დედოფალთ-დედოფალს მარიამს ასული შეეძინა. ეს სასიხარულო ახალი ამბავი სოლომონს გელათის მონასტერში შეატყობინეს, სადაც... საეკლესიო კრება მიმდინარეობდა“.

საეკლესიო კრება ღიღი ისტორიული მნიშვნელობისა გახლდათ.

ჩემი წერილისთვის, ამჯერად, ერთი კერძო მხარეა საინტერესო.

„მეფე სოლომონმა კრებას ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის სასულიერო ოცნების აღსრულება, ქაითაისის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა... და ეპისკოპოსად მაქსიმე აბაშიძის, ამიერიდან მაქსიმე ქუთათელის დადგინება ამცნო“.

როგორც ქრისტიანი ჩაცი. ამ ამბავმა მეც ძალიან გამახარა, მაგრამ მწერლის ახალი საწუხარო გულთან მივიტანე.

სატახტო ქალაქ ქუთაისის მწყემსმთავრად დადგენილ ეპისკოპოს მაქსიმე ქუთათელს. ეკლესიის საქმეებისათვის ზრუნვა როდისღა დასცალდაო. — წუხს მწერალი, „არ გაუვლია სამ თვესაც, აოგბის მომდევნო კვირაში, 1760 წლის გაზაფხულზე... ქართლის გზას გაუდგა“.

ქუთათელს შორი გზა ელოდა. ქართლის მეფე თეიმურაზს რუსეთს უნდა გაჰყოლოდა და იქაურ ხელმწიფე-იმპერატორისთვის იმერეთის მეფის გასაჭირი ემცნო.

საქმე მეტად საშური იყო და სოლომონი ელჩს, ზედმეტი დრო რომ არ დაკარგოდა, „სიმონეთის ბოლოზე დახვდა და... შორიზ-ნამდე გააცილა“.

შემდგომი მოვლენები ასე წარიმართა.

მაქსიმე ქუთათელი თბილისიდან მომავალ ამალას მცხეთას ელოდა. სატახტო ქალაქიდან შიკრიკი აახლეს, ბოდიში მოუხადეს და დიდი პატივით ისნის სასახლეში მიიწვიეს.

ქალაქში თურმე ყვავილა ბატონები მობრძანებულა და თუთა ბატონიშვილი, კახთბატონის ასული, ერთობ შეუწუხებია — მეშვიდე დღეა დღეა გამოუნელებელი სიცხეები ჰქონია.

ამად შეგვიანებით ქართლ-კახეთის დესპანებს.

„ბატონიშვილმა თუთამ, თექვსმეტი წლის მოწიფულმა ქალმა... ამ წუთიდან სამად-სამი დღე იცოცხლა“.

ახალი მოლოგინებული თანამეცხედრისა და შვილების დასახე-დავად სულ რამდენიმე საათით სკანდის სასახლეში მობრძანებულ სოლომონს, — წერს მწერალი, — ყველა ეს ამბავი მაქსიმე ქუთათელის მიერ თბილისიდან გამოგზავნილმა მალემსრბოლმა შეატყობინა და მთელი სამეფო კარი დიდად დაამწუხრაო. მერე თბრობას ასე განაგრძობს:

„ქართლში ელჩიონის გასტუმრების წინ მეფეს მესამე შვილი, ამაჟვრად უკვე ვაჟი, ტახტის მემკვიდრე შეეძინა, რომელსაც გვირგვინოსანი ბაბუის სახელი ალექსანდრე დაარქვეს. მეფე სიხარულით ცას ეწია“.

სამწუხაროდ, მეფის სიხარულს მე ვერ გავიზიარებ!

მაგრამ იმიტომ კი არა, იმერეთის ტახტის ახლადმოვლენილი მემკვიდრის ამქვეყნად მობრძანება არ გამიხარდა, რასაკვირველია, ამიტომ არა!

ქრისტეშობისთვის ოცდაექვსს, დაახლოებით სამი თვის წინ, მეფეს ასული რომ შეეძინა, ჯერ იმის სიხარულიც არ გამნელებია!

ოტა უცნაური ამბავი კია, მაგრამ ასე იყო.

ხომ გახსოვთ: „ქრისტეშობისთვის ოცდაექვსს დედოფალთ-დედოფალს მარიაჰს მეორე ასული შეეძინა. ეს სასიხარულო ახალი ამბავი სოლომონს გელათის მონასტერში შეატყობინეს, სადაც... საეკლესიო კრება მიმდინარეობდა“.

ამ კრებაზე ხომ ყველა ქეშმარიტ ქრისტიანს ამცნეს, ქუთაისის

საეპისკოპოსო კათედრალის აღდგენა და ეპისკოპოსად მაქსიმე აბაშიძის დადგინება!

ამის შემდეგ არ იყო, მწერალი რომ წუხდა — მაქსიმე აბაშიძის ეკლესიის საქმეებისათვის ზრუნვა როდისღა დასცალდაო.

— არ გაუვლია სამ თვესაც, ალების მომდევნო კვირაში, 1760 წლის გაზაფხულზე... ქართლის გზას გაუდგა“.

ე. ი. საეკლესიო კრებიდან ზუსტად სამი თვის შემდეგო!
მაშინ როგორღა მოხდა:

„ქართლში ელჩიონის გასტუმრების წინ მეფეს მესამე შვილი ამჭერად უკვე ვაყი, ტახტის მემკვიდრე რომ შეეძინა?“

ამ სამი თვის განმავლობაში სხვა უცნაური ამბებიც მომხდარა სამეფო კარზე.

სწორედ ამ დღეს ისეთი ამბავი შეატყობინეს სოლომონ მეფეს, „თითქოს პირთან მიტანილი ლუკმა ხელიდან გაუვარდაო“.

დედოფლის კითხვაზე — „რა ამბავია ჩვენს თავს, სოლომონ?“

მეფემ უპასუხა: — „ისეთი არაფერი, ნარიამ... სოლომონმა წამოზრდილი ბატონიშვილი დარეჯანი და წლინახევრის თამარი ხელში აიყვანა და გულზე აქეთ-იქიდან მიიხუტა“.

ეს არაფერი როგორ არის! — სამი თვის და რამდენიმე დღის თამარი უკვე „წლინახევრის“ გამხდარა!

ალბათ იმასთან არაფერია, დედოფალს სამ თვეში ტახტის მემკვიდრე რომ შეეძინა, თორემ ცალკე აღებული ფაქტი — სამი თვის და რამდენიმე დღის ბავშვი წლინახევრის რომ გამხდარა, ზოგიერთს შეიძლება, კიდევ გაუკვირდეს!

სხვა ადგილას, მწერალს სოლომონის ქალიშვილების სახელიც ავიწყდება:

„სახეიმოდ გამოწყობილი ბატონიშვილები — დარეჯანი და ნინო — დედას აქეთ და იქით ამოსდომოდნენ და უკვე გაბედულად გალობდნენ“.

ნინო კარგი სახელია! მეც ძალიან მომწონს და, ალბათ, არც არაფრით ჩამოუვარდება თამარს, მაგრამ მაინც ჯობია — ბავშვს თავისი სახელი დაეუძახოთ.

* * *

ქვემოთ კრიტიკოს გიორგი ნატროშვილის მიერ გამოთქმული აზრის შეუხსაბამობა უნდა დავასაბუთო.

ჯერ თავად კრიტიკოსს მოვეუსმინოთ:

„სწორედ ამ ამბით იწყებს გამოჩენილი პროზაიკოსი რევაზ ჯაფარიძე თავის რომანს და მკითხველი ერთბაშად შეჰყავს ჩმაღრი, დაძაბული და უაღრესად დრამატული ბრძოლის ვითარებაში: ტახტზე ასვლის წინა დღეს ბატონიშვილს აბუჩად იგდებს რაჭის ერისთავის უფროსი შვილი გიორგი... მეორე დღეს სოლომონი ტახტზე ადის და იმავე საღამოს დაამსობენ მას და იგი ისულებული ხდება სადღაც გადაკარგულ სოფლებში დაიმალოს“.

მეც სწორედ ამ ამბით დავიწყებ რომანზე საუბარს, მწერალს „ერთბაშად რომ შეჰყავს მკითხველი მძაფრი და უაღრესად დრამატული ბრძოლის ვითარებაში“.

თუმცა მანამდე, ნება მომეცით, ციტატაში დაშვებული ერთი უხუსტობა გავასწორო.

პატივცემულ კრიტიკოსს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ სინამდვილეში ასე არ ყოფილა: ტახტზე ასული სოლომონი იმავე საღამოს არავის ჩამოუგდია — თითქმის ერთი წელი იმეფა.

მაგრამ ასე არა მარტო სინამდვილეში, უფრო მეტიც, არც რომანში მომხდარა!

ნაწარმოების მიხედვით, რაჭის ერისთავის ვაჟი, გიორგი, ბატონიშვილს აბუჩად იგდებს **ოთხშაბათს**, სოლომონი სამეფო ტახტზე კი კვირას, დღის მეორე ნახევარში ადის!

სამწუხაროდ, პატივცემულ კრიტიკოსს დროსთვის ზუსტად ვერ აიუღევენებია თვალი.

ეს მთლად მისი ბრალიც ვერ იქნება. რადგან „მძიმე ჯგარი“ ზშირად ვერ იძლევა სწორი აზრის გამოტანის საშუალებას.

პატივცემული კრიტიკოსის აზრს, რომელსაც, სხვათა შორის, უაღრესად პატივს ვცემ, სხვა დროს აფთიაქარის სიზუსტით არ შევხედავდი. მაგრამ უნდა მაპატიოს: ამ წერილის პრინციპად ეს საზომი ავირჩიე.

როგორც დაგპირდით. ახლა იმ ამბავს მოგიყვებით, მწერალს „ერთბაშად რომ შეჰყავს მკითხველი მძაფრი და უაღრესად დრამატული ბრძოლის ვითარებაში“.

ამასთან, გრძელი ამბავი მოსაწყენი რომ არ გახდეს, გზადაგზა — ყოველი მომდევნო თავის შემდეგ — რომანის ცალკეულ ნაკლს თემატურად დავალაგებ და ისე მოგაწვდით.

ჩემი წერილის ეს ორი პარალელური ხაზი — ადგილობრივი

ზახიანის უზუხტობანი და რომანის საერთო ნაკლოვანებანი — ერთმანეთისაგან რომ განვესხვაოთ, იმ თავებს, რომელიც პატივეცემულ კრიტიკოსს ძალიან მოსწონს, პირობითად დავასათურებ.

თუ გიუპარდე, სოლომონ:..

„საგანგაშო ამბავი — მამა უღონოდ შეიქმნა და ცოცხალს მოუხსწარიო — სოლომონ ბატონიშვილს კაცის სასახლეში შეატყობინეს“.

კაცის სასახლეში სოლომონის ბაბუა, არგვეთის მთავარი, ლეჟან აბაშიძე ცხოვრობდა.

შვილიშვილს ბაბუა სახლში არ დახვედრია, გზაში აცდენოდა.

ბატონიშვილმა დედულეთს ღამე გაათია — დილაუთანია კი ის ამბავი შეატყობინეს, რითაც ახლა საუბარი დავიწყეთ.

ხელახლა მოწოდებული იგივე სამწუხარო ცნობა, ცოტა უფრო გაუმძაფრებია მწერალს:

„დედოფალ თამარს სიტყვიერად დაებარებინა, შვილო სოლომონ, სულთმობრძავი მამა გნატრულობს და, თუ გიყვარდე, ახლავე წამოდი, იქნება ცოცხალს მოუხსწროო“.

წინადადებაში ჩართული „თუ გიყვარდე“, ამ სიტუაციისათვის არა მარტო უადგილო, ყალბი და ხელოვნურია.

მოწიფულ კაცს, მამის სიკვდილის მერე ტახტზე რომ უნდა ავიდეს, ასე არ უთელიან — თუ გიყვარდე, ახლავე წამოდიო...

ეს სიყალბე, წაკითხვისთანავე კაცს თვალში რომ ეცემა, ამ წინადადებით არც იწყება და არც მთავრდება.

ქვემოთ ერთი წინადადება წერტილიდან წერტილამდე უნდა ამოეწერო და მინდა ყურადღება მიმიქციოთ:

„ზევე, რომ იტყვიან, ჭერ ისევ თბილი იყო და ის უკვე თავისუფრი სიხარბით ეუფლებოდა აქაურობას, დედოფლის მამობით სარგებლობდა და სამეფო სახლს მფარველობას და პატრონობას ჰპირდებოდა“.

წინადადება სრულად არის მოტანილი და შევეცადოთ, ასევე სრულად აზრი გამოვიტანოთ აქედან.

სამწუხაროდ, არაფერი გამოვა!

რადგან ჭერ კიდევ „თბილი მკვდარი“, ვიდრე კარგად გაცივდებოდეს — მფარველობას და პატრონობას პირდება სამეფო სახლს.

თანაც, მეფე დედოფლის შამაც ყოფილა და ქმარიც!

ცხადია, მწერალს სხვა რამის თქმა უნდოდა, მაგრამ აზრის გადმოცემას ფრაზას სიცხადე დააკლდა და ეს გაუგებრობაც ამან წარმოშვა.

მერე მწერალი სხვა ცნობას გვაწვდის.

„სოლომონს მართლაც გიორგის სტუმართმოყვარე და ალერსიან ჰერქვეშ გაეტარებინა სიყმაწვილის ბევრი უღარდელი დღე, უფრო კი ლეკიანობის ან ოსმალთა თარეშის დროს...“

მწერლის ყურადღება ამ წინადადებასაც აკლია. მეტი გულისხმიერება იყო საჭირო იმ აზრის გადმოსაცემად, თავდაპირველად რომ მოვიფიქრეთ.

ახლა ცუდად გამოგვივიდა.

სიყმაწვილეში შესულ სოლომონს, ლეკიანობისა და ოსმალთა თარეშის დროს, ბევრი უღარდელი დღე გაუტარებია გამზრდელის ალერსიან ჰერქვეშ!

საკუთარ მამულში რომ ცოდვის დღე ტრიალებს, წამოზრდილ უფლისწულს ეს ამბავი თუ არ აწუხებს, დღეებს უღარდელად მაინც არ უნდა ატარებდეს...

„ოთანის შუაგულში, ჭილოფგადაფარებულ უბრალო ტახტზე საცვლებისამარა ეხვენა ის, ვინც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად და განმგებლად ითვლებოდა“.

გარეგნულად ამ წინადადებაში სრული წესრიგია. საქმეს მხოლოდ მეფის სიკვდილი ამძიმებს, თუმცა... განგების ნებას წინ ვერავინ აღუდგება.

მაგრამ თუ წინადადებას ახლოდან გავჩხრეკთ, აქაც ბევრი უზუსტობა აღმოჩნდება.

„ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად“ გამოაცხადო კაცი, რომელსაც ტახტზე ასვლისთანავე (1721 წ.) შეურვეს უნიშნავენ, ცოტა უხერხულია.

სხვათა შორის, მეფე ალექსანდრეს მეურვე, ბეჟან დადიანი, ცოტა უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე ამ სიტყვაში საერთოდ გულისხმობენ.

„თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო. ნოქმედი ყოვლისავე“.

ეს „მეურვეობა“ კი შვიდ წელიწადს გრძელდებოდა!

„ქვეყნის შეუზღუდველი ბატონი“, მეფე ალექსანდრე, იმამყულიხანმა ნარიყალის ციხეშიც ჩასვა!

ტახტიდანაც ბევრჯერ გააქციეს. თითქმის ერთი წელი (1741 წ.) მის ტახტზე ძალად ასული ნახევარი ძმა, გიორგი ბატონიშვილი იჯდა!

ასეთი „ნამსახურობის სიის“ პატრონი მეფის ქვეყნის მონარქად გამოცხადება — ალბათ გაჭირდება.

ახლა დროებით ყველა სხვა საქმე გადავდოთ და მეფე ალექსანდრე მეხუთის ცხედარი სამუდამოდ განსასვენებლამდე მივაცილოთ.

„გელათის მთელი სამღვდლოება შემოსილი იყო. საკმევლის კვამლით დაბურული და მირიადი დიდი და მცირე სანთლით გაჩირადდნებულ ღეთისმშობლის ტაძარში, სადაც მიცვალებული მეფე დაასვენეს, ალექსანდრე პირველის სულის მოსახსენებელი წირვა კათალიკოსმა ბესარიონმა გადაიხადა“.

ჩემი წერილის მკითხველს, ვინც დამაფასა და მეფე ალექსანდრე მეხუთის სულის სახსენებელ წირვაზე გამომყვა, უმბრჩილესად ვთხოვ, არ მოეჩვენოს, რომ სხვის პანაშვილზე მოხვდა!

მწერალი უბრალოდ შეცდა — ალექსანდრე მეხუთე სიჩქარეში ალექსანდრე პირველად მიიღო!

თუმცა მისი გახსენებაც სამადლო საქმეა — საწყალი, კაიხნის მკვდარია!

წუთიერი ღუმილით პატივი ვცეთ ორივე მეფის ხსოვნას და მერე მწერლის „ორ კალამზე“ ვისაუბროთ.



რევაზ ჯაფარიძე თავის ერთ ნარკვევში გულისტკივილით წერდა: მიზეზთა გამო ბელეტრისტის კალამი დროებით გვერდზე გადავდე და პუბლიცისტის კალამს მოვკიდდე ხელით.

სხვათა შორის, ბელეტრისტის კალმით მაშინ ამ რომანს წერდა.

არ გაინტერესებთ, როგორია ამ ყაიდის (ბელეტრისტის!) კალმით დაწერილი სტრიქონები?

სხვაგანაც რომ შეგვხვდეს ამ კალმით ნაწერი, ხომ უნდა ვიცნოთ!

„სვანები საბადოებს თვით ამუშავებდნენ და ტყვია-წამალს თავის ხელით ამზადებდნენ აქამდე შემორჩენილი მამაპაპური წე-

სით. სკანური დენთი თავის ფეთქებადი თვისებებით, რასაკვირ-
ველია, ისეთი ვერ იყო, როგორც ბოლო დროს უცხო ქვეყნები-
დან შემოპქონდათ, მაგრამ თუ დამხადების წესს გააუმჯობესებ-
დნენ და საქმეს ნამდვილ მოხელეებს მიანდობდნენ, შეუძლებე-
ლია, შედეგიც სასურველი არ მიეღოთ“.

წაკითხულიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბელეტრის-
ტის კალამიც დიდი ვერაფერი შვილი ყოფილა!

შრცხვი გიულა...

„სოლომონის მეფედ კურთხევა ალექსანდრეს დაკრძალვის
დღესვე მოხდა გელათის აკადემიის დიდ დარბაზში. გოლა-ფაშა
ჩქარობდა“.

მალე შევიტყობთ, გოლა-ფაშას გადაუღებელ სახელმწიფო საქ-
მეზე არ მიეჩქარება, ამიტომ ცოტას მოიცილის.

ჩვენ კი მანამდე გელათის აკადემიის საკითხი გავარკვიოთ.

სოლომონის მეფობის დროს, სხვათა შორის, წარმოდგენა არ
ქონდათ აქ, გელათის ტაძარში, ოდესმე აკადემია თუ არსებობდა.

ეს მოგვიანებით, 1942 წელს, დაადგინა აკადემიკოსმა სიმონ
ყაუხჩიშვილმა.

მაგრამ, წუთით რომ დავუშვათ და კიდევ სცოდნოდათ, აკა-
დემიაში მეფეს არ აკურთხებდნენ — მეფეს ტაძარში დაადგამდნენ
სამეფო გვირგვინს!

სოლომონის მეფედ კურთხევის დროს, იმ სათაესოში, ახლა
რომ ყოფილ აკადემიად არის მიჩნეული, მაშინ სატრაპეზო იყო.

მცირე ხნით მოვლენებს წინ უნდა გავუსწროთ (გოლა-ფაშამ
ცოტა კიდევ უნდა გვადროვოს) და ამ რიგის შეცდომა, მწერალმა
მოგვიანებით რომ დაუშვა, აქეთ გადმოვიწიოთ, რადგან საქმე ბიბ-
ლიოთეკას ეხება — წიგნი და აკადემია ერთმანეთისგან რამ გაყო.

იასე ქსნის ერისთავი სოლომონ მეფეს ჰაჯი-აჰმადის წიგნსაცავს
შეუქმებს:

„შეხვალ და გამოსვლა აღარ გინდა. იქვე მოუწყვია დიდებული
წიგნსაცავი — აშურბანიპალის ბიბლიოთეკა გეგონება. საიდან არ
აგროვებს სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნებს!“

წიგნის მოყვარულ კაცზე ძვირი როგორ დამცდება, მაგრამ არც
იასე ქსნის ერისთავს და თვით იმ წიგნსაცავის მფლობელ ახალ-

ციხის ფაშას, წარმოდგენა არ ექნებოდათ აშურბანიძის ბიბლიოთეკაზე.

ამას ვინმეს გასალანძლავად არ ვამბობ, უბრალოდ ამ სახელწოდების ბიბლიოთეკა არქეოლოგებმა ამ ამბიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ (1854 წ.) აღმოაჩინეს!

ახლა გოლა-ფაშას მივუბრუნდეთ, თორემ ამდენს არ მოიცდის.

„საქმე ის იყო, რომ ფაშას თხმელისციხეში, საიდანაც აქ მოვიდა, ნიგვზის გაფუჭვნილი ლებანივით თეთრი და ქათქათა თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ათქვირებული გოგო ჰყავდა დატოვებული“.

კიდევ კარგად მოვაცდევინეთ, გოლა-ფაშას ფეხი რომ დაეკრა და წასულიყო, არ ვაემტყუვნებოდა!

გოგო ამ დილას წისკვილიდან მოეტაცათ და გოლა-ფაშასთვის საჩუქრად მოერთმიათ. კვიცივით მფრთხალსა და ღონიერ გოგოს სამი მოწიფული ვაჟკაცი ძლივს უმკლავდებოდა. გზაში ორჯერ გაქეცათ და მაშინვე ტყეს მისცა თავი, მაგრამ დიპირეს და ფაშას ხელფეხშეკრული მოჰგვარეს. ქალს ტანზე თითქმის აღარაფერი ეცვა, შემოხეული ტანსაცმლის ნაფლეთები აქა-იქა ეკიდა და მისი „შიშველი ტანი წაბლის ბუძგვიდან გამომძვრალ ბროწი ნაყოფით ანათებდაო“. გვიყვება მწერალი.

მონაყოლიდან ასე გამოდის: ან გოგოს კანის ფერი იყო ცვალებადი, ან თითქმის შიშველი გოგოს დანახვანე, თვალი მოტყუვდა! ისე კი, „ნიგვზის გაფუჭვნილი ლებანივით თეთრი“ ფერიც კარგია და „წაბლის ბურძგვიდან გამომძვრალი ბროწი ნაყოფის“ ფერიც, მაგრამ ერთმანეთს ნაკლებად გვანან — ნიგვზის გაფუჭვნილ თეთრ ლებანთან ბურძგვიდან გამოვარდნილი წაბლი, „შივი“ მოგვიჩვენებათ!

„ფაშამ ზედაც არ შეხედა მურტალი ნდომით აცახცახებულ იანიჩრებს, არც იმას მოერიდა, რომ გოგო იქაურობას იკლებდა კივილით და მშველელს უხმობდა, ქამარი შეიხსნა და ზედ დააწვა. ამ დროს საშინელი ტკივილი იგრძნო და ღრიალი აღმოხდა. გაშმაგებულმა ქალმა მკლავზე უკბინა და, ალბათ, წააკვნიტდა კიდევც, დროსზე რომ არ გამოვგლიჯა და ზეზე წამოვარდნა არ მოესწრო“.

გოლა-ფაშა, ეზოში გაშვებული მამალივით ურცხვად რომ იქცევა, გვიან მივხვდი. თავიდან, მისი ღრიალი რომ შემომესმა, ასე მეგონა: „ქამარი რომ შეიხსნა და ზედ დააწვა“, ალბათ ქამრის ბალთის წვერი შეერტკო-მეთქი! აბა, რას ვიფიქრებდი, დღისით,

მზისით, შარვალს, თუ შეიხსნიდა და ვაკოვილ გოგოს ასე სახალ-
სოდ დააწვებოდა!

სხვათა შორის, ესეც დასასუსტებელია — „ქალმა მკლავზე რომ
უკბინა და, ალბათ, წააქნევტდა კიდევცო...“ შართლა მკლავი იყო
თუ არა!..

* * *

მწერალს, ეტყობა უგრძვნია, რომ ტრადიციული სტილითა და
მანერით დაწერილ რომანს მოულოდნელი მხატვრული სახე ან
ახლადმიგნებული შედარება, ნაკლებად მოუხდებოდა. ამიტომ არ-
ჩევანი სხვათაგან ნახმარ და ცხოვრებით შემოწმებულ, მაგრამ
უკვე სტერეოტიპად ქცეულ გამოთქმებზე შეუჩერებია.

მართალია, შეცდომები მათი გამოყენების დროსაც მოსვლია,
მაგრამ აქ ავტორის არჩეული გზა არაფერ უშაშია, ამისგან დაზ-
ღვეული არავინ არის, რადგან სურვილი ერთია და უნარი სხვა.

„სოლომონის დაძვრა და ლაშქრით ხოტევისკენ წამოსვლა ბა-
რაკონზე იმ დღესვე ცნობილი გახდა, იქაურობა ისე შეაწრიალა,
თითქოს წიწილებს ცაში მობიბინე ქორის ჩრდილმა გადაუარა,
ანდა თავთავებდამძიმებულ მოსამკელ ყანას დილის სიომ დაუბერ-
აო“.

ეს მხატვრული შედარება ორსაფეხურიანია! არადა, ავტორი
პირველ „ეტაპზე“ რომ გაჩერებულიყო, უკეთესი იქნებოდა, რად-
გან აქ შედარების სიძველის მიუხედავად, შესადაარებელი საგნები
სწორად მაინც არის შერჩეული:

ლაშქრით დაძრული სოლომონი ბარაკონზე სამტროდ მიდიო-
და და, რასაკვირველია, რაჭის ერისთავს ეს ამბავი კიდევ შეაწ-
რიალებდა და კიდევ გაუფუჭებდა გუნებას. ისევე, როგორც არც
მობიბინე ქორის ჩრდილი აღძრავდა წიწილებში სასიამოვნო გან-
ცდას.

რაც შეეხება შედარების მეორე საფეხურს, რომ „თავთავებ-
დამძიმებულ მოსამკელ ყანას დილის სიომ დაუბერაო“, აქ, მო-
სამკელი ყანისთვის დილის სიოს სიკეთის მოტანის მეტი არაფერი
შეუძლია.

როგორც ვნახეთ, შესადაარებელი „მხარეები“ დაშორდნენ, ამი-
ტომ შედარებამაც ფუნქცია დაკარგა.

რომანის ავტორს ამის შემდეგ უფრო მარტივი და მრავალ ნაწარმოებში „გამობრძმედილი“ შედარებებისთვის მიუმართავს.

რა თქმა უნდა, ისინი თვალსა და გულს ნაკლებ ახარებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდად სანდონი არიან!

„ამ ხმამ დარბაზში ისე დაიქექა, როგორც მესხმა მოწმენდილ ცაზე“.

„ცხენოსანი ლაშქარი... მორევში მობუყბუყე წყალივით აწავთებულ ურდოს შეესია“.

„შასან-ფაშა... არად დაგიდევდა, თუ მის გარშემო უკმაყოფილონი სოკოსავით მრავლდებოდნენ“...

„სოლომონს დასცეცხლა, თითქოს პირთან მიტანილი ლუკმა ხელიდან გაუვარდა“.

მართალია, ამგვარ შედარებებს სიახლის საწინააღმდეგო იმპუნტიტი კარგა ხანია გამომუშავებული აქვთ, მაგრამ, ეტყობა, ყაველი ჭერ კიდეც არ გასვლიათ — ეგ კი არა, ზოგი მწერლის შემოქმედებაში, ისეთი პირი უჩანს, თითქოს სიცოცხლაც საშუალოდ გაინაღდეს.

წლის ბოლი ლამე

„ვარციხის სასახლის მეჭლისების დარბაზში სააღაპო სუფრას მოგვიანებით შემოუსხდნენ. ყველას თვალი კარისკენ ეჭირა, მეფე და ბატონიშვილები იგვიანებდნენ.“

მაღალი ვახშმობა კარგა ხნის გადასული იქნებოდა, როცა საიდუმლოდ შემოთვალეს, მეფისთვის აღარ მოეცადათ. ის ან ცუცხვათში, ქაიხოსრო ავიაშვილისას დარჩებოდა, ან კათალიკოს ბესარიონთან მოიცილიდა გელათში“.

ის, რაც ასლა მწერალმა თითქმის კალმის ერთი მოსმით დაწერა, ჩვენ კარგა ხანს გვეყოფა სადავიდარაბოდ.

რომანში მეჭლისების დარბაზი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო. სამეჭლისო დარბაზები გაუმართავთ ქუთაისში, გეგუთში, ვარციხეში...

არადა, საიმდროოდ იმერეთში ნაკლებად აქვთ სამეჭლისოდ საქმე.

საერთოდ კი, გამოთქმა „მეჭლისების დარბაზი“ — შეცდომაა, ყოველ შემთხვევაში იმ აზრით მაინც, როგორც რომანში იხმარება. თურქული „მეჭლისი“ და ქართული „დარბაზი“ — დაახლოებით

ერთი და იმავე მნიშვნელობის სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტია. რომანში კი „ღარბაზი“ შენობაა მხოლოდ, სადაც მეჭლი-სი იმართება!

სადაპო სუფრაზე არ ჩანან მეფე და ბატონიშვილები — ბრძანებს მწერალი. ეს ყოვლად წარმოუდგენელია, რომ არც ერთი შვილი გვირგვინოსანი მამის მოსახსენებელ სუფრაზე არ მოვიდეს. საიდუმლოდ შემონათვალი, მეფე, შესაძლოა, კათალიკოს ბესარიონთან მოიკდიდა გელათშიო, ესეც შეცდომაა — გარდაცვლილი მეფის სადაპო სუფრა ვინ უნდა აკურთხოს, თუ არა იმერეთის უწმინდესმა კათალიკოსმა!

ახლა და მერეც ძალიან მინდა დროს მივაქციოთ ყურადღება.

ვიციტ, რომ სადაპო სუფრას მოგვიანებით შემოუსხდნენ, მაღალი ვახშობა კარგა ხნის გადასული იქნებოდაო. ერთი წუთით იმდღევანდელი სოლომონის მეფედ კურთხევაც უნდა გავიხსენოთ: „სოფელ მოწამეთში და თვით მონასტრის ახლომახლო მამლებმა იყივლეს — ჭერ გათენება შორს იყო“. წერს მწერალი.

კაი დავემართოს, მართალია, გათენება ჭერ შორს იყო, მაგრამ მღვდის კურთხევის ცერემონიალი ამის შემდეგ დიდხანს გაგრძელდა. მერე, გელათიდან ვარციხეში ჩამოსვლა, სადაც ალაპი იყო დანიშნული, იმდროინდელი პირობებით, როდის მოხერხდებოდა?

ალაპის სუფრასთან არც სოლომონის მეუღლე თინათი გახლდათ, ისიც თავის ოთახში იყო გამოკეტილი. თამარ დედოფალმა ორჯერ გაუგზავნა მოახლე, მესამემ თავად მიაკითხა, იქვე დარჩა და იმდენი ისაუბრეს, დაახლოებით, სამ-ოთხ საათს წაიღებდა, შეიძლება მეტსაც!

მაგრამ ესეც არაფერი, ამლამინდელი ღამის გათენებამდე, ბარე ორი ტურა კიდევ იკივლებს.

* * *

რაკი მრავალგზის ნახმარ და ნაცნობ მხატვრულ ტროპებს ისე გავუთამამდით, რომ საკუთარ ნაწარმოებში მათ გადმოტანაზე უარს აღარ ვამბობთ, აქედან პირდაპირი გზაა — სხვათა უკეთესი აწრები ჩვენეულად რომ მივიჩნიოთ.

„ერთადერთი შუამავალი ცხელი ტყვია მეგულება...“

(რევან ჯაფარიძე).

„და დღეიდან ჩვენ ორს შუა, მოციქული არის ტყვია“.

(ა. წერეთელი).

„სამშობლოში შიმშილით სულის ამოხდას, სხვაგან განცხრომით ცხოვრება არა სჯობს“.

(რევაზ ჯაფარიძე).

„და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი“.

(დ. მეგრელი).

„თუ გულში მტრობა გიდევს, ეგ ჯარი ცოტაა, თუ სამოყვროდ მოიღისარ, — ბევრი!“

რევაზ ჯაფარიძის რომანში ამას გენათელი მიტროპოლიტი ეუბნება ძმას, სოლომონ მეფეს.

პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებში“ კი სომხეთის მეფე ტიგრანი ზუსტად ასევე ეუბნება თავის ქვეშევრდომებს.

„მწიფე ქლიავივით დაბინდული ლურჯი თვალები...“

(რევაზ ჯაფარიძე).

„გინახავთ. თქვენ ფეჩი დაბინდულ ქლიავს?...“

(გ. ტაბიძე).

დაბინდული ქლიავის ფერი კი მინახავს, მაგრამ ჯერ არსად მსჩენია — ერთი მწერალი ასე რომ ჰგავდეს ყველა დანარჩენს!

სხვათა შორის, მსგავსი პარალელები რომანში საძებარი არაა — მკითხველი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადააწყდება. მართალია, ავტორს ისინი გაუთავისებია და ბრჭყალებში აღარ ჩაუსვამს, როგორც სხვათა აზრებს შეფერის, მაგრამ რაკი ეს იმისთვისაა გამოყენებული, საკუთარი ნაწარმოები უკეთესი რომ გახადოს, დიდ ცოდვად არ მიმაჩნია.

„ამგონივარული ვაბუკური გულღების კირიანბალი...“

მამის დასაფლავებისა და მეფედ კურთხევის შემდგომ, სოლომონი ზემო დიშში ოტია დადიანის კაცს — კაცო ჩიჩუას საიდუმლოდ უნდა შეხვედროდა. მოსალაპარაკებლად მყუდრო და უშიშარი ადგილი უნდა შეერჩიათ.

„ყველა სხვა ადგილს მეფემ ისევ ჩხეიძისეული სასახლე ამჯობინა. სტუმარი წინ გაიძლოდა და ცუცხვათში წასვლის მაგიერ თვითონაც გეზი ზედა დიშისაკენ აიღო“.

მიაქციეთ ყურადღება: სტუმარი წინ გაიძლოდა და თვითონაც

უკან მიყვარ! აქედან გამომდინარე, მეფეც და დადიანიც ჩხეიძისეულ სასახლეში ერთად უნდა მისულიყვნენ!

„კაცო ჩიჩუა მეფეს ისე დაუხვდა, როგორც ნამდვილ მასპინძელს შეჰყვარის. თავისი მსლებელი აზნაურებითურთ სოლომონს ჭიშკართან მოეგება და პალატაში შეუძღვა, აღუღუნებული ბუხრის პირას, ჭარხლის წნილით, ჭყინტი ყველით, ნაკვერცხლებზე შებრაწული მეგრული სულგუნით, მწვანილით და სველი დოქით ღამშვენებული სახელდახელო სუფრაც დაახვედრა“.

გაგიხარია ეს ყველაფერი კარგი იყოს, მეტადრე, აღუღუნებული ბუხრის პირას ნაკვერცხლებზე შემწვარი მეგრული სულგუნი, მაგრამ როდის მოასწრო დადიანის კაცმა ან მომზადება, ან მეფის ჭიშკართან შემოგება? ისინი ხომ გელათიდან ერთად გამოვიდნენ. „სტუმარი წინ გაიძლოა“ და „თვითონაც გეზი ზედა დიმისკენ აიღო“-ო, ასე არ ბრძანა ავტორმა?

ეტყობა, ეს ეპიზოდი, მწერლურ ლოგიკას ნაკლებად ემორჩილება.

მეფეს თან „ხუთიოდე კაცისგან შემდგარი მცირე ამაღა ახლავს“ — საკუთარი ორი ძმა, გამზრდელი გიორგი წულუკიძე და ძიძიშვილები: დათუნა და ნიკოლოზა.

საკვირველია, რა ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი უნდა ემცნო დადიანის კაცს მეფისთვის, რომ არც ერთი ძმა, სოლომონის ჩათვლით, გვირგვინოსანი მამის სააღაპო სუფრაზე არ დარჩენილა!

მეფეს ოტია დადიანის მიერ მირთმეული წიგნი გადასცეს. სოლომონმა „თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა“, მერე წიგნი ორივე ხელში მოკუჭუნა და უკან მოიხედა — „მეფე უსაზღვროდ განრისხებული ჩანდა“. თუმცა ამ სიტუაციისთვის „განრისხებული ჩანდა“

ცოტაა:

„სოლომონს ენა ჩავარდნოდა, სულს ძლივს იბრუნებდა... მეფეს იმგვარი რამ ჰკადრეს, იმგვარი ბილწი რამ გაუბედეს, ხმამალლა თქმაც კი დიდი და უპატიებელი ცოდვა იყო. ჰეფის შეუფალ ღირსებას ვინღა ჩიოდა! სოლომონს, როგორც ადამიანს და მამაკაცს, დასცინეს, უღვაში გაპარსეს, კაცობის ქუდი მოხადეს. მასხარად აიგდეს, შეუღახეს ახალგაზრდობა, თავმოყვარეობა, შეუღინეს ამქვეყნად ყველაზე წმინდა და ხელშეუხებელი...“

რადგან მეფეს „იმგვარი ბილწი რამ გაუბედეს“, რომლის „ხმამალლა თქმაც კი დიდი და უპატიებელი ცოდვა იყო“, მეც დრომ-

დე დავიციდი, რომ ცოდვაში ფეხი არ ჩავეიდგა, შემონათვალის გამ-
ჯელა თუ საჭირო იქნება, შევეცადოთ, ისევ ადრესატისგან გავი-
გოთ.

სოლომონმა ოდიშრები ოთახიდან დაითხოვა და ძიძიშვილს
მთასე თვალყურის დევნება დაავალა. თავისთან კი ძმები და გამ-
ზრდელი იხმო.

„— ოტია დადიანმა წიგნი გამომიგზავნა — ბგერ არის! ...მო-
თხოვნას მიყენებს...“

...შენ როგორ გგონია, იასე, რა ენდომება?“

ბოდის ვიხდი მკითხველთან, ამ დრამატულ სიტუაციაში ამის-
თვის რომ მოვიცალე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა.

გენათელი მიტროპოლიტის, იოსების, ერისკაცობის სახელის
ზუსტი დადგენა ჭირს. ავტორი ხან იესეს, ხან კიდევ იასეს ეძახის
— ეტყობა, ამდაგვარ ამბებს მწერალი დიდ მნიშვნელობას არ ანი-
ჭებს, ამიტომ აწი, დრო რომ არ დაეკარგო, რომელიც უფრო გა-
მანსენდება, მეც იმას დავუძახებ!

მიტროპოლიტმა მხრები აიწურა და ძმას, ცოტა არ იყოს, მკვა-
ხედ უპასუხა: რას გვამარჩიელებ, ბატონო, თუ თქმა გწადია, გვი-
თხარი!..

ვისაც დადიანის წიგნის შინაარსი გვაინტერესებს, ახლა უნდა
ვიყოთ მარჯვედ, არაფერი გამოგვრჩეს.

„— თინათის გაეყარო... ეს ორად ორი სიტყვა სოლომონმა
ძლივს ამოთქვა და თვალები ცრემლით აევსო.“

უწმინდესი მამაც შეაწუხა ამ ამბის გაგებამ, დადიანის თავ-
ხედური შემონათვალი მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

მოტირალ მეფეს მაინც ჰკითხა დასაზუსტებლად:

„როგორ თუ გაეყარო, კაცო?“

ძეფემ განმარტა:

როგორც რიგიაო. მერე სიძედ მომეკიდე, ჩემი ასული მარიამი
დაისვა თანამეცხედრედო.

„ამის გაგონება იყო და აქამდე გაყუჩებული ბატონიშვილი არ-
ჩილი... საცოდავად მოიბუზა, ტუჩები აუქანკალდა და ღვარჯაფად
გადმომსკდარი ცრემლები რომ როგორმე დაემალა, სახეზე ხელები
ნიიფარა. უფროსმა ძმებმა და წულუყიძემ ერთმანეთს შეხედეს
და ამათაც ცრემლი მიეძალათ...“

ერთი სიტყვით, ზედა დიშის ჩხეიძისეულ სასახლეში ქრისტეს
ტირილია!

ოტია დადიანი თავის ლაშქრით იმერეთს რომ შესეოდა, როგორც არა ერთხელ უქნია, ქვეყანას მეტ ცრემლს ვერ დაადენდა! არადა, აქ სატირალი რა იყო!

ოტია დადიანი მეფესთან დამოყვრების სურვილს გამოთქვამდა — თავის ასულს სთავაზობდა სოლომონს.

ყველაფერი სურვილის ფარგლებში რჩებოდა, რადგან ამ საკითხზე დადიანს დადგენილების გამოტანა არ შეეძლო!

გიორგი წულუკიძემ, ძველი წიგნების ღიღმა მცოდნემ და საბეფოს უგანათლებულესმა პიროვნებამ, „ძმებს უბრალოდ უთხრა და ადვილად დაუმტკიცა. რომ ოტია დადიანის შემონათვალი, შესაძლოა, თავხედურ კილოს კი შეიცავდა, მაგრამ შიგ ვისიმე შეურაცხყოფა და აბუჩად აგდების განზრახვა წამლადაც არ იყო“.

მეც ამას არ ვამბობდი?

მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, მაინც მადლობელი ვართ გიორგი წულუკიძისა, რომ ძმებს ყველაფერი „სე უბრალოდ და ადვილად დაუმტკიცა“.

ოტია იმაზე კი მწყდება გული, რომ თავად ძმები ვერ გაერკნენ ამ ყოვლად ელემენტარულ ამბავში.

ძმებიდან კი ერთი იმერეთას მეფეა, მეორე — გელათის მიტროპოლიტი!

მეფის სიტყვების გახსენებაზე მე ახლაც ტანში მზარავს.

„...ცხენისწყალს გადავალ და, მამის სულს ვფიცავ, ქვას ქვავზე არ დავტოვებ... ნაკუწნაკუწ ავკეპავ და მთელი სამეგრელოს ძალებს დავაძლევ მაგისი ბინძური ხორციით... ძელზე გავსვამ, ხარზე წამოვავებ მაგასაც და მაგის ლეკვ კაცისაც, ნელ ცეცხლს შევუქმებ...“

რასაკვირველია, ეს გაბრაზება თუ გაგიჟება ისევე ყალბია, როგორც ავტორის სიტყვები, ამ სიტუაციას რომ მოაყოლა:

„გიორგი წულუკიძის საფუძვლიანმა ნააზრევმა ამბოხებული გაბუჯური გულების კორიანტელი ნელ-ნელა დააცხრო“.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, მწერლის გამოსობით, სხვა დროს იმერეთას გვირგინოსანი მეფე უფრო უარეს დღეშიც ჩავარდნილა!

ნება მომეცით, ერთი ეპიზოდი გავიხსენო.

ტახტდაკარგული სოლომონი ახალციხის ფაშასთან მიდის შემწეობის სათხოვნელად. გზად ალის ციხეში შეიარა. მეფის მასპინ-

ძელმა, იასე ქსნის ერისთავმა, აღის ციხის მოურავს, პეპია ჩხაიძეს სახელდახელო სუფრა გალავანში გააშლევინა.

მეფესა და მასპინძელს შორის მცირე დიალოგი იმართება.

„ — გულს ნუ გაიტეხ, მეფეო, ღმერთი მოწყალეა... უნუგეშოდ არ დაგტოვებს. პაჩი-აჰმადს განათლებულ და ურჯულს კვლობაზე ლმობიერ კაცს ამბობენ... მდიდარი წიგნსაცავი ჰქონია თურმე რაბათში...“

— ეგ რაბათი რაღას ქვია?

— ციხეა დიდი ციტადელი (!!!) აი, როგორც ქუთაისში, ან ჩვენი ისანი და მეტეხი ტბილისში...“

როგორ გგონიათ, ბატონი მეფე ცოტა გულუბრყვილოდ ხომ არ გამოიყურება?

საუბარი გაგრძელდა.

„თავად გინახავს, ბატონო?“ — მეფე ეკითხება.

„ — არა, სხვის ნაამბობს მოგახსენებ... იქვე მოუწყვია დიდებული წიგნსაცავი... საიდან არ აგროვებს სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნებს...“

— მაჰმადის რჯულას აღმსარებელი რა თავში იხლის ჩვენს ქრისტიანულ წიგნებს?“

ხომ წარმოგიდგენიათ, იასე ქსნის ერისთავს რა შთაბეჭდილება შეექმნებოდა იმერეთის მეფის განათლებაზე და აზროვნების მწყობრ სისტემაზე?

ქსნის ერისთავს თითქოს არაფერი შეუმჩნევია, მცირე ახსნა-განმარტებას ურთავს მეფის შეკითხვას.

„ — წიგნი წიგნია, ბატონო მეფეო, რა რჯულსაც არ უნდა გადაგებდეს. გაგებულმა კაცმა, ჩემგან არ გესწავლება, ყველა უნდა წაიკითხოს და იცოდეს“.

არც პატივცემულ მწერალს ესწავლება ჩემგან, მაგრამ არა მგონია, ოტრა დადიანის წიგნი იმდენად შეურაცხყოფელი იყოს განათლებული ქვეყნის მეფისთვის, ვიდრე ეს დიალოგია.

არადა, დიდი სოლომონი, რომელიც, მემატიანეთა ცნობით, „მეორედ მაშენებლად ექმნა ქვეყანასა“ (პირველში დაეთ აღმაშენებელს გულისხმობენ), ასე უპასუხისმგებლოდ დაწერილ სტრიქონებს არ იმსახურებს.

რომანის ავტორს, რასაკვირველია, საკუთარი აზრებაც გააჩნია:

„ — მოდი, შეილო, აგრე რატომ ჩამოგვრჩი? — მიეხალისა ვაჟს სოლომონი და, როგორც ადრე სჩვეოდა, ხელში აყვანა მოუნდომა, მაგრამ გაახსენდა, რომ საამისოდ ის უკვე დიდი იყო და მხარზე ხელი გადასდო“.

ახალგაზრდა ბატონიშვილი სოლომონს სალაშქროდ ახლავს — მეფის ილბალი თუ იყო, ეს ამბავი (შვილის დიდობა!) დროზე რომ გაახსენდა და ომში მიმავალი მძიმედ შეიარაღებული უფლისწული ხელზე ატატებული არ წაიყვანა!

თუმცა. კიდევ რომ არ გაახსენებოდა, წამოზრდილ შვილს ხელში ასაყვანად რომ დაეძაძგურებოდა, აუცილებლად მიხვდებოდა, რომ მისი ატატება, უკვე აღარ შეიძლებოდა!

„ნადირობას სანაქებო ამინდი დაესწრო და კარგი პირიც უჩანდა. დათვი, შველი და ირემი იმდენი იყო, მარჯვე კაცი ხელითაც დაიჭერდი“.

რა თქმა უნდა, სიტყვის მასალაა, თორემ შვილის და ირმის ხელით დაჭერა გაძნელება — ისინი მარჯვედ გარბიან!

დათვის ხელით დაჭერა კი თავად არ უნდა ვისურვოთ, სხვა რომ არაფერი, უმოწყალოდ იცის კაცის დაბეგვა!

ამიტომ აქეთ უნდა ვიყოთ მარჯვედ, ჩვენ არ დაგვიჭიროს!

იქნებ ავტორი აქ ახლანდელ დაჩივებულ კაცებს არ გულისხმობს და მაშინ, სოლომონის მეფობის დროს, კიდევ იჭერდნენ დათვს ხელით?

ამასთან დაკავშირებით „სიბრძნე სიცრუისა“—დან ერთ არაკს ვაიხსენებ, მოგეხსენებათ, სულხან-საბა ორბელიანი გაცილებით უფრო თანამედროვეა მეფე სოლომონისა, ვიდრე ჩვენ — „მძიმე ჯვრის“ მკითხველები.

„ორნი ამხანაგნი ნადირობდნენ — ხევი იყო და ხევს გაღმა-გამოღმა რონიებდნენ. ერთს ამხანაგს დათვი შემოეჭიდა... ქვეშ ჩაიდვა... მეორე ამხანაგმა უყვილა — გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა სჯამე გვიძსო!“

მან დაუძახა: დათვი არ მიშვებს, თვარა მე წელანვე გავუშვებდიო!“

ამ შემთხვევას მეც ვერ გავუშვებ ხელიდან და ვიტყვი: როგორც ჩანს, არც სოლომონის მეფობის დროს იჭერდნენ დათვს ხელით.

რასაკვირველია, რომანში ყოველთვის ასე არ არის და ხანდახან უფრო გამართული აზრიც შეგვხვდება, მაგრამ მწერალი გაცილებით უკეთ ართმევს თავს ყურმოკრული და სადღაც მონასმენი შეგონებების გადმოცემას:

„პრასი ხომ არ არის დალოცვილი, გაზაფხულზე, რომ ხელახლა ამოიყაროს!..“

„აგრე იცის უზომო სიმამ...“

მე კი დავამატებდი, ალბათ, უპასუხისმგებლოდ წერამაც აგრე იცა!...

„ცოტა ღრვეჩქარო!...“

„დააუნა ნაფიჩვაძემ უკან გაბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ზემო მხრის სარდლის — ქაიხოსრო წერეთლის უფროსი ძმა, მეფე ალექსანდრეს ძველი თანამებრძოლი, პაპუნა, უკვე ოთახში შემოვიდა, ყაბალახი მოიხადა და დამხედურთ მოწიწებით მიესალმა“.

დიდად პატივსაცემს კი არა, საერთოდ არ უნდა დაუკარგო კაცს სალამი, მაგრამ ამ შემთხვევაში მისალმება, ცოტა არ იყოს, ზედმეტიც კი ჩანს. რადგან ის ღამე, ზემოთ რომ ვთქვით, მის გათენებაამდე ბარე ორი ტურა კიდევ იკივლებსო, ჯერ არ ჩამოთავებულა!

ასე რომ, პაპუნა წერეთელი და ზემო დიშში მყოფი მეფის მცირე ამაღაც მთელი დღე ერთად ტრიალებდნენ, და ამიტომ ერთმანეთსაც ორჯერ არ მიესალმებოდნენ!

ცოტა ზედმეტია, პაპუნას ასე რომ გვაცნობს მწერალი: „ზემო მხრის სარდლის — ქაიხოსრო წერეთლის უფროსი ძმა, მეფე ალექსანდრეს ძველი თანამებრძოლი“..

საქმე ისაა, რომ პაპუნა წერეთელს, რა თქმა უნდა, რომანიდან, აქამდეც ვიცნობდით.

სანამდვილეში, ე. ი. ისტორიულად არსებული პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლები, ძმები არ ყოფილან, თორემ ისე, სახელი და დიდება არც ერთს აკლდა და არც — მეორეს.

ამასთან, პაპუნა წერეთელი „მეფე ალექსანდრეს ძველი თანამებრძოლი“ კი იყო, მაგრამ არც სოლომონთან იქნებოდა ცუდად!

სოლომონის სამეფო კარზე პაპუნა წერეთელი სამი დიდი სახელის მფლობელი იყო!

ქაიხოსრო წერეთელი, მართალია, არც პაპუნას ძმა იყო და არც ზემო მხრის სარდალი, მაგრამ თავისი შესაფერისი ძმაც ყავდა (ნიკოლოზ წერეთელი) და ისედაც დაფასებული კაცი იყო — თანაჟედროვენი მეფის „ნამეტნავად თავდადებულ“ ქვეშევრდომსაც იხსენიებდნენ.

თავზარდამცემი ამბავი მოიტანა პაპუნა წერეთელმა:

„გლახა მახარობელი ვარ, ბატონო მეფევე, ამისთანა მახარობელს“...

სოლომონი გაფითრდა. უკეთეს დღეში არც სხვები არიან.

„თინათის უჭირს რამე?.. ჩქარა მითხარი, არაფერი დამიმალო!“

სამეფო კარზე გადატრიალება მომხდარა.

„— თავს უნდა უშველო, ბატონო. ერთ საათში, შეიძლება უფრო ადრეც, შენი მტრები აქ მოვლენ და აქაურობას აიკლებენ. აქეთ რომ მოვდიოდი, ცხენებზე სხდებოდნენ... თუ ღმერთი გწამთ, ცოტა დოვუჩქაროთ, დრო აღარ გვრჩება“.

საშინელი ამბავი მომხდარა: რამდენიმე საათის წინ ტახტზე ასული მეფე შეთქმულ ახლობლებს დაუშინათ!

ამიტომ ცოტა მეც უნდა „დოვუჩქარო“.

მეფემ ისევ თინათი მოიკითხა, სად არისო. უპასუხეს, რომ სასახლეში ბრძანდება. მეფემ ამბის მომტანს საყვედური აკადრა — „ვერ უშველეთ? აქ რა მოგარბენინებდათ?!“

წერეთელმა თავი იმართლა — ან აქეთ უნდა მოგვეშურებინა, ან დედოფალს უნდა მივშველებოდით. მეფე მაინც ვერ დააწყენარეს:

„— თინათი... სოლომონმა ენას მოუკიდა. — თინათი უნდა გამოაჩიროთ. მომიკლავენ... მიშველეთ, დათუნა!“

მეტი რომ არ ვთქვათ, დიდი სოლომონი თავის ღირსების შესაფერისად ვერ იქცევა!

„სოლომონს მთელი ტანი აეწვა, ყრუანტელმა დაუარა და სიმწრის ოფლი წურწურით წამოუვიდა. მას ძმის შეკითხვამ და აღმზრდელის სიტყვებმა მოაგონა, ვინც იყო, გაახსენდა, რომ მის იმედად მყოფ ქვეშევრდომებს შორის იმყოფებოდა...“

შეამჩნევდით, ავტორს ყველაფერი გადამეტებული უყვარს — თუ კაცს ოფლმა დაასხა — წურწურით მოდისო! თუ ცრემლი წას-

კლა — ღვარღვარით წასკდაო! თავიდან ორი წიგნის დაწერას აპირებდა — ოთხი გამოუვიდა!

აქაც, მეფის დაბსეულობას რომ აღწერს, ალბათ აჭარბებს, თორემ სად სოლომონი და სად მსგავსი სასოწარკვეთა! აწი მიხიცი, როცა მეფეს „ვინც იყო, გაახსენდა“, იმედს იტოვებს, რომ რაღაც მეფურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

„მკირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, პაპუნა წერეთელსა და გიორგი წულუკიძეს მინდობოდა... თვით მას, სოლომონს, არაფერი შეეძლო...“

უკვე პირდაპირ უნდა ვთქვა, დიდი სოლომონი თავისი ღირსების შესაფერისად ვერ იქცევა!

და, არა მგონია ამაში დამნაშავე იმერეთის გვირგვინოსანი იყოს.

ახლა ქვეყანას, გიორგი წულუკიძის და პაპუნა წერეთლის „ათას ომსა და შეტაკებაში გამომუშავებული მხედრული შემართების“ გარდა, მეფის გონიერი მოქმედება სჭირდება!

წერეთელმა მეფეს სხვა უბედურებაც ამცნო.

ყველა თქვენი მომხრე თავადი და აზნაური ბაბუათქვენმა, ბატონმა ლევანმა, მანდატურებს დაჰქერინა და დილეგში შეყარაო.

სოლომონი განაწყენდა:

„ — დაჰქერინა? დილეგში შეყარა? როგორ? რანაირად? ვინ მიხცა ამის ნება?“

ამ სიტუაციაში ვერ იტყვი, არგვეთის დიდი მთავარი, ლევან აბაშიძე, აჩქარებულა და მეფის უკითხავად ეს საქმე არ უნდა გადაეწყვიტაო. რადგან ქვეყნის გამგებელი და უპირველესი მბრძანებელი, თავად სოლომონიც, ახალი ჩამოგდებული ჰყავს ტახტიდან! შეფემ პაპუნა წერეთელს კითხვა მოუნაცვლა:

„როლის მოხდა ეგ ამბავი?..“

თავის ადგილას არც ეს კითხვა არის დასმული, რადგან მხოლოდ რამდენიმე საათია გასული, რაც სოლომონი მეფედ აკურთხეს, და მაშინ ის ხალხი მის გვერდით ტრიალებდა, ამიტომ მათი დაჰქეროდან არც ისე დიდი დრო იქნება გასული!

ეს ცნობილი ღამე კიდევ არ ჩამოთავებულა!

ალბათ გახსოვთ, ზედა დიშის ჩხვიძისეულ სასახლეში მოვარდნალო პაპუნა წერეთელი, იმერელი კაცის ზრდილობით, მეფეს

და მის ამაღას რომ ეუბნებოდა, ცოტა დოვუჩქაროთ, ერთ საათში აქაც მოვლენ და აქაურობას აიკლებენ!

პაპუნა წერეთელი ახლა უფრო გადაჭრით მოითხოვს:

„აქ ერთი წუთით გაჩერებაც აღარ შეიძლება, ვაითუ დავაგვიანებთ და ალყა უკვე შემოგვარტყეს“-ო.

გიორგი წულუკიძემ მეფეს ურჩია, „გავეცალოთ აქაურობას, შემდეგ თუ გაჭირდა, რაჟას გადავალთ“. მეფის გამზრდელი ბატონი გიორგი რომანში ბრძენ კაცად არის მიჩნეული და, ალბათ, ასეც იყო, თუმცა ეს რჩევა მისი ჰკუთის შესაფერისად არ მიმანინია.

იმ სამი მთავარი შეთქმულიდან, ვინც მეფე ტახტიდან გადმოაგდო, ერთი რაჭის დიდი ერისთავი, როსტომი გახლდათ! და ისიც, უკეთეს რას ინატრებდა, თუ მეფე რაჭაში თავის ფეხით ეახლებოდა!

მართალია, გიორგი წულუკიძეც რაჭველი იყო და იქ საგვარეულო ციხეც ჰქონდა, მაგრამ რაჭის ერისთავი მაინც სხვაა და ხოტავეს ციხის პატრონი კიდევ სხვა.

მეფემ თავის ძმას, გენათელ მიტროპოლიტს, ამაღის წევრებიდან ძიძიშვილები აახლა, დათუნა და ნიკოლოზა, ვარციხეს გაისტუმრა თინათის გამოსახსნელად.

„თქვენც თქვენი გზით წაბრძანდით, ბატონო პაპუნა, — მეფემ ახლა წერეთელს მიმართა — ახლა კი, რაც უფრო ცოტა ხალხს ვიხლოლებ ამაღაში, საქმისთვის, მე მგონი, უმჯობესი იქნება“.

საქმისათვის შეიძლება ასე აჯობოს, მაგრამ, მე მგონი, მეფეს ამაღაში ხალხი საერთოდ აღარ დარჩა!

ხომ გახსოვთ, მწერალმა რომ გვითხრა, მეფემ „ხუთიოდე კაცი საგან შემდგარი მცირე ამაღა იახლა და ზეით დიმიტაკენ გასწია“. აქედან, ამაღის ხუთი წევრიდან, სამი: გენათელი მიტროპოლიტი იოსები, ძიძიშვილები: ნიკოლოზა და დათუნა, ვარციხეში გაუშვა! დანარჩენი ორი წევრი, გიორგი წულუკიძე და არჩილ ბატონიშვილი, თუ კიდევ მეფის ამაღა ეთქმის, აქ არის.

ღვთის წინაშე, ძალიან მაწუხებს პაპუნა წერეთლის თხოვნა, „ცოტა დოვუჩქაროთ“, მაგრამ გავკადნიერდები და ორიოდე წუთს კიდევ წაგართმევთ, რადგან გამომშვიდობების სცენაზე არაფერი მითქვამს.

„დედაჩემს, ძმაო იასე, — სოლომონს ხმა აუჟანკალდა, წამწამზე ცრემლი დაეკიდა. — ჩვენს მშობელ დედას (მეფეს ამცენს, რომ დედაც შეთქმულების თანამონაწილეა! თ. წ.), დიდი მადლობა

მოახსენე, დედაშვილობის მადლმა და მაღალმა ღმერთმა მოგკითხოს-თქვა...“

პაპუნა წერეთელს, გიორგი წულუქიძეს, ტყისკაც დათუნა ნაფიჩვაძესა და ბატონიშვილებს ცრემლები უბრწყინავდათ თვალებში.

ამდენ აზლუქუნებულ ხალხს, მკითხველის ცრემლი აკლია! არა-და, ისე იყო გაანგარიშებული, ჩვენც უნდა გვეტირა!

მე, პირადად, ჯერ კიდევ ვუძლებ.

* * *

მწერალი ასევე უყურადღებობას იჩენს პერსონაჟთა ლექსიკის მიმართ.

სხვებს რომ თავი დავანებოთ, სამეფო კარის წარმომადგენლების ენაც შეუფერებელია არა მარტო იმ საუკუნისთვის, არამედ მათი სოციალური მდგომარეობისთვისაც.

მარიამ დედოფალი:

„ — ღმერთო, ეს რა დამემართა... ბავშვები ჯავრით დამეხოცებინან, გადაირევა სოლომონი!“

სოლომონ მეფე მიმართავს თავის მომდევნო ძმას, გელათის მიტროპოლიტს:

„ — კიდევ ვინ მოვიკითხე დაცინვით, შე კაცო. ნუ მიწყენ და მეტისმეტად უცნაური ხალხი ხართ სამღვდლო პირები“.

გელათის მიტროპოლიტი მიმართავს თავის მომდევნო ძმას, ბატონიშვილ არჩილს:

„რას ქვია... არ ირთავს ცოლს! როგორ თუ არ ირთავ, შენ ნებაზე მიდექ-მოდექის უფლება, ერთი მითხარი, ვინ მოგცა? ეგ ისწავლე ამხელა კაცმა? მაგას გეჩიჩინებოდიო? მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, შენ ნუ მომიკვდები, სწორედ ეგ არის.. ამხელა გზა ტყუილად გამოგვარონიე, შე კაცო? სად შენ და სად ამისთანა კვინტრების ყრა...“

თქვენ ნუ მომიკვდებით, მართლაც, სად გენათელი მიტროპოლიტი და, სად ამისთანა ლაპარაკი!

ქვემოთ ორთავე ძმა, სოლომონი და მიტროპოლიტი იოსები, მიმართავს არჩილს:

„ — რა გატირებს, ბიჭო, არა გრცხვენია? — აქეთ-იქიდან მოა-

შურეს უფროსმა ძმებმა. — რა გაქვს სატირალი? სუ, მოგვეპრა თავი, ვინმე შემოგვისწრებს!“

ვინმეს შემოსწრება და თავის მოკრა მე ნაკლებად მაფიქრებს, ოღონდ ის კი მინდა, „მძიმე ჯვარის“ მომავალ მკითხველს გაეუფრთხილდე და ამ კუთხით რომანის შესაბამისი, უფრო ზუსტად, შეუსაბამო ადგილების ციტირებას მოვეშვა.

ახლა კი გულწრფელად მაინტერესებს: ნეტა მართლა თუ სჯერა მწერალს, მსგავსი გრამატიკული კონსტრუქციებით, სინტაქსით, ლექსაკით ერთი კაცი მაინც ლაპარაკობდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში?

გეოგრაფიული გარემო

„მხედრებმა წყალწითელას ხეობით აირჩიეს წასვლა, კვახჭირისა და გოდოგნის მხარეს რომ ევლოთ. გზა იქნებ უფრო მოკლე და ადვილი სავალი ყოფილიყო, მაგრამ ვაითუ აქ შეთქმულთა ან გოლა-ფაშას რაზმების საფარს წასწყდომოდნენ“.

მძიმე განსაცდელის მიუხედავად, მეფის ამაღლას საზრიანობა გამოუჩენია და მტრისგან თავის დასაღწევად შედარებით უხიფათო გზა — წყალწითელას ხეობა აურჩევია.

უარი უთქვამთ კვახჭირისა და გოდოგნის მხარეს რომ ევლოთ. არადა, ამ მიმართულებით წასვლა, ალბათ მაცდუნებელი იქნებოდა, რადგან გზა უფრო მოკლე და ადვილი სავალი ყოფილა.

და თუ ასე არ მოიქცნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მტერთან გადაყრის შესაძლებლობა ერთი-ორად იზრდებოდა.

„სოლომონმა და მრავალი დიდი და მცირე ლაშქრობის მონაწილე გიორგი წულუკიძემ მოსალოდნელი საშიშროება წინასწარ გაითვალისწინეს და ფათერაკიან გზას გვერდი წინდახედულად აუქციეს“.

ჩინებულად მოქცეულან: მრავალი დიდი და მცირე ლაშქრობის მონაწილე გიორგი წულუკიძეს, რა თქმა უნდა, ეს არ შეეშლებოდა!

საქმე ისაა, რომ მე აქამდე ყურადღება არ მიმიქცევია რომანის გეოგრაფიული გარემოსთვის. ამის საჭიროება არც სიტყვას მოუტანია და არც აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, რაკი რომანში მოქმედება, ძირითადად, იმერეთში ხდებოდა, მეგონა, ჯერ ისედაც პატარა საქართველო მწერალს ფეხი-ფეხ ექნებოდა დავლილი.

პირველი გამაფრთხილებელი სიგნალი რომ მივიღე — „იქ, სადაც სალ კლდეებს შუა მომწყვედელი ნაომარი რიონი ტრიალ მინდვრებში გამოდის და აჯამეთის უსიერ ტყეში შესვლამდე, სამთუ ოთხ თავთხელ ტოტად იყოფა“-ო, მაშინ მივხვდი, რომ საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა.

რადგან მდინარე რიონი არც ახალგაზრდობაში (მისი დინების შორეულ წლებს ვგულისხმობ), არც სოლომონის მეფობის დროს, და არც ახლა აჯამეთის ტყეში ნამყოფი არაა!

ვარციხის მიდამოებში აჯამეთის ტყეს ხელმარცხნივ ტოვებს და ისე არხეინად აგრძელებს გზას ფოთისკენ, კაცი ვერ იფიქრებს, გული თუ წყდება, აჯამეთის ტყეში რომ არ შეიარა!

ამიტომ ახლა, როცა მხედრებმა წინდახედული უარი თქვეს კვახჭირისა და გოდოგნის მხარეს ევლოთ და წყალწითელას ხეობით აირჩიეს წასვლა, ამ გარემოებას მეტი ყურადღება მივაქციე.

თუმცა რა ყურადღების მიქცევა უნდოდა, როცა ამ სოფელში (კვახჭირში) დავიბადე და ამ მდინარეზე (წყალწითელაზე) გავიზარდე.

არავინ იფიქროს, წერილში ბიოგრაფიული დეტალების შემოტანას ვაპირებდე.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ მდინარეს ლაშქრით არასდროს, ისე კი ფეხით, ხელით (ე. ი. ცურვით!) ბევრჯერ ავყოლივარ და ჩამოვყოლივარ, ამიტომ, კვახჭირის მონაკვეთზე მაინც, წყალწითელას ხეობის ერთ-ერთ „სპეციალისტად“ მეც ჩაეთვლები.

დიდ ბოდიშს ვიხდი „მრავალი დიდი და მცირე ლაშქრობის მონაწილე გიორგი წულუკიასთან“, განსაკუთრებით პატივცემულ მწერალთან, მაგრამ უნდა ვაღიარო, წყალწითელას ხეობას ისე ვერ აუყვები, თუ ეს სოფლებიც არ გაიარე!

* * *

მწერალი ნაკლები ყურადღებით მოკიდებია პერსონაჟთა ჩაცმა-დახურვის საქმეს.

„როსტომს ქილებდაძრობილი შავი კაბა წამოეხურაო“...

ქილებიანი ან ქილებდაძრობილი შეიძლება იყოს ჩოხა და არავითარ შემთხვევაში — კაბა.

„მერინოსის თეთრი ბოხობი“ ეხურაო.

ცუდი ალბათ არ იქნებოდა, მაგრამ სოლომონის მეფობის დროს ცოტა ანაქრონიზმად ჩანს.

მერინოსის ჯიშის ცხვარი ესპანური წარმოშობისაა, რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცის დასაწყისში შემოიყვანეს, საქართველოში — გაცილებით გვიან.

„თეთრი გეტრები“ ემოსაო.

თეთრი ფერის გეტრი კარგად „მიდის“ შავგვრემანი ქალის ფონზე, მაგრამ ნეთვრამეტე საუკუნის ქართველები არ ატარებდნენ, სხვათა შორის, არც ქონდათ! ამიტომ პატივებს ხმარობდნენ!

სივრცის ბრუნობა

„წინ მიმავალი სოლომონისა და არჩილ ბატონიშვილის ყურადღება გაქვნიებული ცხენების უწესრიგო თქარათქურმა მიიპყრო“. მათ უმაღ იარაღზე გაიკრეს ხელი და ცხენები ადგილზე მოატრიალეს მტრის დასახვედრად. ხელთ თვით გიორგი წულუკიძე შერჩათ. ის დაწინაურებულებს წამოეწია და მეფეს სიცილით მოახსენა, რაც მომხდარიყო. ოდიშარები მიბრბოდნენ...“

მეფის ამალის გუნებაზე მოსვლამ ხასიათი მეც გამოიკეთა და შეწყვეტილ ამბავს გავავრძელებ.

მეფის მცირერიცხოვან რაზმში მეგრელებიც ერივნენ — მათთვის არავის არაფერი უთქვამს, მხოლოდ ცხენებზე ამხედრება უბრძანესო.

გიორგი წულუკიძემ ახალი ამბავი მოიტანა — ოდიშარები გაიქცნენო.

ამ ეპიზოდიდან ერთი რამ მაინტერესებს, მკითხველს ვაჩვენო, როგორ გრძნობს მწერალი პერსონაჟთა სამოქმედო არეს, ანუ მოქმედების მიმდინარეობას გეოგრაფიულ სივრცეში.

წინ მიმავალ სოლომონს ცხენების თქარათქური უკნიდან შემოესმა. დაწინაურებულ მეფეს გიორგი წულუკიძე წამოეწია. ცხენები ადგილზე მოატრიალეს. მეგრელები გამეტებულად მიაქვნიდნენ ცხენებს თავდაღმართში.

„ისინი მთელი სისწრაფით მიიჩქაროდნენ საღორიის ტყისკენ“.

რაკი მეფის ამაღაც რაჟისკენ მიდიოდა — საღორიის ტყისკენ უნდა წასულიყო. ყოველ შემთხვევაში, გეზი იქეთ იქნებოდა მიმართული. ამიტომ მეფის ამაღასაც და „საღორიის ტყისკენ“ გაქცეულ მეგრელებსაც, წინ ეს ერთი გზა ედოთ!

ამ მიზეზის გამო — წინ მიმავალ სოლომონს ცხენის უკან მიტ-
რიალება არ დასჭირდებოდა — მეგრელები თუ საღორიის ტყის-
კენ გარბოდნენ, ან ეს-ესაა გადაასწრეს მეფეს, ან სადაცაა წამო-
წვოდნენ!

რაც, ორთავ შემთხვევაში, ტყუილი იქნებოდა!

რადგან:

1. თუ ოდიშარებმა მეფეს უკვე გადაასწრეს, მაშინ „წინ მი-
მავალ სოლომონს“ უკანმომავალი გიორგი წულუკიძესგან ამის
შეტყობინება რატომ დასჭირდებოდა?

მეფეს მხედრები ხომ გვერდით ჩაუჭროლებდნენ?

2. თუ ოდიშარები უკან არიან და წინ, საღორიის ტყისკენ,
მირბიან, ვიდრე მეფეს გადაასწრებდნენ, ჯერ ხომ უნდა გაუს-
წორდნენ?

მაშაადამე, პირდაპირ მეფისაკენ მიჰქრიან!

ამიტომ უკან მიხედვა რაში სჭირდებოდათ, წინ უნდა ეცქი-
რათ! რადგან თუ მარჯვედ არ იქნებოდნენ და მეფეს გვერდს ვერ
აუვლიდნენ, ცხენდაცხენ შეასკდებოდნენ!

ამასთან, რაკი მეფის ამაღამ „ჩხეიძისეული სასახლე გამთენი-
ის უამს (ის ცნობილი ღამე ჯერ კიდევ არ ჩამოთავებულა!) და-
ტოვა“, ალბათ გაჭირდებოდა იმის დანახვა: „ყველაზე წინ კუდ-
გამოსკვნილ წითელ ულაყზე ამხედრებული ჩიჩუა მიჰქროდა და
თეთრი ჩაბალახის ტოტებს პირქარი უფრიალებდა“.

კუდგამოსკვნილი ულაყის წითელი ფერი და ჩაბალახის სითეთრე
რომ შეგვემჩნია, ამისთვის ალბათ კიდევ უნდა მოთენებულებო!

* * *

ეპოქისთვის მიუღებელ სინტაქსურ კონსტრუქციებსა და ანაქ-
რონიზმამდე მისულ ლექსიკურ მასალას ხელი არ შეუშლია მწერ-
ლისათვის, მშობლიური ქვეყნისთვის და მისი ისტორიისთვის და-
უმსახურებელი წყენა მიეყენებინა.

„ტფილისის ვილაიეთის ნაცვლად ლიხს გადაღმა მუსულმანური
გავლენისაგან თავდახსნილი ქართლისა და კახეთის სამეფოები აღ-
მოცენდნენ“.

როგორ მოგწონთ, ლიხს გადაღმა მუსულმანური გავლენისაგან
თავდახსნილი ქართლისა და კახეთის სამეფოები მე-18 საუკუნის
ბეორე ნახევარში რომ „აღმოცენდნენ“?

„თუ საჭიროება მოითხოვდა, რაღა თქმა უნდა, ძალი ძალის ტყავს არ დახვედა და ქართლ-კახეთის მეფეებიც ფარულ ან აშკარა დახმარებას გაუწევდნენ ოსმალების წინააღმდეგ ამხედრებულ აზიკბაშთა მეფეს“.

როგორ მოგწონთ, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებზე ნათქვამი — ძალი ძალის ტყავს არ დახვედა?

„ვარციხის სასახლეში დაბინავებულ ქართლ-კახელ დიდებულებს და მათ მზღებლებს დილამდე მართლაც არაფერი შეუტყუვიათ. რისამე სარწმუნო შეტყობა მათ ვერც მეორე დღეს შესძლეს. გუმანით ყველა მიმხვდარი იყო: სანამ სტუმრებს ეძინათ... აქ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი ამბები დატრიალდა, მაგრამ რა ამბები? მათ, უცხო ხელმწიფეთა ქვეშევრდომებს, ამის გამოძიება და ყველაფრის შეტყობა არ შეეძლოთ“.

როგორ მოგწონთ, ქართლ-კახეთის დიდებულებზე ნათქვამი — მათ, უცხო ხელმწიფეთა ქვეშევრდომებსო...

გამოღმით მი ვარ, გაღმით უან...

მხედრები ხრესილის მინდორზე გავიდნენ, აქედან საწირემდე, სადაც მეფე უნდა მისულიყო, ორიოდ საათის გზა იქნებოდა დარჩენილი.

მგზავრებმა წყაროსთან შეისვენეს. ცხენებს წყალი დააღვინეს და თვითონაც დალიეს. ის იყო ამხედრებას აპირებდნენ, რომ ძეძვის ღობეს ბერიკაცი მოადგა და უცხო მგზავრებს „ერწამა“ შეჩერება სთხოვა: მოხუცს რძალი აეგზავნა სოფელში, ერთი ღოჭი ღვინისა და ჭადის ნატეხის ჩამოსატანად.

მეფის თანხმობის გარეშე დარჩენას ვერაეინ გადაწყვეტდა.

სოლომონის დასტურიც მიიღეს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პაპუნა წერეთლის გაფრთხილება „ცოტა დოუჩქაროთ, ერთ საათში მოვლენ და აქაურობას აიკლებენო“, მარტო მე მახსოვს!

მეფის მცირერიცხოვანი ამაღა ისე იქცევა, თითქოს როდინობის კვირაში თვალისათვის ამოდ საცქერალ სანახაობას ეძებდეს.

ჯერ იყო და „გიორგი წულუკიძე ჭადარა უღვაშებში ილიმებოდა, თვალეგაბრწყინებული არჩილ ბატონიშვილი კი ამ თავშესაქცევ სანახაობას უჩვეულოდ გამოეცოცხლებინა“.

ახლა კიდევ, მეფის დასტურით ამაღა ერთი ღოჭი ღვინისა და

ჭადის ნატეხის ჩამოსატანად სოფელში აგზავნილ ბრეგვაძეების ახალგაზრდა რძალს ელოდება.

ალბათ, არც არავინ მოსდევთ და არც არსად ეჩქარებთ!

ახლა, ვიდრე მეფის ამაღლა „ჭიქა ღვინოსე და ჭადის ნატეხზე“ თავს შეიჭკევედეს, დრო მაქვს და ავტორის მწერლურ თვალსაც მეტი გულისყუროთ დაეკვირდები.

ასეთი სიტუაცია: ძეძვის ღობის შიგნიდან ბერიკაცი დგას, გადაღმიდან მეფის მხედრონი, ახლა ჩემთვის საინტერესოა შუაგამყოფი ღობის სიმაღლე.

ამასაც შევიტყობთ!

„რა გვარი ხარ, ბიძა? — ჰკითხა სოლომონმა და ძეძვის ღობეს, რომლის გადაღმაც მხოლოდ ჭადარა თავი მოჩანდა მასპინძლისა, გზის მხრიდან მიადგა“.

ღობე თითქმის ბერიკაცის სიმაღლე ყოფილა!

მართალია, ბრეგვაძის კაცი სიბერისაგან დაღეულია და ბეჭებშიც საგრძნობლადაა მოხრილი, მაგრამ თავად სოლომონ მეფეც ხომ ტანმორჩილია!

ასე რომ, ღობის გადაღმა-გადმოღმიდან მდგარნი ერთმანეთისას მხოლოდ თავებს ხედავენენ!

ამის ზუსტი ცოდნა ბევრ რამეში გამომადგება.

ამასობაში ბრეგვაძის ახალგაზრდა რძალი გამოჩნდა.

„ვენახის ნაპირ-ნაპირ ჩამოიარა, დამხედურთ მორცხვად მიესალმა და ძეძვის ღობეზე ჯერ სველი დოქი შემოსდგა და შემდეგ ქათქათა თეთრ ხელკალათსაც მოუნახა ადგილი. ქალი ფეხმძიმედ იყო, ამდენი უცხო მამაკაცების წინაშე სახეზე აღმური ასდიოდა...“

ჯერ ერთი: ვენახის ნაპირ-ნაპირ ჩამოყოლილ ბრეგვაძის რძალს, კაცის სიმაღლე (დაბალი კაცის სიმაღლე!) ღობის გადაღმიდან ვინ შეამჩნევდა, რომ ის ფეხმძიმედ იყო ამის გარდა, ამ სიმაღლე ღობეზე ასე „იოლად“ როგორ შემოდგა ღვინიანი დოქი?

კიდევ ვიშეორებ: მასპინძლებსა და სტუმრებს შუა კაცის სიმაღლე ძეძვის ღობეა ჩამდგარი! პატარძალმა ამ ღობეზე „ჯერ სველი დოქი შემოსდგა და შემდეგ ქათქათა თეთრ ხელკალათსაც მოუნახა ადგილი“.

დაახლოებით მაინც, ხომ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაა? „სოლომონს თვალი მოსტაცა ახლახან კეცებიდან ამოყრილმა პიწკინა მჭადებმა, სქლად დათლილმა ჰყინტმა ყველმა და ნაადრევმა

ზასხასა მწვანილმა. ყველა ეს ქალმა ისე მოხდენილად გააწყო სუფრაზე, იმდენი მადლი მოაფრქვია, მაძლარსაც კი მოაშიებდა და ნერწყვის მოჰვერიადა“.

მოხდენილად სუფრის გაწყობას თავიც რომ დავანებოთ, ამ სიმაღლე ღობეზე მისი შემოლაგება გაჭირდებოდა! კიდევ რომ მოეხერხებინა, სუფრის წვევრებისთვის მისადგომად მეტიისშეტად მოუხერხებელი იქნებოდა!

ამის გარდა, ღობეც სუსტი ყოფილა: „მოხუცი ღობეს გადმოაწვა და ხმელ ძეძვს ლიწინ-ლიწინი დააწყებინა“.

ერთი სიტყვით, ასე პურისჭამა არ გამოვიდოდა!

ახლა სხვა ვარაუდიც დავუშვათ.

ვთქვათ, სუფრა ბრეგვაძის ახალგაზრდა რძალმა ვენახში გააწყო (სხვათა შორის, „მძიმე ჯვარზე“ დაწერილ წერილში ამ მოსაზრებას მხარს უჭერს პატივცემული გიორგი ნატროშვილიც. ეტყობა, მანაც ბევრი უტრიალა ამ უცნაურ ეპიზოდს!)

მაშინ იმის გარდა, რომ მეფე ვერ დაინახავდა, როგორ „მოხდენილად გააწყო სუფრა“ ბრეგვაძის რძალმა, ამ ვარაუდს სხვა ბევრი უხერხული მხარეც ახლავს.

თუნდაც ეს ერთი:

სადღეგრძელოს გადაღმაც კი იტყოდი ამ საქმით დაინტერესებული კაცი, მაგრამ ღვინოზე ლუკმის მისაყოლებლად, ამ სიმაღლე ღობეზე, რა გადმოიყვანდა!

არადა, ამ ყოვლად უხერხულ მდგომარეობას ადვილად აარიდებდა თავს მწერალი, მეფის ამაღლა, კიშქარზე მოვლით, ვენახში რომ შემოეყვანა ან სუფრა იქვე, წყაროზე გაეშალა...

სუფრასთან საუბარი გაჩაღდა.

„მეფე დევ-გმირია. მისი მომრევეი კაცი, დედამიწის ზურგზე არ მეგულებაო“, — თქვა ბერიკაცმა.

„შენ რა იცი, გინახავსო?“ უთხრეს.

„— ჩემი თვალთ, ბატონო, რავარც ახლა თქვენ გიყურებთ — ჩინორის ომში სულკურთხეულ მეფე ალექსანდრეს ვახლდი. ბატონიშვილი სოლომონიც იქ ბრძანდებოდა, ჯერ ბოვში კაცი იყო, მართალია, მარა ღომივით იომა, თავი ნუ მამიკვდება, ვკვირვობდით ყველა...“

სხვათა შორის, ბერიკაცი მაღალი ღობის გადაღმა მყოფ სტუმრებს კარგად ვერ ხედავდა. ამიტომ, როცა ეს ვიცით, მისი ნათ-

ქვაში — რავარც ახლა თქვენ გიუყურებთო — ირონიულად ჟღერს!
რა თქმა უნდა, ამ ირონიას მწერალი ვერ იგრძნობდა, რადგან
ვისთვის ეს დაბრკოლება, ანუ „მაღალი ღობის პრობლემა“, ისევე
არ არსებობს, როგორც ამ რომანისთვის — ისტორიული სინამდ-
ვილე.

ამასთან დაკავშირებით მწერლის კომენტარს გავეცნოთ.

„ჩიხორის ომის დღეს სოლომონი თერთმეტი თვისა გახდა,
ჟბაყურა ბატონები სჭირდა...

ერთი შეხედვით, ავტორი ისე ზედმიწევნით გაცნობია პერსო-
ნაჟის ბიოგრაფიას, ისიც კი დაუდგენია, ჟბაყურა ბატონები თერ-
თმეტი თვის ასაკში მშვიდობიანად რომ მოუხდია!

მაგრამ ცოტა კი გაგიკვირდებათ, რომ შეიტყობთ, ბატონიშ-
ვილს ჟბაყურა ბატონები მაშინ მოუხდია, როცა ჯერ კიდევ დაბა-
დებული არ ყოფილა!

კაი ბატონები ბრძანებულა, მოუოხე, მკითხველო! მე კი მანამ-
დე ამ საქმეს გავარკვევ.

თუმცა გასარკვევი რა არის — ჩიხორის ომი, სეხნია ჩხეიძის
ცნობით (იგი ამ ომის თანამედროვეა და მასზე უკეთეს მოწმეს
ჟერსად ვიშოვით!) 1732 წელს მოხდა. სოლომონი კი სამი წლის
შერე — 1735 წელს დაიბადა!

თუ იმდროინდელ საქართველოში ჟბაყურა ბატონებს ბავშვები
დაბადებამდე არ იხდიდნენ, მაშინ პატივცემული მწერლის მოწო-
დებული ცნობა ზუსტი ვერ ყოფილა, მოკლედ, მოვუტყუებვიართ
და ესაა!

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ავტორის კომენტარს.

„ჩიხორის ომის დღეს სოლომონი თერთმეტი თვისა გახდა, ჟბა-
ყურა ბატონები სჭირდა და... ომში სოლომონს, რასაკვირველია,
შონაწილეობა არ მიუღია. ეს გიორგი წულუკიძეშაც და ზოგიერთმა
აქ მყოფმაც იცოდა. აჭიკჭიკებულ ბერიკაცს მაინც ბოლომდე
ათქმევიანეს სათქმელი“.

ამ კეთილშობილური საქციელით შეგულიანებულმა, მეც ბო-
ლომდე მოვუსმინე რომანის ავტორს, მაგრამ მაინც გაკვირვებული
დავრჩი.

იმას თუ ვივარაუდებთ, რომ მწერალი ქვეყნის მარჩენალ გლეხს
არ დასცინებდა, მაშინ ამის თქმა — თერთმეტი თვის სოლომონს
ჟბაყურა ბატონები სჭირდა და ომში მონაწილეობა არ მიუღიაო —

ჩვენი, მკითხველის, აბუჩად აგდებაა, რადგან უფლისწულს ბატონები კიდევაც რომ აქონოდა მოხდილი, თერთმეტი თვის ბალანსი მას ბარაქას მაინც ვერ დაატანდა!..

ამასობაში „ბერიკაცი ისევ გადმოაწვა ლობეს და ძეძმაც ისევ დაიწყო ლაწალუწი“ — წერს ავტორი.

სანამ სუფრა მთლად არ ჩამოშლილა და ლობის ძირას ბრაგვანი არ გაუდენია, აქაურობას მშვიდობიანად გავშორდეთ.

„კმარა!“

ეს პატივცემული მწერლის ხმაა, მაგრამ არა ამ სიტუაციის და, მით უფრო, არა ჩემი მისამართით ნათქვამი, არამედ რომანის ბოლოთქმაში საკუთარ თავს შეუძახა:

„კმარა!“ ისედაც ბევრი ვიქადაგე და ჩემი მკითხველი ნამდვილად მომხდარი ისტორიული ფაქტებისა და მხატვრული გამონაგონის ოღროჩოღრო გზებზე ისედაც ბევრი ვატარე“.

თუ ღმერთმა ქნა და მეფის ამალის ამ მცირე ოღისეაზე საუბარი ბოლომდე მივიყვანე, მეტს აღარ გავაგრძელებ, მეც ხომ მაქვს სურვილი, ჩემი წერილის მკითხველს გავუფრთხილდე, რომელიც „ისედაც ბევრი ვატარე“ მწერლის „მხატვრული გამონაგონის ოღროჩოღრო გზებზე“.

* * *

და მაინც, შემოთ მოტანილი აზრები, რაკი საწყენად მივიღეთ, ეტყობა, გაგებით მაინც გაგვივია!

ქვემოთ ვთავაზობთ წინადადება-გამოცანებს, რომელთა შინაარსის ამოცნობა, ჩვენ შორის ყველაზე გონებამახვილ მკითხველსაც კი გაუჭირდება.

„სულ რამდენი თხა არის, გოგოელა?“

— ამასწინაზე ორი ცხრა მგელმა შეგვიქამა, მამაო, ახლა ორასიოდე იქნება...“

აქ ჯერ ისაა ამოსაცნობი, მკვლელები ორჯერ ცხრა იყო თუ ცხრა მგელმა შექამა ორი თხა!

მერე სხვაა კიდევ ვასაგები. თუ ცხრა მგელმა ორი თხა შექამა და ახლა ორასიოდეა, ეს ორი ცხრა მგელს რომ არ შეექამა, რამდენი იქნებოდა?

ორასიოდეზე გაცილებით მეტი?

სხვათა შორის, რაც მთავარია, ასეთი სიზუსტით, როგორც

თხაქამია ცხრა მგელი დათვალა, ავტორს არცერთი ისტორიული ფაქტი არ მოუტანია...

„კაცს თვინიერი, აზრიანი თვალეზი ჰქონდა თითქოს ცით მოვლენილი, კალმით ნახატი მღვდელმთავრის წინაშე მას მუხლი მოეყარა...“

კალმით ნახატი მღვდელმთავარია?

კონტექსტით კი კაცი უნდა იყოს კალმით ნახატი!

„ერეკლეს და, ელისაბედი, კაციაზე თითქმის ათი-თორმეტი წლით უფროსი, უკვე ხანშიშესული ქალი, თავად დიმიტრი ამილახვრის თანამეცხედრე იყო, მაგრამ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში გარეული ამილახვარი და ბატონიშვილი ელისაბედს განრისხებული მეფის ბრძანებით ტფილელ მიტროპოლიტს გაეყარა და ამილახვრის ნაცოლარს დღე-დღეზე ოდიშის მთავართან უნდა ექორწინა“.

მე, პირადად, ეს წინადადება ბევრჯერ წვაკითხე, არაფერი გამომივიდა.

იქნებ თქვენც სცადოთ!..

ბატონიშვილი ზრავულობს!

მეფის ამაღამ ძიძიშვილების სახლს უწია.

გზით გალახულ არჩილ ბატონიშვილს „ყინწი მოსწყვიტა ძილა“.

მაინც გაჯიუტდა, არ დაეძინებ, სანამ თინათის არ მოიყვანთო.

თუ გახსოვთ, დიშის ჩხეიძისეულ სასახლეში თინათის ჭამო ჯერ ღვარღვარით ჩამოდიოდა ცრემლი, მერე, გიორგი წულუკიძის რჩევაზე „ღროებით მაინც გავეცალოთ აქაურობასო“, დედოფალმა მხოლოდ არჩილს გაახსენდა.

„თინათი?... წამოცდა არჩილ ბატონიშვილს ღა ისევ გაწითლდა“.

ახალგაზრდა დედოფლის ხსენება ბატონიშვილს ყოველთვის სიწითლეს გვრის.

ასე მართლაც არ შეიძლება!

ჩხეიძისეული სასახლიდან ფეხი ვერ გამოადგმევინეს. სანამ არ აღუთქვეს, რომ თინათის წამოსაყვანად ხალხს გაგზავნიდნენ.

დანაწოლად გამზადებული, ახლაც გაჯიუტდა: „სანამ ნიკოლოზა და დათუნა არ მოვლენ და თინათის არ მოიყვანენ, არ დაეძინებო“.

არჩილ ბატონიშვილი უკვე პატარა აღარაა, თოთხმეტი წლის ყმაწვილია, სხვათა შორის, არც თინათი უნდა იყოს მეტის! ამიტომ დაწოლის წინ რომ აიტეხს, ჩემი რძალი მოიყვანეთ, ისე არ დაეძინებო. ცოტა უხერხულია.

ვთქვით და, არჩილი მართლაც ბავშვია. მაშინ, ვილაცას ხომ უნდა ეკითხებოდეს ჰკუა, რომ ბატონიშვილს თავის კბილა რძალი ლოგინში შეწოლის წინ არ გაახსენოს?

ძმასთან და რძალთან სიახლოვეს, თავისი წესი და რივი აქვს, გაღამებული არაფერი ვარგა!

თინათი რომ მოიყვანეს, სოლომონმა პირველად ეს ახარა ცოლს: „არჩილი ავერ წევს. გიცადა, გიცადა, მაგრამ ვერ გასძლო!“

„მძინარე ბატონიშვილს გახედა, ნიკაპქვეშ საბანი შეუსწორა!“

ამაზე მოგახსენებდით, ახალგაზრდა რძალს მოწიფული მაზლის ლოგინში ხელის ფათური არ შეშვენის.

ამით ქვეყანა არ იქცევა, მაგრამ ლამაზი არაა!

ვიმეორებ, არჩილი ბავშვი აღარ არის, მასზე ერთი წლით უფროსი ძმა — უკვე გელათის მიტროპოლიტია!

დედოფლის მობრძანება ისევ უნდა გავიხსენოთ.

„მომცრო ტანის ჭიშიან ცხენს, რომელზედაც ნაბადმოსხმული კაფანდარა მხედარი იჯდა, ეზოში შემოუძღვნენ. თინათი უინკლილებით გაჩირალდნებულ დერეფანში ჩამოვიდა ცხენიდან, თვალეში ჩამოფხატული კბენია ჩაბალახი მოიხადა...“

ყურადღება მივაქციოთ: მხოლოდ კბენია ჩაბალახი მოიხადა.

ნაბადი კი ისევ ტანზე აქვს მოსხმული.

„უბაბუკი მეფე აქეთ მოჩერებულ ათას წყვილ თვალს არ მოერიდა, ცოლს მხრებზე შემოხვია ხელი, დარბაზში შეუძღვა და კერიაზე გაჩაღებულ შუაცეცხლისაკენ ისე წაიყვანა, თითქოს პატარაა და ფეხს არ ადგმევინებო... შეგცივდა განა გზაში?.. ნუ გეშინია, გაგათბობთ.. ეი, ვინ ხართ მანდ, დედოფალს ნაბადი მოართვით!..“

მართალია, მეფე სოლომონს ტახტი უკვე დაკარგული აქვს, მაგრამ იმდენი გამავლობა კი ექნება მისიანებში, ეს დავალება რომ შეუსრულონ და მეუღლეს ნაბადი მოართვან.

მაგრამ რად უნდა?

თინათისთვის ხომ ჭერ ის ნაბადიც არ მოუხდიათ, რომელიც ესხა?

ახლა, პირგამოწახულზე, შეუცეცხლთან მიყვანილ დედოფალს მეორე ნაბადი რაში დაქირდებოდა?

ალბათ არჩილის გასაცინებლად!

როცა ატირებული ბატონიშვილი გაიღვიძებდა და შეუცეცხლთან მიფიცხებულ (ორ!) ნაბადწამოსხმულ თინათის დინახავდა, უეჭველად გამხიარულდებოდა!..

დედოფლის მობრძანებამდე სოლომონ მეფეს ქაიხოსრო აგიაშვილი ეწვია. შეშფოთებულმა მეფეს პირდაპირ მიმართა:

„ — მართალია, რაც მითხრეს?“

უადგილო შეკითხვაა, რადგან აგიაშვილს აღრევე შეატყობინებს თავა დატეხილი უბედურება და ახლა მეფეს თავად აინტერესებს, ჩემმა გამოგზავნილმა კაცებმა დროზე თუ ამოგისწრესო.

„სერს რომ გადაედექი თუ არა, ეზო ჭარით გაივსო, ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ. რა ექნა, რა გაეწყობა, მეფევ, შუბლზე რაც ვაწერია, კაცი იმას ვერ ასცდება“.

ესე იგი, თავის თვალთ უნახავს, რაც უთხრეს, მართალი რომ ყოფილა და, რაღას კითხულობდა?!

ქაიხოსრო აგიაშვილი უადგილოდ დასმულ შეკითხვას არ შეუცხუნებია, სასოწარკვეთილ მეფეს ისევ მიმართა:

„ — ვედარ გცნობ, დიდებულო მეფევ, ე რა გული გაგიტეხია... ახლა იმედის გადაწურვა კი არა, განძრევა გემართებს“.

წელან კითხვა იყო ზედმეტი, ახლა — ქვეშევრდომის მეფესთან შეთამამება!

აღრე მწერალმა დროს არ გაუწია ანგარიში!

„პირფართე ქოთანი თუხთუხებდა ცეცხლის პირას და ღარბაზში ქალაკოდას მაღის მომგვრელ სუნს აყენებდა“.

ეს მაშინ ხდება, როცა გათენებას თითქმის აღარაფერი აკლია!

კარგად არ ვიცი, ქალაკოდა, ალბათ, საადრეო მინდვრის ფხალია, მაგრამ ცოტა უდროო დროს კი არის ჩადგმული!

თუ მეფის ძიძას ქალაკოდა თავის საეახშმოლ „ინჯრად“ უნდოდა, აქამდე უნდა მოეხარშა, თუ სასტუმროდ — მინდვრის ფხლით ამდენი ხალხის დაპურება, ქრისტეს სასწაულს გადააჭარბებდა!

აქამდეც შეამჩნევდით, მღევარდადევენებულ მეფის ამაღას დიმიდან ფეხდაფეხ გამოვყევი და საწირეში მოსვლამდე თვალი არ მომიშორებია.

ყოველ გაფაჩუნებას განვიცდიდი — მდევარი არსად იყოს მეტქი!

ახლა, ძიძიშვილებთან მშვიდობიანად მოსული მეფე ქაიხოსრო აგიაშვილს ეუბნება: „ეგ კი არა, მართლა რომ დამედევნონ და დავერა მომინდომონ, ვერსად გავექცევი“...

აბა, ის ხალხი, მეფე ტახტიდან რომ ჩამოაგდო, მასხრობდა?

ანდა: შიშისგან დაზაფრული პაპუნა წერეთელი წამდაუწუმ რომ გაიძახოდა, ცოტა დოვუჩქართო, „თავს უნდა უშველო, ბატონო. ერთ საათში, შეიძლება უფრო ადრეც, შენი მტრები აქ მოვლენ და აჭაურობას აიკლებენ“. ისიც სუშრობდა?

ალბათ გახსოვთ: კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი რომ ბრძანებდა:

„სწორედ ამ აშბით იწყებს გამოჩენილი პროზაიკოსი რევაზ ჯაფარიძე თავის რომანს და მკითხველი ერთბაშად შეჰყავს მძაფრი, დაძაბული და უაღრესად დრამატული ბრძოლის ვითარებაში“.

ახლა კი მინდა ვიკითხო, კრიტიკოსის განცხადებას: მწერალს „მკითხველი ერთბაშად შეჰყავს მძაფრი, დაძაბული და უაღრესად დრამატული ბრძოლის ვითარებაში“ — იზიარებთ თუ არა?

ვასრულებ დაპირებას! აქიდან მოყოლებული, ჩემი წერილის მკითხველს აღარ ვატარებ მწერლის „მხატვრული გამონაგონის ოღრო-ჩოღრო გზებზე“.

აწი მის ყურადღებას „ნამდვილად მომხდარ ისტორიულ ფაქტებისკენ“ მივმართავ.

სარჯალი გიორგი

„იმათ შორის, ვინც ომში სხვათაგან გამორჩეული მოსაზრებულობა და გმირობა გამოიჩინა, ერთ-ერთ უპირველესს, თითქმის ყვარლის ალყის გამრღვევთა წინ, ასახელებდნენ ერისთვიშვილ ვიორჯი სარდალს. გიორგი სარდალის მბედრულმა ვაჟებდაოქამ, მოხერხებამ და ჯარის გაძლოლის უნარმა ალის ციხის ბედი სასიკეთოდ გადაწყვიტა და ლიხთიშერეთის ოთხსავე სადროშოს გზა გაუხსნა გორისკენ, სადაც მეფე თეიმურაზი იყო ალყაში მოქცეული და ორი მხრიდან — დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მარველი ძალის მოსილას მოუთმენლად ელოდა“.

ყველა ეს პუნქტი ცალ-ცალკე შევამოწმოთ.

გმირობით დავიწყოთ.

„გიორგი სარდლის მიერ შერჩეულ ბიჭებს ციხისთვის უკანა მხრიდან მოველოთ და ნაღმის ჩასადებად კედლის ძირში ორმოც აპოეთხარათ. სხვები, სამოციოდე კაცი, მათ შორის თვით გიორგი სარდალიც, მშრალ ხევში ისხდნენ და როგორც კი ნაღმი აფეთქდებოდა და კედელში ხერელს ან ნაპრალს გააჩენდა, ციხისთვის უნდა მოეშურებინათ. ნაღმი აფეთქდა, ციხის მთელი უკანა კედელი ჩამოაქცია, ბიჭები კინალამ ქვეშე მოიყოლა, მაგრამ ციხიდან ბაიბური არ ისმოდა. როდესაც შიგ შევიდნენ, ყველა სახტად დარჩა: ციხეში კაცის ჭაჭანება აღარ იყო“.

მეალყეთა ფუნქციაში, ალბათ, ისიც შედიოდა, რომ ციხის შიგნით რა ხდებოდა იმისთვისაც თვალი მიედევნებინათ.

მტერი თვალდახელშეა გაპარვიათ!

ეს, რა თქმა უნდა, აქტივში არ ჩაეთვლებათ.

მართალია, კედლის ძირში ორმოც კი ამოთხარეს ნაღმის ჩასადებად, მაგრამ, როცა მტერი აღარსად არის, ეს უფრო შრომითი გვირობაა, რასაკვირველია, არა ნაკლებ საპატიო, ვიდრე საბრძოლო, მაგრამ მხედრულ მამაცობას მაინც ვერ დავარქმევთ!

საინტერესოა, სად ჩანს, ან როდის გადაწყვიტა „გიორგი სარდლის მხედრულმა გამბედაობამ, მოხერხებამ და ჯარის გარდოლის უნარმა ალის ციხის ბედი სასიკეთოდ?“

იქნებ უშუალოდ ოპერაციის მომზადებაში იჩინა თავი მისმა გამორჩეულმა მხედრულმა თვისებებმა?

ესეც გავარკვიოთ.

დიდად გახმაურებულ საომარ ოპერაციამდე გიორგი სარდალს ღურბინდი ეჭირა ხელში და ალის ციხეს აკვირდებოდა. მალე მხედართა პატარა ჯგუფი შენიშნა, რომლებიც ცხენებს მათი ბანაკისკენ მოაგელვებდნენ.

„ლევები! — დინჯად თქვა გიორგი სარდალმა და ღურბინდი ძმას, მეთოდეს გაუწოდა. — ქვე რავა ოულერიად-ყე თავი და მოდიან, ჩვენ ველარა გვხედავენ?“

სულ ეს იყო, მეტი არც არაფერი უთქვამს და არც არაფერი მოუშოქმედებია!

მეთოდემაც დაადასტურა, მხედრები ლევები არიანო, გიორგი სარდლისაგან განსხვავებით, დროშაც შეამჩნია — „თეთრ დროშას მოაფრიალებენ. მოლაპარაკება თუ უნდათ“.

როგორც ჩანს, ამ სიტუაციაში ლევების გამოჩენა გიორგი სარ-

დღისთვის ცოტა მოულოდნელიც კი აღმოჩნდა და, ეტყობა, დაიბნა კიდევ, ამიტომ ძმას ეკითხება — „როგორ მოვიქცეთო“.

მეთოდემ ურჩია — „უნდა ჩავაგებოთ ვინმეო“.

გიორგი სარდალი ორჭოფობდა, ბოლოს მაინც თქვა: „თუ თავად ჩავეგებო?“

ამაზე მეთოდემ სულ გადაიხრია:

„ — არა, არა, ვინმე სხვა ჩაგზავნე, ვინ იცის, რა განზრახვით მოდიან!“

გაუგებარია, რამდენიმე ლექმა, თეთრი დროშით მოსალაპარაკებლად რომ მოდიან, ასე როგორ შეაშინა ერისთავის უნამაცესი ბიჭები?

გიორგი სარდალმაც, რაკი ძმამ დააფრთხო, ლექებთან სალაპარაკოდ დალაკუნა გოცირიძე ჩაგზავნა და პირადი დავალებაც მისცა: „თუ გესროლონ, შენც ქვე ესროლე, თუ არა და...“

აი, გიორგი სარდლის მთელი დამსახურება ალის ციხისათვის ბრძოლაში. მე ყველაფერი მოგიყევით, უფრო პატიოსნად ამ „საარაკო“ გამირობის გადმოცემა არ ხერხდება!

ახლა თქვენ მითხარით, სად ჩანს აქ „გიორგი სარდლის მხედრულმა გამბედაობამ, მოხერხებამ და ჯარის გაძლოლის უნარმა ალის ციხის ბედი სასიკეთოდ რომ გადაწყვიტა?“

მაგრამ ესეც არაფერი, მთავარი აწი იწყება!

ციხის აღებასთან დაკავშირებით, დალაკუნა გოცირიძემ მეფეს გიორგი სარდლის მოლოცვა გადასცა. მეფე სოლომონიც მოხიბლულია სარდლის გამირობით!

„ვიდრე, პირისპირ ვნახავდე, ჩემი მადლობა გადაეცი ბატონ როსტომს, მეტადრე კი სარდალ გიორგის, ვინც ასე ივაჟაკა და ციხე დაიკავა“.

კი მაგრამ, ცარიელ ციხეს რაღა დაკავება უნდოდა?

გიორგი სარდლის შექება აქ არ მთავრდება!

„თვით როსტომი, შეიძლება ითქვას, ომში არც კი გარეულა, მხოლოდ ჯარს ახლდა და თავის აქ ყოფნით გულს უკეთებდა. სამაგიეროდ, ბურთი და მოედანი შეილებს დაუთმო, თუმცა ყველა გიორგას დაუქვემდებარა და გიორგიმაც, ენაცვალოს მამა, გაუმართლა!“

კაცი ტყუილუბრალოდ არ გადამკიდონ! ყველა თუ ასე ფიქრობს, გიორგის საწინააღმდეგო მე რა მაქვს, ჩემი თავიც ენაცვალოს!..

მაგრამ არ მინდა, იოლად გამაცურონ, ამიტომ სიმართლეს ვიტყვი.

სხვათა შორის, ის წიგნები, მწერალმა რომ რომანის წერის წინ მოიმარაგა, მე ცალ-ცალკე მაქვს წაყიანებული!

ავტორი რომ ბრძანებს: გიორგი სარდლის მხედრულმა გამბედაობამ „ღიბთიმერეთის ოთხსავე სადროშოს გზა გაუხსნა გორისკენ, სადაც მეფე თეიმურაზი იყო ალყაში მოქცეული და ორი მხრიდან — დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მამული ძალის მოსვლას მოუთმენლად ელოდაო“. — სამწუხაროდ, მართალი არაა!

იმ წიგნებში, მწერალმა რომ გამოყენებულ ლიტერატურაში დაასახელა, წერია, მაშინ მეფე თეიმურაზი გორის ციხეში არ ყოფილა — ცხინვალს მდგარა. ერეკლესაც არსაიდან ელოდა, სახელოვანი შვილიც გვერდით ყოლია. უბედურება ის იყო, რომ მამა-შვილს ჯარი თან არ ახლდა. ციხეში შეეკეტილან და მტერს იქიდან ებრძოდნენ.

იმერთა მეფეს დახმარება სთხოვეს — ქსნის ერისთავი აახლეს. სოლომონმა წვევა მიიღო და ქართლს გაეშურა.

ამასობაში, სოლომონის ქართლში გადასვლამდე, ჩონჩოლ-მუსას ცხინვალისთვის თავი დაუწებებია, ალის ციხეს დასცემია და იქაურობა მოუსრავს.

ასე რომ, იმერთა ჯარს იმხანად ლეკები არსად გადაყრია!

ვიმეორებ: ალის ციხის მიდამოებში მაშინ, რაკი ჩონჩოლ-მუსამ იქაურობა მიატოვა, თოფი საერთოდ არ გავარდნილა და, ბუნებრივია, არც სროლის ხმა სმენია ვინმეს, ვიდრე გიორგი სარდალმა, რასაკვირველია, მწერლის ფანტაზიით, ციხის კედლებს ლაღუმები არ შეუდო და ბათქა-ბუთქი არ აუყენა!..

არ არსებულ ომში გამარჯვებას სოლომონს ამის შემდეგაც დიდხანს ულოცავენ. თუ არ მეშლება, სულ ბოლო მოლოცვა ძმისგან, გენათელი მიტროპოლიტისაგან მიიღო.

„ალთან ძან გივაჟკაციათ... კუდამოძუებული გარბოდნენ ლეკებიო. ქვეყანა იმერეთის ჯარის მამაცობაზე ლაპარაკობს. მომილოცავს, ძმაო, ეს ერთი და სხვა მრავალი! მეტადრე ერისთავიშვილებს გიქებენ.“

რა მოიმოქმედეს ნეტა ამისთანა საარაკო!..“

ბოდის ვიხდი მკითხველთან, მაგრამ გენათელი მიტროპოლიტის ცნობისწადილი რომ დავაკმაყოფილო, გიორგი სარდლის მხედრულ მამაცობას ხელახლა მოვეყვები:

მტრის მიერ მიტოვებული ციხე გიორგი სარდალმა შერჩეულ ბიჭებს ააფეთქებინა. ჩამოქცეულმა კედელმა კინალამ ყველანი ქვეშ მოიყოლა!

საომარ ოპერაციამდე გიორგი სარდალმა კიდევ ორჯერ „გამო-
თინა“ თავი.

პირველად: ლეკი მხედრები რომ დაინახა, თქვა „ქვე რავა
ოულერიათ-ყე თავი და მოდიან, ჩვენ ვეღარ გვხედავენ?“

მეორედ: ღალაკუნა გოცირიძე ლეკებთან რომ ჩაგზავნა, დაა-
ბარა — „თუ გესროლონ, შენც ქვე ესროლეო...“

ნამდვილად ასე იყო, ტყუილს ვერ ვიტყვი, რადგან რალა ხატზე
დამიფიცია და, რალა უწმინდესი მამისათვის მითქვამს...

ეტყობა, ამოდ დავშვრი, კაცის „დასმენით“ სულიც კინალამ
წავიწყმიდე. ეს გმირობა უმამაცეს მეფეს და სახელოვან სარდლებს
საარაკოდ მიაჩნიათ და ეკლესიის მამა როგორ დაიწუნებდა?

„ეს შენი პირველი დიდი ლაშქრობა იყო, სოლომონ. მამაზე-
ციერმა, იდიდოს მისი სახელი უკუნიით უკუნისამდე, ინება და
გამარჯვება გვარგუნა“.

სამწუხაროდ, ეს „გამარჯვება“ მწერლის გამარჯვებად ვერ ჩა-
ითვლება.

ისტორიის სულის გადგოსაცემად

„რომანის დასაწერად არც მარტო ამ ლიტერატურის ზედმიწევ-
ნით შესწავლა იყო საკმაო. იმდროინდელი იმერეთის სამეფო და
მთლიანად საქართველო სადმე უკაცრიელ კუნძულზე როდი იყო
განმარტოებული. რომანის ავტორი, თუ სურდა ისტორიის სული
გადმოეცა და რთული ურთიერთმიმართებები წარმოედგინა, ყო-
ველივე ამას განზე ვერ გაუდგებოდა“ (რევაზ ჭაფარიძე).

ამ კუთხით მწერალი თავისი მეცადინეობით უკმაყოფილო არ
უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, მაგრამ თუ
სურდა ისტორიის სული გადმოეცა, საერთაშორისო ურთიერთობა-
თა ზოგად კურსსაც უნდა გაცნობოდა.

„1756 წლის ზაფხულში პრუსიის ძლევამოსილმა ხელმწიფემ
ფრიდრიხმა საქსონიის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს დიდძალი
ჯარი მიაყარა, საზღვარზე ცეცხლითა და მახვილით გადავიდა და
დედაქალაქ დრეზდენს დაემუქრა. კურფიურისტმა ავგუსტმა, საქ-

სონიის მეფემ, ხელი გამოიღო და ფრიდრიხს სასტიკი ომი გაუ-
პართა“.

აქამდე მწერალს საერთაშორისო ურთიერთობათა და საზღვარ-
გარეთის ისტორიის ცოდნაში, არაფრით გამოუჩენია თავი.

ეგ კი არა, ამ საკითხის მიმართ თითქოს ზერეღე დამოკიდებუ-
ლებასაც აჩვენებდა: ავიღოთ, მაგალითად, ერთი შეხედვით ავ-
ტორის ყოვლად უწყინარი ფრაზა:

„კონსტანტინეპოლი თეირანს დაუტკბა...“

ახლა ვთქვ თ, რაში გამოიხატა აქ ავტორის ზერეღე დამოკი-
დებულება სხვათა ქვეყნების ისტორიის მიმართ.

სოლომონის მეფობის დროს კონსტანტინეპოლს უკვე, დიდი
ხანია, რაც სახელი გადარქმეული აქვს — 1453 წლიდან მას **სტამ-
ბოლი** ჰქვია!

ე. ი. მას აქეთ თითქმის სამა საუკუნე გასულა. რაც კონსტან-
ტინეპოლს აღარ ეძახიან! ავტორს ეს რატომღაც დავიწყნია და,
მინატრულად, ძველი სახელით იხსენიებს.

თეირანთან დაკავშირებით კი — პირიქითაა!

ამ დროისათვის, სოლომონის მეფობის დროს, ის ჯერ კიდევ
არაა სპარსეთის დედაქალაქი — იქედან ისააჰანიც მშვენივრად
ასრულებდა სატახტო ქალაქის ფუნქციას!

თეირანი მოგვიანებით გახდა სპარსეთის დედაქალაქი.

ასე რომ, სამ სიტყვიან ფრაზაში — კონსტანტინეპოლი თეი-
რანს დაუტკბა... სამთავე სიტყვა შეცდომაა!

პირველი ორი სიტყვა, რომ მცდარი აღმოჩნდა, ახლა ვნახეთ.
არც მესამე სიტყვა არაა ამ კონტექსტში სწორი, რადგან იმ წლებ-
ში კონსტანტინეპოლი თეირანთან დამტკბარი კი არა, უფრო აშ-
ლალი იყო!

ახლა, ამის მერე, ფრიდრიხის საქციელსაც — საქსონიის ჩრდი-
ლო-დასავლეთ საზღვარს დიდძალი ჯარი რომ მიაყარა და საზღვარ-
ზედაც ცეცხლითა და მახვილით გადავიდა, მკითხველი ცოტა და-
ეკვებით ხომ შეხედავს?

სხვათა შორის, რომ ეს ეკვი უსაფუძვლო არ იქნება, იქვე
ეტყობა, რადგან, სხვა რომ არაფერი, სიტყვა „კურფიურსტი“ არ
არის სწორედ დაწერილი. უნდა იყოს — კურფიურსტი“.

აშკარა უზუსტობაა: „კურფიურსტიმა ავეუსტმა, საქსონიის მე-

ფემ... ავტორს მკვლარად ესმის სიტყვა კურფიურსტის მნიშვნელობა.

კურფიურისტები თავადი-ამომრჩევლები იყვნენ (სიტყვიერი თარგმანიც ეს არის!) და მეფეს ირჩევდნენ.

ამიტომ, როცა ვწერთ: „კურფიურისტმა ავგუსტმა; საქსონიის მეფემ“... საქსონიის კურფიურსტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საქსონიის მეფე!

ამომრჩეველი თავის თავს ხომ ვერ აირჩევდა?

ამ მიზეზით, კურფიურსტი ავგუსტი არც ყოფილა საქსონიის მეფე — თუ ვინმეს ნამდვილად აინტერესებს — იგი პოლონეთში მეფობდა!

ელჩად კაპუდან-ფაშასთან

მარიამ დედოფალი სოლომონს შეუჩნდა, ჩემი ელჩობა ახალციხის ფაშასთან იქნებ ხელსაყრელი გამოდგეს სამეფოსთვის. მე მზად ვარ ამ მსხვერპლისთვის, თუ ჩემი სიცოცხლე ქვეყანას წაადგებაო.

მეფის თანხმობის მიღებას დედოფალი ცარიელი სიტყვით არ აპირებდა, საბუთიც კჳონდა.

„ — თუ იტყვი, ვის უნახავს ურჯულო ფაშასთან ქალი და ისიც თვით დედოფალი წასულიყოს ელჩადო, ამის მაგალითი ბევრია... გაიხსენე ქართლის მეფე სვიმონის თანამეცხედრე გულჩინა დედოფალი. ტყვედ ჩავარდნილი ქმრის გამოსახსნელად ხონთქარს რომ დიდი ძღვენით ეახლა და შეჰდევ ოსმალეთსა და სპარსეთს შორის ჯავის ჩამოსაგდებად კონსტანტინეპოლიდან ისპაჰანს გაგზავნეს...“

ქმრის დასარწმუნებლად მოტანილი ეს საბუთი ზუსტი არაა.

მართალია, სოლომონი ეუბნება „შენ ყველაფერი ძირისძირამდე გამოგიძევია და აგიწონ-დაგიწონია, მარიამო...“ მაგრამ თავად ნახავთ, ამ ძირისძირობამდე გამოძიებულ და აწონილ-დაწონილ სიტყვაში, ბევრი უზუსტობა რომაა.

სხვათა შორის, აქაც იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მწერლის მიერ ერთხელ „აწონილი სიტყვა“ (ამავე სახელწოდების წიგნში) ისევ ხელახლა ასაწონი რომ გამხდარა!

დავიწყეთ იქიდან, რომ სვიმონ მეფის თანამეცხედრე გულჩინა

არ ყოფილა. სვიმონ მეფის სჯულიერი მეუღლე ნესტან-დარეჯანი გახლდათ. ეს მშვენიერი ქალბატონი კახეთის მეფე ალექსანდრე II მკვიდრი და იყო. გულჩინა უფრო აქეთაა, კერძოდ, სვიმონის შვილის — მეფე გიორგი X ასულია.

თანაც სახელად გულჩარა ჰქვია და არა — გულჩინა!

მაგრამ მთავარია, რომ მივაგენით და ამოვიცანით!

ახლა ისიც უნდა ვიფიქროთ, ტყვედ ჩავარდნილი ქმრის გამოსახსნელად ხონთქარის კარზე ძღვენით მისულ ქალბატონს, პირდაპირ ოსმალეთსა და სპარსეთს შორის ზავის ჩამოსაგდებად არ გაგზავნიდნენ!

რადაც სხვანაირად იქნებოდა!

მე პირადად, რასაკვირველია წიგნებიდან, ასე ვიცი: ქართლის მეფემ გიორგი X, ე. ი. მაშამ თავისი ასული გულჩარა, რომელიც არც მაშინ იყო დედოფალი და, სხვათა შორის, არც შემდგომ გამხდარა, სტამბოლს მძევლად გაუგზავნა სულთან აჰმად I — დატყვევებული მამის, სვიმონ მეფის გამოსახსნელად.

შვილიშვილს ბაბუა გარდაცვლილი დახვდა.

გულჩარა სულთანის დედის მფარველობით იზრდებოდა სტამბოლის კარზე — მერე მართლაც სასელოვანი ქალი გამხდარა!.. მაგრამ ჩვენ აქ დავეშვიდობოთ ჰვირფხას თანამემამულეს და გათურქებულ ქართველთახ, კაპუდან-ფაშასთან მოკბრუნდეთ, რომელსაც, დღე-დღეზე მარიამ დედოფალი უნდა ესტუმროს.

დარბაზობაზე კაპუდან-ფაშამ „ალაჰის მადლით ცხებულ ქალაქ ახალციხეში მშვიდობით მობრძანება ოსმალურად მიულოცა“ დედოფალ მარიამს.

იმერეთის ელჩმა მასპინძელს „ძლივს შესაძინევად გაულიმა და სუფთა იტალიურით მიმართა“.

ჯერ-ჯერობით საინტერესო არაა, რა მიმართა დედოფალმა ახალციხის ფაშას, უფრო საინტერესოა — იტალიურად რომ მიმართა!

თვითონ იტალიური რომ იცოდა, ეგ არაფერი, მაგრამ რატომ იყო დარწმუნებული, რომ ახალციხის ფაშას აუცილებლად უნდა სცოდნოდა იტალიური?

„თქვენ თურქული არ გემარჯვებთ, დედოფალო? — იმავე უზადო იტალიურით უპასუხა კაპუდან-ფაშამ...“

---ოტას ვაპტორევი, თქვენო აღმატებულებაე — აღრე უფრო კარგად ვლაპარაკობდი...“

საუბარი იტალიურ ენაზე კარგად აეწყო. სხედან ორი ქართველი (კაპუდან-ფაშა „ათაბაგ ჭაყვლების გათათრებული ნაშიერი“ იყო) და სხვების თანდასწრებით თავანკარა იტალიურს აბუღბუღებენ!

ალბათ ცოტა უხერხული კი იქნებოდა, „დელეგაციის“ მეთაურები ნამეტან უცხო ენაზე რომ ლაპარაკობენ, რადგან, ყველაფერს თ-კი რომ დაეანებოთ, მხარეებს „დიპლომატიური კორპუსის“ წარმომადგენლებიც ახლავან:

თურქეთას მხრიდან: „მალ-დეფთერდარი და სეტანტო ქალაქ კონსტანტინოპოლიდან ასლახან ჩამოსული საფაშოს ორი ახალი მობელე ესწრებოდა“.

იმერეთის სამეფოდან: სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი, მენაპირე თავადი ზურაბ მიქელაძე, მეღვინეთუხუცესი სულთამ ავალიანი, იმერეთის საგარეო საქმეთა განმგებელი თამაზა მესხი, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი გერმანე.

სწავთა შორის, იმერეთის საგარეო საქმეთა განმგებელმა თამაზა მესხმა, რაადუნაძე უცხო ენა სარტლა იცოდა, მაგრამ დედოფალმა, თითქოს განზრახო, ისეთი ენა შეურჩია, რომ, სამწუხაროდ, მისი „ინჰიბინჩი“ არ გაეგებოდა!

ყავა რომ ჩამოთავდა, ელჩებს ხილეთული მოართვეს.

ამ დროს დარბაზში ჩოსიანი ჭაბუკები შემოდიან და ფაშას ძვირფას საჩუქრებს მიაართმევენ.

დედოფალი საჩუქრებს ბოდიშსაც მოაყოლებს: აქეთ მოულოდნელად მოგვიხდა წამოსვლა და თქვენი აღმატებულების საკადრისი ბევრი გერადერა მოვიპოეთო.

„ვოგო-ბიჭები სადღა არის? — უცებ იკოთხა მან და ამ ხმამ დარბაზში ისე იჭექა. როგორც მენმა მოწმენდილ ცაზე. იარაღყრილ ელჩებს ფერფურმა გადაჰკრა“.

მშვიდობიანი ვითარება აქამდე რომ სუფევდა, ანაზღვეულად შეიცვალა. როცა ფაშამ იგრძნო, რომ პასუხის გაცემას აღარავინ აპირებდა, ახლა თავისი შეკითხვა იტალიურად გაიმეორა.

რალა თქმა უნდა, ამ ენაზე პასუხის გამცემი აქ მხოლოდ დედოფალი იყო!

„ — ჩვენ ომში არ ვყოფილვართ, თქვენო აღმატებულებაგ, რომ ტყვეები წამოგვეყვანა და საჩუქრად მოგვერთმია, კვილი ინებეთ

და გაავიშარტეთ. რომელ ტყვეებზე ბრძანებთ. ამის გარდა, ნუ მიწყენთ და, ეს ხმის აწევა და მუქარა რას მივაწეროთ?..“

დედოფლის მშვენიერი პასუხი მოწონებას მაშინ დაიმსახურებდა, მოსალაბარაკებელ მაგდას თანაბარი ძალის სახელმწიფოების თანაბარუფლებიანი ელჩები რომ უსხდნენ!

რაკი ეს წონასწორობა დარღვეულია, დედოფლის გარდა ყველა მიხვდა, ფაშას ეს ხმის აწევა და მუქარა რისთვისაც უნდა მიეწერათ!

„ეს რაც დედოფალმა მარიამმა თქვა, დამსწრეთათვის კიდევ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე, აქამდე კეთილმოსურნის ნიღაბ აფარებული ბეგლარბეგის უცარი აფეთქება. ექვცი აღარავის ეპარებოდა, რომ დედოფლისაგან სიტყვის შებრუნებასა და გაკიცხვას ფაშა უპატიებელ შეურაცხყოფად მიიღებდა და მაშინვე ბრძანებდა, აჩიკ-ბაძის თავგასული მეფის ელჩები, უკლებლივ ყველა, ჭრდობულში ჩაეყარათ...“

იმერელ ელჩებს ბოლომდე გაუსიგრძეგანებიათ დედოფლის ნათქვამი და დასკვნებიც სწორი გაუკეთებიათ!

მაგრამ იტალიურ ენაზე წარმოთქმული სიტყვა ჯერ საერთოდ როგორ გაიგეს, და მერე კიდევ ასეთი სიზუსტით?

აშკარად უხერხული სიტუაცია შეიქმნა და მაინც, ამ შემთხვევაში წესიერი კაცი არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდნილი მწერლის მხარეზე დადგება. მეც, რასაკვირველია, ასე მოვიქცევი და აქვე გამოვთქვამ ვარაუდს: იქნებ დედოფლის სახის მიმიკით მიხვდნენ ყოველივეს?

სხვათა შორის, ამ ექვზე ხელის ჩაჭიდება შეიძლება!

ახლა მწერლის იმედზე ვართ, ამის თაობაზე რას მოგვახსენებს:

„მარიამის მშვიდ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხეულა“.

პატროსანი პასუხია, რაიმეში რომ გვადგებოდეს!

კიდევ ვცდი: იქნებ დედოფალმა სახის მშვიდი გამომეტყველება კი შეინარჩუნა, მაგრამ ხელების გამძაფრებული ექსტიკულაციით გამოხატა თავისი უკმაყოფილება?

ამის თაობაზე მოვუსმინოთ მწერალს:

„მან მხოლოდ წამით მოაველო თვალი თავჩაღუნულ იმერ დიდებულებს, ძალ-ღონე მოიკრიბა და... ბეგლარბეგს სწორედ გასაკვირველი სიმტკიცათა და თავაზით მიუგო“.

როგორც ნახეთ. ყველაფერი ვცადე, მწერალი უხერხული

მდგომარეობიდან რომ გამომეყვანა! მე მეტი არაფერი შემიძლია...
მოლაპარაკება გრძელდება.

კაპუდან-ფაშა დაწყნარდა — ჩვენს შეკითხვას, დედოფალს, ვთხოვთ, განრისხებულ ნუ მიიღებთ, მე სრულ უფლებას ვიტოვებ მოვითხოვო ის, რაც კანონით გვერგებო.

თქვენმა თანამეცხედრემ, სოლომონმა, ბედნიერი სულთანის წინაშე დადებული ერთგულების ფიცი დაარღვია და ტყვე გოგობიჭებს აღარ გვიგზავნისო.

მერე კაპუდან-ფაშამ საუბარში, თითქმის, დუტუ მეგრელის ლექსის სტრიქონიც გაურია, დაახლოებით ეს: — „და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი“, რა თქმა უნდა, განსხვავებული ინტერპრეტაციით. მაგრამ აშკარად დუტუსეული!

დააკვირდით — „სამშობლოში შიშვლით სულის ამოხდას სხვაგან განცხრომით ცხოვრება არა სჯობს?“

აზრი „ცოტა“ შეუტრიალებიათ, მაგრამ დუტუ მეგრელს მაინც არ უნდა ეწყინოს — მაშინ ეს ლექსი დაწერილი ხომ არ ჰქონდა!

კაპუდან-ფაშამ ბოლოს იკითხა:

„არის თუ არა დღეს თქვენი მხარე მზად იმის ასალიარებლად, რომ ტახტზე ჩვენი სურვილის წინააღმდეგ ასული სოლომონი მაღალი ალაპის განმარისხებულ თავის კანონს უარჰყოფს და აჩიკ-ბაშსა და ბრწყინვალე პორტას შორის ძველი აღებ-მიცემობა განახლდება?“

დედოფალი, რა თქმა უნდა, ამ პასუხისთვის მზად არ იყო, მაგრამ ამასობაში მოასწრო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და ფაშას სთხოვა:

„თუ თქვენი აღმატებულება წინააღმდეგ არ იქნება, მოლაპარაკება თარჯიმნის დანმარებით განვაგრძოთ“.

ფაშას კითხვაზე — „რატომ? განა ერთმანეთს ვერ ვაგებინებთ?“

დედოფალმა უპასუხა: „ჩვენმა ქვეშევრდომებმა იტალიური არ იციან, თქვენო აღმატებულებავ, ხომ უმჯობესი იქნებოდა, მათაც გაეგოთ რაზე ვმსჯელობთ?“

მარტო კარგი კი არა, აუცილებელიც იქნებოდა! მაგრამ ცოტა ადრე უნდა გაგესენებოდა იმ უხერხული სიტუაციის თავიდან

ასაცილებლად, მწერალმა თავის თავი და მარიამ ღედლოფლის თან-
მზღები იმერლები რომ ჩააყენა!

ამ ელჩობას სხვა ბევრი შეუსაბამობაც ახლავს, მაგრამ რაც
ზემოთ აღნიშნეთ. ის ვიკაროთ, ამით პატივს დავდებთ რომანის
ავტორს და მის შემდეგ განცხადებას:

„მარიამ ღედლოფლის ელჩობას ბეგლარბეგის კარზე საფუძვლად
უდევს მონსინიორ ლეონეს რელაციონი რომის წმინდა კონგრე-
გაციის პროპაგანდა ფიდეს მდივნისადმი“-ო.

რაღაც არა მგონია, მონსინიორ ლეონეს რელაციონით ზუსტად
ესარგებლოს სინიორ ავტორს...

მეჩაღ იმერეთის მფხვსთან

„სოლომონი ერთი უზარმაზარი მუხის ქვეშ, სალაშქრო კა-
რეში იყო. საროლები მიიწვია. ვახუშტისეული რუკა გაეშალა.
აღის ციხის მოჯრაღი პეპია ჩაჩიქც გვერდით მოესვა და ციხის
აღყაში მოქცევის გზებს არჩევდა, როდესაც ჩონჩოლ-მუსასაგან
კაცების მოსვლა აუწყეს. სოლომონმა თავი ასწია, კარავს თვალი
მოავლო და ბრძანა, ლეკები შემოეყვანათ“.

რუკის გაშლას, რომელზედაც, დარწმუნებული ვარ, აღის ცი-
ხე საერთოდ არ იქნებოდა აღნიშნული, ან, დიდი-დიდი, წერტილი
იქნებოდა დასმული, ამას იმ უზარმაზარ მუხაზე კაცი რომ აეგ-
ზავნა, არ აჯობებდა?

რომელ თვალუწვდენელ სივრცეზე ის ციხე იქნებოდა „გამ-
ლილი“?

ის პატიოსანი კაცი ციხიდან მტრის გასვლას მაინც დაინახავდა
და გიორგი სარდალიც მის კედლებს ლაღუმებით ტყუილ-უბრა-
ლოდ აღარ დაფშენიდა!

„პატივი დაგვდოს და მისი უმაღლესობა ბატონი მეფე ცალკე
მოგველაპარაკოსო“, ითხოვეს ლეკებმა.

„აქ ყველა ჩემიანია“, — მოჭრა მეფემ.

„თავად დიდებული ხელმწიფისთვისაც სასარგებლო იქნება,
თუ ჩვენს მოლაპარაკებას გარეშე პირი არავინ დაესწრებაო“, —
ისევ გაიმეორეს თხოვნა ლეკებმა.

„უთარგმნეთ მაგას: გარეშე პირი აქ არავინ არის! — კვლავ
კუშტად მიუგო მეფემ. — ენის მოსაჩავეებლად არა გვცალია!“

კულტურული ქვეყნის მეფეს ომშიც კი არ შეშვენის ამ სიტყვებით მიმართოს მოსალაპარაკებლად მოსულ კაცს.

ასე მე ვფიქრობ. თორემ „სოლომონის ზურგს უკან მდგომნი ალტაცებულნი იყვნენ თავიანთი მეფის პასუხით... ერთმანეთს ნამალავად გადახედეს და თვალი ჩაუკრეს“.

თარჯიმანი თავის საქმეს განაგრძობდა:

„მთელს კავკასიაში და იმას იქით განთქმული სარდალი ჩონჩოლ-მუსა აჩიკ-ბაშების დიდი მეფის, სოლომონის, მეგობარი და კეთილის მდომელია... ათადამ-ბაბადამ აგრე ყოფილა, ქართლები და კახელები ერთმანეთს ეშლებოდნენ, ხოლო იმერლები ორივეს სძულდათ“..

„ენა ჩაიგდე შენ, ვილაცა ხარ! ჯობს შენს საქმეს მოუარო... ვერ უყურებ, რანაირად გატუტუცებულა?“

მეფემ არც თავის თავს, და, მით უფრო, დიპლომატიური მისიით მოსულ სტუმარს ასეთი რამ არ უნდა აკადროს.

როგორც ვნახეთ, მეფის უკმეხი პასუხი თვით დაღესტნელ მოთარეშე ლექსაც გაუკვირდა.

„ეს რომ მოისმინა, ჭაღარა ლექმა ბოდიში მოიხადა, რაღაც, ალბათ, ისე ვერ გამოვთქვი, ღვთის გულსთვის შემინდეთო...“

ქართველი მეფის ფონზე, დაღესტნელი ლეკის საქციელი ინგლისურ დეპარტამენტებში აღზრდილი ჯენტლმენის შთაბეჭდილებას სტოვებს!

„თუ ნებას დაგვრთავთ, ჩვენს სიტყვას ვიტყვი, მერე ბატონმა მეფემ ბრძანოს...“

„ეგ წესი და რიგი ოჯახში, თუ შინ მისვლა ელირსა, თავის ცოლშვილს დაუდგინოს... ჩვენ ბევრი მითმოეთის დრო არა გვაქვსო...“ ბრძანა მეფემ.

ჭაღარა ლექმა პასუხი მოისმინა და იოტისოდენა აღელვების გარეშე მიმართა თარჯიმანს:

„მოახსენე ჩვენს მაგივრად დიდებულ მეფეს: შუააკაცებს ასე არავინ ეპყრობა, ჩვენც ხალხი ვართ-თქო“

ის, რაც ახლა ჭაღარა ლექმა თარჯიმნის საშუალებით მეფეს მოახსენა, შეიძლებოდა მწერლის მისამართითაც გვეთქვა — სათაყვანებელ პერსონაჟს ასე უპასუხისმგებლოდ არავინ ეპყრობა!

ისიც გულწრფელად მაინტერესებს, როგორ მოახერხა მწერალმა, მკითხველის სიმპათია დაღესტნელი მარბიელი ლეკის მხარეზე რომ აღმოჩნდა!..

„მარიამობისთვის საშინელ სიცხეში, როდესაც ზაფხულის თაკარა მზე საღ კლდეებსაც კი თორწნავით ახურებს და სუნთქვითიქმის შეუძლებელი ხდება, ქუთაისში ეამა იფეთქა“.

წყეული სენისგან დაზარალებმა დედოფალმა პაპუნა წერეთელს დაავალა, ბატონიშვილები აქაურობისთვის გაერიდებინა.

მოტანილ ეპიზოდში ერთი მომენტია საყურადღებო. ბატონიშვილები მთლად ბავშვებია!

„უწლოვანი ბატონიშვილი თამარიო...“ ასე წერს მწერალი. აქედან გამომდინარე ალექსანდრე გაცილებით უწლოვანი იქნება!

„ბაწარს ცოტა მაინც მოეუფონებ, სისხლი არ გაუჩერდეს ბოვეს, არ დავიღუპოთ!“

„მომკვდარა ბოვეში, ღმერთი ხწამს ახლა ამის გამკეთებელს?“

ეს „ბოვეში“ ალექსანდრე გახლავთ, რომლის გამოც წუხს ჩარდახიანი ურმის პატრონი.

ამ „ბოვეს“, უწლოვან თამარ ბატონიშვილის კიდევ უფრო უწლოვან მამას, ალექსანდრეს კვირია თავზე ჭვარი დაწერეს!

„გასულ კვირას ველიევის ეკლესიაში ჩავიდნენ, ბატონიშვილს გიორგი აბაშიძის ასულ ნინოზე ჭვარი დასწერეს, თავზე გვირგვინი დაადგეს და იმერეთის მეფედ გამოაცხადეს!“

ასე ჭვარდაწერილი „ბოვეები“ ალექსანდრე და ნინო თავდავიწყებას მისცემოდნენ, ერთმანეთის გარდა ამ ქვეყნად აღარავინ ახსოვდათ.

მეფე სოლომონმა თავი შეახსენათ: „საომრად აღჭურვილი მის შესაპყრობად შოდიოდა“.

„ — მამა თვალებს დამოხრის, ბატონო პაპუნა, ამას არ მპაპტივებს, შემაჩვენებს, საჯაროდ მაწამებს“.

მეფე რომ ასე არ მოიქცეოდა, ამის გარანტიას ალექსანდრეს ვერავინ მისცემდა. მაგრამ პაპუნა წერეთელი ამ ღალატში გარეული არ ყოფილა, ამიტომ ტყუილუბრალოდ მწერალმა მისი თავი შთამომავლობას არ უნდა შეაჩვენებინოს.

შეთქმულების მონაწილენი ცოტანი არ ყოფილან და მეფის ბოლომდე ერთგულ კაცს — პაპუნა წერეთელს, ზედ ნულარ დავამატებთ, მით უფრო, რომ ამ ტახტის ღალატში სხვა წერეთლები, დოსითეოსი და ქველი, მონაწილეობდნენ.

„ — ვაიშე დედა, ლპერთო!.. მაშ როგორ მოვიქცეთ, ბატონო პაპუნა? მოვკლა ნინო ჩემი ხელით და მეც ტყვია ვიკრა გულში?

ბატონმა პაპუნამ ურჩია, ქართლ-კახეთის მეფისთვის მიემართა.

„ერეკლეს მეტს სოლომონი ყურს არავის ათხოვებს. მარტო ერეკლეს თუ შეუძლია გვაშუამდგომლოს და შენც და ჩვენც სასჯელი შეგვიმსუბუქოს!..“

პაპუნა წერეთელს ქართლ-კახეთის მეფისაგან შუამდგომლობა სოლომონთან სასჯელის შემსუბუქებაზე არაფერში ჭირდებოდა, იგი სოლომონს გვერდიდან არ მოშორებია და არც არასდროს გულში ჭვენა გრძნობა არ ჰქონია, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. ამ დროისთვის მეფე ერეკლე და მეფე სოლომონი ერთმანეთში უმძრახად იყვნენ და ამის ცოდნა აუცილებელი იყო!

„ერეკლესთან თავადი ბერი ლორთქიფანიძე და აზნაური სულთამ ავალიანი მოვიდნენ და თავიანთი მეფე ბატონის სახელით ტახტის მოღალატე ბატონიშვილის გაცემა მოითხოვეს. ელჩებს არც მეფეებს შორის დადებული ხელშეკრულების სათანადო მუხლის მოხსენიება ღაფიწყებიათ“.

მართალია, 1773 წლის 27 ივლისს სოფელ სანგარში მეფეების მიერ მიღებული შვიდმუსლიანი ხელშეკრულების მეხუთე პუნქტით მხარეებს ეკრძალებოდათ ლტოლვილთა შეფარება, მაგრამ საამდროოდ იგი აღარ სრულდებოდა.

სოლომონის კარზე თითქმის ამ დროისთვის, სარწმუნო წყაროებით. მეფე ერეკლეს მტრები იყვნენ შეფარებულნი: ალექსანდრე ბაქარის ძე, ქსნის ერისთავის ვაჟი, ელიზბარი, ზაქარია გაბაშვილის ოჯახი თავის სახელოვანი შვილით — ბესიკით!

ამიტომ სოლომონს ელჩები, ბერი ლორთქიფანიძე და სულთამ ავალიანი, „მეფეებს შორის დადებული ხელშეკრულების სათანადო მუხლს“ კი არა, ეს ხელშეკრულება საერთოდ თუ იყო დადებული, იმასაც არ გაიხსენებდნენ!

ჰმარი ცოლის... ნათლია!

გზის იქითა და აქეთა მხარეს დამალულმა მახარობელამ და ასკიამ დაინახეს, „ერთბაშად სამი სალაშქროდ აღჭურვილი ცხენოსანი გამოჩნდა. ამათ სხვა ცხენოსნების მთელი გუნდი მოსდევდა კვალდაკვალ“.

მახარობელამ და ასკიამ სამი ცხენოსნიდან ერთი მათგანი „უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსი ზესარიონი იცნეს“.

უშალ დაიჩოქეს და სახელდახელოდ შეთხზულ ლოცვას ბუტ-ბუტებდნენ.

„ზესარიონს უმადლესი საეკლესიო და საერო პირთა ბრწყინვალე კრებული ახლდა. ოქრომკედით ნაქარგმა ტანისამოსმა, იაგუნდით, ზურმუხტითა და საფრონის ქვებით მოოქვილმა მიტრებმა, ჯვრებმა, იარალ-საჭურველმა და ცხენების აღკაზმულობამ განცვიფრებისაგან ენაჩავარდნილ ასკიასა და მახარობელას თავზარი დასცა. ერთიცა და მეორეც კანკალმა აიტანა. ღმერთო, დიდებულო, ოა სიმდიდრეა! რა ხელმა გამოსჰედა, შეკერა და გამოიყვანა ეს ყველაფერი, რა ღვთის განგებამ და სასწაულმა გააჩინა ქვეყნად ამდენი ფერი, მათებრ საწყალ კაცს სიზმარშიც რომ არ მოელანდება, ამდენი ოქრო, ვერცხლი და თვალი პატიოსანი!..“

უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსის ამადის სიმდიდრემ ღარიბ გლეხებსა და მოლაშქრეებს, ასკიასა და მახარობელას, თავზარი დასცა!

მე. პირიქით. გამიხარდა!

ამ სიმდიდრის შემნედვარე, მეჩვენება, რომ ჩემი ქვეყანა არც ისე ღარიბ-ღატაკი ყოფილა, როგორც გვიხატავენ!

იმ გიაზე რომის უწმინდეს პაპსაც რომ გაევიღო, უფრო მდიდრულად შემოსილი ამაღა არ ეხლებოდა!

„ოქრომკედით ნაქარგმა ტანისამოსმა, იაგუნდით, ზურმუხტითა და საფრონის ქვებით მოოქვილმა მიტრებმა, ჯვრებმა, იარალ-საჭურველმა და ცხენების აღკაზმულობამ განცვიფრებისაგან ენაჩავარდნილ ასკიასა და მახარობელას თავზარი დასცა“.

მართო ასკიასა და მახარობელას კი არა, ამ სიმდიდრისა და ბრწყინვალეების დანახვა, მათი უფრო ურწმუნო კაცს, ღმერთის-ეცხ მოაბრუნებდა!

„ღმერთო დიდებულო, რა სიმდიდრეა, რა ხელმა გამოსჰრა, შეკერა და გამოიყვანა ეს ყველაფერი, რა ღვთის განგებამ და სასწაულმა გააჩინა ქვეყნად ამდენი ფერი... ამდენი ოქრო, ვერცხლი და თვალი პატიოსანი!..“

მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ ამ ციტატას, სიყალბის ელფერი დაჰკრავს...

უბრალო მოლაშქრეებს, ამდენი სიმდიდრის დანახვასე ათასი

ქვენა გრძნობა გაუჩნდებოდათ, მაგრამ, არც ერთხელ, ამაში დარწმუნებული იყავით, იქ სილამაზეს არ დაუწყებდნენ ძებნას! „რადღობის განგება და სასწაულმა გააჩინა ქვეყნად ამდენი ფერი...“

ამ საკითხით ესენი თავის ღღეში არ დაინტერესდებოდნენ, უბრალოდ ისურვებდნენ. რომ ეს ყველაფერი მათი ყოფილიყო!

აქ, სხვათა შორის, უფრო დიდი შეცდომა არის დაშვებული:

მწერალმა სადღესასწაულოდ მორთული გზაზე მიმავალი ბრწყინვალე სამღვდელოება აჩვენა მდიდრული ტანსაცმლით, ოქრომკედლით ნაქარგი სამოსელით, მიტრებით და სხვა...

ყოველ მაღალ სამღვდელოს სამკაულად შეიძლება ეს ყველაფერი ჰქონოდა მხოლოდ ეკლესიაში მსახურების დროს და — არავითარ შემთხვევაში სამგზავროდ!

გზაში კათალიკოსიც კი უბრალო და მოსახერხებელი ანაფორით მგზავრობდა.

მწერალს საეკლესიო საქმის აღწერაში შეცდომა სხვა დროსაც დაუშვია, მაგრამ ერთ ეპიზოდზე მინდა შევაჩერო ყურადღება.

სოლომონმა ახლადშეუღლებულები, საკუთარი შვილი ალექსანდრე და რძალი ნინო, უბისის ტაძარში გამოატარა და მამა ბიჭტორს აუწყა: გესურს რძალი მოვნათლოთო.

გაოგნებული მღვდელი დაფაცურდა: გაფითრებულმა ახალგაზრდებმა კი ერთმანეთს გადახედეს.

„— გვიბრძანე, ნათლიები ვინ იქნებიან?“

— აგერ... სოლომონმა მზერა შეიღწა, დაადგა, ბატონიშვილი ალექსანდრე სცხებს მირონს. სხვა ჩვენ არავინ მოგვიპატივებია!“

იმის გარდა, რომ ყოველად გაუგონარი და უხამსი ამბავია, საეკლესიო მსახურების ნაკლები ცოდნაც ჩანს — ალექსანდრე სცხებს მირონსო.

მირონი მღვდელმა უნდა სცხოს და არა ნათლიამ.

„ვთქვი და გავათავე! ადგი! მირონი სცხე შენს ნინოს. ღღეის ამას იქით ნათლია და ნათლული იქნებით!...“

ყოველად წარმოუდგენელია, ქრისტიანული სარწმუნოების ორთოდოქსი დამკველი, იმერეთის მეფე სოლომონი — ქმარს სჯულიერ თანამეცხედრეს ანათვლინებს!

„ალექსანდრე ლასლასით წამოდგა... ქალის მომდურავ თვალებს და დაწვებზე ღვარად წამოსული ცრემლის შეხედვას ვეღარ

გაუძლო, მირონში საჩვენებელი თითის წვერი ამოურია და უსასოო ქვითინით გულამოქცდარმა უშუბლზე შეახო“.

საჩვენებელი თითით ბატონიშვილმა ალექსანდრემ, მართლაც, საჩვენებელი ნათლობის მონაწილენი გაგვხადა! — მოგვხსენებათ: ქრისტიანული წესით ნათლია ნათლულს მირონს აჩა სცხებს!

ისიც განვმარტოთ, რომ ნინოს მეორედ ნათლავენ, რადგან უამისოდ აქამდეც არ დატოვებდნენ და, რაც მთავარია, მოუნათლავს ამ სულ ცოტა ხნის წინ ეკლესიაში ჯვარს არ დაწვარდნენ.

წერილში მღვდელმსახურებას ყურადღება იმიტომ დაეუთმე, რომ სარწმუნოდ არ მომეჩვენა ავტორის განცხადება:

„ეკლესიის საკითხების ირგვლივ წერილობით ახსნა-განმარტებებს მამღვედა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ამჟამად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია, რისთვისაც მოკრძალებულ მადლობას მოვახსენებ“.

მკითხველმა ისედაც იცის, მაგრამ მოვალე ვარ, მეც შევახსენო:

სოლომონ ჰეფეს არავითარი ნათლობა მაშინ არ მოუწყვია — შეთქმულ ალექსანდრეს ცოლი, ევგენი აბაშიძის ასული გაამორა და სერი ყულუჯიძის ქალიშვილი შერთო!

ხრესილი

თავის მეფობის მთელ მანძილზე სოლომონმა ყველაზე დიდი ომი ხრესილში მოიგო.

ეს ბრძოლა სამეცნიერო ლიტერატურაში, აგრეთვე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, თითქმის ქრესტომათიული სიზუსტით არის შესწავლილი და აღწერილ-გაანალიზებული.

აიტომ ძნელია, აქ რაიმე დაუმატო ან გამოაკლო.

„მძივე ჯვარში“ აღწერილი სრესილის ომი კი იმდენად არ ჰგავს სინანდელიეს, რომ თავისუფლად შეგიძლია ქართველი ხალხის დღემდე გადახდილი ომებიდან ნებისმიერს მიაკუთვნო... გარდა ხრესილისა!

რასაკვირველია, მხატვრულ ნაწარმოებში მწერალს აქვს უფლება, რაღაც დოზით დაშორდეს ისტორიას, მაგრამ არა ისე, როგორც რომანშია.

მაგალითად, არა მგონია, მწერალს იმის უფლებაც ჰქონდეს, რომ, ვინც ეს ომი მოიგო, იმაზე თქვას — ოსმალების ჯარს წინ დროშით მოუძღვდა!

ხოლო ამ ომში ქართველების მოლაღატე ლევან აბაშიძე — ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელად გამოაცხადო!

მკითხველს ეს არ უნდა გაუკვირდეს, რომანში უფრო ალოგიკური შემთხვევებიც არის აღწერილი.

ჯარჯის რაოდენობა

„ვითომ ისე წავხდებით, პირველი დამახებისთანავე ოთხივე სადროშოდან ოცდაათი ათასი კაცი, ქვეითი და ცხენოსანი არ გამოვიყვანოთ?.. ოტია დადიანი ისე პირს არ შეივრცხვენს, თხუთმეტი ათასი კაცით მაინც არ შეგვეწიოს. ესეც შენი ორმოცდაათი ათასი!..“

მართალია, ეს ვარაუდია, მაგრამ ციხისთავ ქაიხოსრო აგიაშვილის პირითაა ნათქვამი და მეფე და სარდლებიც ყურადღებით უსმენენ.

ჩემთვის მგონია, იმდროისათვის, იმერეთის სამეფო ამდენი ჯარის გამოყვანას, თანაც „პირველ დამახებისთანავე“, ვერ შეძლებდა.

მაგრამ მარწმუნებენ:

„რაც მთავარია, ციხისთავის თათბირს არც საბუთიანობა და არც შინაგანი სიმტკიცე აკლდა და, ამავდროს, არსებული მდგომარეობის ფხიჭელი შეფასებით იყო ნაკარნახევი“.

სხვათა შორის, რომანის მიხედვით, აქ დასახელებულ ჯარის რაოდენობას ქართლ-კახეთის ორიათასი მებრძოლი და რუსის ჯარის რამდენიმე ათეულიც ემატება!

დარწმუნებული ვარ, ამდენი ჯარის პატრონი ქართველები, ოსმალებს იქით მიუხტებოდნენ!

სინამდვილეში, არც ქართლ-კახეთის ჯარს და არც რუსეთისას, ხრესილში არ უბრძოლია.

სოლომონ მეფესაც ამ ომში თერთმეტი ათასი კაცის მეტი არ ყოლია!

მართალია, მწერალი აქმეკენებს: „ჩვენებურად ჩაცმულ-დასურული მე ორმოც ათასზე მეტი მყავსო..“

ჩვენ ხომ ვიცით, ეს სიმართლე არაა, მაგრამ მეფეს არ ვეუბნებით, ეგონოს, აქდენი რომ ჰყავს, ბრძოლის ველზე უფრო იმედინაც აღწება!..

„თვით ყველაზე ხნოვანთაც არ ახსოვთ, რომ იმერეთის ასაკ-
ლებად და ხელახლა დასაყმობლად სამცხიდან ამოდენა ჯარი მო-
სულიყოს. თუ ზოგიერთ ცნობას მიენდობოდი და სარწმუნოდ
მიიჩნევდი, ოსმალთა მხედრობის საერთო რაოდენობა ოთხმოცი
ათას კაცს აჭარბებდა. სხვები მეტსაც ვარაუდობდნენ“.

მეტი არ გვინდა!

მაშინდელი იმერეთის დედებუდიანად ამოსაგდებად ჯარის ეს
რაოდენობაც კმაროდა!

მაგრამ რა მივიჩნის, იცით?

როცა მწერალი სოლომონის ირგვლივ არსებულ ლიტერატურ-
რას ძირფესვიანად ეცნობოდა, როგორ მოახერხა ისე, რომ ხრე-
სილის ომზე არაფერი წაიკითხა!

დიდი ხნის დადგენილი ხომ არის, რომ სრესილის ომში თურ-
ქების 40 000 მეომარი იბრძოდა, ამას ემატებოდა მოლაღატე თა-
ვადთა ჯარიც, ალბათ, ოთხი ან ხუთი ათასი.

ეტყობა, აქაც იმ თვისებასთან გვაქვს საქმე, მწერალს ხანდახან
რომ აჭარბებინებს:

ხომ გახსოვთ, ბოლოთქმაში რომ თქვა:

„ქითხველი ხედავს, რაოდენ დავცილდი თავდაპირველ გან-
ზრახვას, როგორ წაშართვა გუქნებულმა ცხენმა თავი და ორი
წიგნი ოთხ წიგნად გადამექცა!“

თუ ასლაც ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საშიშიც კია —
ერთნელ სიმწრით მოგებულნი იმი, თავიდან მოსაგები არ შეგვექ-
ნეს!

ბრანენა სარდლოვისაღი:

„ბატონ ბიძაჩემებს, გურიელ მამიას... ზღვის სანაპირო ციხეებ-
ის გამაგრებას ვაკისრებ...“

ბატონ მეფისთვის ამის შეხსენება კი მეუხერხულება, მაგრამ
ამ დროისთვის ბიძამისები. თითქმის ყველა, ეჭდურიან, და საბ-
რძოლველად არ წაყვებიან...

მამია გურიელისთვის კი ზღვის სანაპიროს გამაგრება არავის
დაუვალდება, იგი სოლომონის გვერდით იბრძოდა სრესილში.

„ცუცხვათის ციხის ალყას ქაიხოსრო აგიაშვილს ვანდობ...“

საპატიო დავალება კი არის, მაგრამ ბატონი ქაიხოსრო სააში-
ლოდ ვერ მოიცილის — მეფის დავალებით იგი ბაღდათშია, თხმე-
ლისციხის ასაღებად!

„ხრესილის ციხისას კი როსტომ რაჟის ერისთავსა და მის ვა-
უებს. ხრესილი ნაქერადადან არკთუ შორია და მისასვლელეზიც
მოსხერხებული აქვს.“

ხრესილის ციხე ნაქერადასთან მართლაც ახლოა, მაგრამ როს-
ტომი და მისი ვაჟები იქ მისვლაში ფეხს არ მოიტეხდნენ!

რაჟის საერისთავო ხრესილის ომში თურქების მხარეს იბრძო-
და: თავადი წულუკიძე აშკარად, როსტომი და მისი ვაჟები — გა-
რემოებისამებრ!

„წერეთლებს ვთხოვთ და ვუბრძანებ შორიანის ციხეს შემო-
ეწყონ...“

არც ერთი წერეთელი ამ მიმართულებით არ წასულა, მაგრამ
არა იმიტომ, რომ მეფის სიტყვას პატივს არ სცემენ, არამედ სო-
ლომონს მათთვის ეს არ დაუგალებია!

შორიანის ციხის აღება ბატონიშვილ არჩილსა და გიორგი აბა-
შიძეს ებრძანათ!

„თხმელისციხის აღებას, ბაღდათის დაკავებას და ხანისწყლის
ხეობაში კაკასხიდის გზის ჩაკეტვას თვით მე ვკისრულობ...“

მეფე სოლომონი სიტყვის კაცი იყო და თუ იყისრებდა, შეას-
რულებდა კიდევ!

თუმცა მაშინ ისტორიული ხრესილის ომი აღარ მოხდებოდა!

თუ მეფე ხანისწყლის ხეობაში კაკასხიდის გზას ჩაკეტავდა,
ორმოცი ათას თურქს იმერეთში არ შემოიღებებდა, მაშინ ხრესილ-
ში, მე და თქვენ ერთმანეთში ხომ არ ვიომებდით, მკითხველო?

ისტორიამაც ეს ომი კაკასხიდის ომის სახელწოდებით შევი-
ლოდა!

მწერალი იქნები თუ გუთნისდედა, ეტყობა, იღბალი ყველა-
ფერში გინდა კაცს!

საოცარია, ამდენი სარდალი დაასაქმა ავტორმა და ზუსტად ერ-
თხელაც ვერ „მოარტყა!“

ხომ შეიძლებოდა, რომელიმე სარდალი, სადაც სინამდვილეში
იბრძოდა, შემთხვევით იქ დაესახლებინა მწერალს?

არა და არა, იღბალი არ გაქრა!

„მეფემ სადროშოები ერთმანეთში აურია, ცხენოსანი ჯარი ცალკე გამოჰყო და ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე უწინამძღვრა, დანარჩენი ქვეითი მეთოფეები — ქაიხოსრო წერეთელს დაუქვემდებარა და ციხეების გამაგრება დააქისრა“.

აქამდე ბერი წულუკიძე ქვეითი ჯარის სარდალი იყო, ახლა მეფემ ისე ჩააბარა ცხენოსანი ჯარი, არც უკითხავს — ცხენზე ნაჯდომა თუ იყო!..

სარწმუნო ისტორიული წყაროებით კი ასეა:

ცხენოსან ჯარს პაპუნა წერეთელი სარდლობდა.

ქვეით ჯარს — ბერი წულუკიძე.

(ქაიხოსრო წერეთელი აქაც პაპუნაში ერევა მწერალს).

გარდა ქაიხოსრო წერეთლისა და ბერი წულუკიძისა, მეფეს ხრესილში კიდევ ორი სარდალი ახლდა — მამია გურიელი და კაცია დადიანი (კაცია კიდევ, ხუტუნია შერვაშიძე ახლდა). ხრესილის საომარ ოპერაციაში მათი ჯარების სწორედ ჩართვა, თითქმის ომის ბედს გადაწყვეტდა.

ამიტომ მართებდა დიდი გონიერება მეფე-სარდალს. ზუსტად ის ადგილები შეერჩია მათთვის, ყველაზე ოპტიმალური რომ იქნებოდა.

არავითარი ამის მსგავსი განკარგულება მეფე-სარდალს არ გაუჟცია!

„სოლომონი მაინც იმედოვნებდა... ბრძოლის ველზე შექმნილი ვითარება მამიას თავად უქარნახებდა. სად, რა და როდის უნდა გაეკეთებინა მტრის ასალაგმავად და გასაცამტვერებლად“.

„დადიანის ძე კაცია თავალი უნდა ედევნებინა ომის მსვლელობისათვის და ხმალი ქარქაშიდან მაშინ ამოეღო, როცა ამის გადაუდებელ საჭიროებას თვით დაინახავდა“.

თუ ყველას ის ევალებოდა, რომ თვალი ედევნებინა ომის მსვლელობისათვის, და მერე თავად ემოქმედა, საინტერესოა, უშუალოდ ვინ იბრძოდა, ან მეფის სარდლობა რაში გამოიხატებოდა?

მოკლედ, ხრესილის ომში დარჩება არავის ჭირდებოდა და ბრძოლის ველზე ისე მოიქცეოდა, როგორც ამას შექმნილი საომარი სიტუცია უქარნახებდა!

ვიმეორებ: კიდევ კარგი, ქართველებს ხრესილის ომი მოგებუ-

ლი რომ ჰქონდათ, თორემ რომანში აღწერილი ხერხებით, იქ გამარჯვება გაპირდებოდა!..

მეფე ჯარისთვის, თუ ჯარი მეფისთვის?

ხრესილში ქართველები თითქოს იმისთვის იბრძვიან, რომ საკუთარი მეფის სიცოცხლე გადაარჩინონ!

არადა, პირიქით იყო — მეფეც და მის ჯარიც ქვეყნის გადასარჩენად იბრძოდა!

ნათქვამი საბუთებით გავამაგროთ.

იმ მცირერიცხოვანი ჯარიდან, მეფემ თავი ძლივს რომ მოუყარა — ორი ათასი კაცი სოლომონის საკუთარ სიცოცხლეს დარაჯობს!

„ამასობაში მეფის მცველად დარჩენილმა ორი ათასმა ცხენოსანმაც მოაღწია. ორ დიდ გუნდად გაყოფილ მხედრობას მოლარეთუხუცესი პაპუნა წერეთელი და სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე სარდლობდნენ“.

პატივცემულ მწერალს, რევაზ ჯაფარიძეს, მე ვერ ვასწავლი, მისი შორეული სახლიკაცი ლომკაც ჯაფარიძე სად და როგორ იბრძოდა!

პაპუნა წერეთელზე დანამდვილებით ვიცი — ხრესილის ომში იგი ცხენოსან ჯარს სარდლობდა!

თუ პაპუნა წერეთელიც მარტო მეფის მცველ რაზმს ხელმძღვანელობს, მაშინ მეფეს იქ სხვა სარდალი, ბერი წულუკიძის გარდა, არავინ ახლავს!

ამის გარდა, მეფეს ჯარის კიდევ ერთი დიდი ნაწილი იცავს!

„ძუენურიდან უკვე გამოვიწვიე მარჯაფა ჯარი, აქ ახლოს ვიყოლიებ“.

ამიტომ ჩემი დარდი ნუ გექნებათო, აიმედებს მეფე ბერი წულუკიძეს!

ხანდახან ასედაც ვფიქრობ, რომანის მიხედვით ამ ომში რომ მეფის მონაწილეობაა ნაჩვენები, იმას ხომ არ ჯობდა, სოლომონი დედუღეთში (ხრესილში რომ მოდიოდნენ, გზა აქეთ ჰქონდათ!) დარჩენილიყო და აქ, მის მცველ ორი ათას კაცს, საქმისთვის მიეხედა?

ბრძოლის დღეს, ხრესილის ველზე, დილიდან საღამომდე, ეს უამრავი მცველი დიდ გაწამაწიაშია!

„უკან დეიხიე, მეფევ, მამის სულს გაფიცებ, მეეცალე აქაურობას!..“

„ბიჭო, ცოტა გამაგრდი, თუ არა მეფევს მოგვიკლავენ ეს რკულძალღები!..“

„მეფევ, თავს უშველე, ლალატია, ურკულომ ზურგიდამ მოგვიარა!..“

„არ შეშინდე, მეფევ, ჩვენ აქა ვართ...“

მოკლედ რომ ვთქვათ, მწერალმა ხრესილის ომის ისე რთული და ბუნდოვანი გეგმა შემოგვთავაზა, ამ მანევრებში თვითონაც დაიბნა და მეფევც დააბნია — კინაღამ ორჯერ ჩააგდო ტყვედ!

„მეეცალე აქაურობას!.. მაშველი მოდის, მარა ვაითუ ველარ ჩამოგვისწროს!..“ ყელგამოწვდით ევედრებოდა მეფევს ძიძიშვილი ნიკოლოზა ნაფიჩვაძე!

მეეცალე აქაურობასო, ასე შეიძლება აბეზარ ბავშვს გაუწყრე, საქმის კეთების დროს ფეხებში რომ გებლანდება, და არა — ბრძოლის ველზე გასულ მეფევს!

რომანის პერსონაჟ მეფევს, არც ომის დაწყებამდე ჰქონდა თავის იმედი, მანამდეც იძახდა: „გამოწვეულ ჯარებს დავითხოვ, სერასკირ ბაშალას ბანაკში უიარაღოდ წავალ“ და ტყვედ ჩავბარდებო...

სასოწარკვეთილ მეფევს მხარში ჩვენ უნდა ამოვუდგეთ, რომ ვაჩვენოთ უმამაცესი მეფე-სარდალი, ვინც ხრესილის ომის ბედი თითქმის მარტომ გადაწყვიტა!

ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ: სოლომონს მტრის მარცხენა ფრთა უფრო ძლიერი და უფრო საიმედოდ გამაგრებული ეჩვენა, ამიტომ ომის მთელი სიმძიმე თავად აიღო, პაპუნა წერეთელს ადგილი შეუტყალა: თუმცა შენ ხარ ყოველ ომში მემარჯვენე, ახლა ამ ფრთაზე მე ვიბრძოლებო.

ომის დაწყების წინ სოლომონმა ჯარი დალოცა, ღმერთს შევედრა — მეოხ ეყავ ჯარსა ჩვენსაო, და ომის ცეცხლშიც პირველი გადაეშვა!..

„მძიმე ჯვარში“ კი ხრესილის ომში სოლომონის დამსახურება რაღაც უმწეოდ და უცნაურად არის გადმოცემული.

„სოლომონმა სეფე-დროშის ბუდიდან ამოღება ბრძანა. ახლა უმჯობესი იქნებოდა, თუ... თავის ბანაკს შიგ ხრესილში გადაიტანდა, საიდანაც ბრძოლის ველის ყველა კუთხე-კუნჭული უკეთ ჩან-

და და ჯარიც დაინახავდა, რომ ძლევამოსილი მეფე მასთან იყო, მის ჭირსა და ლხინს იზიარებდა“.

ცუდი გაპარაზება როდია: ჯარი დაინახავდა, მათი ძლევამოსილი მეფის ბანაკი ბრძოლის ველიდან შორს არ იყო, კარგადაც არის დაცული და უმამაცესი მეფის სიცოცხლეს. საფრთხე არსაიდან ემუქრება!

ამით დაიმედებული ჯარი მტერს უფრო მედგრად ეკვეთებოდა! ნუთუ მართლა ასე გულუბრყვილონი ვგონივართ წიგნის ავტორს?

სოლომონის ფუნქცია მთელ ამ ომში ნუთუ მარტო ის იყო, რომ ჯარს შორიახლო დანახებოდა?

↳ ხრესილის ომში მეფემ ხმალი ორჯერ (!) ამოიღო.

„— ჰასან-ბეგ ისკანდერი ვარ, გიაურო სოლომონ, შენი ძველი ყონალი... შიცანი? აბა, დამიხვდი. თუ ვაეკაცი ხარ!“

მართალია, ჰასან-ბეგ ისკანდერი სულ ახალი მოკლული ჰყავს როსაფ მაჰავარიანს, მაგრამ რაკი იმას მოვესწარიტ, რომ მეფემ ხმალი დააძრო, ცოტა ხანს ვუყუროთ!

„სად მიხვალ, ლაჩარო? — შესძახა მეფემ და მოულოდნელად უკანუახეულ ჰასან-ბეგ ისკანდერს ხმალამოწედილი გამოუდგა. — აი, შეგიარცხვა ნამუსი, გინდა, თავს გაქცევით უშველო? სადამდე ირბენ. მიწაში რომ ჩაძვრე, იცოდე, იქაც ჩამოგყვები...“

ამის მთქმელი კაცის მოქმედება, როგორ გაქვთ წარმოდგენილი? ქვესკნელშიც ხომ უნდა ჩასდიოს გაქცეულს!..

აბა, მწერალს მოვეუსმინოთ.

„აბა, ბიჭებო, ასი თეთრი იმას, ვინც ამ ბინძურის თავს მომიტანს...“

სულ რომ „აბა-აბა“ ვიძახოთ და ერთმანეთს სიმართლე არ ვუთხროთ, ასედაც არ შეიძლება!

მეფის ბანაკს ახლა უფრო მყუდრო ადგილი მოუნახავს, საიდანაც მუსიკის ხმამ მოაღწია.

„— ეს რა ხმა არის? — იკითხა სოლომონმა, რომელიც... ყველაზე უფრო ამალეებულ ადგილას იდგა და ბრძოლის ველს გადასცქეროდა“.

როგორ მოგწონთ — ამალეებულ ადგილას იდგა და ბრძოლის ველს გადასცქეროდა?

ქართველი მეფეები ბრძოლაში ასეთი ფუფუნების უფლებას თავს არ აძლევდნენ!

ქაიხოსრო აგიაშვილმა მეფეს სამწუხარო ამბავი შეატყობინა:

„— როგორ დაგიმალო, ბატონო... დაგვეცა მეხი და... აფხა-
წყის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე... მოგვიკლესო“.

ქაიხოსრო აგიაშვილი ასლა ხრესილში არაა. იგი თხმელისცი-
ხეში ებრძვის ოსმალებს, მაგრამ თუ ასე სიპართლეს მივყევით,
შორს წავალთ...

მეფე გადაირია, „რატომ ყველამ არ დასდო თავი ხუტუნის
სიცოცხლის გადასარჩენადო“?

ცდა არ დაგვიკლიაო:

„მერე, ცხენიდან რომ გადმოვარდა, ალყა მოიშალა და ჩვენც,
მოგვეცა ლხენა, შემოვესიეთ, სათითაოდ აკაფეთ ყველაო...“

ამ ტრაგიკულ კონტექსტში, ირგვლივ ცოდვის ტირილი რომ
არის, ამის თქმა: „მოგვეცა ლხენაო“, ივარგებს?

„— ახლავ გამოიტანეთ შერვაშიძის გვამი და, ასე კაცი სი-
ცოცხლედაც რომ დაგვიკლეს. ეკლესიაში დაასვენეთ. ამდამ მე
თავად გავუთვე და მთელ ღამეს ლოცვაში გავატარებ...“

მეფე ამას რომ ამბობს, ბრძოლის ბედი ჯერ კიდევ ბეწვზე
ჰკიდია!

„— გვამი ბატონმა თქვენმა ცოლისძმამ გაარიდა ბრძოლის
ეცლს, მეფეო, მცველი რაზმიც კაციამ აახლა, ჭირისუფლის დაუ-
ტირებლად ვერ დავმარხავ, აფხაზეთში უნდა წავასვენოო“.

სოლომონი „ომის ცეცხლში გარუჯული“ ქაიხოსრო აგიაშვი-
ლის პასუხმა არ დააკმაყოფილა. ცოლის ძმასაც უსაყვედურა ზო-
მაზე მეტად!..

„— სწორედ მაკვირვებს ჩემი ცოლის ძმის საქციელი, — მეფე
უკვე განრისხებული იყო, თვალები უელავდა და პირიდან ცეცხლს
აფრქვევდა, რად უნებებია, მოყვრის თვალში უმადურად დავესა-
ხოს და თავზე ლაფი დავასხას? აფხაზეთის მთავარი ჩვენი თანა-
მდგომია. ასეა, არა დარბაისელნო? მისი შვილი იმერეთის ტახტის
შესაწევად მოპრძანდა და აქ ჩვენს მტერს შეაკვდა. ღმერთო და
იესო მაცხოვარო, სასუფეველი დაუმკვიდრე მის სულს! დადიანის
ძემ, თუ უკაცრავად არ ვიყო, კეთილი ინებოს და დავგაცალოს,
ჩვენც დავაფრქვიოთ ცრემლი ჩვენს მიცვალებულს!“

სიყალბე ამაზე შორს ვეღარ წავა!

ირგვლივ სისხლის ზღვა დგას. საღამომდე ხუტუნის კი არა,

შეიძლება, ბრძოლის ველიდან ქვეყანას ერთი დამპირებელიც არ დარჩეს. და ამ ხოცვა-ჟლეტაში ხუტუნის დასატირებლად ეცლებათ? არადა, მართლაც ასე იყო!

„იყო წუთები, როდესაც იმერთა საბოლოო გამარჯვება ჯერ კიდევ ბეწვზე ეკიდა — თითქოსდა ცეცხლმოდებულ გალიაში გამომწყვდეულმა ოსმალებმა... იმდენი კიდევ მოახერხეს, მეგზური იშოვეს, ორი მხრიდან ხრესილში შეიჭრნენ და მეფე, თავისი ამალითურთ, სრულიად მოულოდნელად ალყაში მოაქციეს“.

ხრესილის ველზე კიდევ ერთხელ ატყდა ვაიუშველებელი!

„არ შეშინდე მეფევ, ჩვენ აქა ვართ...“

ბრძოლის ველზე გასულ მეფეს ქვეშევრდომმა, შეიძლება ასეთი რამ ჰკადროს — არ შეშინდე, მეფეო?

უფრო დიდი შეურაცხოფა, კიდევ რით უნდა მიაყენო?

ეს შეკითხვა, სხვათა შორის, მწერალსაც ეხება!

იმ სწერალს, ვინც „შემოქმედოა იმ ჭგუფს ეკუთვნის, რომელნიც, ფაქტიურად, განსაზღვრავენ თანამედროვე ქართული მწერლობის დოხეს“ (იხ. „ცისკარი“ № 7, 1983 წ.).

მე ამ ნაწარმოების ავტორს ასეთად ვერ მივიჩნევ და არც მისი მისამართით ნათქვამი ამ სიტყვებისა მჯერა მაინცდამაინც:

„თქვენ დიდი ისტორიული სიმართლით აღწერეთ მე-16 საუკუნის მეორე სახეგრის საქართველო. მაღალმსატერულად და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით დახატეთ სოლომონ პირველის, უმამაცესი სარდლისა და გამჭრიახი პოლიტიკოსის სახე“.

როგორც მკითხველმა ხახა, რომანში ყველაფერი პირიქითაა!

ყოველივე ეს კი, მით უფრო სამწუხაროა, თუ მწერალს მართლა გულწრფელად ეუბნებიან:

„და მაინც უნდა ითქვას, რომ თქვენი შემოქმედების გვირგვინს დიდი შრომითა და რუდუნებით შექმნილი ვრცელი და მრავალპლანიანი რომანი — ტეტრალოგია „მძიმე ჯვარი“ წარმოადგენს“.

სულთ ცოდვილო, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს „მძიმე ჯვარს“ უფრო ისინი აქებენ, რომელთაც ეს ნაწარმოები საერთოდ არ წაუციტხავთ!

„აქ ესმის წერტილი „მძიმე ჯვარს“, რომელმაც ჩემი სამწერლო მოღვაწეობის შუაღლე მთლიანად მოიცვა“ (რევაზ ჯაფარიძე).

აქ ესმის წერტილი ჩემს წერილსაც, რომელიც ჩემი კრიტიკული მოღვაწეობის ახალგაზრდულ წლებს მთლიანად მოიცავდა... რომანის ყველა შეცდომა რომ აღმენუსხა (თამაზ წივივიძე).

უცხოური ჩანახატები ჩვენებური შეცდომებით

ლიტერატურა არავის მიმართ არ ცნობს „ჩავშანს...“ განურჩევლად იმისა, თუ რა ადგილი უქარაუხ მას საზოგადოებაში.

გივი ვარდოსანიძე

„კრიტიკა თავადაა მწერლობა“ (გივი ვარდოსანიძე). ამ აზრის სასწორეზე ლიტერატურულ წრეებში აღარ დაობენ, კარგახანია შეთანხმდნენ, რომ ეს სიმართლეა. ყოფილა შემთხვევა: ცნობილ მწერლებსაც უწერიათ კრიტიკული წერილები. პირიქითაც მომხდარა: კრიტიკოსს მცირე ხნით უარი უთქვამს სხვათა ნაწერების განსჯაზე და თავად მოუსხამს მწერლის მანტია.

ქვემოთ გამონაკლისზე ვისაუბრებ, როცა მწერლის მანტია კრიტიკოსის მხრებზე მთლად მორგებული ვერ აღმოჩნდა.

* * *

გივი ვარდოსანიძის „გონჯი მზეთუნახავი“ ამერიკულ შთაბეჭდილებებზე დაწერილი წიგნია. ავტორი საქმიანი მიგლინებით თუ ტურისტული საგზურით დედამიწის მეორე ნახევარსფეროზე ყოფილა და უკან მობრუნებულს უტედა: თვალთ ნანახი და ყურით გაგონილი სხვებისათვის მოეთხრო.

გაომცემლებს მწერლის სურვილი მოწონებით და წიგნი დაუსტამბავთ.

სამწუხაროდ კრიტიკისადმი ცინიკურად განწყობილ ზოგიერთ მწერალს შეიძლება ამ წიგნით საბაბი მიეცეს, ხმამალა თქვას: კრიტიკოსი მწერლობაში ხელმოცარული კაციო.

* * *

„მოგზაურის თვალი ხარბია, ყური კი — მახვილი“. გივი ვარდოსანიძის ეს სიტყვები მოგზაურის ტიპს ზოგადად გულისხმობს.

სხვათა შორის, აღრე მოგზაურის ცნებაში სამამაცეც იგულის-

სძებოდა, რადგან მშობარა კაცი მისი ნებით სახლიდან შორს არ წავიდოდა.

დღეს მოგზაურობა გაიოლდა: ჯდები მატარებელში, ავტომანქანაში ან თვითმფრინავში (მარშრუტს გააჩნია!) და რამდენიმე (სიშორეზეა დამოკიდებულ!) საათში, დღეში, ან იქნებ კვირაში, დანიშნულ ადგილზე აღმოჩნდები. მოგზაურობა ფეხითაც შეიძლება, მაგრამ ეს სახეობა ინდივიდის პირადი თვისებების ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და ამით უმთავრესად რეკორდებს გამოდევნებული ერთეულები სარგებლობენ.

ამის გარდა, ისეთ ქვეყანაში, როგორც ამერიკა, თუ მაინცა და მაინც ქრისტე არ ხარ და წყალზე ფეხით გავლა არ შეგეძლია, ქვეითად ვერა და ვერ მოხვდები. ამიტომ ცამდე მართალია წიგნის ავტორი, როცა იქ მოგზაურობის სატრანსპორტო მხარეს ეხება და წერს: „ათასობით კილომეტრი გავიარე თვითმფრინავით, მატარებლით, ავტომობილით, გემით...“

მოგზაურობა დღესაც მრავალნაირ ფათერაკთანაა დაკავშირებული. ერთი შეხედვით, თანამედროვე ტექნიკის პირობებში თითქოს ძნელი არ უნდა იყოს თვითმფრინავითა და ავტომობილით მოგზაურობა, მაგრამ ეს სწორედ ერთი შეხედვითაა ასე, თორემ თუ დავეუკვრდებით, სახიფათოც და თავსატეხიც ბევრი გავვიჩინდება. ამ საკითხით ჩვენზე მეტად თავად პატივეცემული მწერალი დაინტერესებულა...

„და მაინც ხშირად მიფიქრია, რომ მანქანით მგზავრობა, თვით სანიმუშო ავტომაგისტრალზეც კი, ეს იგივეა, რაც მგზავრობა ბეწვის ხიდზე. მძლოლის წამიერი თავდავიწყება, საჭის ოდნავ შებრუნება მარჯვნივ ან მარცხნივ და იყო და არა იყო რა“...

ვთქვათ, ყოვლად წესიერი და თავისი საქმის კარგად მკოდნე მძლოლი შეგვხვდა, რომლისთვისაც წამიერი თავდავიწყებაც უცხოა და საჭის წაღმა-უკუღმა ტრიალი, როგორ გგონიათ, უბედური შემთხვევა გამორიცხებულია?

— როგორ არა! იტყვის გულუბრყვილო მკითხველი და დიდადაც შეცდება!

„ავტომობილით მგზავრობის დროს ხშირად მიფიქრია: ლობიალი რომ მოძვრეს?“

მკითხველს არ მოეჩვენოს, კთხვა ასეთნაირად იმიტომ დაესვი, მისი ჩაჭრა მინდოდა. არავითარ შემთხვევაში. კაცმა რომ თქვას, მე

უფრო მის მხარეზე ვარ, რადგან მანქანით მგზავრობა მიყვარს!
ავტომობილით დაგვაშინეს, მაგრამ ამით მოგზაურობაზე ხელს
გერ აგვაღებინებენ: თვითმფრინავით ჰაერში ფრენას რა შეედ-
რება!

„თვითმფრინავის ბორბლისათვის თუ გაგიყოლებიათ თვა-
ლი?“ — გვეკითხება გივი ვარდოსანიძე. ნუთუ იქაც საშიშია? —
„თვითმფრინავი დგას თავის ტანთან შედარებით სრულიად უმ-
ნიშვნელო ბორბლებზე...“

როცა მფრინავი დასაჯდომად დაშვებას იწყებს, ყოველთვის
გამკრავს ხოლმე გულში შიში: ბორბალი რომ არ ჩამოიშალოს?“

მწერალი მართალია, ხომ გახსოვთ, მამაცმა საბჭოთა მფრინა-
ვებმა მსგავს შემთხვევაში თვითმფრინავი ლენინგრადში, მდინარე
ნევაზე რომ დასვეს?

სასოწარკვეთას ნუ მივეცემით, ზოგი ჩვენგანი იღბლიან ვარ-
სკვლავზეა დაბადებული და ხომ შეიძლება ამ ფათერაკებს რამე-
ნაირად გადაურჩეს?!

— რატომაც არ შეიძლება, მართლაც ასე არაა საქმე! იტყვის
იმედიანი მკითხველი და ავტომობილშიც ჩაჯდება, თვითმფრინავ-
შიც და ლიფტშიც...

„ამერიკული ჩანახატების“ ავტორს ლიფტით მგზავრობაზეც
უფიქრია:

„რალაცნაირი გრძნობა გეუფლება ცათამბრჯენის ლიფტში...
ხომ შეიძლება ლიფტი გაეჩხიროს სადღაც მეორმოცე სართულზე,
ან ძირს ჩავარდეს?“

კი, ესეც შეიძლება მოხდეს, ქუჩაში რომ მივდივართ და აგური
დაგვეცეს თავში, არც ესაა გამორიცხული. ზოგი ძილში გაპარულა
და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიცილითაც ბევრი დახოცილა... მაგრამ
ამის გამო აღამიანს არც ქუჩაში სიარული მოუშლია, იძინებს კი-
დეც და თუ ძალიან სასაცილოს წააწყდა, ახლაც იცინის.

შემთხვევით ქვეყანაზე ბევრი რამ ხდება, მაგრამ ამის გამო
უსაფუძვლოდ გული არ უნდა გავიხეთქოთ.

მუდამ იმის ფიქრში არ უნდა ვიყოთ, ვაითუ ავტომობილს
ბორბალი მოძვრეს, თვითმფრინავის თვალი არ ჩამოიშალოს და
ლიფტიც სადმე გაიჩხიროს და ძირს ჩამოვარდეს.

მე მწერლის ამ პანიკური შიშის ამოცნობის სურვილმა გულ-
წრფელად დამაფიქრა. წიგნში ბევრა ვერაფერი საბუთი ვიპოვე ამ
მოვლენის ასახნელად, ერთ დაკვირვებას კი გაგიზიარებთ.

ავტორი დიდიხნის წინანდელ ამბავს იგონებს:

„ერთხელ ჩემ მეზობელ ივანეს ხარ-ურემი გამოექცა თავდაღმართში — ბორბლები რახრახით მიაქროლებდნენ (?) თავქვე შესით დატვირთულ ურემს. ივანე ყვირილითა და ქიჩმაჩით გამოუდგა ხარ-ურემს. ურემის ბოლო ჭალს მოავლო ხელი. ჭალი ერთბაშად გადატყდა და ივანე უკან გადავარდა. ბორბალმა ფეხზე გადაუარა. მესხიერებაში ჩამრჩა ფეხმოტეხილი, დაღვრემილი ივანე, სოფელმა კოჭლი ივანე რომ შეარქვა...“

ეს მაგალითი საკმაო საბუთი იქნებოდა იმისათვის, შიშის მიზეზი რომ აგვეხსნა, მაგრამ აშკარად ტყუილია — ასე არ მოხდებოდა!

გვეუბნებიან: ივანეს ურემი თავდაღმართში გაექცა, იგი უკან გამოუდგა. დაეწია, ურემის ბოლო ჭალს ხელი მოავლო, ჭალი გადატყდა და ივანე უკან გადავარდა...

ხოუ თვალნათლივ წარმოიდგინეთ სიტუაცია? უკან გადავარდნილ ივანეს წინ გაქცეული ხარ-ურემი გასაჭყლეტად ვერ მიუდგებოდა.

ივანე უკან გადავარდნისას შეიძლება ცუდად დაცემულიყო: ფეხი ან ელრძო, ან მოეტეხა, ბორბალი კი ფეხზე ვერ გადაუვლიდა!

რა თქმა უნდა, მწერალს მკითხველის მოტყუება გულშიაც არ გაუვლია, იგი ცუდი მთხრობელია და უბრალოდ შეეშალა.

ამ შესვლით სხვაზე მეტად „ფეხმოტეხილი“ ივანე დაზარალდა: ფეხთან ერთად მკითხველის თანაგრძნობაც დაკარგა!

მართალია, ურემი დღეს ტექნიკის ბოლო საოცრება არაა, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ერთი ეტაპისათვის გარკვეული სამსახური გაუწევია. ამასთან, ავტომობილთან და თვითმფრინავთან შედარებით, ნაკლებ მარცხიანია, რაკი მწერალს ბავშვობაში საკუთარი თვალით უნახავს, ურემმა კაცი რომ გაიტანა, ბუნებრივია, მომავალში ყოველგვარ ტექნიკას ეჭვის თვალით შეხედავდა და ეს არც გაემტყუნება.

ძალიან ბინდა დამიჯეროთ: ზემოთ მოტანილი მაგალითებით ის კი არ მიცდია, რომ მკითხველი წიგნის ავტორისადმი არასიმპათიურად განმეწყო, პირიქით, ჩემი აზრით, ხაზი გავუსვი პიროვნების მტკიცე ნებისყოფას, რომელსაც შეუძლია დათრგუნოს უსაფუძვლო შიშის გრძნობა.

მწერალმა ეს მოახერხა: შიშის მიუხედავად, ამერიკა მოიარა.

ამის თქმა მიხარია, ძალიან მიჭირს სხვა რამის გამო ლაპარაკი, არადა, ესეც უნდა ითქვას: ამერიკა მშვიდობით მოიარა, ამ მოგზაურობაზე კი ცუდი წიგნი დაგვიწერა!

იქნებ. ასე პირდაპირ თქმა ცოტა უხერხულია, მაგრამ წიგნის ავტორიც და მეც ლიტერატურის კრიტიკოსები ვართ და ერთმანეთს გავუგებთ. ჩვენ ვიცით, როცა კაცი მართალს გვეუბნება, ხმა არ ამოგვეღება, ტყუილუბრალოდ კი თავს არავის დავაჩაგრინებთ.

„ორი ოკეანის შუა“: წიგნის ამ თავში მწერალი სამშობლოდან გამგზავრებაზე მოგვითხრობს. ამბავი თვითმფრინავში ხდება.

მგზავრებს შორის არის ძუძუთა ბავშვი, რომლის წამოტირებამ მწერალს ოჯახი გაახსენა და მშობლიური კერა მოანატრა.

„ჩემი გოგო ახლა დაბრუნდებოდა სკოლიდან. დედა სუფრას უშლის. გოგო და ბიჭი ეშველებიან. სადილი მზად არის. სუფრა გააწყვეს და დედა და შვილი მაგიდას მიუსხდნენ. ცოტას ლაპარაკობენ და უხალისოდ ჭამენ, თითქოს რაღაც დარდი და საფიქრალი გასჩენათ“.

მართალი დეტალია. ოჯახი წუხს და დარდობს, ჯერ კიდევ ვერ შეჩვეულან იმ აზრს, რომ ოჯახის უფროსი სადღაც გადასაქარგში გაფრენილა.

მოგზაური მწერალი შედარებით მშვიდადაა: „ლამაზი სტიჟარდესა... ყურადღებას გეთხოვს. შისტვის სულსაც არ დაიშურებ“.

შამაკაცს ვერაფერს გაამტყუნებს, ლამაზი ქალი მოეწონოს, მაგრამ როცა ოჯახურ იდილიაზეა ლაპარაკი, ცოტა ხანი მაინც უნდა გავიღეს, რომ ვთქვათ, სხვა ქალისთვის „სულსაც არ დაიშურებ“.

ზემოთ მე შემეძლო მეტიც გამებედა და მეთქვა: „მწერალი ძალიან მშვიდადაა“, თუმცა მართალი არ ვიქნებოდი: იგი ლამაზი სტიჟარდესათი მოიხიბლა, მაგრამ ჯერ ფრენა არ დამთავრებულა და „თვითმფრინავის ბორბლები რომ არ ჩამოიშალოს“ ქალის სილამაზე უშველის?

ნიუ-იორკში ჩაფრენამდე ავტორს კიდევ ერთხელ გაახსენდება თავისიანები: „იქ რომ ვიყო, ჩემი გოგო მომიჯდებოდა გვერდით და გაკიბამდა ტიტინს, დაწვრილებით მიაპობდა, რაც იმ დღეს სკოლაში თავს გადახდა, მაგრამ მე ძალიან შორს ვარ სახლიდან...“

ამ სიშორით კარგად სარგებლობს ლამაზი სტიუარდესა, წყალს აწვდის და მომხიბლავად უღიმის ოჯახმიტოვებულ კაცს.

„ნეტავ ეს ქალი ჩემ ქვეყანაში შემხვდეს, თან გადაყვები“. ამოიოხრებს ცოლ-შვილს დანატრებული მწერალი და მძიმე საფიქრალს მიეცემა.

მოაზროვნე კაცისთვის კი საფიქრალი ცაშიც ბევრია.

„ციდან რომ დასცქერი... ჩვენი პლანეტა მშვიდი და უწყინებელია, თითქოს იქ ყველაფერი მოწესრიგებულია, არ არის მტრობა, არ არის ღალატი, არ არის სიძვა...“

მაგრამ ვაი რომ ეს ყველაფერი ზემოდან ჩანს ასე, თორემ დედამიწაზე მტრობაც არის და ღალატიც. ვერც ქალებმა და კაცებმა მოიშალეს ერთმანეთში მრუშობა...

ზემოთ კი სხვაა: თუ იქ ლამაზ სტიუარდესას ვუღიმიოთ და მისთვის „სულსაც არ დავიშურებთ“, თუ იქ მომხიბლავ გოგონას „თან გადაყვებით“, ეს რასაკვირველია, და-ძმური სიყვარულით მოგვდის, და დასაძრახიც არაფერია!“

ამის გარდა, მწერლის დაკვირვებულ თვალს კარგად შეუნიშნავს, რომ დედამიწისაგან განსხვავებით „ცაში არც ხეა, არც მთა, არც ტყე და არც მინდორ-ველი“.

ცაში, ალბათ, ბოლოკსაც არ თესავენ და არც ხახვი მოჰყავთ, მაგრამ ავტორი ამაზე ყურადღებას აღარ ამახვილებს და იქნებ მართებულადაც: ზოგი რამ მკითხველებმაც უნდა მოვისაზროთ!

ამასობაში „თვითმფრინავმა გუგუნს უმატა. რა მოხდა? ქამრებით დაეშავრეთო. რატომ? ნიუ-იორკში დაშვებამდე ჯერ კიდევ შორია. მამ, რაღაც მოხდა, მაგრამ სიმართლეს ვინ გეტყვის?“

სავესებით ბუნებრივი იქნება, მწერალს რომ მოეჩვენოს, თვითმფრინავს ბორბლები არ ჩამოეშალა და სიმართლეს მიმაღავენო, მაგრამ საშიშროებამ მალე გაიარა და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

„ზიზღი“: ცოტა არ იყოს, ამ თავში აღწერილი ამბები მეექვსეზეა, შეიძლება, ვცდები კიდევ, ამიტომ ერთად შევამოწმოთ.

„სასტუმროსაკენ მივეშურებოდი და ვფიქრობდი: „ნომერში არ აჯალ, ჰოლში ტყავის დიდ, რბილ სავარძელში ჩავჯდები, კიდევ დავისვენებ და თვალსაც წყალს დავალევიენებ“.

ამ სურვილს აღსრულება არ ეწერა. „ზედ სასტუმროს ცხვირ-

წინ.(?)“ რაღაც ამბავიაო, გვეუბნება მწერალი და იწყებს მომხდარის აღწერას: წრეში ორი ადამიანი ჩამდგარა. ორივე ქალია. ერთი თეთრკანიანი, მეორე — შავკანიანი. თეთრკანიანი მოხუცია, შავკანიანი — გოგონაა. მოხუცი ქალი საცემად მიიწევს ზანგი გოგონასაკენ.

ნაწილის გაუკითხავად მწერალი შავკანიანის მხარესაა. ამას მათი პორტრეტების აღწერისას მიგვანიშნებს:

„თეთრკანიანი, სახეჩამომხმარი, ძვალ-ტყავი ქალი ცივი ხმით გაჰკვივის და ხელების ენერგიული ქნევით მიიწევს ზანგი გოგონასაკენ. მას თმა ასწეწია, სახე შეშლია... სადმე, ბნელ გზაზე რომ შეგხვდეს, ჭკუიდან გადახვალ“.

აქ ბევრი რამ არეულია, მაგალითად. ვერაფრით ვერ გაიგებ, თმ მოხუცს ასწეწია თუ ზანგი გოგონას (ისევ მწერლის ცუდი ქართულის გამო), ამის გარდა, რომ გვეუბნებიან: „სადმე ბნელ გზაზე რომ შეგხვდეს, ჭკუიდან გადახვალ“, სწორედ ბნელი ღამე დღარავს მოხუცს ამ ნაკლს და ვერაფერს გაეარჩევთ!

„ზანგი გოგონა მოხუცისაგან საშიოდე ნაბიჯზე დგას, სახე გაფიქრებია, თვალები სველი აქვს და სიფრიფანა მხრები ციებიანივით უთახთახებს. აწურული. დამფრთხალა, შიშით ღამის გაქრეს“.

თუ გაეჩხენებთ მოჩხუბართა ააწყის მდგომარეობას, როცა ისინი „შეჭგუფული ხალხის წრეში“ იყვნენ, ძალიან გაკირდებოდა შორიანლო მდგომ მწერალს გოგონას „თვალების სისველე“ შეემჩნია. რაც შეეხება „მხრების თახთახს“, ეს არასწორი გამოთქმაა, მით უფრო, როცა საუბარია გოგონას სიფრიფანა და მიღეულ მხრებზე.

„თეთრკანიანი დედაბერი ხელიდან უსხლტება გამშველებლებს და გოგონასაკენ მიჰქრის... წივის და გოგონას წიხლებს უშენს მუცელში“.

„დედაბერი გოგონასაკენ მიჰქრის და წიხლებს უშენს მუცელში“. ეს ყოველივე დედაბრის სურვილს უფრო ჰგავს. ვიდრე მის ნამოქმედარს, ღრმა მოხუცები. ასაკის გამო, ასე ვერ მოიქცევიან.

მოჩხუბრებს გაშველებლის მაგიერ ერთმანეთზე აქეიებენ. არის ხორხოცი და ზრიალი.

„ჩემს მოპირდაპირე მხარეს. მოსიერიეთა ჯგუფში დგას ერთი ახლავანი მოხუცებული. მას თეთრი შარვალ-ხალათი აცვია და თეთრი ჩალის შლაპა ხურავს. ჩოჩქოლში ვიღაც ჭურგიდან ეჩახება

მოხუცს. იგი მკლავებს ჩამოყრის და წაიფორხილებს, ლამის დაეცეს. კვლაც ხელს შეაშველებს.

— ბაბუა მიუშვით, ბაბუა! ჰა, მიდი ბაბუა, მიდი!..

— ბაბუა რინგზე!.. ბაბუა რინგზე!

მოხუცს მისცვივლებიან და მოჩხუბრებს ზედ მიაგდებენ“.

როგორ არა, მესმის ავტორის სურვილი: უკუღმართად აჩვენოს ამერიკელთა ისედაც გაუკუღმართებული ცხოვრება, მაგრამ ასე ხელოვნურად მოგონილი სიტუაციები, რასაკვირველია მიზანს ვერ აღწევს.

ამერიკული ცხოვრების წესი, თავისთავად ბევრ სათაკილო და საუხერხულო მხარეებს მოიცავს, მისი შემჩნევაც ძნელი არაა, წიგნის ავტორის მიერ აღწერილი მოქმედება კი მიკლუხო-მაკლანის დროინდელ პაპუასებსაც გააოცებდა, ხოლო თანამედროვე ამერიკელი ხალხისთვის ამ ძალზე ხელოვნური და უმსგავსო მოქმედების მიწერა — მწერლის სუსტი ფანტაზიის ნაყოფი უფროა.

ამის გარდა, ავტორს ერთი მიუტევებელი შეცდომაც მოსდის. იმის მაგიერ, რომ მკითხველი ზანგი გოგონას მიმართ სიმპათიით განაწყოს, რის დიდი სურვილიც ნამდვილად ჰქონდა, ცუდად მოძებნილი დეტალით ყველაფერი გააფუჭა და გოგონას საქციელიც პირწავარდნილი ქუჩის ხულიგნის მოქმედებას დაამგვანა.

გოგონა „მუტში ჩაბლუჯულ საფულეს ხსნის. საფულიდან სამართებელს იღებს... დედაბერი სამართებლის პირზე თითებს ისე-რავს...“

უკვე ძნელი დასაჯერებელია, ამ „სველ თვალბიან“ ზანგ გოგონასთან „სახეჩამომხმარი“ თეთრკანიანი დედაბერი მართალი არ იყოს!

ამ სისხლიანი სიტუაციის დამსწრე მწერალი სხვათა შორის ამბობს: „სასტუმროს ხოლში აღარ ვჩერდები. იქ ხალხი ირევა და კაცი გაერთობოდაო...“

ყველაფერი შეიძლება გაგახსენდეს, ათასნაირი ცუდი მოგონება შეიძლება აღგიძრას ამ სისხლიანმა სანახაობამ, მაგრამ ძალიან უგულო, ანდა დიდი ნერვებს პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ თქვას — „იქ ხალხი ირევა და კაცი გაერთობოდაო“.

აქამდე გივი ვარდოსანიძის „გონჯი მზეთუნახავის“ ორ მომცრო თავზე ვისაუბრე, წიგნის დანარჩენ თავებსაც თუ დაწვრილებით განვიხილავთ, წინასწარ დარწმუნებული ვარ: კრიტიკული შენიშ-

ვნების მოცულობა დიდად გადააჭარბებს სარეცენზიო წიგნის ფორმებს. ამიტომ უარს ვამბობ ამ არასასიამოვნო მოვალეობის შესრულებაზე და უფრო პრინციპული ხასიათის ნაკლოვანებებს მივანიშნებთ.

* * *

ვიდრე ქვემოთ მწერლის არამოსაწონ ზნეობრივ მხარეს წარმოვაჩინდეთ, უნდა ცოტა ვუსაყვედუროთ ამერიკელ ქალებსაც: მათი ბრალიცაა, წიგნის ავტორი ხშირ შემთხვევაში არაეთიკურად რომ იქცევა.

არ ვიცი, კაცი არ უნახავთ, ანდა რამ გადარია ასე ერთიანად მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, დაინახავდნენ თუ არა მწერალს, მაცდუნებლად უღიმიან, ხანდახან კი ცუდი საქციელისკენაც აშკარად უბიძგებენ ყველა ქალი რომ მომხიბლავად უღიმის ავტორს, ამის მაგალითებს არ მოვიტანთ, ხშირი შემთხვევის გამო ეს შეუძლებელია; მაცდუნებლად რომ ექცევიან, იმას შეგახსენებთ.

„გოგოს აქვს მაღალი კანკები, თხელი ბარძაყები და წვრილი მოქნილი წელი, და ისე ახლოს მოჯდის ჩემთან, თქოთი მეხება“.

„გოგო მიღიმის და ელოდება, რომ რაიმეს ვეტყვი“.

ამ შემთხვევების ბრალი თუა, მწერალი ისე გაუთამამდა ქალებს, რომ მეტი აღარ შეიძლება! ხან ქალის ბარძაყებს ქვედა საცვლებამდე ადევნებს თვალს და ხანაც ლამაზ მკერდზე შემოტმანსილ ლიფშიც უსირცხვილოდ ჩახედავს. იქნებ ამერიკელ ქალებს მეტიც მოუხდებათ გამომწვევი საქციელისათვის, წიგნის მკითხველს კი უხერხულ დღეში აყენებს ამ სიტუაციების აღწერა.

„ჩემს პირდაპირ სავარძელში ახალგაზრდა ლამაზი ქალი ზის. ფეხი ფეხზე გადაუდვია. იმდენად მოკლე კაბა აცვია, რომ ბარძაყები ქვედა საცვლამდე მოუჩანს“.

მწერალს უკვირს, მამაკაცები რომ არ ჩერდებიან და არ ტკებებიან სანახაობით: „უურაღლებას არავინ აქცევსო“. თვითონ კი მშვენიერად სარგებლობს აი შემთხვევით და საგულდაგულოდ უთვალთვალებს. ამას ისე მოხერხებულად სჩადის, თვითონაც კმაყოფილია: „არა მგონია შეენიშნოს, რომ ვუთვალთვალებ, პოზა არ შეუცვლია...“

ლამაზი ამერიკელი გოგონა, ლინდა, მძივების ასაკრეფად დაიხარა. „მეც დავიხარე, რომ მძივების აკრეფაში მივშველებოდი“, —

წერს ავტორი და გიხარია მისი. მართალია ელექტენტარული, მაგრამ მაინც კეთილშობილური საქციელი.

მაგრამ იქვე ირკვევა. რომ ტყუილუბრალოდ არ გარჯილა!

„ღინდა რომ ჩაიკუწა. ფართოდ ამოჭრილმა გულისპირმა პირი დააღო და ლიფში გამოსკვნილმა ძუძუებმა სავესე მთვარესავით გამოანათა...“

თუ გახსოვთ, მწერალმა ადრე გაგვაფრთხილა: მოგზაურის თვალი ხარბიაო! ეს შეიძლება ასეცაა, მაგრამ თვალი ნამეტანი არ უნდა გაგვეჭყეს. და არც იმის საშუალება უნდა მივცეთ. რომ ქალის ქვედა საცვლამდე აგვასწროს და გამოსკვნილ ლიფშიც ყურადღებით ჩაიხედოს. ამას აჯობებს. შევეცადოთ და თვალი უფრო წესიერად დავსაქმოთ, თორემ უკონტროლოდ მიშვებულს ერთი უტიფარი თვისებაც აქვს: სანამდეც მიუშვებ. მიდის!

ვაშინგტონში თეთრი სახლით დაინტერესებული მნახველები რიგში დგანან. ცნობილია, ქართველი კაცი რიგში დგომას ვერ გგუება. ამიტომ წიგნის ავტორს საკვიროდ ჩაუთვლია, ქართველი მკითხველისათვის რიგში დგომის კულტურასაც მოეთხრო: „გრძელ რიგში რომ დგახარ, უკან დაგიდგება ახალმოსული, მას უკან კიდევ ახალმოსული დაიჭერს რიგს... შენ წინ მიიწევ...“

ესაა და ესო! მაგრამ თვითონ რიგში მდგომი ერთობ ურიგოდ იქცევა და მამაკაცისათვის უკადრის საქციელს აჩადის. რიგი ზოზონით, მაგრამ მაინც მიიწევს წინ, უცებ ნიავე წამოუბერავს და: „ქალებს თმა ეწეწებათ და კაბის კალთები უფრიალებთ, ზანგი ქალიშვილი მამაკაცის განიერ ზურგს ეფარება...“

ალბათ. ამას ქალის თანდაყოლილი ინსტინქტი აკეთებს, თორემ როგორ მოიფიქრებდა, წანოფრიალებულ კაბას ვინმე თვალს ააყოლებდა! „ნიავე ახლა სხვა ახრიდან წამოუბერავს და ქალიშვილს კაბას წამოხდის...“

ეს წაშში სდება, მაგრამ „მოგზაურის ხარბ თვალს“ რა დავებლება. ყველაფრის დანახვა მიუხსნია!

„თვალს შევასწრებ მოხდენილ, შავ ფეხებს ბარძაყებამდე და რიგში დგომა უფრო სახალიაო ხდება“.

სხვას მის ადგილას აუცილებლად შერცხვებოდა: წიგნის ავტორს კა საკუთარი სიმარჯვისა ესახელება — მოსდენილ, შავ ფეხებს ბარძაყამდე თვალი ვკიდევო! და ალბათ. „რიგში დგომა

უფრო სახალისო იმიტომ ხდება“, რომ გამორიცხული არაა — მსგავსი შემთხვევა ჩემდა გასახარად განმეორდესო...

იქვე ჩვილბავშვიანი ქალი ჩაივლის: მართალია, ქალს ძუძუ-მწოვარა ბავშვი ასლავს, თანაც არც ისე ღამაზია, მაგრამ ქალი ქალია... „ქალი იმდენად ღამაზი არ არის, მაგრამ ყურადღებას იქცევს... უქუსლო ფეხსაცმელი აცვია. როცა ქალს მოხდენილი ტანი აქვს, უქუსლო ფეხსაცმელი შეენის“.

ზოგი, მაგალითად, ჩვილბავშვიანი ქალის დანახვისას იმას კი არ იტყვის, მოხდენილი ტანი აქვს და უქუსლო ფეხსაცმელი უხდებაო, ამ ქალში დედას დაინახავს, ქვეყანას ერთი სიცოცხლე რომ შემატა და გულშიც დალოცავს, ღმერთმა გაგიზარდოსო.

წიგნის ავტორს კი სხვა აზრი უჩნდება: მას ბავშვი დედასთან დაახლოების საშუალება ჰგონია მხოლოდ. ამას რომ ვამბობ, საბუთი მაქვს.

„ბავშვიანი ქალი გამომელაპარაკა. ეს ქალი გლისერში შევნიშნე. მაგრამ მას განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია“ (ბავშვიანმა ქალმა, იმის გარდა. რომ ის ბავშვიანია, სხვა რა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიქცაო?).

„მან ხელში ატატებული ბავშვი ძირს ჩამოსვა“. ცოტას უაზროდ წაისაუბრებენ და უცებ მწერალმა შეამჩნია: „იგი ახალგაზრდა იყო და ღამაზი“. მთავარი ეს აღმოჩენა იყო, დანარჩენი იოლად მოგვარდა: „ბავშვს ხელი ჩავკიდე და წინ წავედი“.

აღბათ, იმის იმედით, დედა უკან ამედევნებო!

ღამაზი გიკვირს კაცს: რა სიტუაციაში არ უნდა აღმოჩნდეს ავტორი, ქალებთან მუდამ „საეშმაკო“ პოზიციაში მოხვდება ხოლმე!

ავტობუსში სულ ოცდაათამდე კაცია, ზოგიერთები ფეხზე რჩებიან, უფრო ყოჩაღები კი ადგილების დაკავებას ასწრებენ. მწერალს არამართო უმარჯვია. ცოტა უეშმაკია კიდეც!“ სულ ბოლოში ვკვდები. მარცხნივ ზანგი ქალი მიზის, მარჯვნივ ჯგუფის წევრი — ნინა ივანეს ასული. სივიწროვეა და მჭიდროდ ვსხედვართ“

აღბათ. გენიშნათ! უკეთეს შემთხვევას მწერალი ვერც ინატრებდა!

„ზანგი ქალი თავს ჩემსკენ აბრუნებს და მიცქერის.

ავტობუსი ერთბაშად უხვევს და უნებურად მეზობელს ვაწვები

მხრით, ავტობუსი ისევ უხვევს, ამჟამად საწინააღმდეგო მიმართულებით და ახლა წინა ივანეს ასულს ვავიწროვებ.

ქალებს ბოდიშს ვუხსნი.

ზანგი მხოლოდ მილიმის და წმას არ იღებს, წინა ივანეს ასული კი მამუზიდებს: საბოდიშო არაფერიაო“.

ქალებმა საბოდიშოდ საქმე მე გამიხადეს, ისინი თანამგზავრი მამაკაცის საქციელით ნაწყენი არ არიან და მე რა მრჯის, თავს რომ ვიკლავ, ასე არ უნდა ვიქცეოდეთ-მეთქი!

თუ ასეთი მგზავრობა მოსწონთ, უნდა შეეცადონ, ოღორხოლორიან გზაზე გავიდნენ — იქ მეტი შანსია — ხშირ-ხშირად მიეხალონ ერთმანეთს!

უცხო ქვეყანაში ჩასულ კაცს მეტი თავდაპირა მართებს, მით უფრო, როცა უცნობ ოჯახში სტუმრად მიგიწვევენ, ავტორმა რომ გვახარა: „ლინდა რომ ჩაიკუზა, ფართოდ ამოჭრილმა გულსპირმა პირი დაალო და ლიფში გამოსცვნილმა ძუძებმა სავსე მთვარესავით გამოანათაო...“ მაშინ იგი დიდად საპატივცემულო კაცის, ჰარი სტივენსონის ოჯახში იმყოფებოდა. უკეთესად არც კეთისა და ფრენკის ოჯახში მოქცეულა. თავდაპირველად ყურადღება დიასახლისზე შეაჩერა: „კეტი, ალბათ, ნახევარ საუკუნეს უკაკუნებს, მაგრამ მიმზიდველად გამოიყურებაო“. მერე ოჯახის რძალს — ზანგ გოგონას დაადგა თვალი და მთელი გულისყური იქითკენ გადაიტანა. „სიბოლი — ზანგი ქალი მასპინძლებს შორის რომ შევნიშნე, მოსამსახურე მეგონა. დიასახლისმა რომ თქვა: ჩემი რძალიაო, გამიკვირდა“.

ოჯახში სტუმარ-მასპინძლები რაღაზე არ ლაპარაკობენ, წიგნის ავტორი კი მხოლოდ ახალმოყვანილი რძლით ინტერესდება: „მაპატიეთ, თქვენი რძალი მულატია? — ვეკითხები დიასახლისს“. მართალია, ცოტა ადრე მშვენიერად იცოდა, რომ სიბოლი ზანგი ქალი იყო, მაგრამ მეტი გარკვეულობა შეიტანა საკითხში.

„სიბოლი გვიღიმის და ღამესავით თვლებში ნაპერწკალი უელავს“. მწერალს ეს არ მოეჩვენებოდა, ზემოთ გითხარით. მთელი გულისყური მისკენ ჰქონდა მიქცეული. ხანდახან დიასახლისსაც მიუბრუნდება, მაგრამ მის მიმართ უკვე ნაკლებ თავაზიანია და თუ არ მეჩვენება, ცოტა უხეშიც ხდება.

„რუსული ხიზილალა მიყვარს, — ამბობს კეტი.

მეცინება და ვეკითხები:

— მეტი არაფერი?“

მოკლედ, თავიზიანდაც რომ ვთქვათ, ამ კითხვის ინტონაციაში თავისთავად ასეთი გაგრძელება იკულისხმება: იხვის ტოლმაზე ან ზუსტ კვერცხებზე, რა აზრის ბრძანდებითო!

ამასობაში სიბოლის შევსებული ჭიქები მრგვალი სინით შენე-აქვს.

„მას მოღერებული ყელი აქვს და მალალი მკერდი. ყურს უკან ხალი ჰქონია“. სხვის ცოლს, სხვის სახლში, ასე არ უნდა ჩააცივდე: ყურს უკან აქვს ხალი თუ ილღის ქვეშ მიქეჭი, ეს სტუმრის საქმე არაა! „საყურებს ვიღებ და სიბოლისკენ ვიხრები. ყურებზე ვუმაგრებ“. ასე გულმოდგინე ცქერის შემდეგ, ალბათ, წინდაწინ ეკნებოდა შემჩნეული მწერალს, ქალის ყურებზე გახვრეტილი ადგილები და მისი ძებნა არ გაუჭირდებოდა! მაგრამ საყურის გაკეთებაზე მაინც თავი უნდა შეეკავებინა და საჩუქარი ისე მიერთმია, რადგან ახალგაზრდა ქალის ყელზე და სახეზე ხელის ფათური, რაც იგი ჩვენი არაფერია, ცოტა უხერხულია!

ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება.

მართალია, სიბოლის დამესავით თვლებში ნაპერწკლები უელავს, მოღერებული ყელი აქვს და მალალი მკერდი, მაგრამ იგი სხვისი, სახელდობრ, ბობის ცოლია, მწერალს ეს „სამწუხარო“ სინამდვილე ცოლ-ქმრის საწოლმა გაახსენა და დიდად დაამწუხრა.

სიბოლისა და ბობის საწოლებზე გადაფარებულია თეთრი ნაქსოვი. მატერია.

სიბოლი ყოველ საღამო შლის ამ ლოგინს და ყოველ დღით ასწორებს“.

გულწრფელად ვითხრათ, აქ დავიბენი: ამ ნაღვლიანი ინტონაციის მიზეზი ველარ ამოვხსენი: დასაბამიდან ასეა: ცოლი ქმარს ლოგინს ხან გაუწყობს, ხან აულაგებს. ზოგჯერ შიგაც ჩაუწვება, მაგრამ ეს უცხო კაცის საქმე რომ არ არის? ამით რატომ უნდა დავინტერესდეთ?

... როგორც ჩანს, ამ ხვანჯის გახსნა მე არ შემიძლია. სარეცენზიო წიგნიდან ქვემოთ მოვიტან მაგალითებს, რომელთა წაკითხვამ შემაწუხა და უხერხულობაც ბევრი განმაცდევინა.

ამ საილუსტრაციო მაგალითების გამო მკითხველისთვის ბოდიში მომიხსენებია.

... „ქალიშვილმა ტანისამოსის გახდა დაიწყო. მან ზურგისკენ წაიღო ხელი და „ზმიკა“ ჩაიხსნა... ერთბაშად ცეკვას იწყებენ თქმელები... მიდიან განზე... ადიან ზევით... ჩამოდიან ძირს... ხტიან, გიჟო-

ბენ. ლამის მოწყდნენ ურყოლაშეპყრობილ სხეულს და დარბაზში ვ-გორდნენ...

ქალიშვილი წინ იხრება. წვივებიდან ნელა მოაცურებს ხელის-გულებს ზევით... აი, ხელისგულებმა უკვე ამოათავეს მაღალი კან-ჭიბი, გამოიარეს მუხლისთავები... ნელა, სულ ნელა მოცურავენ... ხელები მუცლისკენ გადმოცურდნენ... ხელებმა მუცელს შეუფა-თურეს... იგი ზურგს უკან აპარებს ხელებს და ლიფის ლილებს იხსნას. ლიფს კულისებში ისერის... შიშველი სხეული იშმუშნება, ტოკავს... მუცელს ურუანთელი უვლის... მწველი ალი დასთამაშებს შიშველ მკერდს..."

და ბოლოს, ფინალი:

„ქალიშვილი მომაკვდავივით იზმორება, იძაბება, იკუმშება და... ერთბაშად ყველაფერი მთავრდება... ზღვა ენერგია წამში იცლება და უცებ ყველაფერი კარგავს წონას, ფასს და ყოველგვარ მნიშ-ვნელობას. მეხივით დატენილი და მშვილდივით დაძაბული სხეუ-ლი იმჩვარება, იფერფლება და იჩუტება“.

ახლა სხვა შემთხვევა ვნახოთ:

„ქალიშვილი აფთარივით იძაბება, თეთრ მოსასხამს მარდად იხლის და ზურგს უკან, კულისებში ისერის.

მძლავრ შუქზე ლაბლაპებს შიშველი შავი სხეული, რომელიც ადგილზე ტოკვას იწყებს. თრთიან მხრები. თრთის გულმკერდი. თრთოლვამ შეიპყრო თეძოები... ძუძუები ერთმანეთს ეხლებიან, ბორბალივით ტრიალებენ და შურდულივით სადღაც მიისწრაფი-ან..."

ეს ყველაფერი ლამის ბარის ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში ხდება. წიგნის ავტორს კი ასეთ კაფეებში ყოფნა, მაღაზიებში სიარულს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე მეტად მოსწონს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მოგზაურობისათვის გან-კუთვნილი დრო მთლიანად იაფფასიან კაფეებში გაეტარებინოს. წიგნში შემთხვევა არაა, მწერალს რომ დასცდენოდეს, რომელიმე კულტურულ დაწესებულებაში ვიყავიო. იქნებ ამერიკაში ასეთი ადგილები ცოტაა, მაგრამ ყოველად წარმოუდგენელია, მსგავსი რამ არ ჰქონდეთ.

ალბათ, კულტურული გართობისათვის ვერც მოიცილიდა, ქა-ლების თვალთვალსა და მაღაზიებში სიარულს დიდი დრო მიჰ-ქონდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მწერლის ქალებით გატაცება რა-

დაცნაირად ავადმყოფურ ხასიათს იღებს! სამედიცინო ლიტერატურას, ალბათ, ამ უსიამო მოვლენის მარჯვე ტერმინიც მოეპოვება, მაგრამ მისი ძეხნა ჩვენი საქმე არაა. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ რამდენადაც მწერალს ახალგაზრდა, ლამაზი ქალები მოსწონს, იმდენადვე ვერ იტანს ხანშიშესულებს. სულერთია, ქალი იქნება იგი, თუ კაცი!

ზემოთ ლამაზ ქალებთან დამოკიდებულების ბევრი შემთხვევა ვახსენეთ, ახლა მოხუცთა უდიერად მოხსენიების და აშკარად დაცინვის შემთხვევებიც ვნახოთ:

„პოლში ხელისხელგაყრილი მოკუნკულობს აწიწვილი, მოხუცი ცოლ-ქმარი... ქალს სახე ჩაქიშმიშებია... თეთრი, „მინი“ კაბა გამხმარ ბარძაყებს ვერ უფარავს“.

„თეთრკანიანი მოხუცი... სახეჩამომხმარი, ძვალ-ტყავი ქალი ცივი ხმით გაჰკივის... თმა ასწეწია... სახე შეშლია... სადმე, ბნელ გზაზე რომ შეგზვდეს, ჰკუიდან გადახვალ“.

„თვალში მხვდება კიდევ ერთი წყვილი — მოხუცი, თითქმის მიხრწნილი მამაკაცი“.

„ბარში ერთი გაჩინკული მოხუცი შემოვიდა, ფეხებს ძლივს მოათრევდა. იფიქრებდი: სული რომ შეუბერო, წაიქცევალ“.

„წინ გადამიდგა ხანშიშესული ჩამოძონძილი ქალი და ხელი გამომიშვირა. ჩაცვინული ყბები და ჩალურჯებული ტუჩები ჰქონდა“.

„მოხუცი ცოლ-ქმარი ახალ ჯვარდაწერილივით თავმომწონედ ჩამოსკუბებულა მერხზე... წვრილი კისერი, გამხმარი მკლავები, ამოყრილი მხრისთავეები და ძვალტყავი კანკები როგორღაც მათ სფრთხობელას ამსაგვსებს... თავი ღირსეულად უჭირავთ. კაცი ჩიბუხს უპლაკუნებს. ქალი სიგარეტს ეწევა“.

ამ გასაცოდავებულმა ადამიანებმა რით დაიმსახურეს ავტორის გულისწყრომა, ძნელი ასახსნელია. ადვილი დასადგენი აი, რა არის: როცა ვწერთ: „თავი ღირსეულად უჭირავთ“, მერე აღარ უნდა ვთქვათ, მერხზე ჩამოსკუბებულან, ან კიდევ ჩიბუხს უპლაკუნებსო თორემ ბევრი რამ თავდაყირა დადგება. უპირველესად - მწერალური რეპუტაცია!

არ ვიცი, რამდენს უხდიან უცხოეთში ტურისტული საგზურით წასულ კაცს, მაგრამ ასე ხშირად და ამდენი წუწუნი ფულზე უხერხულია და მოსაბეზრებელიც.

„წალაზიებში საგანგებოდ მოვიკითხე საცვლების ფასი, იქ საცვლები უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ჩვენში“.

„ეს დედოფალა დადის, ლაპარაკობს, მღერის... „ძვირი ეღირება“, ვამბობ გულში და დედოფალას თვალს ვარიდებ“.

„ვიტრინებისკენ აღარ ვიხედებით... ფულიც არ გვიხევეს ჯიბეებს“.

„რა გინდათ იყიდოთ, სერ? — წამჩურჩულა ლინდამ, ღმერთმანი არაფრის ყიდვა არ მინდა. ჩემი ჯიბის პატრონს არაფრის ყიდვის თავიც არ მაქვს“.

„ასეთი ხელჩანთა... ბევრი ახალგაზრდა ქალის ხელში შეენიშნენ. ალბათ, მოდურია, თუ ძვირი არ ეღირება, მეუღლეს ვუყიდი“.

მოტანილი მაგალითებიდანაც შეამჩნევდით, ავტორი მხოლოდ საყოფაცხოვრებო საგნებით ინტერესდება, თეატრის ბილეთზე ფული არ მიკლებია, რადგან ამერიკაში ყოფნის დროს თეატრალურ საღაროებთან, მგონი, არც ჩაუვლია. ჩემი დაკვირვებით, სამრეწველო საქონელიდან ყველაზე მეტად ტუფლი მოსწონს. ციფრებში და ანგარიშში, ეტყობა, მაინცდამაინც კარგად ვერ ერკვევა. მაგრამ მარტივ გადაანგარიშებას როგორღაც ახერხებს.

„თვალში მხვდება შავი ხიზილალა, მაგრამ ცეცხლი უკიდია, ასგრამიანი ქილა თითქმის ცამეტი დოლარი ღირს. ამ ფასად ორ წყვილ ფეხსაცმელს იყიდი“...

„ჩვენ მივიღეთ თითოეულმა რამდენიმე ათეული დოლარი. ამ თანხით ამერიკაში იყიდი ორ-სამ წყვილ ფეხსაცმელს...“

და მაინც, რაკი ანგარიში არ ემარჯვება, მუდამ არათანაბარ წამრავლს ღებულობს, ამიტომ მკითხველი ვერაფრით ვერ იგებს, ბოლოს და ბოლოს, რა ღირს ამერიკაში ტუფლი! ამის გარდა, ვინმემ შეიძლება ასეც იფიქროს, წიგნის ავტორი ციფრებთანაც მწყურალად ყოფილა: მათ რიცხობრივ სიდიდეზე ცუდი წარმოდგენა აქვს, ყოველ შემთხვევაში, რომელია მეტი და რომელი ნაკლები, ამის გამოცნობა უჭირსო.

ნათქვამს მაგალითითაც დაადასტურებს ისე, რომ ვერავინ აუხირდება!

„მდიდარი ზის ავტომობილში, რომელიც ღირს ოთხი ათასი დოლარი, ღარიბი კი — ავტომობილში, რომელიც ღირს რვაასი ათასი დოლარი“.

მდიდარი კაცი ღარიბისგან ბევრი რამით განსხვავდება: ფულით,

ჩაცმულობით, შეძლებით, მდგომარეობით, სხვა მხრივაც, მათი ერთმანეთისაგან გარჩევა არ გაჭირდება, ამიტომ შეიძლება გამოთქვან ეპვი, რომ მწერალი ციფრებში ვერ ერკვევა, თორემ მანქანას, რეასა ათასი დოლარი რომ ღირს, თუ ღარიბი ყიდულობს, იგი მანქანის შეძენამდე მილიონერი ყოფილა!

ვიმეორებ: ასე იფიქრებენ და არც გაემტყუნებათ, მაგრამ კაცი თუ სხვათა ცოდვათა მიმტევებელი ხარ, მშვენიერი შენთხვევა იწმუნო. შეცდომა კორექტურიდან მოდის!

მე სწორედ ასე მგონია და ამას ვერ გადამათქმევინებენ.

უფულობის გამო მარტო ამ წიგნის ავტორი რომ მოთქვამდეს, ეს ღიადი უბედურება არ იქნებოდა, მკითხველი იფიქრებდა, მომჭირნე კაციო, მაგრამ ჯგუფის სხვა წევრებიც დაზღვეულნი არ არიან ამ ნაკლისაგან.

ეტყობა, მათ უთავბოლო წუწუნს მასპინძლებიც შეუწუხებია. შემთხვევა რომ მისცემია, წიგნის ავტორისათვის ჩიკაგოელ ნაცნობს ამაზე ირონიულად სიტყვაც გადაუკრავს:

„— რა ღირს ეს ნომერი, მაიკლ? — ვკითხე ერთადერთ ნაცნობს ჩიკაგოში, როცა მან სადილს უკან (უნდა იყოს: ნასადილეც, თ. წ.) სასტუმროში მომაკითხა...

— ეს ნომერი იმდენივე ღირს, რაც თქვენ ჯიბის ფულად მიიღეთ, აქეთ რომ მოემგზავრებოდით“.

ამ ირონიის მიხვედრა, თუ ყურადღებით ვიქნებოდით, ძნელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ავტორს, ფულის ხსენებისას, წინ რთული მათემატიკური გაანგარიშებანი ელოდა და დაცინვა რომ შეემჩნია, ამისთვის ვერ მოიცილდა!

„ჩვენ მივიღეთ თითოეულმა რამდენიმე ათეული დოლარი. ამ თანხით ამერიკაში იყიდი ორ-სამ წყვილ ფენსაცმელს, ოთხ-ხუთ ბარლონის ხალათს. ეს კარგი კოსტუმის ნახევარი ფასია. ამ თანხით თვითმომსახურების კაფეში ისადილებ ათჯერ-თხუთმეტჯერ“.

ვიცი, ზოგი მისაყვედურებს, მეწვრილმანე კაცად ჩამთვილს, მეორეხარისხოვან ამბებს გამოედევნაო, მაგრამ როცა საქმე ჩემს ქვეყანას ეხება, მცირე საწყენიც გულთან მიმაქვს.

წიგნის ავტორს, მათემატიკის გარდა, სხვა რამეც შეშლია:

„იმ კომპანიას, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა, არა მგონია, იმ თანხიდან, რაც საგზურში გადავიხადეთ, რაიმე მოგება დარჩენოდა, ამერეკელები ასე მსჯელობენ: დეე ჩამოვიდნენ საბჭოთა მო-

ქალაქეები, გაიცნონ ჩვენი ქვეყანა, ნახონ როგორ ვცხოვრობთ...“
ეტყობა, მწერალს აქ რაღაც აერია, თორემ არა მგონია, რომ ამერიკული ფირმის ხელმძღვანელები ასე მსჯელობდნენ. აქამდე ვიცოდით, კაპიტალისტები მუდამ იმის ცდაში არიან, სხვას რაიმე წაღლიტონო.

ალბათ, ეს ახლაც ასეა, მაგრამ წიგნის ავტორს ფეხსაცმელებზე და ბარლონის ხალათებზე ფიქრმა ყურადღება მოუღუნა.

* * *

თუ გახსოვთ, როცა ძალად დაკოტლებულ ივანეზე ვესალხებოდა, მაშინ ვთქვი: მწერალს მკითხველის მოტყუება არ უფიქრია, მას უბრალოდ შეეშალა-მეთქი.

მერე და მერე, ბევრი რომ ვიფიქრე, რამდენიმე შემთხვევაში მომეჩვენა, რომ ავტორი აშკარად ტყუის, ამიტომ ჩემი სიტყვები უკან უნდა წავიღო.

ყოფილი ფერმერი, ჯონ ელი, ვიგინდარად რომ უქცევია ცხოვრებას, იაფფასიან, ჭუჭყიან ბარში წიგნის ავტორის ვვერდით აღმოჩნდება. იგი უგონოდ მთვრალია, მაგრამ ზოგჯერ აჩემებულ სიტყვებს ახირებით გაპყვირის:

„ზეცა, ზესკნელი, ზენაარი, ზეგარდმო, ზემდგომი, ზემორე, ზეკაცი, ზემადლი, ზეაღმავალა, ზებუნებრივი, ზეშთაგონება...“

— სიტყვას პატივს სცემთ, ალბათ, ლინგვისტი ბრძანდებით, ფილოლოგი? — ეკითხება მწერალი.

„ფილოლოგი, ფილოზოფი, ფილისტერი, ფინიკია. ფილადელფია, ფილიპინები, ფილტვი, ფილტრი, ფილოქსერა...“

შეამჩნევდით, რომ სიტყვათა წყებას საწყისად ერთი სერთო ასო აქვთ, მაგრამ ავტორს, როცა ამ სიტუაციას ხელოვნურად იგონებდა, „უმნიშვნელო“ დეტალი გამორჩა: ინგლისურ ენაზე ამ სიტყვების უმრავლესობა სხვადასხვა ასოთი იწყება და ჯონ ელი მათ ერთ მწკრივში ვერ მოაქცევდა!

ამ პრინციპით გაწყობილ სიტყვათა რიგში ფილტვი და ფილისტერი, ისევე როგორც სხვები, ერთიმეორეს მხარს ვერ დაუშვებდნენ უბრალო მიზეზით — ერთნაირი ასოებით არ იწყებიან!

ძნელი მისახვედრი არაა, მწერალს ინგლისური ენა არ სცოდნია. რა თქმა უნდა, ამისთვის არავინ უსაყვედურებდა, ამიტომ გაუუგებარია, რისთვის დასჭირდა მკითხველის შეცდომაში შეყვანა.

თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ენის პრობლემა წიგნის ავტორისთვის არ არსებობს, გახსოვთ? თვითმფრინავში სხვათა შორის რომ თქვა. ჩემი მეზობელი, სავარძელში რომ მოკალათებულა, მგონი პოლანდიელიაო. დაწვრილებით მეზობლის სადაურობა არც გაუკითხავს. არც იყო საჭირო, კამბოჯელიც რომ ყოფილიყო — ქართულად გაესაუბრებოდა!

საერთოდაც, წიგნში არაქართველებიც ჩვენებურ დიალექტზე უქცევენ:

„მოდით აქ შევიდეთ, ჰა! — ამბობს იგორ ივანეს ძე“ (რუსი პროფესორი).

თქვენი საქმეები კი როგორ მიდის, ჰა? — კითხულობს ამერიკელი პროფესორი.

„ჩვენებურ სენდვიჩზე გემრიელია ხომ არაფერია დედამიწის ზურგზე, ჰა“ — ეს უკვე ამერიკელი ქალიშვილის შეკითხვაა.

მხოლოდ წიგნის ავტორი საუბრობს „ევროპულ“ დონეზე.

„—ო, მისტერ გიორგი, რომ იცოდეთ, როგორ გავგახარეთ. — თქვა მერიმ (სტავენსონის მეუღლემ).

— დარწმუნებული ვარ, მისის!

— ჰარი ყოველთვის სიამოვნებით იგონებს თქვენს ქვეყანას!

— მე მახარებს ამის მოსმენა“.

* * *

ამ წიგნის სტილზეც მიფიქრია, ეტყობა, ავტორია კარგი სტილისტი ვერაა. და საერთოდაც, ცუდი მოქართულეა. ალბათ, მწერლის ნაწერებს სხვებისაგან მარტო ამით გამოარჩევ, რომ ძნელად იკითხება და ადვილად გავიწყდება, თუ თავს ძალას დაატან და მიეძალები, სულერთია, კითხვა მაინც მალე გწყინდება.

„ცის ქვეშ არის ქვეყანა, არის კაცობრიობა, არის ცხოვრება“.

„იმ ქუჩის იქეთ ქუჩაა, მერე კიდევ ქუჩა, კიდევ ქუჩა და იქ სადღაც არის ნიაგარა, არის მდინარე, არის წყალი“.

„ავტომობილში არის სიმშვიდე, არის განცხრომა, წინ ვხა გიღევს და არის ალტკინება და არის სრბოლეა“ (ეს ბოლო სიტყვა მწერალს აუჩემებია და მუდამ არასწორი ფორმით წერს!)

„იქნება მზე, იქნება მთვარე, იქნებიან ვარსკვლავები.. იქნება ქვეყანა, იქნებიან ადამიანები“.

„იყო ჭარისკაცი, იყო ჟურნალისტი, იყო სენატორი და იყო პრეზიდენტი“.

• • •

სამშობლოდან მოშორებით მყოფ კაცს, ცხადია, ათასი საფიქრალი გაუჩნდებოდა. წიგნში აქა-იქ გვხვდება ადგილები, სადაც საკუთარ ნაფიქრალებსა და დაკვირვებებზე მოგვითხრობს ავტორი. მართალია, მთლად ახალსა და ორიგინალურს ვერაფერს ვეთავაზობს. მაგრამ, ეტყობა, საქმეს გულით მიდგომია და თუ ყველაფერი ისე არ გამოუვიდა, როგორაც ეწადა, გარჯა მაინც უნდა დაუფასდეს!

შეიძლება, ზოგიერთი დაკვირვება სისადავის გამო გულუბრყვილოდაც მოგვეჩვენოს. მაგრამ რაკი წიგნშია შეტანილი, ალბათ, ფასეულია და მე ვერ ვხვდები.

„ცაში არც ხეა, არც მთა, არც ტყე და არც მინდორ-ველი“.

„სახლი ადამიანმა ააგო თავშესაფარად, მოსასვენებლად, საცხოვრებლად“.

„ავტომობილს დიდი ადგილი უჭირავს თვით ამერიკელის გულში“.

„თეთრი ქალის მსუბუქი მკლავიდან მზერა გადამაქვს შავი ქალის მძიმე მკლავებისაკენ; თეთრი მკლავი თხელია, ნაზია და ფაფუკია, შავი მკლავი მსხვილია და უხეშია“.

„კიბუხე, სახლს რომ დანარჩენ სამყაროსთან აკავშირებს, ადიან და ჩამოდიან ადამიანები...“

„კარი იღება ყოველ დილით და იხურება ყოველ საღამოს, ვიდრე სინათლე ჩაქრებოდეს“.

„ამერიკაში ამოდიოდა და ჩადიოდა მზე, ღამდებოდა და თენდებოდა, წვიმდა და გამოიღარებდა ხოლმე“.

„დილით ადამიანები გამოდიოდნენ სახლებიდან... რომ დღის ბოლოს ისევ შინ დაბრუნებულიყვნენ...“

თუ ამ სადა დაკვირვებას ალლო აუღვთ, უფრო რთულ ნაფიქრალებზე თვალის მიდევნება აღარ გავგიჟირდება.

„დაკვირვებებივარ, ახალ ნაწვიმარზე ურემი რომ ჩაივლიდა კრიალით ორღობეში და ურემის ბორბალი ღრმა ვიწრო კვალს გაავლებდა, იმ კვალში წყალი ჩაღვებოდა და ჩაყვითლდებოდა“.

(დაკვირვება, ალბათ, ქალაქელ მკითხველს ეძღვნება, სოფელში დიდიან-პატარიანად ყველამ იცის ეს).

„ავტომობილში რომ ზიხარ, და მიჰჭრი, ისევე მსუბუქი გეჩვენება ირგვლივ ყოველივე, როგორც შენ მიგაქროლებს მსუბუქად ის რაღაც, რაც თვითონ შენ შეჰქმენი“.

(აქ უთუოდ სოფელ მკითხველს ითვალისწინებს ავტორი!)

მაინც: ზემოთ მოყვანილი ყველა დაკვირვება ავტორმა მზამზარეულად მოგვაწოდა: წავიკითხავდით და მოვიწონებდით. მეტი ჩვენ არაფერი გვევალებოდა. ქვემოთ მოტანილ ციტატებში საქმე ცოტა გართულდება — მრავალმნიშვნელოვან ჩარევას მოითხოვს.

...მოხუცი ცოლ-ქმარი ნიაგარას ნაპირზე ჩამომხსნარა, მწერალს, რა უნდა, არ ვიცი, რატომღაც განაწყენებული გვეკითხება:

„ნიაგარა ღმერთი ხომ არ არის, რომ მათ გამოფიტულ, ძალდაშრეტილ სხეულში სიცოცხლე შთაბეროს და მათი დამქცნარი, დაჩამიჩბებული სხეული სიქორფის სიმშვენიერით შემოსოს?“

არა მგონია, ამისთვის მოსულიყვნენ. ალბათ, უნდათ, სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი ხანდახან, ბუნების წიაღში გაატარონ. ამის გამო მოხუცებს არ უნდა გავუბრაზდეთ!

„ბილიკზე ქალ-ვაყი მოსეირნობს, ჩერდებაინ და ყველას თვალწინ ერთმანეთს კოცნაან. მათი ტრფიალის ძალა მეტია. თუ ნიაგარასისა?“

ეს კი ნამდვილად არ ვიცი! მაგრამ, რადგან ქალ-ვაყი ერთმანეთს კოცნის, მკითხველის სახელით გავბედავ და ვიტყვი: მათი ტრფიალის ძალა მეტია! მართალიც ვიქნებით. რადგან ნიაგარა სულ გარბის და ვინ უყვარს, ჯერჯერობით არ ვიცი!

საკუთარ ნაფიქრალსა და დაკვირვებას გეთავაზობს მწერალი, მაგრამ სულ არ ეთაკილება, ჩვენგანაც გაიღრმავოს ცოდნა, დაროცა მოეჩვენება მკითხველის დასმარება მქირდებაო, მოგვმართავს კიდევ:

„ადამიანის მოდგმა იცხოვრებს თუ არა ერთ ოჯახად ჩვენი პლანეტისა?“ — ცოდვას ვერ ვიტყვი, მაგრამ ეტყობა, თავს მთლად მაინც არ გვიტოლებს, ეს იმიტომ მეჩვენება: წინადადება კარგად რომ არ გაგვიმართა!

ამიტომ, ისევ მკითხველის სახელით, სხვა შეკითხვაზე პასუხს აღარ გავცემ, თორემ ძალიან აინტერესებს:

„რატომ არ შეიძლება, უკვე ამჟამად, დედამიწას ერთი მოავრობა ჰყავდეს?“

რომ არ დავმალო, წიგნის ავტორის ეს ნაფიქრალეები მაინცდამაინც არ მომწონს, მაგრამ უფლება არ მქონდა, იგი მკითხველისთვის დამეშალა.

მე ციტატები მოვიტანე, მკითხველი უკეთ ერკვევა: რა მოსწონს და რა არა.

სხვათა შორის. წიგნში შედარებით ის ადგილები მომეწონა, რომელიც, მართალია, როცა დავაკვირდი, მწერლის არ აღმოჩნდა, სხვათა აზრებიდან ჩუმჩუმად ამოუკრებია, მაგრამ განმეორებით წაკითხვას სოსარულიც რომ არსებობს. ამისთვისაც მადლობელი ვარ!

„იქნება ქვეყანა, იქნებიან ადამიანები... იქნება ცხოვრება... შენ კი აღარ იქნები...“

(გივი ვარდოსანიძე)

„იქნება. ბევრი რამე იქნება —
მხოლოდ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.“

ვალაკტიონი.

„ზანზარებს დედამიწა და ქვეყანას, როგორც საარაყვე ქვებს, ბოლქვად ასდის ოხშივარი“.

(გივი ვარდოსანიძე)

„როგორც საძროხე ქვებს ოხშივარი.
ქართლის სეობებს ასდის ნისლები.“

გ. ლეონიძე

„როცა დედამიწის ერთ მხარეს სძინავს, მეორე მხარეს ფიხნობენ, არ შეიძლება ერთდროულად მთელმა დედამიწამ დაიძინოს“.

(გივი ვარდოსანიძე)

„და დედამიწის ორი ნაბევარსფერო,
ჰგავს ორ მოყვარულ ძმას.
საფრთხის გამო მზიგეობით რომ იძინებენ!“

ტ. ჰანტურია

„როცა სახლში ერთი ქალია, კიდევ აიტანს... ხოლო დედან ქალიშვილებაც თუ აძლევენ ბანს, მტრის ოჯახში, პატროსან კაცს

საბლიდან გაქცევის მეტი არაფერი დარჩენია“. ასეთი რამ „ბრძნული აზრების საუნჯედან“ მეც ამომიკითხავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, იქ ქალის მაგაერ გივი ეწერა! მაგრამ ესეც ბედია, წიგნის ავტორი ქალებზე წერს, მე გიყები მახსენდება!

* *

მატიკემული გივი ვარდოსანიძის სხვა წიგნშიც წამიკითხავს: „სიტყვას აქვს გემო, ფერი, სუნი...“ სამწუხაროდ, იმ წიგნში და აქაც, ზოგიერთი სიტყვა ისე უადგილოდაა წინადადებაში ნახმარი, რომ ვკრათფერი გემოვნება იგრძნობა და ცუდი სუნიც დაჰკრავს.

„თეძოები გიყობენ“, „ძუძუები ბორბალივით ტრიალებენ“, „დედაპერი მიჰქრის“, „მხრები თაბთახებენ...“

აღარაფერს ვამბობ ასეთ შემთხვევებზე: „შალვა ეკატერინეს ხელმკლავს დებს...“ „ბავშვობაში ვის არ უქროლებია ძველი კასრის ჩაუნგებული სალტე მათულის ხელკავით...“

მაგრამ იმ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა მაინც უნდა ვიცოდეთ, რომელსაც ვწერთ. აბა, ასე რა გამოვა.

„მისის კეტის არ დაეტოვებთ უმადურს, — ვამბობ და ჭიბიდან ვიღებ სამაჯურს... და კეტის ვუყეტებ“.

თუ სხვას რაიმეს აჩუქებ ან რაღაც სიკეთეს გაუყეტებ და არ დაგიმადლის, ისაა უმადური... თორემ ამ კონტექსტში მისი ხმარება, უადგილოა!

* *

ამასობაში დადგა ამერიკიდან გამომგზავრების დროც. ის გზა აქეთაა გამოსავლელი, იქითობისას რომ დაიფარა. რასაკვირველია, ოკეანის თავზე ფრენა უსიამო გრძნობებს აღუძრავს მწერალს. აკროპორტში მისვლამდე, ზოგი რამ მოძრაობისა და გადაადგილების კანონებზე თეორიულადაც წაივარჯიშა:

„უცქერი და ფიქრობ, ყოველივე ასეა, თვით დედამაწა მოძრაობს თავის ორბიტაზე და მოძრაობს თავის ღერძის ირგვლივ“.

მერე ჯდება ტაქსში და ობობას ქსელივით დაქსაქსული ქუჩებით ავტომაგისტრალზე გამოდის. მარჯვნიდან მანქანა წამოეწევა. ავტომობილში საჭესთან ზის ახალგაზრდა ქალი, გვერდით მამაკაცი უზის.

„სრულიად ახლოდან ვხედავ ქალის ოდნავ პაკუა ცხვირს, ფეროვან პირისახეს. ბანტივით გამოსკვნილ პაწია ტუჩებს“.

აწი სულერთია: „თვით დედამიწა მოძრაობს თავის ორბიტაზე და მოძრაობს თავის ღერძის ირგვლივ“ — თუ პირდაპირ მეზოზენელი პლანეტის ტერიტორიაზე გადავიდა — ქალიშვილი ხომ ლამაზია!

„ქალი საჭეს მართავს და წინ იცქირება, მხოლოდ წინ!“

ეტყობა, მწერალი ჯერ ვერ დაინახა, მაგრამ არ შეიძლება ტანმა არ უგრძნოს.

„მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, იგი დაეინებულ შუერას გრძნობს და ჩემკენ იხედება“.

მოიხედავს და მეტი არაფერი: „ჩვენს შორის საერთო ახლა ის არის, რომ ისიც ადამიანია და მეც, ისიც გზას ადგას და მეც!“

ეს მთლად ასე არაა, რაღაცას გვიმაღავენ! სხვა თუ არაფერაა, რატომ მაინცდამაინც ქალით დაინტერესდნენ? ქალს ხომ გვერდით მამაკაციც უზის! თუ ის ადამიანი არაა და იმ გზას არ ადგას?

„ვხედავ მის მოხდენილ თავს, ვხედავ გამხდარ მხრებს, ვხედავ აგრეთვე თეთრ, ნაზ ხელებს, რომლებითაც ის საჭეს მართავს...“

მამაკაცი ალბათ „არ ჩანს“, ისე უნდა ვივარაუდოთ, ლამაზ ქალს ცუდი კავალერი არ ეყოლება!

„მას შემდეგ, რაც მან პირველად მოიხედა ჩემსკენ, ათიოდე კილომეტრი მაინც გავიარეთ“.

მას შემდეგ, რა დროიდანაც მწერალს ქალის თანამგზავრი მამაკაცისკენ არ გაუხედავს, უფრო მეტი კილომეტრები ექნებათ გავლილი!

„განუწყვეტლივ ვადევნებ თვალს: ჩემკენ კიდეც მოიხედავს?“

თუ ქალის მხლებელმა მამაკაცმა მოიხედა უკან, ცუდად წავა საქმე!

„ნეტავ მისი ვინ არის ის მამაკაცი? ქმარი? ძმა? მეგობარი?...“ რა ჩემი საქმეა, ვინც უნდა იყოს, მაგრამ წიგნის ავტორი რომაა დაინტერესებული?

თავად გაარკვიოს!

„ასე წარმოვიდგინე: კაცი ნიუ-იორკიდან მიემგზავრება. ქალი აცილებს... ტრავს მიადგამენ და ჩასხდომა დაიწყება. ქალი და კაცი ერთმანეთს გადაეხვევიან... კაცი ტრავზე ავა და ქალს ხელს დაუქნევს... ქალი უკან გამობრუნდება... კაცი კი ვინ იცის, როდის მობრუნდება ამ გზაზე...“

იდეალური ვარიანტია! პატივცემული მწერალი ნიუ-იორკში ერთი ღამით მაინც რომ ჩერდებოდეს!

ამაზე ქართული ანდაზაცაა ნათქვამი—რაც ელანდებოდათო...
ნუ შეეცდებით დამაჯეროთ, წიგნის ავტორი ამდენ უხერხულო-
ბას ვერ გრძნობდეს! როგორც ჩანს, სხვანაირად რომ მოიქცეს, არ
შეუძლია...

„კვლავ მოიხედავს თუ არა ჩემკენ? მოიხედავს თუ არა?.. მოი-
ხედა და ასე მომეჩვენა, ჩვენ გავუღიმეთ ერთმანეთს“.

აღბათ, ძნელია ახლა ჩემი გაბრიყვება, თორემ ძალიან მინდა
დავიჯერო, რომ მეუბნებიან: „ჩვენ ნამდვილად გავუღიმეთ ერთმა-
ნეთს, გავუღიმეთ უბრალოდ, ადამიანურად“.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მე ქრისტიანი კაცი ვარ და ქალის
თანამგზავრიც მეცოდება, შორს გაფრენის წინ ადამიანური ღიმი-
ლი არც იმას აწყენდა!

* *

„მშვიდობით, ამერიკა!“ ამ სიტყვებით წიგნის ავტორი, პატივ-
ცემული გივი ვარდოსანიძე ემშვიდობება დედამიწის მეორე ნა-
ხევარსფეროს.

ახლა დროა, ჩვენც დავემშვიდობოთ, მეგობრებო, და ერთმა-
ნეთს უკეთესი წიგნების კითხვა ვუსურვოთ...

i

„კრიტიკის სიმწვავეზე ატიყცე თვალსა-
რისი არ გამჩნია. ზოგჯერ თანამედროვეთა
დიდი ნაწილი მკლამელები მგონია და ლი-
ტერატურიდან მათ გაქევებას მოვიხსოვ“-

„კრიტიკის ბრალია, რომ არ არსებობს
ზღვარი „დიდ ლიტერატურასა“ და კონიუნ-
ქტურას შორის“.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე

არავის მოეჩვენოს: მოტანილი ციტატებით პატივცემული მწერ-
ლის ლიტერატურულ შეხედულებათა რევიზიას ვაპირებდე.

ჩემს საწერ მაგიდაზე, სრულიად უბრალოდ, სხენებული ავტო-
რის ორი წიგნი აღმოჩნდა: „გემოვნების კრიტიკა“ (კრიტიკული
წერილებისა და მხატვრული ესეების კრებული) და რომანი „მწვა-
ნე შტო“.

ასე შემთხვევით გაჩნდა იდეა: თვალი მიმედევნებინა ერთი და
იმავე პიროვნების — ლიტერატურის მკვლევარისა და მწერლის
ნამოღვაწარისათვის. უფრო ზუსტად, ვამეგო, როგორ ეხმაურება მწე-
რალს პროფესიონალი კრიტიკოსის ჩვევები და ცოდნა — სრულ-
ყოს საკუთარი ნაწარმოები.

წერილი ამ კუთხითაა დაწერილი.

„წერაში ხელის გაჩვევა ოსტატობას როდი ნიშნავს — ავტორმა
სიამოვნებით უნდა წააკითხოს თავისი თხზულებანი იმ განათლე-
ბულ ადამიანებს, რომლებიც ადვილად ამჩნევენ ნაკლს და უნარი
შესწევთ სწორად შეაფასოს ის“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გე-
მოვნების კრიტიკა“).

მწერლის ამ სამართლიან დებულებას, ვინმეს რომ ეკითხა, ერთ
პუნქტს დავუმატებდი, ასეთი რედაქციით:

„ამასთან, სიმართლეს არ დაუმაღავენ ავ-
ტორს!“

ეტყობა, ეს პირობა აუცილებელია, რადგან დარწმუნებული ვარ,
წიგნის ავტორის ირგვლივ ბევრი განათლებული ლიტერატორი და

პროფესიონალი მწერალი ტრიალებს. თუ ისინი ამ რომანს წაიკითხავდნენ, ცხადია, ნაკლის შემჩნევა არ გაუჭირდებოდათ.

რაკი ასე არ მოხდა, ჩანს, სიმართლე დაუძალეს ავტორს.

მე განათლებული ადამიანის პრეტენზია კიდევ რომ მქონდეს, პატივცემული მწერლის ახლობელთა წრეს არ ვეკუთვნი და რასაკვირველია, რომანს წინასწარ არ წამაკითხებდნენ.

მაგრამ ახლა, როცა რომანი ახლობელთა წრეს გასცდა და წაგნად გამოიცა, მასზე აზრი რომ გამოვთქვა, როგორც კრიტიკოსს, ოფიციალურადაც შევალბა.

ქვემოთ ჩემს შენიშვნებს მოგახსენებთ.

მწერლის სურვილი: მოკთბრო ხელოვანი კაცის ბედზე, კეთილშობილურია. სადავო ამ მიზნის მისაღწევად არჩეული გზაა!

საზოგადოდ, მწერლობის დაინტერესება ხელოვანის ბედით, ახალი არაა ლიტერატურისთვის. სხვა რომ არაფერი, მარტო კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსი“ იკმარებდა საიმიხოდ, რომ ამ თემაზე იოლად არაფერი დაწერილიყო.

ამის გამო „მწევანე შტოს“ ავტორის ლიტერატურულნი სითამამე მისასალმებელია, მაგრამ მოსაწონი არაა მწერლური ოსტატობა! სამწუხაროდ, უამთვისებოდ მწერლური სითამამე არასასურველ ფორმას იღებს და ლიტერატურულ ძალადობაში გადადის.

შეიძლება მისაყვედურონ, დასაწყისშივე ზედმეტ სიმკაცრეს ვიჩენ ავტორის მიმართ, მაგრამ არა მგონია, ასევე იფიქროს პატივცემულმა მწერალმა. მას ამ საკითხზე, როგორც შეეიტყვე, მწყობრად ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნია:

„მხოლოდ პედანტს სჩვევია, არავის ყური არ უგდოს და ყოველგვარი შესწორება უარყოს. ნიჭიერი თავმდაბლად მოისმენს კებასაც და კრიტიკასაც“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

წიგნის ავტორი, ბუნებრივია, ნიჭიერ მწერლად მიმაჩნია, სხვა შემთხვევაში, მასთან საუბრის სურვილი არ მექნებოდა.

ამის გარდა, რა ღმერთი გამიწყრება, სიმკაცრეში გადაეამეტო კაცს, ვისაც თანამედროვეთა დიდი ნაწილი მკლაბნელები ჰგონია და ლიტერატურიდან მათ გაძევებას მოითხოვს!

და მაინც, ჩემი წინასწარი შენიშვნები ზოგადია! კრიტიკულ წერილს, მოგვხსენებათ კონკრეტული ანალიზი უხდება...

გამომცემლთა აზრით, რომანში ასახულია „არქიტექტორთა და მწიგნობართა ცხოვრება. დიდი სამამულო ომის ექო. ოჯახი—ამ თემსავე წამოჭრილი ზნეობის, პიროვნების, პასუხისმგებლობისა და ხელოვნების ფსიქოლოგიის საკითხები“.

შე მომეჩვენა, რომანში ბევრი რამ თავის რიგით ვერაა გადმოცემული. ამიტომ ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, თუ წიგნის ანოტაციაში აღნიშნულ თემათა თანმიმდევრობას დავარდევ და საუბარს უკულმა დავიწყებ: ჯერ ოჯახზე და მის ირგვლივ წამოჭრილ საკითხებს შევეხები, მერე, მშენებელთა და არქიტექტორთა ცხოვრებას, კიდევ მერე, სამამულო ომის ექოზეც ვისაუბრებ.

* *

მიუკერძებელ კრიტიკად ისეთი კრიტიკა მიმანია, როცა, ვისი მოსმენაც მსურს, წმინდა სინდისით მეუბნება, რა შთაბეჭდილება მოახდინა პირადად მასზე ჩემმა ნაწარმოებმა“ (ალ. კალანდძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

ძნელი სათქმელია, ან საიდან მეცოდინება, ვეკუთვნი თუ არა იმ ადამიანების რიცხვს, რომელთა მოსმენაც მწერალს სურს.

დანამდვილებით ერთის თქმა შემიძლია. წმინდა სინდისით მოვუყვები პატივცემულ ავტორს იმ შთაბეჭდილებებზე, პირადად ჩემზე მისმა რომანმა რომ მოახდინა, და გამჩენის წინაშე, ტყუილბრალოდ, არაფერს შევცოდავ.

ძალი წავიდა სხვისასა...

მამუკა ტარსანიძე, რომანის მთავარი გმირი, „ოცდათხუთმეტი წლის ტანასხლეტი:ლი კაცი... ისეთი აცეკვებული ნაბიჯებით შევიდა ორსართულიასი შენობის კარგად მოვლილ ეზოში, რომ უდარდელი კბუკი გეგონებოდათ“.

ეს ავტორისეული დახასიათებაა, სხვები ასე არ ფიქრობენ. მაგალითად: ფილიმონ ანესაძეს, სახელოსნოს დირექტორს, მიანია, რომ „ეს გაცვეთილი, წელმოტეხილი კაცი რაღაში გამოგვადგებაო“. დაახლოებით ასეთივე აზრისაა ინსტიტუტის დირექტორი აგათონ სუთიძე: „არქიტექტურა შორს წავიდა, მისთვის მხარის გასწორება ძალღონე გამოლევულ კაცს გაუჭირდებაო“.

ერთ პიროვნებაზე ანათა ამდენმა სხვადასხვაობამ დამაფიქრა და შევეცადე, მამუკა ტარსანიძის ასაკი დამედგინა! ავტორის თქმით, თოთხმეტი წლის ტარსანიძე ტექნიკუმის პირველ კურსზეა, უკეთეს შემთხვევაში, სასწავლებელს თვრამეტი წლისა დაამთავრებდა. ხუთი წელი ინსტიტუტში სწავლას დასჭირდებოდა. ომის წინ, უმაღლესის დამთავრებიდან, ორა წლის მუშაობის სტაჟი დაუგროვდაო. სწორი არითმეტიკით, ამ დროს იგი ოცდახუთი წლისაა.

ომი, ტყვეობა, გერმანული არმიის ოფიცრობა, „შორეულ პარალელზე“ თუ „პოლარულ განედზე“ ყოფნა, რაღა თქმა უნდა, დაუდროს წაიღებდა: „თლათ გადაავიწყდა აქაურობა — ფიქრობდა ღედა. — აბა, რა მოუვიდოდა, ოცი წელიწადია, ორჯერ არ ყოფილა შინ“. და ამას ღედა ამბობდა ერთი კვირის თავზე იმ დროიდან, „ოცდათხუთმეტი წლის“ მისი შვალი, „აცეკვებული ნაბიჯებით“ სამსახურში დაგვიანებით რომ მიდიოდა!

ღედის ნათქვამი მაშინ მწერალმაც დაადასტურა: „ქაბუჯურ ძალსა და ენერჯის გრძნობდა, როგორც ოცი წლის წინათო“.

მამუკა ტარსანიძე ამ მომენტისთვის, ავტორის სურვილის მიუხედავად, ორმოცდახუთი წლისაა და არა — ოცდათხუთმეტის!

დაპროექტების სახელოსნოს თანამშრომლებს ეჩვენებთ, ალბათ, ასაკის გამოც, მამუკა ტარსანიძეს არქიტექტორი ქალი ახრასია მუჩიაშვილი (იგი ოცდათოთხმეტი წლისაა) შეუყვარდაო.

ამ ფაქტს ახრასიაც არ უარყოფს: „ცოტა თვალი შეუვარდა ჩემზე, მერე, ეს რამეს ნიშნავს?“ მალე ირკვევა, „თვალის შევარდნა“ მართლაც არაფერს ნიშნავდა, ტარსანიძეს ახრასია კი არა, ცისანა გობრომიძე ნაყვარება!

მართალია, ქალიშვილი „არქიტექტურის ამომავალი ვარსკვლავის“ ბადრი ბეკურაძის დანიშნულად ითვლება და ოჯახური შეთანხმების საფუძველზე შემოდგომით იქორწინებენ, მაგრამ მოგესვენებთ, სიყვარული ბრმაა და სად გადაეყრები კაცი, ვერაფერს შეუტყობ!

ერთხელ, სახელოსნოში, არქიტექტორები უაზროდ და, ცოტა არ იყოს, უთავბოლოდაც კამათობდნენ, დავაში ცისანაც ჩაერევა — „მამუკას არც ერთი სიტყვა არ ესმოდა, ვერც ცისანას ზედავდა, მაგრამ ჰმა სულის ს-ღრმეში სწვდებოდა... სულს იმედით უშუქებდა, წინ მოუწოდებდა, საკუთარ უძლეველობასა, დანიშნულებასა და სიწმინდეში არწმუნებდაო“, — ამბობს მწერალი.

მართალია, ქალიშვილის ხმა „წინ მოუწოდებდა“, მაგრამ მამუ-
კამ რატომღაც გვერდზე გაუხვია, „არც შეუძინე... რა ძალამ
შეაღებინა მეზობელი ოთახის კარი, რამდენ ხანს იდგა ამბორით,
ვედრებით, უხმო ღალადისით გაბრუებული“.

აღბათ, მკითხველი დაიბნა, თავის დროზე მეც ასე დამემართა.
ახლა ნელ-ნელა ვხვდები, მაშინ მამუკა ქალიშვილის ოთახში შევიდა
და შეყვარებულების ენაზე რაღაცას ბუტბუტებდა. მწერალი უფ-
რო მიმხვდარია და ეს ბუტბუტი ჩვენებურად ასე უთარგმნია: „ეს
ყო მუდარაც, აღსარებაც, ლოცვაც და ფიციცო“.

სატრფოს ოთახში მამუკას ხმა არ ამოუღია, „დიდხანს იდგა
ჩუმი ამბორით“, მაგრამ რას კოცნიდა, არაფერი ირკვევა: „მსურ-
ვალე სუნთქვით გაყდენთალი ნივთები მოწიწებით დააწყო და თავის
ოთახს დაუბრუნდა“, არადა, ამის ცოდნა აუცილებელია, რადგან
შეყვარებულები ხშირად გაუფრთხილებლად იქცევიან. ჭანმრთე-
ლობისთვის კი მიზანშეწონილი არაა, ახლად დატუშული ნახაზე-
ბისთვის პირის შეხება, არც წებოსა და სამელნეს კოცნა შეიძლე-
ბა — ანტიჰიგიენურობის გამო!

ტარსანიძე თავის ოთახს რომ დაუბრუნდა, კამათი გამწვავე-
ბულიყო.

„ბადრი ბეკურაძე... ცისანას ეჩურჩულებოდა, დროდადრო
მკლავში ხელს მოაგლებდა, და მამუკას ეჩვენებოდა, რომ ეს კოხ-
ტად ჩაცმული, ლამაზად მოლაპარაკე ჭაბუკი ერთობ თამამად ექ-
ცეოდა ქალიშვილს, რომელსაც მამუკა კარგა ხანია შორიდან შეჰ-
ხაროდა“.

სასიამოვნო არაა, როცა ხედავ „ქალიშვილს, რომელსაც კარგა
ხანია შორიდან შეჰხარი“, „ხელს ავლებენ და ერთობ თამამად ექ-
ცევიან“, მაგრამ როცა იცი, შენი მოწონებული გოგონა მისი სა-
ცოლელა, ვინც თამამად ექცევა, წყენამ თანდათან უნდა გაგვიაროს,
თორემ ეს ვინმემ რომ შეგვიტყოს, უხერხულია!

ზემოთ ვთქვი: ცისანა გობრომიძე და ბადრი ბეკურაძე შემოდ-
გომაზე ხელს აწერენ-მეთქი. ეს ავტორიდან ვიცოდი, ამიტომ ძა-
ლიან გამიკვირდა, ცისანასა და მამუკას შეუღლება. მაგრამ იმიტომ
კი არა, ცისანა მამუკასთვის არ მემეტება, ან ჩემი სიმპათიები, რო-
გორც მკითხველის, ბეკურაძის მხარეზეა, არა, რა თქმა უნდა! ცი-
სანა გობრომიძე რომანის პერსონაჟია და ავტორის ნებაა: ვისაც
უნდა, იმას გააყოლებს, ამაზე მწერალს პასუხს არ მოთხოვენ, მაგ-

რამ ასეთი ქორწინება, ხელოვნურად მოგონილს რომ არ ჰგავდეს, მოტივირებული უნდა იყოს.

ან საქმეში მარტო ავტორის სურვილი არ იკმარებს.

...სახელსნოდან გამოსული მამუკა ცისანას წამოეწია. უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ავტორის აზრით, სამი გარემოება უშლიდა ხელს.

ერთი: უჭირდა იმ ქალიშვილებთან დაახლოება, „რომლებიც ძალიან მოსწონდა“.

მეორე: „ცუდად ეცვა — ბიძის ნაჩუქარი იდაყვებზე მოცევილი პიჯაკი და დიდი ხნის გადასაყრელი ფეხსაცმელები“.

მესამე: საინტერესო საკითხებზე ლაპარაკი არ შეეძლო, საუკუნეა არაფერი წაუკითხავს.

მე დამატებითი გარემოებაც მაფიქრებდა — განსხვავებული ასაკი! მამუკა, მწერლის თქმით, ოცდათუთმეტი წლისაა, ჩემი ანგარიშით — ორმოცდახუთის!

„— ბატონო მამუკა! როგორ მოგეწონათ ჩვენი პოლემიკა?“

ბატონ მამუკას პოლემიკა არ მოსწონდა, მაგრამ ახლა „არც ეს მორიდებული კილო მოეწონა, რომლითაც ხნიერ მამაკაცებს მიმართავენ“.

ეტყობა, ჩემი ვარაუდი სწორია, თორემ აქ საწყენი რა უნდა ყოფილიყო: მიმართეს ისე, როგორც ამ ასაკის კაცს შეეფერებოდა. ახალგაზრდა კაცს სასიამოვნოდაც დარჩებოდა, სოლიდურ და დაბრძანებულ კაცად თუ მიიჩნევდნენ!

მართალია, მამუკა ტარსანიძე ასაკით მაინცდამაინც არ შეეფერება ქალიშვილს, რომელიც მას მოსწონს. მაგრამ მწერლის მიერ წინასწარ გაცემული „თამასუქით“, მისი „ბობოქარი ენერგია“, და „უსასშველო ენთუზიაზმი“, ხანდაზმულობის სრული კომპენსაციაა!

„ენერგიის მოზღვავენას გრძნობდა, კონკრეტულად ჯერ წარმოდგენილი არ ჰქონდა, რა უნდა ეკეთებინა, რაში უნდა დაეხარჯა, საითკენ წარემართა ეს ბობოქარი ენერგია“.

პატიოსანი მთხრობელი, ახლა, ამ მომენტში, მკითხველს ფილიმონ ანესაძის სიტყვებს არ გაახსენებდა — „ეს გაცვეთილი, წელმოტეხილი კაცი რაღაში გამოგვადგებაო“.

მწერლის აზრით, ტარსანიძე ლამის ატომური ენერგიის პატრონია! რაც არ უნდა ეხარჯა ეს ბობოქარი ენერგია, არაფერში

ენადვლებოდა, დანაკარვს ზღარული სფინქსივით სწრაფადვე აღიდგენდა! ამას გასაოცარი სიმსუბუქით ახერხებდა!

„ახალგაზრდული ხმები... იმედისა და ძლიერებისკენ მოუწოდებდა“.

„ცხარე სურნელი აღაფრთოვანებდა, გაურკვეველი ენთუზიაზმით, ენერგიით და წრმენით ავსებდა“.

„მამუკა ასეთი შხრენით და უკომპრომისოდ გამოხატა ედა თავის გრძნობებს, რომ ლაპარაკის პროცესშივე აოცებდა ემოციების ასეთი მოზღვაება“.

განზრახვას ადვილად მიმიხვდებოდა: მოტანილმა ციტატებმა სასიძო შემაქებინა, მაგრამ საყვედური მათქმვეინა ავტორის მისამართით — ზედმეტი „მიწერებია!“

„რომანის ავტორი თავის საკუთარ ნაწარმოებში, თითქოს ქაოსშიაო, სრულებით ვერ გრძნობს, რა ზდება, რა მოსდიათ, საათ მიქანჯალობენ მისი პერსონაჟები...“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

უკან მივბრუნდეთ, ქალ-ვაჟი მარტოა! ისინი იმ მომენტში მივატოვეთ, ქალიშვილმა რომ იკითხა: მოეწონა თუ არა ბატონ მამუკას პოლემიკა.

ტარსანიძემ ნაბიჯს აუჩქარა და ეტყობა, უპასუხოდ სტოვებდა ცისანას შეკითხვას, მაგრამ გოგონამ იმარჯვა და კითხვა მოუნაცვლა:

„— მართლაც, საკამათოა, გვჭირდება რამდენ დეზიდერო, პირონეზი ან როდილა, თუ მათ გარეშეც შეგვიძლია ვაშენოთ?“

კითხვა წყნარ დალაგებულ პასუხს მოითხოვს, თანაც, სხვათაშორის არის დასმული, ქალ-ვაჟს სალაპარაკო თემა რომ ჰქონოდა.

„არაკომპეტენტურობის ეპკე მამუკას ნებას არ აძლევდა თავის მოსაზრება გამოეთქვა“, მაგრამ უკვე არც ასე მუნჯად სიარული შეიძლებოდა! ამიტომ იმ კოჰლი მხედარივით იქცევა, ბუნებრივ ნაკლს ცხენზე ამხედრებით რომ ფარავს!

„აბსურდია! — მოულოდნელად იფეთქა მამუკამ. — დეზიდერიო, პირონეზი — ეს ცარიელი ტვინის ჭყლეტა!...“ შერე გაუტია და გაუტია! რაღა არ თქვა და იყვირა, ოღონდ აზრიანი და ჭკვიანური — ნაკლებად წამოცდა!

მწერალს ძალიან მოსწონს საკუთარი გმირის აფეთქება, ალბათ

ყვირილიც, — და კმაყოფილი შენიშნავს — „მამუკა ლაპარაკობდა მოწყურებული ხმით, აღზნებულად, რითაც გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას იქცევდა; ლაპარაკობდა, როგორც გუინპლენი ლორღთა პალატაში...“

ჩემი მიხედვრით, ქალიშვილისთვის ცოტა უხერხული იქნებოდა, თანხლები ვაჟის ქუჩა-ქუჩა ხმამაღლა ლაპარაკი, მით უფრო, თუ იგი „გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას იქცევდა“.

ალბათ, მოსაწყენია მოსეირნე ხალხისთვის ასეთი ტირადების მოსმენა, „გულაჩქროლებული“ ვაჟი თავის სატრფოს ყვირილით რომ სთავაზობდა:

„წარსულის დიდებული ძეგლები შედევრებად დარჩებიან, მაგრამ ნიმუშებად არ გამოგვადგებიან... ყურადღება მიაქციეთ ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლს პლენხანოვის პროსპექტზე. აი, რა იცის პიროვნებმა და დეზიდეროებმა! ყოველი უკიდურესობა ყოველგვარი უბედურებისა და იდიოტიზმის მიზეზად იქცევა... დადგენილებაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შთამაგონებელს გახდის შრომას, დაამშვენებს ყოფა-ცხოვრებას გააკეთილშობილებს ადამიანს — საბჭოთა არქიტექტურამ უნდა შექმნას ყველა პირობა ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის...“

შორით მოსიარულე ხალხს მოეჩვენებოდა, ამ ბანალურ ტექსტს რადიოთი გადასცემენო. ცოტა კი გაოცდებოდნენ, ფეხზე მოსიარულე „რუპორი“ „იდაყვებშემოცვეთილი პიჯაკითა და ლანჩებ-აყრილი ფეხსაცმელებით“, წინ რომ ჩაუვლიდათ.

ცისანას „მისი აზრები იმდენად არ აკვირებდა, მხოლოდ შინაგანმა პათოსმა გააოცა“.

არც გააკვირვებდა! მთელ ამ დაშტამპულ სიტყვაში შედარებით ერთი აზრი ვარგოდა — „წარსულის დიდებული ძეგლები შედევრებად დარჩებიან, მაგრამ ნიმუშებად არ გამოდგებიანო“, მაგრამ ეს „აღმოჩენა“ ტარსანიძის არაა! ისიც უკვე ფრანსუა ბლონდელს სამი საუკუნის წინათ უთქვამს და ცისანასაც ბევრჯერ ექნებოდა განაგონი თავის საქმროსგან — ბადრი ბეკურაძისგან.

სახელოსნოდან დამგზავრებულ წყვილს არსად შეუხვევიათ. საყდარში ცოტა შეაგვიანდათ, ქალიშვილი სახლს რომ მოუახლოვდა, ვაჟს გამოემშვიდობა.

ოჯახში ქრისტეს ტირილია!

„ვთქვით, ცისანა, ჩემო ოქრო გოგო, ჩემო სიხარულო, სად ხარ ახლა, შენი ქირიმი? რა კაი ხარ შეილო, ყველას რომ სჯობიხარ და ყველას რომ შენი შურს!“

ეს ქალბატონი სალომეა, ცისანას დედა. საგანგაშო მდგომარეობაა — ცისანა სამი საათი აგვიანებს!

ამ ალიაქოთში მეზობელი ოთახიდან ცისანას ბაბუამ შემოიხედდა; ნამღვდელარმა კაცმა, და იკითხა — „შევიდა?“ როცა უთხრეს, ისევ აგვიანებსო, — „უფალო, შენ შეეწიე, რა მოუვიდა, ნეტა, ამ ბაღანასო“, — ჩაილაპარაკა და კარი მოიხურა.

ეს ეპიზოდი იქნებ დაიმახსოვროთ, მერე დაგვეკვირდება.

გადის რამდენიმე დღე.

...შეუძმნეველად ჩამოლაშტა, ცისანა და მამუკა კლდოვან ფერდობზე ეშვებოდნენ. მთის კალთები ბინდში ეხვეოდა, ღარტაფებში ცისანას ფეხი უცუროდებოდა, ჩერდებოდა და განაბული ელოდა ვაჟის ღონიერ მკლავებს. ქალიშვილს უხაროდა, რომ ასეთ დროს სადღაც ქალაქგარეთ, უკაცრიელ ადგილზე უცხო მამაკაცთან მარტო იმყოფებოდა. გულში ნატრობდა — წამოსულიყო საშინელი თქეში, მოვარდნილიყო წარღვნა, ამოვარდნილიყო ქარიშხალი, თავს დასხნოდა ღარტაფებში ჩასაფრებული ვეფხვი, წინ გადადგომოდით გამონაშვერიდან მოვარდნილი ხროვა...

ბურვილში ცა გაქრა, ჩამობნელდა (ეს მერამდენედ! თ. წ.) ჭაგნარიან ჩამრეცხზე ნაგზაური წაიშალა. სიარული გაჭირდა, ქალიშვილი ვაჟის მკერდსა და მკლავებს მიენდო, ნაპრალს მოეფარნენ, სიბის ერთიციცქნა გამონაშვერს გაეკრნენ.

ქალს მოულოდნელად ქვითინი წასკდა. მამუკა დაიბნა, შეშინებულმა წელზე მოჰხვია ხელი, რამდენიმე ნახტომით ღრანტეებს გადაევიდა და გზატყეცილზე გაჩნდა.

ალბათ, ცოტაა ქვეყანაზე გულუბრყვილო მკითხველი, ეს ამბავი რომ დაიჯეროს.

წიგნის ავტორს ხელოვნურად მოგონილი ეპიზოდი მარტო იმისთვის სჭირდება, რომ თეორიულად იცის:

მკითხველს „სულის მობრუნების საშუალება არ მისცეს, და, თუ ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს, მხოლოდ იმისთვის, რომ ახალ ნაპრალეებში გასტეორცნოს, ახალი განგაშით აავსოს. ასე ატაროს თანაგრძნობიდან საშინელებათა განცდამდე და პირიქით, რათა განუწყვეტელი მონაცვლეობით განაცდევინოს ურწმუნობა,

იმედი, საფრთხე, გაოცება, შიში...“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

ეს ყველაფერი კარგაა და, შეიძლება მხატვრული ნაწარმოებისთვის აუცილებელიც იყოს, მაგრამ, ეტყობა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ გამოგონილ ეპიზოდს ხელოვნურობის ელფერს თავიდან ავაცილებდით.

ჩართული ეპიზოდი კი ყალბია! ენახოთ.

მზე ამოიწვერა, ქალაქში რომ დაბრუნდნენ.

„მაყვალას გაუფელი, — თქვა ცისანამ, როცა ლენინის მოედანზე გამოვიდნენ. — დედაჩემი წუხელ არც თვითონ დაიძინებდა, არც სხვებს დააძინებდა, იქიდან დავრეკავ, აქ გავათიე-მეთქი“.

საწყენი კია, მწერალს ასეთი მიაშიტები რომ ეგონივართ!

აი, რისთვის მინდოდა ცისანას დაგვიანების ეპიზოდი დაგმას-სოვრებოდათ! მაშინ ქალიშვილმა სახლში სამი საათით დააგვიანა და დედამისმა ქვეყანა დააქცია!

ახლა გოგონამ კაცთან ღამე ტყეში გაათია და ასე იოლად ვერ გადაჩეხებოდა. დილით ცისანა სახლში რომ დარეკავდა, წუხელ მაყვალასთან მეძინაო, დედა, ალბათ ეტყოდა: „რა კაი ხარ, შეილო, ყველას რომ სჯობიხარ, და ყველას რომ შენი შურს“. ღამეს თუ სხვაჯან ათევედი, რატომ ადრე არ დამირეკეო!

ანდა მაყვალა, დედის გადარევის ამბავი რომ იცოდა, სახლში ხომ შეატყობინებდა, ცისანა ღამეს ჩემთან ათევსო?

„შთაბეჭდილება იმის მიხედვით მექმნება, ვგრძნობ თუ არა ნაწარმოებში ლიტერატურულ სულს, მთელი თავისი არსით ლიტერატურულია თუ არა ავტორის ბუნება“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

ცისანამ მაყვალასთან შეუხვია, მამუკამ „პირადი ღირსების ხან-გასმით მხრები გაშალა და ამაყად გაუყვა რუსთაველის გამზირს“. ხვალ ცისანას შინ უნდა სტუმრებოდა. ღამე მომწავალ ვიზიტზე ფიქრში გაათია.

დილით ფეხსაცმელები გამოიღო, ნემსი და ძაფი მოიძია, აჩქარებით შეუდგა აგლეჯილი ლანჩების დაკერებას.

„გუშინ ძლივს მიაღწია შინ და ახლა გაუკვირდა კიდეც, აქამდე რომ არ მოაგონდა ეს“.

აი, სერიო! თუ არ გაცმეცადნდით, თვალს გვიხვევენ!
მწერალი რომ გვარწმუნებდა, მამუქამ „პირადი ღირსების ხაზ-
გსმით მხრები გაშალა და ამაყად გაჰყვა რუსთაველის გამზირს?“
გუშინ არ იყო ეს!

აბა, დღეს რატომ გვეუბნება: „გუშინ ძლივს მოაღწია შინო?“
ალბათ, ჩვენი უნდა მივმხვდარიყავით: სიღარიბე ადამიანის
ნაკლი არაა, მაგრამ ლანჩებადებული ფესსაცმელებით ქუჩაში ისე
ვარ გაივლიდა, მხრები გაეშალა და პირადი ღირსებისათვის ხაზი
გავსვა!

სტუმრად წასვლა მაინც-გადაწყვიტა, საჩუქარიც წაუღო: მინია-
ტურული ბრელოცი, „ცისანასთან ერთად მთაში რომ შემოალამდათ
და თბილისში გვიან დაბრუნდნენ, იმ დილით გააკეთა...“

ბატარა წინადადებაში მწერალს მცირე უზუსტობა ვაპარვია:
მთაში კი არ შემოალამდათ, თავზე დაათენდათ, თბილისში გვიან კი
არ დაბრუნდნენ, დილით ჩამოვიდნენ.

დანარჩენი როგორც ტექსტშია!

ქალბატონი სალომე სტუმარს კარგად შეხვდა, „რა საყვარელი
დედა გყოლიაო“, უთხრა მამუქამ ცისანას. „შენ ერთბაშად მოვი-
ნიბლავს! — ღიმილით უთხრა ცისანამ და სახეზე მოელამუნა“.

მერე უმცროსმა დამ მოაკითხათ და ცისანას ბაღრისგან გამოგ-
ზავნილი მოსაწვევი ვადასცა.

„ვერ წავალ, შატულია, არ შემძლია! ცისანას უარზე მამუქას
ჯულმა ზაგაბუგი დაუწყო“.

„რა მოხდა?! მეტუმრება თუ მართლა არ აპირებს წასვლას?!
შავმა კატამ სომ არ გაიციუნცულა მათ შორის?!“

ეტყობა, მწერალს ჩვენი ვაგიყება სურს! თორემ აგერ ერთი
კვირაა მამუქას ღრანტეებსა და ღარტაფებში ხელაყვანილი დაჰყავს
„ეროტიკული იერიშით აფორიაქებული ქალიშვილი“, რომელიც
წყვე „თავის თავს არ უმაღავდა, რომ უმისოდ ყოფნა არ შეეძ-
ლო“.

თუმცა ჩვენი ვასულელება რაში სჭირდება, ალბათ, ახლაც ვულს
ვადავარდა ადრე მონაყოლი, ამიტომ მოვავგონებ: რამდენჯერმე!
მაშინაც — შუალამისას, შუაგულ ტყეში „ცისანას ფეხი რომ
უცურდებოდა და განაბული ელოდა ვაჟის ღონიერ მკლავებს“.

მაშინაც, „შეთოშილი ქალი მკერდზე რომ მიიხუტა და გზა გა-
ნაგრძეს“.

მაშინაც: „შეშინებულ ქალს წელზე ხელი რომ მოხვია და „რამდენიმე ნახტომით ღრანტეებს გადაევილო“.

ახლაც: საკუთარ სახლში „ცისანა სახეზე რომ ელამუნებოდა“. აღრე იმაზე ვწუხდი, მწერალი სუსტად ხედავს-მეთქი, ახლა სხვა სადარდებელიც გამიჩინა: მონაყოლიც აღარ ახსოვს!

მამუკა ისევ ცისანასთანაა, უბარია, ქალიშვილმა ადრე რომ უთხრა: „დედაჩემი მოგიხიბლავსო“.

მოხიბლული დედა კი „ნერვიულობდა, ვილაც უზრდელი“ წასვლას რომ არ აპირებდა... მერე მეუღლეს მეათედ ურეკავდა: „ეს ვინცლა თანამშრომელია, ამანაც ძვალი გააგდო. მოგვკვდი ქალი, აღარ შემიძლიაო“.

„ცისანას ესმოდა დედის დალილი, შეწუხებული ხმა და გული უკვდებოდა, ეცოდებოდა დედა, რომელსაც ოჯახურ საქმეებში შემხიდე და ანგარიშის გამწევი მართლა არავინ ჰყავდა“.

თუ ცისანას დედის ლაპარაკი ესმოდა, ეს ხმა მამუკასაც უნდა მოყურებოდა, ისინი ერთად ისხდნენ. ყოველ შემთხვევაში, მასპინძელ ქალიშვილს უნდა მორიდებოდა, სალანძღავი სიტყვები მამუკამ არ გაიგონოსო. რაკი ამის შიში ცისანას არ ჰქონდა, ეტყობა, ფიქრობდა, მამუკა ჯარში, ტყვედ ჩავარდნამდე, არტილერიაში მსახურობდა და ყურთაბმენა დაქვეითებული ექნებო.

ერთი-ორი დღის შემდეგ ცისანამ დედას გამოუცხადა: მამუკა ტარსანიძეს ცოლად მიეყვებო.

ქალბატონი სალომე, შვილისგან განსხვავებით, სასიძოზე უარყოფითი აზრისა ბრძანებულა. ქალიშვილმა, დედის აზრის გასაბათილებლად, მამუკას ნიჭიერებას გაუსვა ხაზი.

„სად ნახე, ნეტა, მაგ ვაქსის მიიმუნის (ამ გამოთქმას შემდეგში ქალბატონი სალომე სიძის დასახასიათებლად ე. ი. სამუშაო ტერმინად იყენებს, თ. წ.) ნიჭი, შარვალში უკანალი გამოვარდნია და ქალამნებში თითები. შეაფურთხე ეშმაკს და მაგის სახელი გულში არ გაივლოო“, — გააფრთხილა დედამ.

ცისანა მშობლების დამჯერე და კარგად აღზრდილი ქალიშვილი იყო, ვერავის შეაფურთხებდა.

ადგა და შინიდან წავიდა!

სალამოს ქალმა საქმროს გამოუცხადა: ხელი მოვაწერათო.

„ის ღამე ქალაქგარეთ დაეხეტებოდნენ. აგვისტოს მიწურულს

იყო. დროდადრო წვიმა წამოუშენდა და ბნელ, მიყრუებულ ადგილებში დაბურულ ხეებს ეფარებოდნენ“.

უკვე მწერლის ნაკლებად მკერა, თორემ ადამისა და ევას სამოთხედან გაძევება ამათ საცოდაობასთან შედარებით, მოგონილი მეჩვენება!

აგვისტოს მიწურულის თავსხმა წვიმაში ახლადშეუღლებული ცოლ-ქმრის პირველი ღამის კლდე-ღრეში გათენება, დაუჯერებელ ამბად მიმაჩნია!

„ნეტარ არიან მორწმუნენი!“

ცოლ-ქმრის ტყიდან გამოსვლამდე, ქართველი მკითხველისათვის აქამდე არსმენილ და უჩვეულო ოჯახზე უნდა მოგიტხროთ.

გობრომიძეების ოჯახი

„ხელოვნების ნაწარმოები ერთნაირი ძალით უნდა ასაზრდოებდეს გონებას, გულს, თვალსა და სმენას. აზრის გადმოცემის ზომიერი, თავშეკავებული, სერიოზული, მკაცრი მანერა ხანგრძლივი დიდების თავდებია. მე არასდროს დავთანხმდები ჩემი ნაწარმოების ეკრანიზაციას, ისეთი გუმანი მაქვს, არც ვაუა დათანხმდებოდა ამაზე“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

ა) ოჯახური მდგომარეობა:

ცოცხალი გობრომიძეებიდან უხუცესი, დოროთეს მამა, ნამღვდელოა გაბრიელ გობრომიძე ასორმოცი წლისაა, რომელსაც, მწერლის თქმით, „ცხრა ვაჟიდან ერთი თურქეთთან ომში დაეღუპა, ნეორე — იაპონიასთან ომში, ორი რევოლუციის ბარიკადებზე, სამი დიდ სამამულო ომში იბრძოდა. მათგან მხოლოდ დოროთე გადაურჩა შტრის ტყვიას“.

მწერალს ვეღარ ვენდობი, ბიჭები თავიდან უნდა გადავთვალო!

1 ვაჟი (თურქეთთან მეომარი)

1 ვაჟი (იაპონიასთან მეომარი)

2 ვაჟი (რევოლუციისთვის მებრძოლი)

3 ვაჟი (გერმანიასთან მეომარი)

სულ: 7 ვაჟია!

ხელახლა გადათვლამ გვიჩვენა: გაბრიელ გობრომიძეს შვიდი ვაჟი ჰყოლია და არა ცხრა! მართალია, შვიდი და ცხრა ერთნაირად

ლამაზი ციფრებია და მათ საკრალურ რიცხვებადაც მიიჩნევენ, მაგრამ სიდიდით ტოლები არ არიან: ცხრა მეტია შვილზე!

ამის გარდა, მოსაწონი იქნებოდა, მამას შვილების რაოდენობა მეტი სიზუსტით სცოდნოდა!

სხვა მხრივ, ნამღვდელარი გაბრიელ გობრომიძე ღმერთს ვერ ემდურება: ასარმოცდაათ წელიწადს ჯანმრთელად იცხოვრა და ჯანიც ბოლომდე გაჰყოლია—ოთხმოცდაათი წლისას შვილი შეეძინა!

მეხსიერებასაც არ ემდურის, მხოლოდ ესაა: ცხრა ვაკიდან ორი ვერ გაიხსენა, საერთოდ ჰყავდა თუ არა, თორემ თავისი ცხოვრების სხვა ძირითადი მომენტი დამაკმაყოფილებლად ახსოვს.

მთლიანად გობრომიძეების ოჯახი, თუ მეც ღმერთი არ გამიწყრა და არავინ გამომრჩა, ექვსი სულისგან შედგება: ცოლ-ქმარი—ქალბატონი სალომე და ბატონი დოროთე, შვილები: მაცვალა, ცისანა, შატულია, დიდი ბატონი გაბრიელი, დოროთეს მამა.

რაც შეეხება სიძეს, მამუკა ტარსანიძეს, ქალბატონი სალომეს აზრით, ოჯახის წევრად კი არა, კაცებშიც მისათვლელი არაა!

სხვათა შორის, წიგნის ავტორი ამ ოჯახის დახასიათებისას აშკარად შეცდომას უშვებს!

ავტორის აზრით, აგრეთვე ქალაქის საზოგადოების თვალშიც, გობრომიძეების ოჯახი ერთი უმდიდრესთაგანია თბილისში.

სამსახურში, როცა ბადრი ბეკურაძეს და ცისანას სიყვარულს შეუტყობენ, დუღუნა ამბობს: „ხედავ... რას შვრება სიმდიდრე და კაი ცხოვრება! თუ ეს ამბავი მოხდა, შევარცხვინე ქონებისათვის თვალდავსებული ვაყვაციო!“

მამუკასაც „ეს ოჯახი შორიდან, მაღალი წრის მიუვალ სიმაგრედ ერგვნებოდა“ და როცა ცისანა შეიერთო, ხმა დაუდგეს „იცის ბიჭმა, სად მოითბოს ხელიო“.

საეჭვო აღარაა, სიმდიდრით და მდგომარეობით აღზევებულ ოჯახთან გვაქვს საქმე.

თითქოს აქ უცნაური არაფერია, ბატონი დოროთე წლების მანძილზე მხოლოდ დიდად პასუხსაგებ თანამედრობებზე მუშაობდა.

მაგრამ, მწერლის აზრით, „დოროთეს პიროვნების ერთადერთ სფეროს, რომელზედაც ქალბატონი სალომე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა, სწორედ სამსახურებრივი კეთილსინდისიერება და უანგარობა წარმოადგენდა. კაპიკი რა სათქმელია, თავისი ხანგრძ-

ლივი მოღვაწეობის მანძილზე ერთი უკანონო კაპიციტ არასოდეს მიუღია“.

მკეთანხმდეთ, რომ დღორთე გობრომიძე უმწიკვლო სახელმწიფო მუშაყა. მაგრამ ოჯახი რომ დულდა და გადმოდულდა, ისე რომ, მთელი ქალაქის სალაპარაკო გახდა, ვინმე ხომ უნდა ყოფილყო შემომტანი?

რა თქმა უნდა!

ქალბატონ სალომეს თითქმის არსად უმუშავნია, ამიტომ ვერაფერი შემომტანი იქნებოდა!

უფროსი ქალიშვილი მაყვალა, დედასთან რომ მოვიდოდა, თვალებს აცაბაცად ატრიალებდა, იქნებ ხელს რამე წავაყოლოო!

უმცროსი, შატულია, ფულიან კაცს გაჰყვა, მაგრამ ისეთი წუწურაქი ქმარი შეხვდა, არაფერს გადააგდებდა!

დარჩა დიდი ბატონი გაბრიელი — იქნებ მან საუკუნე ნახევრის მანძილზე კაპიტალი დააგროვა და შვილს უანდერძა.

ეს აზრი ჰკუხასთან ახლოა და კიდევ ერთხელ გადამაკითხა მერამდენად წაკითხული სუსტი რომანი. ამოდ დავშრი: სანუგეშოს ვერაფერს წავაწყდი!

ნამღველარმა კაცმა ღვთის პირით განაცხადა:

„არ მახსოვს, ორი წლის სარჩო მქონოდეს. რასაც მოვხარშავდი და გამოვაცხობდით, ის იყო ჩვენი ქონებაო“.

შეატყობდით, ამ საქმეს „კულის რიკამდე“ ჩაყევი და მაინც ვერაფერი მოვიგონე, მწერალი რომ გამემართლებინა!

ბოლოს ამ დასკვნამდე მივედი:

რომანის ხელოვნურად მოგონილი სქემისთვის სჭირდებოდა გობრომიძეების ოჯახს შეძლებულად ეცხოვრა. ცხოვრობენ კიდევ არავითარი მოტივირება! მაგრამ, ეტყობა ტყუილად ვიბრაგუნებ გულზე ხელს, ავტორს ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება ჰქონია და ჩემი „გაწიწმატება“, სასაცილოდაც არ ეყოფა!

„არგუმენტირება და გემოვნება? აზროვნების კატეგორიებთან შეხებით ის ხომ ხელიდან გამოგვიცლება?! (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

„თეოკრონეს ბევრი უსარგებლო ცოდნა და ფრიად უცნაური ცრურწმენა აქვს. უფრო მეთოდურაა, ვიდრე ღრმა. ნიჟის ნაკლებობას მესსიერებათ ინაზღაურებს“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „კვ-პოვნების კრიტიკა“).

ოჯახური ურთიერთობა ცოლ-ქმრობით იწყება.

დოროთეს აღრუულ ასაკში შეყვარებია შომაველი მეუღლე: „ცხრა წლის რომ შევიქენი, შეყვარებული დავრჩი შენშიო“, — თავი გასცა ერთხელ. ქალბატონი სალომე მაშინ სამიოდე წლის თე იქნებოდა, ნაკლების არა!

ამ ასაკის ფუნჩულა ბავშვმა როგორ აღუძრა სიყვარულის გრძნობა დოროთეს, ძნელი ასახსნელია, მაგრამ უთქვამთ: ცოლ-ქმრობის საკითხი ცაში წყდებო და ჩვენც ამის ცოდნით უნდა დავემყოფილდეთ.

ქალიშვილის გაპარვიდან სალომეჲ სასლში სააღყო წესები გამოცხადა, მის გარეშე იქ ვერავეინ შებუდაედა. კაცი იფიქრებს, დედის ასეთი დაცოფვა ცისანას გამორჩეული სიყვარულიდან მოდისო.

„შეიძლება, ქალბატონ სალომეს ცისანა მართლაც განსაყუთრებით უყვარდა!

„ოჯახს ჯერ კიდევ უქირდა, როცა ძუძუთა ბავშვი ავად გაუხდა და შემდეგ, ხუთ წლამდე, ხშირად ავადმყოფობდა, რასაც სალომე თავის დედობრივ გამოუცდელობას და ხელმოკლეობას აბრალებდა“.

ერთი: დედა თავის გამოუცდელობას ვერ დააბრალებდა ცისანას ავადმყოფობას: ცისანა ქალბატონ სალომეს მეორე შეილია, პირველი მაყვალა იყო.

მეორე: მართალია, დოროთე ცხრა წლის იყო, „შეყვარებული რომ დარჩა“ სალომეში, მაგრამ ვერ დაქორწინდებოდა: „სადედოფლო“ მაშინ სამი წლის იქნებოდა და მშობლები (იმ დროს ცოცხლები ჰყავდა!), არ გაათხოვებდნენ!

ქაბუე დოროთეს სატრფოს წამოზრდისთვის უნდა დაეცადა. და მაშინ, მეორე შეილი რომ შეეძინებოდა, უკვე მიზრდალი კაცი იქნებოდა! ახლა მე არ მაგონდება, იმ წლებში დოროთე სად მუშაობდა, მაგრამ მწერალს ხომ ემახსოვრება!

„შეგახსენებთ, რომ დოროთეს ხელმძღვანელობის დიდი გამო-

ცდილება ჰქონდა. ცხრამეტი წლისა პოლიტგანს მეთაურობდა, საი-
დანაც სამაზრო კოოპერატივის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, მერე
შაქრის ქარხნის დირექტორად“.

მადლობა მოვასხენოთ მწერალს ამ საინტერესო მოგონებისათვის
და ვთხოვოთ, სხვა დროს მეტი ყურადღებით იყოს!.

„როცა სტუდენტი ქალიშვილი მძიმე სხეულებით ავად გაუნდა,
ს. ში თვე განუწყვეტლივ თავზე ადგა, საკანში ცემენტის იატაკზე
ეძინა, პირში შავი პურის მეტი საკმელი არ ჩაუდვია, ოჯახში გაუ-
ყიდველი არაფერი დარჩენია და საყვარელი შვილი, რომელიც მო-
მაკვდავთა კამერაში გადაიყვანეს, სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა“.

გრძელი წინადადება! მაგრამ მისი სიგრძე არ მაფიქრებს, არც
გადმოწერა მეზარება, ჩემთვის ვწუხვარ: ამხელა წინადადებაზე ავ-
ტორს თვალის მიდევნება გაუჭირდება, შეცდომა არ გაეპაროს-
მეთქი.

მოსახდენი მაინც მომხდარა!

„საკანი“ და „კამერა“ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით საა-
ვადმყოფოსთვის ვერ ივარგებს. ამ სიტყვათა წარმომავლობა დანა-
შაულებათა სამყაროს გვაგონებს, ციხის ტერმინი უფროა და იქ
დღესაც ხმარობენ.

ქალბატონ სალომეს „საკანში ცემენტის იატაკზე ეძინა“, რომ
ბრძანებს მწერალი, მართალი არაა. ავადმყოფი შვილის დედას,
თუკი სურვილი ექნებოდა, შეეძლო სახლში ჯაჭვასხმულსაც ეარა,
მაგრამ საავადმყოფო სახელმწიფო დაწესებულებაა და აქ სამედი-
ცინო განაწესის დარღვევის უფლებას არავის მისცემენ!

ბოლო პუნქტიც შევამოწმოთ: „ოჯახში გაუყიდველი არაფერი
დარჩენიაო...“

ამ ამბიდან ერთი-ორი წლის შემდეგ მამუკა ტარსანიძე გობრო-
ვიძეების ოჯახშია:

„ნელა გაიარეს მძიმე ფარდებით, ფაიფურის, ბროლის ჭურჭ-
ლიანი კარადები, დერმანტიზადაკრული სკამებით, სარკიანი ღივნი-
ბით მორთული ვეება ჭალიანი დარბაზები... მაღალ, ლურჯ ვაზაში
წითელი ვარდები ღუოდა. აქა-იქ, უწესრიგოდ, ორიოდვე ვენურა
სკამი, მიმოებნიათ“.

აქედან დასკვნა, თეოკრონეს უნარი: „ნიჰის ნაკლებობას მეხ-
სიერებით ინაზღაურებსო“, ეტყობა, წიგნის ავტორს ნაკლებობა გა-
აჩნია.

„...რა უმწიკვლოც არ უნდა იყოს ნაწარმოები, მისგან ქვა ქვაზე არ დარჩება, თუ ავტორი ყველა კრიტიკოსისა და მკითხველის შენიშვნას ყურს ათხოვებს“ („ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

ალბათ დაიღალეთ, ახლა შედარებით მხიარულ ამბებზე ვისაუბროთ.

მაყვალას აღმოჩენილ მისამართზე დოროთემ სიძე-ქალიშვილს ჩააკითხა, ეგონა, ცოლი ვერ შეუტყობდა, მაგრამ სახლში მობრუნებულმა კიბეზე ფეხის შედგმა ვერ მოასწრო, „სალომემ აივნიდან ზედიზედ რამდენიმე ვედრო ქუქყიანი წყალი გადაასხა. გააღმასებული დაბლა ჩაუხტა და ნარეცხით გაძინგლულს თავპირში იატაკის საწმენდი ჯოხი ჩასცხო...“

დოროთე ხვდება, მეუღლე აღელვებულიაო და ეხვეწება: დამშვიდდიო! თავად „ცდილობდა გაბინძურებული ტანსაცმელი ცოტა წესრიგში მოეყვანა და სამსახურში არ დაგვიანებოდა“.

ხელქვეითებთან ასე გაწუწული გამოცხადება, ერთობ სასაცილო იქნებოდა, მაგრამ მწერალი გარკვევით გვეუბნება: „ამასობაში სამსახურის დრომ მოატანა“ და წავიდაო.

საერთოდ, ოჯახში „ცივი შხაპის“ მეთოდს, როგორც ერთმანეთზე ზემოქმედების საშუალებას, ხშირად მიმართავენ!

სალომემ შვილს დაავალა მამისთვის ლოგინში წყალი შეესხა. „დავალების შესრულების“ სისწორეს ქმართან აზუსტებს: „ამას წინათ დაავალე, მამაშენს ერთი ჭიქა წყალი შეუახი ლოგინში-მეთქი, შემოგისხა?...“

— რავე არ შემომისხა, რას ლაპარაკობ? სამართალი გაქვს ახლა შენ? გუშინაც მთელი ვედრო ყინვასავით წყალი ჩამომიქცია ახალჩაძინებულს!“

აღმოჩნდა, რომ შატულია დედის დავალებას შემოქმედებ-თად მიდგომია, პირადი ინიციატივაც გამოუჩინია: მამისთვის ლოგინში ზეგეგმით რამდენიმე დეკალიტრი წყალი შეუხსია!

დედა შვილს საყვედურობს, რომ დაავალე, მამაშენს ზეწარი წაართვი-მეთქი, მომატყუე?

„როგორ არ წავართვი, ორი ღამე, უზეწროდ არ ეძინა?!“ გული მოუვიდა შეურაცხყოფილ შვილს!

ამ სიტუაციების შემდეგ ცოტა სასაცილოდ ჩანს დოროთეს პროტესტი:

„მე შემოძლია გადამტეხო, მაგრამ ვერ გადამლუნავო!“

მაგრამ, ეტყობა, ესეც შეშინებული კაცის ნათქვამია: წინადადება დალაგებით არაა ჩამოყალიბებული ან კი როგორ ჩამოაყალიბებდა, როცა ცოლმა დამთავრებაც არ აცალა:

„ხმა ჩაიწყვიტე, შე მხდალო, სანამ არ დაგასხი ეს კუჭყიანი ვედრო თავზე!“

დოროთეს განცხადება — მე შემოძლია გადამტეხო, მაგრამ ვერ გადამლუნავო, მაინც სასიამოვნოა: ადრე, როცა ცოლი სცემდა, ტიროდა! ახლა ასე თამამი პროტესტი, უკვე საქმედ მომეჩვენა.

გაგიკვირდებათ: ცოლი როგორ სცემდა, ანდა ვაჟკაცი როგორ ტიროდა!

გეტყვით: როგორ სცემდა და კარგად! ისე ტიროდა, გული მოგიკვდებოდათ! (იხილეთ: „მწვანე შტო“, გვ. 251).

„ღამოუცილებელი გემოვნება არ არსებობს სითამამის გარეშე. გემოვნების სითამამეს ვერ აშინებს ვერც პრესა, ვერც რადიო, ვერც ტელეხედავა, ვერც ვერავეთარი სხვა ავტორიტეტი. ლიტერატურული პროვინციალიზმი, რომელსაც ეშინია უგემოვნობა არ დაშვამონო, ზურგს აქცევს ყოველივე უბრალოს, რადგან არ შეუძლია უბრალობა პრიმიტივიზმისაგან განასხვავოს“ (ალ. კალანდაძე. წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

სალომემ აიკვიატა: ვაქსის მაიბუნს ჩემს ქალიშვილს ჩამოვაშორებ და, რადაც არ უნდა დამიჯდეს, შანშე გერკნეულს მივათხოვენო.

ერთ საღამოს ქმართან წაჩხუბებული ცისანა მშობლებს დაუბრუნდა. დედას უზომოდ გაუხარდა. ნავახშმევს თვითონ დაბანა, ლოგინში ჩააწვინა. ცისანას ჩაეძინა.

სალომე შანშე გერკნეულს ოთახში შევიდა და „გულში ჩამწვდომი ხმით“ უთხრა: „მიშველე, შენი მუხლების ჰირიმე! ბედი კარზე მოგდგომია, ახლა ყველაფერი შენზეა, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო ნამდვილო რაინდო!“

უცხო მამაკაცი, გერკნეული, სალომეს შატულიას ქორწილში მოეწონა და საკუთარ ოჯახში შემოსიანდა. ეს საიდუმლოებით

მოცული ურთიერთობა ათას მითქმა-მოთქმას იწვევდა. მაგრამ „შანშე ყურადღებას არ აქცევდა“. განმარტავს მწერალი. მაგრამ ჩვენ ეს არ გვიკვირს, ამ ფაქტისთვის ყურადღება ქმარს უნდა მიექცია!

რაინდი კაცი „სალომემ ახლოს მიიყვანა ქალიშვილის საწოლთან, ისე რომ, მისი ჩუმი ფშვინვაც კი ესმოდა... ქალიშვილის პერანგს დასწვდა და მღელვარებით გაბრუებულ მამაკაცს ხელში მიაჩეჩა...

— თავისუფალია, შენ გენაცვალე! ხელს აღარაფერი გვიშლის!

— მიმსახურეთ, თქვენი მონა-მორჩილი! — მღელვარებისგან ათრთოლებული ხმით ამოილაპარაკა მამაკაცმა“.

ეს იყო ვაჟკაციური შეთანხმება, ფიცი, რომ მამაკაცი ამაღამ დაისვენებდა, მომჯობინდებოდა, ხვალ ღამით, დედის თანხმობით, ქალს ლოგინში შეუწვებოდა, და იქაურობას ბღღვირს აადენდა..

მეორე საღამოს განაპირა, მყუდრო ოთახში სამ სულზე ვახშამი გაიშალა. ქალბატონმა სალომემ შეიღს, თითქმის დაძალებით, ერთი ჭიქა ლიქიორი დააღევინა. სასიამოვნო მოთენთილობამ ცისანას ძალა წაართვა და მავინვე თვალი მილულა. დედამ სამოსი გახადა, ღამისპერანგისამარა ლოგინში ჩააწვინა და საბანი წაახურა.

მერე გერკნეულს მიუბრუნდა: რაღას უყურობ!..

გერკნეული შეეცადა ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ შეტორტმანდა და კარის სახელურს გამოედო — შედი, შე ლაჩარო! — შეუვალი ბრძანებით დაუსისინა სალომემ და ხელისკვრით წინ გაიგდო. მამაკაცი მუხლებში საშინელ სისუსტეს გრძნობდა...

ალბათ, გელიმებათ, მაგრამ კაცის მდგომარეობაშიც უნდა შეხვიდეთ! მართალია, შანშემ გუშინ პატარა დაიქადნა, მოვჯობინდები და მერე მე ვიციო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ცოტა შეფიქრიანდა, დედა ლოგინში პერანგისამარა დარჩენილ შვილთან ძალად რომ აწვევდა!..

დედა ზეიმობდა! სიხარულისაგან გაბრუებულს „სამუშაო“ ოთახში სინათლის გამორთვაც დაავიწყდა!

„მისი ბინის ყველა ფანჯარა ისე იყო გაკაშკაშებული, როგორც დიდი ადღუმის წუთებში“.

ქვეყანა გადატრიალდა: დედა შვილთან უცხო მამაკაცს ძალად აწვევს, ეს რომ სიძემ შეუტყოს, უბედურება დატრიალდება! კარგდროს გაგვახსენდა, ქმარი სადაა?

ამის თქმა ცოტა უხერხულია, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას! ისიც, ამავე საკითხზე, ქალთანაა დაპატივებული! ოღონდ ცოტა გაწვალდა: სატრფო ქალაქგარეთ ცხოვრობს!

დუდანა ჰიშკართან დახვდა. ჩაბნელებული აივანი ნელა გაიარეს; ტანზე გამოიკვალა: „მამაკაცის პირდაპირ შეზღონგზე მოკალათებულნი, ნაზად და ზანტად შეუდგა გახდას. თითოეულ სამოსს, თითქოს წმინდა რიტუალს ასრულებსო, ჩუმი ზმორებით იხდიდა... ოთახი გამაბრუებელმა სურნელმა აავსო“.

ქალის გახდაში მამუკა სურათებს ათვლიერებდა. ყურადღება მიიქცია ეთრმა ფოტომ. დუდანამ განმარტა, გაგრაში ვისვენებდი, ამხანაგმა გადამიღო დედიშობილაო. „სურათი აღსავე იყო... მომწოდებელი ვნებით“.

მამუკა აზრდაბნეული წამოვარდა და ქალს შეეხა.

დუდანა ამშვიდებს, უნდა „მამრობითი პარტნიორი“ ქალთა საკითხში თეორიულად წაავარჯიშოს:

„ყველა ქალი ხომ ერთი არაა! ზოგს მართლა შეუძლია უზენაესი ნეტარების მონიჭება. არსებობენ ქალები, რომლებთანაც განუწყვეტელი შეგიძლია განიცადო ის ტკობა, ჩვეულებრივ ორიოდ წუთს რომ გრძელდება... მათ ყველაფერი სხვანაირი აქვთ. ისინი სხვანაირად კოცნიან, სხვანაირად ეკვრიან, სხვანაირად წვებიან, სხვანაირ სიამოვნებას ანიჭებენ!“

ვაჟმა სთხოვა: თეორიული დებულებების საილუსტრაციოდ კონკრეტული სავარჯიშოები შემასრულებინო.

„ქალი პოეტურად, წმინდად თავაზობდა თავის თავს. არწმუნებდა, რომ ბუნების მიერ მამაკაცთან კავშირის განუმეორებელი უნარით იყო დაჯილდოებული. შეეძლო თავისი მამრობითი პარტნიორისათვის უმაღლესი ბედნიერება მიენიჭებინა“.

ახლა ძნელი სათქმელია, ვაჟი საერთოდ უსმენდა თუ არა ქალს, მოულოდნელად წელში შეუვარდა და აზრი შუაზე გააწყვეტინა!

პრაქტიკულ მეცადინეობაზე „მამუკა რაღაც გაუგებარ წინააღმდეგობას აწყდებოდა, რომელიც ხელს უშლიდა დაუფლებოდა ქალს, რომელსაც თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა უკიდურესი დაძაბულობა. კაბა და პერანგი ჩამოცურებოდა, თითქმის მთლიანად გატიტვლებულს ვაჟის მუხლებზე მოეკალათებინა“.

ამ გაწევ-გამოწევაში ქალს თავის საქმე მშვენიერად მოუგვარებია: კაბისა და პერანგის ჩახდა მოუსწრია!

გატიტვლებულ ქალს მამუკამ ახალი ენერგიით და მოზღვავე-ბული ენთუზიაზმით შეუტია!

დუდანას „მისი თავი სავსე მკერდზე მიესვენებინა და თმაზე ამალელებლად უსვამდა ხელს. აღარაფერს ერიდებოდა თავადაც სიტყბოების სიმსუბუქით ატაცებული, ხან ტახტზე გულაღმა გადაწვებოდა, ხან შიშველ ფეხებს თეთრ ბალიშებში ათამაშებდა და შენივთებულ ვნებას ცხვირ-პირში ასუნთქავდა, ყველაფრის ნებას აძლევდა დაბნეულ მამაკაცს, არაფერზე უარს არ ეუბნებოდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მაინც ახერხებდა გადამწყვეტი იერიშის მოგერიებას, მიუხედავად იმისა, რომ ავბორცობით ძვალრბილი ეხრუკებოდა“.

ბოლოს, სამართალმა პური ჭამა!

„მამაკაცმა ქალი აიტაცა და სატანური ძლიერების გამოძახებული გულგრილობით ბალიშებზე გადააწვინა. დუდანამ მაშინვე იგრძნო, რომ ნებელობა აღარ ყოფნიდა, ამ იერიშს თავს ველარ დააღწევდა.

— ჰო, კარგი, თანახმა ვარ!.. დამაცადე, ლოგინს გავშლი!

კაცმა უმაღ იაზრა, რომ აღარ ატყუებდნენ, ხელი შეუშვა.

დუდანა დაბლანტული თვალების სრესით ჩამოსრილდა კაცის მუხლებიდან. სარკმელი გამოადლო... კარს რკინის ურდული გაუყარა, შუქი ჩააქრო, მთლიანად გაშიშვლდა და, როგორც კი ყურთუქის საბანქვეშ მამაკაცს მკლავებში შეუტურდა, მაშინვე რამდენჯერმე ველური ალტკინებით დანებდა“.

გარეთ ბნელი ღამე ჩამოწოლილიყო, სასიამოვნო სიჩუმეში კრამიტის სახურავზე წვიმას რაკარუკი გაუდიოდა.

ქალმა ღამე თეთრად გაათია, „ხოლო სურვილის ასრულებით, ფიზიკური ძლიერების სიხარულითა და ენთუზიაზმით აღელვებულ მამაკაცს მხოლოდ განთიადისას ჩაეძინა“.

აქ ყველაფერი ნათელია: ქმარმა გვასახელა! მდღერი კმაყოფილია კაცის ნამუშეკარით: „რა ყოფილხარ! გული მუდამ მეუბნებოდაო!“

მამუკაა მეუღლის ფრონტზე გაურკვეველი ვითარებაა, შანშე გერკნეული თავს ირცხვენს!

„ღმერთო რატომ ვარ ცოცხალი!.. ვინ გამომდგომია, ის რომ გამომდგომოდა!? ვაჟკაცი კი არა, ლაჩარი ყოფილა! მთელი ღამე ფანჯარასთან გავათენე, კრილს არ გაუჭრიალია. „გაეთრიე-მეთქი“.

იმ დღიდან აღარ დამნახვებია, ვნახოთ, სანამდე დამემალება! დიდი ღორობაა ამისთანა ღალატი! დიღამდე მის მკლავზე იწვა, სიზმარი ხომ არ ყოფიღა!“ — მოთქვამღა ქალბატონი საღომე.

საიდუმღოებღთ მოცულ ღამეს რა მოხღდა გობრომიძეების ერთ განაპირა, მყუღრო ოთახში, გარკვევღთ კაცმა არ იცის, დეღამ, როგორც კი შვიღღთან გერკნეული ჩააწვინა, მთელი ღამე ფანჯარას-თან გაათღა: ეგებ, ჩემღა გასახარად, საწოღის კრიკინის ხმა მომე-ყუროსო!

იმ ღამღთ შატულიაც ფხიზღობღდა: „როცა დეღამ ცისანა და შანზე მარტო ღატოვა ოთახში, მთელი ეს ღამე არ დღუძინღა, რამ-დენჯერმე კარებღთან მიიპარა, მაგრამ დანამღვიღებღთ მაინც ვერ წარშოიღღინა, რა მოხღდა...“

ღანამღვიღებღთ ყვეღაფერი ცისანას ეცოღინეღა, მაგრამ იგი დღმს. შანზეღ ქალი „დიღამღდი მკლავზე ეწვინა“. დიღღთ ადგა და წავიღდა. ორში ერთღა: ან იღაჩრა (დეღას ასე ჰგონღა), ან თავის საქმე სუფთად გააკეთა!

ბოღო მოსახრებღს, მოგვიანებღთ, ქალბატონი საღომეც იზღიარებღს: „ამისთანა რაინღდი მოტყუებღს იკადრებღდა? ან, რა გული მოუღმენღდა, ერთად რომ იწვენენ! ანგარიშიღთ ისე გამოღღის, რომ იღამინღღელია“.

ცისანა მღლე ფეხმძიმედ შეიქნა, დეღღის წერიღღმა სულ გაავიღა: „ღანამღვიღებღთ ვიცი, ვისაგანაც გყავს, კარგად გამოთვღლე, დეღღის მკეღლეღო! იანგარიში!...“

გერკნეუღღის მკღვებზე მწოღიარე ქღღს დიღამდე გაეღღვიღე-ბოღდა, მაგრამ ამის თაობაზე ცისანას არსად არაფერი დღსცღღინღა, მხოღღოდ „დეღღის მიმარღთ გრძნობღა სრულიად განსაკუთრებულ ძღღღვას, რომელიც უწინ არასოღღეს უგრძენღა“. ერთსეღღ, როცა საღომემ გერკნეული ახსენა, ცისანას ფერი ეცვღღღა. „დეღამ პირ-ვეღად იგრძნო, რომ ქალიშვიღღის საიდუმღღოს სწვეღებოღა“.

„ღღიტერატურის ისტორიამ მწერიღღის დღსკრეღღიტორების მრავალი ხერი იცის. ყვეღაზე გავრცეღღებულღა არამხატვრულობისა და უწნეობის დღწამეღა. ამ ბრღღღებღს იშვიათად გღღარჩენღა მწვავი, გახმაურებულღი თხზუღღება“ (აღ. კღღღანღამე, წიგნიღღან: „გემოვნების კრიტიკა“).

ოჯახში კიდევ ორი წევრია — მაყვალა და შატულია. მათზე მცირედენი ინფორმაციის მოცემით დავამთავრებთ გობრომიძეებზე საუბარს.

მაყვალა გობრომიძე: გათხოვილი, მეუღლისა და შვილების პატრონი, უმაღლესი განათლება არა აქვს, ნოლ კლასის მასწავლებელი.

შემჩნეულია, წიგნის ავტორი ნოლ კლასს მუდამ ათვალწუნებით ახსენებს: „ბადრი ბეჟურაძის ნიჰმა ნოლ კლასიდან მიიჭრია ყურადღებათ“. მაყვალაც ხშირად ჩივის: მშობლებს მეტი ყურადღება რომ მოექცია, უმაღლესში ესწავლებინათ, ნოლ კლასის მასწავლებლად აღარ გამამწესებდნენო.

იქნებ ავტორს საბაბიც აქვს, საშუალო სკოლის ეს ქვედა დანაყოფი უფუნქციოდ ეჩვენებოდა, მაგრამ პირად სიმპათიებს ნაკლებად უნდა აყოლოდა, მით უფრო, თუ ნათქვამი სიმართლე არაა: განათლების სისტემა, წიგნში აღწერილი ამბების დროს, სწავლების ამ მეთოდს არ იყენებდა.

არარსებელი ნოლ კლასის მასწავლებელი რომანში „უსაქმოდ“ დარჩა და მამის სამსახურში გადამყიდველად დადიოდა, მმართველის ქალიშვილი მამის თანამშრომლებთან სექულანტობდა!

შატულია ამ დამთხვეული ოჯახის უმცროსი წევრია: სწავლობს უცხო ენათა ინსტიტუტში, წერს ლექსებს, ეწევა პაპიროსსა და მსუბუქ ცხოვრებას, ზოგჯერ მელანქოლიურიც სდება: მამაკაცები ბევრია და ყველას მართო მე ვერ გავწვდებიო.

რომანის სხვა ქალი პერსონაჟებიც შეძლებისდაგვარად „უმსუბუქებენ“ ტვირთს, მაგრამ მაინც დიდი ჯაფა ადგას, რადგან, დედის თქმით, „გირაო ქვაბივით დაათრევენ ქუჩაში...“

შატულიას გათახსირების მიზეზი „ავხორციობითა და გარყვნილებიდან არ მოდიოდა, უყურადღებობას ვერ იტანდაო“, განმარტავს ავტორი და იქვე დასძენს: რა დასამალია, ეიულისა და სენპრეს ნაზ ალერსს ჰერკულესის ზორბა ხელების სითამამე ერჩივნაო.

ამ საკითხზე შატულიას საკუთარი ფილოსოფია აქვს: „რალა დროს ქმარია! ნეტავი შენ, რომ ძველი მოდის ხარ, არ მოგბეზრდა ეს მოძველებული ინვენტარი? ქმარი კი არა, ერთ თვეზე მეტს საყვარელსაც ვერ ვიტან! კურობი იცოცხლე, იშოვება, მოსვენებას არ მაძლევენო“.

თუ უფროსი ქალიშვილი, მაყვალა, ჯერ ტახტის ძვიდზე ცალი

საჯდომით წამოსკუპდებოდა და მერე სარკესთან „საკაბეს ხან ბარძაყებზე აიტანდა, ხან კოკებზე ჩამოიფლარტავდა“, უმცროსმა დაიკომ, შატულიამ, ამ კუთხით აშკარად გაუსწრო.

„მთელი დღე-ღამე, სტუმრების თვალწინ, ღამის პერანგში დატლაკუნობდა, ხან სავარძელში გაიშობტება, კლინკებს მალლა იშვეერს“.

ქალთა ბიგები „მწვანი შტოში...“

„მშვენიერება მოკრძალებულია, წყნარად აკეთებს თავის საქმეს, თაყვანისმცემლებიც მოკრძალებული ჰყავს“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

გობრომიძეების ოჯახის მაგალითზე, შეამჩნევდით, მწერალი არასიმპათიურადაა განწყობილი მოპირდაპირე სქესისადმი, ქალეზისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ მაფიქრებინა, ამ თემაზე ცალკე მესაუბრა.

მკითხველი უკვე იცნობს მანდილოსნებს გობრომიძეების ოჯახიდან, ახლა სხვებზე ვისაუბროთ.

აი, ისინიც: ქალბატონი ჟოჟო, ახრასია მუჩიაშვილი, დუდანა ქსოვრელი, თეონა, კიკიჭიას მეუღლე, უცნობი ქალი...

ქალბატონი ჟოჟო: გავლენიანი მეუღლის პატრონია, არაკეთილსინდისიერად იყენებს ქმრის სამსახურებრივ მდგომარეობას.

ბანკეტზე: მისი დაბადების დღისადმი რომ იყო მიძღვნილი, ახალგაზრდა თაობა ზედმეტად გაკენწლა, საჯაროდ განაცხადა: „რა თამამი ახალგაზრდობა წამოვიდა! მე ისეთი მორცხვი ვარ, ჩემს ქმარს ჯერ შიშველი არ დავნახებებივარო!“

ახრასია მუჩიაშვილი: ჯერ იყო და მთელ სამსახურს მოსდო, მამუკა ტარსანიძეს „ცოტა თვალი შეუვარდა ჩემზეო“ და ახლა ისეა ჩვენი საქმე ყუყუზე მიყვანილი, „აკრძალული ხილი უნდა მომპაროსო“. ამ წინასწარ დაყრილი ხმებითა და მითქმა-მოთქმით მამუკაზე ზემოქმედება ვერ მოახდინა, მაგრამ სახელი გაუტეხა და თანამშრომლებს დაუმსახურებელი საყვედური ათქმევინა: „სამი თვე ახრასია ბურჯენა და ახლა სხვა უნდა შეირთოსო!“

ბოლოს, მამუკამ ცისანა შეირთო და ახრასიას სიყალბესაც ფარდა აეხადა: „რა გოგო წამოიყუდა იმ ცუნტრუკამ! — ამოიოხრა

ნაღებამ, — ახრასიაზე ახიცაა, ტყვილა უბრალოდ ფაფხურობდაო“.

დუდანა ქსოვრელი: სიტყვის ქალი არაა! აღრე ამბობდა: „კაცს რომ ნოემბერში თბილი ნიფხავი ეცმევა, იმას თავმოყვარე ქალი გვერდით არ გაჰყვებოა“.

მამუკა რომ კალსონს იცვამდა, ამ ფაქტის უტყუარობისთვის მოწმეც დაასახელა: „ცისანასაც დავანახე ხევსურულ წინდებში ჩატანებული ნიფხავიო“.

მაგრამ არა მგონია, მამუკას წინდებში იმიტომ ჰქონდა ჩატანებული გრძელი ნიფხავი, ვინმეს უმაღლავდა უფრო სხვა მიზეზია: იგი ენერჯის მოზღვავეების დროს თუ არ ყვიროდა, ჩქარა დადიოდა, სიარულში კი გრძელი ნიფხვის ტოტები ფართხუნს დაიწყებდა!

დუდანას სხვა დროსაც უთქვამს: „ვერ გავეუჩერდები იმისთანა მამაკაცს, ყოველ დილით ვედროთი ნავავი რომ ჩააქვსო!“

მერე ირკვევა, ქალიშვილი თურმე ტყუოდა როგორც კი მამუკა დაიმარტოხელა, რკინის ურდულით კარები გადაარზა, შუქი ჩააქრო, გაშიშვლდა და ლოგინში შეეწვა!

ისე რომ, მამაკაცის შესაძლებლობაც არ გაუთვალისწინებია: „რამდენჯერმე ველური აღტკინებით დანებდა“.

მართალია, ავტორი ქალის საქციელს ამართლებს: „პოეტურად დაწებდაო“, მაგრამ მოსაწონი არაა, ცოლიანი კაცი ეშმაკური გზით ბნელ საქმეზე რომ მიიტყუილა, თან წინასწარ არწმუნებდა: „მამაკაცთან კავშირის განუმეორებელი უნარით ვარ დაჯილდოებული, შემძლია მამრობით პარტნიორს უმაღლესი ბედნიერება მივანიჭოო“.

კიკიჭიას მეუღლე: ცოლი ქმარზე თორმეტი წლით უმცროსია, ქმარს რომ დაღატობდა, კიკიჭიას გარდა ყველას სცოდნია. ქმარმა რაც იცოდა, ისიც კმაროდა, ცოლის ღალატი რომ ერწმუნა, მაგრამ, ეტყობა, ამის ცოდნა არაფერში სჭირდებოდა, მაშინ ვერ დაიტრახებდა: „თანამდებობით, ცოდნით თუ სილამაზითა მაგის ცოლზე ნაკლები? იმისთანა ავტორიტეტი აქვს, უფროსმა ორმოციათასიანი ბეწვის ქურკით დააჯილდოვა და ყოველ დილა-სალამოს თავის მანქანით მიჰყავ-მოჰყავსო!“

თეონა: უქკუო გოგო არ იყო, მშვენივრად ქსოვდა. კერავდა.

„ვინმესთვის თავის მოწონება ფიქრალაც არ ქონია... მაგრამ

შინაურულად მოდელილი, მკერდწამობურცული, ჯანსაღი ქალიშვილი მაინც გამაბრუებელ ვნებას აფრქვევდა“.

ბავშვობაში ვერაფერი აკადრეს, რომ წამოიზარდა, ტყეში წაიყვანეს და კაბის კალთა ფულებით აუვსეს. მოძალადემ უარი და სილა მიიღო, მაგრამ...

გაუწყრეს მაღალი ღმერთი იმ ფიდო ცებულაძესა! ბოლოს მაინც აცდუნა!

ამის შემდეგ თონა წინდახედულად მოიქცა: ცოლად გაჰყვა. ასაკით თავის ტოლ მეგობარს, მოწინავე მუშას გოჩუნის, რომელსაც ქალიშვილის შერცხვენის ამბავი ადრე ჰქონდა გაგებული.

უცნობი ქალი: ანონიმია, გარეგნულად როგორია, გაურკვეველია, მაგრამ ეტყობა, დახვეწილი გემოვნებისაა:

„მე ათასში ერთი მამაკაცი მომეწონება და იმას უარს როგორ ვეტყვიო!“

ვინაობის დასადგენად მოკვლევა გრძელდება.

აი, ალექსანდრე კალანდაძის რომანის „მწვანე შტოს“ ქალთა სახეების მთელი გალერეა! პერსონაჟების დახასიათება ავტორისეულია. მე რომანში გაბნეულ ეპიზოდებს მხოლოდ თავი მოვუყარე. დეტის წინაშე არაფერი შემიცოდავს: ყველაფერი მიუკერძებლად მივაწოდე მკითხველს.

შეამჩნევდით, ჩემს კომენტარს მორიდებული კილო დაჰკრავს. ალბათ, მომეჩვენა, რომანის პერსონაჟი ქალები მუქი ფერებითაა დახატული-მეტქი. ჩემი შიში უსაფუძვლოა. მწერალს პირიქით ჰგონია: ნათლის გვირგვინი დავადგი კაცთა მოდგმის უკეთეს ნახევარსო და წიგნს ქალისადმი მიძღვნილი აპოთეოზით ამთავრებს:

„ბევრი თქმულა თქვენზე ავიც და კარგიც, მაგრამ უთქვენოდ არაფერი არ არსებობს ამქვეყნად, დედავ, მეუღლევ, დაო და შვილო!“

„არ დამაბრალოთ, თითქოს, შთაგონების ენერჯიას უარყოფდე, წვისა და სიყვარულის გარეშე ნაწერი მოსაწყენი და უღიმღამოა“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

ახლად შეუღლებული ცოლ-ქმარი ტყეში თავსხმა წვიმაში მივატრავთ. „ბნელ, მიყრუებულ ადგილებში დაბურულ ხეებს ეფარებოდნენ“. ქალაქში მობრუნებულებს ბინა უნდა ეშოვათ, თორემ

ამინდს ისეთი პირი უჩანდა, აღრიანად აცივდებოდა. ტყეში ღამის-
თევის გამოცდილება არ აკლდათ, მაგრამ ამ თაფლობის თვეს ზეზე-
ულად ალერსში ვერ გაატარებდნენ.

„საჩქაროდ ბინა უნდა დავიქირავოთ, მამუკა!“

ქალი ამას რომ ამბობდა, მარტო ლოგინში ჩაწოლა კი არ მოე-
ნატრა ქმართან, გაციების ეშინოდა!

ეტყობა, მამუკას ნაქირავებ ბინაში აქამდე არ ეცხოვრა, მართა-
ლია, იგი სახლიდან მოშორებით სწავლობდა, მაგრამ, როგორც
იტყვიან, ყვაფი ჩხიკვის მამიდასთან იყო შეკედლებული. ცისანას
ოჯახში საცხოვრებელი ფართი მეტი ჰქონდა, ვიდრე ამას აღმას-
კომის წესდება ითვალისწინებდა, ამიტომ დაქირავებულ ბინაში
ერთობ ხამად იქცევიან. „ოთახი დიდია, შეიძლება, გადავტიხროთ,
ხელი არ შეეშლება!“

მზრუნველი ცოლი ქმარზე ფიქრობს, სამუშაოდ ნორმალური
პირობა შეუქმნას, მაგრამ დაქირავებული ოთახის გადატიხრას ქა-
ლაქის საბჭოს ნებართვა თუ არა, ბინის მფლობელის დასტური
მაინც უნდა! მით უფრო, როცა არ ვიცით, გადატიხრას აგურით
ვაპირებთ თუ ბეტონის ფილებით!

იქნებ მკითხველს არც ის მოეწონოს, მწერალი დაყენებით რომ
ცდილობს სიბრალულით განგვაწყოს ცოლ-ქმარის მიმართ.

„მესამე დღეს ორი თეფში, ორი დანა-ჩანგალი, კოვზი, ჭიქა და
ვედრო იყიდესო“.

ავტორს როცა მოეჩვენება, მკითხველში შეცოდების გრძნობა
გავაღვივო, სწორედ მაშინ ეტყვიან: სულ ცოტა სამი თეფში უნდა
ეყიდათ მხოლოდ იმიტომ, რომ თითოს წინ დაიდებდნენ და მესა-
მეზე პურს დაჭრიდნენო. თუ მეტის საშუალება არ იყო, ორი დანი-
დან ერთზე უარი უნდა ეთქვათ, იმის საფასურით მეორე კოვზს
მიიმატებდნენ. ეს კი აუცილებელია! გამიგონია, ცოლ-ქმარი, ქორ-
წინების დღეს ერთი თეფშიდან უნდა ჰამდესო, მაგრამ ჯერ არ
მსმენია, მერე, ნაქორწილებს, ერთი კოვზით ეხვრიპოთ წვნიანი!

აღრე გითხარით, მწერალს თავისი ხელოვნური სქემისთვის
სჭირდება, ამ ოჯახს სიღარიბე სდევდეს თან! ბოლოს იქამდე მივა
საქმე, ცოლ-ქმარი მოგროვილი ბოთლების ჩაბარებით ირჩენს
თავს.

ალბათ, მოგწყინდათ ამ წვრილმანებზე საუბარი, მაგრამ საბო-
ლოოდ უნდა გაირკვეს, მართლა ასეა თუ არა!

ოჯახში ორნი არიან: ცოლი და ქმარი. ერთიც არქიტექტორია და მეორეც. მუშაობენ, ჩაცმა-დახურვაზე ფულს არ ყრიან. მამუჟა კერძო შეკვეთებზეც მუშაობს, თუ შეკვეთა არა აქვს, რკინიგზის სადგურში ვაგონებს სცლის.

მაინც მუდამ უჭირთ!

მეორე მაგალითი:

ღორთე გობრომიძეს ხელფასს იქით კაპიკი რაა, არ იცის, მრავალრიცხოვან ოჯახს მშვენიერად არჩენს!

მესამე გზა არაა: ან ერთში არაა მართალი მწერალი, ან მეორეში!

ახლა რომ არ ვთქვა, მერე გამახსენებენ: ოჯახი განადგურებამდე ქალბატონ სალომეს კაპრიზებმა მიიყვანაო: დედა ქალიშვილს უგზავნიდა ნივთებს. შენთვის დამირჩა ნაყიდი და მალე უნდა გაისტუმროო.

ასეც რომ ყოფილიყო, საზოგადოებრივი რუტინის წინააღმდეგ აღმდგარი ცოლ-ქმარი სიღედრს ოჯახს არ დააქვევინებდა—უარს ეტყოდა ამ ნივთების შეძენაზე!

თანაც მამუჟას მოსარიდებელი რა ჰქონდა! ცოლოურმა მშვენიერად იცოდა, სიძეს „შარვალში უკანალი მოუჩანდა და ქალამნებში თითები!“

სამსახურში მართო თანამშრომლებს კი არა, დირექტორსაც შეუმჩნევია: „რა უნდა ელაპარაკო, ფული მაგას არა აქვს, ბინა მაგას არა აქვს, ჭკუა მაგას არა აქვს და პასპორტი მაგას არა ჰქონიაო!“

უფალი დირექტორი ცოტას აჭარბებს: ამ ხნის კაცს პასპორტი როგორ არ ექნებოდა!

არპიტეპტორთა და მშენებელთა ცხოვრება

„მწერალი თავის ეპოქის განათლების, ფილოსოფიის, ცივილიზაციის მწვერვალზე იმყოფება. არააკადემიურობის გამო ჩნდება უღიმღამო, ზერელე, წყალწყალა ნაწარმოები. იქნებ, მათში ნიჭის ნიშანიც ჩანდეს, მაგრამ ეს ნიჭი უმწიფარი და უფრთოა. რაკი სიღრმეებს ვერ წვდება, თვითშემოქმედებას ეწევა“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

თავში ეთქვი: არქიტექტორთა და მშენებელთა ცხოვრებაზე

მოგვიანებით ვისაუბრებდი. ახლა უნდა გამოვტყდე, ამ თემაზე საუბარს განზრახ გავუბრბოდი, ვცდილობდი, რაც შემეძლო იქეთ გადამეტანა, მაგრამ, ჩანს, ადრე იქნება თუ გვიან, სიმართლეს ვერსად გავექცევით. სიმართლე კი ესაა: პატივცემული მწერალი არქიტექტორთა და მშენებელთა ცხოვრებას ნაკლებად იცნობს: ასევე ნაკლები ცოდნა გააჩნია ხელოვნების ამ დარგში. ამის გამოა, რომანის პერსონაჟი არქიტექტორები უფრო ხშირად პოეზიისა და ლიტერატურის საკითხებზე კამათობენ. მაშინაც კი, როცა აუცილებელია ხუროთმოძღვრებაზე საუბარი, ავტორი არქიტექტურული ცნობარებიდან ამოკითხული ცოდნის მარაგითა და ზერელე ინფორმაციების მოწოდებით კმაყოფილდება.

რომანში ხშირადაა ნახმარი სიტყვა ბრუტალიზმი. არქიტექტურაში გაცნობიერებულ კაცს არ გაუჭირდება ამოიცნოს მიზეზი, რატომ უწევენ ამ სიტყვას უზომო ექსპლოატაციას! ეტყობა, მწერალს, რომანის წინასამუშაოების მომზადების მომენტში, ხელთ ჰქონია ინგლისელი ავტორის რეინერ ბენემის „აბალი ბრუტალიზმი“. რომანის პერსონაჟების თეორიული ცოდნის მარაგი არქიტექტურაში თითქმის მთლიანად ამ წიგნიდანაა ამოკრეფილი.

როცა „მწვანე შტოს“ ქალთა ტიპებზე ვსაუბრობდი, არ მითქვამს, ამ მანდილოსანთა ერთი ნაწილი სახელოსნოში რომ მუშაობდა. მათ ზნეობრივ მხარეზე უკვე წარმოდგენა გაქვთ, ახლა სამსახურებრივ მდგომარეობაზე მოგახსენებთ.

სიტყვა მივცეთ ბასილ კანკელიშვილს, ობიექტურ და პატიოსან არქიტექტორს, მამუკა ტარსანიძის მეგობარს.

„ამათ რა უნდა ელაპარაკო?! ეს ქალბატონი დუდანა ჩეხური უნიტაზების ანგარიშში მიიღეს ჩვენთან, ქალბატონი მანანა მანქანის საბურავშია გაცვლილი“.

ქალებზე საუბარი სასიამოვნოა, მაგრამ რაკი გვარწმუნებენ, „ამათ რა უნდა ელაპარაკო“, ჩვენც ავდგეთ და მამაკაც არქიტექტორებზე ვისაუბროთ.

ალბათ იფიქრებთ, სახელოსნოს დირექტორს ქალები დაუბრიყვებია, თორემ კაცებს ამას როგორ აკადრებსო. დიდხანს მეც ასე მიგონა, ბოლოს შევიტყვე და გული დამწყდა: „აგულის ანგარიშში მამამისი ყოველ დილით ახალ პამიდორს უგზავნის ფილიმონსო“.

ფილიმონ ანესაძე, გახსოვთ, სახელოსნოს დირექტორია, აგული

მელიმონაძეზე ახლა გეტყვით: ასპირანტია. ამ საშტატო ერთეულებს შორის თანამშრომელთა მთელი არმიია!

ცოტა რამ მათ შესახებაც...

პროფესორი ნესტორ ჭონიშვილი! პროფესორი ბიბონ ვახტანგური!..

„რა მიზანი გაქვს ჭონიშვილსა და ბიბონ ტიკუსუნენს რომ ეკამათები? ისინი ხომ მხოლოდ თორმეტგოჯა ნაწლავს ემსახურებიან და მეტს არაფერს?“

დოცენტი კიკიკია კოჟორაძე! ღირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში ნაღება დავლაბაშვილი!..

კიკიკია და ნაღება ჭილყვავებივით არიან... ესენიც არაფერს არ ქმნიან. უყურებენ, ვინ რას იტყვის, ვინ რას გააკეთებს, რომ მერე ჭილყვავებივით წაესიონ, მოიტაცონ, დაიწუნონ ან, მაპატიეთ, ზედ დაასკინტონ!“

მოკლედ: არქიტექტორთა სახელოსნოში ღირექტორიდან დაწყებული ლაბორანტამდე ყველა გაუნათლებელი, გიჟი და უნიკოა!

წუთით თქვენს ყურადღებას მივიქცევა.

წიგნის გამომცემლები გვარწმუნებენ: „რომანი სატირულად ამხელს მეშხანური ყოფის გამოვლინებებსო“.

ამ აზრს ვერ დავეთანხმები, მაგრამ სიჯიუტის გამო კი არა, სიმართლე რომ არაა, იმიტომ!

პროფესორები რომ თორმეტგოჯა ნაწლავს ემსახურებიან, დოცენტები რომ წაქცეულთან მივარდნას ერთმანეთს ასწრებენ, ზედ რომ დაასკინტონ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ნარეცხი, ბინძური წყლის ტანზე გადასხმა, თავში იატაკის საწმენდი ჯოხის დაუზოგავი ჩაჩქუნი, ახლადჩაძინებულისთვის საწოლში ყინულივით წყლის ჩასხმა, იატაკზე უზეწროდ კოტრიალი, დედა რომ შვილთან უცხო მამაკაცს ძალად აწვევს, ეს ყველაფერი ადამიანისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული აქტია და სატირის ჩარჩოებს ძალიან შორდება, უფრო ცინიზმია!

ადამიანისადმი ცინიკური დამოკიდებულებით კი ლიტერატურა თავს ვერ მოიწონებს, ასეთი ფუნქცია მას არ გააჩნია!

წიგნში სხვა საშიშროებაცაა: რომანის პერსონაჟებს, ხშირად, ადამიანური იმპულსების ნაცვლად, ცხოველური ინსტინქტები მართავენ. ამის გამოა, ავტორს, ალბათ, მისდაუენებურად, წიგნში სადისტური და მაზონისტური პასაჟები გაპარვია.

მოგესხენებათ, სატირული პროზის შესაქმნელად მწერლის მარტო სურვილი ვერ იკმარებს, თუ იგი ბუნების მიერ დაჯილდოებული არაა საამისო ნიჭით.

ახლა ერთი მაგალითი ვნახოთ, როგორ „აკეთებს“ მწერალი იუმორისტულ სიტუაციას.

საბჭოს სხდომაზე მამუკა კრიტიკულად გამოვიდა.

„— ყარანგოზაანთ ქორივით არ დაგვაცხრა?! — ჩაიკარკაცა ახრასიამ.

ატყდა მის ხუმრობაზე წარმოუდგენელი სიცილ-ხარხარი; დუღანა, უოჟო, კიკიჭია, წაღება, აგული ერთმანეთს ასკდებოდნენ გადაფიჩინებული“.

როგორ არ ვიცი, მწერლის ამ იუმორით ღიმილს ვერ მოგვევრით, მაგრამ ეტყობა, მაინც უნდა გაიცინოთ, რადგან რომანში იუმორის გამოხატვის სხვა შემთხვევა არაა, იმას თუ არ მივიღებთ მსედველობაში, როცა ავტორის აშკარა გულმავიწყობაზე გვეღიშება.

სივართლისათვის მზარძოლნი

მწერლის ჩანაფიქრით რომანის სამ პერსონაჟს: მამუკა ტარსანიძეს, ლადიმე ანწელავას და ბასილ კინკელიშვილს საპატიო მისია ეკისრება — წინ აღუდგენ საზოგადოებრივ რუტინას!

ვინ არიან ესენი?

ლადიმე ანწელავა, პროფესორი, დირექტორის მოადგილე, პატროსანი, პრინციპული და ობიექტური კაცია, მაგრამ თუ მის უმცროს მეგობარს, მამუკა ტარსანიძეს ვერწმუნებით, ძალიან უნიჭოა!

რომანში, როგორც წესი, ყველა პროფესორი და დოცენტი, მეტნაკლებად, ამ „თეატრის“ მატარებელია და ბატონ ლადიმეს უნიჭობა კაცს არ გააკვირვებს, მაგრამ იგი გულუბრყვილოცაა! მავალითად, პროფესორი ბიბონ ვანტანგური ლადიმე ანწელავაზე ნაკლები უნიჭო როდია, მაგრამ მას „ნიჭისა და ცოდნის შესლულულობა აიძულებდა თავის პროფესიის ადამიანთა წინაშე გადაჭარბებით თავმდაბალი ყოფილიყო“.

საწყალი ლადიმე კი თავის ნებით, საკუთარ პროექტს სარეცენზიოდ აძლევს „მიუკერძებელ“ მამუკა ტარსანიძეს!

„მაგისტანა სისულელეზე დროს ვერ დაგკარგავ... ექსპერიმენტული პროექტი კი არა, სრული აბსურდია!“

ცოლმა თხოვა მამუკას: „ხომ შეიძლება ნაკლოვანებები მიეთითოს და პროექტი გადამუშავდესო“.

„კი არ უნდა გადამუშავდეს, უნდა დაიწვას, რადგან ეს უნიჭობის და უვიცობის დოკუმენტია. მახინჯად შობილს ვერაფერი უშველის!... სახლს კი არა ხუხულას გეთავაზობს!..“

ალბათ, ამ უნიჭო კაცთან ანლობლობას რაღაც გამართლება ექნება, ცისანა ამას არც მალავს: აქამდე, ფაქტიურად, მისი წყალობით გვიდგია სულიო.

ბასილ კანკელიშვილს ნიჰზე ვერაფერს ვიტყვით, არქიტექტურაზე ნაკლებად საუბრობს, თამამად მასზე ერთის თქმა შეიძლება: გამორჩეულად მწიშარაა!

მამუკა და ბასილი ქუჩაში მიდიან. ბასილმა სახელოსნოს თანამშრომლები შორიდანვე შეამჩნია, ისინი მამუკასთან მწყურალად იყვნენ, ჩვენი მეგობრობა არ შეიტყონო და ბასილი აფთიაქში უნაპუსოდ დაიმალა! სხვა დროსაც ასე იქცევა!

აი, საზოგადოებრივი რუტინის წინააღმდეგ აღმსდგარი გმირები!

ავტორს მოეჩვენა, ეს ძალა ამ საქმისთვის საკმარისი არააო და რომანში კიდევ ერთი სიმართლისთვის მეგობრობი პერსონაჟი შემოჰყავს — ბოლკოვნიკი მინდელი.

„ამ კაცის მთელი გარეგნობა და გამომეტყველება უმაგალითო თავდადების დოკუმენტი იყო... მარჯვენა მკლავი მოკვეთილი ჰქონდა. მარცხენა თვალის ფოსოში შუშა. ძლიერი დამწვრობით შერუჯული თავის ქალა, ბარძაყში გადაჭრილი მარჯვენა ფეხის ნაცვლად — პროთეზი“.

შემზარავი პორტრეტია მაგრამ რას იზამ, ომის სინამდვილეს ვერსად წაუხვალ.

მწერალს მერე, ალბათ, შთაბეჭდილება რომ გაეძლიერებინა, მინდელის ბიოგრაფია ისეთი დეტალით შეუვსია, რომ ამ ყველაზე სერიოზულ პასაჟს, ავტორის სურვილის საწინააღმდეგოდ, ირონიული ელფერი გადაჰკრავს!

„ომის პირველი წუთიდან უკანასკნელ წუთამდე ცეცხლის ხაზზე იმყოფებოდა. საზღვარზე დაიწყო და პრალაში დაასრულა. ბო-

ჰემიაში ცალი ხელით, ცალი ფეხით და ცალი თვალით მიუძღოდა კავალერისტებს“

გაოცებული მკითხველი გვეტყვის, თქვე უღმერთობებო, საცოდაობას საღ მიუდინხართ, ცალხელა, ცალფეხა, ცალთვალა კაცი ცხენზე რომ შესვით და ცალ ხელში დროშა, თოფი, აღვირი და ხმალი ერთად დააჭერინეთო!

სამაგზლო ომის ეპო

„ერთი ნაცნობი მთელი დღე ჩამჩინებდა, თუ რა არ არის ჩემს რომანში, და ვეღარ მოვითმინე: — საქმარისია, გეთაყვა!.. ხომ არ აჯობებს, განიხილოთ არა იმის მიხედვით, რაც მასში არ არის, არამედ იმისა, რაც არის“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

მამუკა ტარსანიძეს მძიმე წარსული აქვს. შედარებით ახალგაზრდა კაცს რაღა არ გადახდენია: ომი, ტყვეობა, გერმანული არმიის ოფიცრობა და ბოლოს „პოლარულ განედზეც“ ყოფილა.

„როცა ყალბი საბუთებით და ბიოგრაფიით ცხოვრობ და შემოწმება, დარწმუნებული არა ხარ, რომ გადარჩები!“

რომანში ტარსანიძის რთული და საეჭვო ბიოგრაფიით ადმინისტრაციული ორგანოები დაინტერესებულან. მე მკითხველის ყურადღებას ტარსანიძის საბრძოლო დიდებაზე მივაპყრობ.

პოზნანში ხედავდნენ: „ფეთქდებოდა ქარხნები, საწყობები, ხიდები, ლიანდაგები, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდათ, ეინ აკეთებდა ამას“.

მერე ირკვევა: ტარსანიძის ნამოქმედარი ყოფილა!

მისი წყალობით ბევრი პარტიზანი გადაურჩა დაპატიმრებას და მოსპობას, გერმანელებს კი, სადაც წაასწრებდა, მუსრს ავლებდა: „ჩამოხრჩობამისჯილი რვა ამხანაგის გათავისუფლებაში მან აქ ათი ფაშისტი გაანადგურა“. ერთხელ კომენდანტის პატრულმა სცაღი, შეეჩერებინა მისი მანქანა, მაგრამ ავტომატით დაცხრილა პოლიციელები და ტყეს მისცა თავი.

„ტყვია რომ გაუთავდა, „ფაუსტი“ (ტარსანიძე, თ. წ.) აქ შემართული რევოლვერით გაექანა ენდარმებისკენ, რომლებმაც მას

ავტომატის ჯერი დაეყარეს (ეს, როგორც ცნობილია, თვითმკვლელობას უდრის!...)

მეორე დღეს „ფაუსტი“ პოზნანში დაბრუნდა“.

რა თქმა უნდა, მონახობი ამბები ქრისტეს სასწაულებს არაფრით ჩამოუვარდება და, შეიძლება, ექვიც გაგვიჩნდეს. მაგრამ ომგამოვლილ მწერალს უფრო ეცოდინება, იმ ქარცეცხლიან დღეებში მტრის მუნდირგადაცმული კაცის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა, ვის სპობდა და ვისი თანამგრძობიც იყო!

„ხელოვნებასა და ლიტერატურაში ყველაფერი მირჩევნია ძალად სიღრმეს, ძალად ფილოსოფოსობას, სადაც მსჯელობა და დიდაქტიკა იწყება, ესთეტიკური გრძნობაც იქ დაფავს სულს. მწიგნობრული საწყისი ჩანასახში ახრჩობს პოეტურ შთაგონებას...“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

წიგნის ავტორი ადვილად „ახერხებს“, აზრი სიღრმისა და სიბრძნის გარეშე მოგვაწოდოს.

„რამდენი ხანია, სტუმრად არ ყოფილა, ერთხელაც არ ჩაჰკვირვებია, არავინ რომ არ იწვევდა, იმიტომ არ ყოფილა, თუ თვითონ რომ ერიდებოდა ურთიერთობას, იმიტომ“.

მეტის თქმაც შეიძლება: თითქმის მთელი წიგნი ისეა დაწერილი, სასთლით რომ ეძებო, სიბრძნეს და სიღრმეს ნაკლებად წააწყდები.

„ცისანა გრძნობამორეული ჩურჩულებდა. მშვიდი, უზრუნველი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ აბა ერთი გულში ჩაგეხედათ!“

სასიამოვნოა ავტორის ცდა, „ძალად ფილოსოფოსობას“ როგორმე თავი აარიდოს, სათქმელი მოკლედ და ნათლად მიიტანოს მკითხველამდე, მართალია, ეს გარჯა დიდი ენერგიის ფასად ჯდება, მაგრამ კომპენსაციაც დილია: მკითხველი „მოხიბლული“ ჰყავს!

„ვინც ოდესმე ქალის მშვევებით მოხიბლულა, მისთვის „ძალიან ლამაზი“ იმდენს არ ნიშნავს, რამდენსაც „ძალიან საყვარელია“, ან, სულ უბრალოდ — „საყვარელია“, რომელიც ერთდროულად ლამაზიცაა, სიმპათიურიც, ვნებიანიც, კეთილიც და კიდევ დაუღვეველი სხვა „რადაც“, რომელსაც ვერავითარ სახელს ვერ გამოუძებნი, და ბოლოს და ბოლოს, სავალდებულო სრულებითაც არაა. ლამაზი იყოს“.

„თეონა ჯერ ერთი ციციქნა იყო, როცა სოფლიდან ახალჩამოსული სამი წლის იქნებოდა, როცა, მამინაცვლის ოჯახში უპატრონოდ დარჩენილი, ბაბინე ბებიაშ თბილისში ჩამოიყვანა“.

აქ მკითხველმა შეიძლება ერთი რამ გვისაყვედუროს, ბოლოსდაბოლოს, სავალდებულო სულაც არაა, მწერლის ყველა აზრი ლაჩიზად იყოს ვადმოცემული, მაგრამ იმდენი რომ მოეხერხებინა, გასგები გაეხადა ნათქვამი, მადლობელი დავრჩებოდითო!

ასევე გაბედულად მიმაჩნია მწერლის ცდა, დაუპირისპირდეს დრომოქმულ ტრადიციას — მწერლობა სახეებით აზროვნება!

რომანის ავტორი „ახერხებს“ ამბის ინფორმაციული მიწოდების გზით უარი თქვას შედარებაზე, მეტაფორასზე, და მხატვრულ ტროპსზე, საერთოდ!

სანწუნხაროდ, დიდი სიფრთხალის მიუხედავად, წიგნში აქა-იქ, ერთ-ორ ალაგას შედარება მაინც გაპარვია!

„ბილღვიძილში მკერდზე მიხუტებული ავტომატი ესიზმრებოდა, როგორც მინდვრის ყვავილი“.

„რამდენიმე დღის წინ მოკლე კაბა გაეხადა, რომელშიც შიშველი ბარძაყები მთელი უმურგნელობით მოუჩანდა, თითქოს, პალტო კი არა, შალის ტრუსერიაო“.

„ახლა ის ჰგავდა ნახევარკუნძულს, რომელიც სამი მხრით შემოფარგლულია წყლით და მხოლოდ ერთი მხრით უერთდება ხმელეთს...“

ვიცი, მისაყვედურებენ: საილუსტრაციოდ უფერული მხატვრული სახეები საგანგებოდ მოიტანე, აბა, მთლად ასე როგორ იქნება საქმეო!

ალბათ, გასაგებად ვერ ვთქვი, ნება მომეცით, გავიმეორო:

რომანში გაბნეული ყველა შედარება კეთილსინდისიერად ამოვწერე, ესაა და ეს! მეტი ძე იქ არაფერი შემხვედრია!

კოლორიტიისთვის მწერალი, ეტყობა, მხატვრული სახის ნაცვლად სკაბრეზულ გამონათქვამებს ამჯობინებს. ისინი უხვადაა წიგნში.

„ჩათლახო! იმისთანა უნამუსო ხარ!“

„გაჩუმდი, შე მეღორის ცოლო! — დაუსტიქინა დედამ“.

„ის ფული შევიტყაპუნეო!“

„რაში ავარჯიშე, შე გაფუჭებულო, მისკინტვაში?“

„ჩათლახობით აპირებ ჯიბის გასქელებას? ვირიშვილი ხარ!“

„მომამშორე ე 'მობელქაღლი!“ „ვერ დაეტევი შენს საჯდომზე?“ „შენ გატყობ, მოგენატრა უკანალის აპრელება“, „ორივენი ათა-შანგით ხართ დამპალი!“ „სამნახევარი ჰერი. სათავსოები გლევჯეა-ზე!“ „ცხვირიდან ცინგლი ჩამოგდიოდა, აქ რომ ჩამოეთესლგ“, „შენისთანა ჩათლახს არ შევხვედრივარ...“ „უკანალს ნუ ათამაშებ! დედას გიტირებ!“

„ლიტერატურული ნაწარმოებით ესთეტიკური სიამოვნების მი-ღება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც დაჯილდოებულია გემოვნების ნიჭით, უნარი შესწევს ჩასწვდეს სტილის ნიუანსებს... განასხვავოს ფრაზისა და რიტმის უმცირესი რხევანი“ (ალ. კალანდაძე, წიგნი-დან: „გემოვნების კრიტიკა“).

ეტყობა, გამჩენს მაღალი გემოვნების ნიჭით დავუჯილდოები-ვარ, რადგან რომანში ფრაზის იმდენი „უმცირესი რხევანი“ აღვი-ქვი, კინალამ მთელი წიგნი გადმოვწერე!

„ზოგიერთებმა საკუთარი პრინციპების კეკლუცურ რაღაცეებს ზომ არ უნდა ანაცვალოს საქმე?“

„ცისანამ უმალ იგრძნო ქმრის მარცხი, მაგრამ, რათა არაფერი შეემჩნევინებინა, მხიარულობდა“.

„რათა სისუსტე არავის შეემჩნია, სამსახურში თავი... გამომ-წვევად ექირა“.

„სამწუხაროდ, არაებობენ ადამიანები, რომელთაც სიამოვნებით სჯერათ ყველაფერი, რასაც ვინმე ვისმეზე იტყვის და, თვითონაც იმეორებენ: ბევრს როდი მოეხსენება, რომ ვინც ვისზე რას ლაპა-რაკობს, ამით მხოლოდ თავის პირად სიმპათია-ანტიპათიას გამოხა-ტავს და მეტს არაფერს“.

„ქალბატონი სალომე... ათასი რაღაცის თქმასა და ქმნას იბრძნი-და... ამისთანა თავისნათქვამობისა და გასწორ-გასწორებისათვის ზურგს უკან (პირში ვინ გაუბედავდა!) მარტში დაბადებულობას სძახებდნენ“.

იქნებ ქალბატონ სალომეს ვაპატიოთ, მაგრამ მწერალს უნდა გავუბედოთ იმის თქმა, რომ აქ სტილის ნიუანსები არაფერ შუაშია, „ფრაზის და რიტმის უმცირესი რხევანიც“ დიდად მოიკოჭლებენ!

„არაფრისთვის ისე მკაცრად არ ისჯება ადამიანი, როგორც გულმავიწყობისთვის“ (ალ. კალანდაძე, რომანი „მწვანე შტო“).

გულმავიწყობის მშვენიერი მაგალითი ესეცაა: ავტორს სხვისი ნათქვამი საკუთრად მოჩვენებია!

ამის მერე აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომანში მწერლის გულმავიწყობის ბევრ შემთხვევას თუ გადავყურებით.

1) ცოლ-ქმარი დაქირავებულ ბინაში ბაბინესთან საცხოვრებლად რომ გადავიდნენ, მაშინ თეონა „თექვსმეტითღე წლის, ნახსახიანი, ქერა გოგონა“ იყო.

ერთი-ორი თვის შემდეგ კი მწერალი წერს: „წინა წელს, თვრამეტისამ საშუალო სკოლა დაასრულა“.

2) ციცინოს მამა, ვალიკო, „ორმოცდაოთხის აპრილში მძიმედ დაჰკრილა“, ჰოსპიტლიდან ინვალიდი დაბრუნებულია. „ციცინო ერთი წლისა დახვედრია“.

ციცინოს ბიძა, მამუკა, „მონაწილეობდა ოსტროვის, პოზნანის, ბიელცეს შტურმში, ოდერის გადალახვაში, ბერლინის აღებაში“, აქედან გამომდინარე, უკეთეს შემთხვევაში, 1945 წლის მაისამდე ოჯახში ვერ დაბრუნდებოდა, „ციცინო კი ისევე ერთი წლისაა!“.

„ომიდან რომ დაბრუნდა, ეს ბავშვი აი, ასე ნაცრისპირას დახვდა, ერთი წლისა იქნებოდა“.

– მის პერიოდში ქვეყანას სასმელ-საჭმელი უჭირდა, ამიტომ, იქნება, ციცინო ტანად არ გაზრდილიყო, თორემ ასაკი, როგორც მშვიდობიან წლებში, ისე მოემატებოდა!

ალბათ, შეამჩნევდით, გულმავიწყობის შემთხვევები ციფრებით აღვნიშნე, ასე იმიტომ მოვიქციე, რომ წიგნში ათასამდე ასეთი მაგალითი დავთვალე და ყველას ვერ გადმოვწერდი!

„არც ერთი პროფესიის ადამიანს არ სჯირდება ყველა დარგის ისეთი მრავალფეროვანი, მდიდარი ცოდნა, როგორც მწერალს, ის განუწყვეტლავ უნდა იღრმავებდეს, იმდიდრებდეს, იმრავალფეროვნებდეს თავის ცოდნას“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან „გემოვნების კრიტიკა“).

გაგისხარიათ, ეს ყველაფერი კარგი იყოს, მაგრამ თავად ამ ყოველმხრივ სამართლიან დებულებას ორი ნაკლი აქვს: აზრი ახალი არაა, სტილისტურადაც გაუმართავია! ეტყობა, მწერალი „მრავალ-

ფეროვან, მდიდარ ცოდნაში“ სტილის საკითხების შესწავლასაც გჯლისხმობს. მანამდე კი ალბათ ზოგიერთი ტექნიკური სავანის ვადახედვა და გადამფორება მოუწევს.

„მზიარულად ამოსძახა ფიდომ და სტარტერს ქუსლი დააჭირა“.

ჩანს, ავტორი ტექნიკასთან მწყრალად ყოფილა. რადგან ფიზიკურად ეს შეუძლებელია, არც ერთ მოფერს ჭერ არ მოუხერხებია სტარტერზე ქუსლის დაჭერა! ამიტომ საფიქრალია, მწერალს ან სტარტერზე აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა, ან ქუსლზე.

სხვა დროსაც ნომხდარა, ქუსლი არასწორად უხმარია კონტექსტში:

„სახესთან ერთად, ახლა ქუსლიც უსივლებოდა, ეტყობა, დაცემისას ფეხი ეღრძო“.

აქ, როგორც ჩანს, მწერალს ქუსლი და კოჭი ერთმანეთისგან ვერ განუხსვავებია, თორემ კაცს რაკი ფეხი ეღრძო, კოჭი გაუსივლებოდა და არა — ქუსლი!

ქიმიის სფეროშიც ვერაა ყველაფერი რიგზე:

„ოქრო, სომ ოქროა, სუფთა ასპროცენტიანი ოქროც გამოუსადეგარია, სიმტკიცისათვის, გარკვეული პროცენტით, მგონი. რკინას ურევენ“.

ესეც შეცდომაა! სამწუხაროა, რომ იგი განათლებულ პერსონაჟს შეეშალა!

ოქროს სიმტკიცის გაზრდა რკინის შერევით ტექნიკის ისტორიაში ცნობილი არ არის!

რა თქმა უნდა. ამდენი შეცდომა ცოტა უხერხულობას ქმნის, თუმცა ამის პატიებაც შეიძლება, მაგრამ შეუწყნარებელია ქართულ ენასთან ამგვარი დამოკიდებულება, რომანში რომ გვხვდებამ!

„თითქოს არ სჭეროდათ, ასეთი კარგი რომ იყვნენ“.

„ასეთმა ლაჩრებმა უნდა ცხოვრობრნენ ამ ოქრო მიწაზე?“

„მე შემიძლია გადამტეხო, მაგრამ ვერ გადამლუნავ!“ და ა. შ. დასანანი შეცდომებია!

და მაინც, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, არითმეტიკა წიგნის ავტორის ყველაზე სუსტი რგოლია! ხშირად ისე მიუტყევებელ შეცდომებს უშვებს, ჯობს, უყურადღებობას დაბრალებს!

ცოლ-ქმარი, ბინის ქირად, თვეში ას მანეთს იხდის. სამი თვის მისაცემი ერთად დაუგროვდათ, ცისანამ „იანგარიშა“ და, სულ 350 მანეთია გადასახდელიო! საოცარი ისაა, რომ მათემატიკური „ოპე-

რაცია“ ზეპირად კი არ შეუსრულებია, უბის წაგნაკში ჩაუწერია: „გადასახდელია სამი თვის ბინის ქირა — 350 მან“.

ნეტა, რომელი არითმეტიკით?

იქნებ გახსოვთ, დოროთეს ცხრა წლის ასაკში რომ შეყვარებია მომავალი საცოლვე. მაშინ მე ვწერდი, ქალბატონი სალომე იმხანად სამი წლის იქნებოდა, მეტი არა-მეთქი!

მეც შევმცდარე! დოროთე ცოლს რომ წააყვედრის, „ცხრა წლის ასაკში შეყვარებული დავრჩი შენშიო“, ტყუილია!

მწერლის არითმეტიკით ასე გამოდის, დოროთეს როცა საცოლვე შეუყვარდა, სატრფო მაშინ, არც მეტი, არც ნაკლები, დაბადებული არ ყოფილა!

საინტერესო შემთხვევაა!

ავტორმა ქალბატონი სალომე რომ გაგვაცნო, მაშინ იგი „ორ-მოცდაექვსი წლისა ჯერ ისევ კარვად გამოიყურებოდაო“.

რომანში აღწერილი ამბები ხუთ ხელაწიად მოიცავს. „ტყუილა ვიბრძოლე ხუთი წელიწადი“. ასე ბრძანებს ქალბატონი სალომე. ამ დროს მისი ქმარი სამოცი წლისაა: „ეს ჩურჩუტი კაცების რიცხვში შესატანია?! როგორც კი სამოცი შეუსრულდა, იმ დღესვე პენსიაზე გამოაგდესო“.

დოროთე 60 წლისაა, ქალბატონი სალომე 51 (46+5), მათ შორის ასაკობრივი განსხვავება 9 (60—51) წელია!

რა ტყუილა ათქმევინა მწერალმა საწყალ დოროთეს, „ცხრა წლის რომ შევიქენა, შეყვარებული დავრჩი შენშიო. ათი წლის ბაღანას პირველად მიცხუნეს შენი გულისთვისო“.

ახლა ისიც გაიხსენეთ, ტარსანაძე 35 წლისააო, რომ ბრძანებდა მწერალი, ხოლო როცა ვიანგარიშეთ, 45-ისა აღმოჩნდა!

მოდით, ერთ აღრინდელ მოწოდებულ ცნობას სავა კუთხითაც შევხედოთ.

„ცხრა ვაჟიდან ერთი თურქეთთან ომში დაეღუპა, მეორე — იაპონასთან ომში, ორი — რევოლუციის ბარიკადებზე. სამი დიდ სამამულო ომში იბრძოდა. მათგან მხოლოდ დოროთე ვადაჯერია მტრის ტყვიას“.

გახსოვთ? ადრე, როცა გადავთვალეთ ბიჭები, ცხრის ნაცვლად შვიდი აღმოჩნდა! ახლა, თუ არ შეწუხდებით, აიღეთ ისტორიის სახელმძღვანელო და ჩახედეთ „ქრონოლოგიურ ცხრილს“. ამოწერეთ თურქეთის, იაპონიის და სამამულო ომის თარიღები, მერე

ერთმანეთს შეუდარეთ და მიიღებთ, რომ უფროს ძმასა და უმცროსს შორის ასაკობრივი განსხვავება დაახლოებით ერთი საუკუნეა!

„მწერლის პიროვნება და შემოქმედება უმეცარი კრიტიკოსის ხაცდელ-საჩვენებელ ნაკვეთად არ უნდა გადავაქციოთ“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

იმედია, მწერალი „უმეცარ კრიტიკოსად“ ველარ ჩამთვლის, აგერ ახლა მისთვის ურთულესი მათემატიკური გაანგარიშებანი ლალად შევასრულე! მაგრამ, ცალმხრივად, კერძოდ, არითმეტიკის განხრით, განვითარებული რომ არ ვეგონო, დამატებით ერთ-ორ მწერლურ შეცდომაზეც მივუთითებ!

„ფილომ მზერა სამზარეულოსკენ გადაიტანა, სადაც ფანჯრის მინას თეონა შუბლით მიწებებოდა... ქუსლებზე იწევადა,¹ უნდოდა, მტრულად თვალი შეეველო ქალიშვილის ქათქათა მკერდისთვის, მკვრივი მუხლებისა და ბარძაყებისთვის, რომლებიც, რა ხანია, სანატრელად ჰქონდა გადაქცეული“;

ამაოდ ირჩება! ფილო გარეთ, ეზოში დგას, ლამაზი თეონა სახლშია, ფანჯრიდან იხედება!

ცისანასა და მამუკას ახალდაქირავებული ბინის მისამართის დადგენა მაყვალს დაავალეს.

„მაყვალას ბედმა გაუღიმა: სახელოსნოდან გამოსულ ცისანას და მამუკას ჩუმად აედევნა და კედელს მოფარებული, მიჰყვებოდა... მაინც მე ვიპოვე! როგორ გაუხარდება დედაჩემს!“

მამუკა სიხარულით შეხვდაო ცოლისდას, გვეუბნება ავტორი და იქვე სხვა გაუგებრობა იჩენს თავს:

„ცენტრიდან შორს ხართ, არა? იკითხა მაყვალამ...“

— დიახ, ერთი საათი უუნდებით, ტრანსპორტიც კირს!“

მწერალი კი გვარწმუნებდა: სახელოსნოდან გამოსულ ცოლქმარს მაყვალა ჩუმად აედევნა და კედელს მოფარებული ფეხდაფეხ მიჰყვებოდაო!

მამუკას „ცხოველები მუდამ უყვარდა. უსაზღვრო სიხარულს ჰგვრიდა ბატკნის, ხზოს, კნუტის, ლეკვის მოალერსება, ახლა ასეთ-

¹ ზემოთ შევნიშნეთ: ავტორს ქუსლზე არასწორი წარმოდგენა აქვს, ეს ახლაც დადასტურდა — ქუსლებზე აწევა შეუძლებელია

სავე სიყვარულს გრძნობდა მცენარისადმიც. შექხაროდა, სურდა გულში ჩაეკრა თითოეული ბუჩქი, ხე, ყვავილი, ყლორტი, მიფერებოდა ბუსუსებთან ბუტკოს, ნორჩ ფოთოლს — ნუგეშის, სიმშვიდის, იმედის, განახლების შთამაგონებელ მწვანე ტოტებს“.

ამ მოხდენილად დაძებნილ პასაჟს მწერალი იქვე აფერმკრთალებს: „მამუკამ ნორჩი შტო მოწყვიტა და ავტობუსისკენ მიძავალ ნაკადს შეერიაო“.

დამერწმუნებით, ცხოველებისა და ფრინველების მიმართ სიყვარულის ვერაფერი გამოხატვაა, თუ მშვენიერ ფარშავანგს ალერსით კუდს დევაპუტავთ!

ანდა: ახლად აფეთქებულ ატმის შტოს ძირში მოვკრით... გულში ჩასახუტებლად!

თუმცა რას იზამ, ასე ყოფილა და ასე იქნება: ზოგი რწყავს მცენარეს, ზოგი ძირს უბარავს, ზოგი კი სწორედ იმ მწვანე შტოს ჭრის, რომელზედაც ზის!

და ბოლოს, მწერლის ეთიკურ მხარეზე მინდა შევაჩერო ყუჩადღება!

რომანის პერსონაჟი ბადრი ბეკურაძე აეტორს არასიმპათიურად დაუხატავს. ვერაფერს შეედაეება, მისი საქმეა! მაგრამ აშკარად უტაქტოდ მოიქცა, როცა ამ პერსონაჟს წარმოათქმევინა ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული სიტყვა, რომელიც ერთ დღიად ნიჭიერ კრიტიკოსს ეკუთვნის.

აქ, ეტყობა, მარტივი შურისძიების აქტთან გვაქვს საქმე! მწერლობის კანონებით ამ ფაქტის ახსნა ჭირს!

„მწვანე შტოზე“ ბევრი დადებითი, მეტიც: აღფრთოვანებული რეცენზია დაიბეჭდა. კრიტიკოსები ერთმანეთს ეჩიბრებოდნენ რომანის შექებაში.

„ასეთი ალტაცება მუდამ გადაჭარბებული და უსიამოვნოა, გამორჩენის სუნი ასდის“. პატივცემულ მწერალს ეს სიტყვები ამ კერძო შემთხვევაზე არ უთქვამს, მაგრამ აქაც დაახლოებით ასეა მე რეცენზენტის ალტაცება ვერ გავიზიარე.

„ნაკლოვანებებს ყველაზე უფრო ავტორი გრძნობს. ეს აუწერელი სატანჯველია. მით უფრო ნერვებს გიშლის უსაფუძვლო შენიშვნა“. (ალ. კალანდაძე).

ბოდიშს ვუხდი მწერალს, თუ ეს წერილი, უნებლიეთ, გულს

ატკენს, ასეთი განზრახვა არ მქონია, უბრალოდ, პატრისტული ავტორის პრინციპის ერთგული ვიყავი:

„მხოლოდ პედანტს სჩვევია, არაფის ყური არ უგდოს და ყოველგვარი შესწორება უარყოს. ნიჭიერი თავმდაბლად მოისმენს ქებასაც და კრიტიკასაც“.

ისე, კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: რომანი კიდევ შეაქვს (ბევრჯერ!) და კიდევ დაიწუნეს (ერთხელ). რა უნდა ქნას ამ დროს წიგნის ავტორმა?

„მწერალს ისლა დარჩენია, რომ მადლოვით დაეთანხმოს იმ ჯგუფს, რომელიც მის ნაწერს დადებითად აფასებს“ (ალ. კალანდაძე, წიგნიდან: „გემოვნების კრიტიკა“).

მე, მებგობრებო, მოწოდებით არ ვარ კოეტი!..

ციკლიდან: მწარალთა კავშირის მღივნები

წერილი პირველი

ხუტა ბერულავას ლექსის ეს პერიფრაზირებული სტრიქონი ბოლოდროინდელ გამოცემებში აღარ გვხვდება! — უნებლიეთ გამკლავებული სიმართლე, ეტუობა, ავტორის ყურსაც ეხამუშა და შემდგომში არა მარტო სტრიქონი, მთლიანად ლექსიც დაუშალა მკითხველს!

ამის უფლება ავტორს აქვს!

მაგრამ მე თავად ამ სტრიქონიდან გამომდინარე სიმართლე კარგა ხანია „ჩამრჩენია გულს...“

არადა, თავდაპირველად ავტორის ეს უნებლიე აღსარება პოეტური თავმდაბლობაც კი მეგონა!

მერე და მერე, როცა მეტი დაკვირვებით შევისწავლე პოეტის ლექსები — ხელში პიტალო ქეშმარიტება შემრჩა!

მაგრამ, რაკი ეს ჩემი პირადი აზრია და სხვებისთვის სავალდებულოდ ვერ გამოდგება, იქნებ ერთად შევამოწმოთ — თავად ავტორი აჩქარდა საკუთარი პოეზიის შეფასებაში თუ შემოქმედი კაცის შესაშურ თავმდაბლობასთან გვაქვს საქმე!

წინამდებარე წერილში, მკითხველთან მკიდრო კავშირში, მე მზად ვარ, ორთავე ეს შემთხვევა გამოწვლილვით განვიხილო.

მაგრამ, გვინდა თუ არა ეს ჩვენ, ხუტა ბერულავას პოეზიისადმი კრიტიკული მიდგომა მაინც გამოგვივა! — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მწერალთა კავშირის მოქმედი მდივანი გავაკრიტიკეთ!

თუმცა არ მგონია, ჩემი მხრიდან ეს ცუდი საქციელი იყოს! — რადგან პატივცემული ხუტა, როცა ის ჯერ კიდევ არ იყო მდივანი, ამ პრობლემას (მდივნის ხელშეუხებლობას!) თავადაც მტკივნეულად განიცდიდა!

არაერთხელ ოფიციალურადაც განუცხადებია — მე ჯერ არ მი-

ნახავს, ჩვენს ლიტერატურულ გაზეთში მწერალთა კავშირის მდი-
ვანი ვინმეს გაეკრიტიკებინოსო!

არ უნახავს და... ახლა ნახავს!

თუ მეტიჩრობაში არ ჩამეთვლება — რაც სხვებს არ გაუკეთე-
ბიათ, მე ის უნდა გავაკეთო!..

* * *

აბლაც წინ მიდევს ეს „დაკარგული“ სტრიქონი —

„მე, მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტი...“

და ჩემთვის ვფიქრობ — გაცილებით უპრიანი ხომ არ იქნება,
მკითხველის თვალწინ ჯერ ის ვერსია შევამოწმო, ეს ფრაზა მე
რომ შემოქმედი კაცის შესაშური თავმდაბლობით ავხსენი!

დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ, თუ მართლა ასე აღმოჩნდა,
მეტი საფუძველი მექნება, პატივცემული ხუტა ამიერიდან „თავ-
მდაბალის“ თიკუნით მოვიხსენიო...

* * *

დიდი ხნის წინათ ხუტა თავმდაბალი ო რ მ ო ც დ ა ა თ ი წლისა
გამხდარა!

„ვღგავარ მწვერვალზე — კარგად მივლია,
რაც მთავარია, არ ვარ დაღლილი...“

წერს ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ხუტა თავმდაბა-
ლი და, ეტყობა, უფრო ის ესახელება — აუარება ლექსის დამწერს
ჯერ დალდა რომ არ უგრძენია —

„რაც მთავარია, არ ვარ დაღლილიო!“

ასეთი ლექსების დამწერს დაღლით მართლა რა დაღლიდა“

„სამშობლოს ხატით ბანქსაც მართავდი
და „ივერიას“ დამეს უთიედი,
მერე, ზვიადი და გულმართალი
პოეზიის ღმერთს სანთელს უნთებდი“.

ეს „ლექსი“ ხუტა თავმდაბალმა ილია ჭავჭავაძეს მიუძღვნა! მარ-
თალია. გულწრფელად მიუძღვნა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ,
ეს „საქმე“ ისე იოლად მოილია, არცკი დაღლილა!

აი, მაგალითად, პაოლო იაშვილი, რომელსაც, როგორც გადმოგვცემენ, პატივცემულ ხუტაზე ნაკლებ არც თვალი უჭრიდა და არც მუხლი, ყოველი ლექსის დაწერისას ერთ სიკვდილს ათავებდა!

„რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს, და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი, მაშინ ეს მძორი ყვავებისთვის გასატანია“.

თუმცა ასე გახლავთ ეს ჭეშმარიტ შემოქმედთან, რომლისთვისაც ამქვეყანაზე არ არსებობს უფრო უზარმაზარი ტანჯვა — „როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება!“

ყველაფერი შეიძლება მოუგონო და დააბრალო ხუტა ბატონს, მაგრამ მასზე იმის თქმა, „პოეტური შთაგონებით“ არის დასნეულებული — საცოდაობა იქნება!..

• • •

პაოლო იაშვილის ზემოთ დამოწმებული სტრიქონები იმ ლექსიდან ამოვწერე, რომლის სათაურიც გახლავთ „პოეზია“.

ხ. ბერულავასაც აქვს ამ სათაურიანი ლექსი, ასეთი სიტყვებით რომ იწყება:

„ვინც რა უნდა თქვას, მე კი ვფიქრობ, შვილი ვარ შენი...“

ჯერ ვინ რას იტყვის! — მაგრამ კიდევ რომ თქვან, პოეზიის შვილობილის „პოეტურ მადლს“ სად წაუვლენ!

„არა გწყენია ოდნავ ჩემი გულუბრყვილობა,
შენად მიიღე, ალბათ, ჩემი მწარე კრილობა.
გზა გამიკვლიე, ძნელი, მძიმე, უსწორმასწორო,
სიკეთე შენი რომ ავწონო, როგორ ავწონო?!“

მე მჯერა, „პოეზიას“ ასე გულუბრყვილოდ გაწყობილი სტრიქონები მართლა არ ეწყინებოდა! ჯერ ერთი, იგი ვერ მიხვდებოდა, ეს მწირი აზრი, მას რომ ეძღვნება, ავტორს ლექსად თუ ჰქონდა „გამოთქმული“.

მართლაც სულ სხვაა პაოლო იაშვილის ლექსი „პოეზია“!

„გავიყვება სკოლს, თუ გათავდა ლექსის მადანი
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ დახედები,
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი...“

ბოდიშს გიხდით, მცირე პაუზა უნდა გავაკეთო, სული რომ მო-
ვითქვა! — მერე კი გეტყვით, ამ ძალის სტრიქონების შექმნისას
პოეტის გზა მართლაც სიგიჟის ზღვარზე გადის!..

ბ. ბერულავა კი კმაყოფილებით აღნიშნავს: „ვდგავარ მწვერ-
ვალზე — კარგად მივლია, რაც მთავარია, არ ვარ დაღლილი“.

არც დაიღლებოდა! ასეთი სტრიქონების დაწერას, მოც-
ლის გარდა სხვა რაღა უნდა:

„ელავს პირველი უღელტეხილი,
ვით ამალღება, ვით შთაგონება.
როდი მეცემა გულზე მეხივით
ორმოცდაათი წლის გაგონება“.

აქედან შეიძლება ის დასკვნაც გავაკეთოთ, რომ ბ. ბერულავას
დაკვირვება — „მე, მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტი“-ო, —
მყარ საფუძველზე ყოფილა აღმოცენებულნი!..

* * *

ორმოცდაათი წლის ხუტა თავმდაბალს ეს თარიღი კალენდრის
ფურცელზე რომ აღენიშნა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ომის გადახ-
და მოუწევდა!

არადა, ყველაფერი თითქოს მის გარეშე გადაწყდა, ისე „უკ-
ვირს!“

„იპენეულად უმზერს იმ კალენდრის ფურცელს,
სადაც მორიდებით ელავს მისი გვარი!..“

სიტყვა „მორიდებით“ საქმის ვითარებას ზუსტად ვერ ასახავს.
გაცილებით აჯობებდა, ეწეროს — ძალადობით!

„ამ ფურცელზე, ვგონებ, შეედომაა, ხალხო...“

არ გეგონოთ, ამას მონანიების გამო ამბობდეს, ეტყობა, სხვა
რამის სათქმელად კირდება!

„ხუთჯერ ათი წელი სად იცხოვრა, როდის?“

როგორ გგონიათ, კალენდრის ამ ფურცელზე მეტი შეცდომა არაფერია?!

თუმცა მალე ამ მოჩვენებით თავმდაბლობასაც ანებებს თავს და პირდაპირ ტრაბახს იწყებს:

„შუა წრეში მდგარი სარბიელზე იწვევს
ფიქრის ყველა ოსტატს... ეინ გამოვა შემდეგ?“

დარწმუნებული ვარ, კაციშვილი არ გამოვა — ეტყვიან, ტოლი ნახეო!..

„ფიქრის ოსტატებიდან“ რაკი სარბიელზე არავინ გაჰყვა, ტრაბახიდან თვითრეკლამაზე გადავიდა!

„ენგურიდან მოჰყვა არამხუტუს ძალა
(არამხუტუ კოლხთა ამირანი—გახლავთ!)“

ასე თავმდაბლად წერს საკუთარ თავზე ხუტა თავმდაბალი და „წრიდან“ გამოსვლისას ერთს კიდევ წაიტრაბახებს! —

„ვერ იხილავს მტერი საცოდაოდ მოხრილს...
ხმა დარჩება მარად მემამოხე კოლხის!..“

და მერე ფიქრნი მისნი კალენდრის ფურცლიდან შორეული მომავლისკენ „განიბნევიან“!

„ღვას მგოსანი: უმზერს იმ კალენდრის ფურცელს,
სადაც მორიდებით ელავს მისი გვარი,
ჭერ ადრეა, ხალხო, ეფიცავ ძმობის ფუძეს,
და რეკს მომავალი, როგორც ოქროს ზარი“.

წერს ხ. ბერულავა და მისი მგოსნური გუმანი ვერც კი გრძნობს, — ამ სტრიქონების დაწერიდან ერთნახევარი ათეული წელი ისე გაივლის, გარდა თანამდებობრივი წარმატებებისა, რომელიც მის პირად სიყოჩაღზე უფრო იყო დამოკიდებული, პოეზიის ფრონტზე ჩეძი ამ წერილის გარდა ვერაფერს მოიმკის!..

თავად კი ჰგონია, პოეზიის საჭილდაო ქვა უკვე აზიდული მაქ-
ვსო, მაგრამ ეს ასე იოლად არ ხდება!

ნახეთ, რა თავდაცვრებით „არწმუნებს“ სამშობლოს:

„უკვდავო დედავ, ვერ მახსენებს ვერასდროს ცუდად,
ვინც კაცის თვალით აკვირდება ჩემს ნაფეხურებს!“

სამწუხაროდ, მე კრიტიკოსი ვარ და ავტორის ფეხის ნომრით
ვერ დავინტერესდები, მის ნაფეხურებს რომ დავაკვირდე!

მე ლექსებს ვაკვირდები! და უკვე ვატყობ, რომ ისინი არაფრად
ვარგა!

რასაკვირველია, ასე მე ვფიქრობ და, სად არის იმის გარანტია,
რომ არ ვცდები! რაკი ამ საქმისთვის მეტი თვალი უკეთესია, ვაჟა-
ფშაველასადმი მიძღვნილი ლექსი ერთად ვნახოთ!

„რა კარგი დღეა, წმინდა, ხალასი!
ვეწვიოთ ვაჟას, ვით ახლობლები,
მერე გავშალოთ სუფრა ქალაში
და მოვიგონოთ მისი მშობლები“.

ამ ლექსის მკითხველებმა, არა მგონია, მარტო ვაჟას მშობლები
მოიგონონ! — ვერ გეტყვით რა კონტექსტში, მაგრამ, როგორც
ეტყობა, ამ სტროფის ავტორის მშობლებსაც გაიხსენებენ!..

რა კარგი იქნებოდა, მკითხველთა შორის (რომელიმე მაინც!)
სკოლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ყოფილიყო!

იმას შევეკითხებოდი — ეს სტრიქონები მოსწავლეს რომ და-
ეწერა, ლიტერატურულ წრეზე განსახილველად თუ გაატანინებ-
დით-მეთქი!

როცა განაწყენებული მეტყოდა — რას ამბობთ, ჩვენ იქ პოე-
ტური მონაცემების მქონე ბავშვები გვყავს შეკრებილიო, მაშინ
გავუმხელდი, ეს ლექსი ცნობილ პოეტს „ჩჩუღში“ რომ აქვს შე-
ტანილი!

არა მგონია, ავტორის ეს საქციელი მისმა სტრიქონებმა გაამარ-
თლოს

„მე, მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტი“-ო!

მერე რა ვუყოთ, ბევრი ჩვენთაგანიც არ დგას შესაფერის საქმეზე, მაგრამ მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას!

* * *

ამ სიტყვების მერე ნამდვილად მრცხვენია, ხ. ბერულავას საკუთარი თავისადმი მიძღვნილი სტრიქონები რომ უნდა გაეახსენო!

„შენ ხარ შობილი ისეთ ვარსკვლავზე,
სულ იაშაშებ ამ ქვეყანაზე...“

ღმერთმა იმედით ამყოფოს!..

მაგრამ მე მაინც უნდა ვთქვა, რომ ხ. ბერულავასთვის, სამწუხაროდ, არც ამბიციური თავმოწონება გახლავთ უცხო ხილი!

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1984 წელს დასტამბული „რჩეული“ სავსეა ზღვარგადასული პრეტენზიებით და კიდევ იმის ქადილით, თითქოს მისი ავტორის ხელიდან გამოსული ყოველი სტრიქონი „ელვად შერჩება ქაღალდის ფურცლებს!“

ყველაფერი ეს კი „მშობლიური მელოდიების“ ათვისების შემდგომ მომხდარა — ეს პანგები ყოფილა მისი პირველი მასწავლებელი!

„უკვდავი სიტყვის მასწავლა ყადრი“-ო —

თავმდაბლად აცხადებს ხუტა თავმდაბალი და იწყება საკუთარი თავისადმი მიძღვნილი ამბიციური სტრიქონების დოლი!

„ხმა საკუთარი, გზა საკუთარი. —
ამ ქვეყანაზე აი რა მრჩება!“

კი ბატონო, მე მესმის — საკუთარი ხმისა და განსაცვიფრებელი ტალანტის პოეტები ცოტა პრეტენზიულებიც კი არიან!

მაგალითად, ხუტა თავმდაბალზე არანაკლებ „პრეტენზიული“ იყო გალაკტიონი!

„წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის...“

ხანდახან მეტსაც იტყვოდა! — ვწუხვარ, ერთადერთი ვარო...
მაგრამ მერე აღგებოდა და ამ ნათქვამს თან საქმეს მოაყო-
ლებდა! მერე ამ ნათქვამს „ლურჯა ცხენებს“ მოაყოლებდა, მერე ამ
ნათქვამს „ასი ლექსის პროლოგს“ მოაყოლებდა!.. მერე ამას პირ-
დაპირ ას გენიალურ ლექსს მოაყოლებდა!..

მერე აღგებოდა და ამ უკვდავ სტრიქონებს დაწერდა!

„დედაო ღვთისა! — მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილავეარდე...“

აბა, ხ. ბერულავასავით მარტო ის რომ ვიძახოთ — „ხმა საკუ-
თარი, გზა საკუთარი, — ამ ქვეყანაზე აი რა შემრჩება“-ო, ვითომ
ამის თქმა იკმარებს?!

არც ის შეიძლება, მერე ამ ნათქვამს რომ მოაყოლებ:

„ვე მინდა ვგავდე მშობელ ბუნებას, —
იგი მოითხოვს ჭირში მსწობას.
გამარჯვების ჟამს სულის მზეობას,
პატიებას და მოწყალეობას...“

რასაკვირველია, ლექსის მწერალი კაცი მარტო მკითხველის
„მოწყალეობაზე“ არ უნდა იყო დამოკიდებული — ეგებ პოეტად
ჩამთვალონ!

ცოტა შენც ხომ უნდა გაინძრე!..

* * *

მე ესეც მაინტერესებს, ქვემოთ მოტანილი სტრიქონების დამ-
წერის სახლში პოეტს ერთი ღამე თუ მაინც ექნება გათეული!

„თბილისის ტრფიალს დედასავით დაგხვდა ხაშური
და შიშნეულად დაგაფარა კალთა მშობელი.
შენთა დობილთა და ძმობილთა ცრემლის ნაეური
წარიღე, ვითარ მეგობრობის სამადლობელი...“

არ მინდა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს „რჩეულში“

საგანგებოდ სუსტ ლექსებს ვეძებდე. როგორ გეკადრებათ! — ამ კუთხით იქ საძებარი არაფერია!

გულწრფელად რომ გითხრათ, ხ. ბერულავას „რჩეულში“ მოთავსებული ყველა სუსტი ლექსი ხელით რომ გადმოვწერო, — ამას ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე ნამდვილად არ ეყოფა!

დავუშვათ, ამ „სამუშაოს“ ტექნიკურ მხარეს თავი კიდევ გავართვა, მის გადაბეჭდვას „ლიტერატურული საქართველოს“ უახლოესი წლების ნომრებიც ვერ აუვა!..

არაფერს ვაჭარბებ...

ზემთ მოტანილი სტროფი, რომელიც მშვენიერი ქალბატონის ნათელ ხსოვნას ეძღვნება, მე იმ ლექსიდან ამოვწერე, რომელიც, თუ თავმდაბალს დავუჯერებთ, — დიდი ტკივილის შედეგად დაბადებულა!

„მაგრამ უეცრად ნატყვიარზე გამეხსნა წყულელი
და... ეს ტკივილი აღმომხდა ლექსად...“

თუ გულიდან ამაზე უკეთესი ლექსი არ „აღმოგხდება“, ამდენ უაზრო თავისტეხას ის არ გირჩევნია, შენთვის ძვირფასი მიცვალებულის საფლავზე, უბრალოდ, ყვაილი რომ მიიტანო?!

პოეტისათვის ყვაილიც ხომ ძვირფასია!

არა, პოეტისათვის უფრო ძვირფასი კარგი ლექსის დაწერაა! — მაგრამ ორი შესაძლო „ვარიანტიდან“ ჭკვიანმა კაცმა ის არ უნდა აირჩიოს, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია?!

აბა, სულ ის რომ ვიძახოთ — „შე, მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტი“-ო, თუ საქმიანად არ დაამტკიცე, მარტო ძახილი იკმარებს?!

უკაცრავად!..

ახლა მე ავურიე! თორემ ხუტა თავმდაბალის ყოველი ლექსი „ამ საქმის“ დამტკიცება როგორ არ არის!

* * *

თუმცა ასე მე და შენ ვფიქრობთ, ჩემო, და ამ ერთადერთ შემთხვევაში, ჩემო და ხ. ბერულავას მკითხველო! თორემ ხუტა თავმდაბალის ამბიციები უსაზღვროა! პოეტი რომ ამ სტრიქონებს დაწერს:

„მე შენ ისეთი ძალა მიბოძე,
არ მიძნელდება დროსთან კიდილი,
გაზაფხულის და სიყრმის კილოზე,
როგორც ვმღეროდი, ვმღერი დილ-დილით...“

ვიმეორებ: პოეტი ამ სტრიქონებს რომ დაწერს და მერე იმათ „რჩეულში“ შეიტანს, მის ლექსებს „ჩაილურის წყალი“ კაი ხნის დალეული არ ექნებათ?!

მართალია, ცოტა კიდევ უეშმაკია, დილაუთენია (ვმღერი დილ-დილითო!) შედგომია საქმეს, ალბათ, იმის იმედით, ძილბურანში მყოფთ „ნამღერის“ ხარისხის დადგენა გაუქირდებათო, მაგრამ სულ მტერმა იძინა — ერთხელაც ხომ გამოვფხიზლდებით!

თუმცა ასე ჩვენ ვფიქრობთ, თორემ საკუთარ პოეტურ შესაძლებლობაზე ხუტა თავმდაბალი სულაც არ დაექვევხლას!

∴ „მკერდში გულია თუ ლერწმის ღერო“, ველარც კი გამირჩევიაო!

მშობლიურ ზუგდიდში გაგზავნილ წერილში ყველასათვის ძვირფას ქალაქს დიდის ამბით უთვლის — გწამდეს, შენთან ვარ მღელვარე ლექსებითო!

მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგება, — სად ნახავს ასეთ სუსტ სტრიქონებს! — საჩუქრად აგზავნის ზუგდიდში:

„ნუ გაოცდები, ნუ გაწყინება,
რომ ასე დიდხანს დავყოვნდი გზაში...
როცა ძალიან გულს ეტკინება,
როგორც ახლობელს, გავგონებ მაშინ...“

ნუ მიწყენთ, ძვირფასო ზუგდიდელებო! — ისე ჩათვალეთ, საყვარელი პოეტი თითქოს იმისთვის გამეკრიტიკებინოს, თქვენ რომ კიდევ ერთხელ გაახსენებოდით!

ცოტა მეწყინა კიდევ! — იგი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იხსენებს ზუგდიდს „როცა ძალიან გულს ეტკინება!“

ამიტომ სიტყვას გაძლევთ — ჩემი წერილის საბოლოო ჩაკითხვამდე კიდევ არა ერთხელ გაახსენდებით!

ხოლო რასაც ახლა ვიტყვი, მხოლოდ ზუგდიდელებს არ ეხებათ, ყველას გასაგონად ვამბობ:

ხ. ბერულავას თვითდაკვირვება — „მე, მეგობრებო, მოწოდებით

არა ვარ პოეტი“, უკვე ექვს აღარ იწვევს და შეიძლება ითქვას, ავტორის ერთ-ერთ საუკეთესო დაკვირვებადაც კი გამოდგება!... !

* * *

სიტყვის მასალად მჭირდებოდა, ეტყობა, ზემოთ რომ ვთქვი—სად ნახავს ასეთ სუსტ სტრიქონებს-მეთქი! კარგი სტრიქონების ძებნაში დამეთხარა თვალები, თორემ...

სუსტ სტრიქონებს მის „რჩეულში“ რა პოვნა უნდა!

პოეტი რომ ამ სტრიქონებს „რჩეულში“ შეიტანს—მეტი გაკირვება რაღა გინდა!

„მე შენ ისეთი შუქი ამინთე,
არცა ვის ძალუძს მისი ჩაქრობა,
რაგინდ ლამობდეს, ვგრძნობ ამთავითვე,
ვერ დამაღონებს კაცთა მზაკვრობა...“

ვკითხულობ ამ სიმწრით დაწერილ სტრიქონებს და, თუ დამიჭერებთ, გული მიკვდება:

ნეტა ამ კაცს ლექსების წერის გარდა სხვა საქმე მაინც ემარჯვებოდეს-მეთქი, — გულწრფელად ვნატრობ!

თითქოს ჩემს გულში იჯდაო, ისე ჩავთვალე. ამ სტრიქონებს რომ გადავაწყდი!

„ნეტა ამ წუთშიც მეცხვარე ვყო,
მქონდეს კომბალი და სალამური!..“

ჩემთვის ვიფიქრე, ნეტა ამ კაცის ლექსებით წვალებას საშველი დაადგებოდეს და, კომბალი და სალამური რაა, თუ თავის ფასში შემხვდა, „ბეკერის“ ფირმის პიანინოს ვუყიდი-მეთქი!

ნუ გაგეცინათ! მაღაზიაში ამ პიანინოს შეიძლება უფრო ადვილად გადააწყდეთ, ვიდრე ხ. ბერულავას „რჩეულში“ კარგ ლექსს!

* * *

კიდევ კარგი, ეს ჩემი ფიქრი ხმამალა რომ არ დამცდა, თორემ ნამდვილად სირცხვილს ვჭამდი! — ჩემი შესაცოდებელი პოეტს არათერა ჰქონია!

ეს რა წავიკითხე!

„მე მინდა ვგავდე მშობელ ბუნებას —
სძულს მუშაითი, ოსტატს აფასებს...“

საოცარია! — მე რომ კაცს „ხელობის“ გამოცვლაზე სიტყვა გადაუტყარი, თურმე „ამ საქმეში“ იმას თავი ოსტატი ჰგონია!

მე რომ საკუთარი იუბილეს ზარზეიმით გადახდაზე ვსაყვედურობდი, თურმე იგი პირველი ლექსის დაწერიდან მეოცე წლის-თავს ზეიმობდა!

„ლექსო. პირველო, დამიდასტურე.
ნუთუ წინ უყვე ოცი წლისა ხარ?“

დაილოცოს შენი სამართალი, ღმერთო!..

მე თუ ცოდვას ჩავდივარ და ამ წიგნს უსამართლოდ ვაკრიტიკებ, იმქვეყნად სასუფეველი არ მეღირსოს!

მაგრამ, მომკალით და, არა მგონია, ეს სტრიქონები პოეზიას-თან იყოს წილნაყარი!

„მე კომკავშირმა გამხარდა, შვილო,
და სიკაბუჯის მეზობზე დავრჩი.
მისი ვარ ღლესაც, ხვალაც და... ვიდრე
თრთიან სიმები სიცოცხლის ჩემის!..“

მე არ ვიცი, ასეთივე მგრძნობიარე სიმები გამაჩნია თუ არა, მაგრამ, ვიდრე ჩემთანაც „თრთიან სიმები სიცოცხლის ჩემის“, სიტყვას უკან ვერ წავიღებ!

მოკლედ, თუ „პწკარებში ნაპერწკლები ცეცხლის ღვივიან“ და მე ამას ვერ ვამჩნევ, თვალები დამვსებოდეს!

თვითონ კი საკუთარ თავზე, რამდენიც უნდა, იძახოს:

„შენში კი მუჟამ ღვივის მზის ალი
და პოეზიის პაპანაქება“.

— კი ვთქვი გულწრფელად, საკუთარ თავზე რამდენიც უნდა ილაპარაკოს-მეთქი, მაგრამ ცოდვია, იქნებ გააჩეროთ!

ნახეთ, საით გაუტია!

„შენს ხმას ზარივით გააქვს წყრილი
და ჩვენი ხალხის ნამდვილ ოქროპირს
ისევე წინა გაქვს უამი ბრწყინვალე
წვის, შთაგონების და ბობოქრობის...“

(რატომ მიწა არ გამისკდება და თან არ ჩამიტანს — ამის ტრა-
ზახისგან რომ მოვისვენო!..)

„შენ კვლავ აიღებ ახალ მწვერვალებს...“

„რამღი“ მართლა თავს არ მოვიკლავ, აღარ გააჩერებთ?! მეტი
რალა მწვერვალი უნდა აიღოს საცოდავმა, პირდაპირ „ვეფხისტყა-
ოსანს“ ხომ არ დაწერს?!

თავის შესაფერ სტრიქონებს კი, სამსახურიდან რომ მოიცილის,
არც გვაშადლის:

„ვინც კომკავშირში ყოფილა ოდეს,
სულ ახალგაზრდა იქნება მეღამე.“

ასე არ ჯობია?!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ ერთი, როგორი ქართუ-
ლია!

ამიტომ თუ წყდებოდა გული, ადრე წასული მამა მის ქართულს
რომ ვერ მოესწრო!

„პოი, საცოდავს ქვეყანაზე ესღა დასცლოდა,
რომ ერთხელ მაინც მოესმინა ჩემი ქართული“.

ცნობილია, სამეგრელოს სოფლებში გაზრდილი ზოგიერთი ბავ-
შვი ცოტა გვიან ეუფლება ქართულს. თუ ავტორს ეს ფაქტი აქვს
მზედველობაში, მამა მართლაც ძალიან გაიხარებდა!

* * *

ამასობაში ერთი საშინოოებაც გამოიკვეთა:

თუ ხუტა თავმდაბალის პოეტურ ამბიციებს მე დაწერილებით
მიმოვიხილავ, ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, წლეულს ვერ მოვრ-
ჩები!

არადა, რა უნდა ქნა — რაც უფრო ნაკლები პოეტური უნარი

აქვს კაცს, უფრო მეტს ყვირის — მკითხველს პარიქით რომ აფიქრებინოს!

ახლა ავტორის ტრაბახის მოსმენა არ გინდა?!

„არ მოედა ლექსი, ბზაროვით
თუკი გაუჩნდა რამე...“

ერთი მითხარით, რომელ ბზარზეა ლაპარაკი, როცა თითქმის ყოველ ლექსში პოეტურ უმწეობას პირი ისე შეხსნია, რომ შიგ ფეხი არ ჩამცდესო, შიშით გული მიგდის!..

აი, თუნდაც ეს შემთხვევა ვნახოთ, ხუტა თავმდაბალი თავის ქვეყანას რომ მიმართავს:

„თუ არ გიმრავლე ამქვეყნად
ზეგობარი და მოძმე,
მაშინ პოეტი კი არა,
ყვოფილვარ მხოლოდ მოწმე...“

რისი მოწმენიც ამ „ლექსით“ გავხდით, ეს მაგალითიც კმარა, მისი ავტორის პოეტური უმწეობა რომ ვირწმუნოთ!

მაგრამ ქვეყნის წინაშე „ნაკისრი ვალდებულება“ რომ გაანადღოს, თავს არ იზოგავს!

„ხეალ იქნებ შეწყდეს ამ გულის ძგერა
და... მეჩქარება ლექსების წერა“

ჩემს დაგვიანებულ რჩევას ახლა რა ფასი ექნება, როცა ამ სიჩქარეში ცარიელი ფურცელიც აღარ შემორჩა — ყველაფერი ლექსად „გადათქვა“!

მეტი რა გინდათ, წიგნის ანოტაციაც კი ლექსად დაუწერია!

ჩვენდა გასახარად, კვლავაც მრავალი ლექსის „მიცემას“ პირდება სამშობლოს!

არ გეხუმრებით, მართლა გეუბნებით!

„რომ ერთი ჰანგიც არ დააკლდეს ჯედასამშობლოს
აფრის დაშვება რას მიქვიან ან დალონება, —
სალამი ახალ უღელტეხილს და შთაგონებას!“

სალამი და გამარჯვება ნუ მოუშალოს ღმერთმა ბატონ ხუტას!
მაგრამ, თუ ვინმეს სიტყვა გეტქმით, იქნებ „შთაგონოთ“ პოეტს,
ამდენი ლექსის წერაც აღარ არის საკურო-თქო!

ეს ახლავე უთხარით, თორემ თუ მოგასწოროთ და მიაღვა — ანო-
ტაცია ხომ გალექსა! — აწი წიგნის „სარჩევსაც“ რითმებში მოაქ-
ცევს!

მერე მე შენ გეტყვი და ლექსის წერაში ილღება!

ხომ გახსოვთ, დღედაღამ ლექსებს წერდა და მაინც იძახდა —
„რაც მთავარია, არ ვარ დაღლილი“—ო.

ჩვენი საცოდაობა მაშინ იკითხეთ, ისიც თუ გაახსენდა — რო-
მელიდაც წელიწადზე გული რომ წყდებოდა, ნაწერს ბარაქა ვერ
დავატანეო!

„ვაი, რა ჩქარა წარვიდა იგი!
ვაი, რა ცოტა დაეწერე წიგნი!..“

ბედნიერო წელიწადო!

შენ კი მშვიდობით გაგისწრია, მაგრამ, ვაი, ჩვენი ბრალი!..

ბევრი წიგნი რომ დაეწერა, ფიცი ჰქონდა თურმე დაღებული!

„და ამის გამო მე წმინდა ფიცი
ვერ შევესრულე თბილისს და ზუგდიდს...“

პოეტს საკუთარი წიგნებით, ეტყობა, თავდაპირველად ამ დიდი
ქალაქების ამოქოლვა უნდა!

რასაკვირველია, რაკი თვალი დაადგა — ამათ აღარაფერი ეშვე-
ლებათ! მაგრამ მაინც კარგია — საქართველოს სხვა დასახლებული-
პუნქტები უვნებლად გადარჩა!

„ეს კიდევ რაა, ახლო წელო,
შარშანწინდელიც აწ უნდა ვწერო...“

(აქამდე რა გვიკორდა, აწი ნახეთ ჩვენი საცოდაობა!)

„შარშანწინდელი მომყვება ვალი...“

ხალხი არა ხართ!..

ჩვეუვარდეთ ფეხებში და ვუთხრათ — არავითარი ვალი არა გაქვს-თქო! ყოველ შემთხვევაში, რაოდენობრივად მაინც!

ეგ კი არა, მეტსაც შევპირდეთ! — რამდენიმე ასეული ლექსი შეგ მოსავალში სულაც რომ არ აჩვენო, არც მაშინ დაგემღერებითთქო!

თუ გვაპატიებს, გვაპატიოს! თორემ მერე კიდევ რომ შევაწყდეთ, ლექსის წერას მაინც ნუ დავანებებთ!..

იქნებ მაპატიოთ, ამ ერთადერთხელ არის, ამხელა წერილში თავი რომ ვერ შევიკავე და ვიხუმრე!

თორემ მე ვინ რას მეკითხება — კაცს ეწერება და წეროს!

მე შენ გეტყვი და რითმა არ ემარჯვება!

ხომ გახსოვთ, ბავშვივით რომ გვახარა, „დავიმორჩილე სამუდამოდ რითმა მაცდურით!“

აბა, რატომ უნდა გაჩერდეს, ლექსისთვის რითმის „ქნა“ „ქეცოდნა“ და დღეს სხვებიც არ იკლავენ თავს — სტრიქონში აზრი და გრძნობა რომ გამოუჩინონ!..

* * *

რითმაზე გამახსენდა!

არც ერთი ქართველი პოეტი, დიდძალ პატარაანად, ისე უპასუხისმგებლად არ ექცევა რითმას, როგორც აშხ. ხ. ბერულავა!

თითქმის პარადოქსია: არც ერთი ქართველი პოეტი რითმას იმდენ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რამდენსაც ხუტა თავმდაბალი!

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს პოეზიის ერთადერთ ღირსებად რითმა მიაჩნია! — მისთვის ლექსი და რითმა ერთიდაიგივე ცნებებია!

„დავიმორჩილე სამუდამოდ რითმა მაცდურით“-ო—ამ სიტყვებში მხოლოდ ის აზრია გამოხატული, უკვე თავისუფლად ვახერხებ სტრიქონების გალექსვასო!

ეს კი მისთვის პატარა ამბავი სულაც არ არის — „რჩეულის“ ავტორისთვის პოეზია ყველაფერი, რაც გარითმულ-გალექსილია!

რაკი სტრიქონთა გარითმვა ემარჯვება, ამიტომაც თვლის თავს პოეზიის შვილობილად!

„ვინც რა უნდა თქვას, მე კი ვფიქრობ, შვილი ვარ შენი“-ო!

გ ა რ ზ თ მ ვ ა კ ი, როგორც ამას საკუთარი თავისადმი მიძღვნა-
ლი სტრიქონებიდან ვიტყობთ, — მაისის თვეში უფრო გამოუღდის!

„ვარდობისთვე რომ დადგება
აკოპიტებ სანდო რითმებს...“

მისთვის „სანდო“ ის რითმებია, ყველა დროში და ყველა პო-
ეტის მიერ რომ არის გამოცდილი!

მე პოეტის მიერ „შექმნილი“ ყოველი თვის რითმა ამოეწერე
და, გულწრფელად გითხრათ, სანუგეშოს ვერაფერს წავაწყდი!

იგი, ძირითადად, თავში პირველად მოსული სიტყვებით აღგენს
სარიტმოდ წყვილს! ალბათ, ამის გამოც არის, იოლად რომ წერს —
„რაც მთავარია, არ ვარ დაღლილი“-ო!

ზოგი, აბა, ერთ კარგ ლექსს დაწერს და... კაი ხანს აღარ ვარგა,
იფიტება!

მე საგანგებოდ შევისწავლე ხ. ბერულავას იანვრის თვეში შექ-
მნილი რითმები, შევისწავლე თებერვლის თვეში შექმნილი რით-
მები, მარტის თვეში შექმნილი რითმებიც შევისწავლე...

ერთი სიტყვით, იანვრიდან მოყოლებული დეკემბრის თვის
ჩათვლით მისი ყველა რითმა შევისწავლე!

არაფერი გამოვიდა! არსად, არც ერთ თვეში ერთი ახალი რით-
მაც არ გამოუჩინა!

დაწერა: „გამახარა“ და იქვე გართმავს — „ჰალარა“; დაწერს:
„გულში“ და იქვე მიუწერს — „გუშინ“; აიღებს სიტყვას „სწყუ-
როდა“ და იქვე მიუთმავს — „ხუმრობდა“.

მე არ ვხუმრობ: მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს,
მთლად ახალი თუ არა, შედარებით ნაკლებ გაცვეთილი სარიტმოდ
წყვილი მაინც რომ დაძებნოს!

ნუ დავიზარებთ და ის რითმებიც ვნახოთ, „ვარდობისთვეში
რომ გამოუჟკობიტებია“ და თვითონ რომ მეტად ეიმედება!

გმატება — ენატრება
გაფიორება — ღამისთვეა
შებინდება — ინთება...

კარგია თუ ცუდია, ყველა ეს რითმა, ჩვეულებრივ, სტრიქონე-
ბის ბოლოში აქვს მირითმული!

ე. ი. ჩვენგან ხელმარჯვნივ!

ეს გაფრთხილება საჭიროა, როგორც რითმის „სპეციალისტი“ — ამ მხრივ კი მისი „ოსტატობა“ ჯამბაზობას უტოლდება! — იგი სპეციალურ სავარჯიშოებსაც გვთავაზობს!

ასე მაგალითად, ზოგიერთ ლექსს სათაურს ქვემოთ მინიშნებულ იც კი აქვს — „ციკლიდან: რითმები მარცხნივ“.

ეს კი ნიშნავს — ჩემგან ხელმარცხნივ ვრითმავო!

აქაც, ფაქტიურად, რა „ოსტატობითაც“ სხვა დროს რითმავდა, იმას იმეორებს, მაგრამ — ეს არ უნდა დაგვაიწიყდეს! — ყველაფერი ახლა ხელმარცხნივ აქვს გადმოტანილი!

„მახაჩყალაში ზეიშა პოეზიისა.

მარად ხალასი ნიჰისათვის თავს მდაბლად გიხრის...“

ასეთი „ტექნიკური სიახლის“ გამოყენებით ლექსის შექმნა ძნელი არ არის — თავშივე მოილევე რითმის პრობლემას და მერე შენსას გარეკავ!

მაგრამ სიფრთხილე აქაც საჭიროა — მარჯვედ უნდა იყო, სიტყვები უნებლიეთ მარჯვნივაც არ გაგვრითმოს!

არა, დაშვებით ამითაც არაფერია დაშავდება, მაგრამ რად გინდა — „არიფად“ ჩავთვლიან!..

* * *

რადგან ერთობ მოსაწყენ წიგნზე ვსაუბრობ, ნება მომეცით, შიგადაშიგ მხიარული ეპიზოდებიც გავუთრიო:

ერთ უსათაურო ლექსში „რჩეულის“ ავტორი მცირე კონკურსს აწყობს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ყოველი კუთხის ლამაზმანია მოწვეული!

შეჯიბრების მონაწილეებს სიტყვით მიმართავს „რჩეულის“ ავტორი — ჟიურის თავმჯდომარე!

„საქართველოს სანაქებო ქალებო,

მე გული დაკვარგე, გესმით?

და ვინც მას იპოვის, ჯილდოდ ზიეცემა

ჩემი უკეთესი ლექსი!..“

სამწუხაროდ, საპრიზო ფონდიდან გამოყოფილი ჯილდო ისე უმნიშვნელოა, გამორიცხული არ გახლავთ, დაკარგული გულის მპოვნელმა ლამაზმანმა ამის შესახებ არავის არაფერი აცნობოს!..

* * *

გულისტკივილით ვამბობ:

ამ წიგნში ნამდვილ ტკივილს ვერსად წააწყდები — ყველა ტკივილი მოგონილია!

ამ წიგნში ვერც ნამდვილ სიხარულს შეხვდები სადმე — სიხარულიც მოგონილია!

წიგნში მხოლოდ სიყალბე ზეიმობს!

აქ ადამიანურად ნათქვამი ფრაზაც სანატრელია!

პოეტი რომ თავის თავზე იტყვის —

„კვლავ მიაპობს კლდეებს. ღრეებს“-ო —

მე როგორ უნდა მივხვდე — კაცია თუ ბუღლოზერი?!

ჩემთვის გასაგებია, სამშობლოსთან დაკავშირებით როცა ამბობენ:

„ყველაფერი მიყვარს. რაც კი შენი არი!

მაგრამ ამის წაკითხვას ვერც მოასწრებ, იქვე სიყალბე გულს აგირევს!

„ყველაფერი მიყვარს. რაც კი შენი არი!
შენი რუსთაველი, თამარის წინ მღვარი,
და რუსთავის რვალი, რომ არა აქვს ბზარი...“

ბოდიში მომიხდია, რუსთავის რვალი იყოს ჩვენი მტრის... თავში!

ნუთუ ქართველი კაცი ისე დაეცა, რომ რუსთავის რვალივით მიყვარს რუსთაველი და თამარი?!

რალაცაში გულწრფელი ხომ უნდა იყო პოეტი კაცი!

როცა ავტორი წერს:

„ხვალ იქნებ შეწყდეს გმიწვა გულოსა...“

მართლა ვერ გრძნობს ამ ფრაზის სიყალბეს?!
ანდა უხერხულობის გრძნობა სულ არ აწუხებს, ასე რომ „ეც-

ნობა“ მდინარე არაგვის:

„უაქეუხილოდ მე სიცოცხლე არ შემოძლია!“

ან კიდევ:

„რომ ვარ კლდესავით უღალატო, საამხანაგო!“

ადამიანურ ენაზე ამ აზრის გამოთქმა მართლა არ შეიძლება?!
ამიტომ არის, ამდენი ტყუილისა და სიყალბის შემდეგ მკით-

ხველი ამასაც აღარ დაგიჯერებს:

„ჩემი სიცოცხლე—წმინდა, ზვიადი,
მთხოვე სამშობლოვ... ვინ დაგამადლოს!“

დაგიჯერებს კი არა, ამ წიგნის ავტორი მართლა „მოკლული“
რომ ნახოს მკითხველმა, არ გაგეცინოთ და, ისეთი შთაბეჭდილება
მაქვს, მისივე სტრიქონების პერიფრაზით იტყვის:

„ხუტა, გაშალე მარჯვენა —
შენი სიკვდილი არ მჯერა!...“

• • •

მეტისმეტმა სიყალბემ და თვალშისაცემმა ხელოვნურმა ფრაზებ-
მა ერთი შემთხვევა გამახსენა ამავე კრებულიდან.

ეს ამბავი მხიარულ ეპიზოდდაც გამოდგება და, რაკი ამ ხასი-
ათის საუბარს მკითხველთან აღრე დათქმული პირობაც ითვალის-
წინებს, აქვე მოგყვით.

ისე მომხდარა, რომ როშკის ჩანჩქერზე გადებული ხიდიდან
„რჩეულის“ ავტორი კინალამ გადავარდნილა!

„ტიალი ხავსის ლალატის გამო
როგორ მივქროდი უფსკრულში, ევევით...“

ავტორი აქაც აზვიადებს — უფსკრულსკენ მქროლავი კაცო თავს ძნელად გადაირჩენს!

ეს ამ საქმისათვის სპეციალურად გაწვრთნილ კაცებს — კასკადიორებსაც კი უჭირთ!

აქ საეჭვო მხოლოდ ის არის, რომ მთლად ასე არ იქნებოდა! თორემ ავტორი რომ გადაარჩა, იქიდანაც ჩანს, ამ შემთხვევაზე ლექსი დაწერა!

ამ ამბის შემსწრე მწყემსს პოეტისთვის უთქვამს:

„ამიერიდან ხევსურთა წესით,
ამ ხიდს ერქმევა სახელი შენი...“

ცუდად არ ეღერს — „ხუტას ხიდი!“ მაგრამ მე თუ ოდესმე როშკის ჩანჩქერთან მოვხვდი, ხილზე გასვლას, წყალი ყინულივით ცივიც რომ იყოს, მაინც გატოპვას ვამჯობინებ!

„ხუტას ხიდიც“ თუ მის ხელოვნურ და ბუტაფორიულ ლექსებს დაემგვანა, რა ვიცი, შეიძლება, ჩამიტყდეს!..



აქამდე უნდა მომეფიქრებინა!..

მკითხველისთვის ეამი-ეამი „რჩეულში“ დაბეჭდილი კუროზამდე მისული ცალკეული სტროფები (იცოცხლეთ, კარგი იქნებოდა ლექსის მთლიანად მოტანაც!) უნდა მიმეწოდებინა და ერთადერთი კითხვა დამესვა — რ ო გ ო რ ი ა ?

ეტყობა, კაცი ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ!

თუ მთლად გვიან არ არის, იქნებ ახლა ვცადო!

გთავაზობთ „რჩეულში“ დაბეჭდილ სტროფს ციკლიდან „როგორია?“

„და მაინც ვამბობ — ეს გაუმარჯოს
პოეზიისთვის დაფერფლილ-დამწვარს,
ვინც ვერ შობდება სასოფლო საბჭოს,
მაგრამ ულექსოდ სიცოცხლე არ სწამს...“

მე კომენტარის უფლება არ მაქვს და... განზე გავდგები!
თქვენ კი კიდევ ერთხელ შეათვალიერეთ ეს სტრიქონები მუშტრის თვალთ და მითხარით — როგორია?

თუ ცოტას მაინც მაფასებთ, ავტორის ამ ნათქვამსაც ნუ გაუწევთ ანგარიშს:

„მე საოცარი კაცი ვარ, ხალხო“-ო.

კი, ბატონო, იყოს საოცარი კაცი! მაგრამ უფრო საოცარი კაცი მაშინ იქნება, ცოტა კიდევ რომ მოინდომოს და იქნებ იმნაირი ლექსიც დაწეროს — დასაბეჭდად ივარგოს!

მეტს რას ვთხოვთ!

მაგრამ ჩვენი ბრალია, სიმართლეს რომ არ ვეუბნებოდით, მთლად აიშვა — ტვინი წაიღო ამდენი ტრამბახით!

„ხმაც საკუთარი. ვზაც საკუთარი, —
ამ ქვეყანაზე აი რა მრჩება!“

კი მაგრამ საკუთარი გზისა და საკუთარი ხმის პოეტს ა მ ქვეყანაზე ა მ ლექსით უნდა დარჩენა?!

„ხვალ ქარბობლას ელოდეთ. —
რა დროს გვაუწყებს რადიო!
სიწყნარეს მოწყურებულმა
მაშ ღამე უნდა ათიო...“

მაშ, პირდაპირ ამ სტრიქონებით გვინდა შევიდეთ უკვდავებაში?!

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ზოგი მართლა ისეთ ვარსკვლავზეა დაბადებული, მისი ბამბაც ჩხრიალებს!..

მეც აღარ მოგაბეზრებთ თავს და აღარ გეკოთხებით — სად ეს სტრიქონები და... სად ჰეშმარიტი პოეზია?!

მაგრამ ერთი რამ კი ნამდვილად მაინტერესებს!

ეს სტრიქონები პირდაპირ „რჩეულში“ შესატანად ხომ არ დაიწერებოდა?!

ის ჯერ რომელიმე ლიტერატურულ ორგანოში დაიბეჭდებოდა! მერე ავტორის „რიგით“ კრებულებსაც მოივლიდა და მხოლოდ ამ გზის გავლის შემდეგ მოხვედებოდა „რჩეულში“!

და, იცით, კიდევ რა მაინტერესებს?

ამ სახელმწიფო დაწესებულებებს ხომ ჰყავდათ თანამშრომლე-

პი, რომელთაც პირდაპირ ევალებათ, გზა გადაუღობონ უნიკო
წაწარმოებებს?!

ახლა მათ ვეკითხები და მიპასუხონ:

როგორია? მოგწონთ?!

აბა, მეგობრებო, ვატყუოთ ერთმანეთი და ვიყოთ ასე?!

* * *

„რაიცი ლამაზი შემიქნია და ფასეული,
რასაც ვერ ამჩნევს სჯულმდებელთა კასტა
წყვეული...“

ეს საკუთარი ხმის პოეტია! — „სჯულმდებელთა წყვეულ კასტა-
ში“ კი ჩვენ, პოეზიის შემფასებელნი ვიგულისხმებით!

შევამჩნიე: თუ ახლავე არ მივუბრუნდი და არ „გავუწყყერი“,
არ გაჩერდება!

ხუტა ბატონო, თუ ტრაბახს თავს არ დაანებებთ, კიდევ მოვი-
ტან თქვენს რამდენიმე სტროფს ციკლიდან „როგორია?“

და მართლაც როგორი იქნება!..

ახლა ვისარგებლოთ ავტორის სამარისებური სიჩუმით და ჩვენს
საუბარში ერთი მხიარული ეპიზოდით გავუჩიოთ!

„რჩეულის“ ერთი ლექსი, „კიბე“, როგორც მე მომეჩვენა,
იუმორისტული ხასიათისაა.

ლექსის ფაბულა ასეთია:

სოფელ ლაილაშში პოეტს გამწვევ ქეიფში ღამე თეთრად უთე-
ნებია. გამთენიისას სუფრა ეზოში გაუშლიათ. მთვრალი და ღამე-
ნათევი კაცის ამბავი მოგეხსენებათ — ლამაზი ქალი თავს ურჩევ-
ნია!

პოეტიც ქართველი ლამაზმანების სადღეგრძელოს სვამს და...

„უცებ რას ვხედავ: ხეზე მალაღზე
ბრწყინავს პატარა მზეთუნახავი...“

შეიძლება, მთვრალი კაცის თვალმა დიდი სიზუსტით ვერ აღიქ-
ვას ქალის სილამაზე — ყოველთვის უკეთესი ეჩვენება! — მაგრამ
ხეზე ქალი ნამდვილად რომ იყო, იქიდანაც დასტურდება, რომ
მსხლები ძირს გამიზნულად ცვიოდა!

და როგორც ავტორს ეჩვენებოდა, მწიფე ნაყოფს პირდაპირ
შისკენ ისროდნენ!

კაცს შეტი რა უნდა!

„როგორ მიწოდდა იმ ბებერ ხისკენ
გავქცეულიყავ ყიყინით მისებრ...“

რასაკვირველია, მე მესმას, ეს ამბავი სიმთვრალეში რომ ხდებარ-
მაგრამ ლექსი, წესით, ხომ გამოფხიზლებულზე იწერება?!

აბა, რას ნიშნავს, ავტორი რომ წერს, „გავქცეულიყავ ყიყინითა
მისებრ...“?

აკი გოგონა პირდაპირ ხეზე შეამჩნია და საიდან იცის, რომ ყი-
ყინით გაიქცა?!

აღვადგინოთ სურათი:

„უცებ რას ვხედავ: ხეზე მალაღზე
ბრწყინავს პატარა მზეთუნახავი“

არა, ეს ისე შევნიშნე, კრიტიკოსის დაწყევლილი თვალი რომე
მაქვს, თორემ თუ ამ სიზუსტით განვიხილეთ „რჩეული“, იმდენო
დაწუნებული ლექსი დაგროვდება, საჩუქრად რომ ჩამოგვირიგონ,
თითო-ოროლა ცალი წერა-კითხის მცოდნე ყოველ ქართველს შეგ-
ვხვდება.

მაგრამ ეს სხვათა შორის!

ჩვენ კი იქ შევჩერდით, ავტორი რომ მხედრული ყიყინით აპი-
რებდა ხეზე ასვლას...

„მაგრამ, ვაი, რომ არ იყო კიბე!“

პოეტის იუმორისტული ჩანაფიქრის ამოცნობა ძნელი არ არის—
კაცს ხეზე ასვლა უნდა, მაგრამ (მოულოდნელად!) ხელს უშლის...
ასაკი!

მკითხველს, ისე იყო ჩაფიქრებული, აქ უნდა წასკდომოდა სი-
ცილი და დიდხანსაც უნდა ეცინა!..

თუ ვინმეს არ გაგეცინათ, გული ნუ დაგწყდებათ — ახლა მე
ვცდი!

ვთქვათ ავტორისთვის (ძველი წესით!) ხელები „შეებიჯგინები“¹

ნათ“ და ხეზე კიბის გარეშე აეყვანათ. მაინც საკითხავია — „პატარა მზეთუნახავის“ გვერდით როგორ დადგებოდა — გოგონა ხომ უკვე „კენწეროზე ეკიდა?“

ბელუზები ხომ არ იყვნენ, ერთ ტოტზე ჩამოქსდართ რომ ეკრიფათ მსხალი?!

უნდოდა თუ არა ეს, „ვინუედენნაია პასადკა“ პოეტს კენწეროდან ერთი მეტრის დაშორებით მაინც უნდა განეხორციელებინა!

და მერე, როცა მზეთუნახავის შესათვალეირებლად თავს ზემოთ აწევდა, ქალის კაბაში — როგორც ფაცერში! — ისე გაეხვეოდა!..

თუ კიდეც არ გაგეცინათ, მეტი არაფერი შემიძლია! მკითხველსათვის ილღიაში ზელის შეხიციანების უფლება მე არა მაქვს!..

* * *

თუ თადარგი დროზე არ დავიჭირე, სულ ერთია, ადრე იქნება თუ გვიან, ორ ბრალდებაზე მაინც მომიწევს პასუხის გაცემა:

პირველი: „რჩეულის“ ავტორს შეუძლია ქვეყანა შემოიყაროს — ეს კრიტიკა არ არისო!

ამიტომ უნდა აეხსნა — რა ევალება საერთოდ კრიტიკას და როგორ ვაკეთებ ამას კონკრეტულად მე!

კრიტიკას ევალება: ცალკეულ ნაწარმოებზე ან მთელ კრებულზე ისე გამოთქვას თავისი აზრი, რომ მკითხველისთვის გასაგებია იყოს, მოსწონს თუ არა განსახილველი მასალა!

თუ „რჩეულის“ ავტორი ყურადღებით მისმენდა, მე გასაგებად ვთქვი — მისი წიგნი არ მომწონს!

კრიტიკას აგრეთვე ევალება: აჩვენოს რა არ მოსწონს ნაწარმოებში და რატომ არ მოსწონს!

მე ვაჩვენე რა არ მომწონს და მერე ისიც ვთქვი — რატომ არ მომწონს!

ასე რომ ჩემი წერილი კრიტიკის ძირითად მოთხოვნებს ძირითადად აკმაყოფილებს!

რაც შეეხება იმას, როგორ გადმოვცემ და როგორ გამოვხატავ ჩემს სათქმელს, ეს არავის საქმე არ არის!

ჩემთვის მთავარია, ჯერ სიმართლე ვთქვა, მერე იმაზეც ვიზრუნო, ეს ნათქვამი სხვისთვისაც საინტერესო გავხადო!

თუ ვინმე მეტყვის, რომ მოსაწყენად არ ვწერ — დიდად გამახარებს!

მეორე: „რჩეულის“ ავტორს უფლება აქვს, ქვეყანა შემოიყაროს — ხუთი წლის წინათ გამოცემული წიგნის კრიტიკა ახლა რაღა დროსიაო!

იურისპრუდენციაში მართლაც არის კანონი — ჩადენილი დანაშაულის ხანდაზმულობის გამო სასჯელი უქმდება!

ლიტერატურათმცოდნეობაში პირიქითაა — რაც უფრო ხანდაზმულია ლიტერატურული ძეგლი, მით უფრო საპატიოა მისი გამოკვლევა!

* *

სხვათა შორის, ერთი დაუწერელი კანონი საგაზეთო წერილსაც აქვს — რაკი დაიწყე, უნდა დაამთავრო!

რასაკვირველია, ძნელია მკითხველთან გამოთხოვება, და ეს ყველას გვიჭირს, მით უფრო მაშინ, როცა ხელში შეცდომებით სავე წიგნი გვაქვს და კიდევ იმის სურვალი — ამის თაობაზე ბოლომდე მოუთხორო მკითხველს!

არადა, ვიდრე ამ „რჩეულში“ „გაპარულ“ შეცდომებს მე ბოლომდე ამოვწურავ, იქამდე თუ მიცადა მკითხველმა, — ერთმანეთს მზე და მთვარესავით შევაბერდებით!

კარგია, როცა კრიტიკოსი ისე გრძნობს წერტილის დასმის საქიროებას, როგორც, ვთქვათ, სპილო მოახლოებულ სიკედილს!

ამიტომ უნდა ვიჩქარო!

მართალია, მე რჩეული ლიტერატორებისაგან განსხვავებით ტანით ვერ ვგრძნობ ბოლო წერტილს, მაგრამ ამას გრძნობს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი! — რასაც ზედმეტად მიიჩნევს, იქვე (მოუბოდიშებლად!) მოჭრის!

ჩემი მოკლე ჭკუით, ახლაც მგონია — ზუსტად იმდენი დრო დამრჩა მკითხველთან სასაუბროდ, რა დროც მგზავრებს რჩებათ თვითმფრინავის ბორბლების გამოშლიდან მიწაზე დაშვებამდე!

(თუ, რასაკვირველია, — დმერთმა გვაშოროს! — პირდაპირ არ გაადინა ძირს ზღარათანი!)

ამიტომ უნდა ვცადო და „რჩეულში“ დარჩენილი უამრავი შეცდომიდან უმცირესი ნაწილი მაინც „წიკაპურტების“ სახით მივა-

წოდო მკითხველს, უფრო სწორად, ავტორს, შემდგომ მუშაობაში გასათვალისწინებლად!

ეს ფორმა ჩვენს საქმეში (კრიტიკოსების საქმეში!) ახალი და ამდენად — საინტერესოც!

ცხადია, თუ ცოტათი მაინც გავართვი თავი!

* * *

„რჩეულის“ ავტორი ილია ჭავჭავაძეს მიმართავს:

„შენ შთამაგონე შიში ამგვარი,
თუმცა არა ვარ კაცი ჭაბანი...“

ვინც საგანგებოდ უსვამს ხაზს — არ ვარ ჭაბანიო! — ის თავს მამაცად თვლის!

ამიტომ უხერხულია, ხ. ბერულავა ილია ჭავჭავაძეს თავის სიმამაცეზე ელაპარაკოს!

ამ შემთხვევამ ერთი ადგილი გამაჩსენა „კაკო ყაჩაღიდან“ — ზაქრო რომ ეუბნება ბლაქიაშვილს:

„ხმალში კაკოს არ დაუეარდები“-ო.

ამ შემთხვევამ კიდევ ის ადგილები გამაჩსენა „რჩეულიდან“, სადაც ავტორი საკუთარ თავსაც და ილია ჭავჭავაძესაც ერთნაირი ეპითეტებით მიმართავს:

ილიაზე ამბობს: „მერე ზვიადი და გულმართალი...“

თავის თავზე ამბობს: „ჩემი სიცოცხლე, წმინდა, ზვიადი...“

თურმე ორი ილია გვეყოლია და ჩვენ ეს აქამდე არ ვიცოდით!

* * *

„რჩეულის“ ავტორი რომ არ ხუმრობს, ეს სხვა მაგალითებიდანაც ჩანს. იგი თვითლაჩერებით წერს:

„მე რუსთაველთან მივიჩქარი თავაშეტებით,

აოა ვით წმინდანს, ვით მ ე გ ო ბ ა რ ს, ისე ავხედავ...“

ამ თავსედობამდე მისულ სითამამეს მე ორი მიზეზით ვსწინი: შეიძლება ხ. ბერულავას ეჩვენება, რომ ის და რუსთაველი თანაბარი ძალის პოეტებია!

ან კიდეც — რაც ჰკუხასთან უფრო ახლოსაა! — ამხელა პოეტის-
თვის იმიტომ არ ეხატრება თავის გატოლება, რომ კარგად იცის,
რუსთაველს მისი ლექსები წაკითხული არ ექნება!

* * *

არანაკლებ ამბიციურია სტრიქონები, უცხოეთში ტურისტად
მყოფი პოეტი რომ წერს:

„როგორ დღავს და მელოდება სამშობლო-დედა,
უკან ჩემს ხილვას მონატრული და უძინარი...“

ეტყობა, „სამშობლო-დედას“ გამორჩეულად უყვარს „რჩე-
ულის“ ავტორი, თორემ რამდენი „მისი შვილი“ უცხოეთში ტუ-
რისტად წავა, იმდენჯერ თუ უძილობა „გამოაცხადა“ — თვა-
ლის ქუთუთოების ტკივილს ვერ აუვა მარტო!..

არც ის არის გამორიცხული, რომ „სამშობლო-დედას“ უძილო-
ბა იმის შიშითაც ჰქონს — უცხოეთში ლექსები არ დაწეროს და,
რაც უფრო უარესი იქნება, — იქვე არ გამოაქვეყნოსო!

* * *

როგორც ახლა ვნახეთ, „სამშობლო-დედა“ უძინარი და მონატ-
რული ელის უცხოეთში ერთი-ორი დღით გამგზავრებულ ხ. ბერუ-
ლავას!

არადა „რჩეულში“ არის ლექსი „დედაო მიწავ, გაიცან: ვაჟა...“
სადაც — რამდენიც უნდა გაგიკვირდეთ! — იმ „დედაო მიწას“
რომლის ადამიანის ენაზე ამეტყველებასა და გაუყვდავებას მთელი
სიცოცხლე შეაღია ვაჟა-ფშაველამ, ხ. ბერულავა აცნობს... თეი-
თონ ვაჟას!

(რატომ ქვეყანა არ დაიქცევა!)
აცნობს და თან უბარებს:

„ის მოდის შესსვენ ღირსეული და ბეზბერაბი,
ერთი მათგანი, ვანც გამშვენებს, დედაო მიწა...“

სომ წარმოგიდგენიათ თავი ვაჟა-ფშაველას ადგილას! — „დედაო
მიწა“ რომ კითხავდა, ის კ ა ც ი ვ ი ნ ი ყ ო, შენი თავი რომ გა-
მაცნოო, რა უნდა ეპასუხა?!

„თოვლა ლამაზად, ბარაქიანად...“

წერს ავტორი და იქვე აღნიშნავს — ისეთი თეთრი და კრიალა იყო თოვლი...

„რომ ზედ რჩებოდა გამვლელთა ჩრდილი“.

ის კი ავიწყდება, ბარაქიან თოვლაში „გამვლელთა ჩრდილის“ კი არა, თავად ამ გამვლელთა დანახვა ჭირს ორიოდ ნაბიჯზე!

ამის გარდა, ჩრდილი რომ „წარმოიშვას“, საიდანღაც მზე ხომ უნდა ხედებოდეს საგანს?!

რასაკვირველია, ბარაქიან თოვლაშიც მზე მაღლა იქნება! მაგრამ, საშუალოდ, ასეთ ამინდში იგი არ ჩანს და ვერც ანათებს!

* * *

ამავე ლექსშია!

თოვლიან აღმართზე გარბის გოგონა. დაიღლება და ხესთან წერდება. თავი საიდან დაუარა, არ ჩანს, მაგრამ ამ შესვენებით, არც თუ მთლად უანგაროდ, სარგებლობს ლექსის ლირიკული გმირი (როგორც ჩანს, პატარა ხუტა!) და გოგონას ტუჩებში კოცნის! ავტორი თხრობას განაგრძობს:

„წამოიქერ და გაფრინდი ისე,
თითქოს ამ კოცნამ შეგასხა ფრთები...“

ექვობა, აქ რალაც უზუსტობაა! — თუ ბიჭმა ფეხზედგომელა გოგოს აკოცა, გოგონას ფეხზე წამოქრია რალად დასკირდებოდა, ის ხომ ისედაც ფეხზე იდგა!

ხოლო თუ ბიჭმა გოგონა თოვლზე წამოაწვინა—მართო კოცნისთვის ეს რა საჭირო იყო?!

ერთი სიტყვით, ავტორმა ათასი თავსატეხი გაგვიჩინა!..

* * *

„რჩეულის“ ავტორს რატომღაც აუჩემებია: კასპიის ზღვა, გინდათ თუ არა, შავი ზღვის დააო!

რაკი თავისას არ იშლის, მაშინ ამ სტრიქონებს მანაც უნდა შეეღიოს:

„არც კი გაოცებს ვეება ხიდი,
შენს მკვიდრ სხეულში ელვად შექრილი“.

თორემ ძალიან უხერხულ ასოციაციას იწვევს. შევეგვრებანო
დღის მკვიდრ სხეულში ელვასავით შექრილი... გრძელი ხიდი!

* * *

ხევსურეთში მყოფი ავტორი იქაურებს მიმართავს:

„ღიახაც დაიშვენებელი თქვენებურ მხედრულ სამოსელს,
ოჩიაურებს შევთხოვდი: -- ხალხო, მელექსედ დაძლოცე!“

სამწუხაროდ, მარტო ოჩიაურები ამ საქმეში ვერაფერს გააწყო-
ბენ, ეს მათ ძალ-ღონეს აშკარად აღემატება!

ეგ კი არა, ხ. ბერულავამ ისიც კი მოაწყო — საკუთარ იუბილე-
ზე თავი მთელ ქართულ მწერლობას. და ალმაცვინა,
მაგრამ სასურველი შედეგი ამითაც ვერ მივიღეთ!...

* * *

წიგნში ერთი ასეთი „სურათიც“ გვხვდება:

„ბაღები — ფოთლებით გადაბურელები,
ტოტებზე — შაშვების გარდა ბელბულები...“

ერთ ხეზე შემომჭდარი შაშვები და ბულბულები მე ჯერ არსად
მინახავს!

ალბათ, ეს „ტოტა“ ზოოპარკის რომელიმე გალიაში „ღირვდ“
თუ იყო გადაებული!

* * *

„რჩეულის“ ავტორი საკუთარ თავს ხშირად მეორე პირში მი-
მართავს — ასე გაცვილებით იოლდება საკუთარი პერსონის შე-
ქება!

„არ დაგამძიმოს დიდების გულამ,
ყოველწელზე ზეზე უახვდი განთიადს...“

ვინც ხ. ბერულავას იცნობს, დამეთანხმება — დიდების გუ-
ლის ტარებას ის რამენაირად გაუძლებს, მაგრამ საკითხავია —
როდის, რისთვის და რა დამსახურებისთვის აპკიდეს ეს-
დიდების გულა?!

• • •

ხ. ბერულავა გულისტკივილით აღნიშნავს:

„შენ ამ წელიწადს
არაფერი დაგიწერია...
არ გეწერება...“

ნეტავი იმ წელიწადს!

თუ ოდესმე შემეკითხებიან — შენთვის ყველაზე ბედნიერი წე-
ლიო, — უსიკვდილოდ ამ წელიწადს დავასახელებ!
ვაი, საყვარელო, წელიწადი ვარო, ამან უნდა თქვას!...

• • •

ახლა გავეცნოთ „რჩეულის“ ავტორის პოეტურ მანიფესტს!

„ისე მაღლერე დღითა და ღამით.
რომ ღარღისათვის არ დამრჩეს წამიც...“

ახლა გავეცნოთ დოსტოევსკის მწერლურ მანიფესტს:

„უნდა ეწამო!...“

ცხადია, განახვავებული აზრებით განსხვავებული წედგეო-
მივიღეთ!

• • •

წერილის დასასრულს მე ავტორთან სასაუბროდ „წიკ-ურტე-
ბის“ მსუბუქი ფორმა იმიტომ ავირჩიე, — ამის შემდეგ დიდი სი-
მართლე რა? მე თქვა!

სიმართლე კი მწარე იქნება, ჩვენთვისაც მწარე! — რადგან მისი
თქმა ადვილი არ არის!

მაგრამ მეტის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება! — დათირამბულ-

მა კრიტიკამ წლების განმავლობაში წარყვნა მკითხველის გამოფ-
ნება!

აქედან წარმოშობილმა აბსურდულმა **გ ა ნ უ რ ჩ ე ვ ლ ო ბ ა მ**
(თითქოს ყველა ერთნაირია) ლამის ჰუმბარტი მწერლების ავტო-
რიტეტიც შეიწიროს!

ასე გაგრძელების უფლება აღარ გვაქვს!

ამიტომ ტყეში გავარდნილი კაცის სითამამით (ამ წერილის გა-
მოქვეყნების შემდეგ მაინც იქ მომიწევს გაქცევა!) უნდა ვთქვა:

ხუტა ბერულავას ლექსები პოეზია არ გახლავთ!

თუ რატომ, ასლავე გეტყვით:

მოგესვენებათ, პოეტებს პირობითად ასედაც ყოფენ:

მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე პოეტი

მ ო მ დ ე რ ა ლ ი პოეტი

მე არ ვიცი, საქართველოს მწერალთა კავშირის იმ ხუთასამდე
წევრიდან რამდენია პოეტი! მაგრამ, ერთი წუთით დავეშვათ, რომ
ისინი ყველანი პოეზიის მუზას ემსახურებიან!

მე რომ საქართველოში მოღვაწე ხუთასი **მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე** პო-
ეტი ჩამოვთვალო, ცხადია, იმ სიაში ხუტა ბერულავა ვერ მოხვ-
დება!..

მე რომ საქართველოში მოღვაწე ხუთასი **მ ო მ დ ე რ ა ლ ი** პო-
ეტი ჩამოვთვალო, ცხადია, იმ სიაში ხუტა ბერულავა ვერ მოხ-
ვდება!..

მაშ, სად უნდა ვეძებოთ იგი?! — იქნებ თავად გაგვარკვეოს!

„არც დამოწმება მკირდება სხვათა,
არცა გულჩეილთა ხმა და ზუზუნი,
რომ პოეზიის ცხრაკლიტულ კართან
უვასაღებოჯ ვარ ატუზული...“

როგორ, როგორ?!

როგორ და... როგორც ვთქვი:

„მე პოეზიის ცხრაკლიტულ კართან
უვასაღებოჯ ვარ ატუზული...“

ჰუმბარტად, ბატონო ხუტა!

ჯვარს ეცვი, თუ ბინდა, საშველი არ არის...

მაინი თაიანთ სუსტ ნაწარმოებებს
იმდენ დროსა და ენერჯას რომ ახარ-
ჯადნენ. რამდენსაც შეძლებ მათ დაცვას
ანდომებენ, ვინ იცის, იქნებ ოქნაჲ უკ-
თესადაც გამოსელოდათ...

ფ რ ი დ ე ბ ე რ ტ ტ უ გ ლ ა ს ი
ესტონელი მწერალი

როცა ჩემს წერილს („კრიტიკა“ № 4, 1984 წ.) ვწერდი, რა თქმა
უნდა, არც იმას გამოვრიცხავდი, რომ შეიძლება ვინმეს ეპასუხა,
მაგრამ ის კი არ მეგონა, ეს „ვინმე“ თავად ავტორი თუ იქნებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ასე რომ არ მომხდარიყო, გაცილებით აჯო-
ბებდა, რადგან საკუთარი ნაწარმოების დაცვა, როგორც ეპიგრა-
ფიდანაც დავრწმუნდით, ცოტა უხერხულიც ყოფილა.

პატივცემულმა მწერალმა, ეტყობა, ეს საქმე სხვებს ვერ ანდო.
ალბათ იფიქრა, ასეთები ჯერ როდის გამოჩნდებიან და მერე, ვინ
იცის, ამით საქმე სულ არ გაფუჭდესო.

ადგა და თვითონ მიპასუხა.

ავდექი და მეც ვპასუხობ.

მაინც არაფერი გაირკვევა — ის თავისას არ დაიშლის, მე —
ჩემსას.

გავა დრო და პატივცემული მწერალი ისევ მიპასუხებს...

გავა დრო და პატივცემულ მწერალს მეც ისევ ვუპასუხებ...

და ასე იქნება ბოლომდე!..

„ამოდენა წერილის, თითქმის მთელი ალმანახის ჩათაყვების შემ-
დეგ ვაჭირი სახედარივით ისევ იქა ვდგავართ, სადაც წერილის და-
საწყისში ვიდექით“ — ბრძანებს რევანზ ჯაფარიძე.

მე არ ვიცი, რამდენხანს აპირებს პატივცემული მწერალი ამ პო-
ზაში დგომას, მაგრამ, თუ ასე ურჩევნია, მთელი სიცოცხლეც რომ
იღვეს, რა უფლებით დაუშლი?

მე კი იმის გამო ვერ დავანებებ კამათს თავს, ვატყობ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემთან ერთად მკითხველაც მოაგებს.

მე მოგებულ იმითაც დავრჩები, რომ, როგორც ლიტერატორა, მწერლობაზე კამათი „სამსახურებრივადაც“ მევალება და, აქედან გამომდინარე, ჩემს საქმესაც ვაკეთებ.

მკითხველი იმით მოიგებს, რომ პატივცემული მწერალი იტყუებული განდება მთლიანად კრიტიკის სფეროში გადმონაცვლს და თავისი საქმისთვის — მწერლობისათვის ნაკლებად მოიცლის!

ეს კა აშკარა მოგებაა, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, „მძივე ჯვრის“ ავტორი გაცილებით ნიჭიერი პუბლიცისტი, ვიდრე ბელეტრისტი და მხატვარი — ამის დასტურია მისი პასუხიც. რომელიც ათასი შეცდომისა და რიგი სიყალბის მიუხედავად, უფრო ცოცხლად არის დაწერილი, ვიდრე ის რომანი, რომლის ავ-კარგზეც ახლა ვდავობთ.

ყოველთავე ეს პატივცემულ მწერალსაც უგრძნია და ამ უხერხულობაზე თავადაც წუხს:

„რაკი თავზე ნაცარი წაფიყარე, ამ წერილს პირადად მე, რომანის ავტორი ვწერ და არა სხვა ვინმე“—ო...

პატივცემული მწერლის ეს საქციელი — თავზე ნაცარი რომ წაუყრა — ჩემი განსასჯელი არ არის. მე იმაზე უნდა ვაგო პასუხი, მკითხველს არ შეაყაროს თვალში ნაცარი.

* * *

„თუ მარტოოდენ ასაკს გავყვებით, ორმოცს მიტანებული ჩვენი თავცეცხლა „ჯვარცმული“ თ. წიფვივაძე ხშირი წვერითა და ყურებზე გადაგრეხილი უღვაშებით დღესაც ვერ დაიკვებნის...“

ეს სიტყვები ეკუთვნის მწერალს, რომელიც „აწონილი სიტყვის“ ავტორია.

მისი დამბეჭდავი რედაქტორი არის ავტორი წიგნისა „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკაში“.

ბევრ სხვა რამესთან ერთად, გულსატკენი ისიც არის, რომ ამ თემაზე მათგან დაცინვას ნაკლებად ვიმსახურებ: ვისაც პატივცემული მწერლისთვის და უფალი რედაქტორისთვის ერთხელ მაინც ზოუყრავს თვალი, შემჩნეული ექნება, თმის საქმე (თავზე ვეულის-ხმობ!) არც ისე აქვთ აუტრში მოყვანილი, რომ სხვებს დასცილნოდნენ!

მაგრამ ასეც რომ არ იყოს, და ეს ბუნებრივი ნაკლი მომეტე-
ბულად გამაჩნდეს, ამ სერიოზულ ხალხს, ჩემი თმის სიგრძით რომ
ღაინტერესებულან, მეტი საქმე არაფერი აქვთ?!

ამ მძიმე წუთებში ისლა მამშვიდებს და ის მგერის მცირეოდენ
შვებას რომ პატივცემული მწერალი, როგორც ყოველთვის, არა
მარტო უპასუხისმგებლოდ, უყურადღებოდაც იქცევა — სტილურ
თუ ფაქტობრივ შეცდომებს აქაც უშვებს!

„ორმოცს მიტანებული“ ერთი სიტყვაა და ერთად უნდა და-
ეწერა!

ამის გარდა, ჩემი არც ასაკია ზუსტად მინიშნებული და არც
თმის ფერი!

სათაურიც ვერ მოუზომავს პატივცემულ მწერალს, ცოტა უფ-
რო მკვეთრი გამოსვლია, ვიდრე ამას მე ვიმსახურებდი:

„ლიტერატურული ტერორიზმის აღსაკვეთად“ (!)

ამისმაგვარ სათაურებს ჩვენი პერიოდული პრესა ოცდაათიან
წლებში ხმარობდა. მაგრამ, ეტყობა, მაშინ ამ საქმისთვის უფრო
გამოცდილი რედაქტორები გვყავდა და ზომაზე მეტად მძაფრ სა-
თაურს რუბრიკასაც შესაფერს ურჩევდნენ, მაგალთად, ასეთს:

მოღალატის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!

მთლად ასე არა, მაგრამ უურნალ „ცისკარში“ დასათაურებულ
რევან ჯაფარიძის წერილს — „ლიტერატურული ტერორიზმის აღ-
საკვეთად“ — ნამდვილად დაშვენებოდა რუბრიკა:

კრიტიკოსის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!

მსგავსი შინაარსის შემცველი რუბრიკის გარეშე პატივცემული
მწერლის შემოთავაზებული სათაური, სამწუხაროდ, მთელ თავის
„მომხიბვლელობას“ ჰკარგავს.

მე, მაგალითად, ამის წინ, როცა გრაფომანიის წინააღმდეგ გამო-
ვედი, ჩემი წერილისთვის კატეგორიული სათაური — **ლიტერატურ-
ული გრაფომანიის წინააღმდეგ** კი არ დამირქმევია, ვისაც ის წე-
რილი წაკითხული აქვს, ეხსომება, უფრო კონკრეტული სათაური
რომ ვამჯობინე.

ამის გარდა, აუცილებელია ისიც ვიცოდეთ, ვიდრე პატივცემუ-
ლი მწერალი ლიტერატურული ტერორიზმის აღსაკვეთად ხმას აღი-
მალლებდა, იქამდე ყოვლად უწყინარი ლიტერატურული კრიტიკის
წინააღმდეგ გაილაშქრა.

მართალია, საკუთარი ნაწარმოების დაცვის მიზნით ვაილაშქრა, მაგრამ ვაილაშქრა თავგანწირვით, პოზიციის დაუთმობლად!

ყოველივე ამას კი საკუთარი მწერლური კეთილდღეობისათვის აკეთებდა!

მაგრამ ჯერ ისაა საინტერესო, გამოუქვეყნებელი მასალის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, რა იცოდა, რა ეწერა იმ წერილში?

მერედა, რისი ეშინოდა?!

თუ სამართლიანად გააკრიტიკებენ, ეს საკუთარი რომანის შემდგომ სრულყოფაში დაეხმარებოდა, თუ არა და, არაობიექტური კრიტიკა ხომ თავად მას დამწერს ჩააგდებდა უხერხულ დღეში?..

ძნელი დასაჯერებელია, რომ პატივცემული მწერალი წინასწარ იმისათვის ზრუნავდა, ჩემმა რეცენზენტმა სირცხვილი არ კამოსო!

* * *

ბოლოს ყველაფერი მაინც ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო: დაიბეჭდა წერილი, რომლის წინააღმდეგ ხანგრძლივად და თავგამეტებით იბრძოდა რევაზ ჯაფარიძე.

იქ გაირკვა, რომ წერილში მკაცრად არის გაკრიტიკებული ავტორიტეტული მწერალი, ჩვენში ეს რომ იოლი საქმე არ არის, დავიმოწმებ კრიტიკოს ჯანსუღ ღვინჯილიას, იმ ყურნალის რედაქტორს, სადაც გაკრიტიკებული მწერლის პასუხი დაიბეჭდა:

„ავტორიტეტული მწერლების ბარიერა ერთ-ერთი დიდი დაბრკოლებაა, ქართული კრიტიკული აზროვნების გზაზე. ამ ბარიერის გადალახვისა თუ მოშლის საქმე სერიოზული რიგის ამოცანაა. თანაც, გადაუდებელი და საშური საქმეა“.

მშვენიერი აზრია!..

მაგრამ, დიდი ილიასი არ იყოს, რამდენად უფრო მშვენიერია, იმდენად უფრო მიკვდება გული... საქმე ის არის, როცა მე სიმწრით, ამდენი დავიდარაბის შემდეგ მოვახერხე და ავტორიტეტული მწერლების ბარიერს საძირკვლიდან ერთი ქვა გამოვაცალე, პატივცემულმა რედაქტორმა გაკრიტიკებული მწერლის სრულიად შეუმოწმებელი (ეს რომ ასეა, ქვემოთ დავრწმუნდებით!) პასუხის დაბეჭდვით ეს ბარიერი უფრო დიდი ლოდით გაამაგრა!

ამასაც არ დავიხივლებდი, ქართული კრიტიკის ბედით მასავით რომ არ ვიყო დაინტერესებული.

„კრიტიკული აზროვნებისათვის არ უნდა არსებობდეს გაუკრიტიკებელი მწერლები (ე. წ. ავტორიტეტული მწერლები). ჯერ ერთი, კრიტიკა აუცილებელია თვით ამ მწერლებისათვის, რადგან განუკითხავი ქება (კარგისა და ცუდისა), ადუნებს მათი ავტორის შემოქმედებით ძალებს და საბოლოოდ უკმარისობის გრძნობისაგან განმუხტული, იგი სუსტ მწერლად ყალიბდება“.

რაკი პატივცემულ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ „კრიტიკა აუცილებელია ამ მწერლებისათვის“, რადგან „განუკითხავი ქება ადუნებს მათი ავტორის შემოქმედებით ძალებს,“ აქედან გამომდინარე, მე დახმარების ხელი გამიწვდია „მძიმე ჯვრის“ ავტორისათვის, რომ იგი „დროთა განმავლობაში სუსტ მწერლად არ ჩამოყალიბდეს“. ჯანსუღ ღვინჯილიას კი, ალბათ, უნებლიედ, ხელი შეუწყვია ამ პროცესის დაჩქარებისათვის!

ამის გარდა, რადგან კრიტიკოსს მიაჩნია:

„როდესაც ხელყოფისაგან ვიცავთ ერთს და მეორის პრესტიჟს კი გულგრილად ვეპყრობით, ჩვენდა უნებურად იმ ცილისმწამებლის დონეზე ვეშვებით, კულტურით მასსვე ვუთანაბრდებით“.

სამწუხაროდ, მე საკმაო საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს გათანაბრება მწერალსა და რედაქტორს შორის უკვე მოხდა! ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ისინი, ხელიხელჩაკიდებულნი, ჩემს ლიტერატურულ პრესტიჟსაც „გულგრილად ეპყრობიან“ და პიროვნულ შეურაცხყოფასაც მაყენებენ!

„თუ მართოდენ ასაკს გავყვებით, ორმოცს მიტანებული ჩვენი თავცეცხლა „ჯვარცმული“ თამაზ წიფწივაძე ხშირი წვერითა და ყურებზე გადაგრეხილი უღვაშებით დღესაც ვერ დაიკეცხნის...“

„რეცენზენტი არ ცხრება... პირზე იქედნური ღიმილით გამოგვეცემს რომანის სიუჟეტს...“

„შეიძლება ამაზე შორს წავიდეს ცინიზმი იმ ცინიზმისაგან, გოლა-ფაშას პირუტყვულ წადილს რომ უღევს საფუძვლად?“

„შეიძლება ამაზე შორს წავიდეს ცინიზმი, უხამსობა და ღვარძლი, რომელიც არა მართო ერთი „ცალკე აღებული“ მწერლის, არამედ მთელი ლიტერატურის წინააღმდეგ არის მიმართული?“

„ახლა ამაზე ქირქილებს ჩვენი „ჯვარცმული“, ქუდი ჩაუკეცია და ბუქნას უვლის, ბილწი კი არა, ის არ გინდაო?“

„აბა, ის ოდესმე წარმოიდგენდა, რომ ვინმე ამის გამო სამარცხვინო ბოძზე გააკრავდა და საფურთხებლად გახდიდა?“

„ალარც ჩვენს „ჯვარცმულს“ მიეცემოდა შესაძლებლობა მისი სრული არარაობა ემტკიცებინა, აღარ დასჭირდებოდა იქედნური ქარქილი...“

„...წამოიძახებს ჩვენი „ჯვარცმული“. აი, თურმე მას რა აინტერესებს... ღობის ძირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს“.

„...შეიძლება თუნდ ერთი კაცი გამოირჩეს, ვისაც ის ბინძური ეპკი დაებადება, ჩვენს პატივცემულ „ჯვარცმულს“ რომ აწვალებს?“

„აქ „ჯვარცმული“, ეტყობა, ზედმეტად ლეღავს. გარს სექსუალური ილუზიები შემოსჯავრიან“.

„თ. წივწივაძეს ეცოტავენბა, რომ „მძიმე ჯვრის“ გამო მის ავტორს თავზე ლაფს ასხამს...“

„ხომ არ გაირჯება თ. წივწივაძე და არ გვიბრძანებს, რა „შეშვენს“ „კულტურული ქვეყნის“ კრიტიკოსს... სხვათა მიერ აღიარებულ რომანზე მსჯელობის დროს? დინჯად, აუჩქარებლად... უნდა განიხილოს ნაწარმოების ავ-კარგი თუ უწმინდურობით საესე ორმოს უნდა მოხადოს თავი და ავტორიცა და მისი ნაწარმოებიც სიბინძურეში ამოაელოს?“

„გავყვეთ კიდევ? ვაჩვენოთ ისიც, რა მალაყებს გადავდივართ ხრესილის ომის ამსახველი ეპიზოდების გაქილიკებისას? ვგონებ, აღარ უნდა იყოს საჭირო...“

მართლაც, ვგონებ, აღარ უნდა იყოს საჭირო“ მსგავსი შეურაცხმყოფელი ციტატების კვლავ მოტანა, ამას ალბათ ის აჯობებს, ადრე ნათქვამი ახლაც გავიმეოროთ:

„ამ სიტყვების დამწერი „აწონილი სიტყვის“ ავტორია!..

მისი დამბეჭდავი რედაქტორი კი ავტორია წიგნისა — „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“.

რაკი ქართველი კრიტიკოსებიდან მე ნებაყოფლობით თავს ვიდე ავგიას თავლის დასუფთავება, ეტყობა, ბოლომდე უნდა მოვითმინო...

ოლონდ ერთს კი ვკითხავ პატივცემულ მწერალს, სხვათა შორის, ავტორიტეტული მწერლის — რევაზ ჯაფარიძის სიტყვებით ვკითხავ:

„...სადა ვართ? ვინ ვართ? რის დამტკიცებას ვლამობთ? ნუთუ ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და უწმაწური ლანძღვა-გინება შეიძლება პირიდან ამოუვიდეს სერიოზულ ლიტერატორს,

ვინც ოდნავ მაინც პატივს სცემს თავის მწერლურ ღირსებას და მკითხველს? ეს ვასწავლოთ ახალგაზრდობას, ამ ზნეობრივი მაგალითით წარვუძღვეთ წინ...“

ერთი ეპიკიც მინდა გაგიზიაროთ.

ჩემი წერილის ეპიგრაფის ავტორს მიაჩნია:

„კარგი წიგნი არა მარტო მკითხველის, თვით მწერლის სულსაც ამალღებს.“

ამა თუ იმ ქმნილების დასრულებისას არც ერთი მწერალი არ რჩება ისეთად, როგორც მის დაწყებამდე გახლდათ...“

ზემოთ მოტანილ ციტატებზე დაკვირვებით ასეთ დასკვნამდე მივდივარ: ან „მძიმე ჯვარი“ არ არის ის წიგნი, რაც მის ავტორს ჰგონია, ან ფრიდებერტ ტუგლასი, ესტონელი მწერალია შემცდარი!..

ეს კი, რაც სტენეალს უთქვამს, ცხადზე ცხადია და ექვს არ იწვევს: „ყოველი გონივრული საბუთი წყენას აყენებს მოკამათეს“.

ამასაც ზემოთ მოტანილ ციტატებზე დაკვირვებით ვასკენი.

* * *

მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად გააკრიტიკეს ავტორიტეტული მწერალი რევან ჯაფარიძე!

ჩვეულებრივ ლიტერატურულ ატმოსფეროში ეს ფაქტი იმდენად ბუნებრივად ჩაითვლებოდა, რომ პროფესიონალი მკითხველის გარდა არავინ დაინტერესდებოდა.

ჩვენში კი ყოველი რიგითი კრიტიკული გამოსვლაც უჩვეულო გამოხდომად აღიქმება.

ამ თითქმის უმნიშვნელო ამბით რომანის ავტორიც განცუფრებულა!

„ასე მოევლინა ქვეყნიერებას სენსაციური სათაურა: „მძიმე ჯვარი და ჯვარცმული მკითხველი“-ო!

ნორმალურ პირობებში და ნორმალურ ვითარებაში რატომ უნდა იყოს ჩვეულებრივი კრიტიკული წერილის დაბეჭდვა სენსაციური?

ანდა: რა ქვეყნიერებას გადასწვდებოდა იმ აღმანახის ფურცლები, სამ თვეში ერთხელ რომ გამოდის და ისიც ძალზე მოკრძალებული (3000 ცალი!) ტირაჟით?

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ავტორიტეტულმა მწერალმა ცკარგად იცის, მაგრამ სიმართლე ხელს არ აძლევს!—ურჩევნია მისი გაკრიტიკება რაღაც უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს დაბრალდეს, ვთქვათ, საგანგებო შეთქმულებას, და არავითარ შემთხვევაში იმას, რომ იგი ჩვეულებრივ ვითარებაში მხოლოდ იმისთვის გააკრიტიკეს, რომ სუსტი ნაწარმოები დაწერა!

იწყება მიზეზთა კვლევა და საოცარი ისაა, რომ ამ საქმეში მთელი ლიტერატურული რესპუბლიკა მონაწილეობს!

წლობით ვრკვევენ, ხომ არ ყოფილა შემთხვევა, დაპირისპირებულ „მხარეებს“, მგზავრებით გადაჭედო ავტობუსში, უნებლიეთ ერთმანეთისთვის ფეხი ფეხზე რომ დაედგათ?

სანამ ამას გააკვევდნენ, რასაკვირველია, პირველი მეხი იმ ეჟურნალის რედაქტორს დაატყდება, სადაც წერილი დაიბეჭდა!

ასეც მოხდა!

„წლების განმავლობაში გ. გვერდწითელი თავს არიდებდა ამ სტრიქონების ავტორთან პირდაპირ, პატიოსან პოლემიკას. როგორც ჩანს, მაქსიმალურად მომგებიანი დროის დადგომას ელოდა—ეს დროც დადგა. იგი ალამანას „კრიტიკის“ რედაქტორად დანიშნეს..“ (რევაზ ჯაფარიძე).

მთავარი შეთქმული გამოაშკარავებულია!

მაგრამ იმხელა საქმისთვის, როგორც რევაზ ჯაფარიძის გაკრიტიკება, მარტო ის არ იკმარება! ძალღის თავი სხვაგან არის საძებარი!

„კრიტიკოსი-რედაქტორი აქაც წინდახედულად მოიქცა -- თავად უკან დადგა, ობიექტური კრიტიკის დროშა ააფრიალა და ალმანახის ტრიბუნა... სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით განაწყენებულ სხვა პირებს დაუთმო“.

ცხადია, „განაწყენებულ პირებში“ ჩემი ჩასმა პატივცემულ მწერალს გაუჭირდებოდა, რადგან ჩვენი ურთიერთობა აქამდე ისე წარიმართა, რომ ერთმანეთთან კარგი საღმის მეტი არაფერი გვაკავშირებდა!

ამიტომ ამ საქმისთვის სხვაგვარად უნდა მოევლო. ასე გაჩნდა იდეა — ჩემთვის დაჭირავებულ კრიტიკოსის მუნდირი ჩაეცმიათ!

„ემმაკს არ ეძინა, ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა მაინც მოხდა: საგანგებოდ მოწვეულ ავტორს, პასკვილებზე დასპეციალურებულ თამაზ წიგწივაძეს დროზე ვერ ურჩიეს, თავისი განზრახვა

სათურში არ გამოემყდარებინა. ის ნელ-ნელა უნდა შეეპარებინა მიმდობი მკითხველისთვის და ნალარა არა თავში, არამედ ბოლოში დაეცა!“

ეტყობა, გამოუცდლობის ბრალია, რომ დროზე ადრე დაეტოვე სანგარი!..

პატრუცემულ მწერალს კი მკითხველის შეცდომაში შეყვანის გამოცდილება აქამდეც ჰქონია — ნელ-ნელა უნდა შეეპარებინა მიმდობი მკითხველისათვის და ნალარა არა თავში, არამედ ბოლოში დაეცაო!

რომანის ავტორმა ჩემი „მორალური სახე“ თუმცა არასახაროვნო კუთხით წარმოაჩინა, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ მე „საგანგებოდ მომიწვიეს“ ავტორიტეტული მწერლის „დასაძნობად“, ჩემს ლიტერატურულ შესაძლებლობებს რამდენადმე ფასს მატებს!

რასაკვირველია, უნიჭო კაცს ამ საქმისთვის არ დაიჭირებდნენ! ეს იგივე იქნებოდა, მსოფლიოს სახელის მქონე გრანდების გუნდში რიგითი ფეხბურთელი მიეწვიათ!

უნდა ვიფიქროთ, საგანგებოდ მოწვეული კრიტიკოსი საგანგებო პირობებსაც მოითხოვდა — ადვილად არაფერზე დათანხმდებოდა!

შეთქმულებს იდეალური ატმოსფერო შეუქმნიათ:

„ა, ბატონო, ბურთი და მოედანი! აღმანახის კარი ღიაა, საჭირო გვერდების რაოდენობა განუსაზღვრედი, მიდი და დაამტკიცე, თუკი რამე შეგიძლია!“

ეტყობა, მართლაც ბევრი რამ დავამტკიცე! ისიც კი მოჩვენებით, შესრულებული სამუშაო ერთი კაცის შესაძლებლობებს დიდად აღემატებოდა და ეჭვი კონსულტანტებზე მიუტანიათ!

„ჭირს, სწორედ რომ ჭირს კამათი სტატიის ავტორთან და მის ინკოგნიტო კონსულტანტებთან“.

საკუთარ ლიტერატურულ უილაჯობაზე წუხს ავტორი.

და ყველაფერი ეს მარტო იმისთვის კი არ კეთდება, რომ პატრუცემული მწერლის ერთი კონკრეტული ნაწარმოები დაიწუნონ, თურმე შეთქმულებს უზურში სხვა რამ ჰქონიათ — პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით თავად მწერალი დაამხოწ!

ამ მიზნის მისაღწევად „ლიტერატურული ტერორისტები“ შანტაჟსა და პროვოკაციასაც არ ერიდებიან!

„არის თუ არა ეს აშკარა პროვოკაცია...“ მკითხველის დარწმუნებას ცდილობს პატივცემული მწერალი და ამ ექვს უფრო ამბავ-რბებს:

„რაკი რევაზ ჯაფარიძე ამოჩემებულად არ მოგვწონს და ქართულ ლიტერატურაში ზედმეტ აღამიანად მიგვაჩნია, გადავაქციოთ ბავშვის ნაბანი წყალი და ბავშვიც თან გადავაყოლოთ?“

ვაგლახ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში მარტო თ. წიგწი-ვაძეს და გ. გვერდწითელს არ ეკითხება, სხვებიც აცხადებენ პრეტენზიას“.

ეს კი მეტისმეტია! პატივცემულ მწერალს ეჩვენება, რომ წინ ნახევარი საქართველო გადადგომია!

აი ლეგენდა, გაკრიტიკებულმა მწერალმა საკუთარი უმწეო ნაწარმოების დასაცავად რომ შექმნა!

.

მე საწყალი კი ახლა ვრწმუნდები, ყურნალის რედაქტორებს წინასწარ ჰქონდათ ამოცნობილი. რასაც გაკრიტიკებული რევაზ ჯაფარიძე მოიშოქმედებდა და ამიტომაც იყო, ჩემი საცოდავი წერილით კარდაკარ დიდხანს რომ მატარეს...

* * *

თავის საპასუხო წერილში პატივცემული მწერალი არ მალავს ჩემდამი დამოკიდებულებას და ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, როგორმე უპატივცემულოდ მომეპყრას.

„თ. წიგწივაძე... ქირქილის გუნებაზე დამდგარა“.

„ახლა ამაზე ქირქილებს ჩვენი „ჯვარცმული“; ქუდი ჩაუქეცია და ბუქნას უვლის“.

„...რა გამოგვიჩნდა მორიგი სამასხარაო?“

„...ლობის ძირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს“.

„აქაც ოხუნჯობს ჩვენი „ჯვარცმული““.

„რა ვქნა, როგორ წავართვა ლაზღანდარებს ჩემი ქუდი...“

რა თქმა უნდა. სასიამოვნო არ არის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეს დამამცირებელი სიტყვები გესმოდეს, მით უფრო, როცა თავი ლიტერატორი გგონია და ქუჩის მასხარად გამოყავხართ, მაგრამ ჩემი ხანმოკლე ლიტერატურული ცხოვრება ისე აეწყო, ისე შევეჩვიე ყოველივე ამას, რომ არც მიკვირს, „ეს რა ხმები ესმის ჩემთა ყურთა...“

ასეც არ მაკმარეს, კიდევ უფრო გასამახსნარებლად ნაუცბათევი სახელიც შეურქმევიათ ჩემთვის:

„ჯვარცმული მკობველი“, სათაურში რომ ზარ-ზეიმით მოვიხსენიე, მე თავად ვარო! კეთილი და პატიოსანი. ვის წაართმევ უფლებას, თავის თავს ის დაუძახოს, რაც გაეხარდება? მეც ნუ დამძრახავს და ნუ მიწყენს, თუ ქვემოთ ამ სახელით მოვიხსენიებ, უფრო მოკლედაც, ადგილის დაზოგვის მიზნით მარტო „ჯვარცმულს“ ვუწოდებ, რადგან მარჯვე სახელია, მოკლედ არის და პატრონის კამათის ფორმასაც ზუსტად მოუხდება“ (რევაზ ჭაფარიძე).

სულ ტყუილად შიშობს პატივცემული მწერალი — ნუ დამძრახავ და ნუ მიწყენო. როდის ყოფილა, მე ვინმე დამძრახოს ან ვინმესგან რაიმე მწყენოდეს. ასლა კი მით უფრო უნდა მიხაროდეს — დიდი ქართველი მწერალი ნათლიად მომეკიდა!

თუმცა ისტორიული რომანის ავტორს ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ აქამდე ქრისტიანულ სამყაროს ერთადერთი ჯვარცმული ჰყავდა — უფალი იესო!

ამიტომ ამ თემაზე და ამ საგანზე ამგვარი „ხურობის“ უფლება თავისთვის არ უნდა მიეცა!

ასე მისთვის აჯობებდა, თორემ ჩემთვის გაცილებით უკეთესია! — დღეიდან საქრისტიანოს ორი „ჯვარცმული“ ვეყოლებით!..

სხვათა შორის, ტყუილად ჰგონია პატივცემულ მწერალს, რომ „ჯვარცმული“ სალანძღავე სიტყვაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ნება მომეცით, ილიას აზრი მოგახსენოთ.

„მოდით და იმისი ვაბუტვა და თვალთა ბრიალი აიტანეთ, ვისაც ნაწერი დაუწუნეთ, თუნდ ძალიან საბუთიანადაც. რომ გამკითხველს გაკითხული მტრად გადაეკიდება და ეცდება სხვასაც გადაჰკიდოს... ამას უნდა თუ არა გაძლება? განა ჯვარცმა არ არის ასეთი გარემოება კრიტიკოსისათვის!“

რაკი ახალი სახელის შექმნის მექანიზმი მასწავლა, უმორჩილესად ვთხოვ ჩემს ძვირფას ნათლიას, ნება დამართოს ამ კუთხით მჭირვ საშახურბი მეც გავუწიო:

პატივცემული მწერალი ერთგან წერდა: „რაკი თავზე ნაცარი წავიყარე“...

აქედან ასეთი სახელი გამოვა: თავზენაცარწყარილი პატივცემული მწერალი...

თუ ეს გრძლად მოგვეჩვენება, „ადგილის დაზოგვის მაჰნით“ პირდაპირ „ნაცარწყარლის“ დარქმევაც შეიძლება!

აი, ნახეთ რა სხარტად და მოკლედ გამოვა!

„ნაცარწყარლ“ მწერალს ძალაღან მოსწონს საკუთარი რომანი..

„ნაცარწყარლი“ ჩემი კრიტიკით უკმაყოფილოა!..

* * *

კი შეგპირდით, რომ ასე მოვიქცეოდი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, დანაპირების შესრულება გამიჭირდა. ყოველ შემთხვევაში, მე ამას ვერ შევძლებ! რადგან სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენება ჩემთვის ბუნებრივი საქციელი ვერ იქნება. ამას კიდევ ის მირჩევნია (როგორც არაერთხელ უქნიათ), ისევ აქეთ მლანძღონ.

ამიტომ რევაზ ჯაფარიძე ჩენთვის ისევ პატივცემულ მწერლად დარჩება, როგორც აქამდე იყო.

* * *

აღბათ, ვიკვირთ კიდევ, თავის მართლებას რომ არ ვჩქარობ. ამას გარკვეული მიზეზი აქვს. ჭერ ერთი, პატივცემული მწერალი თავის წერილის მთელ სიგრძეზე მხოლოდ მიყვირის და ძნელი გასაგები ხდება, რაში მადანაშაულებს.

მეორეც, რაკი ამ ყვირილზე გული არ გამისკდა და აზროვნების უნარიც შემრჩა, სულაც არ არის ძნელი (ამაში მალე დარწმუნდებით), ყველა იმ ნაძალადევი ბრალდებისაგან თავი რომ დავიცვა.

მორჩილად ვხრი თავს და ქვემოთ შევეცდები, აღვიდგინო პატროსანი კაცის სახელი. ამასთან, რაკი პატივცემული მწერლის აზრით, „დაქირავებული თავდამსხმელი“ ვარ, შევეცდები ჩემს „ბუნებას — არ ვუღალატო და, ზოგი ბრალდების გაბათილების შემდეგ. ცოტა კიდევ შევეუტიო!

* * *

თურმე ნუ იტყვით, გაოცებულია პატივცემული მწერალი. ქართულ მწერლობაში „მძიმე ჯვრის“ გამოქვეყნებამდეც არსებობდა ამ სათაურის მქონე ნაწარმოებო და, მერე ოღნავ გამოწვევიანაც, გვეკითხება:

„ხომ არ გვიბრძანებთ, სად არის ის ნაწარმოები? ავტორი არა ყავს? ასე ყველამ როგორ დაივიწყა, რომ მხოლოდ ჩვენს „ჯვარცმულს“ ახსოვს?“

რასაკვირველია, სწორი არ არის ამის თქმა — ასე ყველამ როგორ დაივიწყაო. რაკი პატივცემულმა მწერალმა იმ წიგნის სათაურა გადმოწერა, ხსოვნებია კიდევ! ამის გარდა, ყველას რომ დავიწყნოდა, მაშინ აღარც მე მეცოდინებოდა, რადგან ეს ამბავი იმათგან ვიცი, ვისაც დღესაც ახსოვს!

რა თქმა უნდა, ეს კარგად იცის პატივცემულმა მწერალმაც და იმიტომაც გაბედულად სვამს კითხვას — „ხომ არ გვიბრძანებთ, სად არის ის ნაწარმოები? ავტორი არ ყავს?“

სამაგიეროდ, სხვა ავტორს დავასახელებ, ვისი სათაურითაც დავალებულია თქვენი ნაწარმოები! მისი სახელი და გვარა ლეონჰარდ ფრანკი! თუ „გვიბრძანებს“ რევაზ ჭაფარიძე, მაშინ სახელსაც მოვახსენებთ!.. მოთხრობას კი ჰქვია „ჯარისკაცის ქვრივი“.

„ეს რომ წავიკითხე, მართალი მოგახსენოთ, შევწუხდი და მაშინვე უნივერსალური ცნობარი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ გადავშალე“.

ვიდრე პატივცემული მწერალი შესაბამის გვერდს მოიძევდეს შესაბამის ტომში, იქამდე ყურადღება მივაქციოთ, რევაზ ჭაფარიძე რომ ნერვიულობს — მართალი მოგახსენოთ, შევწუხდიო...

ე. ი. თუ აღმოჩნდება, რომ ლეონჰარდ ფრანკს მართლა აქვს ამ სახელწოდების ნაწარმოები, მწერლისთვის ეს დიდად სამწუხარო იქნება!

ამჟობაში „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიაში“ საინტერესო ცნობაც უპოვიათ:

„27-ე ტომის 614-ე გვერდზე მართლაც არის მოხსენებული ეს მწერალი — გერმანელი ყოფილა, ღურგლის შვილი...“

წინადადებიდან ირკვევა (თუ არ „ეშმაკობს“, რასაკვირველია), რომ რევაზ ჭაფარიძეს პირველად ახლა გაუგია ამ მწერლის სახელი — გერმანელი ყოფილაო... თანამედროვე მწერალს კი მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს დაგროვილი საზღვარგარეთელ კოლეგებზე!

„დიდმა საბჭოთა ენციკლოპედიაში არ იცის ლ. ფრანკის ასეთი რომანი და მაინც და მაინც მე ვიყავი ვალდებული მცოდნოდა... „შემოკვიჩივის „მძიმე ჯვრის“ ავტორი.“

ამავე სახელწოდების რომანი ლეონპარდ ფრანკს მართლაც არა აქვს. მას ამავე სახელწოდების მოთხრობა აქვს!

ჩვენში და სხვაგანაც ლეონპარდ ფრანკის შესახებ მოცემულ ყოველ ინფორმაციაში უცვლელად მეორდება, რომ მან ემიგრაციაში (შვეიცარიაში) ყოფნის დროს დაწერა „ჯარისკაცის ქვრივი“.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ 1969 წ. ქართულ ენაზე გამოსცა მისი რომანი „ქრისტეს მოწაფეები“. წინათქმაში ქალბატონ ნელი ამას უთქვამს: „საკვიროდ მიუჩნევია, მკითხველისათვის შეეხსენებინა, რომ ლეონპარდ ფრანკი სხვა ნაწარმოებებთან ერთად ავტორია მოთხრობისა „ჯარისკაცის ქვრივი“.

„ომის საშინელებით შეძრწუნებულმა შვეიცარიაში ჯერ ომის წინააღმდეგ მიმართული მოთხრობები „მამა,“ „ჯარისკაცის ქვრივი...“ დაწერა, შემდეგ კი ცნობილი წიგნი „ადამიანი კეთილია“.

ასე რომ, კეთილ ადამიანებს დღესაც ახსოვთ გერმანელი მწერლის ის მოთხრობა, პირველი მსოფლიო ომის დროს რომ დაწერა და სათაურად „ჯარისკაცის ქვრივი“ დაარქვა!

ანევე, აგერ ახლახან ცალკე წიგნად გამოვიდა რევაზ ჯაფარიძის რომანი „ვნების კვირა“. ამ სათაურის რომანი კი „ცოტა ადრე“, 1956 წელს დაწერა ფრანგმა მწერალმა ლუი არაგონმა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ კარგი საქმე გააკეთა, ამ რომანის ქართული თარგმანი ახლახან რომ გამოსცა — ჰატიცემულ რევაზ ჯაფარიძეს, ჩემი ნათქვამის შესამოწმებლად, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მძიმე ტომების ხელახლა გადმოლაგება აღარ დასჭირდება!

* *

მკითხველს დავპირდი, ყოველი ბრალდების გაბათილების შემდეგ მწერალს იქით შევუტევ-მეთქი, დამატებით რომ მეჩვენებინა სარეცენზიო რომანის სისუსტე.

ვასრულებ დანაპირებს.

„მძიმე ჯვრის“ მიხედვით როსტომ ერისთავს ჰყავს ერთგული ყმა ალი ენგიჩარი. მის ბიოგრაფიაში ასეთი დეტალია: მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში, შეაკეთა აიასოფია, გადავიდა ეთიოპიაში, ადის-აბებაში, მერე კარნუ-ქალაქში, და ბოლოს, სტამბოლსაც უწიაო.

სამწუხაროდ, ალი-ენგიჩარს სამასი წლით დააგვიანდა! — დაახ-

ლოებით ამდენი დროა ვასული აიასოფიას ტაძარი, მის დაუხმარებლად, მეჩეთად რაც გადაკეთდა!..

სამაგიეროდ, ალი-ენგიჩარი ადრე წასულა ადის-აბებაში! იმდენად ადრე, რომ ეს ქალაქი მაშინ დაარსებული არც იყო!..

მხოლოდ 150 წლის შემდეგ, ალბათ, ალი-ენგიჩარს „პატივისცემად“ დააარსა იგი იმპერატორმა მენელიკ II.

აქედან გამომდინარე, ადის-აბების დაარსებაში მცირეოდენი წვლილი (ისევე როგორც ყველა საქმეში!) ქართველებსაც მიგვიძღვის, თუმცა რაღა „მცირეოდენი,“ როცა მისი დაარსების იდეა პატივცემულ მწერალს, რევან ჯაფარიძეს 150 წლით ადრე ვასჩენია!...

ალი-ენგიჩარი (ბედო არ გინდა?) თავის დროზე ვერც კარნუქალაქში მოხვედრილა! რომანის ავტორი და ალი-ენგიჩარი ეძახიან ასე ამ ქალაქს, თორემ იმ დროისთვის კარნუქალაქს არაზრუმი ჰქვია!..

„პატრებს ისიც ჩინებულად მოეხსენებოდათ, რომ როსტომ რაჰის ერასთავი მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, თვით იერუსალიმში, წმინდა ბარბალეს მონასტერს აშენებდა“.

ალი-ენგიჩარისა არ იყოს, იერუსალიმსაც ხეტიალი დაუწყია! ამდგარა და პალესტინიდან წამოსული მცირე აზიის ნახევარკუნძულზე ისე მოსულა, „მსოფლიოს გეოგრაფიული საზოგადოების“ წარმომადგენლებისთვისაც არაფერი უკითხავს!..

თუმცა საშიში არაა, დაკარგვით მაინც არ დაიკარგება! — ასე არ იყო, კონსტანტინოპოლიდან წამოსულმა ალი-ენგიჩარმაც (ღიღიწვალებით!) ბოლოს სტამბულს რომ უწია?..

* *

მე ჩემს წერილში არ გავიზარე პატივცემული კრიტიკოსის, გიორგი ნატროშვილის აზრი: „რ. ჯაფარიძის რომანის პირველ და მეორე წიგნებში უკვე ჩანს ძირითადი კონფლიქტი ამ მართლაც შექსპირული მასშტაბის ტრაგედიისა“.

ამის თაობაზე რევან ჯაფარიძე მპასუხობს:

„ეს „შექსპირული მასშტაბის ტრაგედია“ და „შექსპირული ხასიათები“ სამი კრიტიკოსის — ბესარიონ ჟღენტის, გიორგი ნატროშვილის და დევი სტურუას წერილებში გვხვდება. რაკი მაღალი შეფასება არ მოსწონს (ეტყობა, პატივცემულ მწერალს ძალიან

მოსწონს — თ. წ.) და დაუმსახურებელ ეპითეტად მიაჩნია. რაღა დაგიმალთ, მეგონა, თ. წიფწივადე სწორედ ამ დებულების კრატის ფონზე გაშლიდა თავის მსჯელობას... მაგრამ მან ეს არ ინება“.

რატომ არ ვინებე, ახლავე მოგახსენებთ.

ჩემს კრიტიკოსობას თავი რომ დავანებოთ, პატივცემული მწერლის თვალში მე ნორმალური კაცის შთაბეჭდილებასაც ვერ ვტოვებ. მისი წერილის მიხედვით ქუჩის ავარა ბიქს უფრო გვაყარ!

„ლობის ძირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს“.

„...ქუდი ჩაუკეცია და ბუქნას უვლის“.

ამის შემდეგ მე რომ მემტკიცებინა, რევაზ ჯაფარიძე და უილიამ შექსპირი განსხვავებული ძალის მწერლები არიან და ერთმანეთში არ აგვერიოს-მეთქი, მაშინ პატივცემული მწერლის ასრა ჩემზე სომ გამართლებული იქნებოდა?

მაშინ ზომ ლიტერატურული საზოგადოების თვალშიც ისეთი გამოვიჩნდებოდა, როგორც პატივცემულ მწერალს ვგონივარ?

აი, რატომ არ „ვინებე“ მსჯელობის გაშლა ამ „დებულების ფონზე“.

* *

„მძიმე ჯვრის“ ავტორი, კითხვაზე პასუხას გაცემა რომ მომანდო, მერე მკითხველს მიუბრუნდა: „ჩვენ კი წინ წავიდეთ, ვინაიდან ერთობ გრძელი და მომქანცველი გზა გველოდება“-ო.

რაღაც მაქვს გასარკვევი და ახლა მე უნდა ვთხოვო მწერალს შვირე ხნით დაყოვნება.

„ჯვარცმულის“ აღშფოთებას იწვევს თვით ანოტაციაც კი წიგნისა, რომელსაც რატომღაც ავტორის დაწერალად თვლის“.

ასე რომ მეფიქრა, ამისათვის საკმაო საფუძველი გამაჩნდა, რადგან ყოველ ახალ გამოცემაში ანოტაციის ეს ფრაზა — რომანში ცოცხლდება მე-18 საუკუნის საქართველო — უცვლელად მეორდება. დამეთანხმებით, ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ იგი წიგნის ავტორს ეკუთვნის!

რევაზ ჯაფარიძე კი ამტკიცებს:

„სხვათაშორის, ანოტაცია გ. ნატროშვილის იმავე წერილიდა-

ნაა, საიდანაც ჩვენს ძვირფას „ჯვარცმულს“ ავტორის გამამტყუნებელი ციტატი მოაქვს“.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მომიწევს ჩვენი ძვირფასი მწერლის გამტყუნება! — რადგან ეს სადავო ფრაზა „მძიმე ჯვრის“ პირველ გამოცემაში („მერანი“, 1973 წ.) გვხვდება, გიორგი ნატროშვილის წერილი კი დიდი მოგვიანებით დაიწერა!

აბა, თავად პატივცემულ გიორგი ნატროშვილს მოუხსენით:

„რ. ჯაფარიძის რომანის პირველ და მეორე წიგნებში უკვე ჩანს...“

ციტატის გაგრძელება საჭირო აღარ არის, რადგან „უკვე ჩანს“, რომ პატივცემული კრიტიკოსის წერილი მოგვიანებით დაწერილა! კერძოდ, მაშინ, „პირველი და მეორე წიგნები“ ერთად რომ გამოსულა: ეს კი 1979 წელს მოხდა!

საინტერესო შემთხვევაა, არა? ბოდიშს კი ვისღი მწერლის დაყოვნებისათვის, მაგრამ ეს საქმე რომ არ გამერკვია, ბრალი მეღამედებოდა!

ახლა სცადოს და ავტორმა დაიცვას თავი!

* *

„ბატონიშვილმა თუთამ, თექვსმეტი წლის მოწიფულმა ქალმა, რომელიც გივი ამილახვრის შვილიშვილს ჰყავდა დანიშნული და სააღღგომოდ ჯვარიც უნდა დაეწერათ, ამ წუთიდან სამად სამი დღე იცოცხლა“.

შესაშური სიზუსტეა! — ამ წუთიდან სამად სამი დღე იცოცხლათ. მაგრამ ავტორს უნდა მოესხენებოდეს, რომ თეიმურაზ II, ერეკლე II და გივი ამილახვარი ცნობილი ისტორიული პიროვნებები იყვნენ, ამიტომ ამ სფეროში რა ფანტაზიაც არ უნდა აწვალვებდეს, ელემენტარული სინამდვილის ცოდნა მაინც საჭიროა!

ცნობილია, რომ ერეკლეს 24 შვილი ჰყავდა. რევაზ ჯაფარიძეს კიდევ ერთი მიუმატებია — აქამდე უცნობი თუთა ბატონიშვილი! რომელიც, მწერლის ფიქრით, „გივი ამილახვრის შვილიშვილს ჰყავდა დანიშნული და სააღღგომოდ ჯვარიც უნდა დაეწერათ...“

თუ ამ „სიზუსტეს“ მივყევებით, ერეკლეს 24 შვილიდან თუთა არც ერთს არ ერქვა!..

თუ ამ „სიზუსტეს“ მიყვებით, გივი ამილახვარს შვილიშვილი საერთოდ არ ჰყოლია!..

საბრალო თუთას კიდევ რომ ეცოცხლა, არარსებული დედოფალი არარსებულ სიძეზე სააღდგომოდ ჯვარს როგორ დაიწერდა?!

ამ სიზუსტით, სიძე-დედოფალი რომ ამოიციხო მწერალმა, თავისუფლად შეეძლო. ქორწილში თამადად ვახტანგ გორგასალი მიეწვია, მაყრად დავით აღმაშენებლის ლაშქარი ეახლებინა!

თუ ჩვენი თანამედროვეც მოხვდებოდა ქორწილში, ისე კაი ხალხში ექნებოდა საქმე. სააღდგომოდ მისული ძველით შობა-ახალწლამდეც იქ დარჩებოდა. უკეთეს ადგილას სად წავიდოდა?

* *

ქვემოთ მწერლის ორ წინადადებას მოვიტან:

„თეიმურაზმა ვახტანგის სიძობით ისარგებლა: რაკი ბატონიშვილს ნადირმა სპარსეთის ლაშქრობებში გაწეული დეაწლი დაუფასა და ნიშნად წყალობისა ქართლი უბოძა, ისიც დაუყოვნებლივ გამოემგზავრა სამშობლოში და სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში შეფედ ეკურთხა. ქართლის მეფე ვახტანგი, მტრისგან მორეული და დამხობილი, ამ დროს გადახვეწილი იყო სამშობლოდან და თავისი მრავალრიცხოვანი ამალითურთ, რუსეთის ძველ სატახტო ქალაქ მოსკოვში ცხოვრობდა“.

ამასთან დაკავშირებით მე ვწერდი:

„ეს ციტატი მხოლოდ ორი წინადადებისაგან შედგება და, როგორ გგონიათ. რამდენი შეცდომა შეიძლება დაუშვა ორ წინადადებაში?“

წინასწარ ამის ზუსტი განსაზღვრა გაჭირდება, ისე, თვალდათვალ ეტყობა, ცოტა არ უნდა იყოს“.

ჩემი შენიშვნებიდან პატივცემული მწერალი მხოლოდ ა და ბ პუნქტებზე არ დამეთანხმა, სხვა დანარჩენი სადავოდ არ გაუხდია.

მაგალითად, სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ მიუხედავად ამ გაურკვევლობისა, ვერც ერთი მათგანი „დაუყოვნებლივ სამშობლოში ვერ გამოემგზავრებოდა“, რადგან ისინი, მამაც და შვილიც, ორთავენი, კარგა ხანია, სამშობლოში იყვნენ“.

მაგალითად, სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „იმ დროს, როცა თეიმურაზი ქართლის ტახტზე (1741 წ.) დაჯდა, ვახტანგ VI მოსკოვში აღარ ცხოვრობდა, სამწუხაროდ, იმ ქვეყნად იყო წასული“.

მაგალითად, სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ ვახტანგ VI „მარტო სამშობლოდან კი არა, ამ ქვეყნიდანაც საერთოდ წასულა — შვიდი წელი იყო ასტრახანის მიწაში იწვა...“

მაგალითად, სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „ორი წინადადების პირობაზე ამდენი შეცდომა ბევრია“.

ანუ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არც ერთ არსებით შეცდომაზე „მძიმე ჯვრის“ ავტორს პასუხი არ გაუცია!

ეტყობა, ასე რომ მოიქცე, ამის უფლებასაც მოპოვება უნდა!

ყოველ შემთხვევაში, მართლაც დიდი მწერალი უნდა იყო, ყველათვის საეაღებულო კამათის ეს წესი, შენზე რომ არ ვრცელდებოდეს!..

მე კი ვიდრე ამ შედავათიანი „პატენტის“ მფლობელი გავხდებოდე. იქამდე ათასობით შენიშვნაზე მომიწევს პასუხის გაცემა...

ამიტომ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ა პუნქტთან დაკავშირებით რომანის ავტორი გაცილებით მართალია, ვიდრე მე. ამიტომ ბოდიშს ვიხდი პატივცემული მწერლის წინაშე არა მარტო აქ, არამედ მთელ ჩემს წერილში დაშვებულ ამ ერთადერთ უზუსტობაზე.

შემოთ ვთქვი — ავტორი გაცილებით მართალია. გაცილებით და არა სავსებით. რადგან მწერლის ფრაზას აშკარად აკლია სიცხადე და გაუგებრობაც ამან წარმოშვა.

ძნელი მისახვედრია, რომ „სპარსეთის ლაშქრობები“ მაინც და მაინც სპარსელების მიერ სხვათა ქვეყნების დალაშქრას ნიშნავს, მით უფრო, როცა მწერალი ამის ახსნას ცდილობს, თავადაც ცდება.

„საიდან გამოძინარეობს წერილის ავტორის ეს აზრი?.. ნუთუ იქიდან, რომ „სპარსეთის ლაშქრობა“ „სპარსეთზე ლაშქრობას“ ნიშნავს? ვითომ ასეა?

გავიხსენოთ... რომაელთა ლაშქრობები ჩრდილოეთ აფრიკაში, სხვანაირად პუნიკურ ომებს რომ უძახიან“.

პატივცემულ მწერალს უნდა მოვახსენოთ, რომ „პუნიკური ომები“ სწორედ პუნების (ფინიკიელების) წინააღმდეგ ომს ნიშნავს

და სხვას არაფერს. ამის თაობაზე თუ მე არ დაძიჯერებს, სხვებსაც ჰკითხოს, ვისაც ამ საქმეში ჩვენზე მეტი გაეგება!

მაგრამ „მძიმე ჯვრის“ ავტორის ეს შეცდომაც არ იქმარებს საინტერესოდ, თავი რომ ვიმართლო. მეტი ყურადღებით რომ ვყოფილიყავი, ეს მცირე უზუსტობაც არ გამეპარებოდა. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდისს, პატივცემულ მწერალს უნებურად გული რომ ვატყინე.

„რა ვუპასუხოთ ბ. პუნჭტს, რომელშიაც „ჯვარცმული“ ავტორიტეტულად გვმოძღვრავს, როცა თეიმურაზზე და მის შვილზეა საუბარი, მაშინ კახელ ბატონიშვილში ყოველთვის პატარა კახს გულისხმობენო“? — გვეკითხება მწერალი.

უნდა ვუპასუხოთ, რომ ეს სრული სიმაართლეა!

ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო!

„აბა, ერთი ხელახლა წავიკითხოთ. რა ირკვევა?“ — ბრძანებს პატივცემული მწერალი და აღრინდელ ნათქვამს ასე ხსნის:

„სიტყვა-ტერმინი „ბატონიშვილი“ წინადადებაში ნახმარია „ჩამოშვებულის“ აზრით. ნათქვამია, რომ ნადირმა ქართლის სამეფო ტანტი ბაგრატიონთა კახური შტოს ჩამოშვებულ თეიმურაზს მისცა. თეიმურაზი კი, როგორც მისი შვილი ერეკლე, ვიდრე მეფედ ეკურთხებოდა, ბატონიშვილის ტიტულს ატარებდა“.

ღიახ, ნამდვილად ასე იყო — თეიმურაზი ვიდრე მეფედ ეკურთხებოდა, ბატონიშვილის ტიტულს ატარებდა!..

მაგრამ, როცა „ნადირმა, ნიშნად წყალობისა, ქართლი უბოძა“, ეს კი, მოგეხსენებათ, 1744 წელს მოხდა, თეიმურაზი უკვე თერთმეტი წელიწადია კახეთის მეფეა და არა ბატონიშვილი!

აქედან გამომდინარე, პატივცემულ მწერლის კითხვას: „მაშასადამე, როგორ ყოფილა საქმე?“ — ასე უნდა ვუპასუხოთ. თეიმურაზი რომანის ავტორს 1744 წელსაც ბატონიშვილი რომ ჰგონია, სიმაართლეს არ შეეფერება, აგერ უკვე თერთმეტი წელიწადია, რაც მეფე გახლავთ!

„კიდევ უფრო გულდასაწყვეტად გაგვიხდება საქმე, როდესაც შევიტყობთ, რომ წერილის ავტორის მიერ საბაექროდ გამოტანილი „ორი წინადადება“ წიგნის ახალ, 1970 წლის გამოცემაში, რომელსაც რომანის ავტორის გამრჩევი ყოველი კრიტიკოსი უნდა

ეყრდნობოდეს, საერთოდ არ არის. ასე რომ, ამ ადგილას მკითხველ-
ლაცა და ჩვენი თავიც ტყუილად მოვაცდინეთ“.

მწერალს უფრო გულდასაწყვეტად ალბათ მაშინ გაუხდება საქ-
მე, როდესაც შეიტყობთ, რომ ეს „ორი წინადადება“ მე ზემოთ
დასახელებული, 1979 წლის გამოცემიდან ამოვწერე...

სერიოზულმა მწერალმა კი თავის საყვარელ მკითხველს ასეთი
სიყალბე არ უნდა აკადროს!

* *

როგორც ნახეთ, მე კიდევ ერთა მძიმე ბრალდებისაგან ვიხსენი
თავი და ახლა საშუალება მაქვს, რომანის ავტორს მოვთხოვო
ახსნა-განმარტება შემდეგი წინადადების გამო:

„ასტრანანს გაემგზავრენ ბატონიშვილები გიორგი და იულო-
ნი, ერეკლეს ძენი, რომელთაც საყვარელი პაპა უნდა დაეტარები-
ნათ და მისი კუბო სამშობლოდან ჩატანილი მიწით დაეფარათ“.

პატივცემულ მწერალს ერეკლეს 24 შვილიდან ასტრანანს გასამ-
გზავრებლად იულონი კარგად ვერ შეუტრჩევია, რადგან ამ დრო-
ისთვის ის ხუთი წლისაც არ არის!

ალბათ, დამერწმუნებით, რომ პატარა იულონის ასტრანანში
ჩაყვანა უფრო ძნელი საქმე იქნებოდა, ვიდრე იქიდან თეიმურაზის
ცხედრის სამშობლოში ჩამოტანა.

ამის გარდა, მშობლებს მოწყვეტილი ეს „ლუქუმწოვარა“ ბავ-
შვი იმდენს იტირებდა გზაში, „საყვარელი პაპის დასატირებლად“
აღარ ივარგებდა!..

* *

პატივცემული მწერალი ჩემი გვარ-სახელის დამოწმებისას მუ-
დამ შემოკლებული ფორმით კმაყოფილდება — „თ. წიფწივაძე“.
მის თვალში, ალბათ, ამის ღირსიც არა ვარ, მაგრამ კიდევ უფრო
შეკუმშვა აღარ ხერხდება, რადგან მარტო „თ. წ.“ მკითხველს აღა-
რაფერს ეუბნება.

სამაგიეროდ, საკუთარ თავს მეტი პატივისცემით და სიყვარუ-
ლით ეკიდება და მუდამ ასე წერს: „რევაზ ჯაფარიძე“. თუ შემ-
თხვევა მიეცა, უფრო სრული ფორმითაც გვთავაზობს: „რევაზ ან-
დრიას ძე ჯაფარიძე“.

თავის თავზე შეყვარებულ კაცს ამისთვის ალბათ, ვერც გაამტყუნებ.

არც მე გამიხსენებია ამ მიზნით ეს ამბავი! მინდა მკითხველმაც იცოდეს, რომ ამ გარემოებას „თ. წივეწივაძე“ ანგარაშს უწევს და თავის თავზე შეყვარებული მწერლის სახელსა და გვარს შემდგომშიც მთელი სიგრძე-სიგანით მოიხსენიებს...

• •

ადრე ვწერდი, რევაზ ჯაფარიძე ჩემი საყვარელი მწერალი არასოდეს ყოფილა, მის პიროვნულ ღირსებებს კი მუდამ პატივს ვცემდი. ახლაც ამიტომ არის, რომ პატივცემული მწერლის ყოველ შენიშვნას ყურადღებით ვეკიდები.

„აწი რა ვქნათ? რომ არ მოგვეწყინოს და უნებლიეთ არ ჩავთვლიდნოს, ხომ უნდა ვიპოვოთ რაიმე საოხუნჯო მასალა? და თ. წივეწივაძეც პოულობს“.

ეტყობა, პატივცემულ მწერალს და მე სხვადასხვანაირად გვესმის ოხუნჯობის მნიშვნელობა. მაგალითად, ამ წინადადებაში მე საოხუნჯოს ვერაფერს ვხედავ:

„სწორი არ არის, თითქოს სოლომონის პირველი ცოლი, თინათი, ინალიშვილის ქალი იყო“.

მართლა ვერ ვხვდები, რადგან იგი დოკუმენტური სიზუსტით გადმოგვცემს ისტორიულ სინამდვილეს.

მწერალი მაინც გაუბრაზებია ჩემს მოკრძალებულ განცხადებას. ის წერს:

„თ. წივეწივაძე ფრჩხილებში შენიშნავს:

(სხვათა შორის ინალიშვილის ქალი ცოლად ჰყავდა კაცია და-დანს, თუმცა გაეყარა (ვინ ვის? — რ. ჯ.) და მეორედ იქორწინა ერეკლე მეორის დაზე — ელისაბედზე).

რაკი ფრჩხილებში შევნიშნავ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არასწორად შევნიშნავ! მაგრამ რომანის ავტორს ჯერ იმის გარკვევაში დავუხმაროთ, რომ გვეკითხება, ვინ ვის გაეყარაო.

რადგან ერთ-ერთი „გაყრილი“ ჯვარს იწერს ერეკლე მეორის დაზე, ელისაბედზე, ეს რასაკვირველია, კაცია იქნებოდა.

თინათის ამ გადაწყვეტილების მიღების „ტექნიკური“ საშუალება არ გააჩნდა — ცოლად ვერ მოიყვანდა ელისაბედს.

ეს ასე ძნელი მისახვედრი რომ არ იყო?

ყოველ შემთხვევაში, იმაზე ძნელი ამოსაცნობი არ იქნებოდა, ვიდრე „სიძობის“ საკითხია ამ ფრაზაში:

„თეიმურაზმა ვახტანგის სიძობით ისარგებლა...“

აქ კაცი მართლა ვერ გაიგებ, თეიმურაზია ვახტანგის სიძე თუ პირიქით — თეიმურაზს ერგება სიძედ ვახტანგი!..

მაგრამ ახლა ამის ამოსაცნობად ვის სცალია, ავტორი გაჭავრებული ჩანს:

„მაშ, მაშ, „სხვათა შორის“, სიტყვამ მოიტანა!.. მაგრამ ამის შესახებ სრულებით არაფერი წერია „მძიმე ჯვარში?“

აბა, ყური დაუვუგდოთ რა შეიძლება წაიკითხოს კაცმა რომანის მეორე ტომის 532 გვერდზე“.

ამას მოსდევს ვრცელი ამონაწერი რომანიდან, რომელიც ძალზე უინტერესოდ იკითხება: ცოტა მეშინია კიდევ, სიმწრით ნაწოზნი მკითხველი არ დაშიფრთხოს. ამიტომ მაქსიმალურად შევამცირებ და მხოლოდ ჩვენთვის საჭირო ადგილს მოვიტან.

„...შე კაცო, ნუ მიწყენ და, თუკი თანამეცხედრესთან გაყრას და აფხაზეთის მთავრის მომღურებას აპირებდი, ამილახვრის ნაცოლარი რომ არ მოგეყვანა და ცოლად არ დაგესვა, ქალი გაწყდა ამერიში?“

— ...ის „ამილახვრის ნაცოლარი“ მეფე ერეკლეს ღვიძლი და გახლავს, დედოფალო...“.

მწერალთან მე იმის თაობაზე კი არ ვდავობდი, კაცია დადიანმა ერეკლე მეორის და რომ უეირთო, ამაზე რომანში არაფერი წერია-მეთქი, არამედ „მძიმე ჯვრის“ ავტორთან მე სხვა რამის გამო ვკამათობდი. კერძოდ, იმაზე, რომ კაცია დადიანის პირველი ცოლი ინალიშვილის ქალი იყო და არა აფხაზეთის მთავრის ასული!

ზემოთ მოტანილი ტექსტის მიხედვით კი „ხელახლა ირკვევა“, რომ მწერალმა ისევ არაფერი იცის იმის შესახებ, კაცია დადიანის პირველი ცოლი ინალიშვილის ქალი რომ იყო! რადგან საკუთარი და ეუბნება კაციას — „თუკი... აფხაზეთის მთავრის მომღურებას აპირებდიო“.

ამიტომ მწერლის კითხვას: „მაშ, მაშ... ამის შესახებ სრულებით არაფერი წერია „მძიმე ჯვარში?“ სამწუხარო პასუხი უნდა გავ-

ცეთ — რაც ჩვენ ვვანიტერებებდა, იმის შესახებ სრულიად არაფერი წერია! მაშ, მაშ!..

ახლა რაც უწერია, ის გავარკვიოთ, ანუ „ამილახვრის ნაცოლარის“ შესახებაც ვისაუბროთ.

„კაცია დადიანი თავის სულიერ თანამეცხედრეს, აფხაზეთის მთავარ შერვაშიძის ასულ ელენეს, საეკლესიო წესით გათვისებოდა და მეფე ერეკლესთან დამოყვრება გადაწყვიტა — ერეკლეს და, ელისაბედი, კაციაზე თითქმის ათი-თორმეტი წლით უფროსი უკვე ხანშიშესული ქალი, თავად დიმიტრი ამილახვრის თანამეცხედრე იყო, მაგრამ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში გასული ამილახვარი და ბატონიშვილი ელისაბედი განრისხებული მეფის ბრძანებით ტფილელ მიტროპოლიტს გაეყარა და ამილახვრის ნაცოლარს დღე-ღღეზე ოდიშის მთავართან უნდა ექორწინა“.

კარგია, რომ მწერალს ყველაფერი დეტალურად აქვს აღწერილი. ამით მეტი საშუალება მეძლევა, სინამდვილეს შევაჯერო.

კაცია დადიანს აფხაზეთის მთავრის ასულთან „საეკლესიო წესით გათვინება“ არ გაუჭირდებოდა, რადგან შერვაშიძის ქალი ცოლად არასოდეს ჰყოლია!

ოდიშის მთავარს ცუდი აზრი არც მაშინ მოსვლია, როცა „მეფე ერეკლესთან დამოყვრება გადაწყვიტა...“ მაგრამ მწერალმა მინდა იცოდეს, რომ ისინი, ერეკლე და კაცია, ერთმანეთს მოყვრებად უამისოდაც ერგებოდნენ — მეფე ერეკლეს ცოლად ჰყავდა კაცია დადიანის და!

ისიც მინდა მწერალმა იცოდეს, რომ ელისაბედი, „თავად დიმიტრი ამილახვრის თანამეცხედრე“ არ ყოფილა, ის დიმიტრი ამილახვრის შვილის — გიორგი ამილახვრის დანიშნულად ითვლებოდა!

ამ საქმეში კი მამა-შვილის ერთმანეთში არევა ნამდვილად არ ივარგებს!

ისიც მინდა მწერალმა იცოდეს, რომ „ერეკლეს და, ელისაბედი, კაციაზე თითქმის ათი-თორმეტი წლით უფროსი, უკვე ხანშიშესული ქალი“ არ ყოფილა!..

რადგან ის ოდიშის მთავარს რომ მიათხოვეს, მხოლოდ 13 (თოთხმეტი) წლისა იყო! არა მგონია, თოთხმეტი წლის გოგონა, იმდროისთვისაც კი, ვინმეს ხანშიშესულად ჩაეთვალა.

მით უფრო არ უნდა ჩაეთვალა პატივცემულ მწერალს, რომელიც ცოტა ადრე წერდა:

„ბატონიშვილმა თუთამ, თექვსმეტი წლის მოწიფულმა ქალმა...“

„თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის მოულოდნელად დაქალებულ გულქანს...“

აქედან გამომდინარე, თუ თექვსმეტი წლის თუთა მოწიფულ ქალად ითვლება, ხოლო თხუთმეტი-თექვსმეტი წლის გულქანი „მოულოდნელად“ დაქალებულა, რატომ ერეკლეს 1± წლის და, ელისაბედი, იქნებოდა მაინც და მაინც ხანშიშესული?

მაგრამ ჩემს გასაჩერებლად მწერალს მუდამ მზადა აქვს პასუხი: „მხატვრული ნაწარმოების კონცეპციისთვის“ ასეა საჭირო!

მე კი ჭერჭერობით ვერაფერი გავიგე „მხატვრული ნაწარმოების კონცეპციისთვის“ (მით უფრო, როცა ის ისტორიული ხასიათისაა). რატომ არ შეიძლება ფაქტები და მოვლენები ცოტა სინამდვილესაც დავამგვანოთ?

ეტყობა, ამას რომ მივხვდე, მეც მწერალი უნდა ვიყო!

მაგრამ, ვთქვათ და, ჩემი მოკლე ჰკუთით ამას ვერასდროს მივხვდები, მაგრამ ის ხომ მაინც უნდა გამაგებინოს მწერალმა — თოთხმეტი წლის გოგონე „ათი-თორმეტი“ წლით უმცროსი როგორ იქნება ის კაცი, რომელიც ამ გოგოს ცოლად ირთავს?!

მართლა, რა ყოფილა ეს „მხატვრული ნაწარმოების კონცეპცია!“ თუ გინდა, ორი წლის ბავშვსაც დააცოლშვილებს!..

ბოდიშს ვისდი მკითხველის წინაშე, ციტატის ფაქტობრივი მხარით რომ დავინტერესდი. ამ საქმისთვისაც რომანის ავტორმა შემაგულთანა:

„თ. წიფწივაძეს ლიტერატურაზე ლაპარაკიც არ უნდა, რომანის სისუსტის დასამტკიცებლად მას უფრო ე. წ. ფაქტობრივი მასალა აინტერესებს. ეტყობა, ამ გზით უფრო ადვილად იმღვრევა წყალი და ღლივის დაჭერა იოლდება. რა ვუყოთ, თუ ჭერ ვერაფერი დავიჭირეთ, მომავალი წინაა!“

თუ პატივცემული მწერალი „ღლივის დაჭერას“ პირდაპირი მნიშვნელობით გულისმობს, ცამდე მართალია! — მართლაც არასოდეს დამიჭერია!..

მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი, ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია რა ვუთხრა მწერალს, ანუ რა პასუხი გავცე ამ შეკითხვაზე:

„წერებულა, თანაც უფრო „მსუქნად“ და, როგორც ლიტერატურას შეეფერება, პერსონიფიკირებულად. მაშ, ვის და რისთვის ვასწავლით, ორჯერ ორი ოთხიაო?“.

ჩემი სწავლებისაგან ჯვარი გწერიათ!..

მე ზემოთ მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ ციტატაში მოთხრობილი აზრები, მართალია, „მსუქნად“, მაგრამ მთლად ისე არ არის გადმოცემული, „როგორც ლიტერატურას შეეფერება“.

რაკი პატივცემულ მწერალს ბაკუთარ შეცდომებზე მითითება სწყინს — „ვის და რისთვის ვასწავლით, ორჯერ ორი ოთხიაო“, ჩემს შენიშვნებს ასეთი ახსნა უნდა მოვუძებნო:

ეს ყველაფერი იმისთვის კი არ გავიხსენე, ვინმეს ვასწავლო, ორჯერ ორი ოთხიაო, არამედ, საშუალება რომ მომეცა, სკოლაში ნასწავლი მასალა ჩემთვის გადავიმეორე...

ასე თქმა აჯობებს, — ავტორიტეტული მწერლის პატივმოყვარეობა ნაკლებად შეილახება!

* * *

რომანში ბევრი მწერლური ლაფსუსია. ერთი მათგანი, როგორც აღრეც შევნიშნე ჩემს წერილში, ასეთი სახისაა:

„საქმე ისაა, რომ თინათის გათხოვებამდე და მერეც, უფრო ახლო ნათესავი არავინ ჰყოლია, ვიდრე მისთვის საკუთარი ქმარი, სოლომონ მეფე ყოფილა!“

პატივცემული მწერალი ამ დასკვნით გაოცებულია: საიდან და რით მტკიცდება ეს? ეს რა უბედურება დატრიალებულა რომანის ავტორის თავსო.

„ცოტა უცნაურად კი გამოდის, მაგრამ რომანის მიხედვით რომ ასეა, აქვე შევამოწმოთ“, — ვწერდი მაშინ მე, რადგან რომანიდან მოტანილი ციტატების შეჯერების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივივლი:

1. კოჭიბროლა სოლომონის ბებია ყოფილა;

2. კოჭიბროლა თინათის ბებია ყოფილა.

კოჭიბროლა სოლომონის ბებია რომ არის, ამაზე ადვილად შევთანხმდით, ხოლო თინათის ბებიაც რომ ყოფილა, ეს საკითხი მთლად ადვილად არ გადაწყდა!

არადა, „მძიმე ჯვრის“ მიხედვით ზუსტად ასე გამოდის!

„იგი (თინათი — თ. წ.) სულ პატარა იყო, ვარციხის სასახლეში რომ მოიყვანეს გურიიდან და სანამ თავის კანონიერ მეუღლესთან, გულის რჩეულ ბატონიშვილ სოლომონთან სარეცელს გაიყოფდა, ღამ-ღამობით, ბებია, ოდესღაც სააარაკო სილამაზით განთქმული

კოჭიბროლა, იწვენდა ლოგინში“. ამ წინადადების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ კოჭიბროლა თინათის ბებიაც ყოფილა!

ვიმეორებ, ასე წინადადების მიხედვით გამოდის, თორემ სინამდვილეში ასე რომ არ იყო, რომანის ავტორზე მეტად, ამაში ქვემთ დავრწმუნდებით, ჩემთვის არის ცნობილი!

რა თქმა უნდა, ეს უნებლიე ლაფსუსია, მაგრამ მწერალი არ ტყდება, არაფერს თმობს — „ვთი სირცხვილო, რომანში სისხლის აღრევის აპოლოგიასთან გვაქვს საქმე!“-ო, ერთს შესძახებს ხმაძალდა და მერე იმგვარად და იმდენს იტავს ამ უნებლიე ლაფსუსს, ვიდრე უმძიმესი შეცდომა არ მოუვა!

„ახლა, როცა ამდენი ვიკვლიეთ და ვითაცვემეთ, უკვე დანამდილებით ვიცით, ვისი ბებიაა კოჭიბროლა“.

ავტორი კი წერს, ამდენი კვლევის შემდეგ უკვე დანამდილებით ვიცით, ვისი ბებიაა კოჭიბროლა, მაგრამ ეს ჭერჭერობით ზეპირი განცხადებაა, საბუთიანობა მაინც აკლია, ამიტომ უფრო აკონკრეტებს:

„სასახლეში იყო ცას გამოკერებული დედაბერი, ყოფილი ულამაზესი ქალი, ყოფილი დედოფალი, ახლა კი ბებია, მხოლოდ ბებია. მისთვის უკვე შეუფერებელი სახელი ყველას დაეიწყინა და დიდი და პატარა ბებიას უძახის. სოლომონმა რომ მცირეწლოვანი თანამეცხედრე, თინათი შეირთო, ის, თინათი, ჯერ კიდევ არ იყო იმ ასაკისა, როცა შეიძლება ქალმა მამაკაცის სარეცელი გაიყოს. სოლომონის ბებია, ოჯახის უზუცესი ქალი მას თავისთან იწვენდა“.

აქ ისე გულმოდგინედ და ისე ბეჯითად ლაპარაკობს რომანის ავტორი „ცას გამოკერებულ დედაბერზე“ და „ოჯახის უზუცეს ქალზე“, რომ ცოტა კიდევ რომ ვაცალო, შეიძლება ვინმეს სინამდვილედაც მოეჩვენოს და, გამორიცხული არ არის, გულუბრყვილო მკითხველი კიდევ შემიცდინოს!

ამიტომ დროზე შევწყვიტე ციტატი, სიმართლე რომ მოგახსენოთ.

შემჩნეული გექნებათ, რომ მე მწერალთან ზოგად დავას ვერიდები, მუდამ საბუთის იმედზე ვარ!

მოგეხსენებათ, საბუთს დიდი ძალა აქვს!

თუნდაც ამ საბუთს:

„კვალად მცირედისა ჟამისა იქმნა მეფესა და დადიანს შუა შუარი. ესე აღექსანდრე მეფემან აბრალა დედის ნაცვალსა თვისსა თა-

მარ გურიელის ასულსა (რომელსაც უწოდდენ კოჭიბროლად), შე-
იპყრა და მოჰკვეთა თავი“. (ნიკო დადიანი, „ქართველთა ცხოვრება“
გვ. 177).

ღარცხვენილი მწერლისკენ ცოტა ხნით გახედვა ჰქირს! — მეც
ადამიანი ვარ (მართლა ტერორისტი კი არა!) და კაცის მდგომარეო-
ბაში შევდივარ!..

არადა, აქეთაც თინათის „ბეზიას“ საცოდაობაც მკლავს! ორიოდე
სიტყვით ისიც უნდა გავიხსენო!

საბრალო კოჭიბროლავ!.. არც სიცოცხლეში გქონია ბედი და
სიკვდილის მერეც არავის ეცოდები... პატივცემულ მწერალს ზგო-
ნიხარ „ცას გამოკერებული დედაბერი“, „ოჯასის უხუცესი ქალი“,
თორემ ჩვენ ხომ ვიცით, ისე ახალგაზრდას წაგკვეთეს თავი, რომ
სოლომონის პატარა საცოლის ლოგინში ჩაწვენა კი არა, საკუთარი
შვილიშვილის კალთაში ჩავორებაც ვერ მოასწარი.

მე წინასწარ ვგრძნობდი, ამ დღეში ჩავარდნილი პატივცემული
მწერალი მეტისმეტად აღშფოთდებოდა. ამიტომ მის დასაწყნარებ-
ლად საგანგებოდ იმ ისტორიკოსის (ნიკო დადიანის!) ცნობა მოვი-
ტანე, თავად რომ დიდ პატივს სცემს.

სხვა დროს მწერალს არაერთხელ უსაყვედურია ჩემთვის:

„არ ერწმუნოს რომანის ავტორი ისტორიკოს ნიკო დადიანის
მიერ მოწოდებულ ცნობას?“...

რას ჰქვია, არ ერწმუნოს, აბა, ჩემს იმედად მტერი იქნა!..

* * *

ზემოთ მოტანილ ეპიზოდში მე თავს ვიცავდი, მწერალი მიტევ-
და. ასლა ჩემი ჭერია, მაგრამ ამ უფლებით არ ვისარგებლებ, რად-
გან წინ ერთი საგულისხმო მაგალითი მიდევს:

გენათელმა ეპისკოპოსმა, იოსებმა, კათალიკოსი ბესარიონი შე-
აჩვენაო, წერს რომანში რევაზ ჯაფარიძე.

რასაკვირველია, საეკლესიო ისტორიიდან იშვიათია შემთხვევა,
ეპისკოპოსს კათალიკოსი შეეჩვენებინოს!

მაგრას ეტყობა, უწმინდესი კათალიკოსისაგან მამაო იოსებს ისე
ჰქონდა სისხლი გამშრალი, საამისო დრო ხელში რომ ჩაიგდო,
იყარაჩიულ საფეხურს ანგარიში აღარ გაუწია დ ძალაზე შეაჩვენა!
ამიტომ ცოტა ხნით მეც გავერიდები პატივცემულ მწერალს.

„მძიმე ჯვრის“ ავტორს, ვატყობ, საბუთებით ლაპარაკი არ უყვარს.

ბუნებრივიც არის. ასეთ შემთხვევაში თავის დაცვა ჭირს. „ნივ-
თ-მტკიცების“ გარეშე კი, რასაც გინდა, იმას იტყვი. აქ ნაკლებად
აგებ პასუხს.

„ასე ქილიკობს ჩვენი პატივცემული რეცენზენტი სოლომონისა
და მისი ძმების გარშემოც“.

კოჭიბროლასთან ხომ მართალი აღმოჩნდი, ახლა ვნახოთ, სო-
ლომონის დედამამიშვილების საქმეში თუ გამამტყუნებთ.

„ზოგი ისტორიული წყაროს მიხედვით ბატონიშვილებს ერთი
ძმა კიდევ ჰყოლიათ, სახელად ბაგრატი... მართალია, იგი, ჰამერის
ცნობით, ძმის (სოლომონ მეფის) მოღალატე ყოფილა, მაგრამ
ამისთვის ღმერთი დასჯის, ჩვენ კი დედამამიშვილებიდან არ უნდა
გამოვწყვიტოთ!“

ამას მე ვწერდი.

პატივცემული მწერალი კი ასე მპასუხობს:

„თუ მხოლოდ „ზოგიერთი წყაროს“ მიხედვით ჰყავდა სოლო-
მონს მეოთხე ძმა, ხოლო სხვა წყაროებით, რომლებიც შეიძლება
არ ჯაფარიძეს ხელთ ჰქონოდა, ხსენებულ ფაქტს არ ადასტურებენ,
რატომ მაინცდამაინც იმ წყაროს უნდა დაყრდნობოდა, რომელიც
მის მხატვრულ კონცეფციას დაარღვევდა და კონცეფციის დარღვე-
ვის წყალობით რომანი სულ სხვა მიმართულებას მიიღებდა? განა
მან, რომანისტმა და არა ისტორიული ტრაქტატის ავტორმა, დაუ-
შალა ვისმე, სოლომონის მეოთხე ძმა „დედამამიშვილებში არ გა-
მოწყვიტონ?“ მწერალმა დაწერა ის, რაც სურდა დაეწერა. მან
იცოდა, რას და რისთვის წერდა. მაშ, დაეცადა, ვიდრე ათასი გამ-
ვლელი და გამომვლელი მზამზარეულ რეცეპტს მიაწოდებდა?“

ერთი შეხედვით, გარეგნულად, აქ ყველაფერი რიგზეა.

გულწრფელად გიხარია კაცს, რომ გამოცდილ და ნიჭიერ პო-
ლემისტთან გაქვს საქმე.

აი, ამ ძალის პუბლიცისტთან კი ღირს შეამოწმო თავი, რა შე-
გიძლია და რისი ღონე შეგწევს!

ვახსენოთ ღმერთი და დავიწყოთ.

კარგად მოქცეულა მწერალი, იმ წყაროებს რომ არ დაეყრდნო, რომლებიც ხელში არ ჰქონდა!

მაგრამ უფრო კარგად მაშინ მოიქცეოდა, ვიდრე რომანის წერას შეუდგებოდა, ის „ზოგიერთი წყარო“ რომ მოეპოვებინა!

ასევე მართალია მწერალი, „ათას გამწვლელს და გამომწვლელს“ რომ არ დაუჭერას

თუმცა მთლად არ ვამართლებ, რადგან მე მგონია, რომ შვილების საკითხთან დაკავშირებით პატივცემული მშობლების ნათქვამისათვის მეტი ანგარიში უნდა გაეწია.

მშობლები კი აი, რას წერენ:

„...ჩვენ, მღვთივ გვირგვინოსანმა პატრონმან, მეფეთ-მეფემ ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმა, პატრონმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან სოლომონ, ნარინ-დავით, იესემ და ბაგრატ ესე საბოლოოთ გასათავებელი წყალობის წაგნი და სიგელი შეგიწყალეთ და ციბოძეთ შენ...“

კეთილო მკითხველო! მეც შემიწყალეთ, ცუდ დღეში ვყავარ რომანის ავტორს — რამდენ სიმართლესაც ვეტყვი, იმდენჯერ მლანძღავს „სიტყვითა უშუერითა“.

განმიკითხეთ და მიბოძეთ „საბოლოოთ გასათავებელი წყალობის წიგნი“, — რათა მწერალმა მეტად აღარ დამიძახოს: „ჩვენი თავცეცხლა ჯვარცმული...“

ამ სამსახურს კეთილად გადავიხდი, უფრო სიზუსტით გავარკვევ დედამამიშვილების საკითხს.

„მღვთივ გვირგვინოსნებმა“ დაგვიდასტურეს, რომ მათ იმ დროისთვის, როცა ეს სიგელი შეადგინეს (1744 წ.) ოთხი შვილი ჰყავდათ:

- სოლომონი,
- ნარინ-დავით,
- იესე,
- ბაგრატ.

რამდენიმე წლის მერე (დაახლოებით 1746-47 წწ.) კიდევ ერთი სასურველი ძე შესქენიათ.

მეფე ალექსანდრე სხვა წყალობის წიგნში წერს:

„...პირმშომან და სასურველმან ჩვენმა სოლომონ და ნარინ-დავით, იესემ, ბაგრატ და არჩილ...“

ამის შემდეგ სულკუთხეულ ალექსანდრეს ერთი შვილი კიდევ გაუჩნდა და სახელად გიორგი დაარქვა. მაგრამ ამის საბუთს აღარ მოვიტან, რადგან ეს უკვე მეტისმეტი იქნება — „მძიმე ჯვრის“ ავტორმა მეოთხე შვილის ხსენებაზეც ერთი ამბავი ამიტეხა!

„თუ მხოლოდ, „ზოგიერთი წყაროს“ მიხედვით ჰყავდა სოლომონს მეოთხე ძმა, ხოლო სხვა წყაროები, რომლებიც შეიძლება და რ. ჯაფარიძეს ხელთ ჰქონოდა, ბუნებურად ფაქტს არ ადასტურებენ, რატომ მაინცდამაინც იმ წყაროს უნდა დაყრდნობოდა...“

სხვისი არ ვიცი, მე, პირადად, ჩემმა ნაწერმა ამ დღეში რომ ჩამაყენოს, თავს დავისჯიდი — ან კარგახნით აღარაფერს დავწერდი, ან, რასაც დავწერდი, გულდაგულ შევამოწმებდი...

თითქმის წარმოუდგენელია, პატივცემულ მწერალს, მე-18 საუკუნის დასავლეთ საქართველოზე რომან-ეპოპეას რომ წერდა, ხელთ არ ჰქონოდა წიგნი — „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“ (თბ. 1955 წ. ავტორი შ. ბურჯანაძე).

თქვენმა მონა-მორჩილმა ეს საბუთები იქიდან ამოვიწერე.

* * *

„ვინ იყო უფროსი, სოლომონი თუ იოსები? ასე გავცემ პასუხს თუ ისე, ნუთუ ეს რაიმეს წყვეტს რომანში?“ — გვეკითხება პატივცემული მწერალი, უფრო სწორედ, მე მეკითხება.

რა ვუპასუხო?

სხვა გზა არ არის, უნდა ვურჩიო რომანის ავტორს, რომ ჩემი წერილიდან ეს ადგილი ხელახლა წაიკითხოს:

„ცხადია, ნაწარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, იესე უფროსი იქნება სოლომონზე თუ უმცროსი, მაგრამ როცა დავწერთ, რომ იგი სოლომონზე უმცროსია, მაშინ სხვა გარემოებას მაინც უნდა გავუწიოთ ანგარიში.“

ეკრძოდ იმას, რომ სოლომონის ტახტზე ასვლის მომენტში იესე ბატონიშვილი უკვე გელათის მიტროპოლიტია!

ეს კი, თითქმის შეუძლებელია... ასაკის გამო!

სოლომონი ჩვიდმეტი წლის გამეფდა. აქედან გამომდინარე, მისი უმცროსი ძმა, უკეთეს შემთხვევაში, თხუთმეტ წელს ცოტათი თუ იქნებოდა გადაცილებული!

ამ ასაკის სამეფო გვარის კაცი შეიძლება ჯარის სარდალიც იყოს და დიდი სახელმწიფო მოხელეც, მაგრამ გელათის მიტროპოლიტი ვერ იქნება! მე ეს ვარაუდით არ დამიწერია. მივდექ-მოვდექი, გავიკითხე, წავიკითხე და ბოლოს იმასაც მივაკვლიე, რომ

ოცდაათ წლამდე, როგორი ღირსეული კაციც უნდა იყო, მიტროპოლიტი ვერ განდები!

ამის დამადასტურებელი საბუთიც მაქვს!

„მღვდელი 30 წელზე უმცროსი არ იკურთხოს, გინდაც ძლიერ ღირსეული კაცი იყოს, რადგან უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ოცდამეათე წელს მიიღო ნათელი და დაიწყო მოძღვრება. ამიტომ მღვდლებიც 30 წლისანი იკურთხნენ“. (ექვთიმე ათონელი, VI კრების კანონები, თავი 15, წიგნში „საღვთისმეტყველო კრებული“, № 11, გვ. 17).

გენათელი მიტროპოლიტი კი, „მძიმე ჯვრის“ მიხედვით, თხუთმეტი წლისაც არ არის!

მე კი ვწერდი: „უკეთეს შემთხვევაში თხუთმეტს თუ იქნებოდა გადაცილებული“, მაგრამ ეს საქმე ხელახლა რომ გაეხსრიკე, გაირკვა, რომ სოლომონს იასემდე ერთი მომდევნო ძმა — ნარინ-დავათი კიდევ ჰყოლია.

ასე რომ, გენათელი მიტროპოლიტი თითხმეტ წლამდე მიღწეული ძლივს აღმოჩნდა!

ამიტომ მწერლის კითხვას: „ვინ იყო უფროსი — სოლომონი თუ იოსები?“ ასე გავცემთ პასუხს თუ ისე, ნუთუ ეს რაიმეს წყვეტს რომანში?“ — ასე უნდა ვუპასუხო:

კარგ და სრულყოფილ რომანში ბევრ რამეს წყვეტს, ხოლო ისეთ რომანში, როგორც „მძიმე ჯვარია“, როგორც მწერალი ამტკიცებს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია...

„თ. წიგწივაძე იმასაც კი გვედავება, თუ რომანის პერსონაჟთაგან ბევრი სხვა ყმაწვილი ბიჭი პირტიტველაა და „ნიკაპსა და საულვაშეზე ძლივს ემჩნევა აჩხაბაჩხა წამოსული ქერა ბუსუსები“, იოსებს რადა აქვს წვერ-ულვაში და გრძელი თმაო?“

ჯერ სინამდვილე აღვადგინოთ, რისთვისაც ვედავები:

„რომანში, სხვა ადგილას, ამ ხნის ბიჭები ჯერ კიდევ პირტიტველები არიან: „თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილი იყო. ნიკაპსა და საულვაშეზე ძლივს ემჩნეოდა აჩხაბაჩხა ამოყრილი ქერა ბუსუსები“, თხუთმეტი წლის იოსები კი „ბერული წვერითაა“ შემოსილი!“

ახლა გეკითხებით, ეს ამბავი მართლა არ უნდა გამკვირვებოდა? ამიტომ ვიკითხე მკრქძალებულად:

„წვერის ამოსვლასაც ალბათ თავისი დრო ექნება და რაკი მის

ამოწვევრას დიდი საეკლესიო თანამდებობაც ვერ დააჩქარებს, ხომ არ აჯობებდა, მწერალს ძმების ასაკობრივი თანმიმდევრობა მეტი სიზუსტით გაერკვია?“

რიდისა და მოკრძალების პასუხად, პატივცემული მწერლისგან გვარიანი გინება მივიღე:

„თუ მართოდენ ასაკს გავყვებით, ორმოცს მიტანებული ჩვენი თავცაცხლა „ჯვარცმული“ თ. წივწივაძე ხშირი წვერითა და ყურებზე გადაგრეხილი უღვაშებით დღესაც ვერ დაიკვებნის...“

რასაკვირველია, მე ამეებით მართლაც ვერ დაიკვებნის, როგორც ზოგი პატივცემული მწერალი თავისი ზრდილობით...

• • •

მაინც რით დავიმსახურე რომანის ავტორისაგან ეს წყენა?

მხოლოდ იმით, რომ გავბედე და ვუთხარი — ცოტა შეუხაბამობაა, როცა თხუთმეტი წლის ყმაწვილი „გრძელი თმებით და ბერული წვერულვაშით არის დამშვენებული“, ხოლო სხვა ადგილას, იმ ხნის ბიჭები პირტიტველები არიან-მეთქი.

განა ასაკთან დაკავშირებით ნაკლები უზუსტობა შეგვხვედრია რომანში?

ზოგი მათგანი ახლაც გავიხსენოთ:

ყოფილა შემთხვევა, როცა რომანში სამი თვის და რამდენიმე დღის ბავშვი უკვე „წლინახვერის“ გამხდარა.

ოთხი წლის იულონი ასტრახანს წავიდა, საყვარელი პაპის დასატირებლად...

შვიდი წლის წინათ გარდაცვლილი ვახტანგ VI ისევ მოსკოვში ცხოვრობდა“.

სოლომონმა ყბაყურა ბატონები ჯერ კიდევ მაშინ მოიხადა, დაბადებული რომ არ იყო!

მეფე თეიმურაზი თერთმეტი წელიწადია, რაც მეფეა. მწერალს კი ჯერ ისევ ბატონიშვილი ჰგონია!

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

• • •

„შემდეგ „ჩვენი ძვირფასი ჯვარცმული“ სოლომონ მეფის ცოლების ამბავს გვიყვებაო, წერს „მძიმე ჯვრის“ ავტორი — „სამჯერ

იფსკენა ჯვარიო, გვატყობინებს. პირველად თინათიზე, მეორედ — მარიამზე, „მესამედ — ქაჩაიას ნაქვრივალზე (ეს „ნაქვრივალი“ ნეტა რა უნდა იყოს? — რ. ჯ.), ბერი წულუკიძის და იყო, ქალიშვილობის სახელით გულქანი“.

ჩემს ოპონენტებთან კამათში, ასეთი ჩვევა გამომიმუშავდა: თუ გადაუდებელი საქმე არ გამოჩნდა, პირველად კითხვით წინადადებაზე ვამჯობინებ პასუხის გაცემას.

ალბათ, ასეც უნდა იყოს, რაკი გეკითხებიან, კიდეც უნდა უპასუხო.

„ეს ნაქვრივალი“ ნეტა რა უნდა იყოს? — რ. ჯ.“ — აინტერესებს „რ. ჯ.“ — ე. ი. რევან ჯაფარიძეს.

ქალს რომ ქმარი მოუკვდება, ასეთ ქალზე ამბობენ ხოლმე, ქვრივიაო. ხოლო თუ იმის აღნიშვნაც სჭირდებათ, ვის ჰყავდა აღრე ცოლად, მაშინ ამბობენ ხოლმე, მაგალითად, ასე, ბოდოკიას ნაქვრივალიაო!

ჩვენს შემთხვევაში, რაკი გულქანი ცოლად ქაჩაიას ჰყავდა, ქმრის სიკვდილის შემდეგ ქაჩაიას ნაქვრივალად დარჩა.

ასეც წერენ, მაგალითად, „აკაკის კრებულში“, სადაც პირველად დაიბეჭდა „სოლომონ მეფის კარისკაცები“ (1897 წ. № 3), ასეთი ფრაზაა:

„იმერეთის მეფემ, დიდმა სოლომონმა ქაჩაიას ნაქვრივალის ცოლად შერთვა მოიწადინა“.

ამ თქმულებას ზოგ გამოცემაში პირდაპირ ასეთი სათაური აქვს — „სოლომონ მეფე და ქაჩაიას ნაქვრივალი“.

თუ პატივცემულ მწერალს ისიც აინტერესებს, თვითონ სიტყვა „ნაქვრივალი“ როგორი გზით არის მიღებული, ამასაც ვეტყვი:

დაახლოებით ისე, როგორც მის რომანში — „ამილახვრის ნაცოლარი“.

თუ პატივცემულ მწერალს ისიც აინტერესებს, „აკაკის კრებულში“ რაღაა, ამასაც ვეტყვი:

აკაკი (აკაკი წერეთელი — თ. წ.) სცემდა კრებულს, რომელშიც, დროდადრო ხალხურ თქმულებებსაც აქვეყნებდა.

სხვათა შორის, ეს ის კრებულია, სადაც პირველად დაიბეჭდა ისტორიული თქმულება „სოლომონ პირველი და მისი თანამედროვენი“.

ეს კი ის თქმულებაა, პატივცემულმა მწერალმა „მძიმე ჯვარში“ მთლიანად რუმ შეიტანა..

ქაჯაიას ნაქვერვალთან დაკავშირებით მე ვწერდი:

„დადიანის ასულის სიკვდილმა სოლომონი ადრიანად დააქვერ-
ვა. ერთი წლის მერე მეფემ ქაჯაიას ნაქვერვალს შეერთო. ამ ქორ-
წინებაზე რომანში არაფერია ნათქვამი“.

რევაზ ჯაფარიძე ასე მპასუხობს:

„...თუ ნაწარმოების ბოლოს გულქანისა (ე. ი. ქაჯაიას ნაქვერვა-
ლის — თ. წ.) და სოლომონის ქორწინების აღწერას, ანუ ისტორი-
ული სინამდვილის მხატვრულ ქმნილებაში ნატურალისტურად შე-
მოტანას ავტორმა თავი აარიდა, ეს იმიტომ კი არ მოხდა... რომ მან
ამ ქორწინების შესახებ არაფერი იცოდა, არამედ იმიტომ, რომ
ამას მხატვრული ქმნილების კომპოზიცია და ნაწარმოებში ჩაქსო-
ვილი აზრი ვერ იტევდა“.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საოცარი პასუხია!..

მეფე სოლომონმა 40 წელიწადი იცხოვრა, აქედან დაახლოებით
80 წელი ცოლიანი იყო. ამ ოცდაათი წლიდან თხუთმეტი წელიწა-
დი ქაჯაიას ნაქვერვალს ჰყავდა

ერთი მითხარით, როცა სოლომონის ცხოვრების რომანს ვწერთ,
ოთხ ვეებერთელა წიგნში იმდენი როგორ ვერ უნდა მოვახერხოთ,
ორიოდ სიტყვა ვთქვათ მეფის მეუღლეზე, რომელიც 15 წელიწადი
ცოლად ჰყავდა და ამ ხნის მანძილზე იმერეთის დედოფალი იყო?

„ამას მხატვრული ქმნილების კომპოზიცია და ნაწარმოებში
ჩაქსოვილი აზრი“ რატომ ვერ დაიტევდა?

თუკი იმერეთის მეფეზე დაწერილ რომანში, არავის რომ არ
ქირდებოდა, „ევროპის შვიდწლიანი ომის“ თემა შემოიტანეთ, მე-
ფის ცოლზე რომ რაიმე თქმულიყო, არ მოხერხდებოდა?

„ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ქმნილებაში ნატურალის-
ტურად შემოტანას ავტორმა თავი აარიდა“, რომ წერთ, დალოც-
ვილო, ნატურალისტურად შემოტანას თუ თავი აარიდეთ. როგორც
რომანისტს ჩვევია, მხატვრულად შემოგეტანათ მით უფრო, რომ
ფრაზის ეთიკურ მხარეზე ფიქრში დრო არ გეკარგებათ!

ვთქვათ, რა დროს წაიღებდა წინადადების ასე სახელდახელოდ
შედგენა:

„ბერი წულუკიძის დას, გულქანს... რომანის საერთო ფართო-
ბის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია“.

ერთი მითხარით, როგორი წარმოსადგენია, „თხუთმეტ-თექვს-

მეტი წლის ნაადრევად მოწიფული გოგო“ რომანის საერთო ფართობის მნიშვნელოვან ნაწილზე?..

ეს მოწიფული გოგო ორჯერ გათხოვების შემდეგ მაინც გეხსენებინათ სოლომონის მეუღლედ!

აბა, ის სჯობია, რომანის მიხედვით, ბოლო თხუთმეტი წელიწადი სოლომონი გარდაცვლილ მეუღლესთან რომ ცხოვრობს და მასთან ერთად ეწევა ცხოვრების ჭაპანს?

„მწერლური კონცეპციის“ კიდევ მეტად დარღვევა რითი შეიძლება? ამ სიმართლით რომ იაროს ქართულმა პროზამ, შორს წავა?

* * *

თუ ჩვენს „ჯვარცმულს“ დავუჭერებთ, ავტორს სოლომონის შეილებების ასაკი და სახელებიც კი არეგია ერთმანეთში. სად, რომელი წიგნის რომელი გამოცემის რომელ გვერდზეა ეს არეგ-დარეგა?“

მე არ ვიჩქარებ, კომპლექსური კითხვაა და ასევე ვუბასუხებ.

ჯერ ასაკით დავიწყოთ.

პატივცემული მწერალი გვატყობინებდა:

„ქართლში ელჩიონის გასტუმრების წინ მეფეს მესამე შვილი, ამჯერად უკვე ვაჟი, ტახტის მემკვიდრე შეეძინა, რომელსაც გვირგვინოსანი ბაბუის სახელი ალექსანდრე დაარქვეს. მეფე სიხარულით ცას ეწია“.

ვიდრე „მეფე სიხარულით ცას ეწეოდა“, მე იქამდე პატიოსნად გამოვთვალე, ეს ყველაფერი როდის უნდა მომხდარიყო და, რადგან საეალალო დასკვნამდე მივედი, დავწერე:

„მეფის სიხარულს მე ვერ გავიზიარებ!

მაგრამ იმიტომ კი არა, იმერეთის ტახტის ახლადმოვლენილი მემკვიდრის ამქვეყნად მობრძანება არ გამიხარდა, რასაკვირველია, ამიტომ არა!

ქრისტეშობის თვის ოცდაექვსს, დაახლოებით სამი თვის წინ, მეფეს ასული რომ შეეძინა, ჯერ იმის სიხარულიც არ გამნელებია!..

სხვა ადგილას მწერალს სოლომონის ქალიშვილების სახელიც ავიწყდება.

„საზვიამოდ გამოწყობილი ბატონიშვილები — დარეჯანი და ნინო — დედას აქეთ და იქით ამოსდგომოდნენ და უკვე გაბედულად გალობდნენ“.

ნინო კარგი სახელია! მეც ძალიან მომწონს და ალბათ არც არაფრით ჩამოუვარდება თამარს, მაგრამ მაინც ჯობია ბავშვის თავისი სახელი დავუძახოთ“.

რა თქმა უნდა, პატივცემული მწერალი ჩემს შენიშვნებს გულდაგულ გაეცნობოდა, მათ გაბათილებასაც შეეცდებოდა, მაგრამ სიმართლეს სად გაექცეოდა?

ასეც ხომსდარა. რალაცნაირად მოტეხილადაც კი გამოიყურება, როცა უკანასკნელ იმედს ეჭიდება:

„სად, რომელი წიგნის რომელი გამოცემის რომელ გვერდზეა ეს არევედარევა?“

ახლავე მოვახსენებ.

1) „სოლომონმა წამოზრდილი ბატონიშვილი დარეჯანი და წლინაბერის თამარი ხელში აიყვანა და გულზე აქეთ-იქიდან მიიხუტა“.

2) „საზეიმოდ გამოწყობილი ბატონიშვილები — დარეჯანი და ნინო დედას აქეთ და იქით ამოსდგომოდნენ და უკვე გაბედულად გალობდნენ“.

პარველი ციტატის წყარო: რევაზ ჯაფარიძე, „მძიმე ჯვარი“, წიგნი III. გამომცემლობა „მერანი“, 1979 წ. გვ. 408—409. ოთხასშერვა გვერდზე ამ წინადადების სამი სიტყვა — სოლომონმა წამოზრდილი ბატონიშვილი — დატეულა, დანარჩენი ოთხასმეცხრე გვერდის ზემოდან პირველ სტრიქონზეა გადატანილი!

მეორე ციტატის წყარო: რევაზ ჯაფარიძე, „მძიმე ჯვარი“, წიგნი III. გამომცემლობა „მერანი“, 1979 წ., გვ. 472. ზემოდან მე-5 სტრიქონი, ქვემოდან — 29-ე!

მე მგონი, სედმეტადაც მოვინდომე, წყარო სრულად რომ მიმე-თითებინა. ეტყობა, ასე ჯობდა, ერთხელ და სამუდამოდ რომ გარკვეულიყო და სხვა დროს სალაპარაკო არ გამხდარიყო — „სად, რომელი წიგნის რომელი გამოცემის რომელ გვერდზეა ეს არევედარევა?“

ახლა ირკვევა, წყაროს დასახელებას რომ შევძლებდი, პატივცემულ მწერალს წინასწარ უგრძენია, ამიტომ უკან დასახევი გზა დაუტოვებია!

„მაგრამ, წარმოვიდგინოთ, ავტორს მართლაც ლაფსუსი მოუვიდა, თითქმის ორიათასგვერდიან წიგნში ახალდაბადებული ბავშვის სახელი შეეშალა, მერე თ. წივწივაძეს რა უხარია?“

ჯერ ერთი, „თამარყოფილი“ ნინო ექვსიოდე წლისაა და „ახალ-დაბადებულად“ სულაც არ ჩაითვლება.

მეორეც, „თ. წიგნივადეს რა უხარია“, რომ ბრძანებს ავტორი, არც ესაა მართალი!

მე არაფერიც არ მიხარია, მაგრამ თუ ყოველი შეცდომის აღმოჩენისას თავში მუშუტი არ დავიშინე, ავტორმა სულგრძელად უნდა მაპატიოს, რადგან ასე რომ მექნა, პირველი წიგნის ჩათავებამდე ხელში ჩავაკვდებოდი!..

შემდეგი სამი წიგნი კი წაუკითხავი დამრჩებოდა...

* * *

ასე რომ მომხდარიყო, მარტო ჩემი თავი არ დამენანებოდა, რაკი ავტორს შეცდომების გასწორებაში ვეხმარები, გული დამწყდებოდა, ეს საქმე ბოლომდე არ მიმეყვანა.

რომანში კი ჯერ ბევრი რამ არის გასასწორებელი:

„შერისხული ქვეშევრდომის მიწა და უძრავ-მოდრავი ქონება დასტურლამალისა და ვახტანგის სამართლის წიგნის თანახმადაც ყოველთვის მეფის საკუთრებაში გადადიოდა ხოლმე“.

პატივცემულ მწერალს აშკარად უჭირს ქართული სამართლის ისტორიაში გარკვევა!

აქ დასტურლამალი არ უნდა ეხსენებინა, რადგან იგი ამ შემთხვევაში ისევე უადგილო და ზედმეტია, როგორც ჩემდამი მწერლის საყვედური:

„ვისაც „მძიმე ჭვარი“ თავიდან ბოლომდე, პირველი წიგნიდან მეოთხე წიგნამდე წაუკითხავს, რასაც, მიზეზთა და მიზეზთა გამო, „ჭვარცმულ მკითხველს“ ვერასგზით ვერ დავაბრალებ...“

პატივცემული მწერალი მეტად უნდა გამფრთხილებოდა და ასე არ გავეწირე! რადგან, ასე მგონია, მე ვარ ერთადერთი კაცი, ვისაც „მძიმე ჭვარი“ (გვერდებგამოუტოვებლად!) თავიდან ბოლომდე მაქვს წაკითხული!

ამ კუთხით სამუზეუმო ექსპონატადაც გამოვდგებოდი, ექსკურსანტებისთვის რომ ეჩვენებინათ, ამ სულელს (რა თქმა უნდა, ზოგის თვალში) კაცს „მძიმე ჭვარი“ თავიდან ბოლომდე წაუკითხავსო!..

როგორც მიხვდებოდით, ეს ხუმრობაა. ათასში ერთხელ მეც ვაძლევ თავს უფლებას, ასე მოვიქცე. ის კი მართალია, რასაც ზე-

მთხვანობით, რომ აქ დასტურლამალი არ უნდა ესსენეზინათ, რადგან მასში მამულების ფლობაზე არაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება ვახტანგის სამართლის წიგნს, ეს კი უტყუერად ვიცი, მეფისგან შერისხულის მამული გადადიოდა არა მეფის, არამედ სახელმწიფოს ხელში.

მეფის საკუთრება და სახელმწიფოს საკუთრება ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს!

ქაჯიას „მამულს ყადაღა დაედო და დაინიშნა მისი საჯაროდ გაყიდვის დღე, თავნიც და სარგებელიც, მთლიანად და უდანაჯარგოდ, სჯულის კანონის შესაბამისი მუხლის ძალით, მეფის ხაზანაში შედიოდა“.

არავითარი ამის მსგავსი საქართველოს სამართლის პრაქტიკამ არ იცოდა!

არც საჯაროდ გაყიდვის წესი არსებობდა, და სხვათა შორის, „სჯულის კანონიც“ სამოქალაქო საქმეებს არ იხილავდა!

ასე რომ, ამ საქმიდან გამომდინარე, „თავნიც და სარგებელიც, მთლიანად და უდანაჯარგოდ“, მწერალს შეუძლია „მძიმე ჯერის“ წარმატებას“ მოახმაროს!

* * *

„რეცენზენტი არ ცხრება, ჩვეულებას არც ქვემოთ ლალატობს, პირზე იქედნური ღიმილით გადმოგვეცემს რომანის სიუჟეტს. ასე გვიყვება ის ქუთაისში სოლომონის თავმჯდომარეობით ჩატარებული საეკლესიო კრების ამბავს...“

პირზე იქედნური ღიმილით გვიყვებაო, ამის თქმა ალბათ ნამეტანია, თორემ ღიმილის მომგვრელი მართლაც კია იქ განსილული საკითხების მწერლისეული გადმოცემა.

ქუთათელი ეპისკოპოსი, მაქსიმე აბაშიძე ეკამათება ბერძენ დანიელ ლასკალს.

„საღმრთო წერილი ყველამ იცის. ცოტა იმას იქითაც გაეგება“.

თითქმის წარმოუდგენელია, ასეთი რამ ეთქვას ეპისკოპოსს! თუნდაც იმიტომ, რომ „საღმრთო წერილს იქით“ იწყება ყველაზე დიდი ცოდვა!

საღმრთო წერილის რევიზიის ოდნავი ცდაც კი ქრისტიანი კაცისგან დიდი მკრებელობა იყო.

კრებებზე პათეტიკური შეძახილი გაისმა — „სად არის და რა-

ტომ არ იღებს ხმას „უნეტარესი და უწმინდესი კათალიკოსი ანტონი, რად გაჩუმებულა?“

ანტონს მართლაც ჰქონდა ხმა ამოსაღები! — მაგრამ არა ამ რეპლიკის, არამედ უფრო სხვა რამის გამო!..

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს ანტონი უკვე აღარ არის „უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსი“, იგი, ექსორიაქმნილი, რუსეთშია გადახვეწილი!

საეკლესიო კრებას კი, რომელიც „სოლომონ მეფის თავმჯდომარეობით ჩატარდა“, უნდა სცოდნოდა ამის შესახებ...

სხვათა შორის, იმ კრებაზე იყო: „მეფე სოლომონმა კრებას ყოველი ქეშმარიტი ქრისტიანის სანუკვარი ოცნების აღსრულება, ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა... და ეპისკოპოსად მაქსიმე აბაშიძის, ამიერიდან მაქსიმე ქუთათელის დადგინება ანიცნო“.

როგორც ქრისტიანი კაცი, ამ ამბავმა მეც ძალიან გამახარა, მაგრამ ვერც იმას დავმალავ, ახლად არჩეულმა მაქსიმე ქუთათელმა და მასთან ერთად პატივცემულმა მწერალმა საეკლესიო საქმეთა ნაკლები ცოდნა რომ გამოაუღავენეს, ამ ამბავმა გული მატკინა...

* * *

წინა წერილში მკითხველს ვთხოვდი, მწერლის ერთი წინადადებისათვის, რომელსაც წერტილიდან წერტილამდე გადმოვწერდი, ყურადღება მიექცია:

აი, ეს წინადადება ჩემი კომენტარებით:

„მეფე, რომ იტყვიან, ჯერ ისევ თბილი იყო და ის უკვე თავისებური სიხარბით ეუფლებოდა აქაურობას, დედოფლის მამობით სარგებლობდა და სამეფო სახლს მფარველობას და პატრონობას ჰპირდებოდა“.

წინადადება სრულად არის მოტანილი და შევეცადოთ, ასევე სრული აზრი გამოვიტანოთ აქედან:

სამწუხაროდ, არაფერი გამოვა!

რადგან ჯერ კიდევ „თბილი მკვდარი“, ვიდრე კარგად გაცივდებოდეს — მფარველობას და პატრონობას ჰპირდება სამეფო სახლს.

„თანაც, მეფე დედოფლის მამაც ყოფილა და ქმარიც!“

ე. ი. მე მოვიტანე მწერლის ხელიდან გამოსული წინადადება,

რომლის კონსტრუქცია და სტილური ბუნდოვანება არ იძლეოდა ამის სწორად წაკითხვის საშუალებას.

ამიტომ ვთქვი: „ცხადია, მწერალს სხვა რამის თქმა უნდოდა. მაგრამ აზრის გადმოცემისას ფრაზის სიცხადე დააკლდა და ეს გუუვებრობაც ამან წარმოშვა“.

ყოვლად უმტკივნეულო შენიშვნას, ჩანს, მწერალი უსამართლოდ გაუჯავრებია:

„დავწყალო წყალი და აღვადგინოთ საქმის ნამდვილი ვითარება... კეთილი ვინებოთ და მივუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ ამონაწერს რომანიდან, ოღონდ ცოტა ზევიდან დავიწყოთ“.

ბატონი ბრძანდებით.

საიდანაც გასურთ, იქიდან დავიწყოთ, თუნდაც წიგნის ანოტაციიდან! მაგრამ ადრე თუ გვიან, ამ წინადადებაზე ხომ უნდა მოვიდეთ?

მე ამ ფრაზასთან დავიცდი და რომ მობრძანდებით, ისევე იმას გეტყვით, რაც ამ წინადადებასთან დაკავშირებით ზემოთ გითხარით!

ამიტომ, ვიდრე შორიდან მოსავლელად წავსულვართ, ჯობია, ის წინადადება, „ადგილზე“ გაეასწოროთ და მეტი სინათლე მიეცეთ!

* * *

„ცალკე უნდა აღინიშნოს სტატიის ავტორის აღტაცება იმით, რომ რომანის 64-ე გვერდზე კორექტურული შეცდომა უპოვია. მეხუთის მაგიერ იქ მართლაც პირველი წერია. ვითომ ეს იმით აიხსნება, რომ რომანის ავტორმა არ იცის, სოლომონის გვირგვინოსანი მამა მერამდენე ალექსანდრე იყო?“

ვინც რომანის ირგვლივ გამოთქმულ ჩემს შენიშვნებს ყურადღებით თვალს ადევნებს, დარწმუნებული ვარ, ღიმილს ვერ შეიკავებს მწერლის ამ განცხადებაზე — „ცალკე უნდა აღინიშნოს სტატიის ავტორის აღტაცება იმით, რომ რომანის 64-ე გვერდზე კორექტურული შეცდომა უპოვია...“

ხომ ასე უღმერთოდ მლანძღა პატივცემულმა ავტორმა თავის წერილში, რაღა დაგვიმალეთ და, ისეთ გუნებაზე ვიდექი, თუ რამე გამამხიარულებდა, აღარც მეგონა!

მწერლის ზემოთ ნათქვამზე მეც გამეცინა!..

კორექტურული კი არა, „ნაღდი“ შეცდომის აღმოჩენაც რომ

მგვრიდეს აღტაცებას, „მძიმე ჯვრის“ წაკითხვის შემდეგ ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ იქნებოდა..

„რომანის ავტორმა არ იცის, სოლომონის გვირგვინოსანი მამა მერამდენე ალექსანდრე იყო?“

მე არ მითქვამს, პატივცემულმა მწერალმა ეს არ იცის-მეთქი. ამ გარემოებას ხაზი მხოლოდ იმისთვის გავუსვი, რომ მსგავსი უყურადღებობა რომანში ხშირად შეიმჩნევა.

ჩემს წერილში მკითხველს ვთხოვდი, დროებით ყველა საქმე გადაედო და მეფე ალექსანდრე მეხუთის ცხედარი სამუდამო განსასვენებლამდე მიგვეცილებინა.

რევაზ ჯაფარიძე წერდა:

„გელათის ყველა სამღვდელოება შემოსილი იყო... ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც მიცვალებული მეფე დაასვენეს, ალექსანდრე პირველის სულის მოსახსენებელი წირვა კათალიკოსმა ბესარიონმა გადაინადა“.

ამ გაუგებრობის გასარკვევად ვწერდი:

„ჩემი წერილის მკითხველს, ვინც დამაფასა და მეფე ალექსანდრე მეხუთის სულის სახსენებელ წირვაში გამომეცა, უმორჩილესად ვთხოვ, არ მოეჩვენოს, რომ სხვის პანაშვილზე მოხვდა!

მწერალი უბრალოდ შეცდა — ალექსანდრე მეხუთე სიჩქარეში ალექსანდრე პირველად მიიღო!

თუმცა მისი გახსენებაც სამადლო საქმეა — საწყალი კაიხნის მკვდარია!“

ასე რომ, მე არსად მითქვამს, „ავტორმა არ იცის სოლომონის... მამა მერამდენე ალექსანდრე იყო“; ის სიჩქარეში შეცდა-მეთქი.

თანაც არ ავჩქარებულვარ, რომანის ყველა ქართული გამოცემა შევამოწმე და ამის მერე ვთქვი.

მწერალი კი გვთხოვს, გადავშალოთ „მძიმე ჯვრის“ პირველი-მეორე წიგნის მოსკოვური გამოცემა, სადაც ეს შეცდომა გასწორებულია.

კეთილი და პატიოსანი.

მადლობა ეთქმით რუს გამომცემლებს — ის უზუსტობა რომ არ ვაპარვიანთ, მაგრამ აქ ავტორის თავმოწონების საფუძველს მე ვერ ვხედავ.

ეს ფაქტი რუსი კოლეგების ყურადღებიაზრობაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე ავტორის სიყოჩაღეზე!

მე დარწმუნებული ვარ, ასევე მძიმე ჯადა დაადგებათ საკავში-
რო გამოცემლებს, რომანის შემდგომი ორი წიგნის გამოცემისას.

იქ ბევრი რამ თავიდან იქნება გააასწორებელი!

მაგალითად, მეტი რომ არ ვთქვათ, იქაურ მკითხველს ირონი-
ულ ღიმილს მოჰკვრის ქართველი პწერლის განსწავლულობა რუ-
ხეთის ისტორიის საკითხებში.

„შობას, 25 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმჯოჯობის შემდეგ უეც-
რად გარდაიცვალა იმპერატრიცა ელისაბედა და მეორე დღესვე
რუსეთის ხელმწიფის გვირგვინი დაიდგა მისმა მხოლოდშობილმა
ძემ, ბატონიშვილმა პეტრემ, ამიერიდან იმპერატორმა პეტრე მე-
ხამემ“.

წინადადებას რიხი არ აკლია, სამწუხაროდ, ასევე რიხინით
წასულა შეცდომებიც!..

პატივცემულმა მწერალმა არ იცის, რომ იმპერატრიცა ელისა-
ბედა მხოლოდშობილი ძე არ ჰყოლია!

მეტრე! — იგი საერთოდ გათხოვილიც არ ყოფილა!

მართალია, შვილი უქმრომ გააჩინა, მაგრამ არა მხოლოდშობი-
ლი ვაჟი, არამედ ნაბუშარი გოგონა, რომელსაც, როგორც უკანონ-
ოს, ტატხე ფიქრის უფლებაც არ ექნებოდა!

იმპერატორი პეტრე მესამეც თავიდანვე პეტრე როდი ყოფილა!

იგი ნამით გერმანელი იყო და სახელიც გერმანული ერქვა —
კარლ ულრიხ ჰოლშტაინი!

კარლი ელიაბედის დისწული იყო და რუსეთის ტახტიც ამ
გზით მიიღო. პეტრე მესამეც მაშინ დაირქვა, გამეფებისას.

როგორც ვნახეთ, ბევრი უზუსტობაა.

მე რომ ისევ აღტაცებული არ ვიყო „რომანის 64-ე გვერდზე
კორექტურული შეცდომის პოვნით“, ამდენი შეცდომის ერთად აღ-
მოჩენაზე სიხარულისგან გული უნდა წამსვლოდა!

ასევე ირონიულ ღიმილს გამოიწვევს რუს მკითხველში ქართვე-
ლი მწერლის განსწავლულობა ევროპის სახელმწიფოების გეოგრა-
ფიაში.

„მგლის მადააღძრული ფრიდრიხი, რომელსაც ჩუმჩუმად ინ-
გლისის მეფე გიორგიც აქეზებდა, პატარა და სუსტი საქსონიის
დაპყრობით არ დაკმაყოფილდებოდა და ომის ცეცხლს სილეზიაში,
ვენის სამეფო კარის კუთვნილ მიწა-წყალზე გადაიტანდა, აქედან
კი ბოლონეთამდე და რუსეთამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა“.

პრუსია სწორედ პოლონეთსა და რუსეთს ესაზღვრებოდა. ანითომ იგი საქსონიასა და სილეზიაში შექრით კი არ უახლოვდებოდა, არამედ, პირიქით, უფრო და უფრო შორდებოდა ამ ორ სლავურ ქვეყანას!..

„...ვენის სამეფო კარი, რომელსაც სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან... ოსმალეთის ფლოტი ემუქრებოდა“.

ასე გამოდის, რომ ვენას ორი მხრიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ზღვა აკრავს, თორემ ფლოტი როგორღა მიუდგებოდა?

საინტერესოა, როგორ გამოვიდა შუაგულ ხმელეთიდან ზღვაზე ავსტრიის დედაქალაქი?

ვინმე მადლობელი რომ იყოს, რუსი რედაქტორის სამუშაოს ნაწილობრივ აქვე შევესრულებდი, მაგრამ უნდა შევწყვიტო, თორემ ვინც ის მოახერხა, ავსტრიის დედაქალაქისთვის წყალი (ს.კ.დინარო წყლებს არ ეგულისხმობ) შეეყენებინა, ხომ წარმოგიღგენიათ, ჩემსავით უპატრონო კაცს რას უზამს!...



„რომანის წერის პროცესში გადაწყვიტე მეფე სოლომონის კორონაციის ადგილად გელათის აკადემიის დიდი დარბაზი ამერჩია...“

საქვე ის არის, რომ იმ შენობაში, რომელსაც პატივცემული მწერალი „აკადემიის დიდ დარბაზს“ უწოდებს სოლომონის დროს, რუსეთის ელჩების, ტოლჩანოვისა და იევლიევის ცნობით, იყო ბერების სატრაპეზო, დარბაზის შუაგულში ჩაგდებული დიდი ქვევრით.

ამიტომ იქ მეფედ კურთხევის ცერემონიალი მეტად შეუფერებელი იქნებოდა, მით უფრო, კორონაციისათვის!

რადგან ეს სიტყვა თავისთავად ნიშნავს ტახტზე ასვლისას ქრისტიანი მონარქის მიერ ხელისუფლების საზეიმო მიღებას.

ამიტომ ვწერდი:

„აკადემიაში მეფეს არ აკურთხებდნენ — მეფეს ტახარში დაადგამდნენ სამეფო გვირგვინს!“

ამაზე მწერალი ასეთ ახსნა-განმარტებას იძლევა:

„სოლომონი ტახტზე თურქეთის სულთნის წარმომადგენლებს უნდა აეყვანათ და სულთნის ერთგულებაზე დაეფიცებინათ, ეს ცე-

რემონიალი კი, დაპერწმუნებით, ქრისტიანული ეკლესიის საკათედრო ტაძრისთვის, როგორც გელათია, მეტისმეტად შეუფერებელი ჩანს. ამიტომ შეეჩერე არჩევანი სარწმუნოების თვალსაზრისით შედარებით ნეიტრალურ ადგილზე, გელათის აკადემიის დიდ დარბაზზე...”

ვისაც „მძიმე ჭვარა“ წაკითხული არა აქვს და არ იცის მისი ავტორის გაუგონარი მწერლური უფულისყურობა, შეიძლება ეს განცხადება სარწმუნოდაც ეჩვენოს.

ჩემი დაჭერება ცოტა ძნელია, ის ამ საქმეს ასე საგულდაგულოდ არ გამოიძიებდა!

აბა, სხვა მაგალითი ვნახოთ:

„არჩილ და ელენე ბატონიშვილების ნიშნობა: დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს ცისარტყელის შეიდფერით გაბრწყინებულ ისნის ხასაბლის სამეჯლისო დარბაზში“.

კი მაგრამ სადღა იყო „ცისარტყელის შეიდფერით გაბრწყინებული ისნის ხასაბლე? იგი 500 წლის წინ არ მოთხარა ქალალ-ადდინმა?!

ამიტომ ვთქვი ზემოთ — ავტორი „ამ საქმეს ასე საგულდაგულოდ არ გამოიძიებდა!“

* *

პატივცემული მწერლის რისხვა წერილის ფურცლებიდან არა ერთხელ დამტყდომია თავს. თითქოს აღარაფერს უნდა გაგვეკვირვებინე, მაგრამ პატარა ქვეთავისთვის „ურცხვი გოლა“ — იმდენი მომხვდა, „რუსის ბარაბანს“ რომ არ მოხედრია...

„რომანისტი ვისიმე სექსუალური გრძნობების აჩქროლებას კი არ ლამობს...“

„რით განსხვავდება ეს ცინიზმი იმ ცინიზმისაგან, გოლა-უაშას პირუტყვულ წადილს რომ უდევს საფუძვლად?“

„შეიძლება ამაზე შორს წავიდეს ცინიზმი, უხამსობა და ღვარძლი, რომელიც არა მარტო ერთი „ცალკე აღებული“ მწერლის, არამედ მთელი ლიტერატურის წინააღმდეგ არის მიმართული?“

მკითხველი უნდა გეაფთხოხილო, ამას რომანის პერსონაჟი „ურცხვი გოლა“ კი არ ამბობს („ურჯულოს კვალბაზე“ ის ლმობიერი კაცია), არამედ პატივცემული მწერალი ამბობს ჩემი მისამართით!

კი მაგრამ, ასეთი რა დაუშავე, ალბათ, ქუჩაში თუ დახვდი და დედ-მამის სული უხსენეო — იკითხავს გაოგნებული მკითხველი.

პატივცემულ მწერალს, ვიდრე ჩემს წერილს წაიკითხავდა, ერთი-ორი დღის წინ მართლა შევხვდი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, ერთმანეთი პატარავისცემით მოვიკითხეთ და ისე დავეშორეთ. ახლა თქმა მიჭირს, თორემ შემაქო კიდევ.

განსაკუთრებით ჩემს ლიტერატურულ გამბედაობას გაუხვდა ხაზი.

მეც შევპირდი, რომ ამ კუთხით მუშაობას გავაგრძელებდი.

ახლა კი იმ ადგილას, სადაც მწერალია გაჩერებული და გინება ისმის, რომანიდან ამოწერილი ციტატბსა და ჩემი შენიშვნების მეტი არაფერია.

ალბათ, ჩემი შენიშვნები არ მოსწონს და იმიტომ იგინება, თორემ საკუთარი დაწერილი ასე ცუდ გუნებაზე რატომ დააყენებდა?



სამწუხაროა, რომ პატივცემულ მწერალს წესიერი კამათისთვის მიუღებელი ერთი ცუდი ჩვევა აქვს: დაგწამოს ის, რაც შენს დღეში არ გიფიქრია.

ეს ხერხი გამოუცდელ მოკამათეს კიდევ დააბნევს და, ამდენად, შეიძლება ეფექტურიც იყოს, მაგრამ არაწესიერი გზით მიღწეული წარმატება შევების მომგვრელი ხომ ვერ იქნება?

„მე, ასე გასინჯე, კიდევ დამებდა ერთი კითხვა. ვთქვათ, თ. წიფვივაძის წერილი „მძიმე ჯვარი და ჯვარცმული მკითხველი“ წაიკითხა ახალგაზრდა აბიტურიენტმა ან საშუალო სკოლის მოსწავლემ...“

ესეც ახალი უბედურება..

ეურნალის იმ ნომერში, რაკი არსად იყო მინიშნებული, რომ ჩემი წერილის წაკითხვა ეკრძალებოდათ ახალგაზრდა აბიტურიენტებსა და სკოლის მოწაფეებს, მე რა ვიცი, იქნებ წაიკითხეს კიდევ!..

ახლა იმაზე უნდა ვიფიქრო, რა უბედურება შეიძლება მოჰყვეს ამ ამბავს — ვერ გათხოვდებიან, ცოლებს ვერ მოიყვანენ, აბიტურიენტები უმაღლესში ვერ მოხვდებიან თუ მოსწავლენები საშუალოს ვერ დაამთავრებენ?

ამიტომ გულისფანტვლით ველოდი მწერლის განაჩენს...

„რა ვუპასუხოთ, როგორ უნდა დაწერილიყო სწორი, „შესაბამისი“ ქართულით ზემოთ მოყვანილი ფრაზები? კერძოდ, რა შეცდომები მოსვლია რომანის ავტორს, რომ ახალგაზრდა მკითხველმაც გაითვალისწინოს სასკოლო ან საგამოცდო თემის დაქვერისას?“

სულ ეს იყო და სხვა საშიშროება არაფერია მოსალოდნელი?

მე მეგონა, ქვეყანა დაიქცეოდა! ასე რომ მცოდნოდა, აღარც გულს შეეასკდებოდი!

თუ შეტი უბედურება არ არის მოსალოდნელი, ამაზე როგორ არ ვუპასუხებ ახალგაზრდა აბიტურიენტებსა და სკოლის მოსწავლეებს!

პირველ რიგში, შპვიდად იყენენ, „მძიმე ჯვარი“ არ არის ის ნაწარმოები, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში რომ შეიტანონ!

მეორეც: „რა შეცდომებიც მოსვლია ავტორს“, მე ის არავისთვის დამიმაღავს. ჩემს წერილში ამაზე სრულადაა საუბარი!

ხოლო, რისთვისაც „ის ფრაზები“ მოვიყვანე, იქვე ავხსენი და ასე ვთქვი:

„მწერალი ასევე უყურადღებობას იჩენს პერსონაჟთა ლექსიკის მიმართ. სხვებს რომ თავი დავანებოთ, სამეფო კარის წარმომადგენლების ენაც შეუფერებელია არა მარტო იმ საუკუნისთვის, არამედ მათი სოციალური მდგომარეობისთვისაც“.

„ახალგაზრდა მკითხველმაც უნდა გაითვალისწინოს“, თუ ის მწერლობაში აპირებს მოსვლას, რომ რეეზ ჯაფარიძის „ის ფრაზა“:

„— ღმერთო, ეს რა დამეპაროა... ზავშეები ჯაფართ დამეხოცებთან, გადაირევა სოლომონი!“

დედოფლის ნათქვამს არ ჰგავს! ასე ბახარში საყიდლებზე წასულ სოფელელ ქალს რომ შემოადამდება და უკანასკნელ ავტობუსზე დააგვიანდება, ის წუწუნებს!

„ახალგაზრდა მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს“, თუ მწერლობაში აპირებს მოსვლას, რომ რეეზ ჯაფარიძის ის „ფრაზა“, გენათელი მიტროპოლიტი რომ მიმართავს ბატონიშვილ არჩილს:

„რას ქვია... არ ირთავს ცოლს... ეგ ისწავლე აშხელა კაცმა? ძაგას გეჩიჩინებოდი?... შენ ნუ მომიკვდება, სწორედ ეგ არის!... სად შენ და სად ამისთანა კვინტრების ყრა...“

ეს მიტროპოლიტის ნათქვამს არ ჰგავს!

თქვენ ნუ მომიკვდით, სად გენათელი მიტროპოლიტი და სად ამისთანა ლაპარაკი! ანუ, სად ამისთანა კვინტრების ყრა!..

ახლა, თავი რომ მოვუყაროთ ნათქვამს, მე პატივცემულ მწერალს „იმ ფრაზეში“ პერსონაჟთა შეუფერებელი ლექსიკის გამოვსაყვედურობდი. ხოლო იმის საჩვენებლად „დამახინჯებული ქართულის მაგალითები“ რომ არის მოყვანილი, სხვა მაგალითები მოვიყვანე. აი. ერთი მათგანი:

„ამასწინაზე ორი ცხრა მგელმა შეგვიჯამა, მამაო, ახლა ორასი-ოღე იქნება...“

მე გულწრფელად ვაცხადებ, თუ „ახალგაზრდა აბიტურიენტი“ ამ წინადადების მიხედვით გაარკვევს, მგელი იყო ორჯერ ცხრა თუ ცხრა მგელმა შექამა ორი თხა!.. უმაღლესში გამოცდების ჩაბარების დროს (ქართულში!) მივეხმარები! ამ ამოცანის ამომხსნელი აბიტურიენტი კი მათემატიკას თვითონაც ჩააბარებს!..

ასევე ბოდიში უნდა მოვუხადო სკოლის მოსწავლეებს, ჩვენი მიზეზით მეცადინეობას რომ მოვაცდინეთ და ვუსურვოთ, მალე დაბრუნდნენ თავიანთ „საყვარელ საქმიანობას“ — სწავლას. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ ამ სახის შეცდომები, პატივცემულ მწერლისგან განსხვავებით, ნაკლებად მოუვათ...

* * *

რომანის ავტორს მოჰყავს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ქალბატონ ოლა სოსელიას ნაშრომიდან ამონაწერი და იქაც არ ეშვება ჩემს გაკენწვლას:

„სოლომონის გამეფებისთანავე, მის წინააღმდეგ თავადური შეთქმულება მოხდა და ახალგაზრდა მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს (მამასადამე, ის უკვე აღარ არის „გვირგვინოსანი“ როგორც კონსულტანტებისაგან გაბრიყვებულ თ. წივწივაძეს ჰგონია! — რ. ჯ.)...“

ჩემს გაბრიყვებას რა უნდა, როცა გაიძვერა და გაქნილი სახელმწიფო მოხელის — თამაზა მესხის გაბრიყვებასაც ადვილად ახერხებს რევაზ ჯაფარიძე!

„ქვეყნის უზენაეს მპყრობელს თამაზა მესხმა შესაფერი თაყვანი სცა“-ო. წერს „მძიმე ჯერის“ ავტორი იმ დროს, როცა ეს „ქვეყნის უზენაესი მპყრობელი“, სოლომონი, მართლა ჩამოგდებუ-

ლია ტახტიდან და ოდიშის მთავართან სამარცხვინო გარიგებ-
ის არის მისული: „სიყვარულით შერთული“ მეუღლე გაუშვია
და დადიანის ასულს ირთავს, ცოლოური ტახტის დაბრუნებაში
რომ დაეხმაროს!.. ეტყობა, „თამაზების“ გაბრიყვება მწერალს არც
ერთ დროში არ უჭირს!

• •

„რაკი თავზე ნაცარი წაიყარე, ამ წერილს პირადად მე, რო-
მანის ავტორი ვწერ და არა სხვა ვინმე, ვისაც „ჯვარცმულის“
წრეგადასული მკრეხელობა შეზარავდა, შეზარავდა არა იმდენად
შინაარსით, არამედ ფორმით და პროტესტის გამოსახატავად ხელ-
ში კალამს ააღებინებდა“.

პატივცემულ მწერალს მართლა რომ ჯეროდეს, გამოჩნდება ვან-
შე, „ვისაც „ჯვარცმულის“ წრეგადასული მკრეხელობა შეზარავ-
დაო“, არ აჩქარდებოდა, იმ პატიოსან კაცს დაელოდებოდა, საკუ-
თარ თავზე ნაცრის წაყრის ერთობ დამამცირებელ პროცედურას
რომ აარიდებდა!

აღარც მე ჩამაგდებდა ამ დღეში — ლამის ქვეყნის მოღალატე
რომ გამომაცხადა!..

„ყველამ, ვისაც საქართველოს მიწაზე ფეხი დაუდგამს და გულ-
ში ჩადებული ავი ზრახვა არ მორევიო, კარგად იცის, რა სიმაღლი-
სა და სიგანისა უნდა იყოს ეს ღობე“

ყველა ღობე ვნახე ცეცხლში დამწვარი!..

ასე რომ მცოდნოდა, ამისთვის საქვეყნოდ თუ შემაჩვენებდნენ,
ხმას როგორ ამოვიღებდი! ყოფილიყო მასპინძლებსა და სტუმრებს
შორის კაცის სიმაღლე ღობე ჩამდგარი და ასე ექვამათ პური!..

მაგრამ „მეტიჩარა“ რომ ვარ, მეტი ზომისდება! რა ძალა მად-
გას სხვის ღობეში ცხვირს რომ ვრგავ! ანდა, რა ჩემი ჭკუის საქმე
იყო, ამაზე რომ ვწუხდი:

„სადღეგრძელოს გადაღმაც იტყოდა ამ საქმით დაინტერესებული
კაცი, მაგრამ ღვინოზე მისაყოლებლად ამ სიმაღლე ღობეზე რა
გადმოიყვანდა!“

თუ არ გადმოვიდოდა, მის დღეში ნურაფერი ექვამა მის გეარსა
და ჭილაგს!..

თუმცა, ამას ახლა ვამბობ, გამწარებული რომ ვარ, თორემ

მაშინ ვფიქრობდი, შეცდომის გასწორებაში ავტორს ხელს წაეუკრა-მეთქი და გულწრფელად ვურჩიე:

„ამ ყოვლად უხერხულ მდგომარეობას ადვილად აარიდებდა თავს მწერალი, მეფის ამაღლა კიშკარზე მოვლით, ვენახში რომ წეპოეყვანა ან სუფრა იქვე წყაროზე გაეშალა...“

„ხელს წაეკრა“ ეგრე არ უნდაო, იუკადრისა ჩემი სამსახური პატივცემულმა მწერალმა და „ტრუბაში“ მაძკრენს!

„ვისაც „ჩვენი მუღალის“ წრეგადასული მკრეხელობა შეზარავდა... და პრიტესტის გამოსახატავად ხელში კალამს ააღებინებდა...“

კალამი კი არა, ხელში თოფი მაქვს ასაღები (ტერორისტი მაინც არ ვიყო!), თავი რომ მოვიკლა! ეს რამ აფიქრებინა პატივცემულ მწერალს ჩემზე — „ვისაც საქართველოს მიწაზე ფეხი დაუდგამს და გულში ჩადებული ავი ზრახვა არ მორევიაო...“

„ქართლის თქმამ ასე როგორ გააბოროტა პატიოსანი კაცი!

არადა, იმ დევაში მართალი რომ ვარ, ღმერთმაც იცის!

ახლა მინდა, თქვენც იცოდეთ „გულში ჩადებულ ავ ზრახვაზე“. ხელი რომ ააღებინოთ ავტორს!!!

„ჩიხორის ომის დღეს სოლომონი თერთმეტი თვისა გახდა, ყბაყურა ბატონები სჭირდა... ომში სოლომონს, რასაკვირველია, მონაწილეობა არ მიუღია.“

წერს პატივცემული მწერალი.

ამასთან დაკავშირებით მე ვწერდი:

„ერთი შეხედვით, ავტორი ისე ზედმიწევნით გაცნობია პერსონაჟის ბიოგრაფიას, ისიც კი დაუდგენია, ყბაყურა ბატონები თერთმეტი თვის ასაკში მშვიდობიანად რომ მოუხდია!

პაგრამ ცოტა კი გაგიკვირდებთ, რომ შეიტყობთ, ბატონიშვილს ყბაყურა ბატონები მაშინ მოუხდია, როცა ჭერ კიდევ დაბადებული არ ყოფილა!

კაი ბატონები ბრძანებულა, მოუხოხე, მკითხველო! მე კი მანამდე ამ საქმეს გავარკვევ.

თუმცა გასარკვევი რა არის — ჩიხორის ომი, სენხია ჩხეიძის ცნობით (იგი ამ ომის თანამედროვეა და მასზე უკეთეს მოწმეს ვერსად ვიშოვიო!) 1732 წელს მოხდა — სოლომონი კი სამი წლის მერე — 1735 წელს დაიბადა!

თუ იმდროინდელ საქართველოში ჭბაყურა ბატონებს ბავშვები დაბადებამდე არ იხდიდნენ, მაშინ პატივცემული მწერლის მოწო-

დებული ცნობა ზუსტი ვერ ყოფილა. მოკლედ, მოვუტყუებივართ და ესაა“.

მე მესმის, რომ ამნახევრად ირონიული ფრაზებით დიდი გულისტკივილი მივაყენე პატივცემულ მწერალს, მაგრამ ამის თქმა — თერთმეტი თვის სოლომონს უბაყურა ბატონები სჭირდა და ოჰში მონაწილეობა არ მიუღიაო — ჩვენი, უფრო ზუსტად, მკითხველის აბუჩად აგდებაა, რადგან ჩვენც ხომ მივხვდებოდით, უფლისწულს ბატონები კიდევ რომ ჰქონოდა მოხდილი, თერთმეტი თვის ბაღანა ომს „ბარაქას“ მაინც ვერ დაატანდა!

ბოლოს ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ პატივცემული მწერალი თავის საპასუხო წერილში ამ ეპიზოდზე საუბარს ძალზე ეფექტურად ამთავრებდა:

„აი, რა აზრობრივი დატვირთვა ახლავს ყოველივე იმას... აი, რა და როგორ ტკივა რომანის ავტორს, წერა-კითხვის უცოდინარ რევაზ ჯაფარიძეს!“

სამწუხაროდ, მე არ ვიცი, ადრეც ასე ფიქრობდა თავის თავზე „მძიმე ჯვრის“ ავტორი, თუ ეს დასკვნა ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ გამოიტანა, ამიტომაც არის, ამ ეპიზოდზე ჩემი საუბარაც ხაკლები ეფექტით რომ მთავრდება.



„ვიდრე თ. წიფწივაძე რომანს ხელში აიღებდა, როგორ ფიქრობთ, რამდენმა ათასმა და ათიათასმა მკითხველმა მოასწრო მასი წაკითხვა? ამ ათასებიდან შეიძლება თუნდ ერთი კაცი გამოირჩეს, ვისაც ის ბინძური ეპვი დაეზადა, ჩვენს პატივცემულ „ქვარცმულს“ რომ აწვალდებს?“

მე სულგრძელად ვიკაავებ თავს, პატივცემული მწერლის ამ კითხვას საკადრისი პასუხი რომ გავცე — ამას არც მის ასაკს და არც მის დამსახურებას ვაკადრებ.

რასაკვირველია, ეს პატივცემულმა მწერალმაც კარგად იცის, რომ მის წინ ჩემი სახით ერთი საწყალი და სიმართლეს გამოდევნებული ლიტერატორი ჰყავს, თორემ მართლა „ტერორისტს“ ამას ვერ შებედავდა!

საკადრისი პასუხის გაცემას არ ვაკადრებ, თორემ სამწუხარო სიმართლეს, როგორც აქამდე მითქვამს, ახლაც ვიტყვი.

„რამდენმა ათასმა და ათიათასმა მოასწრო მისი წაკითხვაო“.
რომ ბრძანებს მწერალი, მეტისმეტია!

ჩემი ხელობის კაცს, დღედაღამ ლიტერატორების გვერდით რომ ტრიალებს, ჯერ შემთხვევა არ მქონია, ვისთვისაც მიკითხავს, ეთქვას, „მძიმე ჯვარი“ წაკითხული მაქვსო.

არადა, მწერალმა ისეთი წიგნი კი უნდა დაწეროს, ერთი-ორმა ლიტერატორმაც რომ წაიკითხოს...

მაშ, მაშ! ის რეცენზიები „მძიმე ჯვარს“ რომ მიეძღვნაო? მომიჭრის პატივცემული მწერალი, ამ საკითხზე ჩემს წინა წერილში საგანგებოდ ვიმსჯელე და ვთქვი:

„მძიმე ჯვარს“ უფრო ისინი აქებენ, რომელთაც ეს ნაწარმოები საერთოდ არ წაუკითხავთ!“

სამწუხაროდ, ახლაც ამ აზრზე ვარ და ვერც იმის საფუძველს ვხედავ, შეხედულება რომ შევიცვალო.

* *

„რა ვქნა, როგორ წავართვა ლაზღანდარებს ჩემი ქუდი, როგორ შევუცვალო საუბარს კალაპოტი და როგორ მივუახლოვდე ლიტერატურას?“

პატივცემული მწერალი, რასაკვირველია, „ლაზღანდარს“ რჩევას ანგარიშს არ გაუწევს, თორემ ახლაც მზად ვარ, კეთილი სამსახური შევთავაზო და გულახდილად ვუთხრა:

ლიტერატურას „მძიმე ჯვარში“ უნდა მიახლოებოდა! რაკი რომანზე მუშაობისას ეს შემთხვევა ხელიდან გაუშვა, გაბრაზებული კაცის ხელით დაწერილი კრიტიკული წერილი ლიტერატურასთან „მიახლოების“ ნაკლებ საშუალებას იძლევა!

* *

„რა ქნას ახლა წერილის ავტორმა. კიდევ რა დაწეროს, კიდევ რა სამასხარაო საგანი იპოვოს?“

აქამდეც შეამჩნევდით, თითქმის ბოლომდე ისე გავედი, პატივცემული მწერლის არცერთ სალანძღავ სიტყვაზე არ ვცდილვარ სამაგიერო მიმეგო.

უმცროს-უფროსობის წესის დარღვევას, ცხადია, ახლაც არ ვაპირებ, ოღონდ თუ ამას ხაზი გავუსვი, უფრო იმიტომ, პატივცე-

მულ მწერალს ეთხოვო, ნება დამართოს, ამ ბრალდებაზე თავი ვი-
მართლო.

საქმე ასე იყო: ახალციხეში კაპუდან ფაშასთან ელჩად ჩასული
მარიამ დედოფალი მოლაპარაკებას იტალიურ ენაზე წარმართავ-
და. დარბაზში სხვებიც სხედან. იმერეთის სამეფოს წარმომადგენ-
ლებმა, დედოფლის გარდა, იტალიური არ იციან. ქალბატონმა მი-
რიამმა იტალიურ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომლის თავზარდამ-
ცემმა შინაარსმა საგონებელში ჩააგდო მისი თანმხლები პირები.

ამაზე ეწერდი:

„იტალიურ ენაზე წარმოთქმული სიტყვა ჯერ როგორ გაიგეს.
და მერე ასეთი სიზუსტით?

· ამ სიტუაციისთვის ხომ ბუნებრივი კითხვაა?

ამის მერე ავტორის გამართლებას შევეცადე, მართალია, ამის
საშუალება თვითონ არ მომცა, მაგრამ მე რაც შემეძლო, ყველა-
ფერი გავაკეთე.

„აშკარად უხერხული სიტუაცია შეიქმნა და მაინც, ამ შემთხვე-
ვაში წესიერი კაცი არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდნილი
მწერლის მხარეზე დადგება. მეც, რასაკვირველია, ასე მოვიქცევე“
და აქვე გამოვთქვამ ვარაუდს, იქნებ დედოფლის სახის მიმიკით
ძიხვდნენ ყოველივეს?

სხვათა შორის, ამ ეჭვზე ხელის ჩაკიდება შეიძლება.

ახლა მწერლის იმედზე ვართ, ამის თაობაზე რას მოგვახსენებს:

„მარიამის მშვიდ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხეულა“

პატიოსანი პასუხია, რაიმეში რომ გვადგებოდეს“.

მეტი მე რა მექნა, კიდევ რა შემეძლო?

მწერლის მაგივრადაც ხომ ვერ ვუპასუხებდი?

ამის შემდეგ იყო, ვიმეორებ, ამის შემდეგ იყო, დედოფალმა
რომ ითხოვა:

„თუ თქვენი აღმატებულება წინააღმდეგი არ იქნება, მოლაპა-
რაკება თარჯიმნის დახმარებით განვაგრძოთ“.

ფაშას კითხვაზე — რატომ, განა ერთმანეთს ვერ ვაგებინებთ?

დედოფალმა უპასუხა: „ჩვენმა ქვეშევრდომებმა იტალიური არ
იციან, თქვენო აღმატებულებავ, ხომ უმჯობესი იქნებოდა, მათაც
გავგოთ, რაზე ვმსჯელობთ?..“

მაშინ იყო, რომანის ავტორის მიმართ „მსუბუქი“ საყვედური
რომ დამცდა:

„მარტო კარგი კი არა, აუცილებელიც იქნებოდა! მაგრამ ცოტა ადრე უნდა გაგვეხსენებოდა იმ უხერხული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად, მწერალმა თავისი თავი და მარტომ დედოფლის თანმსლები იმერლები რომ ჩააყენა!“

ახლა იყო, რომანის ავტორს ჩემს მიმართ „სსუბუქი“ საყვედური რომ დაცდა:

„რა ქნას ახლა წერილის ავტორმა, კიდევ რა დაქროს, კიდევ რა ზამახხარაო საგანი იმოვინა?“

* *

„სალონურ სიტყვა-პასუხსა და მანერებს შეჩვეულ თ. წიგწივაძეს ზარავს და უსიამოვნებას ჰგვრის... მეფის ტონი... ხომ არ გაირჩება... და არ გვიბრძანებს; რა „მეშვენი“ კულტურული ქვეყნის კრიტიკოსს სხვათა მიერ აღიარებულ რომანზე მსჯელობის დროს? დინჯად, აუჩქარებლად... უნდა განიხილოს ნაწარმოებებს ავ-კარგი თუ უწმინდურობით სავსე ორმოს უნდა მოხადოს თავი და ავტორიცა და მისი ნაწარმოებიც სიბინძურეში ამიაველოს?“

მართალია, ტექსტის მიხედვით, სიბინძურესა და უწმინდურობის ორმოში ამოვლებული მე არ გამოვდივარ, ამიტომ ავტორის მიმართ თითქმის არაფერი მაქვს სასაყვედურო, მაგრამ მაინც აჯობებდა, პატივცემულ მწერალს „სალონურ სიტყვა-პასუხსა და მანერებს შეჩვეულ“ კრიტიკოსთან მეტი ტაქტი გამოეჩინა და ამ ლექსიკით არ ელაპარაკა! სიტყვებზე მეტი სიფაქიზით შეერჩია!

* *

„ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსისადმი მიდრეკილებას ჩვენი საყვარელი „ჭვარცმული“ სხვაგანაც არაერთჯერ იჩენს, გამეორება რომ არ გამომივიდეს, ამ საკითხის გარშემო ჩემი მოსაზრებების გამოსათქმელად მეც სხვა ადგილას შევჩერდები“.

მეც მზად ვიყავი ამ მეტად საჩოთირო „საკითხის გარშემო“ მუპასუხა ორიოდ სიტყვა და დიდხანს ველოდე, როდის მოიცილიდა პატივცემული მწერალი თავის „მოსაზრებების გამოსათქმელად“, კარგა ხანს შემეყოლია, ამის გასარკვევად სხვა ადგილას შევჩერდებო.

მთელი წერილის მანძილზე მოლოდინად ქცეული და მეტისმეტად დაძაბული ველოდი, როდის მოგვახსენებდა ამის შესახებ.

რომანშიც და წერილშიც ეს იყო ერთადერთი დრამატული ხაზი, მწერალური მიგნება, რომელიც მომეწონა.

მაგრამ მწერალთან ბოლომდე რომ რამე მომეწონოს, ეტყობა, ამის აღბალი მე არა მაქვს:

„ამ ადგილას, შეპირებისამებრ, მე მინდოდა ორიოდე მოსაზრება გამოჰეაქვა ოიდიპოსის კომპლექსისადმი ჩვენი რეცენზენტის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ალღო მკარანახობს, რომ არ ღირს, სექსუალურ თემას ისედაც გაუმართლებლად ბევრი ადგილი მივუძღვენიო“.

„სექსუალურ თემაზე“ მე პატივცემულ მწერალთან ჩემს წერილში არ მილაპარაკია. ალბათ, საკუთარ ახლობლებში ავერჩე და ამიტომაც იყო, რომ თქვა: ამ თემაზე ლაპარაკი „ალღო მკარანახობს, არ ღირსო“.



„წერილის კულმინაციაა სამასნარაო ქვეთავი: „ქმარი... ცოლის ნათლიად“. რა კურიოზია ეს? მართლა არის „მძიმე ჯვარში“ ამგვარი სულელური შეუსაბამობა?“

რამდენაღ გნებავთ, იმდენია! ზოგ მათგანზე აქამდეც მოგახსენეთ, ბევრსაც აწი გეტყვით!

რას ნიშნავს „გლესკაური სალოცავები?“ რა სურს ამით გვითხრას მწერალმა — გლესებს სხვა სალოცავები ჰქონდათ და თავდაზნაურობას კიდევ სხვა?

დედათა მონასტრის წინამძღვრად მწერალს გამოუყვანია არა ქალი — მონაზონი, რომელიმე იღუმენია, არამედ მამაკაცი — მიტროპოლიტი მიხეილი!

ბარაკონის ეკლესიაში მისი კურთხევისას დეკანოზმა „თავის მხურვალე ლოცვა-ვედრებაში მოიხსენია... მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოსი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბატონიშვილი ანტონი... ხელმწიფე-იმპერატორი ელისაბედ პეტრეს ასული და სრულიად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმინდესი სინოდი“, — წერია „მძიმე ჯვარში“.

მე-18 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ქართული ეკლესია არც რუსეთის იმპერატორს და, მით უმეტეს, არც სინოდს მოახსენიებდა!

ყალბია რომის პაპის წერილიც სოლომონისადმი, ყალბია იმი-

ტომ, რომ იგი რომის პაპს კი არ დაუწერია, არამედ რევაზ ჯაფარიძეს!

და ამ სიყალბეში მთავარი შეცდომა მაინც ესაა: მაცხოვარი ერთბუნებოვანია და არამც და არამც ორბუნებოვანი“, ასე იტყოდა ამას სომეხთა მღვდელმთავარი და არავითარ შემთხვევაში — რომის პაპი!

პატივცემულმა მწერალმა არ იცის, რომ კათოლიკობაც და მართლმადიდებლობაც დიოფიზიტობაა და რომის პაპი სისმრდაც არ იქადაგებდა ქრისტეს ერთბუნებოვანობას!

როცა პატივცემულმა მწერალმა თავის თავისთვის მეტად უხერხული კითხვა დასვა — „მართლა არის „მძიმე ჭვარში“ ამგვარი სულელური შეუსაბამობა?“ ამიტომ იყო, რომ დავუდასტურე. დავუდასტურე იმის მიუხედავად, რომ დამოწმებული ჰყავდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

„ეკლესიის საკითხების ირგვლივ წერილობით ახსნა-განმარტებებს მძღვე და ცხუმი-ფშა-ზეთის მიტროპოლიტი, ამჟამად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია“.

ჩემს პირველ წერილში როცა პატივცემული მწერალი საეკლესიო საქმეების უცოდინარობაში ვამხილე, მიპასუხა:

„დაირღვა თუ არა საეკლესიო რიტუალი? რასაკვირველია, დაირღვა, დაირღვა ბევრი სხვა რამეც, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს ავტორმა არ იცოდეს, რომ კათალიკოს ილია მეორის ავტორიტეტულმა კონსულტაციებმა ეკლესიის საკითხში ამაოდ ჩაიარა...“

ამაოდ რომ ჩაუვლია, მე ზემოთ ვაჩვენე. უწმინდესს და უნეტარესს კი იმით შეუძლია დაიმშვიდოს თავი, რომ ერთი მოწაფე თვით ქრისტესაც არ გამოადგა!

* * *

„განა მსგავსი ლაფხუსი მხატვრული სიტყვის მსოფლიო გენიოსებსაც არ მოსვლიათ? ნატაშა როსტოვა 12 თვეს იყო ორსულად, ნაცვლად 9 თვისა“.

არ მგონია, მთლად სწორი იყოს, მსოფლიო გენიოსებს მაინც-დამაინც ნაწარმოებში დაშვებული შეცდომების გამო შევედაროთ!

თუ ეს ერთადერთა საზომი იქნება ამ „შეჯიბრში“, მაშინ პატივცემული მწერლის უპირატესობა ისედაც აშკარაა — გაპარული შეცდომების რაოდენობით „მძიმე ჯვარი“ ერთბაშად აჭარბებს საოფლიო გენიოსების ხელიდან გამოსულ ყველა ნაწარმოებს!

ამის თქმას ვერ გავბედავდი, წინ პატივცემული მწერლის ერთი საგულისხმო შეცდომა რომ არ მედღეს:

„ნატაშა როსტოვა 12 თვეს იყო ორსულად, ნაცვლად 9 თვისა...“

მე აქამდე ძალიან მიჭირდა — იმ რომანის შეცდომებზე ველაპარაკებოდი მკითხველს, რომელიც აბსოლუტურ უმრავლესობას წაკითხული არ ჰქონდა.

ახლა წარმოუდგენლად უკეთეს „პირობებში“ ვარ — ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ თითქმის ყველამ ვიცით!

ამიტომ უფრო თამამად ვიტყვი: ნატაშა როსტოვა, ამ რომანის მიხედვით, 12 თვეს ორსულად არ ყოფილა!..

დ. ს. მერვეკოვსკიმ თავის მონუმენტურ, ორნაწილიან მონოგრაფიაში „ლ. ტოლსტოი და დოკტოვესკი“ (1901—1902) პირველად აღნიშნა, რომ ტოლსტოის რომანი „ომი და მშვიდობის“ მომხიბლავმა პერსონაჟმა ნატაშა როსტოვამ ორი თვით ადრე მოილოგინა!

პატივცემული რევაზ ჯაფარიძე კი სხვას ამტკიცებდა — ნატაშა როსტოვა 12 თვეს იყო ორსულადო!

რა თქმა უნდა, ამით ის კი არ მტკიცდება, რომ მწერალს „ომი და მშვიდობა“ არა აქვს წაკითხული, ეს შემთხვევა უფრო იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ეს ამბავიც ყურმოკრულად აქვს განაგონი!..

სერიოზულ კამათში კი ყურმოკრული ამბების იმედოდ ყოფნა არაფერს გვარგებს!..

ყოველ შემთხვევაში ასე მაინც არ უნდა ეკითხა:

„მოვიგონოთ სხვა მაგალითიც? ვგონებ ეს ერთიც კმარა“.

როგორც ახლა ვნახეთ, ეს ერთი მაგალითი ნამდვილად არ კმარა! მაგრამ მეტის მოტანასაც აღარ ვითხოვ, პატივცემულმა მწერალმა წინასწარ „დამაშინა“:

„ეს ერთიც კმარა... არ მინდა ზედმეტი მაგალითებით ვისმე ტვიინი გავუღაყო“.

ამ შემთხვევაში მწერალი არ აპარბებს — თუ მაგალითების მოტანა ამ „სინუსტით“ კიდევ გააგრძელა, ეს საშიშროება ნამდვილად გველის!

• •

„მიძიე ჭვრის“ ავტორს. რომანში დაშვებული ფაქტობრივი და მწერლური ლაფსუსების გასამართლებლად, წერილის ეპიგრაფად ლუკიანე სამოსატელის სიტყვები წარუძღვარებია:

„...პოეზიაში შეუზღვეველი თავისუფლებაა და ერთი კანონია — სწრაფვა პოეტისა, რომელსაც მუშები წარმართავენ. მას ვერ აუკრძალავ, კენებით ატაროს ცბენი შემოსულ ყანაში ისე, რომ ერთი თავთავიც არ გაათეღვივნოს...“

ძნელი წარმოსადგენი არაა, ამ სტრიქონების პოვნით გამოწვეული მწერლის სიხარული! რამდენად უგულო უნდა იყო კაცი, მწერლის ეს აღტაცება რომ გაანელო! ამიტომ ცოტა ვაცადოთ...

ამასობაში კი ის ფრაზები მოვიძიოთ, სადაც პატივცემული ლუკიანე მწერალს ისევ ჰყავს დამოწმებული.

„მაშ, რით და როგორ უნდა განვასხვაოთ ისტორია ლიტერატურისაგან? შეიძლება განათლებულ საზოგადოებაში, მეოცე საუკუნის დამლევს, 1800 წლის შემდეგ ნეტარსენებულ ლუკიანე სამოსატელის გარდაცვალებიდან, ფრიდრიხ ენგელსი „ანტიკურ ეპოქის ვოლტერი“ რომ უწოდებდა, ამ ელემენტარული საკითხის გარშემო სერიოზული მსჯელობა გავმართოთ?“

პირველ რიგში, მადლობას მოვახსენებ პატივცემულ მწერალს მნიშვნელოვანი ცნობის მოწოდებისათვის, სხვა ვითარებაში ალბათ არ გამახსენდებოდა „ნეტარსენებულ ლუკიანე სამოსატელს“ გარდაცვალებიდან მრგვალი თარიღი (1800) რომ შესრულებია! ღმერთმა მისი სული იმ ქვეყნად გაანათლოს, ჩვენ კი. მისეულ აზრებს აქაც არაერთხელ გავხარებინოთ!

მერე კი, პატივცემულ მწერალს უნდა ვუთხრა, რაზედაც ქვემოთ ვიმსჯელებთ, ის „ელემენტარული“ საკითხი სულაც არაა! ასე რომ ყოფილიყო, ალბათ, ნეტარსენებული ლუკიანეც არ შეიწუხებდა თავს და აღარც ფრიდრიხ ენგელსს მიეცემოდა იმის საშუალება, მისთვის „ანტიკური ეპოქის ვოლტერი“ ეწოდებინა.

მშვენიერი აზრის მიუხედავად არა მგონია, ზემოთ დამოწმებული ლუკიანე სამოსატელის ციტატიდან ის აზრი გამოდიოდეს,

რომ ისტორიული რომანის მწერალს, რომელსაც, მართალია, „მუხეზი წარმართავენ“, იმის უფლებაც ჰქონდეს, ისეთი განუყოფლობით „აქენებდეს პოეტურ ცხენს“, ისტორიის რეალურ „ყანაში“, როგორც ამას „მძიმე ჯვრის“ პატივცემული ავტორი სჩადის!

ამასთან, იმ გარემოებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ბერძენი მწერალი ამას პოეზიაზე ამბობს, თორემ პროზაში, შეიძლება ცოტა სხვაგვარადაც იყოს!

კარგი იქნებოდა აქ, ამ სფეროში მომუშავე რომელიმე დიდი შემოქმედი დამეშოწნებინა, მაგალითად, ლევ ტოლსტოი!

მართალია, მძიმე ჯვრის ავტორის აზრით, არც ეს რუსი გენოსია შეუმცდარი, მაგრამ პროზის საკითხებში, ალბათ, ჩვენ აუბეტად მაინც ის იქნება გარკვეული!

ყოველ შემთხვევაში, სხვებს ჯერჯერობით ასე მიაჩნიათ!

აი, რას წერს იგი მეოცე საუკუნის დამდეგს, „ნეტარსენებელი ლუკიანე სამოსატელის“ გარდაცვალებიდან თითქმის 1700 წლის შემდეგ:

„როდესაც ისტორიულ ნაწარმოებს ვწერ, მიყვარს სინამდვილესთან ახლოს ვიყო უკიდურეს წვრილმანებამდე“ (ლევ ტოლსტოი, წერილი ოფიცერ ი. ყორღანოვისადმი, 1902 წლის დეკემბრის თარიღით).

პატივცემული რევაზ ჯაფარიძე კი დღესაც, „ნეტარსენებულ ლუკიანე სამოსატელის გარდაცვალებიდან 1800 წლის შემდეგ“. თავის „პროზაულ ცხენს“ ისე არბენინად დააჯირითებს ისტორიის „ყანაში“, რომ ნამდვილად ვერ იტყვი — „ერთ თავთავსაც არათელვინებსო!

მისი რომანის პერსონაჟები ისტორიის „ყანებს“ ყრამულადა შესვებიან და თითქოს კალო გაუმართავთ — ყველაფერს გულდაგულ ლეწენ!..



პირველ წერილში ავტორისადმი მიმართულ ჩემს ზოგ შენიშვნას მცირე ირონიაც ახლდა:

„მწერალს, ეტყობა, უგრძობია, რომ ტრადიციული სტილითა და მანერით დაწერილ რომანს მოულოდნელი მხატვრული სახე ან ახლად მიგნებული შედარება, ნაკლებად მოუხდებოდა. ამიტომ არ-

ჩვეანი სხვათაგან ნახმარ და ცხოვრებით მრავალჯერ შემოწმებულ, მაგრამ უკვე სტერეოტიპად ქცეულ გამოთქმებზე შეუჩერებია“.

მე მოველოდი, პატივცემული მწერალი საპასუხო წერილში მოიტანდა ერთ მხატვრულ შედარებას მაინც და ამ გზით შეეცდებოდა ჩემი „ძცდარი“ ახრის გაბათილებას!..

აი, ნახეთ მსგავს სიტუაციაში რა კარგად მოიქცა უცხოელი ჟენტლმენი!

როცა ის, სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცი, მოცურავეთა საზოგადოების პრეზიდენტად აირჩიეს, მოწინააღმდეგეებმა ხმა დაუყარეს — ცურვა არ იცისო!

ახლად არჩეული პრეზიდენტი ამ ბრალდების გასაბათილებლად „ცნობის ასაღებად“ კი არ წასულა, ცილინდრი მოიხადა, გვერდზე დადო, თავად ტანსაცმლიანად წყალში გადახტა და აუზი მოხდენილად გაცურა!..

ყველამ დაინახა, დაყრილი ხმები სინამდვილეს არ შეეფერებოდა!..

ცხადია, ასევე „ადვილად“ შეეძლო პატივცემულ მწერალს ჩემი ბრალდებისგან თავი დაეცვა, მაგრამ, ეტყობა, რომანში გაბნეულმა „მხატვრულმა შედარებებმა“ ამის საშუალება არ მისცეს! ამიტომ თავის დაცვის უფრო სოგად საშუალებას მიმართა: „რომანის სისუსტე, მისი მხატვრული დონის არასახარბიელო მდგომარეობა ამ გზით არ მტკიცდება, ჩვენს ძვირფას „კვარცმულს“ რომ აურჩევია“-ო.

ამ გზით, ალბათ, არც საკუთარი ნაწარმოების დაცვა შეიძლება. ჩვენს ძვირფას მწერალს რომ აურჩევია!..

• •

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: პატივცემული მწერლის ნათქვამი:

„რაკი თავზე ნაცარი წავიყარე, ამ წერილს პირადად მე, რომანის ავტორი ვწერ და არა სხვა ვინმე...“

რასაკვირველია, ეს მოჩვენებითი თავმდაბლობაა!

„გულწრფელმა“ აღიარებამ მკითხველი შეცდომაში რომ არ შეიყვანოს და არ აფიქრებინოს — ერთადერთი შემთხვევა ყოფილა, ავტორი საკუთარ ნაწარმოებს რომ იცავსო. იძულებული ვარ, ამ კუთხით პატივცემული მწერლის წარსულიც გავიხსენო.

ქვემოთ გთავაზობთ „ცხრილ-ღიაგრამას“, სადაც ეს „სურათი“ უფრო თვალსაჩინოდ იქნება გამოკვეთილი.

რევაზ ჭაფარიძე გააკრიტიკა: რევაზ ჭაფარიძეს გამოექომაგა:

- | | |
|------------------------|-------------------|
| 1. აკაცი ბელიაშვილმა | 1. რევაზ ჭაფარიძე |
| 2. პოლიკარპე კაკაბაძემ | 2. რევაზ ჭაფარიძე |
| 3. რევაზ მიშველაძემ | 3. რევას ჭაფარიძე |
| 4. ანდრო მირიანაშვილმა | 4. რევაზ ჭაფარიძე |
| 5. თანაზ წიქწიაძემ | 5. რევაზ ჭაფარიძე |

მე ეს „ცხრილი“ თითქმის სახელდახელოდ შევადგინე და, ალბათ, ბევრი გამოჩნჩა, რომელთა კრიტიკულ წერილებსაც თაკად გაკრიტიკებულმა რევაზ ჭაფარიძემ უპასუხა! მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი, რადგან მე იმას კი არ ვითვლი, პატივცემულ მწერალს რამდენჯერ მოუწევდა ზემოთ ნახსენები უსიამოვნო პროცედურის განმეორება, არამედ გულწრფელად მინდა ეუბრალო, როცა გააკრიტიკებენ, იმ წუთშივე კალამს ნუ აიღებს ხელში, ცოტა დაიცადოს, იქნებ მართლაც გამოჩნდეს ვინმე, ვისაც მწერლის დაცვის სურვილი დაებადება...

მართალია, ამ ლოდინს ნაკლიც ექნება — შეიძლება დიდხანს მოგვიწიოს ცდა, მაგრამ, სამაგიეროდ, არც ბუხარში მოგვიწევს წასდაუწუმ თავის შერგვა... ნაცრის გამოსალება!



„რა გამოვიდა საბოლოოდ? დამტკიცდა, რომ „მძიმე ჭვარი“ სუსტია? ვაი, რომ ვერა. ვაი, რომ ამოდენა წერილის, თითქმის მთელი აღმანახის ჩათაყვის შემდეგ გაქირი სახედარივით ისევ იქა ვდგავართ, სადაც წერილის დასაწყისში ვიდექით. რატომ? იმიტომ, რომ რომანის სისუსტე... იმ გზით არ მტკიცდება, ჩვენს ძვირფას „ჭვარცმულს“ რომ აურჩევია. მაშ რა გზითო? იქნება მკითხოს — არ გასწავლი-მეთქი, მე ვუპასუხებ, გიჟი ხომ არა გგონივარ, ხეზე ასვლაც გასწავლო, ჩემი შექმის საღერდელი ხელახლა რომ აგეშლებდა, მერე სადღა დავიძალო-მეთქი?“

ხანდახან მაინც, ძალიან უხერხულ კითხვებს სევას პატივცემუ-

ლი მწერალი: „გიყი ხომ არა გგონივარო“, რომ მეკითხება, აბა, მე ხომ არ ვგონივარ გიყი, ამაზე ზუსტი პასუხი გავცე?

ისე, კამათში მეტი ლოგიკაა საჭირო, ეფექტებს გამოკიდებულ მოკამათეს იმის თქმის საშუალება არ მიეცეთ, რომ გვითხრას, — რაღა გიყი და რაღა გაჭირი სახედარივით ერთ ადგილას დგომარ!

პატივცემულ მწერალს მიაჩნია, რომ ჩემს წერილებში, მიუხედავად რეცენზენტის დიდი მცდელობისა, არ დამტკიცდა „მძიმე ჯვრის“ სისუსტე!

მე რედა, თუ ამას გულწრფელად ამბობს, ასე არ ურჩევნია? ამაზე განაწყენებულნი რატომ უნდა იყოს, ეს უფრო არ უნდა უხაროდეს?! .

მე ვერ შევამჩნიე, რომ პატივცემულ მწერალს ჩემმა სუსტმა წერილებმა სიხარული მოჰგვარეს!

თუმცა, შეიძლება უხარია და არ იმჩინებს..

რადგან ჩემი არჩეული გზით რომანის სისუსტე არ დამტკიცდა, მწერალი ნიშნის მოგებით მეკითხება:

„მაშ, რა გზითო? — იქნებ მკითხოს — არ გასწავლი-მეთქი, მე ვუპასუხებ...“

ნება მომეცით, ამ ერთადერთხელ მეც ავუწიო ხმას და ისე ვთქვა:

— არც მე მასწავლოთ და არც თქვენ გაასწოროთ, გქონდეთ მასე!..

„გიყი ხომ არ გგონივარ, ხეზე ასვლაც გასწავლოო“...

სხვა რა მასწავლა პატივცემულმა მწერალმა, ამის სწავლებას რომ მამადლის?

თანაც, მე ხომ არ ვიცი, რომელ ხეზე იცის ასვლა?

ვთქვათ და, ეს ხე ტყემალი აღმოჩნდეს, მაშინ რატომ უნდა ვათქმევინო პატივცემულ მწერალს, ჩემი ოპონენტი ტყემალზე შევხვიო?..

P. S. რომანის შემდგომ სრულყოფაში პატივცემულ მწერალს გულწრფელად შევთავაზე ჩემი სამსახური.

მოქარბებული ამბიციების გამო მან ეს დახმარება ითაკილა.

არადა, ადრე, როცა გურამ გვერდწითელმა მსგავსი სამსახური გაუწია ვანო ურჯუმელაშვილს, რევან ჯაფარიძე ერთგვარი „შუ-რითაც“ წერდა:

„მე რომ ვ. ურჯუმელაშვილის ადგილზე ვიყო (მაშინ პატივცემული ვანო ცოცხალი იყო — თ. წ.), წერილში გაბნეულ სასარგებლო შენიშვნებს ორივე ხელს ჩაევიდებდი და ნაწარმოების შემდგომში სრულყოფისათვის გამოვიყენებდი“ („აწონილი სიტყვა“, გვ. 476).

როცა იგივე სამსახური მე შეეთავაზე მწერალს, მან ეს დახმარება ითაკილა.

...ამის მიუხედავად, მე დარწმუნებული ვარ, ყოველი ჩემი შენიშვნა დროთა განმავლობაში ჩუმჩუმად კპოეებს ასახვას „მძიმე ჯვრის“ ფურცლებზე.

თუმცა, რალა დროთა განმავლობაში ეს პროცესი ნელ-ნელა დაწყებულა!

„წერილში მოყვანილია ქსნის ერისთავ იახეს და სოლომონ მეფის დიალოგი, აღის ციხეში რომ გაიმართა. მეც მომყავს იგი მთლიანად...“

წერს „მძიმე ჯვრის“ ავტორი და ამ სახეიმო დაპირების მიუხედავად — „მეც მომყავს იგი მთლიანად“-ო, „მთლიანი“ ტექსტიდან მსოლოდ ჩემს მიერ შემჩნეული უზუსტობა ამოუღია მთლიანად!

ვეძებ და ამ „მთლიან დიალოგში“ აღარსად არის ჩემთვის ნაცნობი ფრაზა:

„შეხვალ და გამოსვლა აღარ გინდა, იქვე მოუწყვია დიდებულნი წიგნსაცავი — აშურბანიძალის ბიბლიოთეკა გეგონება...“

თუმცა რატომ მიკვირს. ეტყობა, ადამიანები სუსტები ვართ და ნაკლზე მითითება ყველას გეწყინს...

მით უფრო, როცა ამ შეედომის გამო თავის დროზე კიდევ ვუსაყვედურე პატივცემულ მწერალს.

„არც იასე ერისთავს და არც თვით იმ წიგნსაცავის მფლობელ ახალციხის ფაშას წარმოდგენა არ ექნებოდათ აშურბანიძალის ბიბლიოთეკაზე... ამ სახელწოდების ბიბლიოთეკა არქეოლოგებმა ამ ამბიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ (1851 წ.) აღმოაჩინეს“.

არ ეცოდინებოდათ და, შენ კარგად იყავი, მაგის ამოგდებას რა უნდა — ერთბაშად ნაწარმოების კომპოზიცია არ დაირღვესო — „მამშვიდებს“ რომანის ავტორი და „მთლიანად მოყვანილ დიალოგში“ ეს ფრაზა სახელდახელოდ მოუკვეთია!

მე არ ვიცი, თორემ მსგავს საქციელში პატივცემული მწერალი წინათაც ჰყოლიათ შემჩნეული.

„კიდევ უფრო საოცარი (არ ვაშბობ, აღმაშფოთებელი მეთქი) ის არის, რომ რ. ჯაფარიძემ ჩემი შენიშვნების საფუძველზე გაასწორა უხეში შეცდომები ...და ახლა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე მევე თავად მეკამათება“...

მადლობას მოვახსენებ ბატონ ანდრო მირიანაშვილს ამ საინტერესო ცნობისთვის („კრიტიკა“, № 1, 1984 წ.) და მინდა წინასწარ იცოდეს „მძიმე ჯვრის“ ავტორმა, როგორც კი მსგავს საქციელს კიდევ შევნიშნავ, ამ ამბავს მეც ქვეყანას მოვდებ!..

ნურც იმის იმედად იქნება პატივცემული მწერალი, რომ კამათს გაავრძელებს და მეც მომწყინდება ამ ერთობ დიდი და მომქანცველი რომანის კითხვა.

დარწმუნებული პრძანდებოდეს, „მძიმე ჯვრის“ ერთხელ წაკითხვისთანავე იმდენი შეცდომა ამოვწერე, მთელი ცხოვრება მელოფა ავტორთან საკამათოდ!

შენიშვნები რედაქციისაგან, აგრეთვე, ჩამბანაც!..

„მამრობითი პარტნიორის...“ გამოქვეყნებიდან ერთი-ორი კვირის შემდგომ რედაქციამ პატივცემული მწერლის, ალექსანდრე კალანდაძის წერილი მიიღო.

წერილმა რეზოლუციაც მოიყოლა — აუცილებლად დაიბეჭდოს!

„ცისკარი“ მაქსიმალურად აღუდგა გარედან თავსმოხვეულ თვითნებობას — დაძალებულ წერილს „შენიშვნები“ დაურთო! ამით მკითხველს მოიარებით მიანიშნა — ალექსანდრე კალანდაძის პასუხი სიშართლეს არ შეეფერება და რედაქცია წერილში გამოთქმულ აზრს არ იზიარებსო.

მეტის გაკეთება „ცისკარს“ არ შეეძლო, — რეზოლუციის დამდეგი პიროვნების ხელრთვაზე დაკვირვება მეტის საშუალებას არ იძლეოდა!

გთავაზობთ ამ შენიშვნებს: /

რედაქციისაგან:

რაკი უფრანლ „ცისკარის“ რედაქცია არ აპირებს მწერალ ალექსანდრე კალანდაძესა და კრიტიკოს თამაზ წივწივაცებს შორის წამოჭრილი დისკუსიის საგანგებო შეჯამებას, მას საჭიროდ მიიჩნია, მკითხველს ნიაწოდოს რამდენიმე განმარტება იმ ზოგიერთი უზუსტობის გამო, რასაც სამწუხაროდ, ადგილი აქვს პატივცემული მწერლის პასუხში.

მაგალითად:

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე წერს: „ავტორს (წერილის ავტორს თ. წივწივაცეს) სამი ილეთი გამოუყენებია რომანის „ნოსარჯულენლაჲ“: 1. გამოუტოვებია არსებითი სიუჟეტური ხაზები და მოვლენები, 2. თვითონ დაუმატებია, რაც მოსურვებია, 3. დაუმახინჯებია და გადაუკეთებია დანარჩენი“.

ავტორი ვალდებული ვერ იქნება, არც საჟურნალო წერილის მოცულობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ნაწარმოები განხილულ იქნას პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე. ბოლო ორი პუნქტი სიპართლეს არ შეეფერება!

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: თ. წიგწივაძეს „მთელი პათოსი ბუნალტური-აზუ დაუზარჯავს, მოუმარჯვებია საანგარიშო და გულმოდგინედ ამოწმებს, რამდენი წლისაა... ციციწო, მაყვალა, და ა. შ.“

თ. წიგწივაძის წერილში მაყვალას ასაკზე, საერთოდ, სიტყვა არაა ნახებები. ავტორს არც ციციწოს წლოვანება აინტერესებს. იგი წერდა: ბავშვს, რომელიც 1944 წლის აპრილში ერთი წლისა იყო, 1945 წლის ნაწამდე წლოვანება აუცილებლად მოემატებოდაო: „ომის პერიოდში ენჯანას სასმელ-საჭმელი უჭირდა, ამიტომ, იქნება, ციციწო ტანად არ განჯილიყო, თორემ ასაკი, როგორც მშვიდობიან წლებში, ისე მოემატებოდა“.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „პერსონაჟთა ასაკის გაუთავებელ მიმატება-გამოკლებას მოსდევს მათი ოჯახური შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რათა გამოარკვიოს, მდიდარი იყვნენ თუ ღარიბი დროთე, კიკიჭია, ნაყვალა და ა. შ.“

თ. წიგწივაძის წერილში ლაპარაკი არაა კიკიჭიასა და მაყვალას სა-ეფაცხოვრებო პირობებზე.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „თ. წიგწივაძის სიტყვით რომ ვთქვათ: „გაუნათლებლობა რომ არ დასწამონ“...

საიდან მოაწევს მწერალს ეს ფრაზა, გაურკვეველია. თ. წიგწივაძის წერილში ასეთი წინადადება არ გვხვდება.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „განუზომელია ავტორის აღტაცება, როცა „დააჯვენს“, რომ დროთე „სალომეზე ვერ დაქორწინდებოდა, რადგან საცოლე მაშინ სამი წლისა იქნებოდა“.

თ. წიგწივაძე წერდა: „მწერლის არითმეტიკით ასე გამოდის, დროთეს როცა საცოლე შეყვარებია, სატრფო მაშინ, არც მეტი, არც ნაკლები, დაბადებული არ ყოფილა! საინტერესო შემთხვევაა!“

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „ამ ვითარებაში დიმილის მომგვრელია გავ-
ვირვება, სიღრმეში შესვლა ვერ მოვახერხებ, ნაწარმოების აწერისა და
სიბრძნის გასაგებად“.

თ. წიგწივაძე სხვას ამბობდა: „თითქმის მთელი წიგნი ისეა დაწე-
რილი, სანთლით რომ ეძებო, სიბრძნეს და სიღრმეს ნაკლებად წააწ-
ვდები“.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: თ. წიგწივაძე „აღშფოთებას გამოთქვამს, რომ
რომანოს პერსონაჟები უნებართვოდ ტიხარს აკეთებენ, სამედიცინო ში-
ნაგანაწივს არღვევენ (სალომემ მომაკვდავ შვილთან საავადმყოფოში
დარჩენა როგორ გაბეჯაო) და ა. შ.“

მწერალს ანის გამო არ ეღაგებოდი: „სალომემ მომაკვდავ შვილთან
სავადმყოფოში დარჩენა როგორ გაბეჯაო“. თ. წიგწივაძე წერდა: „ქალ-
ბატონ სალომეს საკანში ცემენტის იატაკზე ეძინა,“ რომ ბრძანებს მიწე-
რალი, მართალი არაა. ავადმყოფი შვილის დედას, თუკი სურვილი ექ-
ნებოდა, შეეძლო სახლში ჯაჭვასწნულსაც ეარა, მაგრამ სავადმყოფო
სახელმწიფო დაწესებულებაა და იქ სანედიცირო განაწესის დარღვევის
უფლებას არავის მისცემენ!

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „რომანოს პერსონაჟთა ყოველგვარი საქცი-
ელისთვის თ. წიგწივაძე მწერალს აკისრებს პასუხისმგებლობას. როგორ
შეიძლება დოროთე ტიროდეს! როგორ შეიძლება ქმარი ცოლს სცემდეს!“

თ. წიგწივაძე მწერალს სხვა რამის გამო საყვედურობდა, კერძოდ:
დედაძე საკუთარი შვილი უცხო მანაკაცს ლოგინში ძალად რომ შეუწვი-
ნა!

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „მართლაც რა უნდა ელაპარაკო მას, ვისაც
ჰგონია, რომ მთავარია, რატომ მიდის ინჟინერი კაცი ვაგონების გადმო-
სატვირთავად...“

კრიტიკული წერილის ავტორს ამგვარი გავიგებება არსად გამოუთ-
ქვამს.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „თ. წიგწივაძე ისწრაფვის დაამახინჯოს რო-
მანოს სინამდვილე და გააყალბოს ჭეშმარიტება. როცა ვინაღაც წამოიძა-
ხებს, ეს რა თამამი ახალგაზრდობა წამოვიდაო, აჰასაც ჩვენს დანაშა-
ულად თვლის: „გალეწილია ახალგაზრდა თაობა!“

ასეთი ფრაზა: „გაღვიწილია ახალგაზრდა თაობა!“ თ. წიგწივაძის წერილში არაა, საიდან ნოაქეს იგი პატივცემულ მწერალს, ძნელი სათქმელია.

ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „იმის დასამტკიცებლად, რომ პერსონაჟებს ბუროთსომოდერებაზე საუბარი უჭირთ, წერილის ავტორს კურიოზული სანაუთო მოსყავს: წმირაჯ პოეზიაზე მსჯელობენო. თითქოს პოეზიაზე მსჯელობა უცხო იყოს სწვა დარგის ადამიანებისათვის“.

თ. წიგწივაძე წერდა: „პატივცემული მწერალი არქიტექტორთა და ნივნიბელთა ცხოვრებას ნაკლებად იცნობს, ასევე ნაკლები ცოდნა გააჩნია ბელოვნების ამ დარგში... მაშინაც კი, როცა აუცილებელია ბუროთ-მოძღვრებაზე საუბარი, ავტორი არქიტექტურული ცნობარიდან ანოკითხული ცოდნის მარაგითა და ზერელე ინფორმაციების მოწოდებით კმაყოფილდება... ეტყობა, მწერალს, რომანის წინასაბუშაოების მომზადების ნონეცტიში, ხელთ ჰქონია ინგლისელი ავტორის რეინერ ბენემის „ახალი ბრუტალიზმი“. რომანის პერსონაჟების თეორიული ცოდნის მარაგი არქიტექტურაში მთლიანად ამ წიგნიდანაა ამოკრფილი“.

ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „ჩვეულებრივ საომარ თავდადებას რომლის ნსგავსიც იმ ქარიშხლიან დღეებში ყოველ წუთს ხდებოდა („ავტობატის ჯერი დააყარეს“) წერილის ავტორი სარკასტულად „ქრისტეს სასწაულებს“ უწოდებს, რადგან ეს „თვითმკვლელობას უდრიდა“. განა ომში, აუცილებლობის დროს ყველა გმირული საქციელი თვითმკვლელობას“ არ უდრიდა?!”

რედაქციას საჭიროდ მიაჩნია, მკითხველს აუწყოს: თ. წიგწივაძე აქ არაფერ შუაშია. მან, უბრალოდ, რომანიდან მწერლის ციტატა გადმოიწერა: „ტყვობ რომ ვაუთავდა „ფაუსტი (ტარსანიძე, თ. წ.) აქ შემართული რევოლვერით გაეპანა ჟანდარმებისკენ, რომლებმაც მას ავტობატის ჯერი დააყარეს (ეს, როგორც ცნობილია, თვითმკვლელობას უდრის..) მეორე დღეს „ფაუსტი“ პოზნანში დაბრუნდა“.

ალბათ შეამჩნევდით, პატივცემულ მწერალს საკუთარი ნათქვამი: „ეს, როგორც ცნობილია, თვითმკვლელობას უდრის..“ თ. წიგწივაძისთვის მიუწერია, შემდეგ საბაბი რომ ჰქონოდა გაეკენწლა: „განა ომში, აუცილებლობის დროს ყველა გმირული საქციელი „თვითმკვლელობას“ არ უდრიდა?!”

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „ცინიზმს აღწევს წერილის ავტორის გულ-
გრილობა მინდელის მიმართ“.

თ. წიგწივაძე წერდა: „მწერალს... მინდელის ბიოგრაფია ისეთი დე-
ტალით შეუვსია, რომ ამ ყველაზე სერიოზულ პასაჟს, ავტორის სურვი-
ლის საწინააღმდეგოა. ირონიული ელფერი გადაჰყარავს!

ომის პირველი წუთიდან უკანასკნელ წუთამდე ცეცხლის ხანზე იმ-
ჯოვებოდა. საზღვარზე დაიწყო და პრალაში დაასრულა. ბოჰემიაში ცალი
წელით, ცალი ფეხით და ცალი თვალით მ ი უ მ დ ლ ო დ ა კ ა ვ ა ლ ე რ ი ს-
ტ ე ბ ს“.

გაოცებული მკითხველი გვეტყვის: თქვე უღმერთოებო, საცოდაობას
სად მიუღინართ, ცალხელა, ცალფეხა და ცალთვალა კაცი ცხენზე რომ
მეწყით და ცალ ხელში თოჯი, ალვირი და ხმალი ერთად დააჭერინეთო“.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „კრიტიკოსი თვითმოქმედებას შეუგომა —
ჩვენს მავიერად თხზავს, აკეთებს ადგილებს, ეპიზოდებს, სიტყვა-გამოთ-
ქმებს და თავისი ნახელავისათვის ჩვენგან მოითხოვს პასუხს... თ. წიგ-
წივაძეს რომანიდან ამონაწერებში უცერემონიოდ ჩაუმატებია „ყუყუზე მი-
ყვანილი“. „ტუნტრუჟა“, „ამ იერიშის“, „შეზლონგზე“.

მატიცემული მწერლის განცხადება მართალი არაა. კრიტიკოსს რო-
მანში არაფერი ჩაუმატებია, წერილში, სამწუხაროდ, აქ-იქ კორექტურა
გაპარულა. ნაგალითად, „ამ იერიშის“ ნაცვლად უნდა იყოს „ამ იერიშის“.

კორექტურის თაობაზე რედაქცია ბოღიშს უხდის მწერალს.

ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „წერილის ავტორს ხომ რომანის შინაარსი
არ აინტერესებს, თითოეულ პერსონაჟში ვიღაც მისთვის ნაცნობ კონ-
კრეტულ პირს გულისხმობს და პერსონაჟების მიმართ დამოკიდებულე-
ბასაც ასეთი სიჰათა-ანტიპათიით განსაზღვრავს. ზოგი მათგანის და-
ხასიათებნასაც არ ერიდება. ბადრიკოს სახით მწერალმა ერთი „დიდად
ნიჭიერი კრიტიკოსი“ გამოიყვანაო, უდარდელად აცხადებს. მწერალმა ეს
წიგნიც მისი შურით დაწერაო (თუმცა არსებობს ურყევი დოკუმენტები,
რომ „წიგნიც შტო“ მის მიერ ნაგულისხმევი სტრიქონების დაბეჭდვამდე
რამდენიმე წლით ადრე დაიწერა“.)

თ. წიგწივაძე წერდა: „რომანის პერსონაჟი ბადრი ბეკუაძემ ავტორს
არასიჰათიურად დაუხატავს. ვერაეინ შეედავება, მისი საქმეა! მაგრამ
აშკარად უტაქტოდ მოიქცა, როცა ამ პერსონაჟს წარმოათქმევინა ლიტე-

რატურულ პრესაში გამოქვეყნებული სიტყვა, რომელიც ერთ დღეად ნიჭიერ კრიტიკოსს ეკუთვნის.

აქ, ცნება, მარტივი შურისძიების აქტთან გვაქვს საქმე! მწერლობის კანონებით ამ ფაქტის ახსნა ჭირს!”

წერილში მითითებული არ იყო, ის წინადადებები, რომლებიც „ნიჭიერ კრიტიკოსს“ ეკუთვნოდა. ამიტომ ძნელი ასახსნელია, როგორ ამოიციო მწერალი! ზოლო განცხადება — არსებობს ურყევი დოკუმენტები, რომ „წესანე შტო“ მის მიერ ნაგულისხმედი სტრიქონების დაბეჭდვამდე რაზდენივე წლით ადრე დაიწერაო — იმის დასტურია, რომ რომანიდან „ის ნაგულისხმედი სტრიქონები“ იმ „დიდაჯ ნიჭიერ კრიტიკოსს“ გადმოუწერია!”

აღ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე: „ავტორი მე მომსწერს“ დიალოგების ერთ-ერთი მონაწილის საგანგებოდ დამახინჯებულ აზრს... არა ერთგან არის მითითებული, რომ „დილოგის“ მონაწილე კრიტიკოსი სხვა პერსონაჟებთან პოლემიკისას, ლაბროუერს ემყარება“.

ქვემოთ მკითხველს ნივანწვდით „დილოგის მონაწილე კრიტიკოსის“ რანდენივე აზრს, რომლებიც, არა გგონია, ლ ა ბ რ ი უ ე რ ს ეკუთვნოდეს:

„მილოსი, ალბათ, გაგიგონიათ. კარგა დაქიჩმარებული კრიტიკოსი გახლავთ. ბევრჯერ ამხილეს ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს უ ც ო დ ი ნ ა რ ო ბ ა შ ი“.

„ჩვენს კრიტიკაში მუდამ ბოგინობდა პროვინციული ესტეტიზმი... განა ამით არ უნდა აიხსნას, რომ გენიალური ანონიმის უკვდავი შედეგი „ა რ ს ე ნ ა ს ლ ე ქ ს ი“ დღემდე არაა დირსეულად დაფასებული... რატომ არ ვცნობთ მის უდიდეს როლს ახალი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ა შ ი!“

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია არ უარყოფს, რომ თვით თამაზ წიგწივადის წერილში იყო გადაჭარბებანი და ზოგჯერ ეთიკის ნორმების ერთგვარი დარღვევაც კი, მაგრამ რაკი პატივცემულ აღ. კალანდაძის წინამდებარე პასუხი სწორედ ამ ნაკლისადმი მიძღვნილი, ჩვენ ამავე თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ულრმეს მადლობას მოვასხენებ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას, ჯერ კიდევ დამწყებ ლიტერატორს მაშინ სიმართლე რომ არ დამიკარგა და, სახიფათო რისკის გაწევით, გამომეჭმომაგა.

ახლა უკვე მოზრდილი კაცი ვარ და თავსაც უკეთ მოვეუვლი.

სამწუხაროდ, ჩემი დავა პატივცემულ მწერალთან ამ „ეტაჰზე“ არ გათავდა: იგივე წერილი ავტორმა საკუთარ წიგნში ისე შეიტანა. მკითხველს არ გაუმხილა, თავის დროზე ამ წერილს რედაქციის „შენიშვნებიც“ რომ ერთვოდა!

ამიტომ იძულებული ვარ, წიგნში შეტანილ პატივცემული მწერლის პასუხს ახლა ჩემი „შენიშვნები“ დავუერთო.

* *

თავდაპირველად იმ გარემოებას უნდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება, რომ ავტორს საკუთარი წერილი საკუთარ წიგნში შეტანისას თითქმის პიესად გადაუქეთებია! — „ნაწარმოებს“ უკვე რამდენიმე პერსონაჟი ჰყავს და დიალოგის პრინციპზეა გამართული!

გთავაზობთ ამ „პიესის“ ექსპოზიციურ ნაწილს:

— „თუკი იცით, საიდან და ვისგანა, არ ჯობდა, თავი წაგედუნათ?“

— ლიტერატურული კრიტიკა რომ იყოს, ერთი სიტყვა მაინც რომ იყოს მართალი, თავის წაღუნვა აჯობებდა, მაგრამ ამ ცილისწამებებს ხედავთ? ისიც ზომ გესმით, მათი უყურადღებოდ დატოვება რას მოასწავებს! პასუხი თუ არ გავეცი, შეიძლება, უარესი იქნეს. გინაბავთ ადამიანის მიმართ ასეთი დამოკიდებულება?

— უკეთესია, ასეთ დაბეზღებებს მწერალმა ყურადღება არ მიაქციოს და მშვიდად განაგრძოს თავისი საქმე. რატომ გგონიათ, რომ საზოგადოება ვერ ხვდება პასკვილანტი ზომ გარედან მოსული პირი არაა, მათი თანამშრომელია და ხელშეუხებლობის გარანტია რომ არ ჰქონდეს, ასეთ პასკვილზე ხელის მოწერას ვერ გაბედავდა.

— საკამათო და საპოლემიკო რა გვაქვს. მე მინდა დავანახვო მკითხველს, რომ პასკვილში თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიცრუეა, და მე-რე, თვით მკითხველმა გადაწყვიტოს, რა ან ვინ აიძულებს ადამიანს, ასეთი საქციელი ჩაიდინოს...“

ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ დავბნეულვარ და ერთი ასეთი შემ-

თხვევა ესეცაა! ვერაფრით გავიგე — ვინ მედავება და ვინ მლან-
ძლავს!..

სხვათა შორის, აღარც მე ვიცი, ვის ვედავო და ვის ვეკამათო
ვატყობ, ისინი ორნი არიან. აქედან ერთი, ალბათ, პატივცემუ-
ლი მწერალი იქნება! მეორე, შეიძლება მისი მეორე მეთავე მაგრამ
თუ ჩემი ვარაუდი სწორია, ასეთ შემთხვევაში, წერილის ავტორს
საკუთარ თავთან ასეთი რევერანსები რატომ სჭირდება?!

ერთი სიტყვით, „პიესის“ პერსონაჟების ვინაობის გარკვევა
ჭირს, თორემ თითოეული მათგანის ჩემდამი დამოკიდებულება იმ-
თავითვე ნათელია — აშკარად დამცინიან!

„ვერ უყურებთ, რა ხუმარა ყოფილა?!“ იწყებს ერთი ჩემზე სა-
უბარს და მეორე კიდევ უფრო უკადრის საქციელს მომაწერს:

„პასკვილანტი... თითოეულ ამონაწერს პირზე მომდგარ რაღაც
უწმაწურ ლანძღვას და უსუსურ წამოძახილს მიაყოლებს. აი, ისე,
განურჩევლად, ყოველ გამვლელ-გამომვლელს რომ თითს მიაშვე-
რენ: „შეხე, შეხე, ბიჭო, რასა ჰგავს“ „ვა, ერთი ამის ქოჩორს და-
მიხედეთ! და სიცილით იჭაჭებიან“.

ერთი სიტყვით, „პიესის“ პერსონაჟები კლასის ამხანაგებივით
არიან ჩემთან შეხუმრებულები..

• •

პატივცემული მწერლის საპასუხო წერილს გარდა ჟანრობრივი
გარდასახვისა. სხვა მეტამორფოზაც განუცდია.

ამის დასტური ისიცაა, რომ სარეცენზიო წერილი წიგნში გაცი-
ლებით მძაფრად „გამოიყურება“, ვიდრე ის ჟურნალიდან ჩანდა!

ე უ რ ნ ა ლ შ ი ი ყ ო : „ნაკლოვანებებზე ჯერ სიტყვაც არ დაუძ-
რავს, რომ ჩემს ლანძღვას იწყებს“.

წ ი გ ნ შ ი ა რ ი ს : „ნაკლოვანებებზე ჯერ სიტყვაც არ დაუძ-
რავს, რომ უ წ მ ა წ უ რ ლ ა ნ ძ ღ ვ ა - გ ი ნ ე ბ ა ს იწყებს“.

ხაზგასმული სიტყვები საილუსტრაციოდ მოტანილ მაგალი-
თებში აქაც და შემდეგაც პატივცემული მწერლის მიერაა ჩამატე-
ბული!..

ე უ რ ნ ა ლ შ ი ი ყ ო : „წერილის ავტორს არ დაუზოგავს არც
დრო, არც ფურცლები, არც გამოცდილება“.

წ ი გ ნ შ ი ა რ ი ს : „პ ა ს კ ვ ი ლ ა ნ ტ ს არ დაუზოგავს არც

დრო, არც ფურცლები, არც ცილისმწამებლური გამოცდილება“.

ჯერჯერობით, თავის ახალ „სტილს“ რომ შემავსოს, პატივცემული მწერალი წინანდელ ფრაზებში თათო-თოროლა სიტყვას ამბობს, მერე და მერე თავისთვის მეტის უფლებაც მიუცია!

ქუჩაში იყო: „წარმოუდგენელია, ასეთი წერილის ავტორი კმაყოფილი დარჩენილიყო თავისი ნახელავით. ამის საბუთი ისაა, რომ სახიფათო ნაბიჯი უკანასკნელ გვერდზეც გადაუდგამს...“

წიგნში არის: „წარმოუდგენელია, ასეთი წერილის ავტორი კმაყოფილი დარჩენილიყო თავისი ნახელავით. ამის საბუთი ისაა, რომ ჩვენს მიმართ ღვარძლი ბოლომდე ვერ ამოუტრეცხავს გულიდან, სახიფათო ნაბიჯი უკანასკნელ გვერდზეც გადაუდგამს...“

საინტერესოა, როცა ამ ხაზგასმულ სიტყვებს ჩუმ-ჩუმად ამბობდა, პატივცემულ მწერალს არავისი ერიდებოდა?

ქუჩაში იყო: „მთელი მიზანი ამ სცენისა ისაა... გვიჩვენოს, რომ ჭეშმარიტი გრძნობა უძლეველია და განსაცდელი არ აშინებს“.

წიგნში არის: „მთელი მიზანი ამ სცენისა ისაა... გვიჩვენოს, რომ ჭეშმარიტი გრძნობა უძლეველია და განსაცდელი არ აშინებს. მაშ რატომ ცდილობს პასკვილანტი გააყალბოს და შებილწოს ყოველივე წმინდა და ლამაზი! წაიკითხეთ პასკვილში თვითონ თ. წივწივადის უწმაწური, თვითმიზნური, ჟხამსი „რემაჩკები“ ღამიხვდებით, რას ნიშნავს თავაშეებული, საზოგადოების შეუტრაცხყოფელი, ახალგაზრდობასთან არ გამოსაჩენი პორნოგრაფია და უხამსობა (მათი არათუ ქუჩაში და ბეჭდვა, უბრალოდ გამეორებაც კი სამარცხვინოა).“

ბრძანს ვიხდი პატივცემულ მწერალთან, მის მიერ შემოთავაზებული ყველა ლანძღვა-გინება დიდი მოცულობის გამო აქ რომ ვერ გადმოვწერე. ისე კი, ადგილზე გულდასმით გავეცანი და უკმაყოფილოც არ დავრჩენილვარ — მონდომებითაა გაკეთებული!

მაგრამ თუ ასე გაგრძელდა და საგინებელი სიტყვები მის მომავალ კრებულებში კიდევ უფრო განიერცო და დაიხვეწა, იძულებული

ბული ვიქნები, პატივცემული მწერლის მომავალი მკითხველები აღრიანად გავაფრთხილო: ყოველ ახალ წიგნში დედ-მამის სულს რომ მიხსენებენ, ახალი არ გეგონოთ ეს გინება ერთხელ იყო რომ დავიმსახურე, მაგრამ აღ. კალანდაძე დრო და დრო ცდილობს სასურველ კონდიციამდე დაიყვანოს და ხშირ-აშირადაც ამიტომ იმეორებს...

* *

წინასწარ უნდა გავაფრთხილო მკითხველი. რომ „მწვანე შტოს“ ავტორს წარამარა ისე ეჩვენება, რომ სწავლასზე სფეროს წარმომადგენლებთან დასმინეს! ყოველივე ამას კი მტკიცებულად განიცდის და ჩემს მიმართაც ერთობ განწყენებულად გამოიყურება.

მკითხველის გულის მოსაგებად ნიანგის ცრემლის ღვრასაც არ ერიდება და „გულისტკივილით“ წერს:

„ეს სიყალბე პასკვილანტს ქართველ მწერლებთან ჩემს დასაბეზღებლად სჭირდება“.

„ავის მოსურნე კი წარბშეუხრელად აცხადებს: „მწერალი ნოლ კლასს ათვალწუნებით იხსენებს“ (პედაგოგებთან ჩვენს დასაბეზღებლად სჭირდება!)“

„ეს სიყალბე ქართველ ქალებთან ჩემს დასაბეზღებლად სჭირდება“

„ესეც ჩვენი დაბეზღება ახალგაზრდობასთან!“

„ამასაც ქართველ არქიტექტორებთან ჩვენი დაბეზღებით იწყებს!“

„ესეც დაბეზღება „ადმინისტრაციულ ორგანოებთან!“

მართალია, ზემოთ მოტანილ ფრაზებზე დაკვირვებამ არ მომცა იმის საშუალება, რომ მეტყვა, პატივცემული მწერალი მეხუმრება-მეტყი, მაგრამ მე მაინც მინდა ასე ვიფიქრო, ამიტომ ასეთივე ხუმრობის უფლებას ჩემს თავსაც მივცემ:

ალექსანდრე კალანდაძე მე ერთადერთხელ, ისიც მხოლოდ მკითხველთან დავასმინე — სუსტი რომანის ავტორია-თქო, თუმცა არც ეს გაფრთხილება იყო საჭირო — ვინც „მწვანე შტო“ წაიკითხა, ამას უჩემოდაც მიხვდებოდა...

წინამდებარე წერილში დიდი მადლობით მოგიხსენიე აქრნალი „ცისკარი“, — დამწყებ ლიტერატორს თავის დროზე რომ გაქაჩე-ქომაგა და პატივცემული მწერლის აშკარად უსამართლო პასუხს რედაქციის „შენიშვნები“ დაურთო.

ჩანს, „შენიშვნებს“ ძალიან გაუნაწყენებია პატივცემული მწერალი და ამ ფაქტისთვის პიესადგადაკეთებულ თავის საწარმო-ებში მთელი პასაჟი მიუძღვნია:

— „ძალიან გაგიკვირდა, ან თქვენს პასუხს „რედაქციამ“ შენიშნე-ბი რომ დაურთო.

— რა არის გასაკვირი! შეაჯარეთ ერთმანეთს „რედაქციისა“ და პას-კვილანტის სტილი... და დარწმუნდებით, რომ ნათ შორის სინბლბორტე-ული კავშირია“.

ამ ამბიდან დიდი დრო გაუიდა და ახლა მეც პირდაპირ და და-უფარავად უნდა „ვდიარო“ — პატივცემული მწერალი მართალია სწორად შეუნიშნაეს — „რედაქციისა“ და ჩემი სტილი თითქმის იდენტურია!

ამ კუთხით სარედაქციო შენიშვნების ერთ პუნქტს ყურადღე-ბით დააკვირდით:

„თ. წი ვ წი ვ ა ძ ე წ ე რ დ ა: „მწერლის ართმეტიკით ასე გა-მოდის, ღორთეს როცა საცოლე შეყვარებია, სატრფო მაშინ, არც მეტი, არც ნაკლები, დაბადებული არ ყოფილა! საინტერესო შემ-თხვევა!“

მოტანილ ციტატაში ხაზგასმული სიტყვებია მხოლოდ რედაქ-ციის, დანარჩენი ჩემი წერილიდანაა და აბა, ჩემს სტილს როგორ არ დაემგვანებოდა?!

ასეა სხვა შემთხვევებშიც!

„თ. წი ვ წი ვ ა ძ ე წ ე რ დ ა: „რომანის პერსონაჟი ბადრი ბე-კურაძე ავტორს არასიმპათიურად დაუხატავს. ვერავენ შეედავება, მისი საქმეა! მაგრამ აშკარად უტაქტოდ მოიქცა, როცა ამ პერსო-ნაჟს წარმოათქმევინა ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებულ სიტყვა, რომელიც ერთ დიდად ნიჟიერ კრიტიკოსს ეკუთვნის.

აქ, ეტყობა, მარტივი შურისძიების აქტთან გვაქვს საქმე! მწერ-ლობის კანონებით ამ ფაქტის ახსნა ჳირს!“

აქაც — „თ. წი ვ წი ვ ა ძ ე წ ე რ დ ა“ — ეს სიტყვებია რედაქციის, და-

ნარჩენი ისევ ჩემი წერილიდანაა! აბა, ჩემს სტილს როგორ არ დამგვანებოდა?!

აქედან გამომდინარე, პატივცემული მწერალი არა მარტო მაშინ მოქცეულა უტაქტოდ, არამედ ახლაც, როცა მსგავს საქციელს იმეორებს!

საქმე ისაა, რომ მას მოაქვს ჩემი ციტატა და მერე ისე აჩვენებს მკითხველს, თითქოს იგი რედაქციისაა!

„გაოცებული მკითხველი გვეტყვის, თქვე უდმერთობებო, საცოდობას სად მიუღიხართ, ეს ცალხელა, ცალფეხა, ცალთვალა კაცი ცხენზე რომ შესვით და ცალ ხელში თოფი, აღვირი, და ხმალი ერთად დაჰყვინთ?“

კარვია თუ ცუდია, ხატზე დავიფიცებ, ეს წინადადება ჩემია!

მწერალი კი ისე ასაღებს, თითქოს რედაქციისაა და მრავალნიშვნელოვან კითხვას სვამს — „როგორ ფიქრობთ, ვისი სტილია — დამცველების (ე. ი. რედაქციის — თ. წ.) თუ დასაცველის (ე. ი. ჩემი — თ. წ.)?“

თქვენ როგორ ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველო, მწერლის ასეთი საქციელი მოსაწონია?!

კიდევ ვიმეორებ, სატრაბახო არ არის, მაგრამ დამოწმებული წინადადებების აზრიც და სტალიც ჩემია! აქ პატივცემული მწერლის „სტილი“ ისაა, რომ ახლაც მიმართავს სიყალბეს და უდიერად ცდილობს ჩემი ფრაზა რედაქციას მააწეროს, მერე იმის საშუალება რომ ჰქონდეს, თქვას: „შეადარეთ ერთმანეთს „რედაქციისა“ და პასკვილანტის სტილი... და დარწმუნდებით, რომ მათ შორის სისხლხორცეული კავშირია“.

აქ ჩვენ ერთ რანეში დავრწმუნდით, — ეტყობა, მართლაც მარტივი შურისძიების აქტთან გვაქვს საქმე, თორემ წესიერ კამათში მიღებული კანონებით ამ ფაქტის ახსნა მართლაც ჭირს..

შემდგომში პატივცემული მწერალი იმასაც კი ცდილობს, რომ არა მარტო „შენიშვნები“, მთელი ჩემი წერილიც რედაქციის დაწერილად გამოაცხადოს.

რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის დიდი პატივია! კრიტიკოსის ერთი რიგითი წერილი მთელ რედაქციის „ნამუშაყარად“ რომ მიუჩნევიათ!

„ამათ („ცისკრის“ რედაქციამ — თ. წ.) პასკვილანტსაც ვადაჯარბებს ტექსტის შერყვნაში“.

„იცის, ასეთი აკრძალული ხერხებისათვის პასუხს არავინ მოს-
თხოვს (ერთსელ და ორჯერ შერჩა?)“

„აცხადებს დაუსჯელობის გარანტიით წაქეზებული პასკვილან-
ტი“.

„რის მისაფუჭებლად, მფარველები სულ სხვა საქმეზე იწყე-
ბენ ლაპარაკს“.

„რაკი რამდენიმე წყვილ გაფაციცებულ თვალსაც გასჭირვებია
რომანში ნაკლოვანების აღმოჩენა“.

„რას გააწყობ, როცა მოსამართლედ მოდავე გეყოლებათ“

* *

პატივცემულო მკითხველო, ნუ გამაწბილებთ და, ერთი სათხო-
ვარი მაქვს: თქვენ ხომ მაინც არ ბრძანდებით პატივცემული მწერ-
ლის „მოდავე,“ ამიტომ, ქენით სიკეთე და ჩვენი მოსამართლე
იყავით! — მტყუანი და მართალიც თქვენ გაარჩიეთ!

ამ სიკეთისთვის ღმერთი გადაგიხდით...

მე კი თქვენი სამსახურით ბოროტად არ ვისარგებლებ და „გა-
სარჩევად“ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოგიტან.

მაგალითი პირველი:

ალექსანდრე კალანდაძე წერს: „ის, ვინც უურნალის ფურცლებ-
ზე ათობით მწერალს უმიზეზოდ და უსაბუთოდ ლაფს ასხამს, სე-
რიოზული პოზით კითხულობს, ასეთი უზრდელობა როგორ იქნება,
ცოლი ქმარს ჭუჭყიან ვედროს ასხამსო, — თითქოს, ყოველივე ეს
სწორედ უზრდელობისა და გარყვნილების აღმოსაფხვრელად, ზნე-
ობის განსაწმენდად, არ იყოს გამოგონილი“.

სერიოზული ბრალდებაა, თუ ეს „ღამიმტკიცდა“, მოსაკლავი
ვიქნები!

ამონაწერი რომანიდან:

„სალომემ აივნიდან ზედიზედ რამდენიმე ვედრო ჭუჭყიანი
წყალი გადაასხა. გაღმასებული დაბლა ჩაუხტა და ნარეცხით გა-
ძუნძეულს თავპირში იატაკის საწმენდი ჯოხი ჩასცხო...“

მკითხველს ვთხოვ, სიტუაციას მიაქციოს ყურადღება.

ქმარი აივანს ქვემოთ დგას. ცოლი ნარეცხით სავსე ვედროს
ზემოდან აპირკვავებს! კაცს რომ მოულოდნელად თავზე წყალი და-
ესხმება, ხომ ბუნებრივი საქციელია, ან გვერდზე გადგეს, ან გახ-
ტეს? მთელი ვედრო კი არა, კისრის საყელოში მოულოდნელად

ჩაპარული წვიმის წვეთიც ისე გვაღიზიანებს, რომ უხერხულ და უნებელი მოძრაობებს გვაკეთებინებს!

სალომემ „აივნიდან ზედიზედ რამდენიმე ვედრო წყალი გადაასხა“ დოროთესო, წერს მწერალი. კი მაგრამ, პირველი ედრო თხლიშინით რომ გადაევლებოდა თავზე, საწყალი კაცი ადგილს აღარ მონაცვლებდა? რატომ დაელოდებოდა მეორესა და მესამეს? ასეთ დროს, პალოზე მიბმული პირუტყვიც ხომ ძალად აიწყვეტდა?! ეს ერთი.

მეორეც: რამდენიმე ვედრო ჭუჭყიან წყალს თავზე რომ გადაასხამენ „საგარეოდ“ გამოწყობილ კაცს, ტანსაცმელი არ დაუსველდება და არ დაესვრება?!

მწერალი კი წერს: „დოროთე ცდილობდა გაბინძურებული ტანსაცმელი ცოტა წესრიგში მოეყვანა და სამსახურში არ დაგვიანებოდა“-ო.

კი მაგრამ, ცოლი ქვემოთ რომ ჩაუბტა ქმარს და იატაკის საწმენდი ჯოხი ჩასცხო, მწერალმა ასე არ თქვა, დოროთე „ნარეცხით გააუნძღვლი“ იყო?!

ამის მერე არ იყო. რომ გვითხრა — „ამასობაში სამსახურის დრომ მოატანა“ და იქ წავიდაო?!

კი მაგრამ, ტრესტის მმართველი სამსახურში ხელქვეითებთან ასე გაწუწული და გააუნძღვლი რომ მივიდოდა, არ შერცხვებოდა?!

ახლა თქვენ გეკითხებით, პატივცემულო მკითხველო, „ის, ვინც მურნალის ფურცლებზე ათობით მწერალს უმიზეზოდ და უსაბუთოდ ლაფს ასხამს“ — ეს ვაუბატონი კი მე გახლავართ! — იმის უფლებაც არა მაქვს, რომ „სერიოზული პოზით გიკითხო“ — ასე უპასუხისმგებლოდ წერა ივარგებს?!

აბა, რატომ მიყვირიან: „იქ, სადაც ავტორი მეშინურ ურთიერთობებს კიცხავს, ჟინიანობს, პათოლოგიურ კაპრიზებს სარკასტულად ამხელს, პასკვილანტი მხოლოდ... ჭუჭყიანი გედროს თავზე გადმოპირქვავენას ხელდავსო?“

მართლა ამას ვხედავ და მეტს ვერაფერს? გრცხვენოდეთ, პატივცემულო ალექსანდრე...

ახლა კიდევ ამ ყაიდის სხვა შეცდომაც ვნახოთ!

დუდანა... მთლად გაშიშვლდა და, როგორც კი ყურთუქის სა-

ბანქვენ მამაკაცს მკლავებში შეუცურდა, მაშინვე რამდენჯერმე ველური ალტკინებით დანებდა“.

კი მაგრამ, ჭალი კაცს ლოგინში რომ შეუწვება, შეიძლება მაშინვე ველური ალტკინებით რამდენჯერმე დანებდეს?! აბოსთვის ცოტა დრო ხომ კიდევსაა საჭირო?!

სანამ ეს დრო გავა, ხომ შეიძლება მწერალს „სერიოზული პოზით გკითხო,“ ასე უპასუხისმგებლოდ წერა ივარგებს?!

შ ა გ ა ლ ი თ ი მ ე ო რ ე :

პატივცემული მწერალი წერს:

„ერთის ორომტრიალითაა გამოთვლილი, რომ გაბრიელს ცხრა ვაჟი კი არ ჰყოლია, არამედ შვიდი“.

ავტორის ამ ნათქვამს პიესად გადაკეთებული „ნაწარმოების“ ანონიმი პერსონაჟის ჩემდამი დაცინვა მოჰყვება:

„ვერ უყურებთ, რა ხუმარა ყოფილა?!

ვატყობ, სახუმაროდ საქმე სულაც არა მაქვს. სხვის თვალშიც რომ ასეთი შთაბეჭდილება არ დავტოვო, ჩემი მაშინდელი „ხუმრობა“ უნდა გაგასხენოთ:

მე ვწერდი:

„ცოცხალი გობრომიძეებიდან უხუცესი — დოროთეს მამა, ნამღვდლარი გაბრიელ გობრომიძე ას ორმოცი წლისაა, რომელსაც, მწერლის თქმით, „ცხრა ვაჟიდან ერთი თურქეთთან ომში დაელუპა, მეორე — იაპონიასთან ომში, ორი რევოლუციის ბარეკადებზე, სამი დიდ სამამულო ომში იბრძოდა. მათგან მხოლოდ დოროთე გადაურჩა მტრის ტყვიას“.

მწერალს ვეღარ ვენდობი, ბიჭები თავიდან უნდა გადაეტვალო!

1 ვაჟი (თურქეთთან მეომარი)

1 ვაჟი (იაპონიასთან მეომარი)

2 ვაჟი (რევოლუციისთვის მებრძოლი)

3 ვაჟი (გერმანიასთან მეომარი)

სულ 7 ვაჟია!

ხელახლა გადათვლამ გვიჩვენა: გაბრიელ გობრომიძეს შვიდი ვაჟი ჰყოლია და არა ცხრა!..“

ძვირფასო მკითხველო, აქ მართლა ვიმსახურებ პატივცემული მწერლის დაცინვას — „ვერ უყურებთ, რა ხუმარა ყოფილა“-ო?

ამის მერე არ იყო, თქვენც რომ გთხოვდით, ავტორის მიერ მოწოდებულ ამ ცნობისათვის სხვა კუთხითაც შეგეხებათ?

მე ის სათხოვარი დღესაც მახსოვს!

„თუ არ შეწუხდებით, აიღეთ ისტორიის სახელმძღვანელო და ჩახედეთ „ქრონოლოგიურ ცხრილს“. ამოწერეთ თურქეთის, იაპონიის და სამამულლო ომის თარიღები, მერე ერთმანეთს შეუდარეთ და მიიღებთ, რომ უფროს ძმასა და უმცროსს შორის ასაკობრივი გასხვავება დაახლოებით ერთი საუკუნეა!“

ამიტომ გეკითხებით, „ის, ვინც ურნალის ფურცლებზე ათობით მწერალს უმიზეზოდ და უსაბუთოდ ლაფს ასხამს,“ ე. ი. მე! — მაქვს თუ არა ამის უფლება „სერიოზული პოზით ვიკითხო,“ — ასე უპასუხისმგებლოდ წერა ივარგებს?

თუმცა ეს მაშინ იყო!.. ახლანდელ საპასუხო წერილშიც გვთავაზობს პატივცემული მწერალი „არიომეტიკულ სავარჯიშოებს,“ სხვათა შორის, გაცილებით მეტ სიზუსტესაც აღწევს!

„ცხრაშვიტგვერდიანი წერილიდან ათი ჩენი წიგნებიდან ამონაწერს შეიცავს, ოთხი—არიომეტიკას და ოთხიც — ქუპურ ლანძღვა-გინებას“.

მოვეხმართ ერთმანეთს და ჯამიც გამოვიყვანოთ:

$$10+4+4=18$$

რა თქმა უნდა, მთლად ზუსტად ახლაც ვერ გამოუთვლია! რადგან პატივცემულ მწერალს ისე ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ შესაკრებია ჯამი ცხ რ ა მ ე ტ ი უნდა ყოფილიყო და არა თ ვ რ ა მ ე ტ ი, მაგრამ ნუ დაგვაიწყდება, ის გარემოება, რომ ადრე, როცა ავტორი ღოროთეს შვილებს ითვლიდა, მაშინ „ათის ფარგლებში“ ანგარიშობდა, ახლა კი „ოცის ფარგლებში“ გადასულა. აქ კი ყოველთვის მეტი შანსია, რაიმე შეგვეშალოს...

მ ა გ ა ლ ი თ ი მ ე ს ა მ ე :

პატივცემული მწერალი, როგორც ყოველთვის, ახლაც მსაყვედურობს:

„ახლა ვიკითხოთ, მართლა ყველა გაუნათლებელი და უნამუსოა არქიტექტურულ სახელოსნოში? მამუკა, ანწელავა, კანკელიშვილი... თუ ჰგონია—რაკი ანწელავა ინჟინერია და არა არქიტექტორი, დადებით გმირად აღარ ჩაითვლება?!

ეს საყვედური, ალბათ, მეტისმეტია! ამდენი როგორ არ ვიცი,

დადებით გმირად ვინ უნდა ჩაითვალოს! აბა, გავიხსენოთ, რას ვწერდი:

„მწერლის ჩანაფიქრით, რომანის სამ პერსონაჟს: მამუკა ტარსანიძეს, ლადიმე ანზელავას და ბასილ კანკელიშვილს საპატიო მისია ეკისრება — წინ აღუდნენ საზოგადოებრივ რუტინას!“

ახლა ამისთვის თავს ვერ შევიქვებ, თორემ რომანის დადებით გმირებს მაშინაც კარგად მივმხვდარავარ!

ასე რომ, მწერლის საყვედური, როგორც ყოველთვის, ახლაც უსაფუძვლოა!

რაც შეეხება ხაზგასმულ კითხვას — მართლა ყველა გაუნათლებელი და უნამუსოა არქიტექტურულ სახელოსნოში? ანზელავა, კანკელიშვილი? — ჩემი მაშინდელი განმარტების საფუძველზე, მისი ხელახლა განმეორება თითქოს საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო, რადგან უნიკონი ნამდვილად არიან!

რა თქმა უნდა, ასე მარტო მე კი არ მეჩვენება, პატივცემულ მწერალსაც ასე მიაჩნდა! ეს ამბავი მეც ხომ მისი ნათქვამიდან ვიცი!

ამიტომ ახლა, როცა საკუთარი რომანიდან ამ ეპიზოდს გვაზსენებ, შეიძლება ცოტა „შერცხვეს“ კიდევ!

ლადიმე ანზელავა თავის პროექტს სარეცენზიოდ გადასცემს მამუკა ტარსანიძეს.

„მაგისტანა სისულელეზე დროს ვერ დავკარგავ... ექსპერიმენტული პროექტი კი არა, სრული აბსურდია!“

ეტყობა, მართლა ასე იყო, თორემ მამუკა ტარსანიძე მეგობარზე ტყუილს რატომ იტყოდა?

ეტყობა, მართლა ასე იყო, თორემ პატივცემული მწერალი ტყუილს რატომ გვეტყოდა?

ცოლმა მაინც თხოვა მამუკას: „ხომ შეიძლება ნაკლოვანებები მიეთითოს და პროექტი გადამუშავდეს?“

ამაზე მამუკა სულ გადაირია!

„კი არ უნდა გადამუშავდეს, უნდა დაიწვას, რადგან ეს უნიკონის და უეცილობის დოკუმენტია. მახინჯად შობილს ვერაფერი უშველის!.. სახლს კი არა, ხუხულას გთავაზობს!“

აქ შევწყვეტოთ, ამ „ნიჭიერ“ კაცს ხელახლა ნუ გამალანძღვინებთ...

სხვისი არ ვიცი, მე პირადად, ჩემმა თავმა ასეთ დღეში რომ ჩა-
მაყენოს, კაიხანს გარეთ აღარ გამოვყოფდი!..

დავიჯეროთ ახლა, რომ პატივცემულ მწერალს თავისი ნათქვამი
აღარ აპსოვდა? თუ უფრო იმის იმედად იქნებოდა, ეს ამბავი მკითხ-
ველს აღარ ესმოლება და პასკვილანტის გალანძღვა ხახვივით შემ-
არჩებაო?

კიდევ რომ შერჩენოდა, თვითონ ხომ იცოდა, რომ ტყუოდა?

ამიტომ გეკითხებით, „ის, ვინც უურნალას ფურცლებზე ათო-
ბით მწერალს უმიზეზოდ და უსაბუთოდ ლაფს ახამს,“ — ე. ი.
მე! — მაქვს თუ არა იმის უფლება, რომ ვიკითხო — ასე უპასუ-
ხისმგებლოდ წერა ივარგებს?

მ ა გ ა ლ ი თ ი მ ე ო თ ხ ე :

პატივცემული მწერალი წერს:

„უსაზღვრო ცინიზმს აღწევს პასკვილანტის გულგრილობა მინ-
დელას მიმართ. ლალზანდარობის საგნად ქცეულა ცალხელობა,
ცალუეობა და ცალთვალობა, რაკი ყველაფერი უსულგულოდ, უბ-
ირი კურთხითა დანახული“.

აქ მეტი დაწვრილებით უნდა მოგიყვეთ, თორემ პატივცემულ
მწერალს ჩემი პოლიტიკური მრწამსიც საეჭვოდ გაუხდია!

„ნურას უკაცრავად! რა მოხერხებულადაც არ უნდა მოვირგოთ
პარზადე, მაინც გამოჩნდება, ვინ რომელ ღმერთს ემსახურება“.

„აქ ყველაზე დაუფარავად ვლინდება, რა სულისკვეთებით, რა
დავალებით აულია ხელში კალამი“.

თუ გახსოვთ, პატივცემულმა მწერალმა ერთი ამბავი ამიტეხა,—
პასკვილანტმა „ქალებთან დამაბეზლაო“.

რასაკვირველია, მსგავსი რამ მე თავში არც გამივლია, მაგრამ
ასეც რომ ყოფილიყო, ამ „დაბეზლებას“ რა უნდა მოჰყოლოდა?

დიდი, დიდი, ქალები დროებით გაეპუტებოდნენ!..

მე კი იმისთვის, რასაც ზემოთ პატივცემული მწერალი მაბრა-
ლებს, მის სატყვას გაჭრა რომ ჰქონდეს, სასტიკად დამსჯიდნენ.

ისიც საკითხავია, ამას თუ მაკმარებდნენ...

ახლა იმაზე მოგიყვებით, რისთვისაც ასე უღმერთოდ გამწი-
რეს.

პატივცემული მწერალი წერდა:

„ამ კაცის (პოლკოვნიკ მინდელის თ. წ.) მთელი გარეგნობა და
გამომეტყველება უმაგალითო თავდადების დოკუმენტი იყო... მარ-

ჯენა მკლავი მოკვეთილი ჰქონდა. მარცხენა თვალის ფოსოში შუ-
შა. ძლიერი დამწვრობით შერუჯული თავის ქალა. ბარძაყში გადაქ-
რილი მარჯვენა ფეხის ნაცვლად — პროთეზი“.

რომანის ავტორს მერე შთაბეჭდილება რომ გაეძლიერებინა,
მინდელის ბიოგრაფია ისეთი დეტალით შეუვსია, რომ ამ ყველაზე
სერიოზულ პასაჟს, მწერლის სურვილის საწინააღმდეგოდ, ირონი-
ული ელფერი გადაჰკრავს.

აი, ეს პასაჟი!

„ომის პირველი წუთიდან უკანასკნელ წუთამდე ცეცხლის საზ-
ზე იმყოფებოდა. საზღვარზე დაიწყო და პარადაში დაასრულა. ბო-
ჭემიაში ცალი ხელით, ცალი ფეხით და ცალი თვალით მიუძღოდა
კავალერიტებს“.

ერთი მითხარით, ომის პირველი წუთიდან უკან-
ასკნელ წუთამდე ცეცხლის ხაზზე როგორ იმყოფებოდა
კაცი, რომელსაც მარჯვენა ფეხი ბარძაყთან ჰქონდა გადაკვეთილი?!

ფეხის ამპუტაცია და მის ნაცვლად პროთეზის გაკეთება საბრ-
ძოლო პირობებში მოხდებოდა?!

ამისათვის მცირე ხნით ხომ მაინც უნდა დაწოლილიყო ჯარის-
კაცი საველე ჰოსპიტალში?!

ან კიდევ: ხელის ამპუტაცია საბრძოლო პირობებში მოხდებო-
და?!

ამისათვის მცირე ხნით მაინც უნდა დაწოლილიყო ჯარისკა-
ცი საველე ჰოსპიტალში?!

ან კიდევ: მარცხენა თვალის ამოღება და მის ნაცვლად ფოსოში
შუშის ჩასმა საბრძოლო პირობებში მოხერხდებოდა?

ამისთვის მცირე ხნით ხომ მაინც უნდა დაწოლილიყო ჯარის-
კაცი საველე ჰოსპიტალში?

ერთი მითხარით და ამისხენით, ასეთი საბრძოლო ბიოგრაფიის,
მქონე ჯარისკაცი „ომის პირველი წუთიდან ბოლო წუთამდე ცეცხ-
ლის ხაზზე“ როგორ იმყოფებოდა?!

რომ ვწერთ, ერთხელ მაინც არ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რას
ვწერთ?

ჩემს პირველ წერილში ამ „შეუსაბამობაზე“ ხმა არ ამომიღია,
მხოლოდ სხვა რამის თაობაზე ვუსაყვედურე პატივცემულ მწე-
რალს:

„გაოცებული მკითხველი გვეტყვის, თქვე უღმერთობებო, საცო-

დაობას სად მიუღიხართ, ცალხელა, ცალფეხა და ცალ-
თვალა კაცი ცხენზე რომ შესვით და ცალ ხელში თოფი, აღ-
ვირი და ხმალი ერთად დააკერინეთო!”

ალბათ, ისიც გეხსომებათ, მწერალმა ჩემი ეს ნათქვამი რედაქ-
ციას მიაწერა, მე რე მკითხველისთვის რომ ეთქვა — „როგორ ფიქ-
რობთ, ვისი სტილია, დამცველების თუ დასაცველის?”

მაშინაც დავრწმუნდით, ახლაც ვრწმუნდებით, რომ ეს ჩემი სი-
ტყვებია და რედაქცია არაფერ შუაშია, მაგრამ ახლა ამისათვის
არ წამოგვიწყია საუბარი. ჩვენ ის გვინტერესებს, მწერალი რომ
„იცავს“ თავს: „მოქმედება ომის უკანასკნელ დღეს ხდება და აუ-
ცილებელი არაა, მეთაური ცხენზე იჯდეს“.

ტირფასო მკითხველო, ასე ძალად თავის მართლება შეიძლება?!

მწერალი თვითონ არ წერდა, — „ბოჰემიაში ცალი ხელით, ცალი
ფეხით და ცალი თვალით მიუძღოდა კავალერისტებსო?!“

თუკი მეთაური ცხენზე არ იჯდა და ეს ცალფეხა, ცალხელა და
ცალთვალა კაცი ცხენზე ამხედრებულ კავალერისტებს წინ ფეხით
მიუძღოდა, კიდეც უფრო სასაცილო არ იქნებოდა?!

ახლა თქვენ გეკითხებით, პატივცემულო მკითხველო: „ის, ვინც
ყურანლის ფურცლებზე ათობით მწერალს უმიზეზოდ და უსაბუ-
თოდ ლაფს ახხამს“, — ე. ი. მე — მაქვს თუ არა იმის უფლება,
სერიოზული პოზით ვიკითხო,“ — ასე უპასუხისმგებლოდ წერა შე-
იძლება?

ახლა თქვენ გეკითხებით, პატივცემულო მკითხველო, რადგან
პატივცემული მწერლის „მოღავე“ არ ბრძანდებით და მოსა-
მართლედ“ მოგიწვიეთ, ჩვენ ორს შორის, — პატივცემულ მწე-
რალსა და ჩემს შორის — ვინ არის მართალი და ვინ კიდეც მტყუ-
ანი?

ძალიან გავიხარებდი, თუ ამ კითხვაზე ოდესმე პასუხს შევიტ-
ყობდი!

არადა, პატივცემული მწერალი მაინც „მეჩემება“:

„დავუშვათ, რომ მომდევნო გამოცემაში გავასწორეთ ეს... „შეც-
დომები“, მაშასადამე, არავითარი ნაკლი აღარ დარჩება“.

მერედა, ამისთვის პატივცემული მწერალი ჩემი მადლობელი არ
უნდა იყოს?! ხმის ინტონაციაზე კი ეტყობა, რომ გაჯავრებულია!

არა მართო ხმის ინტონაციაზე, სიტყვებზეც ეტყობა,
რომ ნამდვილად გაჯავრებულია!

ნამდვილად რომ ასეა და არაფერს ვიგონებ, ქვემოთ მოტანილი ციტატებით თქვენც დარწმუნდებით:

„მაშ, რატომ ცდილობს პასკვილანტი გააყაღოს და შებიღწოს ყველივე წმინდა და ლანაზი!“

„კაცს, თუ პირწავარდნილი ყალბისმქმნელი არაა, დაავიწყდეს „ცისფერი კანჯოს“ სიუჟეტური ხაზი...“

„მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სერიოზულია, გაბოროტებულმა, შეთხვევითმა პირმა იმ საკითხებზე ჭკუის სწავლება დაუწყოს მწერალს...“

„პასკვილს ავტორისა და ნაწარმოების მიმართ ზოოლოგიური ზინდის უნარი არ შესწევს...“

„ამაოდ ელით, რომ წიგნისა და მწერლის წინააღმდეგ ჩასაფრებული კალმოსანი ძვირფას ადამიანთა ხსოვნისა და საქმის პატივისცემის წინაშე ოდნავ მაინც განიმსჯვალება ნოკრძალებით!“

„ამის საბუთი იქნება, რომ ჩვენს მიმართ ზოოლოგიური ზინდის უნარი არ შესწევს...“

„უსაზღვრო ცინიზმს აღწევს პასკვილანტის გულგრილობა...“

„ნაკლოვანებებზე ჯერ სიტყვაც არ დაუბრავს, რომ უწინააღმდეგობა აღვაგინებას იწყებს...“

„წიგნითხეთ პასკვილში თვითონ თ. წიფწივაძის უწინააღმდეგობა, თვითმინიშნური, უხამსი „რემარკები“ და მიხედვით, რას ნიშნავს თავაშვებული, საზოგადოების შეურაცხმყოფელი, აბალღაბრობასთან არგამოსახენი პორნოგრაფია და უბანსობა“ (მათი არათუ დასწევდა, უბრალო გამეორებაც კი სამარცხვინოა).“

„პასკვილი სავანგებოდ ანტიპოდების დასაცავად შეთხვეული. რას იხამ, ყველას თავის იდეალი ჰყავს. პატროსან მშრომელ ადამიანებს დასანახად ვერ იტანს, ანტიპოდებს ხომ გუნდურუკს უკმევს. არც მალავს...“

„არ წყალობს პასკვილანტი ხალხის მიერ... სამავალითოღ მიჩნეულ გმირებს. მექრთამეების, უმეცრების, ყალბისმქმნელების, მოხვეჭელების მეცენატად გამოდის“.

„მისი სიმპათია აქაც მეწინააღმდეგობა, თვითნებათა, პროვინციალთა მხარეზეა ხოლო მშრომელი ქვეყნის, ოჯახის ერთგული მანდილოსნები ჭირის დღესავით სძავს“.

„როგორც ვხედავთ, ამ დანაკლისს ინაზღაურებს ცილის დაწამებით, სიყალბითა და ლანძღვით“.

„როცა დიდი სამამულო ომის ამბებს უაწლოვდება, პასკვილანტის ტონს ცინიზმი ენატება, ერთი თბილი სიტყვაც ვერ გაუშვებია, სხვათა გასაგონად ნაინც...“

„პასკვილანტი სრულიად დაუფარავად დასცინის ომის ჰეროიკას, მის მონაწილეებს, სანამულო ომის ინვალიდებს, სანშობლოსათვის თავდადებას და კუთხე-კუთხით ქვევით ანიაბურებს ყოველივე ძვირფასსა და არსენითს“.

„განა ოწი, აუცილებლობის დროს, ყველა გმირული საქციელი „თვითკვლევობას“ არ უღრიდა?! ანიტონი ჰქვია თავდადება და თავგანწირვა. როგორც ჩანს, მარტო წავითხვა არ კნარა, საჭიროა, გჰაზღეს კიდეც საბჭოთა ადამიანის გნარობა“.

„პასკვილანტი ასე როდი იწვევა. აქ ყველაზე დაუფარავად ვლინდება, რა სულისკვეთებით აუღია ხელში კალანი“.

„ნურას უეცრავად! რა მოხერხებულადაც არ უნდა მოირგო პირბადე, მაინც გამოჩნდება, ვინ რომელ დღერთს ენახებურება“.

ვიდრე მართლა პასუხს მაგებინებდნენ, მსგავსი ციტატების მოტანას უნდა შევეშვა და გულისტკივილით ვთქვა — ამ ლანძღვა-გინებისთვის „მწვანე შტოს“ ავტორისთვის საყვედური ჯერ არავის უთქვამს.

ეტყობა, ილბალიც გინდა კაცს, თორემ მე რომ მარტო ასე დავწერო — პატივცემული მწერალი ალექსანდრე კალანდაძე — ამაზეც ერთს ამბავს დამაწევენ, დააკვირდით, როგორ უპატივცემულოდ ელაპარაკება ავტორს, ასე უნდა მიემართა: ღრმად პატივცემულ ალექსანდრე კალანდაძეო...

მიუხედავად ამ საგინებელი სიტყვებისა, მე ღრმად პატივცემული ალექსანდრე კალანდაძის მადლობელი მაინც ვარ — დამწყები ლიტერატორი ქართულ კრიტიკაში მუშაობის პირობებს, ე. ი. უშმაწურ ლანძღვა-გინებას რომ შემავგუა!

პატივცემული მწერლის საპასუხო წერილის მერე, რა ზომითაც არ უნდა მლანძღონ, აღარაფერი მიკვირს...

აბა დელია ვორუდილა!.. ანუ: მებნი პასუხისმგებლობა!

„შარტო შენ ხარ. სულელით მეცინება“.

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს ა ს ი მ დ ე რ ო ლ ე ქ ს ი დ ა ნ

წერილში ქართულ სიმღერებზე ვისაუბრებ, უფრო ზუსტად, ამ სიმღერების ტექსტებზე.

ეს თემა არაა ახალი ამერიკა! მასზე ადრეც უმსჯელიათ. წერილობით, რასაკვირველია, ნაკლებად, ზეპირ განცხადებებში კი, მოგეცათ ლხენა, ბევრსაც და სასურველსაც უზომოდ მოვითხოვდით. და მაინც, კანტიკუნტად გამოთქმულ აზრს იმაზე მეტი არ მოუტანია, რასაც, საზოგადოდ, იძლევა ხმა მალაღებლისა უდაბნოსა შინა!

და აგერ, კარგა ხანია, საკავშირო პრესის ფურცლებზე, კერძოდ, „ლიტერატურნაია გაზეტას“ ბოლოდროინდელ ნომრებში, ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი სჯა-ბაასია. ეს ყველაფერი თვეობით გრძელდება!

ეტყობა, თემის პრობლემურობამ იმოქმედა განხილვის მასშტაბზეც. „ლიტერატურნაია გაზეტას“ გვერდებზე, უმთავრესად, რა თქმა უნდა, რუსული საესტრადო სიმღერების ტექსტებზე მსჯელობენ, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან სხვათა ენაზე შექმნილი სიმღერების სიტყვებს, კაცმა რომ თქვას, ისინი, რუსი ავტორები, ნაკლებად ანდა სულაც არ იცნობენ. ამიტომ, როგორადაც არ უნდა დამთავრდეს ეს საგანგებო დისკუსია ცენტრალურ პრესაში, ჩვენ ამის იმედზე ყოფნა არას გვარგებს.

წინდაწინვე ვგრძნობ, წერილში ყველაფერი რიგზე ვერ იქნება. ათასგვარი საყვედური შემხვდება ალბათ: ზოგი ჩემს მიერ მოკრძალებულად გამოთქმულ აზრს კატეგორიულობად ჩაგვითვლის, სხვები არაპროფესიონალისა და დილეთანტის იარლიყსაც არ დაგვამადლიან...

დაწმუნებული ვარ, ჩემი ოპონენტები ზოგჯერ მართალნიც იქნებიან და, წარმოიდგინეთ, ეს არ მაშინებს! რადგან, ღმერთმა ხომ იცის, ცუდად აკვიატებული წინასწარი განზრახვით არაფერი დამიწერია!

მქონდა სურვილი: წერილი გულწრფელი მოფერება და მოფრთხილება ყოფილიყო იმ საგნისა, რომელიც ყველა ჩვენგანს მეტისმეტად გვიყვარს და სახელიც დიდებული გვიქვია — ქართული სიმღერა!

ჩვენ ყოველთვის გვაქვს სურვილი, გულახდილები ვიყოთ, ოღონდ ამ საქმის დაწყებას მუდამ სახვალიოდ ვაპირებთ ხოლმე!

ქართული სიმღერის ტექსტი დღევანდელ დღეს მთელი საუკუნით ჩამორჩება! ეს სამწუხარო ჭეშმარიტებაა! და კიდევ უფრო გულსატკენი ის ამბავია, რომ ამ თემაზე კამათს გავუბრუნებთ!

მე არა ვარ მუსიკის სპეციალისტი. ამდენად, ნაბიჯი, რომელსაც ახლა ვდგამ, სარისკოა! ჩემთვის იმის ახსნაც ძნელია, რატომ მიტაცებს ერთი სიმღერა და რატომ არ მომწონს მეორე.

ამიტომ წერილში მხოლოდ იმას შევეხები, რისი ცოლნაც გამაჩნია ამ სფეროში, და რისი გარკვევის უნარიც შემწევს.

სიმღერა სამგანზომილებიანი მცნებაა: მუსიკა, ტექსტი, საშემსრულებლო ხელოვნება. შეიძლება თუ არა ილაპარაკო ერთ-ერთ მათგანზე ან ორზე, მესამის გამოტოვებით?

რასაკვირველია, შეიძლება და საჭიროა!

მე არ ვაპირებ და, გასაგები მიზეზების გამო, არც მაქვს უფლება შევიჭრა მუსიკის სფეროში. არც საშემსრულებლო ხელოვნებაზე კამათით შეგაწყენთ თავს. ხოლო, რაც შეეხება სიმღერის ტექსტს, მის ლიტერატურულ საფუძველს, აქ კრიტიკოსის უფლებით (ყველას ვთხოვ, თუ სიტყვა „კრიტიკოსი“ პრეტენზიულად მოეჩვენოს, შეცვალოს იგი უფრო მოკრძალებული გამოთქმით — „რეცენზენტი“) რამდენადმე ვკისრულობ პასუხისმგებლობას, შეძლებისდაგვარად გავარკვიო სასიმღერო ლექსის ავტორი.

ეს საქმე, მგონი, სალიტერატურო კრიტიკის სფეროში ნამდვილად შედის.

სიმღერის მიმართ დიდმა ინტერესმა, მისმა პოპულარობამ, ბუნებრივია, გამოიწვია ასევე დიდი ყურადღება სასიმღერო ლიტერატურისადმი.

რა მდგომარეობაა დღეს ქართულ ესტრადაზე?

რა ტექსტებს მღერიან, და ვინ წერს მათ?
პასუხისმგებლობით ვეკიდებით ამ საქმეს, თუ თვითდინებაზეა იგი მიშვებული?

ზემოთაც მოგახსენეთ, ქართული სიმღერის ტექსტი დღევანდელ დღეს მთელი საუკუნით ჩამორჩება-მეთქი.

ამ ნათქვამს საჭირო მტკიცებისა და საბუთის გარეშე არავინ დაგვიჭერებს. ამიტომ ახლა გავარკვიოთ, მაქვს თუ არა უფლება ეს ვთქვა, და საიდან ვიცი, რომ ასეა!

ყურნალ „ცისკრის“ რედაქციის დავალებით ვეცნობოდი სიმღერის ტექსტებს თითქმის ყველა შემოქმედებით ორგანიზაციაში, სადაც მას ქმნიან და მღერიან: საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ხალხური შემოქმედების სახლში.

ქართული სიმღერის საქმეც ასეა დაახლოებით: ვინც არ უნდა დაწეროს სიმღერა, და სადაც არ უნდა დაიწეროს იგი, ხალხში გასვლის პასპორტს უმთავრესად ეს ორგანიზაციები იძლევიან.

ამათ გარეშე ყოველი სიმღერა ავტორის ენთუზიაზმითა თუ აგრძელებს ცხოვრებას, უკეთეს შემთხვევაში შემთხვევლთან ერთად, მეგობრების წრეში წაიღიღინებენ ხანდახან.

ამის მიუხედავად, ჩემს მიზანს არ შეადგენს ამ უწყებათა კრიტიკა, წერილში ყურადღება გამახვილდება მხოლოდ და მხოლოდ სასიმღერო ლიტერატურაზე, რომლის საერთო დონემ არ დაგვაკმაყოფილა.

ამიტომ საყვედური, რომლის გამოთქმისაგან, ეტყობა, თავს ვერ შევიკავებ, არა მარტო ამ ორგანიზაციათა მისამართით იქნება ნათქვამი, არამედ, საზოგადოდ, ქართულ სიმღერასაც მთლიანად შეეხება.

საქმისათვის აჯობებს: ცალკეულ ავტორთა კონკრეტული ტექსტები თანდათან განვიხილოთ, ამასთან ერთად შევეცდებით ზოგადად მიუღუთითოთ სასიმღერო ლიტერატურის პრინციპულ ნაკლოვანებებზე.

ვინ წერს სიმღერის ტექსტს?

1. მოყვარული მელექსენი, ანუ, ლიტერატურისთვის შემთხვევითი აღამიანები.

2. კომპოზიტორები, რომლებიც მუსიკისთვის თავადვე თხზავენ ტექსტს, ანდა სხვათა ნაწერების საკუთარ ინტერპრეტაციას მიმართავენ.

3. ისეთი პოეტები, რომელთაც პოეზიაში შეგირდობა-ს ყავლი კარგა ხანია ვასვლიათ, ოსტატები კი ვერ გამხდარან.

4. სიმღერის ტექსტებს წერენ ნაფიცი პოეტებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინიც მდარე ლიტერატურულ პროდუქციას სთავაზობენ ქართულ ესტრადას.

ვიმეორებ, მე ამ წერილში მხოლოდ სასიმღერო ლიტერატურის ავ-კარგზე გავამახვილებ ყურადღებას, მაგრამ მთლიანი წარმოდგენა რომ შეგვექმნას ქართულ საესტრადო სიმღერებზე, მკითხველებს ჩვენი ცნობილი კომპოზიტორების აზრსაც მივაწვდი გზადაგზა.

ანდრია ბალანჩივაძე: „...მიმაჩნია, რომ ჩვენში ჯერ აღრეა ლაპარაკი ესტრადაზე. ჩვენ მხოლოდ სიმღერები გვაქვს და არა გვაქვს ინსტრუმენტული საესტრადო მუსიკა. თვით შემსრულებლები ნიკიერი ხალხია, ამ ქანრში მომუშავე კარგი კომპოზიტორებიც გვეყვანან, მაგრამ ერთეულები. პროფესიონალები ცოტას წერენ და დილეტანტები (ისინი ბევრნი არიან) წერენ ტრაფარეტულად, ერთსა და იმავეს; რაც შეეხება ტექსტს, მიმართავენ ისინი ისეთ ტექსტს, რომელზედაც არც კარგი ითქმის და არც ავი და, რატომღაც, პოპულარობას ჰპოვებენ მსმენელში. შეიძლება განვაცხადოთ: ამიერიდან არც ერთი ნაწარმოები არ მიიღება, თუ არ იქნა კომპოზიტორთა კავშირის ნებართვა, თუ იგი არ მოიწონა კავშირმა“.

მე არ ვაპირებ ვედავო პატივცემულ კომპოზიტორს, რადგან მას, ანდრია ბალანჩივაძეს, კარგად მოესხენება, რომ დღეს კომპოზიტორები მუსიკას წერენ ძალზე მდარე ლიტერატურულ ტექსტებზე, ისეთებზე, რომელთა გამო „კარგის თქმა“ მართლაც არ შეიძლება, ავისა კი—რამდენიც გნებავთ!

კომპოზიტორმა ალექსანდრე ბუკიამ დაწერა მუსიკა ნ. მალაზონიას ტექსტზე. სიმღერა მეჩაიეს ეძღვნება:

შენ უკვე ხარ ჩაის მწკრივთან,
ხარობ მისი ბარაქით.
მანქანები დაგიტვირთავს,
განა მარტო კალათი...

და ეს ყველაფერი ყოჩად მეჩაიეს დილაუთენია მოუსწრია! იმ დრომდე, „როცა მთაში სალამური სადილაოს დასძახებს“, თორემ სალამომდე ალბათ მატარებლის რამდენიმე შემადგენლობას დატვირთავს მოკრეფილი ჩაით!

უნდა ვუთხრათ კომპოზიტორსა და ტექსტის ავტორს: თუ ჩაის კრეფაზე, ამ ძალზე მძიმე და შრომატევად სამუშაოზე, ასე გულუბრყვილო წარმოდგენისა ვართ, ცუდად ყოფილა საქმე!

ამ „სიმღერით“ მეჩაიეს როდი „ვეუმღერით“. თუ სიმართლე გინდათ, სასაცილო მდგომარეობაში ვიგდებთ თავს!

ყველგან ძალიან მომიწონეს და მიქეს კომპოზიტორ ოთარ თევდორაძის „სიმღერა ენგურზე“. მუსიკის ტექსტი პეტრე გრუზინსკის დაუწერია. ქართული ესტრადა დიდადაა დაგალებული სიმღერების ამ ნაცადი ოსტატით. მაგრამ ამჯერად საქმე კურიოზამდეა მისული!

ზოიდან მთაზე ისმის ხვალის ძახილი,
შუქი მოდის, შუქი, ბნელის მახვილი,
მილულავს დღლილ თვალებს
ღერდაკარგული ღამე,
შეშურდა ვარსკლავს მოკამკამეს.

მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ამ ხმაურის გარეშე მეთქვა პეტრე გრუზინსკისა და ოთარ თევდორაძისთვის, რომ „შუქი მოდის, შუქი, ბნელის მახვილი“, აზრობრივად საწინააღმდეგოს გამოხატავს, ვიდრე იმას, რის თქმაც თავდაპირველად გვინდოდა. რომ შუქი ბნელის მახვილი კი არაა, არამედ სინათლის! და სამწუხაროა, ეს რომ ვერ შენიშნეს კომპოზიტორმა და ტექსტის ავტორმა.

მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს ამ შემთხვევაში:

სიმღერის ტექსტს, თავდაპირველად, ამოწმებს და იწონებს სამხატვრო საბჭო. ექვეგარეშეა, იქ სოლიდური და ავტორიტეტული პიროვნებანი სხედან. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს! და სამწუხარო სწორედ ისაა, რომ ისინი რაღაც უკონტროლოდ ეკიდებიან ამ საქმეს!

სხვა ახსნა ამ ფაქტისთვის ვერ მოგვიძებნია!

ნათქვამს ერთი მაგალითიც უნდა მოვაყოლო:

რაც თავი მახსოვს, საქართველოს რადიო ეთერში გადასცემს სიმღერას „რა ლამაზი ხარ, ქალაუ“. ხალხური სიმღერა გახლავთ,

ყაზბეგის რაიონის თვითმოქმედი ანსამბლი ასრულებს აკაკი ურუშაძის ხელმძღვანელობით. მშვენიერი ხალხური მუსიკაა! სიმღერის ტექსტს მივაპყრობ თქვენს ყურადღებას.

ვაჟი: რა ლამაზი ხარ. ქალაუ.
ლერწმად აკრილი წელშია,
ნეტავი ხელით შემახო —
შენ რომ ვარდი გაქვს მკერდშია.

ყური მივეუგდოთ ქალის პასუხს. მართალია, სიყვარულზე ეს-ესაა მხოლოდ მიანიშნეს, მაგრამ იგი თურმე კარგა ხანია ელოდა გამოტყდომას და სრულიად შემზადებული შეხვდა ამ საპასუხის-მგებლო წუთებს!

ქალი: შენს იქით ვინ არის, იყოს
ქალი, კაცი და ქვეყანა,
ოღონდ კი შენთან მამყოფა,
ოუ ბინად დაეჯღე შენთანა.

რა თქმა უნდა, მიმხვედრი მაინც მიხვდება, რომ ქალი თანახმაა, თანაუგრძნობს ვაჟს! ეს მისი ნატურაც ყოფილა: „ოღონდ კი შენთან მამყოფა, თუ ბინად დაეჯღე შენთანა“. ვაჟი, ალბათ, გაერთო, რადგან მხედველობიდან გამორჩა გოგონას თანხმობა! ამას მომდევნო სტროფი გვაფიქრებინებს.

ვაჟი: ვარდი ხარ, ვარდი ქალაუ.
დამაწყებინე გალობა,
თუ ცოლად არ წამომყვები,
დაიწვა შენი ქალობა.

ნეტავ რა მოხდა აქ? რატომ გადაცეს საბრალო ქალი ანათემას? რისთვის შეიქმნა საჭირო საგანგებო გაფრთხილება, „თუ ცოლად არ წამომყვები, დაიწვა შენი ქალობა?“ აქი ვაჟს თავშივე უპასუხეს — „ოღონდ კი შენთან მამყოფა თუ ბინად დაეჯღე შენთანაო?“ იქნებ ამ ლამაზსა და ვარდივით ქალას საეშმაკო რამ უღევს გულში? ეს კითხვები მართო მე გამიჩინდა, თორემ გოგონა, რაკი დარწმუნდა, არ მენდობიანო, მეთოდურად ანვითარებს აზრს ცოლად გაყოლის მზადყოფნაზე!

შენი ვარ. შენთვის მოვეცდები.
შენთვის ჩავიცვამ შავსაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შემოგველები თავსაო.

პირდაპირ საოცარია, მეტს რაღას ითხოვენ მისგან! სავსებით ვრწმუნდებით, რომ ჩვენი გმირის თავს რაღაც უბედურებაა, ვერა და ვერ ირწმუნა სატრფოს თანხმობა! მსმენელიც ერთ იმედზელაა, სიმღერაში მთელი გუნდი მონაწილეობს, იქნებ იმათგან რომელიმე განმუხტოს შექმნილი უხერხული სიტუაცია. როგორც ჩანს, ჩვენს „ქალაუხს“ ამის ბედი არ ჰქონია!

გუნდიც მთელი ხმით გასძახის: „თუ ცოლად არ წამომყვები, დაიწვას შენი ქალობაო...“ . ნუთუ გუნდის წევრებიდან არავის მიუგდია ყური ქალის სასოებადღე მისული მოთქმისათვის: „შენი ვარ, შენთვის მოვეცდები, შენთვის ჩავიცვამ შავსაო, შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგველები თავსაო?“ ამ განცხადების მერე იყო კი საჭირო ეს სიტყვები?! „თუ ცოლად არ წამომყვები, დაიწვას შენი ქალობა?!“

მე გულწრფელად მაინტერესებს, როცა ამ ტექსტს მღერიან, ერთმანეთს თუ მაინც უსმენენ მომღერალი ქალი და ვაჟი? ნამდვილად მრჩება შთაბეჭდილება, ქალ-ვაჟის სასიმღერო კუპლეტები ცალ-ცალკე ჩაიწერეს ფირზე. მერე კი სახელდახელოდ, პაიპარად დაამონტაჟეს!

თავს ნუ დავიმშვიდებთ, რომ ეს სახუმარო-სატრფიალო სიმღერაა! ჯერ ერთი, ამაზე არაფერს ეუბნებიან მსმენელებს. მეორეც, როცა ორი მხარე ხუმრობს, ისინი თანაბარ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, თორემ რა გამოვა, თუ ერთი ხუმრობს და მეორეს ამ ხუმრობისა არა გაეგება რა!

მე ვრცლად შეეჩერდი ამ სიმღერაზე, როგორც უპასუხისმგებლობის და უკონტროლობის ნიმუშზე! და ეს საყვედური მარტო თვითმოქმედ ანსამბლს როდი ეკუთვნის. სიმღერა 1951 წელს ჩაუწერიათ და მას აქეთ შესაშური გულმოდგინებით და ინტენსივობით გადაიციემა ეთერში!

და აი, ჩვენს საყვედურს გაუჩნდა მისამართი! — საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი!

ალექსი მაჭავარიანი: „მსუბუქი მუსიკა საჭიროა დიდ გზაზე გასასვლელი პატარა ბილიკივით. მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა მსუბუქ მუსიკის ფარქვეშ არ ასმოვანდეს საევეო მუსიკა. ჩვენს ესტრადაზე ხშირად ეწევა ერთგვარი რეკლამა ასეთი მუსიკის ნიმუშებს. ასრულებენ ბანალურ ტექსტებზე დაწერილ ყურით მოთრეულ მელოდიებს, ახალგაზრდობა ეჩვევა მას და კარგავს დიდი მუსიკის გაგების უნარს. უფრო გარკვევით — ხელი ეშლება აღზრდას. ამაზე დაფიქრება მართებთ საკონცერტო და თვითმოქმედ ანსამბლებს, მათს ხელმძღვანელებს. „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, მაგალითად, მდარე მუსიკას სთავაზობს მსმენელს...“

ალვა ხარ თუ დაძვრწილი მინანქარი,
მზის ვნება თუ მთაწმინდაზე კაკლის ჩერო.
ვიცი, შენ ხარ დამლუპველი ჩემი ქარი,
მაგრამ წამით მაინც მინდა შეგაჩერო.
ყოველ დილას ვხვდები შენი მოგონებით,
ღამდება და შენზე ფიქრში მეძინება,
სად არიან თბილისელი გოგონები,
მარტო შენ ხარ, სულელივით მეცინება,
რომ სამყარო ერთ ნაბუჯში ჩაეტია,
ყველაფერი რომ მოთავსდა ნიჟარაში.
რომ შენს გარდა, ყველა ქალი ზღაპრია,
ჩემი სულის ჩუქურთმიან ფანჯარაში.

ამ ტექსტზე შექმნილ სიმღერას „თბილისური სატრფიალო“ ჰქვია! ავტორი ბორის თბილელია. იგი კომპოზიტორია და ამდენად მე ვერ გამოვდგები ამ სფეროში მისი ტალანტის შემფასებლად. მაგრამ ის კი უნდა შევახსენოთ, რომ სიტყვის და მუსიკის გრძობა ერთი და იგივე არაა!

სად არიან თბილისელი გოგონები,
მარტო შენ ხარ, სულელივით მეცინება.

აქ მკითხველს თუ მართლა ეცინება, უფრო სხვა რამეს გამოს აი, ძალიან სასაცილოა, მაგალითად, დღეს გოგონას ასე მივმართოთ: „ალვა ხარ თუ... მთაწმინდაზე კაკლის ჩერო“. ასე ზომ ასო

წლის წინათ უმდეროდა ნეტარსენებული ლუარსაბ თათქარიძე თავის ღირსსახსოვარ მეუღლეს, დარეჯანს:

პაწაწინა ნიგვზის ტოტო!
ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ
ჩუპრი დარეჯანსა!..

ნუთუ ამას იქეთ ვერ წავსულვართ დღემდე? ნუთუ მაშინდელი „ნიგვზის ტოტიდან“ ახლანდელ „კაკლის ჩერომდე“ რომ მივსულიყავით, ამისათვის მართლა მთელი საუკუნე იყო საჭირო?

და ამას ვინმესთვის ღიმილის მოსაგვარებლად როდი ვამბობ!

დღეს ქართული საესტრადო სიმღერების 99 პროცენტი სატრფიალო ჟანრს განეკუთვნება. აქ დაუჭერებელი არაფერია, ეს ყველას მოეხსენება. მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაფიქრებულა იმაზე, როგორ მოძველდა ის შედარებები, მეტაფორები, სიმბოლოები, რომლებითაც მიემართავთ ძვირფას ადამიანს:

„სალამი ჩიტუნებო!“ „მოგიალერსებ, ჩემო ჩიორა“, „ღაფდი-ვარ, ნუშმა დახარა თავი“, „რა ლამაზი ვარდის შტო ხარ“, „ჩემო პატარა მერცხალო“, „თვალეზეუყუნა მაისის ვარდო“, „პატარაო, უფროთო ჩიტი ხარ“, „საპოვნელა სულისა“, „გულთეთრა, გულწმინდა მერცხალო“, „შენს ეზოში გადმორგული ხე ვიყო“, „მეჩვენები ახლა ანწლად“, „ჩემო ეუნერუკო“, „ჩემო ყოჩივარდა...“

ახლა ვიკითხოთ, მართლა ასე მიმართავენ დღეს ერთმანეთს ჩვენი შეყვარებული გოგო-ბიჭები? ხომ სასაცილოდ არ ვეყოფით გოგონას, თუ გავბედავთ და ვეტყვი:

„ჩემო ეუნერუკო, ერთ რამეში მინდა
გავიტყდე!“

ზემოთ დიდებული ილიას ლანდი შევაწუხებ. მინდა, კიდევ მოვიტანო ადგილი იმავე მოთხრობიდან:

— აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! — მიატანა ღიმილითვე კნეინამ.

— ხომ გავიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა ვინდა.

— შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

— დარეჩან!.. — უთხრა გულნატყენად და მორცხვობით ლუარსაბმა — დარეჩან, თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

— რატომ შენი კირიმე, რატომ?

— ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე; ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა, რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?“

ღმერთო ჩემო, ამ ჩატკბილებულ და ჩაშაქრულ მიმართვის ფორმებზე ვერც ჩვენი ლუარსაბი ყოფილა მაღალი აზრისა!

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა. ასი წელი საკმაო დროა იმისთვის, რაიმე რომ მოძველდეს. მასზე, ამ მოძველებულ ფორმებზე, უარის თქმა არ უნდა გაგვიჭირდეს!

ახლა ხშირად ვამბობთ, საქართველო მეღვინეობის კლასიკური ქვეყანააო. და ამას ისე გულმოდგინედ და ისე დაყინებით გავიძახით, რომ სრულიად მიგვავიწყდა ადრინდელი, თითქმის დაკანონებული მცნება: საქართველო პოეზიის ქვეყანაც რომაა!

ამ პოეზიის საუფლოში ისეთ ტექსტებზე შექმნილ სიმღერებს ვისმენთ, სწორედ რომ სირცხვილია!

ეს საყვედური ჩვენმა მუსიკოსებმაც უნდა გაიზიარონ!

დასანანი ისაა, რომ ხშირად მუსიკისთვის სიტყვების დაწერას შემთხვევით პიროვნებებს ანდობენ.

აბა, ყურადღებით წაიკითხეთ ეს სტრიქონები:

...მკერდი ისე აგვსებია, დაგტუბია

ღელა ხარ

სამი შეილი შენ გყოლია, სამი შეილი

მეცა მყავს,

რა იქნება. ახლა მაინც გამოღმე გეთაყვა.

გახსოვს ერთხელ იპერეთში. წყალწითელას

მახლობლად,

ჩქერში ჩადგმულ წისქვილებთან ალქაჯო

რომ სახლობდა,

გვხევე და საკონცერტად არ მიმიშვი — ახლოსა.

ძნელი არის განახლება სიყმაწვილის წულულისა,

რა გაჭირდა ერთი კოცნა ბიჭის დაჩაგრულისა,

ახლა მაინც მაკოცნიე, საყვარელო გულისა.

(ნოდარ ხუნწარია, „საყვარელო გულისა“)

სამი შეილის მამა ასე არ უნდა აცუნდრუკდეს! ვერც შეილებიანი ქალის უხერხულ ღღეში ჩაყენებას მოუუწონებთ ავტორს, და,

საერთოდ, ცუდადაა იმ აუდიტორიის გემოვნების საქმე, სადაც ეს სიმღერა მოეწონებათ!

კარგ სიმღერას არ სჭირდება დამატებითი რეკომენდაციები, იგი გვეზმარება, ვიყოთ ბედნიერნი. სიმღერა თან ახლავს ადამიანს ჰირსა და ლხინში, ამასთან, დიდია მისი გავლენა ჩვენს ქცევებსა და აზრებზე.

სტ. ლენინესკი კარგად წერდა ამაზე: „ადგილი, რომელსაც სიმღერა იკავებს ხალხის ცხოვრებაში, გვაფლდებულებს ყურადღებით შევისწავლოთ ყოველდღიური განვითარება ამ ქანრისა, რომელიც ფლობს პოეზიისა და მუსიკის ხელისუფლებას“.

რასაკვირველია, ჩემთვის გასაგებია, სიმღერის ტექსტი — თვით სიმღერა არაა! მაგრამ რადგან სიმღერა არ არსებობს სიტყვების გარეშე, ამდენად სიმღერაში ტექსტი და მუსიკა თანაბრად უფლებამოსილნი არიან.

სულხან ცინცაძე: „ძალიან ბევრის თქმა შეიძლება საესტრადო ხელოვნებაზე. ეს ცალკე სტატიის თემაც უნდა იყოს. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ მხატვრულად დაბალი დონის არა ერთი ნაწარმოები იკიდებს ფეხს ესტრადაზე. ისიც ხდება, რომ ზოგჯერ ნიჭიერი კომპოზიტორიც ღალატობს თავის თავს, — მხედველობაში მყავს გიორგი ცაბაძე, რომლის ტალანტის თაყვანისმცემელიც გახლავართ — მას აქვს შესანიშნავი საესტრადო ნაწარმოებები: „ლალე“, „აიმ მთაზედა“ და სხვები, რომელთაც სიამოვნებით მოვაწერდი ხელს. ამას ვერ ვიტყვი ამ ბოლოხანს აზერბაიჯანულ ყაიდაზე შექმნილ „მეეტლეზე“. ისეთი კომპოზიტორისათვის, როგორც გიორგი ცაბაძეა, ეს მიუტეველად მიმაჩნია, ვიმეორებ — ამ ქანრში ცოტანი არიან მისთანანი და მით უფრო დასანანია ეს ამბავი. მიმაჩნია, რომ საჭიროა თვითეული ახალი ნაწარმოების ერთგვარი კონტროლი; უფრო მეტი პროფესიული მუსიკოსების ჩარევა ამ პოპულარულ ქანრში... ჩემთვის გაუგებარია, როცა ამბობენ — „მსუბუქი მუსიკა“. ძალიან ბევრი საესტრადო ნაწარმოები ძნელად მოსასმენია თავისი „სიმძიმის“ გამო და პირიქით — ვთქვათ, შოსტაკოვიჩის მეცხრე სიმფონია სწორედ მსუბუქი, სახუმარო განწყობილებითაა აღსავსე“.

კომპოზიტორს არ მოსწონს გიორგი ცაბაძის „მეეტლე“ („უკანასკნელი მეფაიტონე“. თ. წ.). როცა საქმე მუსიკას ეხება, მე

მსაჯულის როლში სასაცილო ვიქნები, და არც ვკისრულობ მას. ალბათ, სულხან ცინცაძე მართალია, როცა მუსიკას იწუნებს. ამ სიმღერის ტექსტი მორის ფოცხიშვილს ეკუთვნის. ტექსტი ძალიან კარგია და კომპოზიტორის საყვედური მასზე არ გავრცელდება. მაგრამ გიორგი ცაბაძესთან სასაყვედურო მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს, სიმღერის ტექსტების არჩევის თაობაზე, მართლაც ბევრი გვაქვს. ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ მისი „მშობლიური მიწის“ მელოდია დიდებული რამაა! მას მთელი საქართველო მღერის. მაგრამ აქ ტექსტი (მ. კაკიტელაშვილის სიტყვები) ეფარება მელოდიას და ცოცხლობს მუსიკის ხარჯზე!

ამ მაღლიან და დალოცვილ მიწაზე
ერთი წუთით არ ვყოფილვარ მერყევი,
ცოცხალი ვარ, შენი ტრფობით ვიწვები,
მოვკვდები და ფერფლად გადაგეყრები.
ცოცხალი ვარ, ცოცხალი,
შენი ტრფობით ვიწვები.
მოვკვდები და ფერფლად გადაგეყრები.
ვინ დამძრახავს სულით ცოტნე დარღანს,
არწივების საბუღარის მესობტებს,
მე მომხედური ვერ მიხილავს დარღანს,
თუნდაც ტანჯვა და წამება მელოდეს.

მამ ასე:

მე მომხედური ვერ მიხილავს დარღანს,
თუნდაც ტანჯვა და წამება მელოდეს.

თუკი მომხედურმა და გადამთიელმა ვაყკაცობა შეგიგინა, საქმე სატანჯველად და საწამებლად გაგიხადა, უნდა დავდარღიანდეთ კიდევ და გულთანაც უნდა მივიტანოთ! სამარცსვინო ის უფრო იქნება, ამ ტრაგედიის შემდეგ მტერს მხიარული ვეჩვენოთ! ასეთ დროს უდარდელად ყოფნა, მე რომ მკითხოთ, უხერხულიც კია!

ესტრადის უპირველესი დანიშნულებაა აუმაღლოს გემოვნება მსმენელს! ჩვენ კი, უნებლიეთ, საწინააღმდეგოს ვაკეთებთ.

ნიკოლოზ არეშიძე ჩვენი საესტრადო სიმღერების თითქმის პიონერია. ბევრი კარგი ლექსიც დაუწერია. ცნობილ კომპოზიტორებს შეუქმნიათ მათზე სიმღერები. მაგრამ სიმღერის ტექსტის

ფრაგმენტი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ჩვენგან შექმბულ მი-
სეულ სტრიქონებს ნამდვილად არ განეკუთვნება. იგი სხვა რამის
გამო უნდა მოვიტანო:

...ლამაზ შუბლზე ჩამოყრილი ზღვის
ტალღება, ქოჩორია,
შემხედავს და ავთოლოდები, როგორც
ვერხეის ფოთოლია.
ყვავილების სურნელვად დღლას ნიავს
მოჰყოლია,
ნახეთ ხალხო, ნახეთ ერთი როგორია,
როგორია...
(„ერთი ბიკის გამოხეუვა“)

მოწონებულ ბიკზე ვერას მოგახსენებთ, როგორია! ლექსზე კი
პირდაპირ ვიტყვი — დიდი ვერაფერი შეილია!

ახლახან ვთქვი, ეს სტრიქონები სხვა რამის გამო მკირდება-
მეთქი. ლექსის ქვემოთ საგანგებო მინაწერებია: „განნილულია და
მოწონებულია ხალხური შემოქმედების სახლის მიერ“. ეს ოფი-
ციალური ბეჭდითაც დაუმოწმებიათ. ასევე მოქცეულა კულტურის
სამინისტროც!

„აღნიშნულ ტექსტზე ვწერ მუსიკას გ. ცაბაძე“.

ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდი, ღმერთმანი! ყველა გზა მომი-
ჭრეს: ლექსი მოსწონს კულტურის სამინისტროს! სახელმწიფო
ფილარმონიის სამხატვრო საბჭოს! ხალხური შემოქმედების რეს-
პუბლიკურ სახლს! ცნობილ კომპოზიტორს!

მაგრამ ამ შემთხვევაში არც ამ უწყებათა ავტორიტეტი იკმა-
რებს საიმისოდ, რომ უკან წავიღო ჩემი სიტყვა: ლექსი, რომელიც
ყველას მოწონებია, მე უნდა დავიწუნო!

ამის საშუალებას კი ეს სოლიდური ორგანიზაციები და სამი-
ნისტრო არ უნდა მაძლევდეს!

სასაცილოა ვამტკიცოთ, თითქოს ქართულ ესტრადაზე არ
სრულდებოდეს კარგი სიმღერები. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ჩი-
ნებული სიმღერები, მაგრამ ისინი ძალზე ცოტაა! ხოლო ასეთები,
ვახტანგ კუციას ტექსტზე რომ მუსიკა მ. მონაშერიძეს დაუწერა, —
რამდენიც გინდათ!

აღერსით თავს გველებოდი, მზის სხივო
დილისა.

შენს სახელს გულში ვნატრობდი, ჩემო
ვაჟო სიზმრისა.

დალბენა არ მიფიქრია, არც მითხოვნია რა,
სულ სიყვარული მინდოდა მე საპოვნელას
სულისა.

შენ, სიხარული, ოცნებების მხარე,
ერთხელ მაზილე სიყვარულის წამება.

გაქრა ბავშვობის წლებო,

გვიცდის წინ დიდი გზა.

საუკუნედ მე შემოგველე

საოცნებო გულისა.

(„საოცნებო გულისა“)

მართალი გითხრათ, გული დამწყდა, ამ ტექსტზე შექმნილი მუ-
სიკა არ მომისმენია, მაინტერესებდა კი: „ლექსი“, რომლის წაკი-
თხვა ვერ მოგვიხერხებია, როგორღა იმღერება?!

„არ არის ადვილი საესტრადო სიმღერების დაწერა. დაწერო
მწარე სიტყვები სიმღერის მისამართით, არც ეს არის ადვილი, მაგ-
რამ უამისობაც არ იქნება იმიტომ, რომ ჩვენ ყველას გვაწუხებს,
გვალღვევს საბჭოთა ესტრადის ხვალინდელი ღღე“.

მე სავესებით ვეთანხმები ამ სტრიქონების ავტორს ბულატ ოკუ-
ჩავას. წერილში ყურადსაღებია სხვა გარემოებაც, კერძოდ ეს კი-
თხვები:

1. „შეიძლება თუ არა ვლანძლოთ ადამიანი, რომელიც მსურვა-
ლედ, ნებისყოფის დაძაბვით ემსახურება სიმღერის შექმნას?“

2. და: „თუ ისინი მსხვერპლი ხდებიან, მაშინ ვინ არიან ბორო-
ტები?“

„დამნაშავეთა“ მისამართიც გარკვეულია!

„ესენი პირველ რიგში ნიჰიერი კომპოზიტორებია“, — წერს
ოკუჩავა, — „უფრო სწორედ, ისინი გულგრილნი არიან, რის გამოც
მათთვის ლექსი ძირითადი როდია, სამწუხაროა სიმღერისთვის ამ-
გვარი დახმარება. ისინი აღმერთებენ თავიანთ მელოდიებს, და სწუ-
ხან, რომ არ შეიძლება დაწერო სიმღერა ტექსტის გარეშე, და გა-
თამამებულები არჩევენ ლექსს (ხარისხს ყურადღებას არ აქცევენ),
მათთვის მთავარია არ ჩაისწოს მელოდია“.

სამწუხაროდ, ეს აზრი ჩვენს კომპოზიტორებზეც ვრცელდება-

ვერავინ დამაჯერებს, რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის ქვეყანაში, სადაც დღესაც ჩვენი დიდებული პოეტები მოღვაწეობენ, რაიმე აუცილებლობით იყოს გამოწვეული სიმღერების შექმნა ასეთ ტექსტებზე:

„დამშვენდნენ ჩვენი ღღეები ცხოვრებით
კმაყოფილითა,
ხარობს ქვეყანა, ივსება პურით, ღვინით და
ხილითა,
მომავალს ვუცქერთ იმედით, გვწამს აღარ
გაგვიჭირდება“.
(„დიად ეპოქას ვუმღერით“,
გრ. ცეცხლაძე).

„რა არის ქვეყნად მთავარი (სულ),
ყველაფერზე მთავარი,
— გიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, ეს ღამაში
მთაბარი,
ამას გვთხოვს იავნანური, ჩვენი დიდი მამული,
მამების ნაამაგარი, ჩვენი ენა და ანბანი.
სიმღერა იავარდული, სალამური (და) ფანდური,
მიწა და ზეცა ქართული, ვაზი
სიმგადახლართული“.
(„რა არის ქვეყნად მთავარი“
ნუნუ კერესელიძე).

„დაიხურა წლების ფარდა და სცენაზე
მარტო ვარ,
მან სიმღერის ჰანგის გარდა არაფერი დატოვა
მაგრამ როცა სიმღერაა, მესმის ფერგადასულ
მაგონდება წარსული...“
(„მოგონება“, ტექსტი ბადრი კობახიძისა,
მუსიკა გია ყანჩელიისა).

„შემოდგი ფეხი ახალ წელო,
შეკვლედ გაგვიხდი სევებენიერი.
შემოიტანე უხვი ბარაქა,
ვარსკვლავზე მეტად ამრავლე ერი.
ერი პურადი, ერი გულადი,
ნიჭიერებით ვინ დაიწუნოს.

მაშ დაგვებდენ დიდი საქმენით
შემოდგი ფეხი, ახლო წელო“.

(„საახალწლო“, მუსიკა ო. თეოდორაძისა,
ტექსტი ს. ლაფაერის).

„გაშლილან საოცნებო ვარდები
და დილაღ ლალის ფერია.
მოფრანდსენ, ნაზი, სიცოცხლას მერცხლები
და თითქოს სიყვარულს მღერიან.
მზე მიცინის, მიხარია, წინ ლურჯთვალა ქედებია,
სიყვარულში ვარსკვლავები არც მიწაზე
ბერდებიან...“

(„საოცნებო ვარდები“, ლექსი ა. შანიძისა).
მუსიკა ალ. ბუკიასი).

„ულვაშებზე გეფინება მწუხრი,
როგორც ტკბილი მოგონების ჩრდილი,
მაპი, ჩემო საყვარელო მამი,
შენზე ფიქრით დაქანცულა შვილი“.

(„მამა“, ავთანდილ სვანი).

„მე გამირბიხარ, ნუ, ჩემო, კარგო.
გულს ენატრება ღიმილი შენი,
თვალბეჭეუნა მაისის ვარდო
მოდო, გომღერო ბულბულის ენით“.

(„მოდო გომღერო“, შოთა ამირანაშვილი).

(მკითხველი უნდა გაეაფრთხილო, რომ სტილი და ჰუნქტუაცია
მოტანილი ტექსტებისა ყველგან დატულია. თ. წ.).

სულხან ნასიძე: „როგორია დღევანდელი ესტრადა და როგორი
უნდა იყოს იგი? ისე როგორც ხელოვნების ყველა დარგი, საეს-
ტრადო ხელოვნებაც მოითხოვს ნათელ შემოქმედებით ინდივიდუ-
ალობას, მაღალ პროფესიონიზმსა და გემოვნებას. სამწუხაროდ,
დღეს ქართული ესტრადა ამ მოთხოვნებს ყოველთვის ვერ აკ-
მაყოფილებს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ხშირად მოყვარულები
მისდევნენ ამ საქმეს. მუსიკა და სიტყვა... ამის შესახებ ბევრი თქმუ-
ლა, დაწერილია და საკამათო თითქოს აღარაფერია, მაგრამ თუ
დღეს ქართველ კომპოზიტორთა მთელ რიგ ვოკალურ ნაწარმო-

ებებში მაინც ხშირად ვხვდებით მდარე პოეზიის ნიმუშებს, ეს კომპოზიტორთა დაუდევრობის და დაბალი მოთხოვნილების ბრალია, და არც იშვიათია ისეთი სამწუხარო შემთხვევები, როდესაც მაღალი პოეზიის ნიმუშები სრულიად შეუფერებელ, დაბალი გემოვნების მუსიკალურ ქარგაში მოექცევა ხოლმე“.

ერთ სამწუხარო ფაქტზე მინდა ვიამბოთ, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სამხატვრო საბჭოს მიერ მოწონებული და დაწუნებული სიმღერების ტექსტების გაცნობის დროს წავაწყდი ტიცუან ტაბიძის ლექსს „ცისფერი სიმღერა“. გათვალისწინებთ მას:

ნუ მოხვალ ახლო, იყავი შორი,
სიშორის ორმოს ავაცებთ სევდით.
მთელ ქვეყანაზე მარტო ვართ ორნი,
ქვეყნის დასასრულს ორნი შევხვდებით.
სად შემიყვარდა, რად შემიყვარდა?
მე არ ვეითხოვობ. არც მსურს გაკენა,
შენ გაუშლელი ტანჯვის ხარ ვარდი,
და ჩემი სული ეკლად დაგება.

„ორპირის ფშანზე გავრდილ ბიქს“ ბედისწერის მსახვრალმა ზელმა აქაც უწია! ლექსისთვის გულდამშვიდებით, აუთოლოგლად შემდეგი მიუწერიათ: „ჩემი აზრით ამ ლექსის ამჟამად სასიმღერო ტექსტად გამოყენება მიზანშეუწონელია. ა. კობერიძე 1/II-73 წ.“

თქვე კაი ხალხო! მერედა „ამჟამად“ რა განსაკუთრებული მდგომარეობაა საიმისოდ, რომ ამ მშვენიერ ლექსს უარი ეთქვას!

აბა, ავდგეთ და ვიმღეროთ, რაკი არავინ გვიშლის, ასეთი სტრიქონები:

წყალში ბატი. იხვი. თევზი
რა ლამაზი გნოლებია,
რა ლამაზი ფრინველია
ყველა ჩემი მგონებია.
ჩემისთანა მონადირე
ჯერ არ გამოგონებია...

ახლა მკითხველს განუმარტოთ, რატომ დაიწუნეს ტიცუან ტაბიძის ლექსი.

აქ, ზემოთ ნახსენებ უწყებაში, ვილაციის სურვილით თუ მოთხოვნით ტაბუ დაუდვიათ და მოქალაქეობრივი უფლება წაურთმევიათ შემდეგი სიტყვებისთვის: **ღმერთი, უფალი, ტკივილი, ცრემლი, სევდა, ტანჯვა, გლოვა...** ამით მაგიერ უფრო საზეიმო სიტყვებს არჩევენ!

ამის თქმას საბუთი უნდა!

ვისაც ხელი მიუწვდება, გადაათვალიეროს სამხატვრო საბჭოს მიერ მიღებული ტექსტები და იქ აღმოაჩენს ფერადი ფანქრით სიტყვების ქვეშ გავლებულ ხაზებს, რაც იმის დასტურია, რომ ლექსში ეს სიტყვები აუცილებლად უნდა გასწორდეს!

ტიციან ტაბიძის ლირიკულ ლექსში კი კანონგარეშე გამოცხადებული სიტყვები კარგა ბლომადაა: „სიშორის ორმოს ავაესებთ სევდით“, „მთელ ქვეყანაზე მარტო ვართ ორნი, ქვეყნის დასასრულს ორნი შეგვხვდებით“. და ამ სიმღერის სხვანაირი ბედი, რაკი სამხატვრო საბჭოს მუშაობის სტილი ვიცით, ნამდვილად გაგვიკვირდებოდა!

სიტყვათა ამნაირი ათვალწუნება დიდი უდიერობაა! სულ სხვა საქმეა, როცა თავს ძალას ვატანთ და სიტყვებს გულდაგულ ვეძებთ, ისეთნაირად ვსვამთ კონტექსტში, რომ იქ სხვას, უკეთესს, ვერ ინატრებ! თორემ ხელაღებით, ყოველგვარი ფიქრის გარეშე ნახმარი სიტყვები (საილუსტრაციო მაგალითებს ქვემოთ გთავაზობთ), ვერაფერი საქმეა.

ჩემი სოფლის გოგონები,
სიყვარულში მხნეები

(ნ. ხუნწარია)

თუ გოგონებს მეტი დამსახურება არ მიუძღვით სოფლის, ერის და ქვეყნის წინაშე იმის გარდა, რომ სიყვარულში არიან მხნეები, მაშინ მაინცდამაინც სახარბიელოდ არ ყოფილა საქმე!

მასვი მალამოდ ტუჩთა ლალები

(შ. ამირანაშვილი).

მალამოს ათასი კარგი თვისება აქვს, მაგრამ სასმელად ყოვლად გამოუსადეგარია!

გაქრა ბავშვობის წლები
(ვ. კუცია).

ერი პურადი, ერი გულადი,
ნიჭიერებით ვინ დაიწუნოს.
(ს. ლაფაური).

მე საგანგებოდ შევაჩერე ყურადღება სიტყვის უადგილო ხმა-რებაზე, მაგრამ კიდევ უფრო სავალალოა აზრები, რომლებიც ამ უადგილოდ ნახმარი სიტყვებითაა ზოგჯერ გადმოცემული.

ფეხმოტეხილი ძალი სჯობს
უშვილო ცოლის ყოლასა

ახლა ძნელი დასადგენია, ვის მოუვიდა პირველად აზრად, ეს „სიმღერა“ მთელი საქართველოს გასაგონად გადაეცა. რატომ არ დაფიქრებულან, ამით რამდენი ქალი იგრძნობდა დაუმსახურებელ შეურაცხყოფას? უპატივცემულობას? ნუთუ არ იციან, რომ ქვეყანაზე იშვიათია ქალი, დედობა არ ენატროს? და თუ განგების ნებით, ესენი ვერასდროს ეღიკრებიან ამ ბედნიერებას, ამისთვის სახალხოდ უნდა დავცინოთ მათ?

დასანანი უტაქტობა!

ბოლო დროს ქართულ კინოფილმებში და ესტრადებზე ერთი განსაკუთრებული ხასიათის სიმღერები მომრავლდა. მე მათ, პირობითად, „დარგობრივ სიმღერებს“ დავარქმევ, რადგან თემატურად ძალზე გამოკვეთილნი არიან და ცხოვრების რომელიმე ერთ დარგს გულისხმობენ მხოლოდ. ასეთებია: „სიმღერა თბილისის მეტროზე“ (ტექსტი ლ. ჭუბაბრიასი, მუსიკა. შ. მილორაგასი), „სიმღერა ჩაის მკრეფავზე“ (ნ. მალაზონიას ტექსტი, მუსიკა ა. ბუკიასი), „რკინაგზელის სიმღერა“ (პ. გრუზინსკის ტექსტი, მუსიკა გ. ცაბაძის, კინოფილმიდან: „მოიტაცეს თამარ-ქალი“), „სიმღერა ელნათურებზე“ (ელ. დიდიმამიშვილის ტექსტი) და ბევრი სხვა.

ეს სიმღერები საჭიროა, როგორც ცდა ლირიკული ტექსტების

მოსაწყენი კამერულობიდან თავის დაღწევისა. მაგრამ ვნახოთ ახლა, როგორია მათი ხარისხი?

...თბილისში მეტრო ამუშავდა. ეს ყველა ქართველისთვის ღირსსახსოვარი მოვლენაა!

ღღეს პირველად მესმა შენი ხმა,
თბილისური მიწაც შეირხა
სიხარულის ძალით.
გრილით და ზარით,
ჩემი მიწის პერცხალო,
ვით ეს გული ღელავს,
შენს მგზავრებაც ყველა-
ისე ეხაროს!..

და აი, ქართული სიმღერის ავტორებმა ახალი შესაძლებლობა აღმოაჩინეს! ჯერ კიდევ არ დამცხრალა საუბარი მიწისზედა მერცხლებზე და უკვე მიწისქვეშაც გავიჩინეთ ასეთი ფრთოსნები—გოგონებს გულისხმობენ! ნუ შეგვეშინდება: ცისიერი კუდრაქები არ დაგვივიწყებია: „მოვფრინავ და მომაქვს ჩემი ფიქრები, ორი წუთის შემდეგ მასთან ვიქნები!“

მრცხვენია, როცა წარმოვიდგენ „მიწის მერცხალზე“ გადამჯდარ ლირიკულ გმირს, რომელიც ცისიერი მერცხლისაყენ მიისწრაფვის!

მოქპრი როგორც ისარი
როგორც სხივი მზის დარი

დარგობრივი სიმღერების ტექსტის შექმნა შედარებით ადვილია. ცოტაოდენი ხელის გაწაფვა და... თუ ფოსტალიონზე ვსაუბრობთ, იგი ხომ: „რა ხანია წერილების ჩანთას, ყოველ დილით კარ-კარ დაატარებს“. მესაზღვრეს ვუმღერით? აი, სტრიქონები: „ყველა ქვა და ყველა ბუჩქი დათვლილი გვაქვს ათასჯერ, ჩვენი საზღვრის დამრღვეველი სიკვდილს ვერსად გადარჩეს“. მასწავლებელს სხვა-ნაირი ტექსტი მოუხდება: „შეხვედრისას ჩვენი გულის გამხარებელი სანიმუშო დისციპლინის მატარებელი... ვის არ ყავდა ვის არ ახსოვს მასწავლებელი!“ (ამ სიმღერაზე უფრო ვრცლად სხვა დროს შეეჩერდებით). სულ ახლახან კი მივიღეთ კომპოზიტორ გიორგი

ცაბაძის — „რკინიგზელას სიმღერა“, პეტრე გრუზინსკის ტექსტზე:

სადგურ-სადგურ დაღვივარ და
გულით სევდას დაუბარებ,
გულით სევდას დაუბარებ, ვაი...
ვეფროთხილდები ყველა კანჭიკს
ნიავესაც კი არ ვაკარებ, ოი...

ახლა ვნახოთ, როცა საესტრადო სიმღერის ტექსტებს წერენ ცნობილი პოეტები!

„ტალანტის მქონე პოეტებიც კი... დატყვევებული წარმატებისაგან, ან რაღაც მიზეზთა გამო, ლალატობენ თავიანთ ტალანტსა და აცხობენ „ტექსტებს“ უამრავი რაოდენობით ყველა კომპოზიტორისათვის; წერენ სხვადასხვა გემოვნების ტექსტებს და ბოროტად იყენებენ საკუთარ სახელებს (ბ. ოკუჯავა, „ლიტერატურნაია გაზეტა“).

ჭართულ ესტრადაზეც ასეა? ვნახოთ:

ნიკოლოზ ჩაჩავა, „შენზე ნათქვამი“:

ეს ჩემი დარდი სულ შენთვის არის,
სულ შენთვის არის ეს გახელებაც.
აქუსაც ხომ შენით გაუჩნდა ბზარი,
ვერ დაგივიწყეს ჩემმა ხელებმაც.

...

* *

ეს ჩემი დარდი სულ შენთან არის,
გულსაც ხომ შენით გაუჩნდა ბზარი...

პატივცემული პოეტი, სხვა დროს, თავადაც ოსტატურად დასხმია თავს სასიმღერო ლიტერატურაში შემთხვევით ბედისმძივებელთ. ამ შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, უგულისყურობა მისსავე სტრიქონებს ეტყობა. „ეს ჩემი დარდი სულ შენგან არის“, — გასაგებია. მაგრამ, როცა ლირიკული გმირი გოგონას უთვლის თუ მიმართავს: — ეს ჩემი დარდი სულ შენთვის არის, სულ შენთვის არის ეს გახელებაცო — მოსაწონი არაა.

ოთარ გორდელი: „დღევანდელი მსოფლიო საესტრადო მუსიკა

გამოირჩევა მნიშვნელოვანი ქანრული და მხატვრული მრავალფეროვნებით... გარკვეული მიღწევები ამ მხრივ ქართველ კომპოზიტორებსაც გვაქვს, მაგრამ ბოლო დროს ჩვენში მომრავლდა ლირიკულ-ინტიმური ხასიათის საკმაოდ ერთფეროვანი, ერთმანეთის მსგავსი სიმღერები. ცოტა იწერება საესტრადო-ინსტრუმენტული და საცეკვაო მუსიკა, ჩვენს საესტრადო მუსიკას აკლია იუმორი, მხიარული განწყობილება, აკლია თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის შრომისა და დასვენების ამსახველი მხნე, ვაჟკაცური რიტმები!

შესანიშნავადაა თქმული: „სიმღერიდან სიტყვებს ვერ ამოაგდებ!“ სავსებით ვეთანხმები ამ დებულებას. მიმაჩნია, რომ პოეტი და კომპოზიტორი, დრამატურგი და კომპოზიტორი — ეს არის მტკიცე. ერთ იდეურ მხატვრულ პოზიციებზე მდგარი კოლექტივი, აქ ორივე მხარე შემოქმედებითად სწორუფლებიანია, მაგრამ ზოგჯერ მაინც მახსენდება მოცარტის ფრთიანი გამოთქმა — „იქ, სადაც მთავრდება სიტყვები — იწყება მუსიკა!“

სწორია ოთარ გორდელი, როცა ამბობს, ბოლო დროს ჩვენში მომრავლდა ლირიკულ-ინტიმური ხასიათის საკმაოდ ერთფეროვანი, ერთმანეთის მსგავსი სიმღერები. მე აქამდე, დაახლოებით მაინც, შევეცადე წარმოდგენა შემექმნა მკითხველისთვის, თუ რა მდგომარეობაშია ლირიკულ-ინტიმური სიმღერების ტექსტების საქმე ქართულ ესტრადაზე. არ ვიცი, სამართლიანად თუ უსამართლოდ, მაგრამ დიდი ნაწილი დავიწუნეთ. ახლა უნდა ვთქვა, რომ მაინც ამ ქანრში ჩვენი ესტრადის მიღწევები ეიფელის კოშკია იმასთან შედარებით, რაც „თანამედროვე ადამიანის შრომისა და დასვენების ამსახველი მხნე, ვაჟკაცური რიტმების“ შექმნისათვის კეთდება! მსგავსი უგემოვნობა და განუკითხაობა ძნელი წარმოსადგენიც არის! სულ ერთია, ვინ წერს აქ ტექსტს, მელექსენი თუ ნაფიცი პოეტები, ისინი, მეტნაკლებად, მაინც სავსებით უფერულნი არიან! ხშირად უაზრონიც! მათ პრიმიტიულობასა და გულუბრყვილობას ნულარ იკითხავთ!

...ამღერებულან ველებო ჩემი ლამაზი მთები,
დიდი კაშხალის შენებით ხარობენ შრომის ძმები

მორევს ტალღები მოსტაცეს მთაზე აზიდეს
ლაღად.
ბრძოლის და შრომის ოსტატებს როდი
სჩვევიათ დაღლა.

(ე. დიდიმაშიშვილი, „სიმღერა ელნათურებზე“).

...კომუნისტურ შრომის მძლე და
სასახელო ბრიგადად,
დიად საქმეს შეეპიღე,
თვალი ელვას გიგავდა
(„შრომის ახალი ზეიმი“, ტექსტი შ. ამირანაშვილის,
მუსიკა შ. მილორავესი).

...როცა მთაში საღამური სადილაოს დასძახებს,
შენ უკვე ხარ ჩაის მწკრივთან, ხარობ მისი
ბარაქით,
შანჭანები დაგიტვირთავს, განა მარტო

კალათი...

(„სიმღერა ჩაის მკრეფაზე“,
ტექსტი ნ. მაღაზონიასი,
მუსიკა ა. ბუკიასი)

მე მგონია, საუღრესოდ აუცილებელია სერიოზული, საქმიანი
საუბარი ამდაგვარ ტექსტებზე, რადგან მათზე შეთხზული სიმღე-
რებით აივსო ეთერი და სასიმღერო კრებულები.

„ძალიან ძნელია გასარჩევად საზეიმო, საღმრთოაწაულო, პათე-
ტიკური სიმღერები — სიტყვები ამ სიმღერებისა „იმდენად მართა-
ლია“, შეიძლება ისინი გადავიტანოთ გაზეთის მოწინავეში (ან შე-
იძლება სულაც იქედანაა ამოკრებილნი). მათში გამოხატული აზრი
ჩვენთვის ძვირფასია, ერთგულია, უღალატოა, მაგრამ ეს სიმღე-
რისთვის ცოტა არ არის?“ (ალ. მიხაილოვი).

მართლაც, რომ ცოტაა მაგრამ უბედურება აქ მხოლოდ პოეზი-
ის ნაკლებობა როდია! „მორევს ტალღები მოსტაცეს მთაზე აზიდეს
ლაღად, ბრძოლის და შრომის ოსტატებს როდი სჩვევია დაღლა“.
ავდგეთ და ვიდავოთ ახლა, რომ ეს მართალი არ არის და გულუბ-
რველობაა? „ბრძოლის და შრომის ოსტატებიც“ ხომ ჩვენნიანი
ადამიანები არიან? და ნუთუ მათთვის უცხოა დაღლილობა — ადა-
მიანის ბუნებრივი თვისება?

აი, სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს გადაქარბებულმა, არაფრისმაქნისმა პათეტურობამ!

რა კარგად, რა ადამიანურად უთხოა ამის თაობაზე მწერლებს. ფაბრიკა „ქრწანისის ბრიგადირმა მარინე აბულაძემ: „მუშა კაცს აქვს თავისი განსხვავებული ფსიქოლოგია, თავისი განსხვავებული ცხოვრება — განსხვავებული და ხშირად მეტად მწვავე პრობლემებით... ზოგჯერ ამ მართლაც რთულ და საინტერესო ცხოვრებას ისე წარმოგვიდგენენ ხოლმე, რომ ფიქრობ, ნეტა არ დაწერილიყო ეს სიტყვები და ის ფურცლები, სადაც ჩანს, რა პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონიათ შენზე. მოვიყვან მაგალითს. ერთ მოთხრობაში. მუშათა ცხოვრებაზეა ლაპარაკი... ავტორს რომ საკმაოდ პრიმიტიული წარმოდგენა აქვს მუშა კაცზე, ახლავე დარწმუნდებით. მუშა „დილით ადგა და სამუშაო ხალათი ჩაიცვა — ბავშვობაში ნაოცნებარი“ — რა არის ეს? ცუდად ნათქვამი ფრაზა თუ ღარიბი აზრი? მე მგონი, ერთიც და მეორეც. შემდეგი ციტატა, ალბათ, დაგარწმუნებთ ჩემი აზრის. სისწორეში. სიტუაცია ასეთია: შვილი ეკითხება დედას თავის თავზე, — „შენ ხომ გიყვარს გურამი? — ძიყვარს. — ჰოდა, ისე მიყვარს მე ფაბრიკა“. ყალბია ეს ეპიზოდი, ყალბია ეს სიტყვები“.

ყველაფერი, რის ნათლად თქმაც მე ვერ მოვახერხე, ასე დალაგებით, ასე ჰქვიანურად გაგვაგებინა მუშა გოგონამ!

ახლა გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: როცა მუშა ლიტერატურის ნიუანსებში ასეა გათვითცნობიერებული, მაგალითად, იმავე მარინე აბულაძის ბრიგადის წევრები, დაგვიჯერებენ კი, რომ ვეუბნებით, „ბრძოლის და შრომის ოსტატებს როდო ჩვეტიც და ძღაღა“.

კომუნისტურ შრომის მძლე და სასახლო
ბრიგადავ,
ღიად საქმეს შეეკიდე, თვალი ელვას გიგავდა!

ან კი, რომელ ჩვენგანს უნახავს, დილაუთენიაზე მეჩაიე ქალს ამდენი ფოთოლი მოეკრიფოს, რომ ასე გვეთქვა: „მანქანები დაგოტვირთავს განა მარტო კალათი?“

დღეს ასეთი გულისამრევი ქათინაური არავის სჭირდება! აი, რისი თქმა მინდოდა!

დაბოლოს კიდევ ერთ ნაკლზე.

ალბათ, შეგიმჩნევიათ: მეტწილ ქართულ საესტრადო სიმღერებს სუფრაზე დაქცეული ღვინის სუნი ასდის!

სამი რამ მიყვარს ამქვეყნად:

ღვინო, ღუღუკი, ქალები,

ღვინოს ვსვამ, ღუღუკს ვამღერებ.

ქალებო გეზაცვალებით...

მე არ მაგონდება ახლა, სად და როდის თქვეს ეს სტრიქონები: პირველად, მგონი, აღმოსავლურ მოტივზე შექმნილი ბაიათი უფროა, ანდა ამისდაგვარი რაღაც, მაგრამ ბოლოღროინდელი ჩვენი სიმღერები, რატომღაც, ამ ხაზს აგრძელებენ!

„თვალს ჩაუყარავ, მერიქიფე ადგება“, „დალიე და ალავერდი გადმოდი, ვენაცვალე, ვინც ბოლომდე დალია!“ „დოქის ტუჩი მირჩევნია ქალისას, ეს ცხოვრება ღვინომ გაახადისა, ყველა ბრძენზე მეტი ჰქუა ჰქონია, ვისაც რომა ღვინო მოუგონია!“ „ქალო შენი ტუჩები ამ კახურის ფერია“, „მაშ დავლიოთ, სულ დავლიოთ, დავლიოთ, ეს ცხოვრება ღოთობაში გავლიოთ“, „ღვინოს დავლევ-წყალს არა, შენ გააცობ, სხვას არა, ადანდალი დანდალი, ჩემი ოქროს შანდალი...“ „წინათ მათრობდნენ შენი თვალები, დღეს კი იცოდე ღვინომ დამათრო“, „ცარიელი უანწი რათ მინდა“, „თუ სიკვდილი მიწერია ამ საღამოს, მერიქიფევ, მირჩევნია მოვკვდე მთვრალი..“

გიკმაროთ!.. ამ სტრიქონების ცოდნით, მადლობა ღმერთს და ჩვენს კომპოზიტორებს, ერთმანეთს ვერ გავაკვირებთ!

დიდხანს გაცოცხლებთ ყველა! ოღონდ ნუ გეგონებათ, სიკვდილის ტრაგედიას ღვინომ რითიმე უსაშველოს! ეს ილუზიაა, ძალზე გულუბრყვილო თანაც ღოთი კაცის გასამართლებლად მოგონილი, მგონი, მათ მიერვე!

გურჯაანო, შენ კახეთის გული ხარ,

ღათობი და მუდამ მზიარული ხარ!

მთლიანად აღებულ ქალაქს ამაზე „კარგად“ თავს ვერავინ მოკრიდა! არადა გურჯაანს, მე რომ ვიცი, ქართველი ერის წინაშე სხვაგვარი დამსახურება აქვს — ჩინებული!

ღვინის დასხმა და დაღევა ჩვენმა წინაპრებმა რომ იცოდნენ, ისე უნდოდა! მაგრამ არსად გამიგონია, ამით თავი მოეწონებინოთ!

ჩემს ფოლკლორულ განათლებას ვერ ვენდობი მაინცდამაინც, მაგრამ ამ საქმისათვის თავგადაკლულ პირთ ჰკითხეთ, თუ გაინსენებენ ქართული ზეპირსიტყვიერებიდან მაგალითებს, ლოთობასა და თავაშეებული ღვინის კულტის შექმნას რომ ემსახურებოდეს!

არა და არა!

მოვიგონოთ ჩვენი სუფრული სიმღერები, ღვინის დღისათვის სახელდახელოდ შექმნილი! მერედა, სად არის იქ ღვინის სმის განდიდება? არსად, არც ერთ შემთხვევაში!

„შენ ხარ ვენახი!“ — მღეროდა ქართველი ხალხი!

ღღეს საწინააღმდეგო აზრი არ დავაკანონოთ!

დარწმუნებული ვარ, უცხოელს, ვისაც ენის უცოდინარობა ხელს არ შეუშლიდა და გაცნობოდა დღევანდელ ქართულ საესტრადო სიმღერებს, ასეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ეს ხალხი ღვინის სმას გადაჰყოლიაო.

ღმეთთმა ხომ იცის, რომ ასე არაა!

და სამწუხაროა, ჩვენდა უნებლიეთ, ძალიან რომ ვცდილობთ, სხვას ასერიგად ვეჩვენოთ!

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში სიმღერის ტექსტებზე მუშაობის დროს შემთხვევა მომეცა გაცნობოდი სოფელ კვალითის თვითმოქმედი გუნდის სასიმღერო რეპერტუარს. ეს სიმღერები სახელმწიფო კომიტეტისათვის ამ გუნდის ხელმძღვანელს იოველ კუპატაძეს გამოუგზავნია.

ცუდადაა საქმე, მეგობრებო, თუ ჩვენს რაიონებში ასეთ სიმღერებს მღერიან!

„მუსიკა და ტექსტი იოველ კუპატაძისა“ — აწერია ერთ მათგანს. ალბათ, მარტო ღმერთმა თუ იცის, საიდან მოგროვდა ეს, ერთმანეთს მიყოლებული, ნაცნობი და უცნობი სტრიქონები!

ტექსტი ნ. გუნცაძისა კი უნდა გაგაცნოთ:

შევდრისას ჩენი გულის გამხარებელი
სანიმუშო დისციპლინის მატარებელი
წყვლიადიდან ნათელი გზის მაჩვენებელი,
ვის არ ყველა ვის არ ახსოვს მასწავლებელი...

აქ შევწყვიტოთ, ამის გაგრძელება აღარ შეიძლება!
აი, რა „შემოქმედებითად“ მიდგომიან „იოველ და ძმანი მისნი“
ზალხურ ტექსტს:

სახუმარო — ბებია.

ზალხური

ჩარიჩამა ბებია

ჩაიცი და დაიხურე გაქალიშვილებია.

ფერ-უმარილი წაიხე გაითეთრე ყბებია...

ძნელი წარმოსადგენი არაა, რა გუნებაზე დამაყენებდა ამ სიმღერების გაცნობა. ყოველი წაკითხული ტექსტის შემდეგ განაწყენებას ვერ ვმალავდი... და აი, კვალითელმა ამხანაგებმა, მათდა უნებლიეთ, ერთი დიდებული იმერული ოინი მომიწყვეს! უნებლიეთ იმიტომ, რომ ისინი ხომ ვერ წარმოდგენენ, თუ მათ გამოგზავნილ სიმღერების ტექსტებს საგანგებოდ შეამოწმებდნენ! გადავფურცლე ბოლო გვერდი და... წავიკითხე: „მრავალყამიერ“ — უტექსტო...“

ესეც შენ! გამელიმა უნებურად, რას ავიკვიატებია ეს ტექსტები, ვისაც რა მოსწონს და რაც უზარია, იმას მღერის! წადი და არკვიე ახლა, უტექსტო მრავალყამიერს როგორ აუგუნებენ სოფელ კვალითში!

არ ვიცი, მოიწონა თუ არა ტელევიზიისა და რადიოს სამხატვრო საბჭომ ეს სიმღერები, მაგრამ ის, რაც ვიცი და არასწორად მიმაჩნია, აუცილებლად უნდა ვთქვა.

ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციას ვთხოვე, გაეცნო ჩვენთვის სიმღერების ტექსტები, რომელთაც ისინი ტელემაყურებელს სთავაზობენ. არ გვაქვსო, გვითხრეს. ტელევიზიის ეკრანით მაყურებელს მხოლოდ ესტრადებსა და კლუბებში აწ შესრულებულ სიმღერებს გადავცემთ, რაკი ეს სიმღერები ერთხელ ვიზირებულა, ჩვენგან რალა შემოწმება ესაჭიროებო.

არ არის სწორი პრაქტიკა! კლუბი და ესტრადა, რა დიდ აუდიტორიასაც უნდა მოიცავდეს, მთელი საქართველო არაა! შეიძლება

მეაბრეშუმეთა კლუბში ადგილობრივი ძალებით გაიმართოს კონცერტი, ანდა იქვე მოისმინო რომელიმე კომპოზიტორის სიმღერა. მაგრამ ეს კონცერტი, თუნდაც ძალზე საინტერესო, ან კიდევ კომპოზიტორის იგივე სიმღერა, რაკი ტელევიზიით გადაიციმა, მსმენელად უკვე მთელ ქართველ ხალხს გულახსმობს. ამიტომ აუცილებლად მკაცრად უნდა გაისინჯოს და ხელახლა შემოწმდეს. ამით თავიდან ავიცილებთ, რამდენადმე შაინც, კურიოზულსა და სავალალო შემთხვევებს — მათზე კი ამ წერილში ბევრი ვილაპარაკეთ...

მე არ განმიზრახავს, და არც შემეძლო დაწვრილებით შევსებოდი ყველაფერს სასიმღერო ლიტერატურის სფეროში. დავჯერდი იმას, რომ შეძლებისდაგვარად ნათელმეყო მხოლოდ ისეთი რამ, რაც აშკარად უმართებულოდ მომეჩვენა და, მგონი, არავის არ მოეწონებოდა, თუკი დრო და სურველი ექნებოდა, ჩემსავე მოეჩხრიკა ეს უბანი!

კრიტიკოსის გედი საქართველოში

საცა ჩვეული არ არიან... პატრიოტ მოქმედნენ
სხვის აზრს, იქ კრიტიკა მშვიდობიანი სამსა-
ხური კი არ არის საზოგადოების წინაშე.
არამედ თავის გამომეტეზა სალანძღავად,
საქიშპოდ, ქუქყისა და ჩირქის მოსაცობად...

წერილის სათაური ნასესხებია ფილმიდან „ჭარისკაცის ბედი ამერიკაში“.

ეპიგრაფად მოტანილი სიტყვები ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, რომლის აზრით, არც კრიტიკოსის ბედი ყოფილა საქართველოში მთლად სახარბიელო.

„ჩვენი ქვეყანა პატარა ქვეყანაა, ყოველ ცისმარა დღეს ერთმანეთს თვალში ვეჩხირებით, გინდა თუ არა, ერთმანეთს ვხედავთ; შოდით და იმისი გაბუტვა და თვალთა ბრიალი აიტანეთ, ვისაც ნაწერი დაუწუნეთ, თუნდ ძალიან საბუთიანადაც...“

ბრძენი კაცის ნათქვამმა შემაგულიანა, მცირე ექსპერიმენტი მოვაწყო და ვაჩვენო, როგორ გამოვიყურები ჩემს მთელ გაკრიტიკებულ მწერლებს თვალში.

* *

გაკრიტიკებული მწერლებიდან ჯერჯერობით აღექსანდრე კალანდაძემ, გივი კარბელაშვილმა და რევაზ ჭაფარიძემ მიპასუხეს.

როგორც საპასუხო წერილებიდან ირკვევა, ჩემგან განსხვავებით, გაკრიტიკებულ მწერლებს ძალიან მოსწონთ საკუთარი ნაწარმოებები.

აღექსანდრე კალანდაძე: „საზოგადოებამ, კრიტიკამ, პრესამ ერთხმად აღიარა, რომ რომანის იდეა ჩვენი ხალხის რევოლუციური ტრადიციებისადმი სისხლხორციეული ერთგულებაა. ამ წიგნს მტერიც ვერ წაართმევს დიდი სამამულო ომის რომანტიკას“.

„იქნებ ისიც გვითხრას... ათობით რაიონში, წარმოება-დაწესე-

ბულებებში, სკოლებში, ბიბლიოთეკებშიც გამოჩენის იმედით ეწყობოდა განხილვები? იქნებ პრესაშიც გამოჩენის იმედით უთმობდნენ ადგილს? იქნებ მწერალთა ყრილობაზეც ამიტომ აქებდნენ?!“

„ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ „მწვანე შტოში“ ხუროთმოძღვრებაზე მსჯელობანი ვერ შეამჩნიოს, მათ ხომ მთელი თავები ეთმობა, რომლებშიც ახალი შეხედულებებიცაა გამოთქმული და სპეციალისტთა აღიარებაც ჰპოვა“.

„რომანის მთელ არქიტექტურულ კონცეფციას ხომ ეროვნული წილიდან და ავტორის სულის შორეული სიღრმეებიდან მომდინარე ეს ამბავი კარნახობს?!“

„არ სწყალობს პასკვილანტი ხალხის მიერ მოწონებულ, კრიტიკის მიერ სამაგალითოდ მიჩნეულ გმირებს“.

„მასალების მიხედვით, „მწვანე შტო“ მკითხველს სწორედ ქალთა ნათელი სახეებისთვის მოეწონა“.

ჯერჯერობით ერთადერთი მე ვჩანვარ, ვისაც ალექსანდრე კალანდაძის რომანი არ მოსწონებია! ამიტომ ბუნებრივია პატივცემული მწერლის ჩემდამი საყვედურიც — ადამიანი ბრმა უნდა იყოს, „მწვანე შტოს“ ღირსებანი რომ არ შეამჩნიოსო.

საპასუხო წერილში გამოთქმული ეს „მსუბუქი“ საყვედური, ეტყობა, პატივცემული მწერლის „სულის შორეული სიღრმეებიდან“ იღებს სათავეს და ჩემს ფასაგონად ხშიანდება...

ამასთან, არა მგონია, ამ კონკრეტულ კონტექსტში „პასკვილანტს“ მთლად ლიტერატურული დატვირთვა ჰქონდეს, თუ არ მეჩვენება, ავტორი ამ სიტყვაში თავდაპირველ მნიშვნელობას დებს, როცა იტალიურ ენაზე იგი მხოლოდ მეწადეს ნიშნავდა...

გივი კარბელაშვილი: „ჩემი ლაზათი“ დადასტურებული არის მრავალათასიანი მკითხველის მიერ, რომელთაც რომანი გაითავისეს, რესპუბლიკისა და საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული მრავალი რეცენზიით, რომელთაც ხელს აწერენ სპეციალისტები, საქართველოს ტელევიზიაში მოწყობილი გადაცემებით, „სოვეტსკი პისატელის“ მიერ რომანის რუსული თარგმანის ორჯერ ზედზედ გამოცემით, უამრავი ქართველი და რუსი მკითხველის წერილებით“.

„რაკი ეს ფაქტი ორჯერ ორივით სწორია, მაშინ ადვილი გასა-

გები იქნება ის მოწონებაც, რითაც რომანს გზა მისცა ყველა პატივცემულმა რეცენზენტმა, ხოლო მრავალმა ათასმა მკითხველმა გაითავისა იგი“.

„არა, მე არ შევმცდარვარ ჩემი ლაზათით, კიდეც მეტიც, მე დღეს უკვე ვამაუობ ჩემი რომანით როგორც მწერალი, მამულიშვილი და კომუნისტი“.

პატივცემული მწერლის რომანი არა მარტო საქართველოში, კავშირის მასშტაბითაც განმაურებულა...

აღლოიანი კრიტიკოსი ჩემს ადგილას სხვაგვარად მოიქცეოდა — გაიხსენებდა, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.

თუმცა, გივი კარბელაშვილის რომანს ქართველი ხალხის წინაშე სხვა დამსახურებაც ჰქონია. ამას გვაფიქრებინებს მის მიერ მოწოდებული ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც მისთვის ერთ ვილნიუსელ ქალბატონს გამოუგზავნია.

«Теперь я смотрю совсем иначе на ваш народ».

გულწრფელ მადლობასთან ერთად ესეც მინდა მოვახსენო ძვირფას ქალბატონს: ვიდრე ქართველები „მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე ბ ი თ ჩ ა ფ ე რ ფ ლ ი ლ გ უ ლ ე ბ ს“ შეეკმინდით, და მისგან „совсем иначе“ შემოხედვას დავიმსახურებდით, მთლად წყალწადებულები არც მანამდე ვყოფილვართ — „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი“ გვექონდა შეკმინილი, რომელიც ალბათ... გივი კარბელაშვილის რომანს დიდად არ ჩამოუვარდება!..

„არა მე არ შევცდარვარ ჩემი ლაზათით, კიდეც მეტიც, მე დღეს უკვე ვამაუობ ჩემი რომანით, როგორც მწერალი, მამულიშვილი და კომუნისტი“.

ეტყობა, მწერალი არ აქარბებს. თუ ვილნიუსელი ქალბატონის აზრს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ისე გვექონია საქმე, რომ ამ რომანით ქართველი ხალხიც უნდა ამაუობდეს!...

რ ე ვ ა ზ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე: „არა ერთი წერილი მიეძღვნა ჩემს ნაწარმოებებს, უწინარეს ყოვლისა, ბოლოდროინდელ ნაშრომს — რომან-ტეტრალოგია „მძიმე ჯვარს“. აღმანახის 1983 წლის ერთ-ერთ ნომერში მრავალი მაგიდაც კი მოეწყო ხსენებული ნაწარმოების ავ-კარგის განხილვის მიზნით. დ ი ს კ უ ს ი ი ს ყ ვ ე ლ ა მ ო ნ ა წ ი ლ ი ს დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი ე რ თ ს უ ლ ო ვ ა ნ ი ი ყ ო...“

„ნუთუ რედაქტორის შეცვლა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ

„აღმანახმა... თავდაყირა დააყენოს თავის მიერვე წლების განმავლობაში გამომუშავებული პოზიცია? ის, რაც აქამდე თავის ფურცლებზე ავტორიტეტულად იქადაგა და რასაც ერიხ საჯოგადოებრივი აზრი უყოყმანოდ და უშენიშვნოდ მხარს უჭერდა, შეიძლება ერთადერთი აღამიანის, თუნდაც რედაქტორის კარნახით, სხვებთან შეუთანხმებლად და ახალი პლატფორმის გამოუშუშავებლად თავდაყირა დააყენოს?“

„ხომ არ გაირჩება თ. წივწივაძე და არ გვიბრძანებს, რა „შეშვენის“ კულტურული ქვეყნის“ კრიტიკოსს... სხვათა და სხვათა მიერ აღიარებულ რომანზე მსჯელობის დროს?“

„აი, ამგვარად იყო დაქიმული რომანის ყველა სიმი...“

პატივცემული მწერალი, დისკუსიის ყველა მონაწილის ერთსულოვანი დასკვნებით, როგორც ჩანს, კმაყოფილია. აღმანახის რედაქციას მისი რომანის უარყოფით შეფასებაში არ ეთანხმება. მხოლოდ!..

აღნათ, ბუნებრივიცაა. რაკი რომანს, ავტორის თქმით, „ერის საჯოგადოებრივი აზრი უყოყმანოდ და უშენიშვნოდ უჭერდა მხარს“, კიდევ გაკვირვებოდა, მასზე კრიტიკულ წერილს რომ წაიკითხავდა...

* *

პატივცემულ მწერლებს, როგორც ვნახეთ, საკუთარი ნაწარმოებები ძალიან მოსწონთ, მაგრამ მათ არ მოსწონთ ჩემი კრიტიკული „მეთოდი“.

„პასკვილანტის მეთოდით... „მწვანე შტო“ კი არა. მთელი ლიტერატურა და ხელოვნება ჯოჯოხეთად მოგვეჩვენებოდა“ (ალექსანდრე კალანდაძე).

„წივწივაძისეული გემოვნების გზით რომ ვიაროთ, მსოფლიოს არც ერთი ეპოქის არც ერთი ისტორიული რომანი არ აღმოჩნდება მისეული „გემოვნების“ შესაფერი“ (გივი კარბელაშვილი).

„სამამსხარაო თემას რა გამოლევს. თუკი იკადრებ და სხვასაც აკადრებ, საამისოდ მსოფლიო ლიტერატურის განურჩევლად ყველა ნაწარმოები გამოდგება მიუხედავად მათი სადაურობისა და მხატვრული სრულყოფის ხასიათისა“ (რევაზ ჯაფარიძე).

ეტყობა, ჩემს წერილებს თავისი საქმე მაინც გაუკეთებიათ — ძალიან შეუშინებია პატივცემული მწერლები!

ზემოთ აღნიშნე, ჩემს მეორე გაკრიტიკებული მწერლები ერთ სულოვანი ბრძანდებიან საკუთარი ნაწარმოებების შექებაში. ახლა უნდა ეთქვა, რომ ისინი, სხვათა შორის, ასევე ერთსულოვანი არიან ჩემს ძაგებაში.

ლიტერატურულ საქმიანობას რომ თავი დავანებოთ, პატივცემული მწერლების თვალში მეტად არასერიოზული კაცის შთაბეჭდილებას ვტოვებ.

ამის მიხედვით. გაკრიტიკებული ავტორების აზრით, ჩემი გაუნათლებლობა, „მძიმე“ სოციალური წარმოშობა, არასაიმედო პოლიტიკური მრწამსი, საექვო რელიგიური მიდრეკილებანი, შინაგანი კულტურის უქონლობა და გარეგნული შეუხედაობაა.

პატივცემული მწერლების საპასუხო წერილებში ჩემი „ნაკლები მხარეები“ თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი.

მეც ასევე ცალ-ცალკე მოგაწვდით.

ჩემი პროფესიული დონე და განათლება

გივი კარბელაშვილის წერილის მიხედვით:

„ახლაჯაზრდა კაცი ხართ... ძალიან ბევრ სხვა რამესთან ერთად ისიც არ იცით, რომ ენის სწავლების არასრული საშუალო სკოლის პროგრამის შესაბამისად კითხვითი წინადადების ბოლოში კითხვის ნიშანიც უნდა ჯაისვას და არა მხოლოდ ძახილისა...“

„მე წერტილი ვი არა, მძიმე მაქვს დასმული და კრიტიკოსს უნდა შესწევდეს უნარი წერტილისაგან მძიმის გარჩევისა“.

„წერილში ნოზღვაგებულნი ანგვარი დანახინჯებები ისე ბეჭრია, რომ, სულო ცოდეილო, ისიც ვი ვიფიქრე, ეს კაცი ქართულთან მწყურალად ხომ არ არის-მეტქი“.

პატივცემული მწერლისაგან ჩემდამი უდიერად მოპყრობის ამგვარი მაგალითები რომ წავიკითხე, ისიც ვი გავიფიქრე, გაკრიტიკების შემდეგ ეს კაცი ჩემთან მწყურალად ხომ არ არის-მეთქი!

„არა, პატივცემულო თ. წიფწივანეც, თქვენი კრიტიკოსობა შორს არის ლიტერატურული კრიტიკისაგან, თუ აღარას ვიტყვით თქვენი უბაძრუვი „ეთიკური თვალსაწიერის“ შესახებ“.

ბოდიშს ვიხდი პატივცემული მწერლის წინაშე წელანდელი ეკ-

ვის გამო — გაკრიტიკების შემდეგ ეს კაცი ჩემთან მწყურალად ხომ არ არის-მეთქი — ზემოთ მოტანილ ციტატას ეტყობა, რომ ჩემთვის ყველაფერი სულგრძელად უპატიებია...

„ლექსიანი დრე კალანდაძის წერილის მიხედვით:

„ვისაც „დედა ენის“ იქით ერთი წიგნი კიდე წაუციოხავს, ამის გაგება როგორ უნდა გაუჭირდეს!“

აქამდე კი პატრეცემული მწერალი სხვა რამის გამო მსაყვედურ-რობდა:

„ის, ვინც ყურნალის ფურცლებზე ათობით მწერალს უნიზეოდ და უსაბუთოდ ლაჟს ასხამს, სერიოზული პოზით კითხულობს...“

როგორც ირკვევა, „დედა ენის“ იქით რამდენიმე წიგნი კიდეც წამიკითხავს, თორემ მათი წიგნების წაუციოხავად ათობით მწერალს ლაჟს როგორ დავასხამდი ან ლაფდასასხმელ რეცენზიებს როგორ დავწერდი?!

თუმცა ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ პატრეცემული მწერალი სუსტი წიგნების წაკითხვას სათვალავში არ აგდებს...

„რა მოვთხოვთ ისეთ „კრიტიკოსს“, რომელიც იმ სტრუქტურის იქით, რომელსაც იმ წუთას კითხულობს, სხვას ვერაფერს ხედავს?!“

„რა უშვებოდ ლიტერატურასა და ზელოვნებას, ათასში რომ ერთი მკითხველი ასე ფიგრობდეს!“

„ახამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ „მწიანე შტოში“...

„მართლაც რა უნდა ელაპარაკო და შეაგნებინო მას, ვისაც ჰგონია...“

მართლაც ბრმა უნდა ვიყო, იმას ვერ მივხვდე, ახლა რომ უნდა გავჩერდე...

რევაზ ჯაფარიძის წერილის მიხედვით:

„ნუთუ ახამიანი, ვისაც თავი ლიტერატორად მოაქვს... ვერ უნდა გაიგოს...“

„შეიძლება განათლებულ საზოგადოებაში... ამ ელემენტარული საკითხის გარშემო სერიოზული მსჯელობა გავმართოთ?“

„ასე უნდა წიგნის წაკითხვა?..“

„არ ჯობდა, უსაგნო ნირქილი უკუგვევლო და ღრმად ჩავევირვებოდით, რაღ მონდა ასე და არა სხვანაირად? მაშინ ლიტერატურული ლაპარაკი გამოგვივიდოდა, მაგრამ დმერთმა დავვიფაროს, ეს აკრძალული თემა. თ. წიგნივამეს ლიტერატურაზე ლაპარაკიც არ უნდა...“

„ნუთუ თ. წიგნივამისათვის საცხებით უცნობია მხატვრულ ნაწარ-

ბოცებზე ნუშაობის „ტიქნოჯობა?“—ნუთუ მას აქამდე არ მოცხდინებ...“

„ნუთუ აღდევ არსავე გაუგონია, რომ არსებობს ასეთი მხატვრული ხერხი? თუ მართლაც ასეა და მართლაც უბირ ვაცთან გვაქვს საქმე, რატომ ვერ შენიშნა და გამოეპარა...“

„რამ ვერა, როგორ წაპართვა დაზღანდარებს ჩემი გუდი, როგორ შეგუვავლო საუბარს კლასიკტი და როგორ მივუახლოვდე ლიტერატურას?“

„ხოც არ გარჯებთ თ. წიგნივამე და არ გვირძანებს, რა შეგვინის „კუთხეუროული ქვეყნის“ კრიტიკოსს... დინჯაჲ, აუტირებლად, სრული მიუდგომლობით და გაწოული შრომისაღნი პატივისცემით უნდა განიხილოს ნაწარმოებთს ავტორი, თუ უწინდურობით საცხე ორნოს უნდა მოხაჯოს თავი და ავტორიცა და მისი ნაწარმოებზე სიბინდურები ამოცვლოს?“

ჩემი ეთიკური თვალსაწიერი

აღუქსანდრე კალანდაძის აზრით:

„მეშ რატომ ცდილობს პასკვილანტი გააბაღბოს და შენიღწოს ცოცხლივე წინდა და ლანაში!“

„მივთხელებს განსაჯოს, რამდენად სერიოზულია, გამორთვებულმა, შემთხვევითმა პირმა იმ საკითხებზე ცუტის სწავლება დაუწიოს მწიერალს“.

„ვაც, თუ პირწადარდნილი ყაღბისმინელი არაა, დაავიწყდეს „ცინფერი ვანჯოს“ სიუჟეტური ხაზი...“

„ანაოღ ელით, რომ წიგნისა და მწერლის წინააღმდეგ ჩასაფრებული კალიოსანი ძვირფას ადამიანთა ხსოვნისა და სენის პატივისცემის წინაშე ოღნაც მაინც განიხსტვადება მოკრბალებით!“

„...პასკვილს, ავტორისა და ნაწარმოების მიმართ ზოოლოგიური ზიზღს უნარბი არ შეუწევს, არც ნაკლის, არც ღირსების დანახვიას...“

„უპაზღვრო ცინიზმს აღწევს პასკვილანტის გუღგრილობა... ლაზდანდარობის საგნად ქვეყლა ცალხელობა და ცალთალობა, რაკი ყველაღერი უსუღაჯულოდ, უბირთი კუთხითაა დანახული“.

„წარმოუდგენელია, პასკვილის ავტორი კმაყოფილი დაწინილიყო თავისი ნახეღავით. ანის სანუთი ისაა, რომ ჩვენს მიმართ დუარძლი ბოლომდე ვერ ამოურუცხავს გულიდან...“

პატივცემული მწერალი, ეტყობა, აღელვებულია. ამიტომ ცოტა ხნით გავერიდოთ და ახლა სხვებს მოვუხმინოთ.

გივი კარბელაშვილის აზრით:

„ძალადობისა და ვოლუნტარიზმის ნინუშია კრიტიკოსის მთელი დანარჩენი მსჯელობაც...“

„...განადგომებს რა არა კრიტიკას, არამედ ვოლუნტარიზმს...“

„ვიდეო ერთხელ ამჟღავნებთ თქვენეულ წესსა და აჯათს — ღიან, ძალიანიერო სათაურით ჯაწყებულ ნაძალადევი რეცენზიას ძალისმიერივე შიძახილით ანთავრებთ“.

„დააკვირდით, პატივცემულო მკითხველო, რა ბრწყინვალედ ავლენს თ. წიფწივაძე საუთარ ბუნებას — როგორც არ უნდა დანაშარცხოს ვაცნა, მე მანაც არ ვიტყვი, რომ ის ჩემზე ძლიერიყო...“

ვიდრე პატივცემული მკითხველი „შემათვალისწინებდეს“, იქამდე საშუალება მიეცეთ „მძიმე ჯვრის“ ავტორს, ამ კუთხით ისიც რომ დამაკვირდეს.

რევაზ ჯაფარიძის აზრით:

„რეცენზენტი არ ცხრება... პირზე იტყვანური დიმილით გადმოგვცენს რომანის სიუჟეტს...“

„აბლა ამაზე ტირილვებს ჩვენი „გვარცმული“, ტუფი ჩაუვცნა და ბუნებას უცლის.“

„აღარც ჩვენს „გვარცმულს“ მიეცენოდა შესაძლებლობა ნისი სრული არაჩაობა ენტიკაცენინა, აღარ დასჭირდებოდა იტყვანური ტირილი...“

„სად არის აქ საბითხითო ულოგიკობა?...“

„წამობაბებებს ჩვენი „გვარცმული“. აი, თურნე მას რა აინტერესებს... ღობის ბირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს“.

„თ. წიფწივაძეს ეცოტავება, რომ „ნიმიე გვრის“ გავო ნის ავტორს თავზე ლაფს ასხამს...“

„შეიძლება ამაზე შორს წაგვიდეს ცინიზმი, უხანსობა და დვარბი, რომელიც არა ნარტო ერთი „ცაჟვე ადგებული“ მიწარღის, არამედ მთელი ლიტერატურის წინააღმდეგ არის მიმართული?“

ერთი შეხედვით, პატივცემულ მკითხველს ისიც შეიძლება მოეჩვენოს. რომ პირთენული შეუტრაცხეოთა ამისე შორს ვიღარ წავა...

თუ მართლა ასე ფიქრობენ, მწარედ შეცდებიან, რადგან პატივცემული მწერლები, რომლებიც ნიქით და ლატერატურული ტალახტით, ალბათ, ერთმანეთისაგან კიდევ განსხვავდებიან, ჩემს ლანძღვა-გინებაში ერთმანეთს ამკარად უთანაბრდებიან!...

ჩემი ეროტიკული ვნებათაღელვანი:

ალექსანდრე... კალანდარის დაკვირვებით:

... „წინიციანტე მასველიში თვითონ თ... წინწივების უწინააღმდეგე, თვით-
მიზნური, უბანსი „რენარკენი“ და მიზნუდებით, რას ნიშნავს თავანვე-
ბული, საზოგადოების შეურაცხყოფელი, ახლგაზრდობასთან არკანოსა-
რინი პორნოგრაფია და უბანსობა (მათი არათუ ყურნაღში დაბეჭდვა,
უბრალო განმარტება კი სანარტუნინო)“

გივი კარბელაშვილის დაკვირვებით:

„აურია კრიტიკოსნა... ტაღი ვეღარ გაარჩია ცაცისაგან (ეს ბნირაჟ
ენართან მატრეცემულ კრიტიკოსს — გ. კ.), ხელეები ნოიუშვინიტა, ვა-
ყოფილად რაიღინა და შეუღვა „სამართლის ტინას“.

„სწორედ ტაღობისა და ცაცობის აღრევის შედეგია ჩინარის ზანის მ-
რანბანაში შეპარული ლევანისათვის კრიტიკოსისეული გაფაცრეცენული
თვალთვალ“.

რევაზ ჯაფარიძის დაკვირვებით:

„აქ „ჯვარცემული“, ეტყობა, ზედმეტად დედას. გარს სენაუაღური
იღუზინები შენოსჯვარან“.

... „ჩანს, ბნელია გულგრალობა შენარჩუნო ამგვარი პიკანტური ად-
გოლის ნინართ... ნაგრაპ აქ სხვა ვითარებაა. რომანისტი ვინიუ სენაუ-
აღური გრბნობების არჩოლვებას კი არ ლანობს...“

„რით განსტავდებთ ეს ცინიზმი იმ ცინიზმისაგან, გოლა-ფაშას პი-
რუტყვეულ წაღილს რომ უღვეს საფუძვლაჟ?“

„...თუნდ ერთი კაცი გამოირჩეს, ვისაც ის ბინბური ეჭვი დაებადა,
ჩვენს პატრეცემულ „ჯვარცემულს“ რომ აწვალებს?“

ძნელი შესამჩნევი არ არის, გაკრიტიკებული პატრეცემული
მწერლები ჩემი „ეროტიკული ვნებით“ ზედმეტად რომ დაინტერე-
სებულან. ამ თვალსაზრისით საპასუხო წერილებიდან კიდევ ბევრი
მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ „აღლო მკარანახობს, რომ
არ ღირს“. მე იმ-სთვისაც მადლობელი უნდა ვიყო, რომ სექსუ-
ალურ მანიაკად არ გამომაცხადეს...

ჩემი სოციალური სახე:

ალექსანდრე კალანდაძის გამოკვლევებით:

„მასკვილი საგანგებოლ ანტიპოდეებს ჯასაცანჯაა შეტხზუღი. რას იზან, ყველას თავის იჯვალე ჰყავს. თუ პატროსან მშრონელ აჯანინებს დასანახვად ვერ იტანს, ანტიპოდეებს ზონ გუწღარუკს უყენეს. არც მალავს“.

„არ სწყალობს მასკვილანტი ზალბის მიერ... სანგალითოლ ნინინელ გმირებს. მიერთანების, უნეცრების, ყალბისმქმნელებს, ნონევეჭელების ნეცენატად განოღის“.

„მისი სინპათია აქაც მიქნანთა, თვითნებათა, პროვინციალთა მხარეზება, ზოლო მშრონელი, საქმის, ევეყნის, ოჯახის ერთგული ნანდილოსნები ჭირის ღღესავით სმავს“.

ეტყობა, მთლად უიღბლოც არ ვყოფილვარ, თორემ ალექსანდრე კალანდაძის ნაწერებს ჩემს გარდა ერთი კაცაც რომ კითხულობდეს, „საციმბიროდ“ მექნებოდა საქმე!

ჩემი პოლიტიკური მრწამსი:

ალექსანდრე კალანდაძის წერილის მიხედვით:

„როცა ღიღი სანამულო ომის ანებეს უაწლოვდება, მასკვილანტის ტომს ცინიზმი ემატება, ერთი თბილი სიტყვაც ვერ გაუმიტება, სხვათა გასაგონად ნაინც...“

„მასკვილანტი სრულადად ჯაუფანჯავად ჯასცინის ომის შეროიკვას, მის მონაწილეებს, სანამულო ომის ინვადილებს, სამშობლოსათვის თავდადებებს და გუთბე-კუთხით ქეძვით ანიბურენს ყოველივე ძვირფასსა და არსებითს“.

„განა, ომში, აუცილებლობის დროს, ყველა გმირული საქციელი „თვითნებულობას“ არ უღრიდა?! ამიტომ ჰქვია თავდადება და თავგანწირვა. როგორც ჩანს, მართლმწკიკითზვა არ კმარა, საჭროსა, გწამედეს, კიდეც საბჭოთა ადამიანის გმირობა“.

„მასკვილანტი ასე როღი იქცევა. აქ ყველაზე დაუფარავად გლინდება, რა სულისკვეთებით, რა დაგალებით აუღია ხელში კალამი“.

„ნურას უკაცრავად! რა მოხერხებულად ან უნდა მოიხერხოთ. პირბადავ, მაინც განოჩნდებო, ვერ მოხერხდებიან ცენსაზურებს“.

ეტყობა, მთლად უაღბლონი არც პატივცემული მწერლის რედაქტორები ყოფილან, თორემ ალექსანდრე კალანდაძის ნაწერებს ჩემს გარდა ერთი მკითხველიც რომ პყაუდეს, ჩემსავით, მათაც „საციმბიროდ“ ექნებოდათ საქმე...

რევან ჯაფარიძის წერილის მიხედვით:

„თუ მართლაც ასეა და მართლაც უბირ ვაცთან გვანდეს საქმე, რატომ ვერ შეინიშნა და გამოეპარა ერთობ უხერხული ფრაზა... „ჩრდილოეთის დიდი ვეშაპი რუხეთი?“ რატომ არ დაანებდა ავტორი და საბჭოთა ხალხებს შორის შუღლისა და ნტრონის გაღვივება რად არ დაანბალა? იმე, რომ, ეტყობა, იმხვდა ან ვიღაც სადაღ მოაწროვინე მიხვდებარ, ეგ ნეტისნეტო განოცივაო“.

„ვოცენტარო-დასენა... პრის თუ არა ეს ამჟამად პროვოცაცია, ავტორის ტექსტის განშრბნა გაყალბებო...“

„რა ვენათ, როგორ ნოვიტეტო, რაგი რევან ჯაფარიძე ანოჩინებულად არ ნოგვეონს და ნართულ ლიტერატურაში ზეღნეტ ახანინად ნიგვანინო, გაჯავანციოთ ბავშვის ნანანი წყალი და ბავშვიც თან გაჯავანცილოთ? ვაგლან, რომ ეს ყველაფერი სანართველოში თ. წივივიანებს... არ ეკითხება, სხვებიც აცხადებენ პრეტენიას“.

„ყველამ ვისაც სანართველოს ნიწაზე ფეხი დაუჯგანს და გულში ჩააქნული ავი შრახვა არ ნორვეია, კარგად იცის...“

როგორც ჩანს, მთლად გულუბრყვილო კაცაც არა ვარ! თორემ ის მიზეზი, რამიც ახლა ჩემს მიერ გაკრიტიკებულა მწერლები „მადანაშაულებენ“, საკმარისი იქნებოდა სიცოცხლის დასათმობად...

თუ ასე არ მოვიქცევი, უფრო იმიტომ, რომ ბრძენი ილიას სიტყვები აქაც მფარველად მომევილინენ:

„ჩვენში თუ წუნი რამე დასდევ ვისსამე ნაწერებს, რაც გინდა საბუთიანი და ცხადი წუნი იყოს, არიან იმისთანანი, რომ მტრობაში ჩამოგართმევენ... კრიტიკას ისეთს კულს გამოაბამენ, თქვენ თვითონ ისეთს ჭუჭუში ამოგავლებენ, რომ თავი და ბელი უნდა იწყველოთ — ეს რა ღმერთი გამიწყრა და ხმა ამოვიღე, რატომ ჩემთვის არ ვიჭეკიო...“

ზღვარგადასული პიროვნული შეურაცხყოფა:

გულწრფელად ვთხოვ მკითხველს, მაათიოს, თავს მცირე ხუმრობის უფლება რომ მივეცი, არადა, მართლა ასე გამოვიდა, ამ მცირე ქვეთავს „ზღვარგადასული პიროვნული შეურაცხყოფა“ რომ დავარქვი.

ვითომ აქამდე პატივცემული მწერლები კამათის ყველა წესის დაცვით გეპაექრებოდნენ და პიროვნულ შეურაცხყოფასაც საზღვრების ფარგლებში გაყენებდნენო, გაიცინებს ჩემი წერილის მკითხველი. მისი ღიმილი კი ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის თითქმის შევბაა. ეს ღიმილია, ბოლომდე რომ მაძლებინებს, თორემ. თავად განსაჯეთ, რა ნერვების წყვეტ-ს ფასად უნდა დაჯდეს გაკრიტიკებული ავტორების პირიდან ჩემი ლანძღვა-გინების ხელახლა მოსმენა:

ალექსანდრე კალანდაძის პირიდან:

„ვერ უყურებთ, რა ხეობარა ყოფილა?“

„შევირცხვინია ამისთანა „კრიტიკოსთან“ ავტორის ქარხნის შესაწოწმებლად გაგზავნილი რელიზორ-ბუნდატეტრი!..“

„თითქოს არ ჩანდეს, რა სიბრძნის მაძიებელი და განაგებოც ბრძანდება“.

„მასკვილანტი თავიდან ბოლომდე რცენის, ასწავფერებს, ამანინ-ჯებს რომანს“.

„ის ძალას არ იმურებს, რათა ყოველივე ნათელს ზელი დააფაროს და სიწრუით ამოფხვნილი ჭუჭყი საჯაროდ გამოფინოს“.

„მასკვილანტს არ დაუწოგავს არც დრო, არც ფურცლები, არც ცილისმწანებლური განოცდილება“.

„ამ დანაკლისს ინაზღაურებს ცილის დაწამებით, სიყალბითა და ლანძღვით“.

„რაც შეეხება ჩემს საომარ ამბებს, შეგიძლიათ იშვილად ბრძანდებოდეთ, ის კარგადაა ცნობილი იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთანაც მანებდებთ, ქართველი ერისთვისაც და უჭრო შორსაც“.

„ავის მოსურნე წარბშეუბრელად აცხადებს...“

სხვათა შორის, ამ „პირდაპირმა საუბარმა“ მეც წამაქეზა, რომ შემდეგი განვაცხადო: თავის საპასუხო წერილში პატივცემული

მწერალი საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟთან — აგული მელიმონაძესთან მაიგივებს. ის კი, რომანის მიხედვით, ასე ჰყავს დახასიათებულად:

„ახლა ერთბაშად იგრძნო, როგორ ეზიზღებოდა თუჩნე ეს ეჭვგადასარეკელი ლაწირაკი... იგი იოლი ცნობრებით თვითმსჯელობდა, მოლიმონაძის ნაწარმად, რომელიც ყოველ ნაბიჯზე უსაფრთხოებას და სიზინაბენებას“.

„ერთი გაეფიქრებინა გასაზრებელი, რომ სწორედ მან შემოიღო მოქალაქეობის წარსულის ეჭვი... ესაა, ხალხის თანდასწრებით სულელური შევითხვების რომ ამჟღავნა, მიგა და ზიგ „ნაყარით“ რეპრეზენტა: „როგორ იყო, ნატომო მანუა, ფაშისტების ერთი ნატალიონი ორი კაცითა და ჯობებით რომ გადარჩევი?“

ასე რომ, ეს „ქერქეტა, ღვანტიკა ლაწირაკი“, აღეჭრანდრე კალანდაბის რომანში აგული მელიმონაძე რომ ერქვა, ახლა მე გახლავართ!..

მერედა, შენ რა გიხარიაო, მომიგებს პატარავაშლი მწერალი. არაფერიც არ მიხარია! უბრალოდ, მკითხველს გავაგებინე, ასეა ჩემი საქმე და გულსტრეკილიც ამიტომ გამოვთქვა-მეთქი.

რევაზ ჯაფარიძის პირიდან:

„თუ მარტოაღწე ასაკს გავყვებით, ორმოცს მიტანებულა ჩვენი თავცაცხლა „ჯვარცმული“ თ. წიგნივამე ზმირი წიგნივამე და სურბებზე გაღვრნილი უღვანელებით ღღვანე ვერ დაივინების“.

„მანასაჟანე, ის უკვე აღარ არის „გვირგვინობანი“. როგორც კომსულტანტებისაგან განრიცხვებულა თ. წიგნივამეს ჰეონია!“

„...წინაობანებს ჩვენი „ჯვარცმული“. აი, თუჩნე მას რა პინტურესებს. ღობის ძირას ევებს ეძებს, რომ ავტორს ესრთლოს“

„ახლა ამბზე ქირბილბებს ჩვენი „ჯვარცმული“, ეთლი რაუტაცია და ბუენას უფლის, ბილწი კი არა, ის არ გინდაო?“

„აბა, ის ოღვანე წარმოიგდენდა, რომ ვინე ამის განო სამარცხვინო ბომზე გააკრავდა და საფურთხებელად განდღდა?“

„თ. წიგნივამეს ეცოტაება, რომ „მძინე ჯვროს“ გამო მის ავტორს თავზე ღაფს ასხანა...“

„აქ „ჯვარცმული“, ეტყობა, ზეღმენტად ღღვანებს. გაჩს სექსუალური ილუზიები შენოსჯარვინა...“

„გავყვით კიდევ? ღარვენოთ, რა მალაყებს გაღვანდართ ზრუნების ოგის ანასხველი ეპიზოდების გაქილივეებისას?“

აქამდე მე თურმე ბატონოვებულ მწერალთან ერთად გადავდრ-
ოდი მალაყებს. ქვემოთ ამ საქმეში თანამზრახველი კონსულტანტე-
ბი და შეთქმული რედაქციები შემომეერთებია და ყირასაც მათთან
ერთად გავქიმავე...

შეთქმულები და კონსულტანტები:

ალექსანდრე კალანდაძეს მოვეუხმინოთ:

„— ძალიან გავივირდათ, ამ თქვენს მასუხს „რედაქციამ“ შენ-
სენები რომ დაუბრუნო?“

— რა არის გასავევირნი! შეუდაბრუნებ ერთმანეთს „რედაქციისა“ და მას-
კვილანტის სტალი, მათი არითმეტრული-ბოუდალტრული ნეთოდი და
დარწმუნდებით, რომ მათ შორის სიპაზობორტეული კავშირია... ან მათ
მასვეილანტისავე გასავევირებენ რომანის ტექსტის შერყენაში“.

„იცი, ასეთი აკრძალული ხერხენიასთვის მასუხს არავინ ნოსთბოვს
(ერთხელ და ორჯერ შერია?), უბრალო და იცინის თავის ნოვონილ სიც-
რუენებზე, არაფრის წინაშე უკან არ იხვეს.“

„ავხადენს დაუსჯელობის გარანტიით წაწმენილი მასკვილანტი“.

„რასკი რანდენინე წყვილ გაფაცოცებულ თვალ-
საც გასჭირვებია რომანში ნაკლოვანებების აღმოჩენა...“

„რის მისაფურერებლად, მფარველები სულ სხვა საქმეზე იწყებენ
ლაპარაკს“.

რევიაზ ჯაფარიძეს მოვეუხმინოთ:

„წლების განმავლობაში გ. გვერდწითელი თავს არიდებდა ამ სტრი-
ქონების ავტორთან პირდაპირ, პატროსთან პოლენიკას. როგორც ჩანს,
მაქსიმალურად მონებნიანი ღროის დაღვომას ელოდა. ეს ღროც დაღვა.
იგი აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორად დანიშნეს...“

ემშავს არ ეპინა. ერთი გაუთვალისწინებელი შეცდომა ნიინც ნობლა:
საგანგებოლ მოწვეულ ავტორს, მასკვილანტზე დასპეციალებულ თამაზ
წივწივამებს დროზე ვერ ურჩიეს, თავის განზრახვა სათაურშივე არ განო-
ემყლავნებინა...“

მთავარი შეთქმულები — „კრიტიკოსი-რედაქტორი გ. გვერდწი-
თელი“, „მასკვილანტზე დასპეციალებული თამაზ წივწივაძე“ და აღ-
მანახი „კრიტიკა“ გამომყლავნებულა:

კონსულტანტების ვინაობის გამყლავნება ჯერჯერობით ჭირს

„ისე, გულანდლიად უნდა ვთქვა, ჭირს, სწორედ რომ ჭირს კამათი
სტატის ავტორთან და მის ინკოვნიტო კონსულტანტებთან“.

„ეს ინიტომ კი არ მოხდა, როგორც თ. შინდვინაძეს და ნის კონსულტანტუნს სურთ წარმოგვიფიცონ...“

„როგორც ჩანს, კონსულტანტებმა საბერიო ვერაფერი ნიჭოვნა...“

„ნაშასადავანე, იმ უცვე აღარ არის „გერგვანოსანი“, როგორც კონსულტანტებისაგან ვაპირებულ თ. შინდვინაძეს ჰგონია“.

პატივცემულ მწერალს კი ჰგონია, მაგრამ მე ჯერ კიდევ მთლად ისე არა ვარ გაბრიყვებული, რომ ჩემს მიერ გაკრიტიკებული პატივცემული მწერლების მიერ შემოთავაზებულ „ტოხს“ ავყვე. ძათ გარდა მე სხვა დამრიგებელიც მყავს. ახლა...

ილია ქავჭავაძის მოვუსმინოთ:

„მინამ კაცი... კრიტიკას ხელს მიძყოფს, ჯერ თავზედ ხელი უნდა აიღოს, ჯვარს საცმელად თავი დასდოს... ჭუჭყისა და ჩირქის მოცხებას არ შეუშინდეს, ნაცნობები და მეგობრები გადაიკიდოს, გამოსალმოს მშვიდობიანს ცხოვრებას, მოიწამლოს თავისის სიცოცხლის დღენი, ერთი სასიამოვნო დღე არ ჰნახოს და ყოველი ამ უაღელურების წინაშე არ შედარკეს...“

კრიტიკას ვიღებთ. შუარაცხუოზას — ნურას უპაცრავალ!
(პასუხად ბატონ ცვეტოვის)

ერთი შეხედვით. მოკეჩვენებათ. საქმე, რომელსაც ხელი მოეკიდე, კრტიკოსის გასაკეთებელი არ არის. სხვათა შორის, თავიდან მეც ასე ეფიქრობდი — სად ლიტერატურის კრიტიკოსი და სად „მანდარინმცოდნეობა“ — მეთქი.

მაგრამ მერე, როცა უფრო ახლოს გავეცანი ბატონ ცვეტოვის სტატიას, რომელშიც ზოგადად ქართველება, კონკრეტულად კი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთი დარგი აუგადაა მოხსენიებული, დავრწმუნდი, წერილის პასუხის გაცემა მართო აგრონომის საქმეც არ იყო!

მე არა ვარ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მაგრამ ჩემი ხელობის კაცი (მწერლის პროფესიას ვგულისხმობ) ხომ არის მოვალე, ასე თუ ისე, ყველა სფეროში ეტკვეოდეს?

ყოველ შემთხვევაში, იპღენად მაინც, რომ იცოდეს, რამდენი ცენტნერი მანდარინი მოჰყავთ საქართველოში ერთ ჰექტარზე!

ბატონმა ცვეტოვმა და მისმა იაპონელმა მოგზაურმა, რომელმაც სოფლის მეურნეობის მუშაკად გაგვაცნო თავი, ესეც არ იციან. უფრო მეტიც: იაპონელმა კაცმა, (სპეციალობით მემანდარინემ!) არ იცის, რამდენი ცენტნერი მანდარინი მოჰყავთ ჰექტარზე მის საკუთარ ქვეყანაში — იაპონიაში!

მე არ ვაქარბებ, მაგრამ, უმჯობესია, აქ გავჩერდე. არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო და საყვედურიც წინასწარ გამოვთქვა, რადგან, განაწყენებულიც რომ იყო, წერილის წერას თავისი კანონები აქვს — იგი შეესავლით იწყება.

პროფესიული კეთილსინდისიერება მავალებს, ჟანრის სპეციფიკას ანგარიში გავუწიო და მეც შესავლით დავიწყო.

ცნობილი ქეშმარიტებაა — ეურნალის ახალ ნომერთან ყოველი შეხვედრა მკითხველს სასიამოვნო განწყობილებას უქმნის. მით

უფრო, თუ ეს ეურნალი გამორჩეულად გიყვარს და მისი რედაქტორიც შენი კულტურის მეგობრად მიგაჩნია.

დაახლოებით ამ განწყობით იღებენ საქართველოში ეურნალ „ოგონიოკის“ ყოველ ახალ ნომერს.

მეც იმათ რიცხვში ვარ, ვისაც ეს ეურნალი მოსწონს და უყვარს. ამის მიუხედავად, ქვემოთ ერთ არასასიამოვნო ფაქტზე მინდა გიამბოთ, რომელაც ამ ეურნალთან არის დაკავშირებული.

საქმე ეხება ეურნალ „ოგონიოკის“ 1987 წლის 31-ე ნომერში გამოქვეყნებული ვლადიმირ ცვეტოვის სტატიას, რომლის სათაურია: „ახლა ამაზე შეიძლება ითქვას“.

უნდა მაპატიოს ბატონმა ცვეტოვმა და, ვიდრე „ამაზე“ რაიმეს იტყოდეს, მინდა, თარიოდ სიტყვა თავად „მასზე“ ვთქვა.

ვლადიმირ ცვეტოვი ყველა ჩვენგანისთვის პატივსაცემი სახელია. იგი ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტიკური მიმომხილველია, რომლის იდეური სიმახვილით დაწერალ წერილებსა და სატელევიზიო გამოსვლებს ბევრჯერ მოვუნიბლივართ ქართველებიც,

ეტყობა, ცნობილი გამოთქმა — „ერთხელ ღმერთებსაც ჩასთვლემთ“, თავისი უნივერსალობის გამო, ბატონ ცვეტოვზეც ვრცელდება: ეურნალ „ოგონიოკში“ გამოქვეყნებული სტატია მისი ეტორის განაოჯვებად ვერ ჩაითვლება!

ავტორისადმი ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მეტის თქმაც შეიძლება — მისი ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილი ჩვენს რესპუბლიკაზე არა მარტო მცდარია, არამედ, ცოტა არ იყოს, შურაცხმყოფელიც არის.

მინდა, სჯეროდეს ბატონ ცვეტოვს — ამ სიტყვების ქალაღდზე ვაღატანა ჩემთვის აღვილი აო იყო...

როგორც ვთქვით, ვლადიმირ ცვეტოვის ეს შურაცხმყოფელი წერილი დაიბეჭდა ეურნალ „ოგონიოკში“, რომლის რედაქტორი არის ვიტალი კობოტიჩი — ქართველებს დიდი მეგობარი. მას ეს საყვარული საჯაროდაც არაერთხელ განუცხადებია!

მამსადაძვე, რა მოსდა?! ჩვენი კულტურის ორი მეგობარი ერთი და იმავე დასკვნამდე რამ მიყვანა?

დასკვნა კი, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ასეთია:

ქართველები მკვებარა და მატყუარა ხალხი ვართ, უსრომელ შემოსავალსა და საკუთარ მუცელს გადაყოლილი! ქალებს ვამუშა-

ვებთ და კაცები ვჭამთ!.. ყოველივე ეს კი უცხოეთში სახელს უტეხს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა კავშირს!

ასეთი შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა შეუძლია ჟურნალის მკითხველს ვლადიმირ ცვეტოვს წერილიდან...

ეტყობა, რაღაც მართლა შეგვეშალა, თორემ მეგობრები (იგულისხმება ჟურნალის რედაქტორი და წერილის ავტორი!) ტყუილ-უბრალოდ გულს რატომ გვატკენდნენ?!

ეს მტანჯველი კითხვა მოუშორებლად მდევდა თან და იქამდე გამაწვამა, ვიდრე ერთ უბრალო ჭეშმარიტებამდე არ მივედი: რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველთვის ვცდებით, მაგრამ, ხომ შეიძლება, ერთხელ ჩვენი მეგობრებიც შეცდნენ?

აღბათ, შეიძლება, ისინიც ხომ ადამიანები არიან!..

ვლადიმირ ცვეტოვი კი არა, ხანდახან მამაზეცერიც სცდება, თორემ ქართველები (ცვეტოვის წერილის შიხედვით) ქვეყანაზე რა გასაჩენები ვიყავით?!



ძნელი შესამჩნევი არ არის — ამგვარი შეურაცხყოფის შემდეგ, — ასეთი მკვებარა და მატყუარა ხალხი რომ ვყოფილვართ, — ქვეყანა უნდა დამეჭიკია, მე კი, ამის მაგიერ, წერილში ირონიული ტონი შემოვიტანე.

ეს შევნებულად გავაკეთე, რადგან მსგავსი საყვედურის მოსმენის შემდეგ ან ეროვნულ თავმოყვარეობაზე უნდა აიღო ხელი, ან ყველაფერი ხუმრობაში გაატარო. მე ეს უკანასკნელი ვარჩიე, მით უფრო, რომ ბატონი ცვეტოვიც თავის სიტყვებსა და აზრებს ირონიულ სამოსელში ახვევს.

სხვათა შორის, წერილის ავტორმა თხრობის მსუბუქი ტონი თავიდანვე შემოგვთავაზა. აი, როგორ იწყებს იგი სტატიას:

„ეს ამბავი იმ შორეულ და თითქმის მივიწყებულ დროს მოხდა, როცა საქონლის დეფიციტი მაღაზიებში და იუმორისა ტელეგადაცემებში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა, როცა იმპორტი მთლიანად ოდესაში მზადდებოდა, როცა... სტუდენტური სტუპენდია ცსვენებით საკპარისი იყო ერთ-კვირით სოკში დასასვენებლად“

თხრობას თითქოს ზღაპრის ელფერი დაჰკრავს და, ამდენად, ამ ქანრას ნაწარმოებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთი მნიშვნელოვანი რგოლის აუგად მოხსენიება გაცილებით ადვილი

მოსასმენი იქნებოდა, ავტორს იქვე რომ არ გაეკეთებინა მკაცრ-
მნიშვნელოვანი განცხადება: „სრულიად არადეტექტური ისტორია“.
ამით მკითხველს მიანიშნა, წერილში მოთხრობულ სიმართლეს
წყალი არ გაუვაო.

* * *

მგონი, საქმეს თავი ვერც მე მოვაბი, — რახანია ვამბობ, ბა-
ტონ ცვეტოვის წერილი მკითხველს მცდარ წარმოდგენას უქმნის
ჩვენს რესპუბლიკაზე, — მაგრამ ეს ზეპირი განცხადების ფარგლებს
არ გასცილებია და აქამდე არც არაფერი გამოიკეთებია ამის დასამ-
ტყიებლად.

და ახლა, სანამ მკითხველი კატეგორიულად მომთხოვდეს: Ты-
нам покажи! — საქმეს უნდა შევუდგე.

ეტყობა, ბატონ ცვეტოვის წერილის შინაარსის მოყოლას მე
ვერ ავცდები, ამიტომ, ჯობია, ეს საქმე დროზე მოვლიო.

სტატიის შინაარსი დაახლოებით ასეთია:

საკავშირო რადიოს კონკურსი ჩატარებია იაპონელი მსქენელი-
სთვის: ვინ უკეთ დაწერდა თხზულებას საბჭოთა კავშირის შესახებ.
ჯილდოდ ჩვენს ქვეყანაში ორკვირიანი საგზურათ ჩამოსვლა
დაუწყესებია.

ის, ვინც პირველი პრიზი მიიღო, მოსკოვში ჩამოვიდა.

წერილის ავტორს, ვლადიმირ ცვეტოვს ებრაანა, უცხოელის-
თვის მეგზურობა გაეწია.

„ერთმანეთს აეროპორტში შევხვდით“, — წერს ბატონი ცვე-
ტოვი და აქედან იწყება მთელი ნათება!

ყოველ შემთხვევაში, მსელი დასადგენი ხდება: თავად იაპონე-
ლი სოციალური იყო ასრუებული კაცი თუ წერილის ავტორს დას-
კირდა საკუთარი აზრების სარეალიზაციოდ დაეხატა იგი ასეთად!

გარკვევით ერთი რამის თქმა შეიძლება: წერლის მიხედვით
დახატული უცხოელის პორტრეტი ერთობ ამაზრუნ შთაბეჭდილე-
ბას ახდენს მკითხველზე.

იაპონელ კაცზე ამის თქმა მკრესელობადაც კი მიმაჩნია, მაგ-
რამ, მოგესხენებათ, ბატონი ცვეტოვი ამ ქვეყნის ისტორიისა და
კულტურის სპეციალისტია და ამ თემაზე გამოთქმულ მის ყოველ
აზრს ჩემთვის კანონის ძალა აქვს.

რაში გამოიხატა იაპონელის ახირებულობა?

ბევრ რამეში! ზოგიერთს აქვე მოგახსენებთ:

როცა ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულს შესთავაზეს, გვიბრძანე, სად წაგიყვანოთ და რა გაჩვენოთ, მან განაცხადა:

„არც სადმე წასვლას ვაპირებ და არც არაფრის ნახვას — მე თქვენთან მუშაობა მინდა“.

რასაკვირველია, იაპონელი ჩვენთან სამუშაოდ არავის მოუწვევია, ამიტომ ამ განცხადებას, არ შეიძლებოდა, ბატონ ცვეტოვის გაკვირვება არ გამოეწვია. ასეც მომხდარა:

„ჩენი ძვირფასი სტუმარი ხუმრობს-მეთქი, გავიფიქრე...“

მაგრამ შემდგომში „ჩვენმა ძვირფასმა სტუმარმა“ უფრო თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა თავისი სათქმელი:

„სოფლის მეურნეობის მუშაკი ვარ და განზრახული მაქვს თქვენს კოლმეურნეობაში ვიმუშაო — საკვების ფულს და ბანის ქირას გამომუშავებული თანხიდან გადავიხდი“.

მართლაც ახირებული კაცი ჩანს და, ალბათ, შარბეა, თორემ კონკურსში გამარჯვება თავისთავად იძლეოდა იმის გარანტიას, რომ საკვების ფულსაც და ბანის ქირასაც მასპინძლები გადაუხდიდნენ!

გარდა ახირებულობისა, უცხოელის სხვა ნაკლსაც ადვილად შეამჩნევს მკათხველი, ხოლო, რაც ყველაზე საოცარია, იაპონელმა კაცმა არ იცის თავისი საქმე, თავისი სპეციალობა!

ეს თითქმის ზღაპარივით დაუჭერებელი ამბავია, მაგრამ ასეა!

როცა ჰკითხეს, იაპონიაში რამდენ მანდარინს ჰკრეფთ ჰექტარზეო, იგი თავდაჭერებულად პასუხობს: „ორმოცდაათ ცენტნერს!“

(ცნობისთვის: იაპონიაში ჰექტარზე დაახლოებით 300—350 ცენტნერ მანდარინს იწვევენ!)

ყოვლად წარმოუდგენელია, იაპონელმა კაცმა, სოფლის მეურნეობის მუშაკმა, რომლის სპეციალობაც მემანდარინეობაა, არ იცოდეს, რამდენ ცენტნერ მანდარინს ჰკრეფენ ჰექტარზე მის ქვეყანაში!

რასაკვირველია, ეს უფრო წერილის ავტორის შეცდომაა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ბატონი ცვეტოვი, არ ვიცი, განზრახ, არ ვიცი, უნებლიეთ, ხშირად ისეთ სიტუაციაში აყენებს მოგზაურ იაპონელს, რომ მისი საცოდინოთ ფული გკვდება.

ერთი ასეთი შემთხვევა ვნახოთ.

„თითო ნაყოფზე რამდენი ფოთლის დატოვებას ანგარიშობთ?—
თავი შეიკავა და წყნარად ჰკითხა იაპონელმა აგრონომს.

აგრონომი ჯერ გაოცებით შეაშტერდა, მერე იჭვნუღაღ.

— რას ბრძანებთ, იქნებ ფოთლები უნდა ვითვალო?! კოლმე-
ურნეობაში ბუღალტერი გვყავს, თვლა იმის საქმეა!

— მე ბუღალტერი არა ვარ, მაგრამ ვითვლი, — მშვიდად თქვა
იაპონელმა, — ვითვლი და ყოველ ნაყოფზე 50 ფოთოლს ვტოვებ“.

თუ ერთი წუთით იაპონელს დაეუჭერებთ და მანდარინის ბა-
ღებში თითოეული ხის ფოთლები ცალცალკე დასათვლელი გაგვიხ-
და, მეციტრუპეობის ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები ისევე ხე-
ლახლა ხეებზე გასასვლელი შევიქნებით, არადა, როგორც მეცნი-
ერები ამტკიცებენ, არც ისე დიდი ხანია, რაც იქიდან ჩამოვედით!

ერთი მითხარით, მოხერხდება კი ყოველ ხეზე ჯერ ნაყოფის,
მერე კიდევ ფოთლების დათვლა?!

ერთ ხეზე, კარგად არ ვიცი, მაგრამ რამდენიმე ათეული ათასი
ფოთოლი სომ მაინც იქნება?!

აი, თუნდაც კონკრეტულად რომელიმე მანდარინის ხე ავიღოთ,
რომელსაც, პირობითად, 3774 მანდარინი აბია. ახლა ეს რიცხვი 50-
ზე უნდა გავამრავლოთ, მერე ხეზე ყველა ფოთოლი დავითვალოთ,
რომ ეს ნამრავლი გამოვაკლოთ! მიღებული სხვაობის ტოლი რაო-
დენობის ფოთოლი კი ხიდან უნდა ჩამოვკრიფოთ!..

მერედა, როგორ გგონიათ, რამდენ ხანს მოგვიწევს ხეზე ჯდო-
მა? უფრო სწორად, რამდენ ხანს მოგვიწევს ხეზე დგომა და ნა-
ყოფისა და ფოთლების თვლა?

სხვათა შორის, ეს ქართული კაცისთვის გაცილებით ადვილი
საქმე იქნება, რადგან, როგორც გვეუბნებიან, ჩვენ ცოტა ზერელე
ხალხი ვართ და გულდაგულ არაფერს ვაკეთებთ. აქედან გამომდი-
ნარე, ფოთლებსაც თ ვ ა ლ და თ ვ ა ლ დავითვლით და, თუ ზუს-
ტი არ გამოვა, მოუყვდა პატრონი!

იაპონელმა კაცმა კი რა ჰქნას? თუ ზუსტად არ დათვალა, ისე
ამ საქმეს ვერ მოეშვება, ამიტომ ხომ გარჩა სამუდამოდ ხეზე?!

მეტსაც ვიტყვი: თითო ხეზე თითო იაპონელიც რომ გავიდეს,
წლის ზოლომდე ფოთლების დათვლას მაინც ვერ მორჩებიან (იაპო-
ნელებს თვითონ არაან პატარები, თორემ ხეები დიდები აქვთ!),
ამასობაში კი ნაყოფი ძირს ჩამოცვივდა და შორიდან ისეთი შთაბეჭ-

დილება შეექმნება კაცს, თითქოს იაპონიაში მანდარინის ხეებს აღამიანები გამოესხას!..

ეს ყველაფერი ხუმრობით, მაგრამ ახლა სერიოზულად ვთქვათ: რატომ ჩავაყენეთ ეს უცხოელი კაცი ასეთ სასაცილო მდგომარეობაში?

პასუხი ერთია: ამ სფეროში წერილის ავტორის არაკომპეტენტობის გამო!

არადა, არც იაპონიაში და არც სხვაგან, სადაც ამ კულტურის მოყვანას მისდევენ, ხეებზე ფოთლებს არავინ ითვლის! უბრალოდ, მეცნიერებმა გამოთვალეს და დაადგინეს, რომ მანდარინის ერთ ნაყოფს დამწიფებისთვის დაახლოებით 23 ფოთოლი სჭირდება (ისე კი, სხვათა შორის, რაც მეტი ექნება ხეს ფოთოლი, გაცილებით უკეთესი ყოფილა!).



მინდა, დამიჯეროთ, უცხოელის პორტრეტის ავტორისეული მონახაზის გადმოცემა ჩემთვის თვითმიზანი არ არის. მე იგი სხვა რამის გამო მჭირდება, ამიტომ ამ კუთხით უცხოელზე დაკვირვებას ისევ განვაგრძობ.

კიდევ ერთ უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდება იგი, თუმცა მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამგვარ ვითარებაში მოსვედრა არც მთლად მისი ბრალია — ცოტა ავტორმაც შეუწყო ხელი.

აი, ეს შემთხვევა:

ქართველებმა იაპონელი სტუმრის პატივსაცემად დიდი სუფრა გამართეს. ცუდადაც არ იქცევიან: სტუმარს ღვინოს არ აძალებენ, მოკრძალებით თხოვენ მხოლოდ, საჭმელი მიირთვას.

ერთი სიტყვით, სტუმარს თან ყვებიან, მაგრამ ეჭვი მაინც აწვალვებთ — ხომ არაფერი დავაკელითო.

„მასპინძლები წამოიშალნენ და პლანტაციისკენ გაპყვნენ სტუმარს, თუმცა გზადაგზა სულ იმის წუხილში იყვნენ, შესაფერისად ვერ გიმასპინძლეთ და, ვაითუ, მშიერი დარჩითო“.

აღამიანურად მოქცეულან! ახლა ვნახოთ, რით მიაგეს სამაგიერო!

დანაყრებული სტუმარი მასპინძელს მიმართავს — რამდენ ცენტნერ მანდარინს იღებთ ჰექტარზეო.

წერილის ავტორის ჩვენებით, აგრონომს უპასუხია: „თორმეტ ცენტნერს“.

ამ კითხვაზე იაპონელისთვის ადრე განსხვავებული სიდიდის რიცხვი დაუსახელებიათ და ახლა, ამით აღშფოთებულს, თუ წერილის ავტორს ვერწმუნებით, თავში უკეთური ფიქრი მოსვლია:

„იაპონელმა იმ კაცს გადახედა, თბილისის აეროპორტში რომ დაგვხვდა. დარწმუნებული ვარ, სამეფო კვერთხი რომ ჰქონოდა, იმწამს თხლეშდა თავში უფეფხისტყაო რაინდს და, იგანე მრისხანისგან განსხვავებით, შემდეგ სულაც არ ინანებდა“. მე არ ვიცი, ეს ფიქრები როგორ ამოიკითხა ბატონმა ცვეტოვმა უცხოელის თავში ან იქნებ სულაც საკუთარი აზრები მიაწერა მას.

ერთი კია, არც ერთ შემთხვევაში, ადამიანური კოდექსით, ამ საქციელს გამართლება არ უწერია.

მხოლოდ დასანანი უტაქტობაა!

თავად განსაჯეთ: ხალხი სულში გიძვრუნს, შენ კი კეტის თავში სათხლეშად გაგირბის ხელი. სადაური სამართალია?

ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, იაპონური იყოს!..

ბოდინს ვიხდი მკითხველთან, სტუმრის „ნაფიქრალის“ ზნეობრივი ანალიზით რომ გავერთე და სრულიად მიმავიწყდა „უფეფხისტყაო რაინდი“, რომელსაც თავში კეტის ჩარტყმას უპირებენ.

ახლა მას მივხედოთ.

„რაინდი ჭიუტად ვერ ამჩნევდა იაპონელის გამანადგურებელ მზერას“. — წერს ავტორი.

ჩემი ფიქრით, ალბათ, არც ეშინოდა.

ჰერ ერთი, იმიტომ, რომ ვერც იფიქრებდა, ეს მომცრო ტანის კაცი „ომის გამოუცხადებლად“ მასზე თავდასხმას თუ დააპირებდა; მეორეც: ასეც რომ მომხდარიყო, იაპონელი სად გაასწრებდა? ხეზე კიდევ რომ აესწრო, „ცერცვისხელა“ მოყვითალო მანდარინის ნაყოფისგან, ფერით თუ ვერა, ზომით მაინც გამოაჩჩევდა...

* * *

მაინც წამცდა და საკუთარი ბუნების საწინააღმდეგო საქციელი ჩავიდინე — იაპონელი მოგზაურის პორტრეტს დამდენიმე იუმორისტული შტრიხი მეც შევმატე.

რასაც სხვას ვუშლიდი, თავად დამემართა!

მერე, როცა ჩემი დასაგმობი საქციელის ახსნა მოვიწოდებ, მივ-

ხვდი — ავტორის მიერ დახატული იაპონელი კაცის პორტრეტზე: ჩემში სიმპათია ვერ აღძრავ!

მე ამ უცხოელს ყველაფერი ვაპატიე; ვაპატიე საკუთარი სპეციალობის უცოდინრობა; ვაპატიე საერთო განათლების უქონლობა; ვაპატიე სიგიჟემდე მისული ახირებულობა, მაგრამ ვერ შევძელი მისთვის უზნებობა მეპატიებინა!

მე ამ საქმიდან ხელს ვიბან და თვითონ განსაჯეთ მისი ზნეობრივი საქციელი სტეპანოვების ოჯახში.

„ერთ-ერთ ოთახში იაპონელმა გარმოშვა ნახა და დიდხანს უკირკიტა, რომ შეეტყო, უკრავენ თუ არა და იშვიათად თუ ხშირად, მერე მასპინძელს სთხოვა, დაუკარითო. გარმონისტი შვილი გამოდგა და „კატიუმა“ შეასრულა.

მელომანობას არ უბიძგებია იაპონელისთვის, დაკვრა ეთხოვა მასპინძლებისთვის. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ გარმოშვა, როგორც თოფი ან რადიოლა ან ტელევიზორი, მართლა სტეპანოვებისა იყო და არა სპეციალურად მოტანილი — სტუმრის დასანახად...“

დამეთანხმებით, ამ საქციელის კაცში სოფლის მეურნეობის მუშაის ამოცნობა გაჭირდება!

ამის გარდაც, წერილის ავტორმა იგი გაგვაცნო მანდარინის საქმის სპეციალისტად. აღმოჩნდა, რომ მას ამ საქმისა არაფერი გაეგება. ჩვენთან მუშაობა მოისურვა იმის მომიზეზებით, უმუშევრად ვერ ვჩერდებით. სამშობლოში ჩასულს კი ერთი თვის განმავლობაში თითი თითზე არ დაუკარებია თავისი სპეციალობით — თითქმის წერას ჰყოლია აყვანილი!

მოვეუსმინოთ ავტორის ინფორმაციას:

„ერთი თვე გავიდა, რაც იაპონელი სამშობლოში გავაცილე, რომ მისგან კარგა დიდი ბანდეროლი მივიღე. ეს იყო გაზეთის თვრამეტი ნომერი, თვრამეტი ნარკვევი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ“.

ნიაქციეთ ყურადღება: სასოფლო იარაღებს დანატრებულ კაცს ერთი თვის განმავლობაში კალამი არ გაუშვია ხელიდან!..



ა.ი. დაახლოებით ასეთია ის — იაპონელი მოგზაური, უფრო სწორად, ასეთად დახატა იგი ბატონმა ცვეტოვმა.

ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: მე არ ვიცი, თავად იაპონელი მოგზაური იყო ასეთი, თუ წერილის ავტორს დასჭირდა, საკუთარი აზრების სარეალიზაციოდ დაესაბამა იგი ასეთად!

ამის ცოდნას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც ვუტრიალე ამდენი, თორემ, როგორც იცით, მე ეს წერილი არც იაპონელის შესაქებად დამიწერია და, მით უმეტეს, არც მისი გამოსარჩლება მქონია გუნებაში.

მე ჩემი სატირალი მაქვს და, თუ ამდენი დრო დავუთმე უცხოელს, ესეც იმიტომ, რომ მისი ჩამოსვლა გახდა საბაბი, ბატონ ცვეტოვის საკუთარი, ჩვენთვის არც მთლად სასიამოვნო აზრები საქართველოზე, იაპონელის პირით მოგვესმინა.

ბატონ ცვეტოვთან დაკავშირებით უკვე განვაცხადე: მისი წერილი ჩვენს რესპუბლიკაზე არა მარტო მცდარი, არამედ შეურაცხყოფელიც კი არის-მეთქი.

ახლა კი დადგა დრო, ვიდრე ამის პასუხს სხვები მომკითხვენ, ჩემი ნებით ვაგო პასუხი.

მამ ასე: ჩემი ამოცანა ღღესავით ნათელია — უნდა ვაჩვენო, ბატონ ცვეტოვის წერილი მცდარიც რომ არის და შეურაცხყოფელიც!

მაგალითი პირველი:

ჯერ წერილის ავტორისა და იაპონელი მოგზაურის ერთობლივ, „კომბინირებულ“ ნაფიქრალს გაგაცნობთ:

„თბილისის აეროპორტში ზეადი და ვაჟკაცური გარეგნობის მამაკაცი დაგვხდა. მთელი გზა სასტუმრომდე იაპონელი მანქანაში ვეფხის ტყავს ეძებდა. რაინდი რომ იყო დამხვდური, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მხოლოდ ის უნდოდა დაედგინა, სწორედ ის რაინდი იყო თუ არა, რომელზეც ჯერ კიდევ იაპონიაში ყოფნიას პოემა ჰქონდა წაკითხული“.

ვეფხის ტყავის ძებნა რვა საუკუნით დააგვიანეს! დაახლოებით ამდენი დროა გასული, ქართული პოემის პერსონაჟი ვეფხის ტყავს რომ ატარებდა!

იაპონიიდან ჩამოსულმა მემანდარინე კაცმა ეს რომ არ იცოდა, არც არის გასაკვირი, შენი კულტურის მეგობარ პუბლიცისტს კი ევალემა, მეტი პატივით მოეპყრას პოემას, რომელშიც ერის ცდუნებალი სულია გაცხადებული!

სხვათა შორის, ამ ირონიის მიხედვრა მკითხველს არ გაუჭირ-

დება. არც ის არის ძნელი მასახვედარი, ვისგან მოდის იგი — იაპონელი მოგზაურისა თუ წერილის ავტორისაგან!

მაგალითი მეორე:

„სადილობისას იაპონელის გვერდით მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. ქალები კი ამ დროს მანდარინს კრეფდნენ. წვილ, მოყვითალო-მწვანე ნაყოფს ხის ყუთებში ყრიდნენ და თუმცა ყუთები საკმარისად მცირე ზომისა იყო, მაინც ნელა ივსებოდა.

ღარწმუნებული ვარ, იაპონელს ტრეტიაკოვის გალერეაში ნანახი სურათი — ივანე მრისხანე კლავს საკუთარ შვილს — აქ, ამ მანდარინის ხეებქვეშ რომ ეხილა, ისე არ გაუკვირდებოდა, როგორც ამ ცერცვისხელა მანდარინების დანახვამ გააოცა“.

ზემოთ ავტორის გასამასხარავებელი უფეფისტყაოდ დარჩენილი რაინდი გახდა, აქ კიდევ „ცერცვისხელა“ ქართული მანდარინი!

არადა, არა მგონია, იაპონური და ქართული მანდარინი ზომის თვალსაზრისით ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც, ვთქვათ, კალათბურთელი ტკაჩენკო და ფესბურთელი ზავაროვი.

ამ უკანასკნელთა ერთად დანახვა კი, არა მგონია, უფრო დიდ გოცებას იწვევდეს, ვიდრე იმის გაგება, მამა რომ საკუთარ შვილს ჰკლავს!

(ცნობისთვის: ჩვენში მანდარინის ნარგაობის 90 პროცენტი იაპონური ჯიშისაა, სახელწოდებით — უნშიუთ!)

ყველაფრიდან ირკვევა, იაპონელ მოგზაურს საქართველოში მანდარინის არც ფერი (მოყვითალო-მწვანე) და არც ზომა (ცერცვისხელა) არ მოსწონს!

სხვათა შორის, ქართული მანდარინის ეს „ნაკლი“ ამ წერილში არაერთხელ არის აღნიშნული.

„საბჭოთა კავშირში თითქმის არ არის წითელმიწა ნიადაგები და მანდარინი ამ ქვეყნისთვის შეუფერებელი კულტურა“.

ასეთია იაპონელი მოგზაურის დასკვნა.

ჩემი აზრი კი ამ საკითხზე დაახლოებით ასეთია: -

თუ საგნის ფერს ერთნაირად აღიქვამენ საქართველოშიც და იაპონიაშიც, ანუ, თუ აქაური წითელი ფერი იაპონიაშიც წითელ ფერად არის მიჩნეული, მაშინ ჩვენი ძვირფასი სტუმრის დასკვნა მთლად მართალი არ არის!

საქართველოში მანდარინის პლანტაციებს 26 ათასი ჰექტარი უკავია, აქედან 16 ათასი წითელმიწა ნიადაგზეა გაშენებული.

ხაზს ვუსვამ, ეს იმ შემთხვევაში ჩაითვლება ზუსტ ცნობად, თუ წითელ ფერად მივიჩნევთ იმ ფერს, რომელზეც კაცობრიობა დიდი ხანია შეთანხმდა და დღემდე საყოველთაოდ არის მიღებული!

რაც შეეხება ჩვენებური მანდარინის ნაყოფის ზომას, ამ წერილში ისიც არაერთხელ არის ჩვენი სტუმრის დაცივნის საგანი.

„პოლარული წრის მიღმა, სადაც ბევრი საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს, ბავშვებს ის პაწაწკინტელა მანდარინებიც უხარიათ, კავკასიაში დიდი გაკვირებით რომ მოჰყავთ“.

თუ ამ ფრაზაში იაპონელის ირონიულ ტონს „პაწაწკინტელა მანდარინებზე“ ყურადღებას არ მივაქცევთ, სტუმრის დაკვირვება ახლოსაა ქემშარიტებასთან: საქართველოში მანდარინი მართლაც დიდი შრომისა და გარჯის ფასად მოჰყავთ!

ეს იმიტომ, რომ საქართველოს შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონის ვიწრო ზოლი განლაგებულია მსოფლიოს სუბტროპიკების უკიდურეს ჩრდილო საზღვარზე.

შევვცდები, უფრო გასაგებად ვთქვა:

ჩვენში მანდარინების პლანტაციების გაშენებას იმ ზოლიდან იწყებენ. რომელ ზოლშიც იაპონელები მის გაშენებას ამთავრებენ!

და ეს ქართულ მეციტრუსეებს საქმის უცოდინარობით კი არ მოსდით, არამედ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მეტის გაკეთების საშუალებას არ იძლევა!

ამიტომ მგონია, ქართველი ხალხის თავდადება და უსაზღვრო ერთგულება ამ დარგისადმი უფრო თანაგრძნობას იმსახურებს, ვიდრე წარამარა დაცივნას!

იაპონელი მოგზაურის ამ დაცივნას მით უფრო არ უნდა იზიარებდეს რუსი ცვეტოვი!

თუ რატომ, ახლავე ავხსნი.

საბჭოთა კავშირში მთლიანად წარმოებული მანდარინის 99 პროცენტი საქართველოზე მოდის!

ჩვენში მანდარინის მოვლა შრომატევადი სამუშაო რომაა, ამის მომიზეზებით, ავდგეთ და ქართველებმა უარი ვთქვათ ამ კულტურის მოყვანაზე, ჩვენი ქვეყანა ხომ უმანდარინოდ დარჩა?!

ეს იაპონელი კაცისთვის კარგიცაა! — იძულებულნი ვიქნებით, მანდარინი მისი ქვეყნიდან კომერციულ ფასებში შემოვიტანოთ!

მაგრამ ეს არ უნდა უხაროდეს პოლიტიკურ მიმომხილველ ცეცტოვს, რომელსაც ჩემზე უკეთ მოეხსენება — რა ფასად უჯდება ჩვენს ქვეყანას ყოველი ზედმეტი ვალუტის გაღება საერთაშორისო ბაზარზე!..

ასე რომ, „ცერცვისხელა“ ქართული მანდარინის გამასხარავენბას ასე საგულდაგულოდ არ უნდა ცდილობდეს ბატონი ცეცტოვი!

სხვათა შორის, ჩვენს „გასაბრაზებლად“ ამგვარი ხერხის გამოყენება არ ახალია. ამ მეთოდით სხვა დროსაც მარჯვედ უსარგებლიათ. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მაგალითს აქვე მოგაწვდით.

„ზურგზე მოთელილბალნიან, გაძვალტყავებულ, ფერდებჩაცვინილ ძროხებს ძლივს აჩნდათ ბავშვის მუჭის ტოლაცურები. ჩვენებური ნაგაზი გაცილებით ზორბა და ნაბატივბია, ვიდრე ქართული ძროხა“ (ვიქტორ ასტაფიევი. „ჭიჭყინების ქერასაქართველოში“).

აქედან უბრალო დასკვნის გამოტანა შეიძლება — ჩვენი მეგობრების აზრით, საქართველოში პირუტყვი არ ვარგა.

იქნებ ფრინველს მაინც არა უშავდეს რა?

„სახლების წინ იქეჭებოდნენ მტვერში ჩაბუდებული ქათმები, გაპოროტებით აკანტურებდნენ თავს ინდაურები, რომლებსაც ბიბილოები და დაბაბები დამპალ უმ ხორცს მიუგავდათ“ (ვიქტორ ასტაფიევი, იქვე).

მე მაინც მგონია, ცოცხალ ინდაურს რუსეთშიც, იაპონიაშიც და, ალბათ, ინდოეთშიც კი (ე. ი. თავის სამშობლოში) უმი ხორცი ექნება!

რატომ მაინცდამაინც ქართულ ინდაურს ეთვლება ეს ნაკლად? დასკვნა აქედანაც ასეთია: ჩვენს მეგობრებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ფრინველი არ ვარგა!

იქნებ ხილი გვაქვს კარგი? „მოყვითალო-მწვანე და ცეცრცვისხელა“ მანდარინის გარდა საქართველოში სხვა ნაყოფის მოშენებში მცენარეებიც ხომ ხარობენ?

ესეც ვნახოთ, ოღონდ იგივე მწერალთან:

„ბროწეულის ხეები დანახშირებულ-ჩაშავებული, ყუნწაზღე

დამსკდარ ნაყოფით, გაშიშვლებულ, სურავანდით დაავადებულ ღრძილებს ჰგევანან“.

აჩქარებულ დასკვნას მაინც ნუ გამოვიტანთ: იქნებ ბროწეულის ხეები არ გვივარგა, მაგრამ, ვარდა ბროწეულისა, სხვა ხეც ხომ ხარობს საქართველოში? ხომ შეიძლება ისინი უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ.

შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ამის იღბალი ვინ მოგვცა...

„მინდვრებს აქა-იქ მეჩხრად რაგვევდა დაბალი, მტკრისგან გაბანჯგვლილი, ავადმყოფურად თავჩაქინდრული ხეები“.

თავჩაქინდრული ხეების გადამკიდეს აღარც მე ამეწევა თავი მალა. მე მეგონა, საქართველოში ესენი მაინც ვარგოდნენ, თორემ ხალხი რომ მკეხარა და მატყუარაა, უშრომელ შემოსავალს და საკუთარ მუცელს გადაყოლილი, ამაზეა სწორედ დაწერილი ბატონ ცვეტოვის წერილი...

ჩემს ღღეში მყოფი კაცი დასკვნის გამოსატანად აღარც კი ვარგა, ამიტომ უბრალოდ ვიკითხავ: თუ საქართველოში არც ცხოველი გვივარგა, არც ფრინველი და არც საქონელი და ხილი, როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონებო, — საიდან გვაქვს ეს ღიღებული პურ-მარილი?!

აი, თუნდაც ბატონ ცვეტოვის მიერ ჩვენს სასაყვედუროდ აღწერილი სუფრა ვნახთ.

„გზის პირას ხორავით დატვირთული უგრძესი მაგიდა იდგა. თუმცა არა, უფრო სწორად, მაგიდა კი არა, — ფეხებზე შემდგარი და სუფრაგადაფარებული ჰორიზონტი, მიღმა გადაკიმული ოთხსავალიანი გზატკეცილი. ლობიო და საცივი, სულგუნი, ბოსტნეული და მწვანილი იმხელა ლანგრებსა და თეფშებზე ეწყო, პატარა ავტომობილებს არ ჩამოუვარდებოდა! და კიდევ უფრო გვიპატივდებოდა შთაბეჭდილება, რომ აგერ ჩვენს თვალწინ მყარდებოდა სტუმართმოყვარეობისა და პურადობის რეკორდი გინესის რეკორდების წიგნში შესატანად“.

რალაც საყვედურის მსგავსის თქმას კი ვაპირებდი ჩქენი მეგობრების გასაგონად, მაგრამ გაშლილ სუფრაზე (ისევე ქართული ხასიათის გამო!) მე კაცს ვერ გავლანძღავ...

მაგალითი მესამე:

„ვიდრე სუფრას მიუჯდებოდა, იპონელმა სტუმანოვების ოჯა-

ხის — მემინდვრე ცოლ-ქმრის, ტრაქტორისტი შვილის და მეცხოველე რძლის ანგარიშების წიგნაკები მოითხოვა და თავის წიგნაკში გადაიწერა ყველაფერი... ნაბიჯებით გადაზომა ბოსტანი და ფურცელზე დააანჯარიშა სავარაუდო მოსავალი... მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდა იაპონელი მაგიდას. აქაც, როგორც მანამდე სახლი და ბოსტანი დაათვალიერა, გულმოდგინედ შეამოწმა, რა ეწყობოთ თეფშებზე. როგორც ჩანს, საქმლის რაოდენობა და მრავალფეროვნება შეესაბამებოდა ანგარიშებს წიგნაკების მიხედვით და საკარმიდაპო ნაკვეთის დათვალიერების საფუძველზე გაკეთებულ გამოთვლებს...“

სტეპანოვების სახლში გამართული სადილი და ამ ოჯახის შემოსავალი იაპონელის გამოანგარიშებით, ერთმანეთის შესატყვისი აღმოჩნდა.

ახლან ბატონ ცვეტოვის მიერ აღწერილი „ფეხებზე შემდგარი და სუფრაგადაფარებული ჰორიზონტს მიღმა გადაჭიმული ოთხსაველიანი გზატკეცილი“, ქართველებს მაგიდად რომ გამოუყენებიათ, აღარ გავიხსენოთ — ასეთ სუფრას, ალბათ, შვეიცარიის ბანკებში დაგროვილი ფულიც არ ეყოფოდა...

მაგალითი მეოთხე:

სამშობლოში ჩასულ იაპონელს წერილების სერია გამოუქვეყნებია საბჭოთა კავშირში მოგზაურობაზე. ახლა ამის შესახებ გვესაუბრება ბატონი ცვეტოვი:

„შემდეგ იაპონელი აღწერდა სტეპანოვების ოჯახს... თვით ამ კოლმეურნეობას, რომელიც 30 კილომეტრით არის დაშორებული საოლქო ცენტრს, მის მიღწევებს და სიძნელეებს — კოლმეურნეობაში იაპონელისთვის არც თავიანთი სიძნელეები დაუმაღაეთ, არც მიღწევები“.

აქედან დასკვნა: რუსეთში ოჯახის შემოსავალ-გასავალი სრულ თანაფარდობაშია — არც ხალხი იტყუება და არც კოლმეურნეობა!..

საქართველოში კი, ხომ გახსოვთ, ტყუილის თქმისთვის რა ამბავი ატყდა! — „იაპონელმა იმ კაცს გადახედა... დარწმუნებული ვარ, სამეფო კვერთხი რომ ჰქონოდა, იმ წაშს თსლეშდა თავში უვეფხისტყაო რაინდს“.

შევახსენებთ, იაპონელი იმიტომ კი არ უპირებდა იმ კაცს თავში კეტის თხლეშვას, ვეფხის ტყავი რატომ არ გაცვიაო, არამედ იმიტომ, ტყუილი რატომ მითხარო.

ქარტო იმისთვის არა, ქართველ კაცს ნამუსი რომ მოეწმინდო. ეს თავისთავად! ისედაც მინდა, ბატონ ცვეტოვს პირდაპირ ვუთხრა: მის მიერ აღწერილ ეპიზოდებში ტყუის თავად და არა ქართველები!

მე ამ უმძიმესი ბრალდების წამოსაყენებლად საფუძველს ვამსადებდი, რადგან ცარიელი ხელებით ისეთ ავტორიტეტთან პუბლიცისტთან, როგორც ბატონი ცვეტოვია, ვერაფერს გავხდებოდი.

მთელ უბედურებას, რომელიც თავს დაგვატყდა ქართველებს ბატონ ცვეტოვის წერილში, ადვილად ავიცილებდით იმ შემთხვევაში, თუ:

პირველი — იაპონელ სტუმარს დიდი პატივით არ მივიღებდით და უხვი პურ-მარილით არ გავუმასპინძლებოდით.

მეორეც — იაპონელის შეკითხვაზე, რამდენ მანდარინს კრეფთ პექტარზეო, ქართველებს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რიტხვი არ დაესახელებინათ.

ყოველ შემთხვევაში, ქართველების აუგად მოხსენიების სხვა საბაბი ბატონ ცვეტოვის სტატიაში არ ჩანს.

მე ვერ შეეძლებ ქართველებს პირველი „სირცხვილი“ ჩამოვწმინდო: რამდენიც უნდა ვურჩიო მათ, უცხოს თან ნუ გადაყვებით-მეთქი, საქართველოში სტუმარს მაინც დიდი პატივით მიიღებენ!

სხვათა შორის, სტუმარს არც იაპონიაში ღებულობენ ცუდად.

ამას ზეპირად არ ვამბობ, საბუთი მაქვს! — ბატონი შოთა გოლიასე, აოფლის მეურნეობის სპეციალისტი, იაპონიაში ყოფნას ასე აღწერს:

„ღიღებულ მიღება მოგვიწყო ვაკაიამას პრეფექტის ქალაქის თავმა. იგი და მისი თანამშრომლები ტაშით შეგვხვდნენ ადმინისტრაციული შენობის წინ, ასევე ტაშით მიგვაცილეს სამუშაო კაბინეტამდე; არ დავიწყებიათ, შენობის ფასადზე გამოეკიდათ ლოზუნგი თბილი სიტყვებით: „Добро пожаловать!“.

ადგილობრივმა გაზენმა კი ჩვენს ჩასვლას სპეციალური წერილი მიუძღვნა ფოტოსურათით და ინფორმაციით, რომელიც იაპონელ მეციტრუსებთან გადაგვიღეს“.

ეტყობა, ქართველებმა სტუმრის მიღება იაპონელებისგან უნდა ვისწავლოთ! — ამათ კიდევ გადაუჭარბებიათ ჩვენთვის!

საზეიმო მიღების გარდა, იაპონელებს სტუმრის დიდებულად გამასპინძლებაც სცოდნიათ. ისევ ბატონ შოთა გოლიაძეს მოკვუს-მინოთ:

„იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა. ბატონმა ტოკუმამ, ერთ-ერთ მიღებაზე დაგვაქაშნიკებინა იაპონური სამზარეულოს 17 დასახელების სხვადასხვა კერძი, ნაციონალური სასმელების (საკე) სხვადასხვა ნაკრები, ასევე ნაციონალური, სპეციალურად მოვერცხლილი ფიალებით (აგი სხვადასხვა ზომისაა — 30 გრამიდან 250 გრამამდე). არ უძუნწიათ, რათა გავგესინჯა იმპორტული (ფრანგული) კონიაკები და შამპანური, გერმანული ლუდი, ჩინური ჩაი და ა. შ.“.

პირადად მე ასეთ სუფრაზე ჩვენებური ლობიოსა და საცივის გამოტანა შემრცხვებოდა!

ასე რომ, ბატონ ცვეტოვს, იაპონიაში ხანგრძლივად ნაცხოვრებ კაცს, საქართველოში იაპონელი სტუმრის მიღება არ უნდა გაკვირვებოდა!

დაგვრჩა ბოლო და უმძიმესი ბრალდება: ქართველებმა რომ უცხოელის წინაშე იცრუეს!

რაც შეეხება ამ ტყუილს, რის გამოც იაპონელი კაცი უვეფხისტყაოდ დარჩენილ ხალხს რომ დაგვერია, ასეთია:

იაპონელის შეკითხვაზე, რამდენ მანდარინს კრეფთ ჰექტარზეო, ქართველებმა ორი ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული რიცხვი დაუსახელეს:

თბილისის აეროპორტში დამხვედრმა მეგზურმა — 100 ცენტნერი,

მეურნეობის აგრონომმა — 12 ცენტნერი!

„იაპონელმა იმ კაცს გადახედა, თბილისის აეროპორტში რომ დაგვხვდა. დარწმუნებული ვარ, სამეფო კვერთხი რომ ჰქონოდა იმ წამს თხლემდა თავში...“

ვიდრე იაპონელი სტუმარი ქართველ მასპინძელს თავს გაუტეხდეს, ერთი წამით გავაჩეროთ, გავარკვიოთ საქმე და, თუ ეს ტყუილები ჩვენი ბრალი იქნება, მერე, რამდენიც უნდა, იმდენი გვიჩაჩქუნოს თავში...

ზემთ მოტანილ დიალოგებში იაპონელი და ქართველი მეციტრუსეების კითხვა-პასუხი, როგორც ვიცით, დაკითხვის ოქმიდან კი არა, ბატონ ცვეტოვის წერილიდან არის ამოწერილი.

უნდა შეენიშნოთ ბატონ ცვეტოვს, ზოგადად მაინც რომ ყოფილიყო გაცნობიერებული მეცატრუსეობის ნამდვილ მდგომარეობაში, როგორც ჩვენში, ისე იაპონიაში, ქართველებს და იაპონელებს ერთმანეთს არ დაგვახოცინებდა.

საკავშირო ყურნალში ასე უპასუხისმგებლოდ დაწერილი სტატიეა. მით უფრო, როცა მთელ რესპუბლიკას დებ ბრალს, არ უნდა იბეჭდებოდეს!

აქვე გთავაზობთ სტატისტიკურ მონაცემებს და, იმედია, საკავშირო ყურნალის მკითხველის თვალშიც ისეთებად აღარ გამოვჩნდებით, როგორადაც ბატონმა ცვეტოვმა წარმოგვადგინა.

საქართველოში მანდარინის საპექტარო მოსავალი (ნატანების კოლქეურნეობის მაჩვენებლით) საკოლმეურნეო ნაკვეთებზე 200—240 ცენტნერს აღწევს, ხოლო საქარმიდამოში — 300—330 ცენტნერს.

იაპონიის კომერციულ ბაღებში კი 300—350 ცენტნერს.

ბატონ ცვეტოვის ანგარიშით იაპონიაში საპექტარო მოსავალი 50 ცენტნერია, საქართველოში — 12.

კა ბატონო, თავად რაც უნდა, ის ეგონოს, მაგრამ მილიონობით მკითხველი რატომ უნდა შეიყვანოს შეცდომაში? და მით უფრო, თავისი მკდარი მონაცემებით რესპუბლიკა რატომ უნდა ღანძლოს?

ანდა ამის საშუალებას ისეთი სოლიდური ყურნალი, როგორიც „ოგონიოკია“, რატომ უნდა აძლევდეს?

საწუხაროდ, ბატონი ცვეტოვი უფრო დიდ ტყუილშია შემჩნეული! ამის აქ გამხელა მის დიდ ავტორიტეტს რამდენადმე შელახავს, მაგრამ, რომ არ ეთქვა, მაშინ ვიღაცას მე ვეგონები ცილისწამებელი.

რასაც ქვემოთ ვიტყვი, უმძიმესი ბრალდება! ამიტომ, გთხოვთ, ყველა ყურადღებით ვიყოთ, არაფერი შეგვეშალოს და ერთმანეთის ცოდვაში არ ჩავდეთ.

თუ მზად ხართ, დავიწყეთ.

ბატონი ცვეტოვი და მისი იაპონელი სტუმარი, როგორც ავტორი გვეუბნება, საქართველოში მანდარინის მასობრივი კრეფის დროს ჩამოსულან, — ქალები და კაცები ერთიანად იყვნენ შესეულები პლანტაციებს, უფრო სწორად, კაცები ქეიფობდნენ, ქალები მანდარინს კრეფდნენ!

საქართველოში მანდარინის მასობრივ კრეფა ნოემბერ-დეკემბერშია!

ბატონი ცვეტოვი თავის თანამგზავრთან ერთად საქართველოდან პირდაპირ ციმბირში ჩასულა. ეს ინფორმაცია გარკვევით წერია წერილში, თუმცა, მერე სალაპარაკო რომ არ გახდეს, აქაც მოვიტანოთ თვალსაჩინოებისთვის:

„ციმბირში მაშინვე გავემგზავრეთ საქართველოდან“.

მადლობა მოვახსენოთ ბატონ ცვეტოვს ამ საინტერესო ინფორმაციისთვის და მივყვეთ კვალში.

„ცოლ-ქმარი სტეპანოვები პურ-მარილით ხელში შემოგვეგენენ თავიანთი სახლის ზღურბლთან, შიგ სახლშიც სუფრა იყო გაწეული. მაგრამ ვიდრე სუფრას მიუჯდებოდა, იაპონელმა... საკარმიდამო ნაკვეთი დაათვალიერა, კარტოფილის ბუჩქი ამოგლიჯა და ბოლქვები გადათვალა. აღნუსხა კიტრის, პამიდვრისა და კომბოსტოს კვლები“.

კიდევ შევახსენებთ, ეს ამბავი ნოემბერ-დეკემბერში ხდება!

მე არ დამიზუსტებია, საერთოდ მოჰყავთ თუ არა კარტოფილ-ციმბირში, ეს კი დანამდვილებით ვიცი, ნოემბერ-დეკემბერში კარტოფილის ბუჩქის მიწიდან ამოთხრა და ბოლქვების გადათვლა, ისიც ციმბირში, მტკნარი სიცრუეა!

ხოლო კიტრისა და პამიდვრის კვლების საიმდროოდ დათვალიერება ფანტაზიის საზღვრებსაც კი სცილდება!

აი, ბატონო ცვეტოვ, რა უხერხულ დღეში აღმოჩნდით! თქვენთან ერთად ეს სირცხვილი იმ ყურნალმაც უნდა გაიზიაროს, სადაც თქვენი წერილი დაიბეჭდა!

რაც შეგვეხება ჩვენ, გალანძლულ ქართველებს, ამაზე თქვენ თავს ნუ შეიწუხებთ — არსთა გამრიგემ ისე მოაწყო ჩვენი ცხოვრება, ჭერჭერობით მაინც, ყველასთან თავი უნდა ვიმართლოთ.

P. S. ეს წერილი დამთავრებული მქონდა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართულ სიმღერებს რომ ვისმენდი... იაპონური ანსამბლის შესრულებით.

როცა დარბაზში უცხო მომღერალთა ხმა გაისმა — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ — თვალზე ცრემლი მომერია: ბატონმა ცვეტოვმა იაპონელი მოგზაური ტყუილუბრალოდ რომ გადაჰკიდა, ის გამახსენდა...

კრიტიკული შენიშვნები „კომუნისტური პარტიის მანიფესტთან“ დაკავშირებით

„ნეტავი მარქსი ჩემ გვერდით იდგეს დღეს, რომ
თავისი საკუთარი თვალთ ენახა ეს!..“

ვინც მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწერებს ამ ბოლოდროს ნაკლებად ეტანება, იმათი გაფრთხილება თავიდანვე საჭიროა — არ ეგონოთ, რომ ეს მონატრება ჩემგან მოდის!

მე ასეთ ცნობისწადილს რომ მოვეკალი, მისი ფამილარულად გამოთქმის უფლება მაინც არ მექნებოდა!

მარქსი რომ გვერდით ყოლოდა, ამას სხვაზე მეტად, რასაკვირველია, ინატრებდა ფრიდრიხ ენგელსი — მისი განუყრელი მეგობარი და თანამებრძოლი!

ეპიგრაფში გატარებული აზრიც, ცხადია, ეკუთვნის ენგელს! თავად მარქსი კი, ამ დროისათვის, „განისვენებს ჰაიგეტის სასაფლაოზე და მის საფლავზე უკვე ამოვიდა პირველი ბალახი“.

უფრო ზუსტად, ეს მონატრება მარქსის საფლავზე პირველი ბალახის ამოსვლიდან მეშვიდე წელსაა გამოთქმული...

* * *

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ მე ჯერ სკოლის მერხზე, მერე კიდევ — უნივერსიტეტის კედლებში გავეცანი.

ზოგი ჩემი კრიტიკული შენიშვნაც იმდროინდელია!

ოღონდ მაშინ ეს მოსაზრებები სხვებისთვის არ გამინდვია! — ასე ფრთხილად რომ არ მოვქცეულიყავი, ახლა მე ვეყოლებოდი ჩემს ახლობლებს მოსანატრებელი — ნეტავი ჩვენს გვერდით იდგესო!..

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან 70 წელი და ცოტა მეტი ხანი გავიდა.

ამ დროის განმავლობაში დედამიწის ზურგზე პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ, საბჭოთა კავშირმა, სხვა ეტაპებზე რომ არაფერი ვთქვათ, ძლევამოსილად გაიარა „გამარჯვებული“ და „მომწიფებული“ სოციალიზმის პერიოდები!..

და, აგერ ახლა, როცა კომუნიზმი, ზოგი სულელი ხელმძღვანელის დაპირებით, კარგახნის აშენებული უნდა გვექონდეს, ქვეყანას არა აქვს პური, ყველი, კარაქი, შაქარი...

ჩაცმა-დახურვას თავი რომ დავანებოთ, კომუნიზმის მშენებელი ხალხი საპნის, მარილისა და ასანთის გარეშე დავრჩით...

ამნაირი ქვეყნის აშენებას კი 62 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა!

ნეტავი მარქსი და ენგელსი ჩვენ გვერდით იდგნენ დღეს, რომ საკუთარი თვალით ენახათ ეს!..



აქედან დასკვნა: ან მარქსიზმის კლასიკოსები არ აღმოჩნდნენ მართალნი, ან ჩვენ ვერ გამოვდექით კარგი მშენებლები!

ქვემოთ ორივე შემთხვევას, ჩემი შეძლების კვალობაზე, ცალ-ცალკე განვიხილავ.

დავიწყოთ იმით, რომ დღემდე არსებული ყველა საზოგადოებრივი ცივილიზაცია შ რ ო მ ა მ, რ ე ლ ი გ ი ა მ და კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა მ შექმნა.

მარქსიზმმა ამ სამიდან ორი — რელიგია და კერძო საკუთრება — იმთავითვე უარყო!

უსაბუთოდ არც ახლა და არც შემდგომ, არაფერს ვიტყვი.

ვიმოწმებ „მანიფესტს“.

„...კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია ერთი დებულებით გამოსახოს: კერძო საკუთრების მოსპობა“.

მოსპეს კიდევ!..

რ ე ლ ი გ ი ს თაობაზე კი „მანიფესტში“ გარკვევით წერია:

„ის ბრალდებანი კომუნიზმის წინააღმდეგ, რაც წამოწყებულია

რელიგიური... და სერთოდ იდეოლოგიური თვალსაზრისით, უფრო დაწერილებით განხილვის ღირსი არ არიან“.

არც განუხილავთ!..

* * *

ხოლო რაც განიხილეს, იმაზე ახლა მოგახსენებთ:

„თქვენ თავზარდაცემული ხართ იმის გამო, რომ ჩვენ გესურს მოვსპოთ კერძო საკუთრება“.

რასაკვირველია, მარქსი და ენგელსი აქ ხმას ბურჟუეზების გასაგონად უწევენ და სრულებითაც არ მგულისხმობენ მე, — რომელსაც საკუთარი მართო კალამი გამაჩნდა და ისიც კომუნისტების ქებას შევალე...

„ერთი სიტყვით, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გესურს მოვსპოთ თქვენი საკუთრება. დიახ, ეს ჩვენ მართლაც გესურს“.

აქაც სხვებს გულისხმობენ! — თორემ მე ან წასაართმევი რა გამაჩნია, ანდა რომელ ისეთ ქვეყანაში გავიზარდე — მარქსიზმის კლასიკოსები რომ მაკრიტიკებინონ...

„მანიფესტის“ ავტორები კი ჩემთვის უცნობ ოპონენტს კვალში უღვანან!

„ჩვენ, კომუნისტებს, გვისაყვედურებენ — თქვენ გსურთ მოსპოთ პირადად შეძენილი, თავისი შრომით მოპოვებული საკუთრება. საკუთრება, რომელიც ყოველი პირადი თავისუფლების, მოქმედებისა და თავისთავადობის საფუძველს შეადგენსო“.

ამ ერთ წინადადებაში კომუნისტებისადმი იმდენი სამართლიანი საყვედურია წაყენებული, ჩემთვის გავიფიქრე — ნეტა მართლა მას, ვინც ეს საყვედური პირველად გამოთქვა!

ერთი სიტყვით, „კაკო ყაჩაღის“ იმ პერსონაჟის დღეში აღმოვჩნდი. ტყეში გაჭრილ კაცს კუდიგორის გზას რომ მიასწავლის და გულში შენატრის — „ახ ნეტავი შენო!“

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, ამ საყვედურთან დაკავშირებით, „მანიფესტის“ ავტორები ძალზე ლამაზ პასუხს იძლევიან, ოღონდ შათი პასუხი, სამწუხაროდ, როგორც შემდეგ დრომ გვიჩვენა, დიდი სიმართლე ვერ გამოდგა!

„შრომით მოპოვებული, პირადად შეძენილი, პირადად მონაგარი საკუთრება? ხომ არ ლაპარაკობთ თქვენ წვრილბურჟუაზიულ,“

წვრილგლებურ საკუთრებაზე, რომელიც წინ უძღოდა ბურჟუაზიულ საკუთრებას? ჩვენ არ გვკირდება მისი მოსპობა, — მრეწველობის განვითარებამ მოსპო იგი და ყოველდღიურად სპობს მას“.

პატივცემული მარქსი და პატივცემული ენგელსი აქ მართალი არ არიან!

მართალია, იმ დროინდელ მრეწველობასა და დღევანდელ ინდუსტრიას შორის, განვითარების თვალსაზრისით, ისეთივე განსხვავებაა, როგორც კვერცხში ჩასახულ სიცოცხლესა და ამ კვერცხის დამდებ დედალს შორის, მაგრამ, ამის მიუხედავად კერძო საკუთრებას არათუ მოსპობის, საყოველთაო გაფურჩქვნის ხანა დაუდგა!

სიმართლე ესაა! — დიდად პატივცემული ავტორები კი სხვას ვარაუდობენ, კერძოდ აი, რას!

„კომუნისტური მანიფესტის“ ამოცანა იყო ხმამაღლა განეცხადებინა თანამედროვე ბურჟუაზიული საკუთრების გარდუვალი დაღუპვა“.

რასაც მე დღეს ვხედავ, სულ პირიქითაა!

მაგრამ ხომ შეიძლება მე ვცდებოდე?

ამიტომ, კარგი იქნებოდა, მარქსი და ენგელსი ჩვენს გვერდით იდგნენ დღეს, რომ თავის საკუთარი თვალთ ენახათ ეს!..

* * *

„მანიფესტის“ ავტორები, სამწუხაროდ, მარტო აქ არ შემცდარან, ცხოვრებამ არც მათი შემდეგი აზრი დაადასტურა:

„საზოგადოებას აღარ შეუძლია უკვე ბურჟუაზიის ბატონობის ქვეშ ცხოვრება, ე. ი. ბურჟუაზიის არსებობა უკვე შეუთავსებელია საზოგადოების არსებობასთან“.

დღევანდელ ბურჟუაზიული ქვეყნების მაგალითზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ დასტურდება.

ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიის არსებობა არც მთლად „შეუთავსებელი“ აღმოჩნდა საზოგადოების არსებობასთან — კარგად არიან თუ ცუდად, საკუთარ სახელმწიფოებში თავს მშვენივრად გრძნობენ და კუჭის გამოსაძღებადაც არ გაურბით თვალი... სოციალისტური ქვეყნებისაკენ!

„მანიფესტი“ კი გვასწავლიდა:

„...ბურჟუაზიას არ შესწევს უნარი დარჩეს მეტხანს საზოგა-

დოების გაბატონებულ კლასად... მას უნარი არ შესწევს იბატონოს...“

არც ეს აზრი აღმოჩნდა უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება!

თუ ბურჟუაზია არა, აბა, სხვა ვინ ბატონობს დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში? ეს ნამდვილად არ ვიცი, ოღონდ საკუთარ სახელმწიფოებში საქმე კარგად რომ მიუღიოთ, ეს აქედანაც (ე. ი. ჩვენგანაც!) კარგად ჩანს!

არადა, თუ „მანიფესტს“ ვერწმუნებით, ასე ნამდვილად არ უნდა წასულიყო მათი საქმე, ამდენი მათ ვერ უნდა მოეხერხებინათ!

აბა, დავაკვირდეთ, რას წერენ მარქსი და ენგელსი!

„მას (ბურჟუაზიას, — თ. წ.) უნარი არ შესწევს იბატონოს, იმიტომ რომ მას არ შესწევს უნარი უზრუნველყოფოს თავისი მონისათვის არსებობის მონური დონეც კი, იმიტომ რომ იგი იძულებულია ისეთ მდგომარეობამდე დააქვეითებინოს თავი მონას, როდესაც მან ეს მონა უნდა ასაზრდოს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ღებულობდეს იმისგან საზრდოს“.

აქ გამოთქმული აზრი ისეა დაშორებული დღევანდელ სინამდვილეს, როგორც ენგელსის მშვენიერი სურვილი... მარქსის გაცოცხლებაზე!

არადა, მარქსი ერთი წუთით მართლაც რომ გაცოცხლდებოდა; საფრანგეთში ან გერმანიაში (ნამდვილ გერმანიაში!) შეივლიდა, რათა იქაური „მონისათვის არსებული მონური დონე“ საკუთარი თვალთ ეხილა, „მანიფესტში“ ამ საკითხზე გამოთქმულ საკუთარ სტრიქონებს, სახალხოდ დაწვავდა!..

უკეთესი დღე, ვფიქრობ, არც ამ სტრიქონებს დაადგებოდა:

„დაქირავებული შრომის საშუალო ფასი არის მინიმუმი ხელფასისა, ე. ი. ჭამი საარსებო საშუალებათა, რომლებიც საჭიროა, რომ მუშას როგორც მუშას სიცოცხლე შეუნარჩუნოს“.

ეს რომ ჩვენს მუშაზე იყოს ნათქვამი, ცამდე მართალი იქნებოდნენ „მანიფესტის“ ავტორები!..

„...ბურჟუაზიული საზოგადოება დიდხანია უნდა დაღუპულიყო სიზარმაცის გამო, ვინაიდან აქ ის, ვინც შრომობს, არაფერს იძენს, ხოლო ვინც იძენს, არ შრომობს“.

ეს რომ ჩვენ ქვეყანაზე იყოს ნათქვამი, ცამდე მართალი იქნებოდნენ „მანიფესტის“ ავტორები...

* * *

მარქსისმის ფუძემდებლები, სამწუხაროდ, არც ბურჟუაზიული ოჯახის მომავლის განკვეთაში აღმოჩნდნენ დიდი წინასწარმეტყველები!

„ბურჟუაზიული ყბედობა ოჯახსა და აღზრდაზე, მშობლებისა და შვილების ნაზ ურთიერთობაზე მით უფრო ზიზღის მომგვრელი ხდება, რაც უფრო ირღვევა მსხვილი მრეწველობის წყალობით უოველგვარი ოჯახური კავშირი პროლეტარებისათვის და შვილები უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღებად იქცევიან“.

მარქსის დროს როგორ იყო, არ ვიცი, დღეს კი არავინ დაგვიჩერებს ასე რომ ვთქვათ — შვილებს იმიტომ აჩენენ კაპიტალისტურ ქვეყნებში, „უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღებად“ რომ გამოიყენონ!

მით უფრო არავის მოეწონება „მანიფესტში“ გაცხადებული ასეთი აზრი:

„ბურჟუაზია თავის ცოლს უცქერის როგორც წარმოების უბრალო იარაღს. მას ესმის, რომ წარმოების იარაღები საერთო გამოყენების საგანი უნდა გახდეს...“

თუ ბურჟუაზია მართლა ასე ფიქრობს, იგი ცოლის შერთვის ღირსი ნამდვილად არ ყოფილა!..

მაგრამ არც კომუნისტები ყოფილან ცოლების საკითხში მთლად დელიკატურნი.

„მართლაც, მეტად სასაცილოა ჩვენი ბურჟუების მაღალზნეობრივი ძრწოლა, კომუნისტებში ვითომ ოფიციალური საზიარო ცოლობა არსებობდეს. კომუნისტებს არ სჭირდებათ საზიარო ცოლობის შემოღება, იგი თითქმის მუდამ არსებობდა“.

ამ მშვენიერი განმარტების მიუხედავად, ჩემთვის ჭერ კიდევ არ არის ნათელი ის ძირითადი განსხვავება, ბურჟუებსა და კომუნისტებს რომ გააჩნიათ ცოლებთან მიმართებაში!

„მანიფესტის“ ავტორები კიდევ ერთხელ ცდილან, ეს განსხვავება საჩინო რომ გაეხადათ.

„ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში საზიარო ცოლობას წარმოადგენს. კომუნისტებისათვის დიდი-დიდი ის თუ შეიძლე-

ბოდა ესაყვედურნათ, რომ ამ ფარისევლურად დამალული საზიარო ცოლობის მაგიერად მათ თითქოს სურთ შემოიღონ ოფიციალური, აშკარა საზიარო ცოლობა“.

ასე გაცილებით ჯობია! — ამაზე კომუნისტებს, ფაქტიურად, საყვედურიც არ ეთქმით! — მათი ეს საქციელი, დიდი-დიდი, ირონიულ ღიმილს თუ გამოიწვევს ზოგიერთში!..

აი, ბურჟუების ასეთი მოქმედება კი, პირდაპირ დასაგმობია! ნახეთ!

„ჩვენი ბურჟუები, რომლებიც არ კმაყოფილდებიან იმით, რომ მათ განკარგულებაში არიან მათი მუშების ცოლები და ქალიშვილები... განსაკუთრებულ სიამოვნებას იმაში ჰპოვებენ, რომ ერთმანეთის ცოლები შეაცდინონ ხოლმე“.

ასე ნამდვილად არ შეიძლება!..

მართალია, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ ბურჟუების ცოლებს რა სცხიათ ისეთი, ამ ქალბატონებს მუშების ცოლებსა და ქალიშვილებს რომ ამჯობინებენ!

რასაკვირველია, ბურჟუების ეს მოქმედება — „განსაკუთრებულ სიამოვნებას ერთმანეთის ცოლების შეცდენაში რომ ჰპოვებენ — მოსაწონი არაა, მაგრამ მოსაწონია მარქსის და ენგელსის თანმიმდევრობა — ისინი, ყველა სიტუაციაში, მუდამ მუშების მხარეს არიან!

და, სხვათა შორისაც, ზოგი მუშის ქალიშვილი არაფრით ნაკლები არაა ბურჟუის ცოლზე! თუმცა, ისევ ვიმეორებ, ეს უკვე გემოვნების საქმეა!

საერთოდ კი, ბურჟუების საქციელს ამ შემთხვევაში შე უწესობად ვერ მივიჩნევ და აი, რატომ:

თუ „ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში საზიარო ცოლობაა წარმოადგენს“, მარქსსა და ენგელსს იგი ასეთად მიაჩნია, მაშინ „ერთმანეთის ცოლების შეცდენას“ ბურჟუები კანტი-კუენტად კი არ უნდა მიმართავდნენ, საცა სამართალია, ამ საქმეში უფრო ინტენაიურადაც უნდა მონაწილეობდნენ!..

* * *

მარქსიზმის კლასიკოსთა ერთ-ერთ მთავარ შეცდომადად მე ისიც მიმაჩნია, რომ მათ მუშათა კლასი სამშობლოსა და ეროვნების გარეშე დატოვეს!

„...კომუნისტებს უსაყვედურებენ, რომ მათ სურთ მოსპონ სამშობლო, ეროვნება“.

ეს მომაკვდინებელი ბრალდებაა! და ვფიქრობდი — „მანიფესტის“ ავტორები საკადრისად მიაგებდნენ ამ მონაჭორის შემთხვევებს!

„მუშებს არა აქვთ სამშობლო, მათ არ შეიძლება წაართვა ის, რაც არა აქვთ“. მთელი პასუხისმგებლობით აცხადებენ ისინი!

სამშობლო ადამიანს კი არა, მცენარესაც აქვს! — სამშობლოდან გადარგული ხე ყველა ქვეყანაში არც ერთნაირად ხარობს და, არც ერთნაირად მსხმოიარობს!..

სამშობლო ადამიანს კი არა, ფრინველსაც აქვს! — გამოსაზამთრებლად თბილ-თბილ ქვეყნებში გაფრენილი მერცხლები, სიცოცხლის რისკის გაწევით, სამშობლოში ბრუნდებიან შთამომავლობა რომ გააჩინონ!

მშობლიური კუთხის სიყვარული რომ არა, აფრიკის თბილ ქვეყნებშიც ნოიძევდა მერცხალი ადგილს ორიოდ კეკრცხის დასაღებად!..

რასაკვირველია, სამშობლო მუშასაც გააჩნია!

თვით მრავალჭირგამოვლილმა ებრაელმა ხალხმა, მარქსისა და ენგელსის მშობელმა ერმა, „მანიფესტის“ დაწერიდან 100 წლის შემდეგ საკუთარი სახელმწიფო, მაინცდამაინც, საკუთარ სამშობლოში შექმნეს!

იმის მიუხედავად, რომ ებრაელი ხალხი სხვაზე მეტად ეგუება უცხო ქვეყნებში ცხოვრებას!

მარქსიზმის კლასიკოსებმა პროლეტარიატი არა მარტო უსამშობლოდ, — ეროვნების გარეშეც გამოაცხადეს!

„თანამედროვე სამრეწველო შრომამ... რომელიც ერთნაირია როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, როგორც ამერიკაში, ისე გერმანიაში, მოაცალა პროლეტარს ყოველივე ეროვნული ხასიათი“.

აქედან გამომდინარე კი, მარქსი და ენგელსი ასეთ დასკვნამდე მიდიან:

„კომუნისტები მხოლოდ იმით განირჩევიან დანარჩენი პროლეტარული პარტიებისაგან, რომ... ისინი წინ აყენებენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ ინტერესებს...“

თუ კომუნისტები მხოლოდ იმით განირჩევიან დანარჩენი პარ-

ტიებისაგან, რომ ეროვნებისაგან დამოუკიდებელ ინტერესებს ქადაგებენ — დღევანდელ ვითარებაში ვერავის განაწყობენ მათდამი სიმპატიით!

არადა, მარქსიზმის ფუძემდებლებს ზუსტად ასე სწამთ!

„ხალხთა ეროვნული განკერძოება და დაპირისპირებანი უფრო და უფრო ჰქრებიან, რაც უფრო ვითარდება ბურჟუაზია...“

სინამდვილეში კი ზუსტად ამის საპირისპიროდ მოხდა!

„ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის მოსპობასთან ერთად მოსპობა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთს შორის“.

სინამდვილეში კი ზუსტად ამის საპირისპიროდ მოხდა!

მე არაფერს ვაჭარბებ, მაგრამ მაინც აჯობებდა მარქსი და ენკელსი ჩვენს გვერდით იდგნენ დღეს, საბჭოთა კავშირში ეროვნულ წაადაგზე დატრიალებული შემზარავი მოვლენები თავის საკუთარი თვალთ რომ ენახათ!..

* * *

ჩემი დაკვირვებით, „მანიფესტში“ გამოთქმული აზრებიდან, კომუნისტებს, ეტყობა, უფრო მსინი ხიბლავთ, რომლებიც არსებული ხელისუფლების ძალადობით დამხობას ქადაგებენ!

„ერთი სიტყვით, კომუნისტები ყველგან მხარს უჭერენ ყოველ რევოლუციურ-მძაფრობას, რომლებიც მიმართულია არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ“.

ერთი სიტყვით, ეს წინასწარმეტყველება შესაშური სიზუსტით ახდა!..

„პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოჰგლიჯოს ბურჟუაზიას კაპიტალი...“

ერთი სიტყვით, ეს წინასწარმეტყველება შესაშური სიზუსტით ახდა!

„პირველად, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ დესპოტური ჩარევით...“

ერთი სიტყვით, ეს წინასწარმეტყველება შესაშური სიზუსტით ახდა!..

„კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ დამაღონ თავიანთო შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლოა მხოლოდ მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებითი დამხობის გზით...“

ეტყობა, კაპიტალისტური ქვეყნები, ძირითადად, მამაზეციერს უნდა უმადლოდნენ, საკუთარი „შეხედულებანისა და განზრახვანის“ დაუშვალაობა ყოველგვარი მიზნის მისაღწევად უფაღმა საკმარისად რომ არ მიიჩნია!

თუმცა მუქარა აქ არ მთავრდება!

„დაე გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაჰკარგავენ გარდა თავიანთი ბორკილებისა. შეიძენენ კი მთელ ქვეყნიერებას“.

ვფიქრობ, მცირეოდენი კორექტივი აქაც საჭიროა, რადგან, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ბორკილები იმ ქვეყნების პროლეტარიატმა უფრო დაკარგა, რომელთაც თითო-თითზე არ დაუქარებიათ არსებული ხელისუფლების დასამხობად.

იმ ქვეყნების პროლეტარიატმა კი, ხელისუფლების ძალდატანებითი დამხობის გზით რომ წავიდა, „ქვეყნიერების“ შექმნის ნაცვლად, ჭერჯერობით, კარაქის ტალონი შეიძინა!..

ნეტავი მარქსი და ენგელსი ჩვენს გვერდით იდგნენ დღეს, კარაქის ტალონის დროზე აღებით გამოწვეული მუშის სიხარული თავიანთი საკუთარი თვალებით რომ ენახათ!..

ვისაც ახსოვს, — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ იწყება სიტყვებით:

„აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა“.

ამ სიტყვების დაწერიდან თითქმის საუკუნენახევარი გავიდა და, კომუნიზმის აჩრდილი, როგორი გაგებით ამას მარქსიზმის კლასიკოსები გულისხმობდნენ, ჭერაც არსად ჩანს!

არადა, კომუნიზმის აჩრდილს, ისეთი პირი უჩანდა მაშინ, ვერმანიიდან უნდა დაეწყო ძლევამოსილი სვლა!

„გერმანიას კომუნისტები მთავარ ყურადღებას აქცევენ იმიტომ, რომ გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლუციის წინა დღეა...“

მეტიც, უკლასო საზოგადოების აშენებას, მსოფლიო მასშტაბით, პროლეტარიატის ბელადები გერმანიიდან აპირებდნენ!

„გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო პროლოგი პროლეტარული რევოლუციისა“.

ამ სიტყვების დაწერიდან, თითქმის 150 წლის შემდეგ, ე. ი. აგერ ახლა, გერმანიაში ჩატარებულ სამთავრობო არჩევნებში კომუნისტმა დელეგატებმა ამომრჩეველთა ხმების 0,2 პროცენტი მიიღეს!

აქედან დასკვნა: მშვიდობიან და ნორმალურ არჩევნებში კომუნისტების გამარჯვება, ეტყობა, აშკარად ჭირს. ალბათ ამიტომაც წერდნენ მარქსი და ენგელსი ჩვენი „მიზნების მიღწევა შესაძლოა მხოლოდ არსებული საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებითი დამხობის გზით“.

* * *

ვისაც ახსოვს, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მთავრდება სიტყვებით:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

როგორც ვიცით, დაწერის მომენტში ამ ლოზუნგს დიდი წარმატება არ მოყოლია.

ამას ენგელსიც აღიარებს:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — როდესაც ჩვენ ამ 42 წლის წინათ... ეს სიტყვები მსოფლიოს გადავძახეთ, მხოლოდ რამდენიმე ხმა გამოგვეხმაურა“...

ამ ლოზუნგის შემქმნელი მარქსი ჰაიგეტის სასაფლაოზე რომ მისვენეს, არც მაშინ ისმოდა დიდი ჩამი-ჩუმი!

ეს შემდგომ იყო, ენგელსს რომ მოეჩვენა:

„ღღეს, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ვეროპისა და ამერიკის პროლეტარიატი თავისი საბრძოლო ძალების დათვლიერებას აწარმოებს, ძალებისა, რომლებიც პირველადაა მობილიზებული ერთ არმიად, ერთი დროშის ქვეშ და ერთი უახლესი მიზნისათვის...“

ეს 1890 წლის 1 მაისს მოეჩვენა ენგელს!

ღღეს, როდესაც ამ სტრიქონებს მე ვწერ, არავითარი ამის მსგავსი არ შეიმჩნევა!

როგორც გითხარით, აგერ ახლა გერმანელი კომუნისტები თა-

ვიანთი „საბრძოლო ძალების დათვალიერებას“ რომ აწარმოებენ მორიგ არჩევნებში, დასანანი მარცხი განიცადეს — ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 0,2 პროცენტი მიიღეს!

ხოლო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა 99,98% იმ ბურჟუიის პირდაპირმა შთამომავლებმა დააგროვეს, რომელთა „გარდუვალი დაღუპვა“ ერთხმად იწინასწარმეტყველეს პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა!

* * *

ახლა კი ნება მომეცით, ყურადღება მივმართო მარქსიზმის კლასიკოსთა იმ უკვდავი აზრების მიმართ, რომელთაც „დაძველება“ არ უწერიათ.

„ევროპის ერების გულწრფელი საერთაშორისო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ თვითეული ეს ერი სრული ბატონ-პატრონია საკუთარ სახლში“.

საოცარია, თანამედროვე მარქსისტები მაინცდამაინც ამ აზრს არ უწევენ ანგარიშს!

„...ევროპის მუშებისათვის პოლონეთის დამოუკიდებლობა ისევე საჭიროა, როგორც თვით პოლონეთის მუშებისათვის“.

საოცარია, თანამედროვე მარქსისტები მაინცდამაინც ამ აზრს არ უწევენ ანგარიშს!

„თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა...“

საოცარია, თანამედროვე მარქსისტები მაინცდამაინც ამ აზრს არ უწევენ ანგარიშს!

* * *

ჩვენში, რატომღაც, მარქსიზმის ის აზრებია უფრო გასავალში, რომლებიც მისი შემქმნელების სიცოცხლეშივე მოძველდა!

ეს თვალსაზრისი ჩემი არ გახლავთ. თავად „მანიფესტის“ ავტორები აღიარებენ ამას.

„რაგინდ ძლიერად იყოს შეცვლილი ვითარება უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში, ამ „მანიფესტში“ განვითარებუ-

ლი ზოგადი ძირითადი დებულებები დღესაც სახეებით სწორ დებულებად რჩება“.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ!

ოცდახუთი წელიწადი გასულა „მანიფესტის“ გამოქვეყნებიდან და, ამ მოკლე დროის მიუხედავად, მხოლოდ ზოგადი დებულებები დარჩენილან „სწორ დებულებად“.

თორემ „მანიფესტში“ უკვე ბევრი რამ თავად ავტორებსაც აღარ მოსწონთ!

ნახეთ, რა გულისტკივილითაა დაწერილი ეს სტრიქონები!

„თუმცა („მანიფესტი“, — თ. წ.) ძირითად მუხლებში დღესაც სწორია, მაგრამ მაინც დეტალებში დაძველებულია...“

„ამჟამად ეს ადგილი ბევრი მხრივ სხვანაირად უნდა ყოფილიყო გამოთქმული...“

„ალაგ-ალაგ ზოგი რამ კი უნდა შესწორებულიყო...“

ამის აღიარებასაც აღარ დაჭერდნენ და პირდაპირ განაცხადეს:

„უნდა ვთქვათ, რომ ეს პ რ ო გ რ ა მ ა დღეს ალაგ-ალაგ დაძველებულია...“

უფრო მეტიც, მისი ახლით შეცვლის იდეაც გაჩენილა, მაგრამ უკმდეგი მოსაზრებით იკავებენ თავს:

„მანიფესტი“ ისტორიული დოკუმენტია, რომლის შეცვლის უფლება ჩვენ უკვე აღარა გვაქვს“.

და ყოველივე ამას ავტორები მისი ნაწარმოების გამოქვეყნებიდან ო ც დ ა მ ე ხ უ თ ე ვ ე წელს ხედებიან!

ჩვენ კი ისეთი რა უბედურება გვჭირს, რომ საუკუნუნახევრის გავლის შემდეგაც ამ პ რ ო გ რ ა მ ი თ გვინდა კომუნიზმის აშენება!..

ლოჟუნგების ძველანაა!..

(„უპავილების ძველანა“ს ხმაზე)

აუამდე ჩემი საქმიანობა ლიტერატურის კრიტიკით განისაზღვრებოდა და მეც, ავად თუ კარგად, ჩემს გასაკეთებელ საქმეს წესიერად ვაკეთებდი: რაც მომწონდა — მხარს ვუჭერდი, რაც არა — ვაკრიტიკებდი!

მაგრამ დღეს, როცა ქვეყანა დაქცევის პირას მივიყვანეთ და აუცილებელი გახდა ცხოვრების გარდაქმნა, მხოლოდ ამ „ვიწრო“ სპეციალობით ველარ შემოვიფარგლები — მოქმედების არე უნდა განვაჯერო!

იქნებ ვცადო და კრიტიკის სარბიელზე გავარჯიშებული ჩემი თვალი სხვა საჭირობოროტო საკითხებსაც მივაპყრო!

თუ ამ გზას დავადგები, გამორიცხული არაა, კრიტიკოსთვის დღემდე აკრძალულ ზონებშიც რომ შევიხედო!

ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი, ამას გავაკეთებ.

მაგრამ, მინდა, გჭეროდეთ, ჩემი ყოველი შენიშვნა გულსიტკივილით იქნება გამოთქმული, რადგან, სტრიქონი რაა, ჩემი ქვეყნის სიყვარულის გარეშე, ჯერ ისიც კი არ დამიწერია!

ახლა მთავარში შევთანხმდეთ:

მე წინასწარმეტყველი არა ვარ და არ ვიცი — როგორი გზით უნდა ვაშენოთ კაცობრიობის სანუკვარი ოცნება — კომუნისმი!

ჩემი ხელობა უფრო იმის საშუალებას იძლევა, მკითხველს ვაჩვენო — როგორი გზით არ უნდა გვეშენებინა კაცობრიობის სანუკვარი ოცნება — კომუნისმი!

* * *

ქვემოთ პროფილით ვიმუშავებ.

საბჭოთა კავშირი, იმის გარდა, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო რომ არის, ამასთან ლოზუნგების ქვეყანააცა!

ღედამიწის ზურგზე არსად, არც ერთ ქვეყანაში იმდენი ლოზუნგი არ შექმნილა და, მით უმეტეს, არც გამოფენილა, რამდენიც ჩვენთან — ლოზუნგების ქვეყანაში!

თავად ლოზუნგი, მოგეხსენებათ, გერმანული წარმოშობის სიტყვაა და დღემდე იგი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა:

1. მოწოდება, ანუ მოკლედ გამოთქმული სახელმძღვანელო იდეა (დღევანდელი მნიშვნელობა);
2. პირობითი საიდუმლო სიტყვა, პაროლი (ადრინდელი მნიშვნელობა).

საოცარია, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში ეს სიტყვა ახალი მნიშვნელობით დავტვირთეთ! — ლოზუნგს, არც მეტი, არც ნაკლები: პირდაპირ კომუნიზმის აშენების ფუნქცია დავაყისრეთ!..

არადა, ამ სიტყვას მისი პირველი მნიშვნელობით უფრო ვხმარობდით. მაგრამ თუ ამ ტერმინში ზოგჯერ საიდუმლო მნიშვნელობასაც ვღებდით და პაროლად ვიყენებდით, უფრო იმის გამო, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არ შეეტყოთ, ჩვენს ქვეყანაში, სრულ-ჩუმაღ, კომუნიზმს რომ ვაშენებდით!

რასაკვირველია, ამას ისეთი სიფრთხილით ვაკეთებდით, უცხოეთში დღესაც არ იციან, ამასობაში ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმი კინაღამ ორჯერ რომ ავაშენეთ!

„კინაღამ“-მეთქი იმიტომ ვამბობ, ჩვენ რომ აშენებული გვეგონა, თურმე ყველაფერი თავიდან ყოფილა დასაწყები!

მაგრამ, მთავარია, ეს რომ გაიჩვენა!

რაკი ეს დანამდვილებით ვიცით, რომ კომუნიზმი ისევ ხელახლა გვაქვს ასაშენებელი, ამ საქმეს როგორმე მოგუვლით — სხვა თუ არაფერი, ჩვენს ქვეყანას კომუნიზმის აშენების გამოცდილება საქმოდ დაუგროვდა!

ღიად საბჭოეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აგერ, პატარა საქართველოშიც ისე გავწაფულვართ ამ საქმეში, რომ 1963 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ ერთი ქვეთავი ასედაც დაგვისათაურებია! —

„საქართველოს შესვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში“ (გვ. 347).

ეტყობა, მერე ქართველებს ამაზე მნიშვნელოვანი საქმე გამოგვიჩნდა (ვთქვათ, ისეთი, როგორც ყურძნის კრეფა!), თორემ მარტო კომუნიზმის აშენებას რომ გავყოლოდით, ეს საქმე ახლაცაიხნის მოღეული გვექნებოდა!

შეიძლება ამისთვის კიდევ გვისაყვედურონ — თქვე კაი ხალხო, რაკი მიმდგარი იყავით, ჯერ კომუნიზმი აგეშენებინათ და ყურძენი მერე მოგეკრიფათო!

არაა ეს საყვედური სწორი! — ყურძენი, კაპიტალიზმისა არ იყოს, ლპობადია და მალე ფუჭდება!

კომუნიზმი კი სად გაგაქცევა, რაც ნელ-ნელა ააშენებენ, უკეთესია.

მე შენ გეტყვი და, — უცხოეთში მოგასწრებენ მის აშენებას!

ისე არ გამიგოთ, თითქოს მე აქ კაპიტალისტურ ქვეყნებს დაცინოდე, რაკი ჩამოგვრჩებიან, კომუნიზმს ვერ ააშენებენ-მეთქი.

არა, აშენებით, ალბათ, ისინიც ააშენებენ, მაგრამ, ერთი თქმის არ იყოს — რაში ჭირდებათ, თვარა კი!..

* * *

რასაც ახლა მე ვწერ, ეს ზოგს, შეიძლება, სერიოზულ მსჯელობად არც მოეჩვენოს, მაგრამ ისიც ნუ დაგვაიწყებდა, რომ ამ იდეის საბოლოო გამარჯვებამდე ვერც აკადემიურმა ლაპარაკმა მიგვიყვანა!

მეტი თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მე მოვიტან ამონაწერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მასალებიდან და თავად განსაჯეთ:

კომუნიზმის მშენებლობაზე ზემოთ მოტანილ ჩემს მსჯელობას უფრო დაჰკრავს ირონიული ელფერი თუ ზემოთ ნახსენებ ყრილობის ფინალურ ნაწილს, რომლის სრულ ტექსტსაც ახლა გთავაზობთ!

„ახლა, როცა ჩვენ შევიმუშავეთ.საიმედო, სწორი პოლიტიკურ-რეკურსი, მთავარია მისი წარმატებით განხორციელება...“

დიდ წარმატებას გისურვებთ ყველას, ძვირფასო დელეგატებო! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

დიდ წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს პარტიას, ლენინის პარტიას,

საბჭოთა ხალხის აღიარებულ ხელმძღვანელს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

დიდ წარმატებებს ვუსურვებ საბჭოთა მშრომელებს, საკუთარი ბედის შემოქმედთ, საკუთარი ბედნიერების შემოქმედთ! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგო დელეგატებო, ნება მიბოძეთ ამით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობა დამთავრებულად ჩავთვალო.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ქუხს ტაში.. გაისმის შეძახილები: „ვაშა“, „ლენინურ კომუნისტურ პარტიას — დიდება!“ „ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება“ „საბჭოთა ხალხს — დიდება“

დელეგატები და სტუმრები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. დარბაზში კვლავ და კვლავ ქუხს ოვაცია, გაისმის მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად.

(სკკ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 397—398).

ჩემდა თავად, გმირი საბჭოთა ხალხის სადიდებლად და მისი აღიარებული ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად ფეხზე ადგომას როგორ დავიზარებ!

ეგ კი არა, გული მწყდება, ამ სტრიქონებს მარტო რომ ვწერ და საშუალება არა მაქვს, მარტოხელა კაცმა ჩემი ცალფა ტაში მქუხარე ოვაციაში გადავზარდო!..

ოლონდ...

ამ ხანგრძლივმა და მქუხარე ტაშმა, მერე და მერე აღფრთოვანებულ ოვაციებში რომ გადავზარდი, რა დღემდეც მიგვიყვანა, ამას დღეს ყველა ხედავს!..

ჩემი აზრით, ასე იმიტომ დავგეჟართა, რომ ჩვენ. იმის ვარდა, კომუნიზმის მშენებლობის სწორი კონცეფცია რომ არ გქონდა

შერჩეული, საქმის კეთების ნაცვლად ლოზუნგებს „ვაკეთებ-
ლით!“ — ეს სანუტყვარი საზოგადოება რომ აგვეშენებინა!

ლოზუნგებით აშენებული ქვეყანა კი მე ჯერ არსად მინახავს;
ალბათ, არც თქვენს

ესეც ბედის ირონიაა! —

თურმე ჩვენ არა მარტო მცდარი მეთოდით (ლოზუნგების
გზით!) ვაპირებდით ქვეყნის აშენებას, არამედ, როგორც ახლა
დრკვევა, თავად ეს ლოზუნგებიც მცდარი აღმოგვაჩნდა!..

• • •

ლოზუნგების გასინჯვა ჩვენი უპირველესი მოწოდებით —
„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — დავიწყეთ.

ეს ლოზუნგი თუ მოწოდება საბჭოთა ხალხს დღემდე მოუშო-
რებელ ჭირად გვექცა!

არაღა, მარქსიზმის კლასიკოსთა განმარტებით — „პროლეტარი
მოკლებულია საკუთრებას...“

დღეს კი არსად, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ამ „ტი-
პის“ პროლეტარი აღარ არსებობს — ბევრია თუ ცოტა, ის უკვე
გარკვეული ქონების პატრონია!

ამის გარდაც, მარქსისდროინდელი პროლეტარიატის ცნებაც
თვალდახელშეუა გაქრა, რადგან იმ პროლეტარიატის შთამომავლე-
ბი დღეს ზოგი ექიმია, ზოგი იურისტი, ზოგიც — პარლამენტის
წევრიც! — ვინც ძალიან გაიქაჩა — მთავრობის მეთაურიც გახდა!..

ერთი სიტყვით, ვისაც რისი უნარიც ჰქონდა!..

რასაკვირველია, ზოგი მუშადაც დარჩა, მაგრამ, ვაი, საყვარე-
ლო, — ახლა ისინი რომ ცხოვრობენ, ნეტა ჩვენ გვაცხოვრა ისე!..

ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც დღენიადაგ ვავიძახით:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთ-
დით!

კი, მაგრამ, თუ აღარ არიან, როგორღა შეერთდნენ?!

ანდა, დავუშვათ, კიდევ რომ იყვნენ და შეერთდნენ, მერე რა
უნდა აკეთონ?!

ნუთუ დღეს ენა მოუბრუნდება ვინმეს იმის სათქმელად, რომ
თავიანთი შევიცარული საათოფით აწყობილი ქვეყანა დაამხონ და
ჩვენნაირი ააშენონ?

ეს ხომ უზნეობა იქნება!

კი. ბატონო, ჩვენ რომ უკეთესი ცხოვრების აშენება მოგვეხერხებინა, მაშინ კიდევ პო! — მაგრამ...

ახლა სხვის ცოდვაში ნულარ ჩავდგებით, თორემ ღმერთი გვიწყენს!

* * *

დასამალი არაა, ხელისუფლების დამხობისათვის ბრძოლაში ბოლშევიკურმა პარტიამ თანადგომა მუშებსა და გლეხებს ასეთი პირობით რომ თხოვა:

გამარჯვების შემთხვევაში მიწები გლეხებს გადაეცემოდა, ქარხნები — მუშებს!

ეს შეთანხმება ლოზუნგშიც აისახა:

„მიწა გლეხს, ქარხანა — მუშას!“

ამ შომხიბლავი იდეისთვის მართლაც ღირდა თავის გადადება და არსებული ხელისუფლების დამხობა!

დაამხეს კიდევც!..

ბოლშევიკურ მთავრობას ახლა ისღა დარჩენოდა, დათქმული პირობა შეესრულებინა — გლეხისთვის მიწა და მუშისთვის ქარხანა გადაეცა!

მოხდა პირიქით! —

გლეხებს ის მიწებიც ჩამოართვეს, თავის დროზე სიმწრით რომ შექონდათ შეძენილი!

სახელმწიფომ, კოლექტივიზაციის ფორმით, ეს მიწებიც მიიტაცა!

მართალია, ფაბრიკა-ქარხნები, ვისაც ჯერ არს, იმას კი ჩამოერთვა, მაგრამ ესეც სახელმწიფომ მიიტაცა!

მუშებს კი დაპირებული ქარხნების ნაცვლად ამ ქარხნებში იძულებითი კატორღული შრომა მიესაჯათ!..

ახალი ხელისუფლება ამასაც არ დაჯერდა, ამ ქვეყნის „ბატონი“ მუშა და გლეხი ისეთ უანდარმულ რეჟიმში ჩააყენა, ენა არავის მოუბრუნდებოდა იმის სათქმელად — სად არის, პატივცემულო მთავრობავ, თქვენი დაპირებული მიწები და ქარხნებიო?!

ანდა, დაეუშვათ, კიდევ რომ გაებედათ და ეთქვათ, ბატონებო, დათქმული პირობის თანახმად, მიწა და ქარხანა ჩვენიო! — რაკი „სახალხო“ მთავრობა გვეყავდა არჩეული, მე შენ გეტყვი და, ხალ-

ხურ ნიადაგზე აღმოცენებული ირონიული „ხუმრობა“ არ ეხსობებოდა, რომ ეპასუხა!

— თქვენია... დედაბერი რომ ბუთქავს ნამახვანშიო!

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში, შეიძლება, მართლაც კი „ბუთქა“ დედაბერმა სოფელ ნამახვანში, მაგრამ, დანამდვილებით ვიცი, არც იმისგან და არც მთავრობისგან მაშინ გლეხებსა და მუშებს არაფერი რეგებიათ!..



რაკი ჩემი წერილი — „ლოზუნგების ქვეყანა!“ — „ყვავილების ქვეყანა“-ს ხმაზე იწერება, ერთი წუთით ამ სიმღერის შესავალი ნაწილი გავიხსენოთ:

ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე,
რომ დამპირდი შოვლო, რატომ დაიგვიანე...

ამ სიმღერის ტექსტის ავტორი, ცხადია, სატრფოს დაგვიანებას მისტირის, მე კიდეც ჩემი სადარღებელი მაქვს — კომუნიზმის მშენებლობა გამიჭიანურდა!

ეს საკითხი, თავის დროზე, ლენინსაც აწვალებდა!

დიდი და ხანგრძლივი ფიქრის ნაყოფია კომუნიზმის მშენებლობის ეს ლენინური რეცეპტი! —

„კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება, პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია!“

სამწუხაროდ, დიდი ლენინის ამ ლოზუნგმაც ვერ გაამართლა!

მართალია, ბელადის ეს სიტყვები დიდხანს ქეშმარიტება გვეგონა, მაგრამ მერე და მერე, როცა ელექტროენერგია ვიშოვეთ და კომუნიზმი მაინც იგვიანებდა, ღმერთო, შეგცოდენ, ამ ლოზუნგებს ირგვლივ ცოტა ეჭვიც კი გაჩნდა.

ეტყობა, ამ ლოზუნგის სამართლიანობა და სიზუსტე ვერც ახლახან მოსკოვში ჩატარებულმა სახალხო დეპუტატთა ყრილობამ ირწმუნა!

ამას შემდეგი გარემოება მაფიქრებინებს:

როცა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატებმა ერთმანეთი კინალამ დახოცეს იმ გზის აღმოჩენაში, საბჭოთა კავშირს ჩიხიდან რომ გამოიყვანდა, ჩემდა გასაოცრად, არავის გახსენებია ბრძენი ილიჩის ნათქვამი ელექტროფიკაციის როლზე კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

ერთი პირობა ისიც ვიფიქრე — ავღგები და ელვა-დეპეშას გ-
ეუგზავნი ყრილობას და უკვდავი ბელადის სიტყვებს შევანხენებ-
მეთქი!

მაგრამ დეპუტატთა უზომოდ შეწუხებულ სახეებს რომ ვუმ-
ხვრდი, ვიფიქრე, ვაითუ სწორად ვერ გამიგონ და მიიხრან — შენც
ნახე რა, ხუმრობის დროო!

არადა, გულწრფელად მეგონა, რაკი ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა
ხელისუფლება ჯერ კიდევ არის, კომუნიზმის ასაშენებლად ქვეყნის
ელექტროფიკაცია იკმარებს-მეთქი!

ტუმცა მე რა მეგონა — ასე ეგონა დიდ ლენინს!

* * *

რაკი ჩვენში, პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში, კომუ-
ნისტური საზოგადოების აშენება გადავწყვიტეთ, ბუნებრივია, ეს
უდიდესი მისია „ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორმა და
ალიარებულმა წინამძღოლმა“ — კომუნისტურმა პარტიამ ითავა!

ჩვენ კარგად ვიცოდით, ქვეყნის აღმშენებლობის საკითხს ვისაც
ვანდობდით! მასზე დღენიდავ ლექსებს ვქმნიდით და ბოლოს
ლოზუნგშიც გავაცხადეთ:

„პარტია ჩვენი საუკუნის გონება, სინდისი და პატიოსნებაა!“
კომუნიზმის ასაშენებლად კი ამაზე უკეთეს „მოიჯარადრეს“
ვერ ვიშოვიდით!

გავიდა 72 წელი!..

და იმ 62 მილიონი (აღრე შეცდომით 50 მილიონს ვწერდი!)
ადამიანის მსხვერპლის გარდა, კომუნიზმის აშენებას რომ შეეწი-
რეთ, სხვა რეალური ხელში არაფერი შემოგვრჩა!

ამ გაუგონარ ტრაგედიაზე კი „ჩვენი ეპოქის გონებამ“ მიგ-
ვიყვანა!..

ის 62 მილიონი ადამიანის სიცოცხლეც „ჩვენი ეპოქის სინ-
დისმა და პატიოსნებამ“ შეიწირა!..

ახლა კი ყველაფერი ისევ თავიდან გვაქვს დასაწყები და ასა-
შენებელი!

შეიძლება მისაყვედურონ და თქვან: კომუნისტური პარტია რა შეაშია, ამ პარტიას სხვადასხვა დროს სათავეში რომ ედგნენ — ისინი აღმოჩნდნენ არამზადებიო!

ეს, თავისთავად! — მაგრამ „ეპოქის სინდისი და პატიოსნება“ რა იწვევს შეიძლება შეცდეს მათ არჩევანში?!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას „გონება“ მაშინ უფრო არ მოეთხოვება, როცა თავის საკუთარ ხელმძღვანელს ირჩევს?!

ამის გარდაც, ჩვენ ხომ საბჭოთა ქვეყნის არსებობის მთელ პანძილზე ერთსადაიმავეს ვიძახდით — „პარტია ჩვენი მესაქეა!“

როცა ხომალდი სწორ გზას ვერ ირჩევს, მე სააქე მართლა არაფერ შუაშია?!

მაშინ, ალბათ, ამ ლოზუნგს — პარტია ჩვენი მესაქეა! — უნდა შეველიოთ და გულწრფელად ვაღიაროთ:

ერთპარტიულ სისტემაში ქვეყნის მესაქეა ის, ვინც ამ პარტიას კონკრეტულად იმ მომენტში უდგას სათავეში!

ეს, ფაქტიურად, ასეცაა!

თუ გახსოვთ, როცა ხელისუფლების სათავეში სტალინი იდგა, მაშინ ქვეყანაში საყოველთაო შიში მეფობდა და ხალხიც გეგმა-ზომიერად და მიზანმიმართულად იელიტებოდა!

ეს გრძელდებოდა 30 წელიწადს!...

თუკი ამ წლებში ქვეყნის მესაქე სტალინი კი არა, კომუნისტური პარტია იყო, ცხადია, მაშინ იგი ჩვენი ეპოქის „სინდისი და გონება“ ვერ იქნება!..

თუ გახსოვთ, როცა ხელისუფლების სათავეში ხრუშჩოვი იდგა, ეს სიმწრით ნაშენები ქვეყანა ერთბაშად უფსკრულის პირას აღმოჩნდა და მის დაქცევასა და დამხობას აღარაფერი აკლდა!

ეს კი ასე გრძელდებოდა 11 წელიწადს!

თუკი ამ წლებში ქვეყნის მესაქე ხრუშჩოვი კი არა, კომუნისტური პარტია იყო, ცხადია, მაშინ იგი ჩვენი ეპოქის „სინდისი და გონება“ ვერ იქნება!

თუ გახსოვთ, როცა ხელისუფლების სათავეში ბრეჟნევი იდგა, ქვეყანაში გამეფებულ უძრობას სიცოცხლის მცირედი ნიშან-წყალი მხოლოდ მაშინ დაეტყობოდა, როცა ლეონიდ ილიას ძეს მკერ-

დღე მორიგ „ვარსკვლავს“ დაკვიდებლით და ფაყვე ტაშს დავცებ-
დით!

ეს კი ასე გრძელდებოდა 20 წელიწადს—

თუკი ამ წლებში ქვეყნის მესაქვე ბრეყნევი კი არა, კომუნის-
ტური პარტია იყო, მაშინ იგი ჩვენი ეპოქის „სინდისი და პატი-
ოსნება“ ვერ იქნება!..

ამიტომ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ — ერთპარტიულ სის-
ტემაში ქვეყნის მესაქვე ის, ვინც ამ პარტიას კონკრეტულად იმ
მომენტში უდგას სათავეში!

ამ ნათქვამს წყალი არ გაუვა!

კი, მაგრამ ახლანდელი პერესტროიკა, ჩვენს ქვეყანაში რომ
მიმდინარეობს, ხომ კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო?!

ნიშნისმოგებით მეტყვიან ჩემი ოპონენტები!

მათ გასაგონად მინდა ხმამალლა ვთქვა:

ახლანდელი პერესტროიკა დაიწყო არა კომუნისტურმა პარ-
ტიამ, არამედ იმან, ვინც ამ პარტიას დღეს უდგას სათავეში, კერ-
ძოდ კი მიხეილ გორბაჩოვმა!

არა გჯერათ?

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ბრეყნევისა და ჩერჩნეკოს
ხელში (რომელიმეს აქამდე რომ ეცოცხლა და ქვეყნის საკესთან
მდგარიყო!) — როგორ გგონიათ, კომუნისტურ პარტიას დიდი
ხნის წინ ექნებოდა დაწყებული პერესტროიკა?!

ამაზე მეტი საბუთი კიდევ რა გითხრათ, რით დაგაჯეროთ?!

აი, რატომ არ მიმაჩნია მე სწორ ლოზუნგად — „პარტია
ჩვენი მესაქვეა!“

არადა, ჯერ ყოვლად უმაქნის ლოზუნგზე — „პროლეტარებო
ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — ვერ გვითქვამს უარი და დავიჯე-
რო ახლა, ჩვენ ის ხალხი ვართ — პარტიის მესაქვეობას ასე იო-
ალდ რომ შეველიოთ?!

არადა უნდა შეველიოთ!

ყველა ლოზუნგს უნდა შეველიოთ და საქმე ვაკეთოთ!..

ვაიძე, ჩემო მკითხველო!..

აწუ

წითელი ბარათი წინასწარი გაფრთხილების გარეშე

ბევრი გამამტყუნებს: საკუთარი მისამართით გამოთქმულ არც ერთ შენიშვნას უპასუხოდ არ ტოვებსო.

ამიტომ დავაზუსტებ: მე უპასუხოდ არ ვტოვებ ჩემი მისამართით გამოთქმულ არა „ყოველ შენიშვნას“, არამედ ყოველ უსამართლო შენიშვნას!

ამასთან, ამას ვაკეთებ არა საკუთარი პატივმოყვარეობის გამო, არამედ იმიტომ, რომ არ მინდა, მკითხველის თვალში ეჭვიმტანილი კრიტიკოსის შთაბეჭდილებას ვტოვებდე!..

შორეული პარალელია, მაგრამ მინდა, ერთი ეპიზოდი გაეხსენო კეისრის ცნობრებიდან:

საიდუმლო ხმები კეისრის მეუღლის პატიოსნებას ეჭვქვეშ აყენებდა.

სრულიად ახალგაზრდა იულიუსი ცოლს გაეყარა.

სასამართლოს კითხვაზე: ადასტურებთ თუ არა ცოლის დელატსო, კეისარმა უარყოფითად უპასუხა.

მეშ, რატომ ეყრებიან, გაიკვირვებს თემიდას მსახურებმა.

კეისრის მეუღლე არ შეიძლება ეჭვიმტანილი იყოსო! — უპასუხა კეისარმა.

ათას ბოდიშს ვიხდი ამ ძალზე უხერხული პარალელისთვის, მაგრამ, რაკი თითოთოროლა მკითხველი მეც გამიჩნდა, არ მინდა, მათ თვალში ეჭვიმტანილი კრიტიკოსის შთაბეჭდილებას ვტოვებდე...



უკვე შეატყობდით, წერილი გულნატკენი კაცის ხელით არის დაწერილი.

ცხადია, ამ განწყობის დამალვა მოხერხდებოდა, მაგრამ რაკი

მე და ჯანსუღ ღვინჯილია იმ ასაკს გადაცილებული ვართ, გურამიშვილი „რიკფაინის“ დროს რომ ეძახის, აღარ შეგვშენის, ერთმანეთს კუკუმალობანა ვეთამაშოთ და სათქმელი პირში არ ვუთხრათ.

ამიტომ პირდაპირ საქმიდან დავიწყებ.

რევაზ ჯაფარიძისადმი ჩემს პასუხს („ცისკარი“ № 7, 1985 წ.) უურნალის იმავე ნომერში მოპყვა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ქალბატონ ოლია სოსელიასა და „ცისკრის“ მთავარი რედაქტორის, ჯანსუღ ღვინჯილიას წერილები.

პატივცემული მეცნიერი ობიექტური მკითხველის სახელით გამოდის. ჯანსუღ ღვინჯილიას სტატიის ხასიათის განსაზღვრა მე გამიჭირდა, ამიტომ მისსავე განმარტებას დავეყრდნობი — „ეს წერილი სარედაქციო დისკუსიის დანიშნულებას ატარებს“-ო.

სამწუხაროდ, ქალბატონი ოლია სოსელია ვერ ჩაითვლება პირუთენელ მკითხველად.

საქმე ის არის, რომ „მძიმე ჯვრის“ ავტორსა და პატივცემულ მეცნიერს შორის მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობის კვალი მკითხველს აქამდეც ექნებოდა შემჩნეული! — რევაზ ჯაფარიძეს თავის საპასუხო წერილში არაერთხელ აღუნიშნავს ეს ახლობლობა და მეცნიერის სახელიც, რომ იტყვიან, პირზე ეკერა!

„...აი, რას გვეუბნება ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ო. სოსელია თავისი ნაშრომის... 183-ე გვერდზე“.

„გარდა ო. სოსელიას დასახელებული ნაშრომისა ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ...“

რაც აქამდე ვიხილეთ, ესეც საკმარისი საბუთია. ჩემი ვარაუდი დადასტურებულად რომ ჩავთვალთ!

მეტის თქმაც შეიძლება: ეს „ახლობლობა“ მათს წერილებშიც შეიმჩნევა! ზოგ „გულუბრყვილო“ მკითხველს ისიც კი მოეჩვენება — ქალბატონ ოლია სოსელიას წერილში თითქოს პატივცემული მწერლის ფრაზებს გადააწყდა!

ყოველ შემთხვევაში, მათი წერილების ინტონაციური და ფრაზეოლოგიური დაკვირვება ამის თქმის საშუალებას იძლევა!

„მართლა ასეა ვითომ ეს? (რ. ჯაფარიძე).“

„აშას ვითომ ვერ მიხვდა კრიტიკოსი?“ (ო. სოსელია).

მე როგორ ვერ მივხვდი, მაგრამ რატომ „ცისკარში“ ვერ მიხვდნენ. ამას, ძალიან მიკვირს!

„თუ ეს ასე არ არის...“ (რ. ჯაფარიძის წერილიდან).

„მგვრამ არ არის ეს ასე...“ (ო. სოსელიას წერილიდან).

ნეტავ მართლა არ იყოს ეს ასე, ქალბატონო ოლია, მგვრამ წამ-
დვილად ასე!

ამიტომ, თუ ამ ხმაწეწყობილ და შეხმატკბილებულ დუეტს
„ცისკრის“ მთავარ რედაქტორსაც მივუმატებთ, რომლის წილი ამ
აშკარა ტენდენციურ პოლემიკაში ერთობ დიდია, გულწრფელად
შეგვშურდება სიმღერის ტექსტისა „ნ ე ტ ა ვ ი ძ მ ა თ ა მ რ ა -
ვ ა ლ თ ა...“

მე კიდევ — „მარტოკამ უნდა ვიომო, ქვეყანამ დაინახოსა...“

ეტყობა, ჯოყოლას კომპლექსიდან ჯერაც ვერ გამოვსულვარ! —
გული ახლაც განცალკევებული მოქმედებისკენ მიმიწევს...

* * *

პატივცემულ გწერალთან ჩემს პოლემიკას „ცისკრის“ მსაჯთა
ბრიგადა ემსახურებოდა.

სამწუხაროდ, მთავარმა რეფერმა, ყურნალის რედაქტორმა ჯან-
სულ ღვინჯილიამ ეს შეხვედრა დაბალ პროფესიულ დონეზე და
აშკარად მიკერძოებით ჩაატარა.

ჩემი აზრით, ამ დავაში ის მხოლოდ მსაჯულის როლით უნდა
დაკმაყოფილებულიყო.

ჯანსულ ღვინჯილიამ კი მოსამართლის მანტიას პროკურორის
მუნდირი არჩია! — მსაჯულის ნაცვლად ბრალმდებლად მოგვევ-
ლინა!

უფრო ზუსტად, ბრალმდებლად მე მომევლინა — სარედაქციო
წერილში თავიდანვე გამინაპირა და მთავარ საქმედ ჩემი დასჯა
აქცია!

ჩემი კრიტიკული მოღვაწეობის მთელ მანძილზე ამ ერთადერ-
თხელ დავიმსახურე რედაქტორის წითელი ბარათი! ჯანსულ ღვინ-
ჯილიამ ჩემი წერილებიანად გამაძევა კრიტიკის სფეროდან!

და, რაც უფრო გულსატკენია, ეს გააკეთა ქართველი „მკითხვე-
ლის სახელით!

„მკითხველი მეტს ვერ მოითმენს, უკვე მძაფრი სიგნალები გა-
ისმის პროტესტისა... მალე ეს აუდიტორია მკაცრად ალაპარაკდე-
ბა! არა გვეცალია ჩვენ ერთმანეთის საძიძვანდ და გულსაკლავად“.

და, რაც უფრო გულსატყენია, ეს გააკეთა „ცისკრის“ სახელით: „უურნალ“ „ცისკრის“ რედაქცია ვერ შეურიგდება, რომ მომავალი ლიტერატურული თაობები კამათის ასეთ კულტურაზე გაიზარდონ! კამათის ასეთ კულტურაზე ახალბედა კრიტიკოსების აღზრდა ქართული ლიტერატურის მომავლის წინასწარ დამახინჯებას მოასწავებს“.

რაც გინდათ, ის თქვით, ჯანსუღ ღვინჯილიას ლოზუნგების ენაზე გაწყობილ კრიტიკას გადამდები თვისება ნამდვილად აქვს! — საზეიმო ფიცის წარმოსათქმელად მეც ვანმაწყო!

— ქართული ლიტერატურის მომავალს ჩემს გამო თუ ელის საფრთხე, თავს არ ვიცოცხლებ!.. მარტო იმაზე დამწყდება გული, უკნასაკნელ გზაზე მკითხველის ცრემლი რომ არ გამყვება...

მაგრამ... ვიდრე უღმობელ განაჩენს აღვასრულებდე, ვთხოვთ, ნება დამართოთ, პატივცემული მეცნიერის ბრალდებისგან დავიცვა თავი.

* * *

იქნებ ზოგმა არ იცის: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ოლია სოსელია, იმის გარდა, რომ საქართველოს ისტორიის სპეციალისტია, იგი თითქმის იმ საუკუნისა და იმ წლების ბეცნიერი მკვლევარია, „მძიმე ჯვრის“ პერსონაჟები რომ მოქმედებენ.

ჩემთვის, როგორც რეცენზენტისთვის, მეტი სიხარული რა უნდა ყოფილიყო, როცა შევიტყვე, დაახლოებით 2 700 შეცდომიდან, მწერალს რომ მივეუთითე: „მთლად სწორი“ მხოლოდ შვიდი არ აღმოჩნდა!

ჩემს მიერ მწერლისადმი მითითებული 2 693 შეცდომა თითქმის აფთიაქარის სიზუსტით ამიწონია!

არ გეგონოთ, ვაკარბებდე. ამის თქმის უფლებას მეცნიერის შემდეგი განცხადება მაძლევს:

„თავისი წერილის პრინციპად მას (კრიტიკოსს), როგორც თავად აცხადებს, „აფთიაქარის სიზუსტე“ აურჩევია და ჩვენც მის წერილს ამ პრინციპით მივეუდგებით“.

ამ დიდი გამოცდის შემდეგ, უფლება მაქვს, ვთქვა, მართლაც საოცარი პასუხისმგებლობით მოვკიდებივარ პატივცემული მწერ-

ლის რომანს, მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მე რიგითი კრიტიკოსი ვარ და არა ისტორიის სპეციალისტი.

სამწუხაროდ, ქალბატონმა ოლიამ თავისი წერილით ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს მწერალთან მე მხოლოდ ამ შვიდი პუნქტის გამო ვდავობდი!

შკითხველს არაფერი უთხრა იმის თაობაზე, ჩემი დანარჩენი, 2 693 შენიშვნა სრულ სიმართლეს რომ შეიცავდა!

განსხვავებულ აზრთა გაზიარება ხელს უწყობს ჭეშმარიტების გარკვევას. ბრძანებს პატივცემული მეცნიერი.

ქალბატონ ოლიას წერილმა, რა თქმა უნდა, უნებლიეთ, მართლა შეუწყო ხელი ჭეშმარიტების გარკვევას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა მწერლის სასარგებლოდ, რისი დიდი სურვილიც პატივცემულ მეცნიერს ნამდვილად ჰქონდა!

ზემოთაც აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ: ქალბატონ ოლიას წერილიდან გაირკვა, დაახლოებით 2 700 შეცდომიდან, თავის დროზე მწერალს რომ მივუთითე, მთლად სწორი მხოლოდ შეიღში არ აღმოეჩნდი!

ასე, რომ, ქალბატონ ოლიას ანგარიშით, ჩემსა და პატივცემულ მწერალს შორის, სიზუსტის თვალსაზრისით, ასეთი თანაფარდობაა:

2 693 : 7!

თუ არ მეჩვენება, ეს ანგარიში, მგონი, ჩემს ერთგვარ უპირატესობაზეც კი მიუთითებს!..

და ახლა იმაზე მწყდება გული, ჩემი შესაძლებლობა სრულად რომ ვერ გამოვიყენე და პატივცემულ მწერალთან ეს შეხვედრა „მშრალი“ ანგარიშით არ დავამთავრე...



„ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მომხიბვლელობას ჰკარგავს“ (პოლ ვალერი).

ეს მწარე სიმართლე ჯანსუღ ღვინჯილიას სარედაქციო წერილმა გამახსენა. ჩემს ბედში მყოფი კაცისთვის ვალერის ეს სიტყვები დიდი შეებაა. სხვანაირად, ამ სიტყვების გარეშე, მე ვერ ავხსნიდი „ციხის“ რედაქტორის გაგულისების მიზეზს.

ამის გარდა, ჯანსუღ ღვინჯილიასთან სალაპარაკო ისედაც და-

მიგროვდა. უფრო ზუსტად, სალაპარაკო დამიგროვდა მკითხველ-
თან... ჯანსულ ღვინჯილიას გამო.

სემოთ აღვნიშნე, პატივცემულ მწერალთან ჩემს პოლემიკას
ეურნალ „ცისკრის“ რედაქტორი უძღვებოდა. ამასთან დაკავშირე-
ბული ჩემი გულსტიკივილიც იქვე გამოვთქვი, რომ ეს შეხვედრა-
დაბალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა.

ამის მიზეზი, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, ჯანსულ ღვინ-
ჯილიას მხრებზე მოსხმული პროკურორის მუნდირიც იყო!

თუმცა, ასე რომ მოიქცა, ამას მართო ძალაუფლებისაკენ
ლტოლვა არ განაპირობებდა — იგი მოსაძმართლედ ისედაც არ
ივარკებდა!

თითქმის წარმოუდგენელია, წესიერმა კაცმა სამართალი გაა-
ჩინო იქ, სადაც ორი დაპირისპირებული მხრიდან ერთის ნაწარ-
მოები წაკითხული არა გაქვს.

„საჭიროდ მიმაჩნია, დაინტერესებულ მკითხველს საქმის ვითარ-
ება გაეაცნო“. — ეს ჯანსულ ღვინჯილიას სიტყვებია. ესარგებ-
ლობ ამ აზრით და მეც მინდა საქმის ვითარება გაგაცნოთ.

როცა „ცისკარში“ რევაზ ჯაფარიძის დაუშაბუთებელი პასუხი
გამოქვეყნდა, იძულებული გავხდი, ჩემი წერილიც იქ მიმეტანა.

რედაქციაში ამ „მიღებას“ მთავარი რედაქტორი, მისი მოადგი-
ლე, პასუხისმგებელი მდივანი და კრიტიკის განყოფილების გამგე
ესწრებოდნენ.

მე მათ გულწრფელად ვუთხარი, თუ რომელიმეს „მძიმე ჯვარის“
ოთხი წიგნიდან ერთი მაინც ექნებოდა წაკითხული, წერილს
უკან წავიღებდი.

მძიმე და უხერხული ღუმილი არავის დაურღვევია...

იმედი მაქვს, აქ ჩამოთვლილი პირები, წესიერი ხალხი, ჩემს
ნათქვამს დაადასტურებენ.

რასაკვირველია, ეს ინფორმაცია ჯანსულ ღვინჯილიას დასასმე-
ნად არ მომიტანია. უფრო იმას ვცდილობ და ის მინდა მოვახერ-
ხო, როგორმე „მძიმე ჯვარი“ წავაკითხო!

ყველა სხვა სასჯელი, მისი უსამართლო საქციელისათვის, ცო-
ტა იქნება...

ქვემოთ იმ გახმაურებულ შვიდ შენიშვნაზე უხდა ვისაუბრო, რომლებშიც, პატივცემული მეცნიერის აზრით, არც მე აღმოვჩნდი „მთლად სწორი“.

ყოველი ბრალდების გაბათილების შემდეგ, ნება მომეცით, უხერხული კითხვაც დავსვა — ნუთუ „ცისკრის“ რედაქციაში არ იყო კაცი, ამ სადავო საკითხებში მეტად რომ იქნებოდა გარკვეული?!

ჩემი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს იმავე ნუმერაციით მივყვეთ, ქალბატონმა ოლიამ რომ მოგვაწოდა.

1. პატივცემული მეცნიერის აზრით, მე ვერ გავრკვეულვარ ალექსანდრე მესხუთის შვილების საკითხში. ამ საყვედურს ასე ამთავრებს:

„ცარიელი სიტყვებით რომ არ ვილაპარაკოთ, ახლა ვნახოთ რა წერია ამის შესახებ ისტორიულ საბუთებში“.

იქვე მოაქვს ეს საბუთები და ასკვნის:

„ისე რომ, იმერთა მეფე ალექსანდრე მესხუთეს, როგორც კრიტიკოსს ჰგონია, ოთხი კი არა, ექვსი ვაჟი ჰყავდა“.

კეთილი და პატიოსანი.

ამ საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ ამონაწერს ჩემი წერილიდან და, ძალიან გთხოვთ, მე რაც მგონია, მარტო ქალბატონ ოლიას გასარკვევი ნუ იქნება!

„მღვთივ გვირგვინოსნებმა (მეფე ალექსანდრემ და დედოფალმა, თამარმა — თ. წ.) დაგვიდასტურეს, რომ მათ იმ დროისათვის, როცა ეს სიგელი შეადგინეს (1744 წ.) ოთხი შვილი ჰყავდათ:

სოლომონ, ნარინ-დავით, იესე, ბაგრატ.

რამდენიმე წლის შემდეგ (დაახლოებით 1744—47 წწ.) კიდევ ერთი სასურველი ძე შესძენიათ.

მეფე ალექსანდრე სხვა წყალობის წიგნში წერს:

„...პირმშომან და სასურველმან ჩვენმა სოლომონ და ნარინ-დავით, იესემ, ბაგრატ და არჩილ...“

„ამის შემდეგ სულკუთხეულ ალექსანდრეს ერთი შვილი კიდევ გაუჩნდა და სახელად გიორგი დაარქვა...“

მკითხველის ნებართვით, „ცისკრის“ რედაქტორს მინდა გავუ-საუბრო.

ბატონო ჯანსუღ. ამ ციტატის წაკითხვის შემდეგ თქვენც იზი-

არებთ ქალბატონ ოლიას აზრს, რომ მე მართლა არ ვიცი, რამდენი შვილი ჰყავდა მეფე ალექსანდრე მეხუთეს?

თქვენი აზრით, მე მართლა მგონია, რომ ალექსანდრეს ოთხი ვაჟი ჰყავდა და არა ექვსი?

თუ მაინც ასე ფიქრობთ, მეტი თვალსაჩინოებისათვის ცხრილ-საც მოგიტანთ:

ჩემი ხია:

სოლომონ,
ნარინ-დავით,
იესე,
ბაგრატ,
არჩილ,
გიორგი.

ქ-5 ოლიას ხია:

სოლომონ,
ნარინ-დავით,
იესე
ბაგრატ,
არჩილ,
გიორგი.

ეს „სიები“ კი „ცისკრის“ ფურცლებზე, თქვენი ლოცვა-კურთხევით, გვერდიგვერ არის დაბეჭდილი!

სხვისი არ ვიცი, მე პირადად, ჩემმა რედაქტორობამ ამ დღეში რომ ჩამაყენოს, რედაქციის თანამშრომლებს კაი ხანს თვალს ვერ გაეუხწორებდი.

პატივცემული მეცნიერიც მძიმე დღეში აღმოჩნდა. მისთვის ვინმეს რომ ეთქვა, რომ ჩემს წერილში საუცხოოდ არის გარკვეული სოლომონის დედამამიშვილების საკითხი, ქალბატონი ოლია თავის წერილში ამ — რიგით პირველ — შენიშვნას მოხსნიდა და ჩემს ანგარიშზე შვიდი შეცდომის მაგიერ ექვსი დარჩებოდა.

პატივცემულ მწერალთანაც ჩემი შეხვედრის ანგარიში უფრო შთაბეჭედავი (2694 : 6) გახდებოდა.



რაკი „ცისკრის“ რედაქტორს „მძიმე ჯვარი“ წაკითხული არ ჰქონდა, სწორად მოიქცა, თავის სარედაქციო წერილში საუბარი ისე რომ წარმართა, რომანს ფაქტიურად არც შეხებია!

აღბათ, დამეთანხმებით, ქვემოთ მოტანილი ლიტერატურული ტრანსპარანტების დასაწერად სულაც არ არის საჭირო, „მძიმე ჯვარი“ წაკითხული გვქონდეს.

„ჩვენ თავის დროზე არ შევთანხმდით, თუ რა არის კრიტიკული აზროვნების ქეშმარიტი ფორმები და მეთოდები...“

„გადაუდებელ ამოცანად გვეჩვენება დროზე გავაანალიზოთ ეს მეთოდები და ფორმები...“

„ყოველგვარ კრიტიკას კრიტიკა ვერ დაერქმევა და ყოველგვარ გამოცოცხლებას — კრიტიკული აზრის აღორძინება“.

„გასარკვევია არა მარტო ამ კონკრეტული კამათის სტრუქტურა, გასარკვევია, საერთოდ ჩვენი პაექრობის „მექანიზმი“.

„ქართული კრიტიკული აზროვნება თავის გზას ასე ვერ გააგრძელებს...“

„...როგორ თვალსა და ხელს შუა დაგვიმახინჯდა კრიტიკის სააზროვნო ფორმები, როგორ შეიბღალა მისი ნორმები...“

„სამშიშა, ამ ვნებებზე არ აღიზარდონ მომავალი ლიტერატურული თაობები“.

ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს აზრები, თავისთავად მშვენიერსი და ძვირფასნი, ცოტა უადგილოდ არიან მოხმობილნი?!

რამდენადაც ვიცით, სარედაქციო წერილში „ცისკრის“ რედაქტორისათვის არავის უთხოვია, კამათის კულტურაზე ლექცია წაგვიკითხეთ!

ამ თემაზე მას რამდენიმე თეორიული სტატია და ერთი მოზრდილი კრებული აქვს გამოქვეყნებული და, არა მგონია, რაიმე აუცილებლობით ყოფილიყო გამოწვეული რამდენჯერმე ნათქვამი აზრის ხელახალი გამეორება!

ამ შემთხვევის ასახსნელად ერთი უცხოური იუმორი თუ გამოდგება!

..მგზავრს კონტროლიორმა ბილეთი მოთხოვა. მაქვსო! იყო პასუხი. მაჩვენეთო, მოითხოვეს.

ამ სიტყვის მერე იყო, განაწყენებულმა მგზავრმა თითქმის ერთსაათიანი ლექცია რომ წაიკითხა ადამიანთა უნდობლობაზე!

დარცხვენილი კონტროლიორი ავტობუსიდან ჩავიდა.

გვერდით მჯდომმა მგზავრმა გულწრფელად იკითხა: კი, მაგრამ, ამდენ ლაპარაკს არ ჯობდა, ბილეთი გეჩვენებინათ?

ბილეთი რომ მქონოდა, გიჟი კი არ ვიყავი, ამდენი მელაპარაკაო!

აღბათ, გენიშნათ, ჯანსუღ ღვინჯილიას რომანი წაკითხული რომ

ჰქონოდა, ცხადია, უფრო სერიოზული საქმე გამოუჩნდებოდა და კამათის ეთიკაზე ლექციას არ წაიკითხავდა...

* * *

2. პატივცემული მეცნიერის მომდევნო შენიშვნა ასეთია: კრიტიკოსს მოაქვს ამონაწერი „მძიმე ჯვრიდან“ და ამ ამონაწერს ასეთ კომენტარს უკეთებს:

„სინამდვილეში, ე. ი. ისტორიულად არსებული პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლები ძმები არ ყოფილან“ და უკანასკნელი „არც ზემო მხარის სარდალი“ იყო.

პატივცემული მეცნიერის აზრით, აქ „არც მწერალია ზუსტი და არც კრიტიკოსი“.

მწერალი რომ მართალი არ იყო, ეს მე თავის დროზე ვთქვი და მაღლობელი ვარ ქალბატონი ოლიასი, რომ დავიდასტურა.

ახლა ის უნდა ვაჩვენო, რომ ამ საკითხში არც პატივცემული მეცნიერია მართალი.

მე მაშინ ვწერდი:

1. ქაიხოსრო და პაპუნა წერეთლები ძმები არ არიან.

2. იმ დროს ქაიხოსრო წერეთელი ზემო მხარის სარდალი არ ყოფილა.

პირველ საკითხში პატივცემული მეცნიერი ჩემს მხარესაა:

„ერთში კი კრიტიკოსი მართალია: ქაიხოსრო და პაპუნა წერეთლები ძმები არ არიან. ქაიხოსრო პაპუნას პირმშო შვილია“.

მეორე შენიშვნის გამო ქალბატონი ოლია მპასუხობს:

„ქაიხოსრო ნამდვილად იყო ზემო მხარის სარდალი. ამ თანამდებობაზე პირველად იხსენიება იგი 1755 წელს“.

ქალბატონ ოლიასთან ერთად „ცისკრის“ რედაქტორსაც ვთხოვ ყურადღებას.

რევაზ ჯაფარიძის რომანის მიხედვით შეთქმულებმა მეფე სოლომონი ტახტზე ასელის დღესვე ჩამოაგდეს.

მაშასადამე, ეს 1752 წელს უნდა მომხდარიყო!

პატივცემული მეცნიერის მიერ მიკვლეული საბუთებით კი ქაიხოსრო წერეთელი „ამ თანამდებობით პირველად იხსენიება 1755 წელს“.

აქედან გამომდინარე, კაცი, რომელიც 1755 წელს „პირველად

იხსენიება სარდლად“, 1752 წელს ამ თანამდებობაზე როგორ იქნებოდა?!

ამიტომ მინდა, საყვედურით მივმართო პატივცემულ მეცნიერს:

ქალბატონო ოლია, თქვენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბრძანდებით და ამ საკითხში მწერალზე მეტი ცოდნა მოგეთხოვებათ! — ასეთი შეცდომა სტუდენტს რომ დაეშვა, ხომ ვერ მოუწონებდით?

რა თქმა უნდა, საქმეს ვერც თქვენი გულწრფელი აღიარება შეცვლის:

„წერეთელთა ფეოდალურ გვარში იმდენი პაპუნა და ქაიხოსროა, რომ ძალიან ძნელია კაცმა თავი გაართვას ვინ ვისი ძმა ან შვილი იყო და ვის ჩოდის რა სახელი ეჭირა“.

კი, მაგრამ, ქალბატონო ოლია, ხომ შეიძლება ვინმემ იკითხოს — რა ძალა გადგათ, ამ ხათაბალაში თავი რომ გაყავით?!

პატივცემულ მეცნიერთან ერთად მე ბატონ ჯანსუღსაც ვთხოვე ყურადღებით ყოფილიყო.

თუმცა ამ საკითხში მარტო ყურადღებით ყოფნა არ კმარა, ცოტა მეტი გარკვევის უნარიც არის საჭირო!

არადა, ქალბატონ ოლიასათვის რედაქციაში ვინმეს ჩემსავით რომ აეხსნა „წერეთლების ამბავი“, პატივცემული მეცნიერიც თავის წერილში ამ — რიგით მეორე — შენიშვნას მოხსნიდა და ჩემს ანგარიშზე ექვსი შეცდომის მაგიერ ხუთი დარჩებოდა.

პატივცემულ მწერალთანაც ჩემი შეხვედრის ანგარიში უფრო შთამბეჭდავი (2695 : 5) გახდებოდა!

* * *

ზემოთ ითქვა, ჯანსუღ ღვინჯილიას რომანი წაკითხული რომ ჰქონოდა, კამათის ეთიკაზე ამდენს არ ილაპარაკებდა.

ადგებოდა და გაარკვევდა, პატივცემულ მწერალს მე რომ 2 700 შეცდომა მივუთითე, ყველაში სწორი ვიყავი თუ არა!

ამის შემდეგ გაარკვევდა, პატივცემულმა მწერალმა იმ — 2 700 შეცდომიდან მხოლოდ ათზე რომ მიპასუხა, რომელიმეში თუ იყო მართალი!

ისიც გასარკვევი ექნებოდა, სარედაქციო დასკვნას წინ რომ

ოლია სოსელიას წერილი დაურთო, სინამდვილეს შეეფერებოდა თუ არა.

სამწუხაროდ, როგორც ახლა ირკვევა, ჯანსუღ ღვინჯილიას არც ერთი ეს საკითხი არ გაურკვევია.

აბა, ჩემი ოპონენტების წერილებში მე ლანძღვა-გინება მაკლდა, თვითონაც რომ არ დაემატებინა?!

სოვადი ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს, ნათქვამს დავასაბუთებ.

თავის საპასუხო წერილში პატივცემულ მწერალს, იქნებ უნებურადაც, ხელში შემოველანძღე!

ამას „ცისკრის“ რედაქტორიც ადასტურებს:

„რედაქციას ჰქონდა პრინციპული დევა რევაზ ჯაფარიძესთან, ჩვენ მოვითხოვდით ამოეღო კრიტიკოსის სალანძღავი შეურაცხყოფელი სიტყვები წერილიდან... და სამწუხაროდ შეურაცხყოფელი ფრაზები დარჩა...“

შეურაცხყოფელი ფრაზები რომ დარჩა რევაზ ჯაფარიძის წერილში, ამის აღიარება ჩემთვის შეკებისპომგვრელი ვერ იქნება, ამას ჯანსუღ ღვინჯილიას გარეშეც მივხვდებოდი!

„ცისკრის“ რედაქტორს იმაზე უნდა ეგო პასუხი, რატომ დარჩა პატივცემულ მწერლის წერილში ასეთი ფრაზები:

„ახლა ამაზე ქირქილებს ჩვენი „ჯვარცმული...“

„თ. წიფწივაძე... ქირქილის გუნებაზე დამდგარა...“

„სად არის აქ სახითხითო ულოგიკობა?“

„ამასე უფრო საქილიკო და სამასხარაო საგანს ვერც ვერსად შეხვდებით!“

„რის გარშემო ოხუნჯობაც ასე უყვარს და ემარჯვება ჩვენს „ჯვარცმულს“.“

ისიც დავუშვავთ, რომ რევაზ ჯაფარიძე „ფართოდ აღიარებული“ მწერალია და მასთან „ცისკრის“ რედაქტორი ვერაფერს გააწყობდა, როგორადაც მწერალი ინებებდა. ისე იქნებოდა.

მაგრამ ჯანსუღ ღვინჯილია თავის სარედაქციო წერილში ხომ მაინც უნდა ყოფილიყო მეტი ყურადღებით — დამწვარზე მდურარე არ დაესხა?

ხომ შეიძლება, მეც ვიკითხო, თავისი ხელით დაწერილ და თავისი კურთხევით დაბეჭდილ წერილში ვინ შეუშალა ხელი ჯანსუღ ღვინჯილიას, ერთობ შეურაცხყოფელი ფრაზები რომ ამოეღო?

„თამაზ წივწივაძეს... თითქოს სიაპოვნებას გვრიდეს ნებისმიერ მწერლის განქიქების პროცესი“.

„ოღონდ საქილიკო კონტექსტი „შექმნას“ და საამისოდ არ დაგიდევთ ნამდვილი სურათის დამახინჩებას...“

„მისი წერილი... დასაწყისიდან დასასრულამდე „სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენებაა“ თავის სარკაზმითა და აბუჩად ამგდებიტონით, ქირჭილითა და ოხუნჯობით“.

„თამაზ წივწივაძემ სხვა მოსაზრებანიც დაუმალა მკითხველს... რათა საოხუნჯო განწყობილება შეექმნა“.

„ეს ადგილი უფრო ნაღდ ლიტერატურულ შთაბეჭდილებას ახდენს თუ მისი ცნობილი ოხუნჯობანი?“

მკითხველს უნდა შევახსენო, ეს ფრაზები მოტანილია ჯანსუღ ღვინჯილიას იმ სარედაქციო წერილიდან, სადაც ის ქართველ კრიტიკოსებს „კამათის დარღვეულ ეთიკაზე“ საყვედურობს!...

მართო „ოხუნჯი“ კი არა, გულუბრყვილო კაციც უნდა ვიყო, ამის შემდეგ მე რომ „ცისკრის“ რედაქტორის ნათქვამი დავიჯერო:

„რედაქციას ჰქონდა პრინციპული დავა რევაზ ჯაფარიძესთან, ჩვენ მოვითხოვდით ამოელო კრიტიკოსის სალანძღავი, შეურაცხმყოფელი სიტყვები წერილიდან“.

მართო გულუბრყვილო კი არა, ცოტა გაუგებარი კაციც უნდა ვიყო, ამის შემდეგ მე რომ ჯანსუღ ღვინჯილიას ნათქვამი დავიჯერო:

„უნდა გამოვტყდე, მიჭირს ამ საკითხზე წერა. მიჭირს, რადგან კამათის დარღვეულ ეთიკაზე რამდენიმე წერილი მაქვს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული... ამიტომ ვშიშობ უნებურად აღრე გამოთქმული მოსაზრებები არ გავიმეორო“.

ჯანსუღ ღვინჯილიას ჩემთვის რომ ეკითხა, „აღრე გამოთქმული მოსაზრებების“ გამეორება გაცილებით მერჩია „აღრე გამოთქმული“ საგინებელი სიტყვების გამეორებას...

გულს კიდევ უფრო ის მტკენს, ჯანსუღ ღვინჯილიას ნათქვამი რომ გამახსენდება:

„ნაწარმოებს უკან დგას ადამიანი, ვისთვისაც შეურაცხყოფის მიყენების უფლება არა გვაქვს“.

ეტყობა, „ცისკრის“ რედაქტორი „ხუშარა“ კაცს ადამიანად არ თვლის...

3. პატივცემული მეცნიერის უენიშვნებს დავუბრუნდეთ. აქ ჩემს რიგით მესამე შეცდომაზე იქნება საუბარი.

„კრიტიკოსი პაპუნა წერეთელს ადვილად არ ეშვება. ამიტომ მსჯელობა ჩვენც კვლავ მასზე უნდა გავაგრძელოთ“ — პრძანებს პატივცემული მეცნიერი.

ქალბატონ ოლიას, როგორც ჩანს, ჩემი მსჯელობა არ მოსწონს, ამიტომ მე გვერდზე გავდგები და მას მოვუსმინოთ:

„მეფე ალექსანდრეს დროინდელი პაპუნა წერეთელი ამ მეფის თანამედროვე კი იყო, მაგრამ მისი „თანამებრძოლი“ არ ყოფილა. პირიქით, იგი თვითონ ებრძოდა ალექსანდრეს... ამიტომ მოაკვლევინა მეფემ შემდეგ მასთან დაზავებული პაპუნა „ლალატად“ ვარციხეს 1738 წელს. იგი სოლომონ მეფეს არ მოსწრება“.

მოსმობილ ციტატას წინ პატივცემული მეცნიერის ახსნა-განმარტება უზის — „კრიტიკოსი აქ რამდენიმე შეცდომას უშვება“.

ქალბატონ ოლიას პირველი საყვედური, მართალია, ჩემდამია მიმართული, მაგრამ მეფე ალექსანდრე და პაპუნა წერეთელი „თანამებრძოლებად“ — მე კი არ მიმაჩნია, არამედ პატივცემულ მწერალს!

აი, რას წერს ის „მძიმე ჯვარში“.

„ზემო მხარის სარდალს — ქაიხოსრო წერეთლის ძმა, მეფე ალექსანდრეს ძველი თანამებრძოლი, პაპუნა, უკვე თთახში შემოვიდა, ყაბალახი მოიხადა და დამხვდურთ მოწიწებით მიესალმა“.

მეც ასევე „მოწიწებით“ ვთხოვ ქალბატონ ოლიას, რომ ეს ბრალდება როგორმე ამარიდოს!

რაც შეეხება „პაპუნა უკუდგა ალექსანდრესაგან... ამიტომ მოაკვლევინა მეფემ „ლალატად“ 1738 წელს... იგი სოლომონ მეფეს არ მოსწრება“-ო, ამას მე რატომ მიხსნის პატივცემული მეცნიერი?!

ის პაპუნა, რომელიც მეფე სოლომონს არ მოსწრება, მე რაში მაინტერესებს?!

რამდენი ოხერი და მოღალატე პაპუნა იყო „წერეთელთა გვარეულობაში“, ყველა ჩემი სატირალია?!

მე ჩემს წერილში პაპუნა წერეთელი სამჯერ მოვიხსენიე — სამჯერვე ცოცხლად და სოლომონის გვერდით!

პირველად მაშინ, როცა მწერალს გაეუსწორე — „პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლები ძმები არ ყოფილან“.

ეს, ქალბატონო ოლია, თქვენც დაადასტურეთ — „კრიტიკოსი მართალია, პაპუნა და ქაიხოსრო ძმები არ არიან“—ო.

მეორედ ხრესილის ომში ვახსენე — „ცხენოსან ჯარს პაპუნა წერეთელი სარდლობდა“.

არც ეს დამიწერია ვარაუდით. ქართულ ხალხურ საისტორიო წყაროებს ვეყრდნობოდი. იქ კი, ქალბატონო ოლია, ყველა საისტორიო სიტყვიერება სარდლად პაპუნა წერეთელს ასახელებს.

მესამედ მაშინ ვახსენე, როცა მწერალმა პაპუნა წერეთელს მეფე სოლომონის ღალატი დასწამა.

მე მწერლის უსამართლო ბრალდებისაგან დავიცავი ზემო მხარის სარდალი.

„იგი სოლომონს გვერდიდან არ მოშორებია და არც არასდროს გულში ქვენა გრძნობა არ ჰქონია“.

მიაქციეთ ყურადღება! — იგი სოლომონს გვერდიდან არ მოშორებია! — აბა, ის პაპუნა, რომელიც სოლომონს არ მოსწრებია, ვიმეორებ, მე რაში მაინტერესებს?!

სულ ეს იყო, მეტჯერ პაპუნა წერეთელი მე არსად მიხსენებია იმის გარდა, ხანდახან მეფეს რომ ეხვეწებოდა — „ცოტა დაუქჩაროთ“—ო.

უნდა ვივარაუდოთ, მკედარი პაპუნა წერეთელი ცოცხალ სოლომონს ამას ვერ შეეხვეწებოდა!..

ქალბატონო ოლია, ახლა თქვენ მიზრძანეთ, სოლომონ მეფის თანამედროვე პაპუნა წერეთელი მე ვინმეში ამერია?!

ბატონო ჯანსუღ, ახლა თქვენ მიზრძანეთ, რისთვისაც ახლა პატივცემულ მეცნიერს საყვედური ვაკადრე, იმ საქმეში მართალი არა ვარ?!

ახლა ორთავეს მოგმართავთ — ქალბატონო ოლია და ბატონო ჯანსუღ, ერთს — წერისას, მეორეს — დაბეჭდვისას, რომ შეგემოწმებინათ ჩემი ნათქვამი, „ცისკრის“ ფურცლებიდან ქვეყანას ხომ არ მოჰფენდით ჩემი „შერცხვენის“ ამბავს?

მაშინ ხომ აღარც პატივცემული მეცნიერის წერილში დარჩებოდა ასეთი დასკვნა:

„ამრიგად, მწერალი და კრიტიკოსი სხვადასხვა დროის მოღ-

ყაწე, სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ორ სხვადასხვა პიროვნებას ერთ პირად მიიჩნევენ“.

ნუთუ „ცისკრის“ რედაქციაში არავენ აღმოჩნდა, პატივცემული მეცნიერისათვის რომ ეთქვათ, მკვდარი და ცოცხალი პაპუნა წერეთლები ერთმანეთში კრიტიკოსს კი არა, რომანის ავტორს ერევაო?!

ასე რომ თქმულიყო, ქალბატონი ოლია თავის წერილში ამ — რიგით მესამე — შენიშვნას უკან წაიღებდა და ჩემს ანგარიშზე ხუთი შეცდომის მაგიერ ოთხი დარჩებოდა.

პატივცემულ მწერალთანაც ჩემი შეხვედრის ანგარიში უფრო შთამბეჭდავი (2696 : 4) გახდებოდა!

* * *

მკითხველის თვალში ჯანსუღ ღვინჯილია წესიერი ლიტერატორია და, საწყენიც კია, ჩემდამი მომართულ ზემოთ მოტანილ სალანძღავ ფრაზებში იგი ასეთად რომ არ გამოიყურება!

იმავე მკითხველს შეიძლება ისიც მოეჩვენოს, „ცისკრის“ რედაქტორს საკუთარი ჟურნალის ფურცლებიდან აბუჩად ამგდები ტონი აღარც კი უხდებო!

ქართულ კრიტიკაში „კამათის ტონის“ დამდგენელი კრიტიკოსის რეპუტაციის გადასარჩენად დანაშაულის სიმძიმეს ჩემს თავზე ვიღებ:

ჯანსუღ ღვინჯილიას ცუდი საქციელისკენ მე ვუბიძგე, თორემ ის, რასაკვირველია, ასე არ მოიქცეოდა!

მე არ ვიყავი, რომ ვწერდი:

„რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეს დამამცირებელი სიტყვები გესმოდეს, მით უფრო, როცა თავი ლიტერატორი გგონია და ქუჩის მასხარად გამოყავხართ, მაგრამ ჩემი ხანმოკლე ლიტერატურული ცხოვრება ასე აეწყო, ისე შეეგჩვიე ყოველივე ამას, რომ არც მიკვირს, „ეს რა ხმები ესმის ჩემთა ყურთა...“

ზემოთ მოტანილი სალანძღავი სიტყვებით, ეტყობა, ჯანსუღ ღვინჯილია ჩემი მოთმინების საზღვრებს არკვევდა!..

სხვათა შორის, ამ მიზნით ცოტა უცნაური საქციელისათვისაც კი მიუმართავს — საკუთარი აზრები სხვების პირითაც შემომამარა! „თამაზ წივწივაძეს უკვე შენიშნეს, რომ რევან ჯაფარიძე“

არ არის ის მწერალი, ვისი მისამართითაც სარკასტული და განმაქიქებელი ტონი იქნას მომარჯვებელი“ (ჯუმბერ თითმერია, „ლიტერატურული საქართველო“).

ამ სიტყვებს იგი ჯუმბერ თითმერიას მიაწერს.

რა თქმა უნდა, ჯუმბერ თითმერია, ზრდილი ლიტერატორი, თავს უფლებას არ მისცემდა ჩემთვის ასეთი შეურაცხყოფა მოეყენებინა!

ჩემი შეურაცხყოფა, როგორც დავრწმუნდით, არაფრად უღირს ჯანსუღ ღვინჯილიას. ეს სალანძღავი სიტყვებიც მისია! თორემ ჯუმბერ თითმერია, აი, რას წერდა:

„...ირონიული ტონი ნაკლებად ესადაგება ისეთ მწერალს, როგორც რევან ჯაფარიძეა“.

მამა აბრამის ბატყნად არც ამ წინადადებაში გამოვიყურები, მაგრამ „ირონიული ტონი“ რასაკვირველია, ცოტა უფრო სხვაა, ვიდრე „თარგმანში“ — „სარკასტული და განმაქიქებელი...“

„ცისკრის“ რედაქტორი ასევე მიაწერს საკუთარ აზრს ოლია სოსელიასაც:

„რომანის ზოგი ადგილი განგებ არის დამახინჯებული კრიტიკოსის მიერ, რათა შემდგომ ოხუნჯობის საშუალება მიეცეს“.

რა თქმა უნდა, ოლია სოსელია, ზრდილი მეცნიერი, თავს უფლებას არ მისცემდა, ჩემთვის ასეთი შეურაცხყოფა მოეყენებინა!

ჩემი შეურაცხყოფა, როგორც დავრწმუნდით, არაფრად უღირს ჯანსუღ ღვინჯილიას, ეს სალანძღავი სიტყვებიც მისია! — თორემ ოლია სოსელია აი, რას წერდა:

„რაც შეეხება კრიტიკოსის მსჯელობის ტონსა და ხერხს, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად მიუღებელი და არაეთიკურია“.

მამა აბრამის ბატყნად არც ამ წინადადებაში გამოვიყურები, მაგრამ ეს „მიუღებელი და არაეთიკური ტონი“, ცხადია, ცოტა უფრო სხვაა, ვიდრე „თარგმანში“ — „ოხუნჯობის საშუალება რომ მიეცეს“.

ერთი სიტყვით, დაახლოებით ინეა, როგორც ამ ამბავში — მწერლების წრეში დღესაც რომ სიცილით ყვებიან!

თურმე ცნობილ პროზაიკოსს ერთი ახალგაზრდა კოლეგა სხვასთან გაულანძღავს. ამ „სხვას“ კიდევ ახალგაზრდისათვის ენა მიუტანია.

გალანძღული ახალგაზრდა მწერალი შემდეგ იხსენებდა:

ისეთი ალტაცებით გადმომცემდა საგინებელ სიტყვებს, ისეთი უნთუნიაზმით მაგინებდა, ცოტა ექვიც კი გამიჩნდა, საკუთარ აზრებსაც ხომ არ მაპარებდაო.

რისთვისაც ეს ამბავი გავიხსენე, ალბათ, გენიშნათ...

* * *

4. პატივცემული მეცნიერის შვიდი შენიშვნიდან სამი რსე გავაბათილე, სიძნელეს არსად წავწყდომივარ.

ასე იქნება შემდგომშიც. მაგრამ ხატის წინ მდგომი მორწმუნის გულწრფელობით უნდა ვალიაო, რომ ეს ნაკლებად მახარებს.

გაცილებით მერჩია, საქართველოს ისტორიის მკვლევარზე, პატივცემულ მეცნიერზე ისეთივე მაღალი აზრი შემრჩენოდა, როგორც აქამდე მქონდა.

რაც შეეხება ამ „შენიშვნების“ დამბეჭდავი რედაქტორის ლიტერატურულ გემოვნებას და კრიტიკულ ალღოს, ვატყობ, ერთხელ-გე გამომუშავებული აზრი მასზე სიკვდილამდე მყარად გამყვება! ახლა პატივცემული მეცნიერის შენიშვნებს დავუბრუნდეთ.

რომანში წერია:

„ოთახის შუაგულში, ჭილოფგადაფარებულ ტახტზე საცვლე-ზის ამარა ესვენა ის, ვინც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად და განმგებლად ითვლებოდა“.

ამ წინადადებასთან დაკავშირებით მე ვწერდი:

„ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად“ გამოაცხადო კაცი, რომელსაც ტახტზე ასვლისთანავე მეურვეს უნიშნავენ (1721), ცოტა უხერხულია“.

სხვათა შორის, მეფე ალექსანდრეს მეურვე, ბეჟან დადიანი, უფრო მეტი ყოფილა, ჭიდრე ამ სიტყვაში საერთოდ გულისხმობენ.

„თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოვლისავე“.

ეს „მეურვეობა“ კი შვიდ წელიწადს გრძელდებოდა!

„ქვეყნის შეუზღუდველი ბატონი, „მეფე ალექსანდრე, იმამ-ყული-ხანმა ნარჩალას ციხეში ჩასვა!“

ტახტიდანაც ბევრჯერ გააქციეს. თითქმის ერთი წელიწადი (1741) მის ტახტზე ძალად ასული ნახევარძმა, გიორგი ბატონიშვილი იჯდა!

ასეთი „ნამსახურობის სიის“ პატრონი მეფის ქვეყნის მონარქად გამოცხადება, ალბათ, გაკირდება“.

ახლა თქვენ გეკითხებით, ქალბატონო ოლია და ბატონო ჯანსუღ, ეს საბუთები მართლა არ კმარა, რომ მეფე ალექსანდრე „ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად და განმგებლად“ არ გამოცხადდეს?!

თუ ასეა, დამატებით საბუთებსაც მოგართმევთ:

„ბეჟან დადიანის სიკვდილის შემდეგ... ქვეყნის ფაქტიური გამგებლები ოსმალეთის ფაშები იყვნენ“.

„ქართულ სამეფო-სამთავროთა საქმეებზე ამ დროიდან ფაქტიურად ახალციხის ფაშა განაგებდა“.

„1741 წ... ახალციხის ფაშის დახმარებით მეფე განდევნეს და ტახტზე მისი ძმა გიორგი აიყვანეს“.

„მამუკა ბატონიშვილმა 1746 წ. ერთხელ კიდევ მოახერხა მეფის გაძევება (სხვათა შორის — სამი წლით! — თ. წ.).

(„საქართველოს ისტორიის ნარკვევები, „ტ. IV, გვ. 461—466.)

მსგავსი საბუთების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ თუ ქალბატონმა ოლიამ და ბატონმა ჯანსუღმა აქამდე არ იწამეს, რომ მეფე ალექსანდრეს „ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად“ გამოცხადება შეცდომაა, აწი მე მათ მაინც ველარაფერს შევასმენ...

თუმცა... კიდევ ვცდი.

ამჯერად ვახტანგ VI აზრს მოგახსენებთ. აი, რას წერს იგი იმდროინდელ ქართველ „მონარქებზე“:

„ყამთა და ღროთა წყალობით ასრე დამდაბლებულან, რომ ოდენ სახელი მეფე რქმევიათ“ (ვახტანგის სამართალი, მუხლი 2).

პატივცემული მეცნიერის ეს შენიშვნა, აქ არ მთავრდება, კიდევ ერთ „მძიმე დანაშაულში“ მაშხილა:

„ის ალექსანდრე, რომელზედაც კრიტიკოსი მსჯელობს, 1721 წელს კი არ გამეფებულა, არამედ — 1720 წელს“.

პატივცემული მეცნიერი „მძიმე ჯვრის“ ავტორთან შედარებით ნეტ ანგარიშს, ეტყობა, მე მიწვევს. მწერალი, არაიშვიათად, სამი საუკუნითაც რომ შემცდარა, ქალბატონი ოლია, მაშინაც არ დაინტერესებულა, მე კი, აგერ ახლა ერთი წელიც არ შაპატია! — ალექსანდრე 1721 წელს კი არ გამეფებულა, არამედ — 1720 წელსო!

რასაკვირველია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ამ საკი-

თხში ჩემზე მეტი დაეჭვება, მაგრამ ხომ არიან ჩვენზე უფრო სანდო პირები და სანდო ისტორიული წყაროები?

სანდო ისტორიულ წყაროებში, მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ (ტ. IV, გვ. 881, 1973 წ.) წერია: ვახტანგ VI-ის კარზე მყოფი უფლისწული ალექსანდრე ისაყ-ფაშამ იმერეთში 1721 წელს გადმოიყვანა და სამეფო ტახტზე დასვა!

როგორც მე ვხვდები, პატივცემული მეცნიერი იმან შეიყვანა შეცდომაში, რომ ალექსანდრეს მამა — მეფე გიორგი VI — 1720 წელს მოკლეს და, ალბათ, იფიქრა, ალექსანდრე მეხუთესაც ამ წლიდან გააშეფებდნენო.

ამიტომ საქმის ვითარებას უფრო წვრილად გავაცნობ:

„...1720 წ. გაზაფხულზე აბაშიძეებმა მოკლეს გიორგი VI. გიორგის უფროსი ვაჟი ალექსანდრე ვახტანგ VI-ის კარზე იზრდებოდა. ახალციხის ფაშამ ვახტანგ VI-ს სთხოვა, რომ ალექსანდრე მასთან გაეგზავნა, რათა იგი იმერეთში გაეგზავნა. ვახტანგმა ალექსანდრე გაისტუმრა და თან გააყოლა დამხმარე რაზმი ვაჭუშტი ბატონიშვილის სარდლობით.

ალექსანდრე და ახალციხის ფაშა 1721 წლის ზაფხულში იმერეთში შემოვიდნენ. ოსმალებმა ცუცხვათის ციხეში მეციხოვნეები ჩააყენეს. ფაშამ დაიპორჩილა ბეჟან დადიანიც და იგი ახალგაზრდა მეფის „მეურვედ დანიშნა“.

(„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 461.)

ამონაწერი მოტანილი სტატიიდან „დასავლეთ საქართველო“ XVIII ს. დასაწყისში“, იქვე მეცნიერული სიზუსტით მიუთითებიათ ის წყაროები, საიდანაც ეს ცნობებია ამოკრეფილი.

გულწრფელად გითხარით, ქალბატონო ოლია, ეს წყაროები მე არ შემომოწმებია. ამას ვერ ვაკადრებდი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ სარედაქციო კოლეგიას, რომლის წევრებიც საქვეყნოდ განთქმული ისტორიკოსები ბრძანდებიან!

ამის გარდა, რადგან უფლისწულ ალექსანდრეს იმერეთში ჩაყვანა ვახუშტი ბატონიშვილს ჰქონდა დაეალებული, მას, ვახუშტი ბატონიშვილს, შესანიშნავ სწავლულსა და მეცნიერს. უკეთ ეცოდინება, 1720 წელს გაამეფეს იმერეთში ალექსანდრე თუ 1721 წელს!

ქალბატონ ოლიას უღრმესი პატივისცემის მიუხედავად, მე პირადად, უფრო სარწმუნოდ და სანდოდ „ქართლის ცხოვრება“ და „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ მიმაჩნია.

ამიტომ მწყდება გული, „ცისკრის“ რედაქტორს ეს საკითხები წემსაუთ რომ სცოდნოდა, ქალბატონ ოლიასაც ჩააყენებდა საქმის კურსში და პატივცემული მეცნიერიც უკან წაიღებდა თავის ამ — რიგით მეოთხე — შენიშვნას და ჩემს ანგარიშზე ოთხი შეცდომის მაგიერ სამი დარჩებოდა.

პატივცემულ მწერალთანაც ჩემი შეხვედრის ანგარიში უფრო შთამბეჭდავი (2697 : 3) გახდებოდა!

* * *

იმ შემთხვევაში, ცნობილმა მწერალმა რომ ახალგაზრდა კოლეგა გალანძლა, მართლაც ძნელი დასადგენი იქნებოდა — საგინებელი სიტყვებიდან რომელი ეკუთვნოდა ცნობილ მწერალს და რომელი კიდევ ენის მიმტანს!

ამ შემთხვევაში, ზემოთ მოტანილ ფრაზებში რომ პატივცემულმა რედაქტორმა მლანძლა, შედარებით ადვილი დასადგენია — საგინებელი სიტყვებიდან რომელი ეკუთვნის ჩემს ოპონენტებს და რომელი კიდევ „ცისკრის“ რედაქტორს.

აი, ვნახოთ.

„ზოგი ადგილი განგებ არის დამახინჯებული კრიტიკოსის მიერ, რათა შემდგომ ოხუნჯობის საშუალება მიეცეს“.

ეს სიტყვები ქალბატონ ოლიას ეკუთვნისო, გვარწმუნებს „ცისკრის“ რედაქტორი.

„თამაზ წიგწივაძემ... სხვა მოსაზრებანიც დაუმალა მკითხველს, რათა საოხუნჯო განწყობილება შეექმნა!“

ეს სიტყვები, ნამდვილად ეკუთვნის „ცისკრის“ რედაქტორს, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგვანან ქალბატონ ოლიასას!

„აწი რა ვქნათ?.. რომ არ მოგვეწყინოს... ხომ უნდა ვიპოვოთ რაიმე საოხუნჯო მასალა?“

ეს კადევ „მძიმე ჯვრის“ ავტორის სიტყვებია, ასე ძალიან რომ ჩამოჰგავს ახლახან გაჭრილ ვაშლებს!

ამიტომ საერთოდ ვერ გავიგე მე, ამ პოლემიკაში ვინ მლანძღავს და რისთვის მლანძღავენ! იმას კი ვხვდები: — ყველას პირი შეუკრავს და ერთნაირი ლექსიკითა და ერთნაირი მონდომებით, მიწასთან მასწორებენ!..

5. თავის დროზე „მძიმე ჯვრის“ ავტორს შევნიშნე — თინათისა და სოლომონს, ვიდრე ცოლ-ქმარი გახდებოდნენ, ერთი საერთო ბებია ჰყოლიათ. ეს შეცდომა მწერლური უყურადღებობით ავხსენი. როცა მწერალმა თავის დაცვა სცადა, უფრო შეცდა.

ამ საკითხს პატივცემული მეცნიერიც ეხება და იგი, როგორც ცოველთვის, ახლაც „მძიმე ჯვრის“ ავტორის მხარესა და ცდილობს, მწერლის ეს შეცდომაც გაამართლოს ასეთი არგუმენტებით:

ა) კოჭიბროლა სოლომონის სისხლისმიერი ბებია იყო.

ბ) ქმრის ბებია კი მის ცოლსაც ბებიად ერგებოდა.

ერთი შეხედვით, ეს არგუმენტები სიმართლეს ძალიან ჰგვანან, მაგრამ მე რომ ისტორიული არგუმენტები მაქვს, იმასთან ვერ მოვლენ!

ჩემი ეს სიტყვები ქაღილად რომ არ დარჩეს, კიდევ ერთხელ გავარკვევ „კოჭიბროლას საკითხს“ და მერე, თუნდაც იგი ჩემს ბებიად გამოაცხადონ, ამ თემაზე ენას არ დავასველებ!

ამ ერთხელ კი მინდა ყურადღებით მომისმინოთ.

(თხოვნა „ცისკრის“ რედაქტორსაც ეხება).

პატივცემულ მეცნიერს სამწუხარო სიმართლე უნდა ვუთხრათ: კოჭიბროლა სოლომონის სისხლისმიერი ბებია ვერ იქნებოდა, რადგან ის სოლომონის მამის — მეფე ალექსანდრეს ღვიძლი დედა არ ყოფილა!

გავიხსენოთ: „ესე ალექსანდრე მეფემან აბრალა დედის ნაცვალსა თვისსა“. ამიტომ კოჭიბროლა თვით სოლომონის მამისთვისაც არ იქნებოდა სისხლისმიერი, არათუ — სოლომონისთვის!

მეცნიერის მეორე შენიშვნა — ქმრის ბებია ცოლსაც ბებიად ერგებოდა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში იქნებოდა მართალი, თუ ისინი იმ მომენტში ცოლ-ქმარი იქნებოდნენ!

რომანიდან კი ირკვევა: თინათი „სულ პატარა იყო, ვარციხის სასახლეში რომ მიიყვანეს“ და „ღამ-ღამობით ბებია კოჭიბროლა იწვენდა ლოგინში“.

სულ პატარა თინათი, რა თქმა უნდა, სოლომონს მეუღლეობას ვერ გაუწევდა!

პატივცემული მეცნიერი, უკაცრავად ნათქვამია, მაინც დიდ გულზეა:

„მერედა, ქმრის (სოლომონის) ბებია ხნიერი ქალი კოკიბროლა...“

მერედა, მართლაც მერამდენედ მიწევს ამის თქმა, რომ კოკიბროლას. განგების ნებით, სიბერევედ არ მიუღწევია.

ეს, შეიძლება, მწერალმა მართლა არ იცოდეს, მაგრამ ეს არ იცოდეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ალბათ უხერხულა!

ნუთუ ქალბატონ ოლიასათვის, საქართველოს ისტორიის სპეციალისტისათვის, უცნობია ეს დოკუმენტი:

„კვალად მცირედისა უამისა იქმნა მეფესა და დადიანს შუა შური. ეს ალექსანდრემ აბრალა დედის ნაცვალსა თვისსა თამარ გურიელის ააულსა (რომელსაც უწოდენ კოკიბროლად), შეიპყრა და მოჰკვეთა თავი“ (ნიკო დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“, გვ. 177).

ნუთუ „ცისკრის“ რედაქტორსაც არ მიუგდია ყური ჩემი სოსობამდე მისული მოთქმისათვის?

„საბრალო კოკიბროლავ! არც სივოცხლეში გქონია ბედი და სიკვდილის მერეც არავის ეცოდები... პატივცემულ მწერალს ჰგონიხარ „ცას გამოკერებული დედაბერი“, „ოჯახის უხუცესი ქალი“. თორემ ჩვენ ხომ ვიცით, იხე ახალგაზრდას წარგვეთუა თავი, რომ სოლომონის საცოლის ლოგინში ჩაწვენა კი არა, ხეირიანად საკუთარი შვილიშვილის ლოგინში ჩაგორებაც ვერ მოასწარი“.

ჯანსუღ ღვინჯილიას ექვი, შეიძლება, ჩემი გრძნობების გულწრფელობაში შეპარვოდა და არავითარ შემთხვევაში — დოკუმენტის სიზუსტეში! რადგან ამ უნდობლობის საბაბი მისთვის ჯერ არ მიმიცია!

ხემოთ ითქვა — „სულ პატარა თინათი“ სოლომონს მეუღლეობას ვერ გაუწევდა. ახლა ამასთან დაკავშირებით პატივცემული მწერლის დასაცავად წარმოთქმული სიტყვა გავიხსენოთ:

„სოლომონმა რომ მცირეწლოვანი თანამეცხედრე, თინათი შეირთო, ის, თინათი, ჯერ კიდევ არ იყო იმ ასაკისა, როცა შეიძლება ქალმა მამაკაცის სარეცელი გაიყოს. სოლომონის ბებია, ოჯახის უხუცესი ქალი (კოკიბროლა — თ. წ.), მას თავისთან იწვენდა. ეს მიღებული წესი გახლდათ საქართველოში, რადგან აქ ქალებს ძალიან ადრე ათხოვებდნენ. მაგრამ ის ბებიები თუ დედები, რომლებიც ბუნების საწინააღმდეგო, თუშკა იურიდიულად დასაშვები ფაქტის თავიდან ასაცილებლად თავიანთ მცირეწლოვან რძლებს

ლოგინში იწვევდნენ და მამაკაცთან ნადრევი სექსუალური ურთიერთობის დაწყებისაგან იფარავდნენ“.

თავის დასაცავად შეთხზული ეს მშვენიერი სიტყვა იმ შემთხვევაში იქნებოდა მოსაწონი, ქვეყანა ჩალით რომ იყოს დახურული!

მე კი თვითნებურად შევწყვიტე იგი, ერთი განცხადება რომ გავაკეთო.

კრიტიკოსის ბელი არასდროს ყოფილა ჩვენში სახარბიელო, მით უფრო მაშინ, როცა ლიტერატურას პატრონი არა ჰყავს!

„ფართოდ აღიარებული მწერალი რევაზ ჯაფარიძე“, „ვინც გარემოსილია ხალხის განსაკუთრებული სიყვარულითა და ყურადღებით, ვისაც სწორედ „მძიმე ჯვარში“ აგერ ახლახანს რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა“, (ჯანსუღ ღვინჯილიას სიტყვებია — თ. წ.), სწორედ ამ რომანის დასაცავად და ჩემს გასამტყუნებლად წერს: ღაქ-ღამობით თინათის ბებია კოჭიბროლა იწვევდა ლოგინში, ქმართან ნადრევი სექსუალური ურთიერთობისაგან რომ დაეფარაო...

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ოლია სოსელია მწერლის ამ ნათქვამს ადასტურებს:

„ქმრის ბებია ცოლსაც ხომ ბებიად ეკუთვნისო...“

ეურნალ „ციცკრის“ რედაქტორი, კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია, ვისაც ამ კამათში არბიტრის როლი უკისრია, თავის სარედაქციო წერილში მკითხველებს ერთგვარი კმაყოფილებით აუწყებს:

„აქვე ქვეყნდება ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ოლია სოსელიას წერილი, სადაც დასაბუთებულია, რომ თამაზ წივწივაძის მიერ ამოკრეფილი ლაფაშუები და უხუხატობანი ყოველთვის არ არის „აფთიაქარის სასწორზე“ შემოწმებული“.

ასეთ შემთხვევაში რა უნდა ვქნა მე?

ჩემს ადგილას წესიერი კაცი. თუ თავს არაფერს დამართებლა, წერაზე მაინც აიღებდა ხელს!

თუ სიმართლე ვერ გავარკვიე. მეც ანე მოვიქცევი!

სიმართლე - კი ასეთი განლავეთ:

1741 წელი იდგა — საბრალო კოჭიბროლას თავი რომ მოჰკევთეს! იმ დროისათვის კი სოლომონი, რომელიც 1735 წელს მოველინა ქვეყანას, ექვსიოდე წლისაა!

არავინ იცის, თინათი მაშინ დაბადებული იყო თუ არა! — უკეთეს შემთხვევაში, სააკუნე ასაკს არ იქნებოდა გადაცილებული!..

ამ ხნის ბავშვები ერთმანეთისკენ, შეიძლება „გოჯილას“ სათამაშოდ ან კიდევ „სოსკის“ წასართმევად მიიწვედნენ, პატივცემული მწერალი კი ამტიციებს, ბებია კოჭობროლა თინათის თავისთან იწვევდა, სოლომონთან ნადრევი სექსუალური ურთიერთობისაგან რომ დაეფარაო!..

ხომ ამაზრზენია, რაც ახლა გაირკვა?

მერედა, პატივცემულ მეცნიერს, ვიდრე მწერლის მხარეს დადგებოდა, ეს ყველაფერი ხომ უნდა გაერკვია?!

სხვების და საკუთარი უცოდინარობის გამო უურნალის რედაქტორმა მე რატომ უნდა ჩამაყენოს ამ დღეში, დიდის ამბით რომ წერს:

„გასარკვევია არა მარტო ამ ერთი კონკრეტული კამათის სტრუქტურა, გასარკვევია, საერთოდ ჩვენი „პაექრობის“ მექანიზმი-ო“.

ვიდრე „ცისკრის“ რედაქტორი ამ კარდინალურ საკითხებს გაარკვევდა, ჯერ კოჭობროლას ამბავი რომ გაერკვია, არ აჯობებდა?!

სხვა თუ არაფერი, ამ სირცხვილს პატივცემულ მეცნიერსაც აარიდებდა და მეც მადლობელი დავრჩებოდი — ჩემს ანგარიშზე სამი შეცდომის მაგიერ ორი დარჩებოდა!

პატივცემულ მწერალთანაც ჩემი შეხვედრის ანგარიში უფრო შთამბეჭდავი (2698 : 2) გახდებოდა!

* * *

შემჩნეული გექნებათ, „ცისკრის“ რედაქტორის სარედაქციო წერილში მე აქამდე, ძირითადად, მისი ავტორის კამათის კულტურას ვიკვლევდი. უნდა გამოგიტყდეთ, ამას ერთგვარი მუშტრის თვალითაც ვაკეთებდი, რაკი ჯანსულ ღვინჯილია დღევანდელ ქართულ კრიტიკაში „კამათის ტონის“ კანონმდებელია, მეგონა, თუ გავმეცადინდებოდი, ამ კუთხით რაიმეს მეც ვისწავლიდი.

უურადლება უფრო იქით მქონდა მიქცეული, როგორი ტაქტიკა წარმართავდა იგი კამათს და როგორი პატივისცემით მოეკიდებოდა მოპაექრეს.

ერთი შეცბუნება შევცბი, როცა ასეთი სიტყვები წავიკითხე:

„ე. ი. რა, მე სიტყვით თურმე სხვას ვამბობ, ხოლო საქმით

ხელს ვუშლი პირუთენელ კრიტიკოსებს. თამაზ წიფწივამეს სურს ასეთი აზრი დაამკვიდროს. ეს გახლავთ ცილისწამება!“

ჯერ ერთი, საკუთარი ჟურნალის ფურცლებიდან რედაქტორი ასე არ უნდა მიყვიროდეს, მით უფრო, ამა არ უნდა აკეთებდეს იმ წერილში, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, „სარედაქციო დასკვნის დანიშნულებას ატარებს“.

რაც შეეხება ყვირილის შინაარსს — ეს გახლავთ ცილისწამება! — გაბრაზებულ გულზეა ნათქვამი და ნუ გამოვუდგებიო...

როცა დრო გავა და გაბრაზებაც გაივლის, მერე შეიძლება იჯავროს კიდევაც იმ პატიოსან კაცს რას ვერჩოდითო...

ამის გარდა, ჯანსუღ ღვინჯილიამ მთელი ცხოვრება ამ პრობლემას შესწირა და ეს „ზომიერი ტონი“ იქნებ მობეზრდა კიდევ.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ მეჩვენება კრიტიკოსის წუხილი:

„უნდა გამოვტყდე, მიჭირს ამ საკითხზე წერა, მიჭირს, რადგან კამათის დარღვეულ ეთიკაზე რამდენიმე წერილი მაქვს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული. ყველაზე სრულად ეს საკითხი თამაზ წიფწივამის მიერ საგანგებოდ დასახელებულ ჩემს წიგნში მაქვს გაანალიზებული მრავალი კონკრეტული ფაქტის მოშველიებით. („ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“).

ავტორის დამსახურება ამ სფეროში აქ სრულადაა წარმოჩენილი და ერთი უეცარი შეყვირება კი უნდა ვაპატიოთ!..

„ეთიკის თემაზე“ საუბარი ჯანსუღ ღვინჯილიას საყვედურით დავამთავროთ:

„ჩემს წიგნში, საიდანაც კრიტიკოსმა ციტატა ამოგლიჯა, არანაკლები პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვებსაც“—ო.

და შემდეგ საკუთარი წიგნიდან მისთვის საყვარელ იმდენ ციტატას მთავაზობს, რომ მათ ვადმოწერას ისევ ჩემი წერილას გამოქვეყნებაზე უარის თქმა მერჩია!

რედაქტორის საყვედური კი მართლა უცნაურია!

როცა მე ავტორიტეტული მწერლების ბარიერზე ვლაპარაკობდი, ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ციტატა მოვიძიე: ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნში:

„ავტორიტეტული მწერლების ბარიერი ერთ-ერთი დიდი დაბრკოლებაა ქართული კრიტიკული აზროვნების გზაზე. ამ ბარიერ-

არის გადალახვისა და მოშლის საქმე სერიოზული რიგის ამოცანაა. თანაც გადაუდებელი და საშური საქმეა!”

ჩემი წერილისათვის მაშინ კრიტიკოსის „ასევე არანაქლები პრინციპული მნიშვნელობის სიტყვებს“ არავითარი ფასი არ ჰქონდა!

ახლა, როცა ჯანსუღ ღვინჯილიას ჩემლაში არასასიამოვნო და მოკიდებულებას ფარდა აებნადა, როცა გაირკვა, მარტო ჩემი წერილები კი არა, თურმე ჩემი პიროვნებაც აღიზიანებს, მისი წიგნიდან სხვა ადგილის მოტანა რომ დამჭირდება, უკვე ვატყობ. აი, ნახათ, თუ აქაც შესაფერი ციტატა არ მოვიტანო.

„რამდენადაც არ უნდა ვმალოთ ფარდის უკან ურთიერთობა, რამაც განმაქიქებელი წერილი შთაგვაგონა, წერილის ქსოვილი მაინც ჭიუტად გვახელს, რადგან ლიტერატურული ვნებათაღელვის კარნახით გაწეულ კრიტიკას თავისი ფომრები აქვს, ხოლო ანგარიშსწორების ვნებათაღელვით დამუხტულ შენიშვნებს — თავისი!“

თუ მკითხველსაც მიაჩნია, რომ ახლაც სწორად დავიმოწმე კრიტიკოსის წიგნიდან ის ციტატა, რომელიც ამ სიტუაციას უხდებოდა, მაშინ ჯანსუღ ღვინჯილია სხვა დროს მაინც ნულარ მასწავლის, ჩემი წერილისთვის რომელი ციტატა შევარჩიო...

* * *

6. შემოთ ჯანსუღ ღვინჯილიას საყვედურისაგან ვიცავდი თავს. ახლა ქალბატონ ოლიას საყვედურს უნდა მოვუსმინო, ჯერჯერობით ოპონენტების საყვედურიდან ვერ ამოვედი!

„არც მაშინ არის კრიტიკოსი ზუსტი, როცა მწერალს კონსტანტინოპოლის ხსენებას უკრძალავს...“

მოკრძალებით უნდა შევნიშნო პატივცემულ მეცნიერს, რომ მე მწერალს კონსტანტინოპოლის ხსენებას კი არ ვუკრძალავ (ჯერ ერთი, ამას მე ვინ შეკითხება), არამედ კონსტანტინოპოლის უადგილო ხსენებას, რაც, ალბათ, ერთი და იგივე არ არის.

აი, რას ვწერდი მე:

„ავიღოთ, მაგალითად, ერთი შეხედვით ავტორის უწყინარი ფრაზა:

„კონსტანტინოპოლი თეირანს დაუტკბა...“

ახლა ვთქვათ, რაში გამოიხატება აქ ავტორის ზერელე დამოკიდებულება სხვათა ქვეყნების ისტორიის მიმართ.

სოლომონის მეფობის დროს კონსტანტინოპოლს უკვე, დიდი ხანია, რაც სახელი გადარქმეული აქვს — 1453 წლიდან მას სტამბოლი ჰქვია!..

თეირანთან დაკავშირებით კი პირიქითაა.

ამ დროისათვის, სოლომონის მეფობისას, ის ჯერ კიდევ არ არის სპარსეთის დედაქალაქი — იმეამად ისპაჰანიც მშენებრად ასრულებდა სატახტო ქალაქის ფუნქციას!

ქალბატონო ოლია, როგორც ისტორიკოსს, გეკითხებით, ზემოთ მოტანილ მაგალითში მწერალი ხომ მართლაც ამჟღავნებს ზერელე დამოკიდებულებას სხვათა ქვეყნების ისტორიის მიმართ?

ბატონო ჯანსუღ, როგორც მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევების ავტორს, გეკითხებით, მწერალთან შედარებით მე უფრო მართალი არა ვარ?

რააკვირველია, დამეთანხმებით.

სამწუხაროდ, მე ვერ დავეთანხმები პატივემულ მეცნიერს:

„მართალია, 1453 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლს სტამბოლი დაერქვა, მაგრამ მას ამ სახელთან ერთად... კონსტანტინოპოლსაც ეძახდნენ“..

კი, ასეთი შემთხვევებიც იქნებოდა, მაგრამ ეს უფრო კერძო საუბრებში მოხდებოდა და არა დიპლომატიურ დონეზე!

ხოლო ამ ფრაზაში — „კონსტანტინოპოლი თეირანს დაუტყდა“ — ოფიციალურ სახელამწიფოთა მთავრობების ურთიერთდამოკიდებულებაზეა ლაპარაკი და ასეთ შემთხვევაში მწერალმა სატახტო ქალაქები კანონით დადგენილი სახელებით უნდა მოიხსენიოს!

აღბათ, ახლა ნათელია, რატომ მივიჩნიე შეცდომად, როცა მწერალი სტამბოლს ამ სახელის გადარქმევიდან სამი საუკუნის მერეც კონსტანტინოპოლს ეძახის...

თუ ბატონი რედაქტორიც ჩემს საუბარს ყურადღებით ისმენდა, მაშინ ის პატივცემული მეცნიერის წერილში ამ — რიგით მეექვსე — შენიშვნასაც მოხსნის და ჩემს ანგარიშზე ახლა ორი შეცდომის მაგიერ ერთი დარჩება.

პატივცემულ მწერალთანაც ჩემი შეხვედრის ანგარიში უფრო შთაბეჭედავი — (2699 : 1) გახდება.

ფრანგული ანდაზაა — დრომ და მოთმინებამ ზღმარტლიც და-
ამწიფაო.

ვისაც ნებისყოფა ეყო და იმდენი დროც აღმოაჩნდა, ჩემი სა-
უბრისთვის აქამდე მოესპინა, სიკეთე ქნას და ქალბატონ ოლიას
უკანასკნელი საუვედურიც ერთად მოვისმინოთ:

„რაკი კრიტიკოსი ანეთ სიზუსტეს იჩემებს, ორიოდე სიტყვით
„მეჯლისსაც“ შევეხებით“.

აქამდეც ბევრ რამეს შეეხო პატივცემული მეცნიერი და, რო-
გორც ვნახეთ, მწერლის დაცვის სურვილის გარდა, ხელში არაფერი
შემორჩა!

ამ კუთხით ქალბატონ ოლიას ბოლო ბრალდებაც ვნახოთ.

„მეჯლისი“ არაბული წარმოშობის სიტყვაა. თანამედროვე
თურქულ მეტყველებაში მას პარლამენტის აღსანიშნავად ხმარო-
ბენ. იყო თუ არა რომანში აღწერილ ეპოქაში „მეჯლისი“ ქართუ-
ლი დარბაზის შესატყვისი, ეს სპეციალური კვლევის საკითხია და
რის საფუძველზე გადაწყვიტა კრიტიკოსმა ასე იოლად ეს რთუ-
ლი საკითხი, არ ვიცი...“ — აცხადებს მეცნიერი.

რომ გადავიწყვეტია, აშკარაა! ამას ქალბატონი ოლიაც ადას-
ტურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე სახელდახლოდ აღარ მახსოვს,
როგორ მოვახერხე მაშინ ეს. თუ პატივცემული მეცნიერი იმის
უფლებას მომცემა, „შპარგალკად“ ჩემი წერილი გამოვი-
ყენო, აუცილებლად გამახსენდება!

ვსარგებლობ პატივცემულ ოლიას თავაზიანობით და მკითხველს
შევახსენებ, რას ვწერდი მაშინ მე:

„რომანში მეჯლისების დარბაზი უფრო ხშირად გვხვდება,
ვიდრე მოსალოდნელი იყო. სამეჯლისო დარბაზები გაუმარცაეთ
ქუთაისში, გეგუთში, ვარციხეში...“

არადა, საიმდროოდ იმერეთში ნაკლებად აქვთ სამეჯლისოდ საქმე.

საერთოდ კი, გამოთქმა „მეჯლისების დარბაზი“ შეცდომაა,
ყოველ შემთხვევაში. იმ აზრით მაინც, როგორც რომანში იხმა-
რება. თურქული „მეჯლისი“ და ქართული „დარბაზი“ დაახლოე-
ბით ერთი და იგივე მნიშვნელობის სახელმწიფო პოლიტიკური
ინსტიტუტია. რომანში კი „დარბაზი“ შენობაა მხოლოდ, სადაც
მეჯლისი იმართება!“

ჩემი წერილის საშუალებით თითქმის სრულად აღვადგინე,

„მეჯლისების დარბაზთან“ დაკავშირებით რაც მწერლისთვის მი-
საყვედურებია.

ეტყობა, პატივცემულ მწერალს „მეჯლისის“ მნიშვნელობა
მთლად ზუსტად არ სცოდნია, თორემ იმდროინდელ იმერეთის
სამეფოში პარლამენტებს არ „გამართავდა“ ქუთაისში,
გეგუთში, ვარციხეში...

ეს მაშინდელი იმერეთის ზოგი სულელი მეფისთვისაც კი მე-
ტისმეტი სისულელე იქნებოდა!..

ამიტომ მითქვამს: „რომანში „დარბაზი“ შენობაა მხოლოდ,
სადაც მეჯლისი იმართება“.

თუმცა მწერალი მთლად ზუსტი ამ თვალსაზრისითაც არ არის!

„არჩილ და ელენე ბატონიშვილების ნიშნობა დიდი ზარ-ზეი-
მით გადაიხადეს ცისარტყელის შეიდფერით გაბრწყინებულ ისნის
სასახლის სამეჯლისო დარბაზში“ — გვაუწყებს მწერალი.

მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროისთვის აღარსად იყო „ცისარტყე-
ლის შეიდფერით გაბრწყინებული ისნის სასახლის სამეჯლისო
დარბაზი!“ — იგი ხუთასი წლის წინათ მოთხარა ჯალალ-ედინმა!..

ასევე: ვარციხის სასახლის „მეჯლისების დარბაზი“ თავის ძი-
რითად შენობიანად სოლომონის ტახტზე ასვლამდეც ცოტა ხნით
ადრე მთლიანად გადაწვეს და გადაბუგეს!..

ეს ყველაფერი რომ ვიცოდი, ქალბატონო ოლია, ამიტომ გა-
დაეწყვიტე „ეს რთული საკითხი ასე იოლად“.

კარგი იქნებოდა, „ეს სპეციალური კვლევის საკითხი“ ასევე
რომ სცოდნოდა „ცისკრის“ რედაქტორს, მის რჩევას პატივცემუ-
ლი მეცნიერიც მიიღებდა და თავის წერილში ამ — რიგით მემ-
ვიდე და უკანასკნელ — შენიშვნას ისევე მოხსნიდა, როგორც ყველა
წინანდელს და ჩემს ანგარიშზე არც ერთი შეცდომა აღარ დარჩებო-
და!..

პატივცემულ მწერალთანაც ჩემი შეხვედრის ანგარიში უფრო
შთამბეჭდავი (2700 : 0) იქნებოდა!

არარსებულ შენიშვნებზე აგებულ წერილს კი პატივცემული
მეცნიერი სახლში წაიღებდა, მეც უსამართლოდ აღარ გავილან-
ძლებოდი და აღარც მკითხველს შეიყვანდნენ შეცდომაში...

და ეს ყველაფერი ასე კარგად მაშინ დამთავრდებოდა, „ცის-
კრის“ მთავარ რედაქტორს სანაქებო ობიექტურობასთან ერთად ამ
საკითხებში გარკვევის უნარიც თუ ექნებოდა!..

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!..

ბატონმა ელდარ შენგელაიამ, რომლის პიროვნებას პატივს რომ ვცემდე. ათასი მოწეზი მაქვს. ერთ ინტერვიუში თქვა:

9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ ჩემს ირგვლივ ხალხი შეიკვალა, უკეთესები გახდნენ!

ხოლო რატომ გახდნენ უკეთესნი, ეს მაშინ ბატონ ელდარს არ აუხსნია, — უბრალოდ, რაც ხელოვანის თვალმა შეამჩნია, ის აღნიშნა.

მე კი ვიცი, რატომ გახდა ხალხი უკეთესი! მაგრამ ეს ჩემი პირადი დამსახურება სულაც არ არის!

მე ეს ღვთაებრივი აკაკი წერეთლიდან ვიცი!

ა, თურმე რაში ყოფილა საქმე!

9 აპრილს ადამიანის სისხლი დაიღვარა! — სისხლი კი, აკაკის გენიალური აღმოჩენით, თურმე სულს ჰბანს!

„წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა!“

დედამიწის ზურგზე ჯერ ცოცხლად შობილ კაცს სისხლის ეს თვისება არ შეუმჩნევია!

დიდება აკაკის!..

დიდება აკაკის და... კიდევ იმ პატარა გოგო-ბიჭებს, საქართველოს თავისუფლებისათვის თავი რომ დადეს, სისხლი რომ დაღვარეს!

დაღვრილი სისხლით განბანილი სული კი, თურმე, ერთი-ასად იძენს სისპეტაკეს!

ჩვენც ამიტომ გავხდით უკეთესები!

უკეთესი ადამიანები კი, მოგესწენებათ, ყოველთვის უკეთეს საქმეებს აკეთებენ!

ხოლო ერისთვის იმაზე უკეთესი და უკეთესი შობილესი საქმე არ არსებობს — ვიდრე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა!..



სამწუხაროდ, 9 აპრილის ტრაგედია არ გვაკმარეს. უმოკლეს ხანში ამ „სისხლიან კვირას“ სხვა შემზარავი ამბებიც დაემატა! უფრო ზუსტად — სისხლს სისხლი დაემატა!

რაკი სისხლი სულს ჰბანს, ჩვენ კი ამ დღეებში ცოტა სისხლი არ დაგვიღვრია. ეტყობა, ის დრო გვიღვება, დიდი გალექტორს რომ ნატრობდა:

„სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლ-სას!..“

ეს კია — განსპეტაკებულ სულს კარდაკეტილ ქართაში ვეღარ ამყოფებ!

ვერც ქართული სული გაქლებს მეტხანს ყაზარმებში გამომწყვდეული!..

„მოვა დრო და თავს აიშვებს...“

რადგან:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაქრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!..“

ღმერთია მოწმე! — დაქრილი ირმების გუნდის საცოდაობაც არაფერია იმასთან შედარებით, პატარა გოგონების ლამაზი გუნდი რომ გალესილი ნიჩბებით ამოწყვიტეს მთავრობის სასახლესთან!

იცოდა მტერმა, რასაც აკეთებდა! —

ამით ქართველი კაცის სხეულსა და სულს ერთიანად ჩეხდა..

თანაც, დამსჯელი ოპერაციების სრულქმნილად გამოყენების საქმეში არაერთხელ დარწმუნებულეებმა, აღარც კი იკითხეს:


„არც ახლა გკირსა, რჯულ-ძაღლოო?!“

გისაროდენ!.. როგორც ბევრჯერ სხვა დროსაც, ახლაც —

„ — გულში გკვირს, გულში, რჯულ-ძაღლო!..“

არადა, ღმერთო ჩემო, ამ პატარა გოგონების გუნდს სიცოცხლე და თავისუფლება ისე სწყუროდა —

„ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა“.



ქართველ ხალხს სხვა დროსაც, ჩვენი ისტორიის გრძელ მონაკვეთზე, სხვადასხვა რჯულის რჯულ-ძაღლებისაგან ბევრჯერ გკვირდა გულში!

მაგრამ საშველიც იქვე იყო — მონობას თავისუფლება ცვლიდა

უფლის შიეო დადგენილი რიგის მიხედვით — ხვალ თუ ზეგ —
ქართველ ერს თავისუფლების დღე უნდა გავვითენდეს!..

ოლონდ ჩვენსეც არის დამოკიდებული — მალე მივიღებთ ამ
თავისუფლებას თუ, ჩვენივე საქციელით, ცოტა კიდევ იქით გადავ-
წევთ!..

ამაზე ფიქრში მეც ბევრი ღამე „შუბლზეოფლგადამდინარეს“
გამითენებია!..

* * *

9 აპრილის ტრაგედიით დაზაფრულმა და საკუთარი უმწეობით
ილაგაფაწყვეტილმა ქართველობამ იაეც ილუზორულ სამყაროს მი-
ვაშურეთ და ისეთი ღამაზი ტყუილი მოვიგონეთ, ჩვენს გასამხედ-
როებულ ქვეყანაში არა და „უმანკო ჩასაავის მონასტერში“ სათ-
ქმელად ნამდვილად ივარგებდა!

თითქოს ჩვენ ცრემლითა და მინდვრის ყვაეილებით მთავრობის
სასახლესთან ავად მოგრუხუნე ტანკების დამარცხება მოვახერხეთ!
ტყუილი აშკარაც იყო და... ღამაზიც!

არადა, ცრემლითა და ყვაეილებით ტანკების დამარცხება მარ-
თლაც შეიძლება! — ოლონდ... უფრო მოწესრიგებულ სახელმწი-
ფოში!

ჩვენთან კი —

მოსკოვს ცრემლები რომ არ აკვირვებს და არც ეშინია! — ეს
თემა სელოვნების მიერაცაა დამუშავებული!

ამიტომ ნუგეშის გზა ჩვენც მხატვრულ სფეროში უნდა მოვი-
ძიოთ!

„ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხ-
რელს, ამამბზარაცს!..“

კარგია! — მაგრამ ეს უფრო სურვილია! მეტი კატეგორიულო-
ბაა საჭირო!

ვთქვათ, ასეთი:

ჩემს დამტანჯველს ღმერთი დასჯის ქაჯად
გადაგვარებით“.

ეს კი უფალმა, მგონი, მართლაც გვისმინა! —

ვინც 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, ისინი ქაჯები თუ
არ იყვნენ, აღარც ადამიანურობის ეცხოთ რაიმე!..

16 წლის უმანკო გოგონაზე — მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავისუფლება სწყურია! — გარისკავი რომ გალესილ ნიჩაბს აღმართავს, ვისაც ეს სახვედრო ემსახურება — იმ ქვეყნის საქმე წასულია!..

* * *

საქართველოში ქრისტეს ტირილი იდგა, საკავშირო მთავრობა კი ამ დროს ნიანგის ცრემლებს ღვრიდა! —

ეს რა დაგვემართა, გარდაქმნას ზურგიდან ჩასცეს მახვილი! — არიქა, დამნაშავენი თუ ახლავე არ ვამხილეთ და არ დავსაჯეთ. წესიერი მსოფლიოს თვალში თავი მოგვექრებაო!

მაშინვე დაფაცურდნენ — ზოგი კომისია თვითონ შექმნეს, ზოგიც ჩვენ შეგვაქმნევინეს...

„დრო კი გადიოდა...“

არადა, თუ სიმაართლის გაგება აინტერესებდათ, ამას რა დიდი ლარი და ხასი უნდოდა! —

მე რომ მთავრობა ვარ, ვინც ხოცვა-ჟლეტას სარღლობდა, იმას დავიბარებდი და ვკითხავდი —

ღრმად პატივცემულო იგორ! — ამ უმანკო ბავშვების თავზე სიკვდილის კალო შენ თვითონ მოაწყე თუ რომელიმე ჩვენთაგანს ჰქონდა ნაბრძანებო!

ჩვენი იგორის გამოტეხვას ზუსტად იმდენი დრო დაჭირდებოდა, რაჰდენი დროც ახლა მე ამ სტრიქონის დაწერას მოვანდომე!..

* * *

როცა უნდათ, თავზე ლაფს რომ გვასხამენ, და რასაც უნდათ, იმას რომ გვიკეთებენ, ესეც არაფერი — უფრო იმაზე მწყდება გული, სულელებიც რომ ვგონივართ!..

ხოლო სულელებად რომ წარმოგვაჩინონ, მათ ეს საქმისთვისაც ჭირდებათ! — კარგად უწყიან — გიჟისთვის თავისუფლების მიცემა დანაშაულია!

გიჟი ყველა ქვეყანაში საიპედოდ ყავთ გამოკეტილი!

ამის გარდა, საქართველო, მათი ფიქრით, მარტო ქართველების ხომ არ არის! — იგი ისევეა ქართველების, როგორც სომხების, თათრების, აფხაზების, ოსების, ლეკების...

ამიტომ ერთ დიდ თავისუფლებას თუ ყველა ძმურად გავინაწილებთ, მაინც პატარა-პატარა თავისუფლება შეგვცხვდება და... ღირს კი ამდენ დავიღარაბად?

და ეს ყველაფერი ცხადად რომ წარმოგვედგინა, — ყველა ერთად მოგვისიეს!

ერთი სიტყვით, მტერმა მიზანს მიადწია! — ანუ, როგორც ამას გურჯამიშვილი იტყოდა, —

„მტერს შეესპის, იამეპის!“

აქ მაინც უნდა გავჩერდეთ, თუ გვინდა, „დავითიანის“ ავტორის დროინდელი სიტუაცია კინო-ფირივით ხელახლა არ დატრიალდეს! —

„ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს, მას სცემოს და თვით იცემოს, დაქორბოს და დაეკიდოს, რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,“ — აი, რისთვის იკლავენ თავს ჩვენი დიდი მტრები! —

„რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს!“

მართალია, ძაღლი ჩვენი (ადამიანის!) მეგობარია, მაგრამ ეროვნულ საკითხში, როგორც ძელიდან, მხოლოდ სარგებელს გამოვლინებ!

აბა, ჩვენსავით გიყი კი არაა, ტყუილად რაიმეს „პირი ჰკიდოს!“

სამწუხაროდ, არც აფხაზ კაცს ეყო ჰკუა, ამ მზაკვრული სცენარის ავტორებისათვის რომ ეთქვა:

„მე მტრად სხვანიც შეყოფიან, ძმანა რადღა დავმტერდებო!“

* * *

საკუთარ ქვეყანაში უსაშველოდ გავგწირეს! — ჩვენი მოთმინების ფიალაც ყუყუე დაიყვანეს!

ერთადერთი იმედის აძარა ვართ! — „...მაგრამ ღმერთი არ გასწირავს!“

ეს რუსთაველის ხმაა! — იგია, ყველა გასაკირში ჩვენთან რომ დგას!..

„ბოლოდ შეჰყარა მიწამა ერთად მოყმე და მხცოვანი, სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი საჩელოვანი!..“

ეს ბოლო გზაა, მანამდე კი ჩვენი უნდა ვცადოთ!

მაგრამ ჭერ უნდა დავიფიცოთ — ერთად დავიფიცოთ!

თუ საქართველოს, განგების ნებით, მაინცდამაინც ჩვენი თა-

ობის ხელში უწერია სიკვდილი, ქართველობის სახსენებელი ჩვენთან ერთად რომ არ გაქრეს, ისე უნდა დავიხოცოთ, თავად ამ სიკვდილში უნდა ვპოვოთ უკვდავება! ...

ამას ცალცალკე ვახერხებდით, მით უფრო არ უნდა გავკვირდეს ეს ერთად...

თუნდაც იმიტომ, რომ ქართველი კაცისთვის თვით სიცოცხლეც კი ყველაზე ძვირფასი არასოდეს ყოფილა! — მისთვის, ამ წუთისოფელში არსებობაზე, გაცილებით მნიშვნელოვანი თავის პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობა იყო!

„გაეწუდეო, ხალხო, და უცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!“

ამ შეგნებით ყალიბდებოდა სული ქართველი კაცისა!

ისტორიულად ჩამოყალიბებული სულის ამ თვისებას ხალხს ვერ გადააჩვევ!..

მით უფრო, ამას ვერ გადაგვაჩვევენ დღეს, როცა:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!...“



საოცარია! — ჩვენი დამოკიდებულება რუს ხალხთანაც კი, რომელთანაც ჩვენმა გაჭირვებამ ჩვენი ფეხით მიგვიყვანა, ერთ-მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა.

... ამის მიუხედავად, რომ იმათი მხრიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხე არ უნდა შექმნიოდა, ქართული კაცი მაინც სიფრთხილეს ამჯობინებდა!

ჯერ იყო და, რუსთა ქვეყნის სიშორე მოიმიხეხა!

„ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვცდებიან“.

ვისაც ეს უნდა გაეგონა და არა ისმინა, მომავალი საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობა შეახსენეს!

„გარს მოგვექიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი,

ვიქნებით შეილთა ჩვენთავან გინებით მოსაგონარი!“

ამანაც რომ არ გაჭრა, მერე ოსმალოს და სპარსის ორი ყელსმობმული ყულფიც მოაგონეს!

„ტიროდნენ, ამას იტყოდნენ ახლა არს ჩვენი დავსება!

მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება“.

ესეც ჩვენი ილბალია! — საქართველოში ჰკვიანი ხალხი არც ერთ დროში გვაკლდა, ოღონდ...

როგორც ახლა, არც მაშინ ვუსმენდით!

„მეფე იყო ღა ბრძანებდა, იქმონდა, რასაც ინებდა!..“

კი „იქმონდა, რასაც ინებდა“, მაგრამ ბრძენი კაცის მსჯავრს სად წაუვიდოდა — განაჩენიც მკაცრი და საშვილიშვილო იყო

„რაზედაც მიღვა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე“.

* * *

დავით გურამიშვილის ეს პოეტური შეფასება იმ მეფეს (ვახტანგ VI) ეძღვნება, ვინც პირველად ჩვენი რუსებთან დანათესაება მოიფიქრა!

ხოლო ვინც რუსებთან საბოლოოდ დაგვამოყვრა, იმ მეფის დეაწლზე მუხრან მაქვაარიანის პოეტურ შეფასებას შეგახსენებთ:

„გრანიტისაში ნირწამხდარი წევს აკლამაში, —
თავისუფლება ერს საკუთარს ვინც განუბოძა!..“

* * *

სამწუხაროდ, საკუთარი ერის თავისუფლების განმბოძებელი საქართველოს, ერეკლეს გარდა, სხვაც ბევრი გამოუჩნდა!

უპირველესად — სოციალ-დემოკრატები!

მანამდე კი... უფალმა ღმერთმა კიდევ ერთხელ შეისმინა „ქართველის ვედრება“ და საქართველოს ნანატრი თავისუფლება ხონჩით მიუბოძა!

ბედიც ამას ჰქვია!

მაგრამ!.. ისევ გავიხსენოთ გურამიშვილი!

„ბედს რომ აქებენ, არ ვიცი, რა ვუქო ბედს საქებელი,

ბედმა შეკრიბოს, ჰკვამ ფანტოს, მექნების რა სარგებელი?“

ბედის ნაშოვნის თავისუფლება სოციალ-დემოკრატების ჰკუამ სამ წელიწადში გაჰფანტა!..

მას აქეთ მოლაღურის უნარი გამოიმუშავა ქართველმა კაცმა და „შვილო, გოგიას“ ნაცვლად ღღენიდად ამ სიტყვებს გაიძახის:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაქრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!..“

თავისუფლების საშოვნელად მთავრობის სახლთან მოსული პატარა შვლის ნუკრების გუნდი კი მესანგრის ალესილი ნიჩბით ისე ამოწყვიტეს, რომ მათი თავგანწირული მოთქმა, ტანკების გრუხუნში, ღმერთამდე ველარ უწევდა!

მაგრამ ღმერთი დიდია და ყველაფერს ხედავს!..

სხვათა შორის, იმ ავადმოსისინე ინსპირატორსაც ხედავს. ჩვენსავე მიწაზე მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხებს ჩვენზე რომ აქეზებს!...

ვინ დაიჭრებდა, თავიანთ ავტონომიურ რესპუბლიკაში 16 პროცენტს რომ შეადგენენ მოსახლეობისას, ის აფხაზები იმას თუ გაბედავდნენ, იარალი აესხათ და ქართველ ხალხს თავს დასხმოდნენ!

თავიდან აფხაზი ძმების ეს ლაღატი დიახაც გაგვიკვირდებოდა, მაგრამ მერე ამ გაუგონარი თავხედობით გაგიყებულ ქართველებს ვინ გაგვაჩერებდა?!

სცენარის ავტორებს ყველაფერი წინდაწინ ჰქონდათ გათვლილი და გათვალისწინებული! — აფხაზები დაიწყებდნენ, მერე კი მოთჳინებიდან გამოსულ ქართველებს კბილებამდე შეიარაღებულ ჯარს ხელში შეგვატოვებდნენ!..

შეგვატოვეს კიდეც!

ან ის რამდენიმე ათასი ასერბაიჯანელი, ქართულ მიწაზე „თვის ბოლოკივით“ უხვად რომ ამოიზარდა, მარტო თვითონ იმას როგორ გაბედავდა — იარალით ხელში ქართველების წინააღმდეგ აღმდგარიყო?!

ჰკუთაზე რომ მოვიყვანდით, მერე ხომ მაინც ვეტყოდით, ვინ მოგცათ, ბიძიებო, ეს იარალი თქვენ?

ან რა უნდა ეპასუხათ, ან ამ გაუგონარი თავხედობით გაგიყებულ ქართველებს ვინ გაგვაჩერებდა?!

ესეც გათვლილი ჰქონდა ინსპირატორს! — თათრებს მხოლოდ შინაგანი ჯარების რაზმებამდე უნდა მიეწროთ!..

მერე, ბიჭი ხარ და, უბატონოდ ხმას გააყემდი!..

და ეს ყველაფერი სცენარის ავტორებს იმისთვის ჰქონდათ გათვლილი, რომ ქართველი კაცისთვის ეროვნული თავისუფლების შეგ-

რძნება ძირშივე ჩაეკლათ და ძალად გიეისპერანგკადაცმულს ვერ გაებედა ამ სიტყვების თქმა:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“

* * *

საბედნიეროდ, ეროვნულ განმათვისუფლებელი მოძრაობის სმა დღეს მთელს ჩვენს ქვეყანას კიდით კიდემდე მოედო!

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში!...“

როგორც ჩანს, დიდი ილიას ეს ღაღადისიც ისმინა უფალმა და თავისუფლება მოწყურებული ქართველი ხალხიც ფეხზე დააყენა!..

მაგრამ არც გარდაქმნის მტრებმა დაიგვიანეს — ქუჩებში ტანკები დროულად დააყენეს!

და დღეს, მთელი საბჭოეთის ტერიტორიაზე ტანკები ბოლთას სცემენ... საკუთარი ხალხის თვალწინ!

საოცარია! — ახლა ეს უცნაური ტანდემი — ადამიანები და ტანკები! — დაუპირისპირდა ერთმანეთს!

სამწუხაროდ, ორთავე მხარეს, ადამიანებსაც და ტანკებსაც სადაურობა ალმნიშვნელი ერთი და იგივე სახელმწიფო დამლა აზით! —

ადამიანებს — საბჭოთა კავშირის მოქალაქისა!

ტანკებს — СССР-ის!

* * *

არადა, ისე მოხდა, რომ ჩვენს ხალხს საკუთარ ტანკებთან ბრძოლის გამოცდილება აქამდე არ ჰქონია! —

დღემდე საბჭოთა ადამიანებს საკუთარი მთავრობა, ცალ-ცალკე და ნება-ნება, მხოლოდ ტყვიით ხერეტდა!..

ამას იმიტომ ვიხსენებ, ახალი დაკვირვება რომ შემოგთავაზოთ: ვერც დღევანდელი ტანკების ქვეყანა ააშენებს სამართლებრივ სახელმწიფოს!

იმის მიუხედავად, რომ არაფერი ისეთი იოლი ასაშენებელი არ არის, როგორც სამართლიანი ქვეყანა! — ამისთვის არც დამატებითი ფონდების გამოყოფაა საჭირო და არც ახალი ბუნებრივი რესურსების გამოვლენა!

სამართლებრივი სახელმწიფოს თავი და თავი კონსტიტუცია და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული კანონია!

ჩვენს ქვეყანაში უზენაესი ხელისუფლება ჯერ კანონის ხელში არასოდეს ყოფილა!

პარტიული და სამთავრობო ელიტა კანონზე და კონსტიტუციაზე მუდამ მაღლა იდგა!

ამის გარდა, სამართლებრივ სახელმწიფოს ერთი მეტისმეტად „უხერხული“ მხარეც აქვს:

როგორც კი კონსტიტუციის მუხლები სახელმწიფოსთვის კანონი გახდება, მოკავშირე რესპუბლიკები, დიდიან-პატარიანად, სამართლის იმ პუნქტით ისარგებლებენ — საბჭოთა კავშირიდან მათი თავისუფლად გასვლის უფლებას რომ ითვალისწინებს!..

* * *

მე პირადად დარწმუნებული ვარ:

საბჭოთა კავშირს ამ ფორმით არსებობა, როგორც იგი დღეს არის, ნამდვილად გაუქირდება!

ეს კარგად ესმის დღევანდელ რეალურ ხელისუფლებას და იგი გულდაგულ ეძებს იმ გზას — საბჭოთა ხალხებს თავისუფლებას რომ მოუტანს!

მაგრამ ეს არ ესმით პერესტროიკის მტრებს! — ისინი ტანკებითა და კომენდანტის საათით აპირებენ წინანდელი ხელისუფლების გახანგრძლივებას!..

სხვათა შორის, ეროვნულ მოძრაობას საქართველოშიც გამოუჩნდნენ ოპონენტები!

უფრო ზუსტად, არაერთი ჩვენი თანამემამულე მიტინგებისა და გაფიცვების წინააღმდეგია იმის შიშით, ვაითუ ამას ქუჩებში ისევ ტანკების გამოჩენა და კომენდანტის საათის გამოცხადება მოაყვესო!

მათი უმრავლესობის ფიქრით კი კომენდანტის საათი და ქუჩაში მოგრუხუნე ტანკები ერის ღირსების შეუტრაცხყოფელია!

არადა, სულ პირიქით არის, ბატონებო!

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ქუჩებში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ტანკები უფრო იმ ქვეყნების მთავრობებისთვის არის ლაფდამსხმელი, რომელთა ტერიტორიაზეც თავისუფლებას ტანკებით დევნიან!..

თუ სიმართლე ვინდათ, ერის ღირსებას არაფერი ისე არ წარ-

მოაჩენს, როგორც ყოველი შესაძლებელი მეთოდით, თუნდაც შიშველი ხელით, თავისუფლებისათვის ბრძოლა!

ვინც ამ საქმისთვის არ იბრძვის, ის უღირსებო კაცია!

ამასთან, ისინი, ეროვნული მოძრაობის ოპონენტები, ბრძოლის ფორმად, თუ, რასაკვირველია, ზოგნი ამაშიც არ ტყუიან, პარლამენტურ გზას არჩევენ.

ცხადია, პარლამენტური ბრძოლის მეთოდი გაცილებით უკეთესია!

მაგრამ, გამუდმებით უნდა გვახსოვდეს — პარლამენტურ ბრძოლას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ქვეყანაში აქვს ეფექტი, როცა ეს სახელმწიფო, ზნეობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ასე თუ ისე, მოწესრიგებულია!

ყველა სხვა შემთხვევაში ეს მეთოდი ფუჭი გასროლაა!

საერთოდ კი ტანკებითა და კომენდანტის საათით არსებულ ხელისუფლების გახანგრძლივების ცდაც, როგორც ეს პერესტროიკის მტრებს სურთ, — აბსურდია!

ერთი წუთით დაუშვათ, კიდევ რომ მოახერხონ ყველა ქალაქსა და სოფელში ჭარბის ჩაყენება და მთელს ქვეყანაში კომენდანტის საათის გამოცხადება, რამდენ ხანს შეიძლება ამან გასტანოს?!

მთელი მსოფლიო სომ დაინახავს — ეზობეში ჭარჩაყენებულ ხალხს თავისუფლება რომ სწყურია?

მერე ჩვენი ქვეყნის მთავრობის გასაგონად არავინ იტყვის?! — ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას მთელ მსოფლიოში რომ უკერძო მხარს, თქვენი ქვეყანაც ამ მსოფლიოს ნაწილი არ არისო?!

ანდა, იმ ტანკებში მკდომ ხალხს აღარ მოსწყინდება ამდენი ყარაულობა?!

ხომ შეიძლება ჯავშანტრანსპორტიორში მკდომმა ხალხმა იმ თავისუფლებამოწყურებულ ხალხს უთხრას — ახლა თქვენ ჩასხედით ტანკებში და იმორიგევეთო!..

* * *

რესპუბლიკის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ საბჭოეთის ისტორიაში ჯერ არსმენილი გადაწყვეტილება მიიღო — შეიმუშა-

ონ ერძენული განვითარების კონცეფცია საქართველოს სრული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად!

როცა ერი და ბერი ერთი მიზნისკენ თავდაუზოგავად არის მიმართული — მიუღწეველი არაფერია!

აქედან გამომდინარე, შორს აღარ არის ის დროც, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა რეალური საქმე გახდება!

ვაშა ამ ახალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

ქართველი კაცი კი ბუნებით უმადური არასდროს ყოფილა!

ამიტომ მწამს, — იმ თითქმის ორასწლიანი მფარველობის გამო, რუსეთმა საქართველოს რომ გაუწვია — ქართველი კაცი ყოველთვის მაღლიერებით გაიხსენებს!

ამის გამოცდილება ქართველ კაცს აქვს, გურამიშვილის მაგალითზე აქვს თუნდაც!

აი, როგორ სიყვარულით და მაღლიერების გრძნობით იგონებს „დავითიანის“ ავტორი რუს ადამიანს! —

„როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მამიარაო,

როცა რომ მყვანდა, მივლიდა. მეტს მამაჩემი არაო...“

ფიქრობ, უფროსი ძმაც გაიხარებს, როცა უკვე დავაქვაცებულ უმცროს ძმას, დიდი ოჯახიდან გამოყოფილს, მამაპაპისეულ სამოაახლოზე მკვიდრად დაფუძნებულს დაინახავს...

ნეტავი იმ დღეს!

მასამდე კი, ვიდრე ეს დრო დაგვიდგებოდეს, ყოველმა ქართველმა შინაგან მოთხოვნილებად ეს სიტყვები უნდა გავიხადოთ:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო აწყარა!.. დროშები ჩქარა!..“

დროშებიც აუცილებლად! —

ოლონდ... ქართული დროშები! — გორგასლიან-დავითიან-თამარიანი!..

ს ა რ ჩ ა ე ბ ი

შესავლის მაგიერ ანუ პასუხი ტელემაყულებელთა შეკითხვაზე	5	ანა დღლია გორუდილა!.. ანუ: მეტი პასუხისმგებლობა!	321
გამარჯობათ. ბატონო შალოა! აკიტატო, ზურაბ ლეონტოს ძე, აკიტატო!	31	კრიტიკოსის ბედი საქართველოში	349
„მძიმე ჯვარი“ და ჯვარცმული მკითხველი	65	კრიტიკას ეძღვებთ, შეურაცხყოფის — ხუროს უკაცრავად!	361
უცხოური ჩანახატები ჩვირბერი შეცდომებით	135	კრიტიკული შენიშვნები კომუნისტური პარტიის მანიფესტთან დაკავშირებით	383
„მამლობითი პარტიონის“ ვნობანი	160	კომუნისტების ქიყანაა!	396
მე, მეგობრებო, მოწოდებით არ ვარ პოეტია!	203	ვაჟე, ჩემო მკითხველო!.. ანუ წიგელი ბარათი წინასწარა გაფრთხილების გარეშე	406
ჯვარი ეცვი, თუ გინდა, სიშველი არ არის...	235	თვისუფლება სულს ისე მოსწყურდა!	436
შენიშვნები რედაქციისაგან, აგრეთვე, ჩემგანაც!	299		

ЦИВЦИВАДЗЕ ТАМАЗ ИВАНОВИЧ

СТРАНА ЛОЗАНГОВ

Критические статьи

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»

пр. Руставели, 42

Тбилиси 1990

მხატვარი ა. თევზაძე
მხატვრული რედაქტორი ს.პ. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი გ. ხუროციძე, დ. ფირცხალავა

ს. ბ. 4211

ჩაბარდა წარმოების 15.11.89 წ. ხელმოწერილია საბეჭდოდ 6.09.90 წ. ფორმატი 64/16. საბეჭდო ქალაქი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი პირ. ნაბ. ფურ. 26.04. სააღრ.-საგამომც. ფურცელი 22.36. პირ. საღ. გ.ტ. 26.04. ტირაჟი 10 000 ეგზ. შეკვეთა № 1436

ფასი 10 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1990

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის კუთვნილი პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება ქ. ქუთაისი, ი. ქავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутанское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по печати Грузинской ССР г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.